კითხვები

1. რამდენიმე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციას ახორციელებს:
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი ან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნები.
- საქართველოს მთავრობა.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

2. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურე, რომელიც არჩევნების დღისთვის მუდმივი წესით არჩევნების დღემდე არანაკლებ 6 თვით და არჩევნების დღიდან სულ მცირე 6 თვით ან მეტი ვადით:
- არ მონაწილეობს დისლოკაციის ადგილის მიხედვით საკრებულოს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში.
- მონაწილეობს დისლოკაციის ადგილის მიხედვით საკრებულოს როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში.
- მონაწილეობს დისლოკაციის ადგილის მიხედვით საკრებულოს მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში.
- არ მონაწილეობს დისლოკაციის ადგილის მიხედვით საკრებულოს არც მაჟორიტარული, არც პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში.

3. საუბნო საარჩევნო კომისიის რამდენ წევრს და რა ვადაში ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია?
- 6 წევრს არჩევნების დღემდე არა უადრეს 50-ე და არა უგვიანეს 46-ე დღისა.
- 3 წევრს არჩევნების დღემდე არა უადრეს 45-ე და არა უგვიანეს 41-ე დღისა.
- 2 წევრს არჩევნების დღემდე არა უადრეს 50-ე და არა უგვიანეს 46-ე დღისა.
- 1 წევრს არჩევნების დღემდე არა უადრეს 45-ე და არა უგვიანეს 41-ე დღისა.

4. დაინტერესებული პირის მიერ გასაჩივრდა საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელის გადაწყვეტილება, კანონით დადგენილ ვადაში, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა საჩივარი. სად და რა ვადაში უნდა მოხდეს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება?
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, 1 დღის ვადაში.
- სააპელაციო სასამართლოში, 2 დღის ვადაში.
- შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, 2 დღის ვადაში.
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, 2 დღის ვადაში.

5. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნების ვადა ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან:
- არა უადრეს 55 დღისა.
- არა უგვიანეს 50 დღისა.
- არა უგვიანეს 60 დღისა.
- არა უადრეს 60 დღისა.

6. ძველი თბილისის გამგეობამ საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის გადასცა N211 სკოლის შენობა. აღნიშნულის თაობაზე კომისიამ და გამგეობამ გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საარჩევნო კომისიას უსასყიდლოდ გადაეცემოდა სკოლის შენობა, თუმცა მას უნდა დაეფარა ელექტროენერგიის ხარჯები. სწორად დაეკისრა თუ არა საარჩევნო კომისიას ელექტროენერგიის ხარჯების დაფარვა?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- საარჩევნო კომისიას ელექტროენერგიის ხარჯების დაფარვა სწორად დაეკისრა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან, დაფარონ სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადაცემული შენობა-ნაგებობის კომუნალური გადასახადები.
- საარჩევნო კომისიას ელექტროენერგიის ხარჯების დაფარვა სწორად დაეკისრა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან დაფარონ საარჩევნო კომისიისათვის გადაცემული შენობა-ნაგებობის კომუნალური გადასახადები, მაგრამ ხელშეკრულებით შეიძლება აღნიშნული თანხების გადახდა დაეკისროს საარჩევნო კომისიასაც.
- საარჩევნო კომისიას ელექტროენერგიის ხარჯების დაფარვა არასწორად დაეკისრა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თვითონ არიან ვალდებულნი დაფარონ საარჩევნო კომისიისათვის გადაცემული შენობა-ნაგებობის კომუნალური ხარჯები.

7. პარტიულ სიაში არ უნდა აღინიშნოს ყოველი კანდიდატის:
- თანამდებობა.
- სამუშაო ადგილი.
- სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულება.
- პარტიულობა.

8. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული რამდენი წევრისგან შედგება თვითმმართველი ქალაქის საკრებულო, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 75 000-ს?
- 77 წევრისგან.
- 73 წევრისგან.
- 10 წევრისგან.
- 15 წევრისგან.

9. საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს:
- 25-ზე ნაკლები და 45-ზე მეტი.
- 21-ზე ნაკლები და 35-ზე მეტი.
- 30-ზე ნაკლები და 40-ზე მეტი.
- 25-ზე ნაკლები და 35-ზე მეტი.

10. რომელი საარჩევნო კომისია ახდენს ამომრჩევლებისათვის საარჩევნო ბარათების დარიგებას?
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- უსკო.
- ცესკო.

11. მოსამსახურის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს
- 30 საათს კვირაში.
- 45 საათს კვირაში.
- 35 საათს კვირაში.
- 40 საათს კვირაში.

12. ცესკოს თავმჯდომარე არა უგვიანეს რამდენი დღისა ატარებს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს რეგისტრაციაში?
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-40 დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უადრეს 30-ე დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-40 დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.

13. სად უნდა ჩარიცხოს საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის ანგარიშზე არსებული ნაშთი?
- თავის ანგარიშზე ტოვებს და ამის შესახებ ატყობინებს ცესკოს.
- თავის ანგარიშზე ტოვებს და ამის შესახებ ატყობინებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშზე.
- სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე.

14. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილმა საკონკურსო კომისიამ, ცესკოს წევრობის კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან მე-5 დღეს პრეზიდენტს წარუდგინა 5 კანდიდატურა ორ ვაკანსიაზე. ერთზე - 2 კანდიდატურა, ხოლო მეორეზე - სამი. კანდიდატების შერჩევიდან მე-9 დღეს პრეზიდენტმა შერჩეული კანდიდატები წარუდგინა საქართველოს პარლამენტს. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საკონკურსო კომისიის მიერ პრეზიდენტს უნდა წარედგინოს თითო ვაკანსიაზე 2 კანდიდატურა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან შერჩეული კანდიდატები შერჩევიდან არა უგვიანეს 7 დღისა პრეზიდენტმა ასარჩევად უნდა წარუდგინოს პარლამენტს.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საკონკურსო კომისიის მიერ პრეზიდენტს უნდა წარედგინოს თითო ვაკანსიაზე 3 კანდიდატურა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საკონკურსო კომისიას პრეზიდენტისთვის კანდიდატები უნდა წარედგინა ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

15. რომელი მსჯელობაა სწორი?
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 3 დღის ვადაში ცესკო რეგისტრაციაში ატარებს თბილისის საკრებულოს წევრად არჩეულ პირებს და გადასცემს მათ შესაბამის მოწმობებს.
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 8 დღის ვადაში ცესკო რეგისტრაციაში ატარებს თბილისის საკრებულოს წევრად არჩეულ პირებს და გადასცემს მათ შესაბამის მოწმობებს.
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში ცესკო რეგისტრაციაში ატარებს თბილისის საკრებულოს წევრად არჩეულ პირებს და გადასცემს მათ შესაბამის მოწმობებს.
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 1 დღის ვადაში ცესკო რეგისტრაციაში ატარებს თბილისის საკრებულოს წევრად არჩეულ პირებს და გადასცემს მათ შესაბამის მოწმობებს.

16. დაწესებულების ხელმძღვანელი
- დამტკიცებამდე 2 კვირით ადრე შინაგანაწესის პროექტს წარუდგენს საჯარო მოსამსახურეებს გაცნობისა და მასში შენიშვნებისა და წინადადებების შეტანის მიზნით.
- დამტკიცებამდე 10 დღით ადრე შინაგანაწესის პროექტს წარუდგენს საჯარო მოსამსახურეებს გაცნობისა და მასში შენიშვნებისა და წინადადებების შეტანის მიზნით.
- დამტკიცებამდე 1 თვით ადრე შინაგანაწესის პროექტს წარუდგენს საჯარო მოსამსახურეებს გაცნობისა და მასში შენიშვნებისა და წინადადებების შეტანის მიზნით.
- დამტკიცებამდე 3 კვირით ადრე შინაგანაწესის პროექტს წარუდგენს საჯარო მოსამსახურეებს გაცნობისა და მასში შენიშვნებისა და წინადადებების შეტანის მიზნით.

17. ვინ ამოწმებს პარტიის მხარდამჭერთა სიებს ?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიები.
- უსკო.
- საოლქო საარჩევნო კომისიები.

18. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების ანგარიშის ფორმას საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:
- ბრძანებულებით.
- განკარგულებით.
- ბრძანებით.
- დადგენილებით.

19. თუ პარტიული სიით საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეულმა პირმა კანონით დადგენილ ვადაში არ გაიარა ნარკოლოგიური შემოწმება, ან/და უარი განაცხადა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, ვინ იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობის შესახებ?
- ცესკო განკარგულებით.
- პარლამენტი დადგენილებით.
- ცესკოს თავმჯდომარე განკარგულებით.
- ცესკო დადგენილებით.

20. საუბნო საარჩევნო კომისიის სახელზე შეტანილ კორესპონდენციას იღებს და ანაწილებს:
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.

21. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად არ აღიარა პოლიტიკური პარტია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული 5 გამოკითხვის შედეგების შესაბამისად სარგებლობდა ამომრჩეველთა 3 პროცენტის მხარდაჭერით. კანონიერი იყო თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებლის ქმედება?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, მაუწყებელი უფლებამოსილია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული, საარჩევნო კოდექსით დადგენილი პირობების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 6 გამოკითხვის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 5 პროცენტის მხარდაჭერით.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, მაუწყებელი უფლებამოსილია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული, საარჩევნო კოდექსით დადგენილი პირობების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 5 გამოკითხვის შედეგების

შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 4 პროცენტის მხარდაჭერით.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, მაუწყებელი უფლებამოსილია, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული, საარჩევნო კოდექსით დადგენილი პირობების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 4 გამოკითხვის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 3 პროცენტის მხარდაჭერით.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, მაუწყებელი უფლებამოსილია, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული, საარჩევნო კოდექსით დადგენილი პირობების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 5 გამოკითხვის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა 2 პროცენტის მხარდაჭერით მაინც.

22. ვის აქვს ამომრჩეველთა სიების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება?
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- ცესკოს წევრს.
- დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას.
- პარლამენტის წევრობის კანდიდატს.

23. შესაძლებელია თუ არა კენჭისყრის შედეგების შეჯამება, თუ საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა?
- დიახ, ვინაიდან საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობის დარღვევა არ წარმოადგენს ხელშემშლელ პირობას კენჭისყრის შედეგების შეჯამებისას.
- დიახ, თუ საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა.
- არა, თუ საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, იგი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას.
- არა, თუ საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება დაუშვებელია.

24. თქვენი აზრით რომელია ის გარემოება, რომელიც არ აძლევს პრეზიდენტს უფლებას დაითხოვოს პარლამენტი?
- მიმდინარე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.
- პრემიერ-მინისტრის უარი კონტრასიგნაციის წესით ხელი მოაწეროს პრეზიდენტის აქტს პარლამენტის დათხოვნის შესახებ, თუ დათხოვნა ხორციელდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე.
- რეფერენდუმის მიმდინარეობა.
- პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან 6 თვის განმავლობაში, თუ დათხოვნა არ ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე.

25. რა ვადაში იმართება საქართველოს პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები, თუ არჩევნების პირველ ან მეორე ტურში მონაწილე ყველა კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა?
- საერთო არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 1 თვის ვადაში.
- საერთო არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 2 თვის ვადაში.
- საერთო არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 2 კვირის ვადაში.
- საერთო არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 45 დღის ვადაში.

26. ვინ ამოწმებს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიებს?
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- პრეზიდენტის ადმინისტრაცია.
- საუბნო საარჩევნო კომისია.

27. კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საფუძველია:
- მის მიერ დანიშნული თანამდებობის პირის მიერ დანაშაულის ჩადენა, რაც დადასტურებულია სასამართლოს შესაბამისი გამამტყუნებელი განაჩენით.
- მისი პოლიტიკური ოპონენტისათვის შეურაცხყოფის მიყენება.
- თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება პრეზიდენტის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.
- ძვირადღირებული სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება.

28. რა არის პარტია?
- ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად მოქმედი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ცესკოს მიერ რეგისტრირებულია არჩევნებში მონაწილეობის მიზნით.
- საარჩევნო სუბიექტების კანდიდატისა და საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით

ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა.
- პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული, პარტიის ან ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი საქართველოს მოქალაქე.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული 2 ან მეტი პარტიის გაერთიანება.

29. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით რა მიზნით იქმნება მთავრობის შემადგენლობაში სამინისტრო?
- განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად.
- ადგილობრივი თვითმმართველობის კონტროლის განსახორციელებლად.
- საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული ლიდერების დასაქმებისათვის.
- საკანონმდებლო საქმიანობის განსახორციელებლად.

30. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ამომრჩევლების მიმართ არ გამოიყენება მარკირება?
- იმ ამომრჩევლების მიმართ, რომლებიც კენჭისყრაში მონაწილეობენ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით.
- ყველა პასუხი სწორია.
- პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ამომრჩევლების მიმართ.
- საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში მყოფი ამომრჩევლების მიმართ.

31. დიდგორის N2 საარჩევნო უბანზე, სადაც ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანილი იყო 300 ამომრჩეველი, იმავე უბანზე შედგენილი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ იქნა 15 ამომრჩეველი, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეეძლოთ კენჭისყრის შენობაში მისვლა. არის თუ არა მოცემულ კაზუსში რაიმე სახის დარღვევა?
- დიახ, რადგან დარღვეულია გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შესაყვან ამომრჩეველთა კანონით განსაზღვრული რაოდენობა.
- არა, რადგან ამომრჩეველთა ერთიან სიაში საარჩევნო კოდექსის თანახმად შეყვანილ უნდა იქნეს მინიმუმ 20 და მაქსიმუმ 1500 ამომრჩეველი.
- დიახ, რადგან ამომრჩეველთა ერთიან სიაში საარჩევნო კოდექსის თანახმად შეყვანილ უნდა იქნეს მინიმუმ 20 ამომრჩეველი, რომელთა საერთო რაოდენობა გადასატანი სარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ ამომრჩეველთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს 300 ადამიანს.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს მინიმუმ 20 და მაქსიმუმ 1500 ამომრჩეველი, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საერთო სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა 1 პროცენტს.

32. კონსტიტუციის მიხედვით, ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არის:
- 48 საათი
- 6 თვე
- 9 თვე
- არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს

33. რამდენი ამომრჩევლისთვის იქმნება საარჩევნო უბანი, გარდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა?
- არანაკლებ 10 და არა უმეტეს 2000 ამომრჩევლისთვის.
- არანაკლებ 20 და არა უმეტეს 1500 ამომრჩევლისთვის.
- არანაკლებ 10 და არა უმეტეს 1000 ამომრჩევლისთვის.
- არანაკლებ 15 და არა უმეტეს 1500 ამომრჩევლისთვის.

34. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს მთავრობის ცალკეულ წევრს, რომელიც ვალდებულია უპასუხოს დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე.
- საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს მთავრობას, რომელიც ვალდებულია უპასუხოს დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე.
- საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, რომელიც ვალდებულია უპასუხოს დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე.
- საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც ვალდებულია უპასუხოს დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე.

35. რანგების მიხედვით საჯარო თანამდებობათა კონკრეტული ნუსხა განისაზღვრება საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრით, რომელსაც ამტკიცებს
- დაწესებულების ხელმძღვანელი.
- საქართველოს პრეზიდენტი.

- საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს მთავრობა.

36. რომელი მსჯელობა არის სწორი?
- საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილმონაცვლეს, თუ არჩევნები არ არის დანიშნული, 3 კვირის ვადაში ირჩევს ცესკო.
- საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილმონაცვლეს, თუ არჩევნები არ არის დანიშნული, 30 დღის ვადაში ირჩევს ცესკო.
- საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილმონაცვლეს, თუ არჩევნები არ არის დანიშნული, 10 დღის ვადაში ირჩევს ცესკო.
- საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილმონაცვლეს, თუ არჩევნები არ არის დანიშნული, 15 დღის ვადაში ირჩევს ცესკო.

37. ვის არა აქვს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება?
- პარტიას.
- საარჩევნო ბლოკს.
- საპარლამენტო ფრაქციას.
- მაჟორიტარ კანდიდატს.

38. რისი მითითების აუცილებლობა არ არსებობს პარტიის მიერ რეგისტრაციისათვის წარდგენილ განცხადებაში?
- პარტიის სახელწოდება ან/და აბრევიატურა.
- პარტიის წესდების მოკლე შინაარსი.
- წარმომადგენლის გვარი, სახელი, მისამართი, უფლებამოსილების ფარგლები.
- ხელმძღვანელი პირის გვარი, სახელი, მისამართი, ხელმოწერის ნიმუში.

39. კანონით დადგენილი წესით ცესკოს მიერ რეგისტრირებულ პარტიას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს:
- მხოლოდ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში.
- მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე ყველა დონის არჩევნებში.
- საპარლამენტო და ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში.
- მხოლოდ მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებში.

40. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას განცხადებით მიმართა მოქალაქე თემურ გარდაფხაძემ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატად დარეგისტრირების თაობაზე. ცესკომ უარი განაცხადა საბუთების მიღებაზე და უარი დაასაბუთა იმით, რომ გარდაფხაძე იყო 23 წლის და არანაირი სამუშაო გამოცდილება არ ჰქონდა, თან მიუთითა, რომ საარჩევნო კოდექსის მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს პირი 25 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს სამუშაო გამოცდილება გარკვეული ვადით. რამდენად კანონიერია ცესკოს უარი?
- ცესკოს უარი უკანონოა, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და რომელსაც აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- ცესკოს უარი კანონიერია, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აქვს არანაკლებ 2 წლით სამუშაო გამოცდილება და რომელსაც აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- ცესკოს უარი კანონიერია, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აქვს არანაკლებ 3 წლით სამუშაო გამოცდილება და რომელსაც აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- ცესკოს უარი ნაწილობრივ უკანონოა, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აქვს არანაკლებ 3 წლით სამუშაო გამოცდილება და რომელსაც აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

41. რა სახის სამართლებრივი დოკუმენტით ნიშნავს ცესკო პარლამენტის ხელახალი არჩევნების თარიღს?
- ბრძანებით.
- ბრძანებულებით.
- დადგენილებით.
- განკარგულებით.

42. დაწესებულების შინაგანაწესით არ განისაზღვრება
- სამუშაო დღის დასაწყისი და დასასრული.

- სამსახურებრივ საკითხებზე განკარგულებათა მოსამსახურეებამდე დაყვანის წესი.
- დაწესებულების სამართლებრივი სტატუსი.
- ხელფასის გაცემის დრო და ადგილი.

43. რა საფუძვლის არსებობისას შეუძლია საქართველოს პარლამენტს თანამდებობიდან გადააყენოს საქართველოს პრეზიდენტი?
- თუ მის ქმედებაში ან უმოქმედობაში საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშში აღნიშნულია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა.
- თუ მის ქმედებაში უზენაესი სასამართლოს დასკვნით დადასტურებულია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა.
- თუ პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად მას ბრალი მძიმე დანაშაულის ჩადენაში ედება.
- თუ მის ქმედებაში საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით დადასტურებულია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა.

44. რომელი მსჯელობაა სწორი?
- თუ დაფინანსების მქონე პოლიტიკურ პარტიას არ ეყოლება წარმომადგენელი საარჩევნო ოლქში ან/და საარჩევნო უბანში ან/და არ მოხდა თანხის სრულად ათვისება, პარტია ვალდებულია არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება.
- თუ დაფინანსების მქონე პოლიტიკურ პარტიას არ ეყოლება წარმომადგენელი საარჩევნო ოლქში ან/და საარჩევნო უბანში ან/და არ მოხდა თანხის სრულად ათვისება, პარტია ვალდებულია არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება.
- თუ დაფინანსების მქონე პოლიტიკურ პარტიას არ ეყოლება წარმომადგენელი საარჩევნო ოლქში ან/და საარჩევნო უბანში ან/და არ მოხდა თანხის სრულად ათვისება, პარტია ვალდებულია არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 25 დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება.
- თუ დაფინანსების მქონე პოლიტიკურ პარტიას არ ეყოლება წარმომადგენელი საარჩევნო ოლქში ან/და საარჩევნო უბანში ან/და არ მოხდა თანხის სრულად ათვისება, პარტია ვალდებულია არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება.

45. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით?
- უმცირესობათა უფლებების განხორციელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს
- უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს
- უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქართულ წეს- ჩვეულებებს
- უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სახელმწიფო წყობილებას

46. ცესკოს თავმჯდომარე სალიამ გადაწყვიტა რომ ოჯახური პირობების გამო გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან. თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით მან განცხადებით მიმართა ცესკოს. სწორად მოიქცა თუ არა სალია?
- სალია არ მოიქცა სწორად, ვინაიდან მას გადადგომის თაობაზე განცხადება უნდა წარედგინა საქართველოს პარლამენტისათვის.
- სალია მოიქცა სწორად, ვინაიდან ცესკოს თავმჯდომარემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.
- სალია არ მოიქცა სწორად, ვინაიდან ცესკოს თავმჯდომარემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილ საკონკურსო კომისიას.
- სალია არ მოიქცა სწორად, ვინაიდან ცესკოს თავმჯდომარემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტს.

47. კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის წევრის დაპატიმრება შეიძლება:
- თუ არის პრემიერ-მინისტრის თანხმობა.
- პარლამენტის წინასწარი თანხმობის გარეშე.
- თუ არის პარლამენტის თანხმობა.
- პარლამენტის წევრის დაპატიმრება საერთოდ დაუშვებელია, იგი სრულიად საქართველოს წარმომადგენელია პარლამენტში.

48. რა ვადაში უნდა წარედგინოს ცესკოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის საკონკურსო საბუთები საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში?
- კონკურსის გამოცხადებიდან 5 დღის განმავლობაში.
- კონკურსის გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში.
- კონკურსის გამოცხადებიდან 2 დღის განმავლობაში.
- კონკურსის გამოცხადებიდან 10 დღის განმავლობაში.

49. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვინ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული წარმოების მხარე?
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი.
- მხოლოდ ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი.

- მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანო.
- ადმინისტრაციული ორგანო, ფიზიკური ან იურიდიული პირი.

50. ვინ ამტკიცებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვას?
- ცესკოს თავმჯდომარის წარდგინებით – საქართველოს ფინანსთა მინისტრი.
- ცესკოს თავმჯდომარის წარდგინებით – ცესკო.
- ცესკოს წარდგინებით – საქართველოს პარლამენტი.
- ცესკოს წარდგინებით – საქართველოს პრეზიდენტი.

51. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურე, რომელიც კენჭისყრის დღეს განთავსებულია შესაბამისი დისლოკაციის ადგილზე, არჩევნების დღისთვის მუდმივი წესით, არჩევნების დღემდე არანაკლებ 6 თვით და არჩევნების დღიდან სულ მცირე 6 თვით ან მეტი ვადით:
- არ მონაწილეობს დისლოკაციის ადგილის მიხედვით საკრებულოს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში.
- მონაწილეობს დისლოკაციის ადგილის მიხედვით საკრებულოს მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში.
- არ მონაწილეობს დისლოკაციის ადგილის მიხედვით საკრებულოს არც მაჟორიტარული, არც პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში.
- მონაწილეობს დისლოკაციის ადგილის მიხედვით საკრებულოს, როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში.

52. კონსტიტუციით დადგენილი გამონაკლისების გარდა, რომელი სამართლებრივი აქტით მიიღება ჩვეულებრივ პარლამენტში თანხმობა?
- შეთანხმების აქტით.
- დადგენილებით.
- ორგანული კანონით.
- კანონით.

53. რომელ ორგანოს და რა სახის აქტით შეუძლია შეზღუდოს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა იმ პირთათვის, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში?
- საქართველოს მთავრობის დადგენილებით
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით
- საქართველოს პარლამენტის კანონით
- საქართველოს პარლამენტის ორგანული კანონით

54. საარჩევნო რეგისტრაციის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადის ამოწურვიდან რამდენ დღეში ნადგურდება მხარდამჭერთა სიები?
- 15 დღეში.
- 10 დღეში.
- 30 დღეში.
- 20 დღეში.

55. თუ ცესკოს პარტიული წევრების მიერ კანონით დადგენილ ვადაში ცესკოს თავმჯდომარე ვერ იქნა არჩეული, წარდგენილი 3 კანდიდატურიდან საქართველოს პარლამენტი ცესკოს თავმჯდომარეს ირჩევს:
- 7 დღის ვადაში.
- 3 დღის ვადაში.
- 10 დღის ვადაში.
- 5 დღის ვადაში.

56. სად შეიძლება გასაჩივრდეს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება?
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოს თავმჯდომარის მოადგილესთან.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოს თავმჯდომარესთან.

57. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება არა აქვთ:
- არჩევნებში მონაწილე კანდიდატს.

- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს.
- დამკვირვებლებს.
- პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს.

58. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ შედის ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში?
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, რომლებიც საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში თავიანთი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.
- ამომრჩევლები, რომლებიც კენჭისყრის დღეს პატიმრობაში იმყოფებიან.
- ამომრჩევლები, რომლებიც სამკურნალოდ წვანან საავადმყოფოში და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, კენჭისყრის დღისთვის ვერ იქნებიან გაწერილი ამ დაწესებულებიდან.

59. რომელი მსჯელობა არ არის სწორი?
- ხელახალი არჩევნები ტარდება იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები არჩატარებულად გამოცხადდა საარჩევნო ოლქების მესამედზე მეტში.
- ხელახალი არჩევნები ტარდება იმ შემთხვევაში, თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ვერც ერთმა საარჩევნო სუბიექტმა ვერ გადალახა საარჩევნო ბარიერი.
- ხელახალი არჩევნები ტარდება იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი სასამართლოს გადაწყვეტილებით.
- ხელახალი არჩევნები ტარდება იმ შემთხვევაში, თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობდა ერთი კანდიდატი და საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით მოიხსნა მისი კანდიდატურა.

60. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს:
- შესაბამისი რაიონის საკრებულოს.
- ამავე ორგანიზაციას.
- შესაბამისი რაიონის გამგეობას.
- დაინტერესებულ ამომრჩეველს.

61. კონსტიტუციის მიხედვით როგორია კენჭისყრა საქართველოს პარლამენტში?
- ყოველთვის ღიაა, გარდა პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი შემთხვევებისა.
- მხოლოდ ფარული.
- მხოლოდ ღია.
- ღია ან ფარული.

62. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ანიჭებს უმაღლეს სამხედრო წოდებებს?
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს პრეზიდენტი თავდაცვის მინისტრთან შეთანხმებით.
- შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი.
- თავდაცვის მინისტრი.

63. საქართველოს კონსტიტუციის გათვალისწინებით ქვემოთ ჩამოთვლილიდან მონიშნეთ სწორი მსჯელობა
- კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დებს საქართველოს პრეზიდენტი
- კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანხმობით
- კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დებს საქართველოს პრეზიდენტი და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი
- კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დებს საქართველოს პრეზიდენტი და გააქვს დასამტკიცებლად რეფერენდუმზე

64. რამდენი ამომრჩევლის ხელმოწერით უნდა დადასტურდეს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენა?
- არანაკლებ 35 000.
- არანაკლებ 25 000.
- არანაკლებ 30 000.
- არანაკლებ 15 000.

65. ვინ ნიშნავს პლებისციტს?

- მხოლოდ საქართველოს პარლამენტის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით პლებისციტს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს პარლამენტის, არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით პლებისციტს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- პლებისციტს ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

66. გამოსაცდელი ვადა გამოიყენება
- საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული მოხელის მიმართ.
- საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული ან დანიშნული მოხელის მიმართ.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული მოხელის მიმართ.
- თანამდებობაზე კონკურსის წესით დასანიშნი მოხელის მიმართ.

67. საუბნო და საოლქო კომისიების წევრებისთვის ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს საარჩევნო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომას?
- საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტის უხეში დარღვევა.
- სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობა.
- არასაპატიო მიზეზით საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომის ზედიზედ 2-ჯერ გაცდენა.
- არასაპატიო მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობა.

68. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით?
- ჩამორთმეული ქონების ანაზღაურება უნდა იყოს წინასწარი
- ჩამორთმეული ქონების ანაზღაურება უნდა იყოს სრული
- საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილებით
- ჩამორთმეული ქონების ანაზღაურება უნდა განისაზღვროს საბაზრო ფასების გათვალისწინებით

69. საკონტროლო ფურცელზე აღინიშნება:
- საარჩევნო ყუთებში საკონტროლო ფურცლის ჩაგდების ზუსტი დრო.
- საარჩევნო ოლქის ნომერი.
- საკონტროლო ფურცლის რეგისტრაციის ნომერი.
- საარჩევნო უბნის ნომერი.

70. პრეზიდენტის უფლებამოსილებები განსაზღვრულია:
- კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.
- კონსტიტუციით.
- კონსტიტუციითა და კანონით.
- კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით.

71. როგორ ხდება პარტიული სიის მიერ მიღებული პარლამენტის წევრთა მანდატების რაოდენობის დადგენა?
- პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 100-ზე და გაიყოს ასეთი პარტიების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას.
- პარტიული სიის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა გამრავლდება 85-ზე და გაიყოფა არჩევნებში მონაწილე პარტიების მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობაზე.
- პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 77-ზე და გაიყოს საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას.
- პარტიული სიის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა გამრავლდება 150-ზე და გაიყოფა არჩევნებში მონაწილე პარტიის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობის ჯამზე.

72. როგორ არის მოწესრიგებული კონსტიტუციაში არჩევნებში მაჟორიტარული სისტემით მონაწილეობისა და მანდატების განაწილების წესი?
- კონსტიტუციის მიხედვით, იმისათვის რომ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, კანდიდატმა უნდა წარადგინოს საარჩევნო კომისიაში პეტიცია 30 000 ამომრჩევლის ხელმოწერით.
- კონსტიტუციის მიხედვით, კანდიდატად რეგისტრაციისათვის საკმარისია პრეტენდენტის განცხადება მისივე ხელმოწერით.
- ეს საკითხები არა კონსტიტუციით, არამედ საარჩევნო კანონმდებლობით განისაზღვრება.
- კანდიდატი მოიპოვებს პარლამენტის წევრის მანდატს, თუ მოაგროვა ამომრჩეველთა მოწინააღმდეგეზე მეტი ხმა, მაგრამ არჩევნებში მონაწილეთა არანაკლებ ორი მესამედისა.

73. როგორ განისაზღვრება გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები პირების ვინაობა (გარდა საარჩევნო კომისიის წევრებისა)?
- გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები პირების ვინაობა (გარდა საარჩევნო კომისიის თანმხლები წევრებისა) განისაზღვრება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები პირების ვინაობა (გარდა საარჩევნო კომისიის თანმხლები წევრებისა) განისაზღვრება კენჭისყრის დროს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა შორის ფარული კენჭისყრით.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები პირების ვინაობა (გარდა საარჩევნო კომისიის თანმხლები წევრებისა) განისაზღვრება კენჭისყრის დროს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთაგან თავიანთი სურვილისამებრ.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები პირების ვინაობა (გარდა საარჩევნო კომისიის თანმხლები წევრებისა) განისაზღვრება კენჭისყრის დროს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა შორის სახელობითი კენჭისყრით.

74. კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის წევრის ბინის ჩხრეკა შეიძლება, თუ:
- არსებობს ეროვნული უშიშროების საბჭოს თანხმობა.
- არსებობს პარლამენტის თავმჯდომარის თანხმობა.
- არსებობს საქართველოს პრეზიდენტის თანხმობა.
- არსებობს პარლამენტის თანხმობა.

75. კონსტიტუციის მიხედვით, რა ასაკიდან შეიძლება აირჩეს პირი საქართველოს პრეზიდენტად (ასაკობრივი ცენზი)?
- 35 წლის ასაკიდან.
- 33 წლის ასაკიდან.
- 40 წლის ასაკიდან.
- 21 წლის ასაკიდან.

76. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ყველას აქვს უფლება, იცოდეს
- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები.
- ყველა პასუხი სწორია.
- საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი.
- ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

77. შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება:
- შეიძლება საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებით.
- შეიძლება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობით.
- აკრძალულია.
- არ არის აკრძალული.

78. კონსტიტუციის მიხედვით, ვის აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს პარლამენტში?
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მეთაურს.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს - უმაღლეს საბჭოს.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს.

79. კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაშია შესაძლებელი პარლამენტის დახურული სხდომის ჩატარება?
- სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა მხოლოდ დახურული სხდომის რეჟიმში მიმდინარეობს.
- პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით პარლამენტს შეუძლია ცალკეული საკითხის განხილვისას სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს.
- პარლამენტის სხდომა უნდა დაიხუროს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით.
- სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით პარლამენტს შეუძლია ცალკეული საკითხის განხილვისას სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს.

80. საარჩევნო კომისიის წევრი ემორჩილება:
- მის დამნიშვნელ/ამრჩევ სუბიექტს.
- საქართველოს პრეზიდენტს.
- მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, კანონს და შესაბამის კანონქვემდებარე აქტებს.
- საქართველოს სახალხო დამცველს

81. ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელმა კომისიის წევრმა რა შემთხვევაში უნდა შეუშვას ამომრჩეველი კენჭისყრის ოთახში?

- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან სამზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება.
- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორი ამომრჩეველი მაინც იმყოფება.
- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ოთხზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება.
- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება.

82. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს უფლებამოსილი პირი არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში.
- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს უფლებამოსილი პირი არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 20 დღის ვადაში.
- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს უფლებამოსილი პირი არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 25 დღის ვადაში.
- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს უფლებამოსილი პირი არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 45 დღის ვადაში.

83. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილიდან ვის აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება?
- საქართველოს 30 000 ამომრჩეველს.
- საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციას.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრს.
- საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს.

84. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი:
- ამზადებს საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებათა პროექტებს.
- კენჭისყრის დღეს ორგანიზებას უწევს კომისიის წევრთა შორის ფუნქციათა წილისყრით განაწილებას.
- ასრულებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას, თუ კომისიას არ ჰყავს თავმჯდომარე ან მას არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება.
- უძღვება საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას.

85. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
- თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა მისი წილი საეთერო დრო ან გაზეთის ფართობი, სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი, ავტორიზებული საეთერო მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო და გაზეთი უფლებამოსილნი არიან ეს დრო ან ფართობი მეტ-ნაკლები თანაფარდობით გადაუნაწილონ დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებს.
- თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა მისი წილი საეთერო დრო ან გაზეთის ფართობი, სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი, ავტორიზებული საეთერო მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო და გაზეთი ვალდებულნი არიან ეს დრო ან ფართობი მეტ-ნაკლები თანაფარდობით გადაუნაწილონ დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებს.
- თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა თავისი წილი საეთერო დრო ან გაზეთის ფართობი, სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი, ავტორიზებული საეთერო მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო და გაზეთი უფლებამოსილნი არიან ეს დრო ან ფართობი თანაბრად გადაუნაწილონ დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებს.
- თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა მისი წილი საეთერო დრო ან გაზეთის ფართობი, სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი, ავტორიზებული საეთერო მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო და გაზეთი ვალდებულნი არიან ეს დრო ან ფართობი გადაუნაწილონ დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებს.

86. ვინ ნიშნავს პლებისციტს?
- ცესკო.
- უსკო.
- საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

87. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- პარლამენტის თავმჯდომარე უძღვება პარლამენტის მუშაობას.
- პარლამენტის თავმჯდომარე კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას.
- პარლამენტის თავმჯდომარე უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას.
- პარლამენტის თავმჯდომარე ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს.

88. რა იგულისხმება ფორმულაში - „პარლამენტის სრული შემადგენლობა“?

- ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა კონსტიტუციის მიღების ან გადასინჯვისათვის.
- დეპუტატთა ის რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილება მოცემულ მომენტში ცნობილია.
- პარლამენტის მუშაობის დაწყებისათვის საჭირო უფლებამოსილება ცნობილი 2/3.
- კონსტიტუციით გათვალისწინებული პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობა.

89. როდის და სად უნდა გამოიფინოს საუბნო საარჩევნო კომისიისა და მისი თავმჯდომარის ნებისმიერი განკარგულება ?
- მეორე დღესვე გამოქვეყნდება მასმედიის საშუალებით.
- მეორე დღესვე გამოიფინება საარჩევნო უბანში.
- მესამე დღეს გამოქვეყნდება მასმედიის საშუალებით.
- აუცილებლად პირველივე დღეს საარჩევნო უბანში.

90. კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები არის?
- ნორმატიული ხასიათის სამართლებრივი აქტი.
- ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
- როგორც ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ისე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

91. საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს:
- 72 საათისა.
- 52 საათისა.
- 40 საათისა.
- 30 საათისა.

92. ვის აქვს საოლქო საარჩევნო კომისიის შექმნის უფლებამოსილება?
- საოლქო საარჩევნო კომისიებს ქმნის ცესკო სრული შემადგენლობის ერთი მეოთხედით.
- საოლქო საარჩევნო კომისიებს ქმნის ცესკო სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- საოლქო საარჩევნო კომისიებს ქმნის ცესკო სრული შემადგენლობის ერთი მესამედით.
- საოლქო საარჩევნო კომისიებს ქმნის ცესკო სრული შემადგენლობის ერთი მეხუთედი.

93. ვინ ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს - საკრებულოს შუალედურ არჩევნებს?
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცესკო.
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს პარლამენტი.

94. საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების თარიღი საქართველოს პარლამენტმა დანიშნა არჩევნებამდე 70 დღით ადრე. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტის არჩევნების თარიღი უნდა დანიშნოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტის არჩევნების თარიღი უნდა დანიშნოს არჩევნებამდე 60 დღით ადრე.

95. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი მსჯელობა?
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 35 დღისა ცესკო საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს ჩარიცხავს მის მიმდინარე ანგარიშზე.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50 დღისა ცესკო საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს ჩარიცხავს მის მიმდინარე ანგარიშზე.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 55 დღისა ცესკო საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს ჩარიცხავს მის მიმდინარე ანგარიშზე.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 45 დღისა ცესკო საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს ჩარიცხავს მის მიმდინარე ანგარიშზე.

96. რა შემთხვევაში ჩაითვლება სარეფერენდუმო საკითხი დადებითად გადაწყვეტილად?
- თუ მას ხმა მისცა რეფერენდუმში მონაწილეთა სამმა მეხუთედმა.
- თუ მას ხმა მისცა რეფერენდუმში მონაწილეთა ერთმა მესამედმა.
- თუ მას ხმა მისცა რეფერენდუმში მონაწილეთა ერთმა მეოთხედმა.
- თუ მას ხმა მისცა რეფერენდუმში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

97. ვინ ნიშნავს თანამდებობაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორს?
- ცესკოს თანხმობით – საქართველოს პრეზიდენტი.
- ცესკოს თანხმობით – საქართველოს პარლამენტი.
- ცესკოს თავმჯდომარის თანხმობით – ცესკო.
- ცესკოს თანხმობით – ცესკოს თავმჯდომარე.

98. რა შემთხვევაშია შესაძლებელი კენჭისყრის დროს კენჭისყრის შენობის ჩაკეტვა?
- იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის მიცემის დროის დაწყებიდან ზედიზედ ორი საათის განმავლობაში არ გამოცხადდება არც ერთი ამომრჩეველი.
- იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია არჩევნების საყოველთაობის, თანასწორობისა და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა.
- კენჭისყრის დროს კენჭისყრის შენობის ჩაკეტვა დაუშვებელია ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.
- ნებისმიერ დროს, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

99. რამდენ ეგზემპლარად დგება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს - საკრებულოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი საოლქო საარჩევნო კომისიაში?
- ერთ ეგზემპლარად.
- ოთხ ეგზემპლარად.
- ორ ეგზემპლარად.
- სამ ეგზემპლარად.

100. ვინ აგებს პასუხს მასზედ, რომ არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები დაბეჭდილი იქნას საჭირო რაოდენობით და მასთან არ დაიბეჭდოს და არ გავრცელდეს ზედმეტი ოქმები?
- ცესკოს თავმჯდომარე.
- ცესკო.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- დასაბეჭდი ოქმის შემდგენი საარჩევნო კომისია.

101. კონსტიტუციის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან, რომელი ერთ-ერთი პირობის არსებობისას არის დასაშვები უმცირესობათა ყველა უფლების განხორციელება?
- იმ პირობით, რომ ამ უფლებათა განხორციელებით არ შეილახება სხვათა უფლებები
- იმ პირობებში, რომ ეს არ მოვა წინააღმდეგობაში ქართულ ტრადიციებთან
- იმ პირობით, რომ ეს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას
- იმ პირობით, რომ ამ უფლებათა განხორციელებით არ დაირღვევა მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმები

102. ჩამოთვლილთაგან რისი უფლებამოსილება არ გააჩნია ცესკოს მდივანს?
- ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით და ცესკოს თანხმობით განახორციელოს ცესკოს თავმჯდომარის ცალკეული უფლებამოსილებები.
- განკარგულებით განახორციელოს მედიის წარმომადგენლების აკრედიტაცია და მისცეს მათ სააკრედიტაციო ბარათები.
- შეადგინოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები.
- გაანაწილოს ცესკოში შეტანილი საარჩევნო საბუთები და ცესკოს სახელზე შესული კორესპონდენცია.

103. 24 მარტს, კანონით დადგენილი წესით, უფლებამოსილება შეუწყდა ცესკოს თავმჯდომარეს. საქართველოს პრეზიდენტმა კანონით დადგენილ ვადაში ცესკოს წარუდგინა ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურები. ცესკომ მისთვის დადგენილ ვადაში აირჩია ერთ ერთი კანდიდატურა. რა ვადაში უნდა გადაუგზავნოს ცესკომ უფლებამოსილ ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილება თავმჯდომარის არჩევის შესახებ?
- არჩევიდან 10 დღის ვადაში.
- არჩევიდან 7 დღის ვადაში.
- არჩევიდან 5 დღის ვადაში.
- არჩევიდან 3 დღის ვადაში.

104. კონსტიტუციის მიხედვით, რა საფუძვლის არსებობისას შეუძლია ხელისუფლებას შეკრების შეწყვეტა?
- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეკრებამ კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო
- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამოიწურა შეკრების დღის წესრიგი
- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ღამის 12 საათის შემდეგ იმართება
- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეკრებაზე მსჯელობენ მშვიდობიანი გზით ხელისუფლების შეცვლაზე

105. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელია გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციაში?
- პრეზიდენტის მორიგი არჩევნების თარიღს ნიშნავს პრეზიდენტი არჩევნებამდე არაუგვიანეს 45 დღისა.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებამდე არაუგვიანეს 45 დღისა.
- პრეზიდენტის მორიგი არჩევნების თარიღს ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე არჩევნებამდე არაუგვიანეს 45 დღისა.
- პრეზიდენტის მორიგი არჩევნების თარიღს ნიშნავს პრეზიდენტი არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა.

106. შემაჯამებელი ოქმების დასაბეჭდი ქაღალდის დაკვეთის უფლება აქვს მხოლოდ:
- საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
- საქართველოს პარლამენტს.
- საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს.
- საქართველოს მთავრობას.

107. ბელგიის მოქალაქემ იან არდანიმ, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის სასჯელს იხდიდა საქართველოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიეღო საქართველოში გამართულ რეფერენდუმში. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ ეს მოთხოვნა არ დაუკმაყოფილა. კანონიერი იყო თუ არა იან არდანისთვის რეფერენდუმში მონაწილეობის მიღების უფლების შეზღუდვა?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებს რეფერენდუმში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ.
- დიახ, რადგან რეფერენდუმში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს პირს, რომელიც სასამართლოს განაჩენით იმყოფება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსში პირდაპირ წერია, რომ რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს პირს, რომელიც სასამართლოს განაჩენით იმყოფება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული.

108. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია არასწორი?
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა.
- რეფერენდუმის შედეგებს არ აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა.
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან.
- რეფერენდუმის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს იურიდიული ძალა.

109. პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის განცხადებაში მითითებული უნდა იყოს პრეზიდენტობის კანდიდატის:
- მშობლების დაბადების თარიღი.
- სახელი, გვარი.
- მამის დაბადების თარიღი.
- სახელი, გვარი და მამის სახელი.

110. რომელი მსჯელობაა სწორი?
- როგორც წესი, საქართველოს მოქალაქე ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყავთ მისი სამუშაო ადგილის მიხედვით.
- როგორც წესი, საქართველოს მოქალაქე ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყავთ მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
- როგორც წესი, საქართველოს მოქალაქე ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყავთ მის მიერ არჩეული ადგილის მიხედვით.
- როგორც წესი, საქართველოს მოქალაქე ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყავთ მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

111. რამდენი უნდა იყოს პარტიულ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა?
- წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 50-ზე ნაკლები და 100-ზე მეტი.
- წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და 150-ზე მეტი.
- წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 150-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი.
- წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი.

112. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს ცესკო არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან:
- 15 დღის ვადაში.
- 30 დღის ვადაში.
- 20 დღის ვადაში.
- 10 დღის ვადაში.

113. რა სახის სამართლებრივი აქტი გამოიცემა უსკოს თავმჯდომარის მიერ საკადრო საკითხებთან დაკავშირებით?
- უსკოს თავმჯდომარის დადგენილება.
- უსკოს თავმჯდომარის ბრძანებულება.
- უსკოს თავმჯდომარის ბრძანება.
- უსკოს თავმჯდომარის განკარგულება.

114. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო პერიოდში ვინ უნდა გაატაროს რეგისტრაციაში ორგანიზაციის მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი დამკვირვებლები?
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ.
- საარჩევნო კომისიამ სახელობითი კენჭისყრით.
- საარჩევნო კომისიის მდივანმა.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ.

115. ვინ ნიშნავს მერის/გამგებლის არჩევნების მეორე ტურს?
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს მთავრობა.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.

116. როდიდან იწყება წინასაარჩევნო აგიტაცია?
- არჩევნებამდე 60 დღით ადრე.
- ცესკოს მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის თარიღის გამოცხადების მომენტიდან.
- არჩევნების დანიშვნის მომენტიდან.
- არჩევნებამდე 45 დღით ადრე.

117. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმებით ნიშნავს საქართველოს შეიარაღებული ძალების მხედართმთავრებს.
- საქართველოს პრეზიდენტი თავდაცვის მინისტრის წინადადებით ნიშნავს საქართველოს შეიარაღებული ძალების მხედართმთავრებს.
- საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით ნიშნავს საქართველოს შეიარაღებული ძალების მხედართმთავრებს.
- საქართველოს პრეზიდენტი თავდაცვის მინისტრთან შეთანხმებით ნიშნავს საქართველოს შეიარაღებული ძალების მხედართმთავრებს.

118. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან, რომელი არის სწორი?
- ჩანაწერთა წიგნის ყველა გვერდი, გარდა პირველი ორისა, დანომრილი უნდა იყოს და თითოეულ გვერდზე უნდა აღინიშნოს საარჩევნო ოლქისა და საარჩევნო უბნის ნომრები.
- ჩანაწერთა წიგნის ყველა გვერდი, გარდა ბოლო ერთისა, დანომრილი უნდა იყოს და თითოეულ გვერდზე უნდა აღინიშნოს საარჩევნო ოლქისა და საარჩევნო უბნის ნომრები.
- ჩანაწერთა წიგნის ყველა გვერდი, გარდა პირველისა, დანომრილი უნდა იყოს და თითოეულ გვერდზე უნდა აღინიშნოს საარჩევნო ოლქისა და საარჩევნო უბნის ნომრები.
- ჩანაწერთა წიგნის ყველა გვერდი დანომრილი უნდა იყოს და თითოეულ გვერდზე უნდა აღინიშნოს საარჩევნო ოლქისა და საარჩევნო უბნის ნომრები.

119. რომელი მსჯელობა არ არის სწორი?
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის/არჩევის გამო სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება აქვს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრს.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის/არჩევის გამო სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო

საარჩევნო კომისიაში.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის/არჩევის გამო სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება აქვს დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის/არჩევის გამო სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება აქვს შესაბამისი საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს.

120. სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა ქმნიდა დასაბუთებულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ ედგარ ონიანი ბინაში უკანონოდ ინახავდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ ნივთიერება - ჰეროინს. გამოძიებისთვის ასევე ცნობილი იყო, რომ ედგარ ონიანი წარმოადგენდა თბილისის მერობის კანდიდატს. გადაუდებელი აუცილებლობის გამო, გამომძიებელმა გამოიტანა დადგენილება ედგარ ონიანის ბინის ჩხრეკის თაობაზე. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- არა, რადგან როდესაც არსებობს ჩხრეკის ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა, მერობის კანდიდატს იმუნიტეტი აღარ იცავს.
- არა, რადგან თბილისის მერობის კანდიდატისთვის კანონით დადგენილი არ არის ხელშეუხებლობის გარანტიები, რომელიც მას დაიცავდა ჩხრეკისგან.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, დაუშვებელია თბილისის მერობის კანდიდატის მიმართ ჩხრეკის ჩატარება, თუ არ არსებობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარდგინების საფუძველზე ცესკოს მიერ გაცემული თანხმობა.
- დიახ, რადგან დაუშვებელია ჩხრეკის ჩატარება თბილისის მერობის კანდიდატის მიმართ საქართველოს პრეზიდენტის თანხმობის გარეშე.

121. კონსტიტუციის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ პრემიერ-მინისტრი ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას, რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ასრულებს მის მოვალეობას?
- პრემიერ-მინისტრი ერთდროულად პრეზიდენტის მოვალეობასაც და მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებასაც ასრულებს.
- პრემიერ-მინისტრის დავალებით პირველი ვიცე-პრემიერი.
- პრემიერ-მინისტრის დავალებით ერთ-ერთი ვიცე-პრემიერი.
- პირველი ვიცე-პრემიერის უფლებამოსილების მქონე მთავრობის წევრი.

122. რა მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან უწყებათაშორისი კომისია?
- საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით.
- საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით.
- საჯარო მოსამსახურეების მიმართ დისციპლინური გადაცდომის გამო დისციპლინური სახდელების გამოყენების მიზნით.
- საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით.

123. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება:
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციის ნომერი.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროში პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის თარიღი.
- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის ვინაობა.
- სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა.

124. ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებული იქნა უსკოში. უსკომ კანონით დადგენილ ვადაში განიხილა საჩივარიდამიიღო გადაწყვეტილება. რა ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უსკოს გადაწყვეტილება?
- უსკოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღისვადაში.
- უსკოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.
- უსკოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღისვადაში.
- უსკოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

125. მარნეულში N5 საარჩევნო უბანში მიმდინარეობდა საარჩევნო პროცესი. ვინაიდან ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა აზერბაიჯანული წარმოშობის იყო, საუბნო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩანაწერთა წიგნი ეწარმოებინა აზერბაიჯანულ ენაზე. სწორად მოიქცა თუ არა კომისია?
- კომისია არ მოიქცა სწორად, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, მხოლოდ საარჩევნო ბიულეტენები შეიძლება დაიბეჭდოს ეთნიკური უმრავლესობისთვის გასაგებ ენაზე, ხოლო ჩანაწერთა წიგნი აუცილებლად იწარმოება ქართულ ენაზე.
- კომისია მოიქცა სწორად, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად ჩანაწერთა წიგნი იწარმოება ქართულ ენაზე, ხოლო იმ საარჩევნო ოლქებისათვის, რომლებისთვისაც საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ სხვა ენაზედაც, ჩანაწერთა წიგნი შეიძლება იწარმოებოდეს შესაბამის ენაზედაც.
- კომისია არ მოიქცა სწორად, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად ჩანაწერთა წიგნი უნდა იწარმოებოდეს მხოლოდ ქართულ ენაზე.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

126. საარჩევნო სუბიექტების მიერ ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტთან დაკავშირებით ვის აქვს სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება?
- დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას.
- საარჩევნო ბლოკს.
- ნებისმიერ ჩამოთვლილ სუბიექტს.
- პოლიტიკურ პარტიას.

127. საქართველოს სახელმწიფოს რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი წყვეტს ორმაგი მოქალაქეობის საკითხს?
- საქართველოს პრეზიდენტი
- საქართველოს პრეზიდენტი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან კონსულტაციის შემდეგ
- საქართველოს პრეზიდენტი იუსტიციის მინისტრის თანხმობით
- საქართველოს პრეზიდენტი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან კონსულტაციის შემდეგ

128. რა შემთხვევაში იმართება პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები?
- ხელახალი არჩევნები იმართება, თუ არჩევნების პირველ ან მეორე ტურში პრეზიდენტობის კანდიდატებმა მიიღეს ხმათა თანაბარი რაოდენობა.
- საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში.
- არც ერთ შემთხვევაში.
- ხელახალი არჩევნები იმართება, თუ არჩევნების პირველ ან მეორე ტურში მონაწილე ყველა კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა.

129. კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო თანამდებობის პირთაგან ვის არ შეუძლია იყოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წევრი?
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს
- საქართველოს მთავარ პროკურორს
- საქართველოს პრემიერ-მინისტრს
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს

130. ვინ და რა ვადაში ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, თვითმმართველი ქალაქის მერის და თვითმმართველი თემის გამგებლის მორიგ არჩევნებს?
- ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, შესაბამისად, საკრებულოს, მერის, გამგებლის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 30 დღისა.
- ნიშნავს საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით, შესაბამისად, საკრებულოს, მერის, გამგებლის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა.
- ნიშნავს საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით, შესაბამისად, საკრებულოს, მერის, გამგებლის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 30 დღისა.
- ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, შესაბამისად, საკრებულოს, მერის, გამგებლის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა.

131. კენჭისყრიდან რა ვადაში უნდა შეწყვიტონ საოლქო საარჩევნო კომისიებმა ანგარიშსწორება ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან?
- კენჭისყრიდან არაუგვიანეს 25-ე დღისა.
- კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-20 დღისა.
- კენჭისყრიდან არაუგვიანეს 30-ე დღისა.
- კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-15 დღისა.

132. ამომრჩეველთა ადგილსამყოფლის მიხედვით კენჭისყრის ჩატარებაში მონაწილეობენ:
- წილისყრით გამოვლენილი საუბნო საარჩევნო კომისიის 2 წევრი და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები თავიანთი სურვილისამებრ.
- საუბნო საარჩევნო კომისიის არანაკლებ 2 წევრი და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები თავიანთი სურვილისამებრ.
- მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები (არანაკლებ 2 პირისა).
- საუბნო საარჩევნო კომისიის არანაკლებ 3 წევრი.

133. ქვემოთ ჩამოთვლილ რომელ შემთხვევაში არ იმართება საქართველოს პარლამენტის ხელახალი არჩევნები?
- თუ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი.
- თუ მაჟორიტარული არჩევნების პირველ ტურში საქართველოს პარლამენტის წევრი ვერ აირჩა.

- არც ერთ შემთხვევაში.
- თუ არჩევნები არჩატარებულად გამოცხადდა.

134. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, რამდენი წევრისგან შედგება საუბნო საარჩევნო კომისია?
- 10 წევრისგან.
- 13 წევრისგან.
- 12 წევრისგან.
- 14 წევრისგან.

135. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მონაწილეობს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ ჩატარებულ ფუნქციათა წილისყრის პრინციპით განსაზღვრის პროცესში?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- ყველა პასუხი სწორია.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

136. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით, ცესკოში შეტანილ განცხადებაში არ მიეთითება:
- პარტიულობა.
- კანდიდატის მამის სახელი.
- საქართველოში ცხოვრების ვადა.
- პროფესია.

137. საქართველოს პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შემთხვევაში, ბრძანებულების ამოქმედებიდან რა ვადაში უნდა დანიშნოს პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღი?
- ბრძანებულების ამოქმედებიდან მე-3 დღეს.
- ბრძანებულების ამოქმედებიდან მე-6 დღეს.
- ბრძანებულების ამოქმედებისთანავე.
- ბრძანებულების ამოქმედებიდან მე-5 დღეს.

138. ვინ აწერს ხელს განცხადებას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის შესახებ?
- პრეზიდენტობის კანდიდატი.
- ცესკოს თავმჯდომარე.
- მხოლოდ საინიციატივო ჯგუფი.
- პარტიის ხელმძღვანელი პირი ან ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრი.

139. რამდენი წევრისაგან შედგება თვითმმართველი ქალაქის საკრებულო, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 75 000-ს?
- პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 5 წევრისაგან.
- პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისაგან.
- პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 5 წევრისა და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისაგან.
- პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისა და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 5 წევრისაგან.

140. კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა (ფუნქცია) არის:
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის კოორდინაცია
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის კოორდინაცია
- პრეზიდენტის აქტების დამტკიცება
- ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა

141. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ყოველი 500 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ სამი ხმის მისაცემი ადგილისა.
- ყოველი 700 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ ერთი ხმის მისაცემი ადგილისა.
- ყოველი 1000 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ ერთი ხმის მისაცემის ადგილისა.
- ყოველი 500 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ ერთი ხმის მისაცემი ადგილისა.

142. 20 აპრილს, კანონით დადგენილი წესით, უფლებამოსილება შეუწყდა ცესკოს თავმჯდომარეს. საქართველოს პრეზიდენტმა ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 15 დღისა ცესკოს წარუდგინა ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურები, რომელთაგან ცესკომ აირჩია ერთ- ერთი. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტს კანდიდატურები უნდა წარედგინა თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არა უგვიანეს 25 დღისა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტს კანდიდატურები უნდა წარედგინა თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არა უგვიანეს 20 დღისა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტს კანდიდატურები უნდა წარედგინა თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არა უგვიანეს 10 დღისა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტმა კანდიდატურები უნდა წარადგინოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არა უგვიანეს 15 დღისა.

143. თუ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს წაასწრებენ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, ვის უნდა ეცნობოს აღნიშნულის თაობაზე?
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
- იუსტიციის სამინისტროს.
- ყველა პასუხი სწორია.
- საქართველოს პარლამენტს.

144. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგს ამტკიცებს:
- საქართველოს პრეზიდენტი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგინებით
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით.
- საქართველოს პარლამენტი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით.

145. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე საარჩევნო ბლოკს ყოველ საარჩევნო კომისიაში მაქსიმუმ რამდენი წარმომადგენელი შეიძლება ჰყავდეს?
- მინიმუმ ორი, ხოლო მაქსიმუმი განსაზღვრული არ არის.
- 4.
- 3.
- 2.

146. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის რომელ ორგანოს აქვს უფლება მიიღოს გრანტი კანონით უფლებამოსილი პირისაგან?
- მხოლოდ ცესკოს.
- მხოლოდ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.
- კანონი კრძალავს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გრანტის მიღებას.
- ცესკოს და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

147. დეპუტატთა რა რაოდენობაა საჭირო პარლამენტში საერთაშორისო შეთანხმების დენონსირებისა და გაუქმებისათვის?
- საერთაშორისო ხელშეკრულებათა დენონსირებასა და გაუქმებას ახორციელებს არა პარლამენტი, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტრო.
- დენონსირებისათვის - პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
- გაუქმებისათვის - პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედი.
- დენონსირებისა და გაუქმებისათვის - პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

148. კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის წევრის სამუშაო ადგილის გაჩხრეკა შეიძლება, თუ:
- არსებობს პარლამენტის თანხმობა.
- არსებობს ოჯახის წევრთა თანხმობა.
- დეპუტატი არჩეულია მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე.
- არსებობს პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი პირველი მოადგილის ერთობლივი თანხმობა.

149. რა არის ცესკოს დადგენილება?
- კანონი.
- ორგანული კანონი.
- კონსტიტუციური კანონი.

- კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.

150. კონსტიტუციის მიხედვით, აგებს თუ არა პირი პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა?
- აგებს პასუხს, თუ საქართველოს მოქალაქეა
- აგებს პასუხს, თუ სრულწლოვანია
- აგებს პასუხს, თუ თვითონ ჩაბარდება სამართალდამცავ ორგანოებს, მაგრამ მათთან არ ითანამშრომლებს
- არ აგებს პასუხს

151. მცხეთის მე-5 საარჩევნო ოლქის, მე-10 საუბნო საარჩევნო კომისიამ უარი უთხრა კენჭისყრაში მონაწილეობაზე მოქ. ტ. კუხიანიძეს იმ მოტივით, რომ მას საარჩევნო უბანში მისვლისას თან არ ჰქონდა ამომრჩევლის ბარათი. როგორც მოქ. კუხიანიძემ კომისიას განუცხადა, მას ასეთი ბარათი საერთოდ არ ჰქონდა მიღებული. კანონიერია თუ არა საუბნო საარჩევნო კომისიის მოქმედება?
- არ არის კანონიერი, რადგან კენჭისყრაში ამომრჩევლის მონაწილეობის საკითხს წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისია.
- არ არის კანონიერი, რადგან ამომრჩევლის ბარათის მიუღებლობა არ წარმოადგენს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის საფუძველს.
- კანონიერია, რადგან ამომრჩევლის ბარათი არჩევნებისას პიროვნების იდენტიფიკაციის ერთადერთი საშუალებაა.
- კანონიერია, რადგან ამომრჩევლის ბარათის მიუღებლობა წარმოადგენს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის საფუძველს.

152. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აქვს არანაკლებ 3 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აქვს არანაკლებ 2 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 24 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და მინიმუმ ორ უცხო ენას, აქვს არანაკლებ 3 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, უმაღლესი ეკონომიური განათლების მქონე, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და მინიმუმ ერთ უცხო ენას, აქვს არანაკლებ 1 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

153. საინიციატივო ჯგუფმა ცესკოს მიმართა სარეფერენდუმო საკითხის რეგისტრაციის თაობაზე. ცესკომ კანონით დადგენილ ვადაში განიხილა მიმართვა და კანონით დადგენილი წესით უარი უთხრა საინიციატივო ჯგუფს რეგისტრაციაზე. სად უნდა გაასაჩივროს საინიციატივო ჯგუფმა ცესკოს უარი რეგისტრაციის თაობაზე?
- თბილისის სააპელაციო სასამართლოში.
- შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.
- ცესკოს თავმჯდომარესთან.
- საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

154. რომელი მსჯელობაა სწორი? საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ:
- თუ კენჭისყრის დღეს გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა სამით ნაკლები აღმოჩნდა, კომისიის თავმჯდომარე ასრულებს კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციას.
- თუ კენჭისყრის დღეს გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა სამით ნაკლები აღმოჩნდა, კომისიის თავმჯდომარე ასრულებს საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციას.
- თუ კენჭისყრის დღეს გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა სამით ნაკლები აღმოჩნდა, მცირდება ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრების რაოდენობა.
- თუ კენჭისყრის დღეს გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა სამით ნაკლები აღმოჩნდა, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციას.

155. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- პრეზიდენტი უფლებამოსილია დანიშნოს რეფერენდუმი, თუ ამის მოთხოვნით მას მიმართა პრემიერ- მინისტრმა.
- პრეზიდენტი უფლებამოსილია დანიშნოს რეფერენდუმი, თუ ამის მოთხოვნით მას მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ.

- პრეზიდენტი უფლებამოსილია დანიშნოს რეფერენდუმი, თუ ამის მოთხოვნით მას მიმართა პარლამენტის თავმჯდომარემ.
- პრეზიდენტი უფლებამოსილია დანიშნოს რეფერენდუმი, თუ ამის მოთხოვნით მას მიმართა მთავრობამ.

156. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 3 დღის ვადაში ცესკო რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ დროებით მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ.
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 2 დღის ვადაში ცესკო რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ დროებით მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ.
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 2 დღის ვადაში ცესკო რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ მუდმივ მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ.
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 3 დღის ვადაში ცესკო რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ მუდმივ მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ.

157. 2013 წლის შემდეგ რა შემთხვევაში შეუძლია დაიკავოს პრეზიდენტის თანამდებობა საქართველოს მოქალაქემ, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეცაა, ანუ ბიპატრიდია?
- იმ შემთხვევაში, თუ ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელია
- პრეზიდენტის თანამდებობა არ შეიძლება დაიკავოს საქართველოს მოქალაქემ, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა
- იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის არჩევნებში მოიპოვა 80-% ზე მეტი
- ბიპატრიდმა პრეზიდენტის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს იმ შემთხვევაში, თუ მისი კანდიდატურა დასახელებულია არასამთავრობოთა ორგანიზაციების კოალიციის მიერ და გაიმარჯვა არჩევნებში

158. რა სახის სამართლებრივი აქტების გამოცემა შეუძლია საქართველოს პრეზიდენტს?
- კანონის ძალის მქონე ბრძანებულებების.
- კანონის ძალის მქონე დეკრეტების.
- კანონების.
- დეკრეტის ძალის მქონე კანონების.

159. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტი?
- გადაწყვეტილება.
- დასკვნა.
- განჩინება.
- დადგენილება.

160. კენჭისყრამდე არაუგვიანეს რამდენი დღისა უნდა წარუდგინოს პარტიული სია საკრებულოს არჩევნებში მონაწილე პარტიამ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თამჯდომარეს?
- არაუგვიანეს 30 დღისა.
- არაუგვიანეს 10 დღისა.
- არაუადრეს 10 დღისა.
- არაუგვიანეს 57-ე დღისა.

161. რა ვადაში ტარდება საკრებულოს არჩევნები, თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას?
- საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებიდან არა უგვიანეს 25 დღისა.
- საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებიდან არა უგვიანეს 50 დღისა.
- საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებიდან არა უგვიანეს 60 დღისა.
- საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

162. საჯარო სამსახურის საბჭოს მდივანი იმავდროულად არის
- საქართველოს პარლამენტის წევრი.
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი.
- საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი.
- საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.

163. საქართველოსზოგადიადმინისტრაციულიკოდექსისთანახმად,რომელია ადმინისტრაციული წარმოების სახე?
- არაფორმალური.
- ფორმალური.
- ზოგადი.

- მრავალსაფეხურიანი.

164. კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცესთან და კენჭისყრის მომზადებასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს:
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

165. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით?
- უმცირესობათა უფლებების განხორციელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს
- უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქართულ წეს-ჩვეულებებს
- უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას
- უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას

166. ჩამოთვლილთაგან რომელი რეკვიზიტი არ შეიტანება ამომრჩეველთა ერთიან სიაში?
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის სერია და ნომერი.
- მისამართი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით.
- დაბადების თარიღი.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

167. რა ვადაში ნადგურდება მხარდამჭერთა სიები?
- მხარდამჭერთა სიები ნადგურდება საარჩევნო რეგისტრაციის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადის ამოწურვიდან 7 დღეში.
- მხარდამჭერთა სიები ნადგურდება საარჩევნო რეგისტრაციის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადის ამოწურვიდან 10 დღეში.
- მხარდამჭერთა სიები ნადგურდება საარჩევნო რეგისტრაციის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადის ამოწურვიდან 5 დღეში.
- მხარდამჭერთა სიები ნადგურდება საარჩევნო რეგისტრაციის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადის ამოწურვიდან 3 დღეში.

168. რომელი მსჯელობაა სწორი?
- სათანადო განკარგულების მიღებიდან 1 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისია აქვეყნებს მონაცემებს საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვისა და საარჩევნო ყუთების დამზადების ადგილის შესახებ, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვისა და საარჩევნო ყუთების დამზადებაზე პასუხისმგებელი პირების თაობაზე.
- სათანადო განკარგულების მიღებიდან 3 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისია აქვეყნებს მონაცემებს საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვისა და საარჩევნო ყუთების დამზადების ადგილის შესახებ, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვისა და საარჩევნო ყუთების დამზადებაზე პასუხისმგებელი პირების თაობაზე.
- სათანადო განკარგულების მიღებიდან 4 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისია აქვეყნებს მონაცემებს საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვისა და საარჩევნო ყუთების დამზადების ადგილის შესახებ, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვისა და საარჩევნო ყუთების დამზადებაზე პასუხისმგებელი პირების თაობაზე.
- სათანადო განკარგულების მიღებიდან 2 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისია აქვეყნებს მონაცემებს საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვისა და საარჩევნო ყუთების დამზადების ადგილის შესახებ, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვისა და საარჩევნო ყუთების დამზადებაზე პასუხისმგებელი პირების თაობაზე.

169. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
- სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობას და ინვენტარს საარჩევნო კომისიებს გადასცემენ საკუთრებაში, უსასყიდლოდ. ამასთანავე, ეს ორგანოები ვალდებულნი არიან, დაფარონ გადაცემული შენობა-ნაგებობის კომუნალური ხარჯები.
- სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობას და ინვენტარს საარჩევნო კომისიებს გადასცემენ დროებით, უსასყიდლოდ. ამასთანავე, ეს ორგანოები ვალდებულნი არიან, დაფარონ გადაცემული შენობა-ნაგებობის კომუნალური ხარჯები.
- სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობას და ინვენტარს საარჩევნო კომისიებს გადასცემენ დროებით, უსასყიდლოდ, მაგრამ კომისიები ვალდებულნი არიან, დაფარონ გადაცემული შენობა-ნაგებობის კომუნალური ხარჯები.
- სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობას და ინვენტარს საარჩევნო კომისიებს გადასცემენ საკუთრებაში ან დროებით მფლობელობაში, უსასყიდლოდ. ამასთანავე, ეს ორგანოები ვალდებული არიან, დაფარონ გადაცემული შენობა-ნაგებობის კომუნალური ხარჯები.

170. მონიშნეთ საარჩევნო უფლების ერთ-ერთი პრინციპი, რომლის საფუძველზეც არჩეულნი არიან საქართველოს პარლამენტის წევრები:

- ირიბი საარჩევნო უფლების საფუძველზე.
- მრავალსაფეხურიანი საარჩევნო უფლების საფუძველზე.
- პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე.
- პროპორციული პრინციპის საფუძველზე.

171. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დანიშნოს რეფერენდუმი, თუ:
- ამას მოითხოვს ეროვნული უშიშროების საბჭო.
- ამას მოითხოვს საქართველოს სახალხო დამცველი.
- ამას მოითხოვს არანაკლებ 20 000 ამომრჩეველი.
- ამას მოითხოვს არანაკლებ 200 000 ამომრჩეველი.

172. ისნის საარჩევნო ოლქის N3 საარჩევნო უბანზე გამოცხადებულ ამომრჩეველს საარჩევნო კაბინაში ხმის მიცემის დროს ცხვირიდან წასკდა სისხლი, რამაც გამოიწვია ბიულეტენის დასვრა. აღნიშნულის შესახებ ამომრჩეველმა განუცხადა კომისიის წევრს. კომისიის წევრმა გამოართვა დაზიანებული ბიულეტენი და იქვე ნაგვის ურნაში მისი თანდასწრებით გადააგდო, ამომრჩეველს კი შესავსებად ახალი ბიულეტენი მიაწოდა. კანონიერად მოქმედებდა თუ არა კომისიის წევრი?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს ბიულეტენის დაზიანების შემთხვევაში მისი ახლით გამოცვლის შესაძლებლობას.
- დიახ, რადგან დაზიანებული ბიულეტენი საარჩევნო კომისიის წევრმა კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ამომრჩევლის თანდასწრებით გადააგდო.
- არა, რადგან დაზიანებული ბიულეტენის გადაგდება უნდა უზრუნველეყო არა კომისიის რიგით წევრს, არამედ თავმჯდომარეს.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

173. მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრი:
- იმ ფინანსური ჯგუფისა თუ ოლიგარქის წარმომადგენელია პარლამენტში, ვინც ფინანსურად უზრუნველყო მისი წარმატებული საარჩევნო კამპანიის ჩატარება.
- იმ საარჩევნო ოლქის წარმომადგენელია, საიდანაც აირჩა დეპუტატად.
- სრულიად საქართველოს წარმომადგენელია პარლამენტში.
- იმ პარტიის წარმომადგენელია პარლამენტში, ვინც მხარი დაუჭირა არჩევნებში.

174. ვინ იწვევს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პირველ სხდომას და რა ვადაში?
- ცესკო არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში.
- საქართველოს პარლამენტი არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში.
- საქართველოს პარლამენტი არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 15 დღის ვადაში.
- საქართველოს პრეზიდენტი არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 15 დღის ვადაში.

175. დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი არის:
- დეპუტატის მიერ პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება.
- პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილება, თუ იგი ერთხმად არის მიღებული.
- სამკურნალო დაწესებულების დადგენილი დიაგნოზი, რომლის მიხედვით დეპუტატი ქმედუუნაროა.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება.

176. საქართველოს კონსტიტუციის რომელ თავში არის მოწესრიგებული საქართველოს მოქალაქეობისა და ძირითადი უფლებების საკითხები?
- კონსტიტუციაში მოქალაქეობის საკითხები საერთოდ არ არის დარეგულირებული
- საქართველოს მოქალაქეობისა და ძირითადი უფლებების საკითხები მოწესრიგებულია კონსტიტუციის მესამე თავში
- საქართველოს მოქალაქეობისა და ძირითადი უფლებების საკითხები მოწესრიგებულია კონსტიტუციის მეორე თავში
- საქართველოს მოქალაქეობისა და ძირითადი უფლებების საკითხები მოწესრიგებულია კონსტიტუციის მხოლოდ პირველ თავში

177. კონსტიტუციის მიხედვით რა წესის დაცვით ხდება საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება?
- სოფლის ტერიტორიის ნაწილის გასხვისება ხდება სოფლის საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის სამი მეოთხედის გადაწყვეტილებით
- ნებისმიერი ტერიტორიის გასხვისების საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ ადგილობრივი რეფერენდუმის ან პლებისციტის შედეგების გათვალისწინებით, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო
- ქალაქის ტერიტორიის ნაწილის გასხვისება ხდება მერის გადაწყვეტილებით, რომელიც უნდა დაამტკიცოს ქალაქის საკრებულოს წევრთა არანაკლებ სამმა მეოთხედმა
- არც ერთ ორგანოს არა აქვს სახელმწიფო ტერიტორიის თუნდაც პატარა ნაწილის გასხვისების უფლება - სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია

178. არჩევნების ჩატარებულად ან არჩატარებულად გამოცხადების შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს:
- დაინტერესებულ ამომრჩეველს.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას.
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

179. მონიშნეთ სწორი პასუხი:
- საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა
- საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა
- საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის კონსტიტუციური მონარქია
- საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის საპარლამენტო რესპუბლიკა

180. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი განმარტება?
- დაინტერესებული მხარე – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- დაინტერესებული მხარე – ნებისმიერი პირი, რომელთან დაკავშირებითაც უნდა გამოიცეს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.
- დაინტერესებული მხარე – ნებისმიერი სახელმწიფო ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც დადებულია ადმინისტრაციული ხელშეკრულება, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

181. რა შემთხვევაში არის შესაძლებელი ერთი და იგივე პირის მიმართ მარკირების განმეორებით ჩატარება?
- იმ შემთხვევაში, როდესაც საარჩევნო კომისიის წევრს ეჭვი გაუჩნდა მარკირების პროცედურის გამო.
- იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველმა უკვე გაიარა მარკირების პროცედურა და მონაწილეობა მიიღო კენჭისყრაში.
- მარკირების განმეორებით ჩატარება დაუშვებელია ნებისმიერ შემთხვევაში.
- იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველს მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელ თითზე ფრჩხილი აქვს დაზიანებული იმგვარად, რომ შეუძლებელია მარკირების ჩატარება.

182. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, ამომრჩევლის შესახებ რომელი მონაცემი არ შეიტანება ამომრჩეველთა ერთიან სიაში?
- ამომრჩევლის სახელი და გვარი.
- მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით).
- დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი).
- ამომრჩევლის მამის სახელი.

183. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბაბაშვილმა გადაწყვიტა, რომ ოჯახური პირობების გამო გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან. თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით მან განცხადებით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. სწორად მოიქცა თუ არა ბაბაშვილი?
- ბაბაშვილი არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიას.
- ბაბაშვილი არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს.
- ბაბაშვილი მოიქცა სწორად, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- ბაბაშვილი არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.

184. რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ათავისუფლებს თანამდებობიდან მინისტრებს?
- პრემიერ-მინისტრი პარლამენტის თავმჯდომარის თანხმობით.
- პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტის თანხმობით.
- პრემიერ-მინისტრი.
- საქართველოს პრეზიდენტი.

185. კონსტიტუციის მიხედვით როგორი უნდა იყოს ორგანული კანონით განსაზღვრული ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა?
- არ უნდა იყოს ამომრჩეველთა რაოდენობის 3%-ზე მეტი.
- ერთ მილიონზე მეტი
- არ უნდა იყოს ამომრჩეველთა რაოდენობის 2%-ზე მეტი.
- არ უნდა იყოს ამომრჩეველთა რაოდენობის 1%-ზე მეტი.

186. თუ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ვინ ნიშნავს არჩევნების მეორე ტურს?
- ცენტრალური საარჩევნო კომისია განკარგულებით.
- საქართველოს პარლამენტი დადგენილებით.
- საქართველოს პარლამენტი განკარგულებით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია დადგენილებით.

187. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით?
- კომიტეტები პარლამენტში იქმნება პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელისშეწყობის მიზნით.
- კომიტეტები პარლამენტში იქმნება საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების მიზნით.
- კომიტეტები პარლამენტში იქმნება პარლამენტის თავმჯდომარის დავალებით ნაკლებად მნიშვნელოვანი კანონების მიღების მიზნით.
- კომიტეტები პარლამენტში იქმნება მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით.

188. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი ოქმის შედგენიდან 3 დღის ვადაში თავის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით გაუგზავნოს ცესკოს.
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი ოქმის შედგენიდან 5 დღის ვადაში თავის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით გაუგზავნოს ცესკოს.
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი ოქმის შედგენიდან 10 დღის ვადაში თავის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით გაუგზავნოს ცესკოს.
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი დაუყოვნებლივ, ოქმის შევსებისთანავე, თავის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით გაუგზავნოს ცესკოს.

189. რა აღინიშნება საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ბიულეტენში საარჩევნო სუბიექტის არჩევნებიდან მოხსნის შემთხვევაში?
- საარჩევნო სუბიექტის არჩევნებიდან მოხსნის შემთხვევაში, საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ბიულეტენში საარჩევნო სუბიექტის სახელის/სახელწოდების გასწვრივ დაისმება შტამპი „არჩევნებიდან მოხსნილია“.
- აღნიშვნის გაკეთება საჭირო არ არის.
- საარჩევნო სუბიექტის სახელის/სახელწოდების გასწვრივ დაისმება შტამპი „არჩევნებიდან გაძევებულია“.
- საარჩევნო სუბიექტის არჩევნებიდან მოხსნის შემთხვევაში, საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ბიულეტენში საარჩევნო სუბიექტის სახელის/სახელწოდების გასწვრივ დაისმება შტამპი „არ აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება“.

190. რომელ ორგანოს ან თანამდებობის პირს და რა პირობით შეუძლია შეიტანოს ცვლილებები პარლამენტში წარდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში?
- მთავრობის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანა.
- ცვლილებები სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში შეიძლება მთავრობის თანხმობის გარეშე შეიტანოს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა.
- პარლამენტი სუვერენული საკანონმდებლო ორგანოა, ამიტომ ბიუჯეტში (ანუ კანონში) ცვლილებების შეტანა მას დამოუკიდებლად, მთავრობის თანხმობის გარეშეც შეუძლია.
- ცვლილებების შეტანა დაუშვებელია, პარლამენტმა კენჭი უნდა უყაროს მთავრობის მიერ თავდაპირველად შეტანილ ბიუჯეტის პროექტს.

191. რა ვადაში უნდა განისაზღვროს პრეზიდენტობის კანდიდატის რიგითი ნომერი?
- არჩევნებამდე 25 დღით ადრე.
- არჩევნებამდე 30 დღით ადრე.
- არჩევნებამდე 50 დღით ადრე.
- არჩევნებამდე 52 დღით ადრე.

192. პრეზიდენტის თანამდებობასთან შეუთავსებელი სხვა თანამდებობა ან საქმიანობა არის:
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების პოლიტსაბჭოს წევრობა.
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წევრობა.
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების თავმჯდომარის თანამდებობა.

- არასამთავრობო ორგანიზაციის წევრობა.

193. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის არ ჰყოლია წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში და არც დაფინანსებას იღებდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მისი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით მიმართა ცესკოს თავმჯდომარეს საპარლამენტო არჩევნების წლის 31 აგვისტოს. არის თუ არა რაიმე დარღვევა მოცემულ შემთხვევაში?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 52-ე დღისა უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, საპარლამენტო არჩევნების წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, საპარლამენტო არჩევნების წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, საპარლამენტო არჩევნების წლის 1 იანვრიდან ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს.

194. ვის არა აქვს მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება?
- პარლამენტს.
- ცესკოს წევრებს.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს.
- სასამართლოს.

195. რომელი ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობის გარეშეა დაუშვებელი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დაკავება ან დაპატიმრება, თუ ადგილი არ აქვს დანაშაულზე წასწრების შემთხვევას?
- საკონსტიტუციო სასამართლო.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
- საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.
- საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია, რომლის წევრიც არის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი.

196. რა წესით შეიძლება შევიდეს ცვლილება რეფერენდუმის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებაში?
- ცესკოს მიერ დადგენილი სახელმძღვანელო წინადადებებით.
- სასამართლოს წესით.
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა დაუშვებელია.
- მხოლოდ რეფერენდუმით.

197. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 1 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდება ან დებულება (სადამფუძნებლო დოკუმენტი) რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას.
- ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 2 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდება ან დებულება (სადამფუძნებლო დოკუმენტი) რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას.
- ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 1 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდება ან დებულება (სადამფუძნებლო დოკუმენტი) რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას.
- ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 2 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდება ან დებულება (სადამფუძნებლო დოკუმენტი) რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას.

198. კონსტიტუციის მიხედვით საქართველოში ხელისუფლების წყაროა:
- ხალხი

- ელექტორატი - ამომრჩეველთა ერთობლიობა
- სამოქალაქო საზოგადოება
- საქართველოს პარლამენტი

199. რომელია ის თანამდებობის პირი ან ორგანო, რომლის თანხმობის გარეშე დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა, თუ ადგილი არა აქვს დანაშაულზე წასწრებას?
- საქართველოს სახალხო დამცველი.
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია).
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

200. ქვემოთ მოყვანილი საკითხიდან რომელი არ შედის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში და შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციაში ან ორგანულ კანონში?
- საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კონსტიტუციასთან პრეზიდენტის ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე
- საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კონსტიტუციასთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე
- საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას საერთო სასამართლოს (გარდა უზენაესი სასამართლოს) მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შესახებ
- საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კონსტიტუციასთან მთავრობის ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე

201. კენჭისყრის ყველა პროცედურის დასრულების შემდეგ ვინ აწერს ხელს საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალს?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.
- ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები.
- საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები.
- ცესკოს თავმჯდომარე და საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.

202. რა ვადით აირჩევა საქართველოს პარლამენტი?
- 5 წლის ვადით.
- 4 წლის ვადით.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- განსაზღვრული არ არის.

203. საქართველოს პარლამენტმა განათლების შესახებ კანონში შეიტანა ცვლილება, რომლის თანახმად ზოგადი განათლების მიღებისას აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ლტოლვილები, აგრეთვე მაღალმთიანი რეგიონების მოსწავლეები ისარგებლებენ სწავლის საფასურის 50 %-იანი შეღავათით. შეაფასეთ პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება?
- ამით პარლამენტმა მხოლოდ შეუმსუბუქა მდგომარეობა, ლტოლვილებისა და მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის შეღავათი არა 50 %, არამედ 80 %-ი უნდა დაედგინათ
- კანონში შეტანილი ცვლილება კონსტიტუციას ეწინააღმდეგება - ზოგად განათლებას სრულად ანაზღაურებს სახელმწიფო
- ლტოლვილების და მძიმე სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, მივესალმები ამ გადაწყვეტილებას
- კანონში შეტანილი ცვლილება ეწინააღმდეგება კონსტიტუციით დადგენილ თანასწორობის პრინციპს

204. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებული იყო საომარი მდგომარეობა, რის გამოც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაწესებული იყო გარკვეული შეზღუდვები. ამით შეწუხებულმა საქართველოს 470 000 ამომრჩეველმა მოთხოვნით მიმართა საამისოდ უფლებამოსილ პირს, რათა ჩატარებულიყო რეფერენდუმი და სარეფერენდუმო საკითხად გატანილიყო შეკითხვა: „თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოიხსნას საომარი მდგომარეობა?“ უფლებამოსილმა პირმა დანიშნა რეფერენდუმი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რის შედეგადაც რეფერენდუმზე დასმული საკითხი დადებითად გადაწყდა. რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით საქართველოს პრეზიდენტმა გააუქმა საომარი მდგომარეობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საარჩევნო კოდექსის რომელი მოთხოვნა იქნა დარღვეული?
- სარეფერენდუმოდ გატანილი შეკითხვის ფორმულირება არ შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.
- საომარი მდგომარეობის დროს მიღებული რეფერენდუმის გადაწყვეტილების გათვალისწინება არ არის სავალდებულო.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- კაზუსში მითითებული ამომრჩეველთა რაოდენობა არ არის საკმარისი რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნის დასაყენებლად.

205. ვინ არის პასუხისმგებელი საკრებულოს (გარდა თბილისის საკრებულოსი) არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენებში შესატანი მონაცემების სიზუსტეზე?

- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია.
- ცესკო.
- სტამბა, რომელიც ახდენს ბიულეტენების დაბეჭდვას.

206. ჩამოთვლილთაგან ვის არ უკრძალავს კანონმდებლობა წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლებას?
- საქართველოს პარლამენტის წევრებს.
- საარჩევნო კომისიის წევრებს.
- საქველმოქმედო ორგანიზაციებს.
- მოსამართლეს.

207. საარჩევნო სუბიექტმა შესაბამის საარჩევნო კომისიას წარუდგინა თავის მხარდამჭერთა სიები. საარჩევნო სუბიექტს კანონით დადგენილი წესით უარი ეთქვა რეგისტრაციაზე. რეგისტრაციაზე უარის სასამართლოში გასაჩივრების ვადის გასვლიდან მე-14 დღეს საარჩევნო კომისიამ კანონით დადგენილი წესით გაანადგურა ზ/აღნიშნული სუბიექტის მიერ წარდგენილი მხარდამჭერთა სიები. სწორად მოიქცა თუ არა საარჩევნო კომისია?
- არა, რადგან ასეთ შემთხვევაში სიები უნდა განადგურდეს სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 10 დღეში.
- არა, რადგან ასეთ შემთხვევაში სიები უნდა განადგურდეს სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 7 დღეში.
- დიახ, რადგან ასეთ შემთხვევაში სიები უნდა განადგურდეს სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 15 დღეში.
- არა, რადგან ასეთ შემთხვევაში სიები უნდა განადგურდეს სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 5 დღეში.

208. რა დროს ხდება საარჩევნო უბანში ამომრჩევლის მარკირება?
- რეგისტრაციის გავლისა და საარჩევნო ბიულეტენის მიღების შემდეგ.
- საარჩევნო ბიულეტენის შევსების შემდეგ, სპეციალური კონვერტის მიღებისას.
- საარჩევნო ბიულეტენის შევსების წინ.
- სარეგისტრაციო მაგიდასთან, საარჩევნო ბიულეტენების მიღებამდე.

209. რა შემთხვევაში ჩაითვლება ბათილად მხარდამჭერთა სიაში ამომრჩევლის ხელმოწერა?
- თუ საარჩევნო უბანში წარდგენილი კანდიდატის მხარდამჭერთა სიაში მხარდასაჭერად შეყვანილია სხვა საარჩევნო უბნის რეგისტრირებული ამომრჩეველი.
- თუ საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატს მხარს არ უჭერს სხვა ოლქში წარდგენილი კანდიდატი.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- თუ საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატს მხარს არ უჭერს საოლქო საარჩევნო კომისია.

210. პარლამენტის წევრთა რა რაოდენობა არის საჭირო საქართველოს პრემიერ-მინისტრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად?
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
- პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედისა.
- პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

211. კენჭისყრამდე რა ვადაში არიან ვალდებულნი სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი ავტორიზებული საეთერო მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო დაიცვან კანონით გათვალისწინებული პირობა, რომ მაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში საჯაროდ გამოაცხადონ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ყოველკვირეულად გადასცენ ინფორმაცია: რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობითაა გამოყოფილი საეთერო დრო, 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი, საეთერო დროის ტარიფი, გაწეული მომსახურება?
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 51-ე დღიდან კენჭისყრის დღემდე.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50-ე დღიდან კენჭისყრის დღემდე.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 30-ე დღიდან კენჭისყრის დღემდე.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-20 დღიდან კენჭისყრის დღემდე.

212. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის 5 წარმომადგენლის –

საერთაშორისო დამკვირვებლის – მეშვეობით.
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის 1 წარმომადგენლის – საერთაშორისო დამკვირვებლის – მეშვეობით.
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის 3 წარმომადგენლის – საერთაშორისო დამკვირვებლის – მეშვეობით.
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის 2 წარმომადგენლის – საერთაშორისო დამკვირვებლის – მეშვეობით.

213. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საქართველოში ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება:
- იმ ენაზე, რომელზედაც შედგენილია განცხადება.
- ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში – მხოლოდ აფხაზურ ენაზე.
- ეროვნული უმცირესობის ენაზე.
- ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

214. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ნებისმიერ ინფორმაციას და დოკუმენტს
- საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ნებისმიერ ინფორმაციას და დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავენ პროფესიულ საიდუმლოებას
- საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ნებისმიერ ინფორმაციას და დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას
- საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ნებისმიერ ინფორმაციას და დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავენ კომერციულ საიდუმლოებას

215. რა ვადაში უნდა გადაეცეს მხარეებს რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელთან დაკავშირებით?
- გამოტანისთანავე.
- მომდევნო დღის 12 საათამდე.
- გამოტანიდან 12 საათში.
- მომდევნო დღის 18 საათამდე.

216. რომელი მსჯელობაა სწორი?
- არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის ფორმას და მისი შევსების წესს განსაზღვრავს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.
- არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის განსაზღვრავს ცესკო.
- არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი.
- არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ფორმას და მისი შევსების წესს

217. იმის გამო, რომ თბილისის მერის არჩევნებში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული ხმათა საჭირო რაოდენობა, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დაინიშნა არჩევნების მეორე ტური, რომელიც ჩატარდა კენჭისყრის დღიდან 24-ე დღეს. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც მერობის ვერც ერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს ხმათა კანონით განსაზღვრულ რაოდენობას, ინიშნება ხელახალი არჩევნები.
- დიახ, რადგან თბილისის მერის არჩევნების მეორე ტურს ნიშნავს ცესკო განკარგულებით.
- არა, რადგან თბილისის მერის არჩევნების მეორე ტურს ნიშნავს ცესკოს თავმჯდომარე შესაბამისი ბრძანებით.
- დიახ, რადგან თბილისის მერის არჩევნების მეორე ტურს ბრძანებულებით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

218. უფლებამოსილი ორგანოს (პირის) მიერ რა სახის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხების განაწილებისა და გამოყენების წესი?
- პრეზიდენტის ბრძანებულებით.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით.
- ცესკოს დადგენილებით.

219. კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელია:
- ქ. თბილისი
- ქ. მცხეთა
- ქ. ქუთაისი

- კონსტიტუციით დადგენილი არ არის

220. როდის უნდა გაიხსნას კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი?
- საარჩევნო უბნის გახსნისთანავე.
- საარჩევნო უბნის გახსნიდან არა უგვიანეს 2 საათისა.
- საარჩევნო უბნის გახსნამდე 3 საათით ადრე.
- საარჩევნო უბნის გახსნიდან არა უგვიანეს 3 საათისა.

221. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ირჩევს სასამართლო ხელისუფლების თვითმმართველობის ორგანო - მოსამართლეთა კონფერენცია
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი იუსტიციის საბჭოს მდივნის წარდგინებით
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

222. რომელი ორგანოს გადაწყვეტილებით უუქმდება რეგისტრაცია საარჩევნო სუბიექტს, რომელიც უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის ან მის სასარგებლოდ მოქმედი ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მეშვეობით ეწეოდა საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემას არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე?
- ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით.
- პარლამენტის გადაწყვეტილებით.
- ცესკოს გადაწყვეტილებით.
- სასამართლოს გადაწყვეტილებით.

223. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს ამტკიცებს
- მერია.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო – საკრებულო.
- საქართველოს პარლამენტი.

224. საინიციატივო ჯგუფთან შეთანხმებული და ცესკოს დადგენილი ყოველი ნიმუშის ფურცელზე არა უმეტეს რამდენმა მოქალაქემ შეიძლება მოაწეროს ხელი?
- 30-მა მოქალაქემ.
- 60-მა მოქალაქემ.
- 40-მა მოქალაქემ.
- 50-მა მოქალაქემ.

225. კონსტიტუციის მიხედვით ვინ აწესრიგებს ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს?
- თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო.
- რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საკრებულოსთან ერთად
- ადგილობრივი მერია რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად

226. საქართველოში მიმდინარეობდა საპარლამენტო არჩევნები. ვარკეთილის საარჩევნო ოლქის N3 საარჩევნო უბანზე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია ახორციელებდა დაკვირვებას. მან ზემოთ აღნიშნულ უბანში დამკვირვებლად დანიშნა გიორგი ცერცვაძე, რომელიც იმავდროულად იყო თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურე. ჰქონდა თუ არა გიორგის დამკვირვებლად ყოფნის უფლება?
- ჰქონდა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, აღნიშნული უფლება ეზღუდებათ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დაზვერვის სამსახურის თანამშრომლებს.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ჰქონდა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, აღნიშნული უფლება ეზღუდებათ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს.
- არა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, დამკვირვებელი არ შეიძლება იყოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი.

227. რომელი სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი და რა წესით ნიშნავს საქართველოს ელჩებს?
- საქართველოს პრეზიდენტი, ეროვნული უშიშროების საბჭოში განხილვის შემდეგ.
- მთავრობის მეთაური საგარეო საქმეთა მინისტრის წარდგინებით.
- საქართველოს ელჩებს პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ერთპიროვნულად - საგარეო საქმეთა მინისტრი, დანარჩენ ელჩებს პრემიერ-მინისტრი წარდგინების საფუძველზე.
- საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის წარდგინებით.

228. რომელი მსჯელობაა სწორი?
- კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვის, კენჭისყრის შეწყვეტის ან შეჩერების, შემდეგ კენჭისყრის შენობის გახსნისა და კენჭისყრის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილების მიღებისათვის.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვის, კენჭისყრის შეწყვეტის ან შეჩერების, შემდეგ კენჭისყრის შენობის გახსნისა და კენჭისყრის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს ცესკოს თავმჯდომარე, რომელსაც ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილების მიღებისათვის.
- კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვის, კენჭისყრის შეწყვეტის ან შეჩერების, შემდეგ კენჭისყრის შენობის გახსნისა და კენჭისყრის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილების მიღებისათვის.

229. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ვინ არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად ?
- პირი, რომელიც ნასამართლევია და სანქციის სახით შეფარდებული აქვს ჯარიმა.
- პირი, რომელიც ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებულია წვრილმანი ხულიგნობისთვის.
- პირი, რომელიც მოსამართლის თანაშემწეა.
- პირი, რომელიც ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებულია ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის.

230. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ერთსა და იმავე საკითხზე რეფერენდუმის დანიშვნა არ შეიძლება იმ დღიდან 1 წლის განმავლობაში, როდესაც ოფიციალურად გამოქვეყნდა ამ საკითხზე გამართული რეფერენდუმის შედეგები.
- ერთსა და იმავე საკითხზე რეფერენდუმის დანიშვნა არ შეიძლება იმ დღიდან 2 წლის განმავლობაში, როდესაც ოფიციალურად გამოქვეყნდა ამ საკითხზე გამართული რეფერენდუმის შედეგები.
- ერთსა და იმავე საკითხზე რეფერენდუმის დანიშვნა არ შეიძლება იმ დღიდან 5 წლის განმავლობაში, როდესაც ოფიციალურად გამოქვეყნდა ამ საკითხზე გამართული რეფერენდუმის შედეგები.
- ერთსა და იმავე საკითხზე რეფერენდუმის დანიშვნა არ შეიძლება იმ დღიდან 3 წლის განმავლობაში, როდესაც ოფიციალურად გამოქვეყნდა ამ საკითხზე გამართული რეფერენდუმის შედეგები.

231. საჯარო მოსამსახურე მოვალეა შვებულებაში გასვლამდე, აგრეთვე თანამდებობიდან განთავისუფლებამდე
- საჯარო სამსახურთან დაკავშირებით მისთვის მინდობილი ქონების დასაბრუნებლად მიმართოს ამისათვის დანიშნულ პირს, რომელიც ვალდებულია ჩაიბაროს საქმისწარმოება და ქონება.
- საჯარო სამსახურთან დაკავშირებით მისთვის მინდობილი ქონების დასაბრუნებლად არა უგიანეს 3 დღისა მიმართოს ამისათვის დანიშნულ პირს, რომელიც ვალდებულია ჩაიბაროს საქმისწარმოება და ქონება.
- საჯარო სამსახურთან დაკავშირებით მისთვის მინდობილი ქონების დასაბრუნებლად მიმართოს იმ საჯარო მოხელეს, რომელიც მისი შვებულებაში ყოფნის განმავლობაში შეასრულებს მის მოვალეობას.
- საჯარო სამსახურთან დაკავშირებით მისთვის მინდობილი ქონება ჩააბაროს სტრუქტურის ხელმძღვანელს.

232. ვინ არის პასუხისმგებელი ამომრჩეველთა ერთიანი სიის კომპიუტერულ დამუშავებასა და მის ვებ- გვერდზე განთავსებაზე?
- სტატისტიკის დეპარტამენტი.
- იუსტიციის სამინისტრო.
- შინაგან საქმეთა სამინისტრო.
- ცესკო.

233. კონსტიტუციის მიხედვით, რა ვადით გამწესდებიან თანამდებობაზე საერთო სასამართლოების მოსამართლეები?
- უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.
- 5 წლის ვადით.
- 10 წლის ვადით.
- უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები - უვადოდ, დანარჩენები - არანაკლებ 10 წლისა.

234. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან.
- ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 20 წლის ასაკიდან.
- ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.
- ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან.

235. ცესკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამო ვის აქვს არჩელის შეტანის უფლება სასამართლოში:
- არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), ქალაქ თბილისის მერობის კანდიდატს, მაჟორიტარ კანდიდატს (საქართველოს პარლამენტისა და ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნებისას), დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას.
- ცესკოს წევრს.
- მხოლოდ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საუბნო საარჩევნო კომისიაში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), მაჟორიტარ კანდიდატსა (ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნებისას) და არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას.
- მხოლოდ საინიციატივო ჯგუფს.

236. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია ამომრჩეველთა სიები და მათთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრული წესი კომისიის შეკრებიდან მე-2 დღეს, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთის სია მისი შედგენიდან მე-3 დღეს თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობებში.
- საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, ამომრჩეველთა სიები და მათთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრული წესი კომისიის პირველივე შეკრების დღეს, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთის სია მისი შედგენისთანავე თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობებში.
- საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, ამომრჩეველთა სიები და მათთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრული წესი კომისიის შეკრებიდან მე-2 დღეს, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთის სია მისი შედგენიდან მე-3 დღეს თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობებში.
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია, ამომრჩეველთა სიები და მათთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრული წესი კომისიის პირველივე შეკრების დღეს, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთის სია მისი შედგენისთანავე თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობებში.

237. კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის რომელი აქტი საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას?
- პრეზიდენტის ის აქტები (დეკრეტები), რომლებიც გამოცემულია საგანგებო მდგომარეობის დროს.
- პრეზიდენტის აქტი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის დანიშვნის შესახებ.
- პრეზიდენტის აქტი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნის შესახებ.
- პრეზიდენტის აქტი პარლამენტში ასარჩევად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენის შესახებ.

238. საჩივრის შეტანიდან რა ვადაში უნდა განიხილოს სასამართლომ საჩივარი უსკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებაზე?
- სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს მასალების შესვლიდან 2 სამუშაო დღისგანმავლობაში.
- სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს მასალების შესვლიდან 1 სამუშაო დღისგანმავლობაში.
- სასამართლო საჩივარს განიხილავს მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.
- სასამართლო საჩივარს განიხილავს მასალების შესვლიდან 1 კალენდარული დღის განმავლობაში.

239. ვისი განკარგულებით უნდა მოხდეს კანონით გათვალისწინებული წესით და საფუძველზე კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანში დროებით შეჩერებული კენჭისყრის გაგრძელება?
- საუბნო საარჩევნო კომისიის.
- უსკოს.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის.
- ცესკოს.

240. რომელ დაწესებულებასთან იქმნება უწყებათაშორისი კომისია საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით?
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან.

- საქართველოს პარლამენტში.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან.

241. კონსტიტუციის მიხედვით რომელი ორგანო (ორგანოები) ახორციელებენ მართლმსაჯულებას საქართველოში?
- მხოლოდ საერთო სასამართლოები.
- საერთო სასამართლოები და პროკურატურა.
- საერთო სასამართლოები და იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
- საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოები.

242. კონსტიტუციის მიხედვით რა მიზნით არის დაწესებული სახელმწიფო რწმუნებული- გუბერნატორის ინსტიტუტი?
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე კონტროლის განსახორციელებლად.
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად.
- მმართველი პარტიის ინტერესების დასაცავად გარკვეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.
- ასეთი ინსტიტუტი კონსტიტუციაში არ არის გათვალისწინებული, არის პრეზიდენტის რწმუნებული- გუბერნატორის ინსტიტუტი.

243. რომელი მსჯელობაა სწორი?
- არც ერთი მსჯელობა არ არის სწორი.
- ამომრჩევლისათვის გადაცემული ბიულეტენის უკანა მხარეს სპეციალურ ბეჭედს ასვამს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ამომრჩევლისათვის გადაცემული ბიულეტენის უკანა მხარეს ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.
- ამომრჩევლისათვის გადაცემული ბიულეტენის უკანა მხარეს ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

244. ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- მოსამართლედ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.
- მოსამართლედ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.
- მოსამართლედ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს იურისტად მუშაობის სულ ცოტა 6 წლის გამოცდილება.
- მოსამართლედ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 10 წლის გამოცდილება.

245. ისნის N2 საარჩევნო უბანზე, სადაც ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანილი იყო 1000 ამომრჩეველი, იმავე უბანზე შექმნილ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ იქნა 40 ამომრჩეველი, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეეძლოთ კენჭისყრის შენობაში მისვლა. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეეძლოთ კენჭისყრის შენობაში მისვლა, უნდა აღემატებოდეს საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული ამომრჩევლების 5 პროცენტს.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეეძლოთ კენჭისყრის შენობაში მისვლა, არ უნდა აღემატებოდეს საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული ამომრჩევლების 4 პროცენტს.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეეძლოთ კენჭისყრის შენობაში მისვლა, უნდა აღემატებოდეს საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული ამომრჩევლების 3 პროცენტს.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეეძლოთ კენჭისყრის შენობაში მისვლა, არ უნდა აღემატებოდეს საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული ამომრჩევლების 3 პროცენტს.

246. კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაში აქვს კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა?
- მოსამართლის გადაწყვეტილებით თუ პირს ამხელს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში
- არცერთ შემთხვევაში არ აქვს იურიდიული ძალა
- არცერთ შემთხვევაში არ აქვს იურიდიული ძალა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა
- მოსამართლის გადაწყვეტილებით თუ წარმოდგენილია ნივთიერი მტკიცებულების სახით, რომელსაც ექსპერტიზა ჩაუტარდა

247. კონსტიტუციის მიხედვით, გარანტირებულია თუ არა დაცვის უფლება?
- მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილ პირს აქვს გარანტირებული დაცვის უფლება
- ყველას აქვს გარანტირებული დაცვის უფლება
- ყველას აქვს გარანტირებული დაცვის უფლება, მოქალაქეობის არმქონე პირების გარდა
- მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს აქვს გარანტირებული დაცვის უფლება

248. კონსტიტუციის მიხედვით ვის აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სარჩელით ან წარდგინებით მიმართვის

უფლება?
- საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს.
- პარლამენტის სახელით პარლამენტის თავმჯდომარეს.
- საქართველოს პარლამენტის ბიუროს.
- საქართველოს პარლამენტის უმცირესობის სახელით მის თავმჯდომარეს.

249. რამდენი ამომრჩევლის მოთხოვნით შეიძლება ჩატარდეს რეფერენდუმი?
- არანაკლებ 50 000 ამომრჩევლის მოთხოვნით.
- არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის მოთხოვნით.
- არანაკლებ 100 000 ამომრჩევლის მოთხოვნით.
- არანაკლებ 150 000 ამომრჩევლის მოთხოვნით.

250. თუ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა და ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ინიშნება არჩევნების:
- მეხუთე ტური.
- მესამე ტური.
- მეოთხე ტური.
- მეორე ტური.

251. რა სახის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება?
- მთავრობის დადგენილებით.
- ორგანული კანონით.
- კანონით.
- საერთაშორისო ხელშეკრულებით.

252. რომელი ორგანო განიხილავს სადავო საკითხს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ?
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- უზენაესი სასამართლო.
- საკონსტიტუციო სასამართლო.
- საარბიტრაჟო სასამართლო.

253. სად და რამდენი ხნის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობის თაობაზე შეტანილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება?
- მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში.
- მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს (საკასაციო) სასამართლოში.
- მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში.
- ასეთი გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

254. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ორმა კანდიდატმა დააგროვა ხმათა თანაბარი რაოდენობა. რომელი კანდიდატი ჩაითვლება არჩეულად?
- კანდიდატი, რომელიც უფრო ადრე იყო რეგისტრირებული შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- კანდიდატი, რომელიც ასაკით არის უფროსი.
- კანდიდატი, რომელიც უფრო გვიან იყო რეგისტრირებული შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- კანდიდატი, რომელსაც ცესკოს თავმჯდომარე მიანიჭებს უპირატესობას.

255. სად აისახება საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცესი და კენჭისყრის მიმდინარეობის თაობაზე პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები?
- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში.
- არჩევნების შემაჯამებელ ოქმში.
- ჩანაწერთა წიგნში.
- სპეციალურ ოქმში.

256. კონსტიტუციის მიხედვით სად შეიძლება გასაჩივრდეს უცხო სახელმწიფოსათვის საქართველოს მოქალაქის გადაცემის გადაწყვეტილება?
- გადაწყვეტილება საბოლოოა, მისი გასაჩივრება დაუშვებელია

- მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში
- მხოლოდ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში
- სასამართლოში

257. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც თვითმმართველობის მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილე ორმა კანდიდატმა მოაგროვა ხმათა თანაბარი რაოდენობა?
- არჩეულად ჩაითვლება იურიდიული განათლების მქონე კანდიდატი.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც უფრო ადრე იყო რეგისტრირებული შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ასაკით უფროსია.

258. რა ვადაში უნდა წარუდგინოს ცესკომ საქართველოს პრეზიდენტს რეფერენდუმის მოწყობის შესახებ საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნა?
- მასალების შემოსვლიდან არაუგვიანეს 1 თვისა.
- მასალების შემოსვლიდან არაუგვიანეს 45 დღისა.
- მასალების შემოსვლიდან არაუგვიანეს 2 თვისა.
- მასალების შემოსვლიდან არაუგვიანეს 20 დღისა.

259. კონსტიტუციის მიხედვით საქართველოში ხელისუფლების წყაროა:
- საქართველოს ერი
- ბაგრატიონთა სამეფო დინასტია
- ქართველი ხალხი
- ხალხი

260. ვინ და რა სახის სამართლებრივი აქტით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურს?
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურს განკარგულებით ნიშნავს ცესკო.
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურს განკარგულებით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი.
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურს დადგენილებით ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურს დადგენილებით ნიშნავს ცესკო.

261. ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი საფუძვლის არსებობისას არის დასაშვები პირს ჩამოერთვას საქართველოს მოქალაქეობა?
- არც აქ ჩამოთვლილი და არც სხვა საფუძვლის არსებობისას, საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია
- გამონაკლისის სახით დასაშვებია, თუ პირს მძიმე დანაშაული - განზრახ მკვლელობა აქვს ჩადენილი, რაც დასტურდება უზენაესი სასამართლოს განაჩენით
- გამონაკლისის სახით დასაშვებია, თუ უზენაესი სასამართლოს განაჩენით დადგენილია პირის თანამშრომლობა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან
- გამონაკლისის სახით დასაშვებია თუ პირმა მეუღლეს უღალატა

262. რა სახის სამართლებრივი აქტით ქმნის ცესკო დროებით ჯგუფს, რომელიც შეასრულებს იმ საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებას, რომელიც არ ან ვერ ასრულებს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას?
- განკარგულებით.
- ბრძანებულებით.
- ბრძანებით.
- დადგენილებით.

263. სად უნდა დარეგისტრირდეს არჩევნებზე დამკვირვებელი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლის თარჯიმანი?
- დარეგისტრირება საჭირო არ არის.
- საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- საკონსულოში.
- ცესკოში.

264. რა ვადაში უნდა მოხდეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების გამოფენა საარჩევნო უბანში?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებები გამოიფინება საარჩევნო უბანში მეორე დღესვე
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებები არ გამოიფინება საარჩევნო უბანში.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებები გამოიფინება საარჩევნო უბანში სამი დღის შემდეგ.

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებები გამოიფინება საარჩევნო უბანში მას შემდეგ, რაც საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი გაეცნობა განკარგულებას პირადად.

265. როდის ტარდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, თვითმმართველი ქალაქის მერის და თვითმმართველი თემის გამგებლის მორიგი არჩევნები?
- ბოლო არჩევნებიდან სრული 3 წლის გასვლის შემდეგ, მე-4 წლის ივნისში.
- ბოლო არჩევნებიდან სრული 3 წლის გასვლის შემდეგ, მე-4 წლის ოქტომბერში.
- ბოლო არჩევნებიდან სრული 5 წლის გასვლის შემდეგ.
- ბოლო არჩევნებიდან სრული 4 წლის გასვლის შემდეგ.

266. რამდენი წარმომადგენლის დანიშვნის უფლება აქვს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისას ყოველ საარჩევნო კომისიაში?
- მხოლოდ ორის.
- მხოლოდ ხუთის.
- მხოლოდ ერთის.
- მხოლოდ სამის.

267. მოხელეს შეუძლია იმავე დაწესებულებაში შეასრულოს არმყოფი მოხელის მოვალეობა არა უმეტეს
- 3 თვისა კალენდარული წლის განმავლობაში.
- 1 თვისა კალენდარული წლის განმავლობაში.
- 6 თვისა კალენდარული წლის განმავლობაში.
- 1 წლისა.

268. კონსტიტუციის მიხედვით, რა ვადით არიან არჩეულნი საქართველოს პარლამენტის წევრები?
- 3 წლის ვადით.
- 2 წლის ვადით.
- 4 წლის ვადით.
- მაჟორიტარული წესით არჩეულნი 5 წლის ვადით, პროპორციული სისტემით-4 წლის ვადით.

269. რა ვადაში საჩივრდება ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება?
- ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება საჩივრდება მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.
- ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება საჩივრდება მისი მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
- ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება საჩივრდება მისი მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.
- ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება საჩივრდება მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

270. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს:
- საქართველოს პარლამენტს.
- ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს.
- საზოგადოებრივ გაერთიანებას.
- ამომრჩეველთა 3-კაციან საინიციატივო ჯგუფს.

271. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ცესკო კენჭისყრამდე არა უგვიანეს 3 დღისა საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს.
- ცესკო კენჭისყრამდე არა უგვიანეს 1 დღისა საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს.
- ცესკო კენჭისყრამდე არა უგვიანეს 4 დღისა საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს.
- ცესკო კენჭისყრამდე არა უგვიანეს 2 დღისა საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს.

272. რა ვადაში აირჩევიან საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები მათი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში?
- გონივრულ ვადაში, რადგან კანონით ეს ვადა ზუსტად განსაზღვრული არ არის.
- 15 დღის ვადაში.
- 3 დღის ვადაში.

- 10 დღის ვადაში.

273. ამომრჩეველმა ლ. ყოლბაიამ საქართველოს პრეზიდენტობის სასურველ კანდიდატს ხმა მისცა პირადად და თავისი მეუღლის ნაცვლად. აქვს თუ არა ამომრჩეველს ამგვარი უფლებამოსილება?
- დიახ, თითოეულ ამომრჩეველს აქვს უფლება ხმა მისცეს პირადად და თავისი ოჯახის მხოლოდ ერთი წევრის ნაცვლად.
- არა, თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად.
- დიახ, თითოეულ ამომრჩეველს აქვს უფლება ხმა მისცეს პირადად და თავისი ოჯახის წევრების ნაცვლად.
- თითოეულ ამომრჩეველს აქვს უფლება ხმა მისცეს პირადად და იმ პირის ნაცვლად, ვისი ნდობითაც არის აღჭურვილი.

274. საქართველოს პარლამენტის რამდენი წევრი აირჩევა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე?
- 77 წევრი.
- 75 წევრი.
- 73 წევრი.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

275. ვის აქვს სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირთა გარკვეული კატეგორიის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება?
- პარლამენტის წევრთა სიითი უმრავლესობის უმრავლესობას.
- საქართველოს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.
- საქართველოს სახალხო დამცველს.
- საქართველოს მთავარ პროკურორს.

276. სამსახურებრივი მივლინების პერიოდში საჯარო მოსამსახურეს უნარჩუნდება
- მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის დაკავებული თანამდებობა.
- მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) 50%.
- მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) 30%.
- მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელო (ხელფასი).

277. რომელი უწყება და რა ფორმით იღებს ცნობად, საოლქო საარჩევნო კომისიის არჩეული წევრის გარდაცვალების ფაქტს?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის არჩეული წევრის გარდაცვალების ფაქტს ცნობად იღებს ცესკო, რაც ფორმდება ცესკოს სხდომის საოქმო ჩანაწერით.
- საოლქო საარჩევნო კომისიის არჩეული წევრის გარდაცვალების ფაქტს ცნობად იღებს მინისტრთა კაბინეტი, რაც ფორმდება მინისტრთა კაბინეტის სხდომის საოქმო ჩანაწერით.
- საოლქო საარჩევნო კომისიის არჩეული წევრის გარდაცვალების ფაქტს ცნობად იღებს პარლამენტი, რაც ფორმდება პარლამენტის სხდომის საოქმო ჩანაწერით.

278. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად, პარტიამ მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს:
- საპარლამენტო არჩევნების წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე, თუ მას არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში.
- საპარლამენტო არჩევნების წლის 1 აგვისტოდან 1 იანვრამდე, თუ მას არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში.
- საპარლამენტო არჩევნების წლის 1 თებერვლიდან 1 ოქტომბრამდე, თუ მას არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში.
- საპარლამენტო არჩევნების წლის 1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე, თუ მას არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში.

279. ვინ აუქმებს რეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციას?
- ცესკოს თავმჯდომარე დადგენილებით.
- ცესკოს თავმჯდომარე განკარგულებით.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე განკარგულებით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე განკარგულებით.

280. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვს:
- პარლამენტს.
- საარჩევნო ბლოკს.
- შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს.
- შესაბამისი უბნის ამომრჩეველთა ჯგუფს.

281. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით უფლებამოსილმა სუბიექტმა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა მიმართოს განცხადებით, რიგგარეშე არჩევნებამდე არა უგვიანეს:
- 50-ე დღისა.
- მე-40 დღისა.
- 25-ე დღისა.
- 30-ე დღისა.

282. რამდენი ამომრჩევლისაგან უნდა შედგებოდეს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მხარდამჭერთა სია, თუ ეს პარტია არ არის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი?
- არანაკლებ 25 000 ამომრჩევლისაგან.
- არანაკლებ 1000 ამომრჩევლისაგან.
- არანაკლებ 200000 ამომრჩევლისაგან.
- არანაკლებ 50000 ამომრჩევლისაგან.

283. ვის წინაშეა ანგარიშვალდებული უსკო დარა ვადაში უნდა წარუდგენს მას ანგარიშს?
- უსკო დამოუკიდებელი ორგანოა და არავის წინაშე არ არის ანგარიშვალდებული.
- უსკო ანგარიშვალდებულია უმაღლესი საბჭოს წინაშე, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში.
- უსკო ანგარიშვალდებულია უმაღლესი საბჭოს წინაშე, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 45დღის ვადაში.
- უსკო ანგარიშვალდებულია უმაღლესი საბჭოს წინაშე, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 30დღის ვადაში.

284. რამდენი ხმის უფლება აქვს ამომრჩეველს მუნიციპალიტეტის და თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს არჩევნებისას?
- ყოველ ამომრჩეველს აქვს არანაკლებ ორი ხმის უფლება.
- ყოველ ამომრჩეველს აქვს ერთი ხმის უფლება.
- ყოველ ამომრჩეველს აქვს იმდენი ხმის უფლება, რამდენი წევრიცაა ასარჩევი შესაბამის საკრებულოში.
- ერთი ხმის უფლება პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე და ერთი ხმის უფლება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

285. ვინ შეიძლება აირჩეს ან დაინიშნოს ცესკოს წევრად?
- ცესკოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და რომელსაც აქვს არანაკლებ 3 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- ცესკოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და რომელსაც აქვს არანაკლებ 3 წლის შრომითი გამოცდილება, ხოლო საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი სავალდებულო არ არის.
- ცესკოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და რომელსაც აქვს არანაკლებ 2 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- ცესკოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი, სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის.

286. რომელი არ არის პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა?
- პროკურორის მოადგილეები.
- გენერალური აუდიტორის მოადგილეები.
- საქართველოს უშიშროების საბჭოს წევრები (გარდა პარლამენტის წევრებისა).
- ქალაქის საკრებულოს წევრი.

287. სავალდებულოა თუ არა პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში წარწერის გაკეთება „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“?
- არ არის სავალდებულო.
- სავალდებულოა როგორც ფასიანი, ისე უფასო პოლიტიკური რეკლამის შემთხვევაში.
- სავალდებულოა მხოლოდ უფასო პოლიტიკური რეკლამის შემთხვევაში.
- სავალდებულოა მხოლოდ ფასიანი პოლიტიკური რეკლამის შემთხვევაში.

288. ცესკოსათვის მიმართვიდან რა ვადაში უნდა გადაეცეს რეფერენდუმის მოწყობის საინიციატივო ჯგუფს ცესკოს მიერ რეგისტრაციის თაობაზე სათანადო მოწმობები?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- მიმართვიდან 15 დღეში.
- მიმართვიდან 35 დღეში.
- მიმართვიდან ერთ თვეში.

289. რომელი აქტით ხდება არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრა?
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით.
- ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით.

290. სანოტარო ბიურომ ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ ხელმოწერების ფურცელზე უნდა დაამოწმოს:
- თითოეული მოქალაქის ხელმოწერა.
- ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა მხოლოდ ბოლო ფურცელზე.
- ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა ყოველ ფურცელზე.
- როგორც მოქალაქეების, ისე ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა არ საჭიროებს სანოტარო ბიუროს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დამოწმებას.

291. როგორი საარჩევნო სისტემის საფუძველზე ტარდება თბილისის თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოს არჩევნები?
- საერთო საარჩევნო სისტემის საფუძველზე.
- პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.
- მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.
- მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების საფუძველზე.

292. რომელ პარტიულ სიას მიეკუთვნება უმაღლესი საბჭოს წევრთა მანდატები?
- რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 2 პროცენტისა.
- რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 10 პროცენტისა.
- რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 3 პროცენტისა.
- რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 5 პროცენტისა.

293. შეიძლება თუ არა საქართველოს მოქალაქე იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი?
- შეიძლება პრეზიდენტის გადაწყვეტილებით გამონაკლის შემთხვევებში.
- არ შეიძლება.
- არ დაიშვება, გარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობისა.
- შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ერთდროულად პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობას.

294. იმ შემთხვევაში თუ საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დაემთხვა საპარლამენტო არდადეგებს, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან რა ვადაში იკრიბება საქართველოს პარლამენტი?
- არა უგვიანეს 72 საათისა.
- არა უგვიანეს 12 საათისა.
- არა უგვიანეს 48 საათისა.
- არა უგვიანეს 24 საათისა.

295. N1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებულ იქნა ცესკოში. მიღებიდან რა ვადაში უნდა განიხილოს ცესკომ საჩივარი ?
- ცესკომ საჩივარი უნდა განიხილოს მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.
- ცესკომ საჩივარი უნდა განიხილოს მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.
- ცესკომ საჩივარი უნდა განიხილოს მისი მიღებიდან 4 კალენდარული დღის ვადაში.
- ცესკომ საჩივარი უნდა განიხილოს მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

296. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის პოლიტიკური თანამდებობის პირი?
- გენერალური აუდიტორი.
- საქართველოს პრეზიდენტი.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის ხელმძღვანელი.
- სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი.

297. ამომრჩეველთა რომელ სიაში შეჰყავთ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, რომლებიც საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო, კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში თავიანთი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით?
- ამომრჩეველთა განსაკუთრებულ სიაში.
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, რომლებიც საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო, კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში თავიანთი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ამომრჩეველთა სიაში საერთოდ არ შეჰყავთ.
- ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში.
- ამომრჩეველთა შეზღუდულ სიაში.

298. კენჭისყრიდან რა ვადაში უნდა შეაჯამოს რეფერენდუმის შედეგები და შეადგინოს სათანადო შემაჯამებელი ოქმი საოლქო საარჩევნო კომისიამ?
- კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-7 დღისა.
- კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-3 დღისა.
- კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-5 დღისა.
- კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-11 დღისა.

299. რომელი აქტით ხორციელდება პარტიის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმა?
- ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით.
- საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით.
- ცესკოს განკარგულებით.
- ცესკოს დადგენილებით.

300. კონსტიტუციის მიხედვით, რა ასაკიდან იღებენ არჩევნებში ამომრჩევლის სტატუსით მონაწილეობას საქართველოს მოქალაქეები?
- 17 წლის ასაკიდან
- 18 წლის ასაკიდან
- 21 წლის ასაკიდან
- 16 წლის ასაკიდან

301. საჯარო სამსახურის ბიუროს საქმიანობაზესახელმწიფო კონტროლს ახორციელებს მხოლოდ
- მხოლოდ საქართველოს პარლამენტი.
- მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
- მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი.
- მხოლოდ საქართველოს მთავრობა.

302. მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?
- მოცემულ მსჯელობათაგან ყველა სწორია.
- საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე აკრძალულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა.
- საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე აკრძალულია პოლიციის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა.
- საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე ნებისმიერ შემთხვევაში აკრძალულია პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება.

303. როდის უნდა დასრულდეს პარტიის მხარდამჭერთა სიის შემოწმება?
- პარტიის მხარდამჭერთა სიის შემოწმება უნდა დასრულდეს მისი წარდგენიდან 10 დღეში.
- პარტიის მხარდამჭერთა სიის შემოწმება უნდა დასრულდეს მისი წარდგენიდან 26 დღეში, მაგრამ არაუგვიანეს სიის წარდგენის ვადის ამოწურვიდან მე-15 დღისა.
- პარტიის მხარდამჭერთა სიის შემოწმება უნდა დასრულდეს მისი წარდგენიდან 32 დღეში, მაგრამ არაუგვიანეს სიის წარდგენის ვადის ამოწურვიდან მე-20 დღისა.
- პარტიის მხარდამჭერთა სიის შემოწმება უნდა დასრულდეს მისი წარდგენიდან 40 დღეში, მაგრამ არაუადრეს სიის წარდგენის ვადის ამოწურვიდან მე-10 დღისა.

304. საპარლამენტო არჩევნებისას ცესკომ დაუკვეთა საარჩევნო ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები, რომელიც დადგენილ ვადაში მიიღო. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღნიშნული კონვერტები და ბიულეტენები კენჭისყრის წინა დღეს გადასცა საოლქო საარჩევნო კომისიებს. დაარღვია თუ არა ცესკომ კანონით დადგენილი ვადა?
- ცესკოს არ დაურღვევია კანონით დადგენილი ვადა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკო კენჭისყრამდე არა უგვიანეს 12 საათისა საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს.
- ცესკომ დაარღვია კანონით დადგენილი ვადა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკო კენჭისყრამდე არა უგვიანეს 2 დღისა საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს.
- ცესკოს არ დაურღვევია კანონით დადგენილი ვადა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკო კენჭისყრამდე არა უგვიანეს 1 დღისა საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს.
- ცესკომ დაარღვია კანონით დადგენილი ვადა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკო კენჭისყრამდე არა უგვიანეს 3 დღისა საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს.

305. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა ო. პაიჭაძემ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს ხელი არ მოაწერა იმ მოტივით, რომ იგი არ ეთანხმებოდა ოქმში შეტანილ მონაცემებს. სწორად მოიქცა თუ არა ო. პაიჭაძე?
- დიახ, საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი თუ არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, ვალდებულია ხელი არ მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.
- დიახ, საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი თუ არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, უფლებამოსილია ხელი არ მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.
- არა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, ხოლო თუ იგი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, უფლება აქვს ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი.
- არა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, ხოლო თუ იგი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, თვითონ უნდა შეადგინოს განსხვავებული ოქმი.

306. რომელი ინფორმაციის მითითების აუცილებლობა არ არსებობს პარტიულ სიაში ყოველ კანდიდატთან დაკავშირებით?
- მშობლიური ენის.
- პარტიულობის.
- დაბადების თარიღის.
- სამუშაო ადგილის.

307. ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიებს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს გადასცემს კენჭისყრამდე არა უგვიანეს:
- 5 დღისა.
- 3 დღისა.
- 2 დღისა.
- 7 დღისა.

308. რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი განსაზღვრავს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ორგანოს საქმიანობის წესს?
- საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო.
- საქართველოს მთავრობა.
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს პარლამენტი.

309. კენჭისყრის დღეს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად აკრედიტირებული ტელეკომპანია ''ემგისი''-ს 2 წარმომადგენელი გამოცხადდა ერთდროულად საარჩევნო უბანზე, რომელთაგან ერთ-ერთს შეეზღუდა დასწრების უფლება იმ მოტივით, რომ საარჩევნო კოდექსის თანახმად, დაუშვებელი იყო ერთ უბანზე ერთი და იმავე ტელეკომპანიის ერთდროულად ერთზე მეტი წარმომადგენლის დასწრება. ტელეკომპანია ,,ემგისი''-ს წარმომადგენლებმა ამ ფაქტის შესახებ მოახსენეს კომისიის თავმჯდომარეს და მასზე დაუყოვნებლივი რეაგირება მოსთხოვეს. კანონიერად მოქმედებდა თუ არა საარჩევნო კომისია?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს 1 წარმომადგენელი.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელთა რაოდენობის განსაზღვრა საარჩევნო კომისიის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს 4 წარმომადგენლისა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს 3 წარმომადგენლისა.

310. კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის რომელი აქტი საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას?

- პრეზიდენტის აქტი, რომელიც უკავშირდება სახელმწიფო ჯილდოების მინიჭებას.
- პრეზიდენტის აქტი, რომელიც უკავშირდება საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის მიმართვას.
- პრეზიდენტის აქტი, რომელიც უკავშირდება კანონის ხელმოწერას და გამოქვეყნებას.
- საგანგებო მდგომარეობის დროს გამოცემული დეკრეტი.

311. ჩამოთვლილთაგან ვინ ადგენს საარჩევნო ბიულეტენის ნიმუშს?
- უსკო.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- უსკოს მდივანი.
- უსკოს თავმჯდომარე.

312. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი ერთ-ერთი პირობის არსებობისას აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას?
- თუ წინა საპარლამენტო არჩევნებში მიიღო ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 3 %-ისა.
- თუ მისი ერთ-ერთი წევრი მთავრობის წევრია.
- თუ მისი ერთ-ერთი წევრი არის საქართველოს პრეზიდენტი.
- თუ მისი მხარდაჭერა დადასტურებულია ამომრჩეველთა 1 %-ზე მეტი ხელმოწერებით.

313. ვინ ნიშნავს პრეზიდენტის ხელახალ არჩევნებს?
- საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს უზენაესი სასამართლო.
- საქართველოს მთავრობა.
- ცესკო.

314. ისნის საარჩევნო ოლქის N4 საარჩევნო უბანზე კენჭისყრის დღეს გამოცხადებულ ამომრჩეველს მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელ თითზე ფრჩხილი იმგვარად ჰქონდა დაზიანებული, რომ შეუძლებელი გახდა აღნიშნულ თითებზე ქიმიური საღებავის წასმა, რის გამოც უფლებამოსილმა პირმა მარკირება განახორციელა ამომრჩევლის მარცხენა ხელის ცერა თითის ფრჩხილზე. სწორად მოიქცა თუ არა უფლებამოსილი პირი?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითის ფრჩხილები დაზიანებულია, კომისიის წევრს შეუძლია მარკირება გამოიყენოს მარჯვენა ხელის სხვა თითის ფრჩხილზე, ხოლო ამის შეუძლებლობისას, ასეთივე წესით მარცხენა ხელზე.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითის ფრჩხილები დაზიანებულია, კომისიის წევრს შეუძლია მარკირება გამოიყენოს ნებისმიერი სხვა თითის ფრჩხილზე.
- არა, რადგან იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩევლის მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელ თითებზე ფრჩხილი დაზიანებულია, მარკირების გამოყენება საერთოდ დაუშვებელია.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ის თუ მარკირება, რომელი ხელის, რომელი თითის ფრჩხილზე განხორციელდება, კომისიის წევრის გადასაწყვეტია.

315. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას.
- საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას.
- საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო პოლიტიკის განხორციელებას.
- საქართველოს მთავრობა ახორციელებს ქვეყნის საშინაო პოლიტიკას.

316. რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა პარლამენტმა კენჭი უყარა ცესკოს წევრობის კანდიდატებს და კენჭისყრის შედეგების მიხედვით ვერ შეივსო ყველა ვაკანსია?
- პრეზიდენტი ხელახლა დაავალებს საკონკურსო კომისიას კანდიდატურების შერჩევას.
- არცერთი კანდიდატი არ ჩაითვლება არჩეულად და საკონკურსო კომისია შეარჩევს ახალ კანდიდატებს.
- დარჩენილ კანდიდატებს ხელახლა უნდა ეყაროთ კენჭი.
- დარჩენილი კანდიდატებიდან, რომლებმაც ვერ მიიღეს ხმათა საჭირო რაოდენობა, ყველაზე უკეთესი შედეგის მქონე იმდენი კანდიდატურა ჩაითვლება არჩეულად, რამდენიც საჭიროა ვაკანსიების შესავსებად.

317. ვის აქვს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება?
- უმაღლესი განათლების მქონე პირს.
- პირს, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელი მაინც.
- მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას (პარტიას) ან ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს.

- საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქეს.

318. რომელი ორგანო (პირი) იღებს საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტს?
- საქართველოს პარლამენტი.
- ცესკოს თავმჯდომარე.
- ცესკო.
- საქართველოს პრეზიდენტის აპარატი.

319. რეფერენდუმის საინიციატივო ჯგუფმა რეგისტრაციის შემდეგ როდის უნდა დაიწყოს ხელმოწერების შეგროვება?
- რეფერენდუმის საინიციატივო ჯგუფი ხელმოწერების შეგროვებას იწყებს რეგისტრაციის დღიდან მეორე დღეს.
- რეფერენდუმის საინიციატივო ჯგუფი ხელმოწერების შეგროვებას იწყებს რეგისტრაციის მოწმობის მიღების დღიდან.
- რეფერენდუმის საინიციატივო ჯგუფი ხელმოწერების შეგროვებას იწყებს რეგისტრაციის მოწმობის მიღებიდან 5 დღის შემდეგ.
- რეფერენდუმის საინიციატივო ჯგუფი ხელმოწერების შეგროვებას იწყებს რეგისტრაციის დღიდან.

320. რომელი სამართლებრივი აქტით ნიშნავს ცესკო საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურს?
- ბრძანებით.
- დადგენილებით.
- ბრძანებულებით.
- განკარგულებით.

321. ვინ და რა ვადაში აქვეყნებს პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით ცნობას შესაბამის ოლქში საკრებულოს არჩევნების შედეგების შესახებ?
- საოლქო საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 15 დღის ვადაში.
- საუბნო საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 15 დღის ვადაში.
- საოლქო საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 10 დღის ვადაში.
- ცესკო არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 10 დღის ვადაში.

322. როგორი ასაკობრივი ცენზი არის დადგენილი საქართველოს კონსტიტუციით საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის?
- უზენაესი სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს პირი 35 წლის ასაკიდან, დანარჩენ სასამართლოთა წევრები - 28 წლის ასაკიდან.
- ყველა ინსტანციის სასამართლოს წევრი შეიძლება გახდეს პირი 28 წლის ასაკიდან.
- მამრობითი სქესის მოსამართლეთათვის დადგენილია უფრო მაღალი ასაკობრივი ცენზი - არანაკლებ 30 წელი, მდედრობითი სქესის მოსამართლეთათვის - არანაკლებ 29 წლისა.
- ყველა ინსტანციის სასამართლოს წევრი შეიძლება გახდეს პირი 30 წლის ასაკიდან.

323. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული რამდენი წევრისგან შედგება თბილისის საკრებულო?
- 25 წევრისგან.
- 15 წევრისგან.
- 35 წევრისგან.
- 50 წევრისგან.

324. სად შეუძლიათ მეთვალყურეებს თავდაპირველად გაასაჩივრონ ხმის დათვლის პროცედურებთან დაკავშირებით საუბნო საარჩევნო კომისიის მოქმედება?
- ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში ან პირდაპირ სასამართლოში.
- პირდაპირ სასამართლოში.
- ცესკოში.
- ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში.

325. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში რომელი კანდიდატი ჩაითვლება არჩეულად?
- ის კანდიდატი, რომელიც მესამე ტურში ხმათა უმრავლესობას მიიღებს.
- ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო.
- არცერთი კანდიდატი არ ჩაითვლება არჩეულად.
- გაიმართება მესამე ტური.

326. პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიას ამოწმებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სათანადო სამსახური და დასკვნას

წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს:
- სიის წარდგენიდან 15 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 29-დღისა.
- სიის წარდგენიდან 10 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 26-დღისა.
- სიის წარდგენიდან 20 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 30-დღისა.
- სიის წარდგენიდან 20 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 35-დღისა.

327. ქვემოთ გათვალისწინებული მსჯელობებიდან რომელია გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც საერთო ჯამში საქართველოში 6 წელი უცხოვრია.
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე პირი.
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 36 წლის ასაკიდან.
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც საერთო ჯამში საქართველოში 10 წელი უცხოვრია.

328. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ, რომლიდანაც მოხდება საარჩევნო კამპანიისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება.
- საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია იუსტიციის სამინისტროს წარუდგინოს ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ, რომლიდანაც მოხდება საარჩევნო კამპანიისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება.
- საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია ფინანსთა სამინისტროს წარუდგინოს ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ, რომლიდანაც მოხდება საარჩევნო კამპანიისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება.
- საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგინოს ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ, რომლიდანაც მოხდება საარჩევნო კამპანიისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება.

329. სწორია თუ არა, რომ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრა სრულდება კენჭისყრის დღის 19 საათზე, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილი კენჭისყრის დამთავრებისას ილუქება იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე მისი გახსნა.
- არა, გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით კენჭისყრა მთავრდება კენჭისყრის დღის 19 საათზე, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთი კენჭისყრის დამთავრებისას აღარ ილუქება.
- დიახ, გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრა სრულდება კენჭისყრის დღის 19 საათზე, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილი კენჭისყრის დამთავრებისას ილუქება იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე მისი გახსნა.
- არა, რადგან გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით კენჭისყრა მთავრდება კენჭისყრის დღის 18 საათზე, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთი კენჭისყრის დამთავრებისას ილუქება იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე მისი გახსნა.
- არა, რადგან გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით კენჭისყრა სრულდება კენჭისყრის დღის 20 საათზე, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილი კენჭისყრის დამთავრებისას ილუქება იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე მისი გახსნა.

330. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელს არ აქვს უფლება სარჩელით მიმართოს სასამართლოს იმ შემთხვევაში, როდესაც ცესკო განკარგულებით უარს აცხადებს საერთაშორისო ორგანიზაციის რეგისტრაციაში გატარებაზე?
- ნებისმიერ პირს.
- საარჩევნო რეგისტრაციის მქონე საარჩევნო ბლოკს.
- საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას.
- ამომრჩეველთა რეგისტრირებული საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში.

331. კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაშია ვალდებული დაესწროს პარლამენტის სხდომას პარლამენტის მიერ არჩეული საქართველოს სახალხო დამცველი?
- ვალდებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განიხილება მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხი.
- ვალდებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც წარუდგენს პარლამენტს მოხსენებას ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.
- პარლამენტის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დაესწროს პარლამენტის სხდომას.
- სახალხო დამცველი დამოუკიდებელია და მის ნებაზეა დამოკიდებული დაესწრება თუ არა პარლამენტის სხდომას.

332. კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის რომელ ფურცელზე უნდა ჩაიწეროს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ ჩატარებული წილისყრის შედეგები კომისიის წევრთა შორის ფუნქციების გადანაწილების თაობაზე?
- პირველ გვერდზე.
- მეოთხე გვერდზე.
- მეორე გვერდზე.
- მესამე გვერდზე.

333. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას?
- საპრეზიდენტო არჩევნები გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა სულ ცოტა 40-მა პროცენტმა მაინც.
- საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.
- საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ორმა მესამედმა.
- საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა.

334. ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სახელმწიფო მინისტრი.
- საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს მინიმუმ 1, მაქსიმუმ 3 სახელმწიფო მინისტრი.
- საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო მინისტრი
- საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს რამდენიმე სახელმწიფო მინისტრი.

335. რა შემთხვევაშია დასაშვები პოლიტიკური პარტიის მიერ შეიარაღებული ფორმირების შექმნა?
- პოლიტიკური გაერთიანების მიერ შეიარაღებული ფორმირების შექმნა დაუშვებელია
- თუ პოლიტიკურ პარტიას განსაზღვრული აქვს ხელისუფლების მოპოვება
- თუ პოლიტიკური პარტია იღებს მონაწილეობას სამშვიდობო ოპერაციაში ნატო-ს ეგიდით
- თუ ამ პოლიტიკურ პარტიას პარლამენტის მანდატთა უმრავლესობა აქვს

336. რა სახის ნორმატიული აქტით (აქტებით) განისაზღვრება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი?
- ორგანული კანონით.
- კონსტიტუციური შეთანხმებით.
- საქართველოს კონსტიტუციით.
- საქართველოს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

337. რეფერენდუმის გამართვის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება რა ვადაში უნდა ეცნობოს მოსახლეობას ?
- ბრძანებულების გამოცემიდან არაუგვიანეს 3 დღისა.
- ბრძანებულების გამოცემიდან არაუგვიანეს 2 დღისა.
- ბრძანებულების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა.
- ბრძანებულების გამოცემიდან არაუგვიანეს 4 დღისა.

338. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს:
- საინიციატივო ჯგუფის მიერ საქართველოს პრეზიდენტის კანდიდატის წარდგენის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.
- ამომრჩეველთა 4-კაციან საინიციატივო ჯგუფს.
- ამომრჩეველთა 3-კაციან საინიციატივო ჯგუფს
- ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს.

339. ვის წინაშეა ანგარიშვალდებული საარჩევნო კომისიის ის წევრი, რომელიც დანიშნულია კომისიის წევრად პოლიტიკური გაერთიანების მიერ?
- ასეთი კომისიის წევრი ანგარიშვალდებულია მხოლოდ მისი დამნიშვნელი სუბიექტის წინაშე.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ასეთი კომისიის წევრი ანგარიშვალდებულია მისი დამნიშვნელი სუბიექტისა და ამ სუბიექტის მოკავშირე სუბიექტების წინაშე და თავისი საარჩევნო კომისიაში საქმიანობისას შეზღუდულია ამ სუბიექტების პოზიციით.
- ასეთი კომისიის წევრი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, არ არის ანგარიშვალდებული მისი დამნიშვნელი სუბიექტის წინაშე.

340. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილმა საკონკურსო კომისიამ, ცესკოს წევრობის კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან მე-6 დღეს პრეზიდენტს წარუდგინა 8 კანდიდატურა. თითო ვაკანსიაზე 2 კანდიდატურა. კანდიდატების შერჩევიდან მე-7 დღეს პრეზიდენტმა შერჩეული კანდიდატები წარუდგინა საქართველოს პარლამენტს. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საკონკურსო კომისიის მიერ პრეზიდენტს უნდა წარედგინოს თითო ვაკანსიაზე 3 კანდიდატურა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საკონკურსო კომისიას პრეზიდენტისთვის კანდიდატები უნდა წარედგინა ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან ცესკოს წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის წარდგინებით.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საკონკურსო კომისიის მიერ პრეზიდენტს უნდა წარედგინოს თითო ვაკანსიაზე თითო კანდიდატურა.

341. რა შემთხვევაში ინიშნება განმეორებითი კენჭისყრა პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში?
- თუ საარჩევნო უბნებში, რომლებშიც კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 50%-ია.
- თუ საარჩევნო უბნებში, რომლებშიც კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 30%-ზე მეტია.
- თუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო უბნებში, სადაც კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი, საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 10%-ზე მეტია.
- თუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო უბნებში, სადაც კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 20%-ზე მეტია.

342. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად, თუ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, პარტიას საარჩევნო რეგისტრაციაში ატარებს:
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

343. რა არის ის გარემოება, რომელიც ავალდებულებს პრეზიდენტს დანიშნოს პრემიერ-მინისტრი?
- ორგანული კანონით განსაზღვრული შემთხვევები.
- ეს არის პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილება და არა მოვალეობა.
- კონსტიტუციით განსაზღვრული შემთხვევები.
- ჩვეულებრივი კანონით განსაზღვრული შემთხვევები.

344. საჩივარს, საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებაზე, სასამართლო განიხილავს:
- 2 კალენდარული დღის ვადაში.
- 3 დღის ვადაში.
- 5 დღის ვადაში.
- 3 კალენდარული დღის ვადაში, თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

345. რა ფორმით მიმართავენ საარჩევნო სუბიექტები საარჩევნო კომისიას რეგისტრაციაში გატარების მიზნით?
- შუამდგომლობით.
- თხოვნით.
- სარჩელით.
- განცხადებით.

346. რომელი მსჯელობაა სწორი?
- კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით შედგენილი განცხადება/საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიამ კენჭისყრის დღიდან 1 დღის განმავლობაში უნდა გადასცეს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.
- კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით შედგენილი განცხადება/საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიამ კენჭისყრის დღიდან 3 დღის განმავლობაში უნდა გადასცეს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.
- კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით შედგენილი განცხადება/საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიამ კენჭისყრის დღიდან 4 დღის განმავლობაში უნდა გადასცეს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.
- კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით შედგენილი განცხადება/საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიამ კენჭისყრის დღიდან 2 დღის განმავლობაში უნდა გადასცეს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

347. სწორია თუ არა მსჯელობა? ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიტანება თუ არა სამხედრო ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეები:
- დიახ, თუ მათ გააჩნიათ ასეთი სურვილი.
- არა, რადგან კენჭისყრის დღეს მათ ეკუთვნით შვებულება, რათა მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
- არა, რადგან მათ არა აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ მაჟორიტარულ და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში.
- დიახ, თუ მათი სამსახურის პირობები მოითხოვს მათ ყოფნას რეგისტრაციის ადგილისგან განსხვავებულ მისამართზე, რომელიც სხვა

საარჩევნო ოლქს მიეკუთვნება.

348. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ცესკოს დებულებით განისაზღვრება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ცესკოს იმ მოხელეთა ჩამონათვალი, რომელთათვისაც აუცილებელი არ არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერთიფიკატის ქონა.
- ცესკო განკარგულებით განსაზღვრავს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ ცესკოს იმ მოხელეთა ჩამონათვალს, რომელთათვისაც აუცილებელი არ არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერთიფიკატის ქონა.
- საარჩევნო კოდექსი განსაზღვრავს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ ცესკოს იმ მოხელეთა ჩამონათვალს, რომელთათვისაც აუცილებელი არ არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერთიფიკატის ქონა.
- ცესკო დადგენილებით განსაზღვრავს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ ცესკოს იმ მოხელეთა ჩამონათვალს, რომელთათვისაც აუცილებელი არ არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერთიფიკატის ქონა.

349. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ დარღვევებზე საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით. სად შეიძლება გასაჩივრდეს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება?
- საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება აღარ საჩივრდება.
- საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უსკოში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უსკოს თავმჯდომარესთან.

350. კონსტიტუციის მიხედვით ვის აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სარჩელით ან წარდგინებით მიმართვის უფლება?
- იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.
- საქართველოს მთავარ პროკურორს პროკურატურის სახელით.
- საქართველოს იუსტიციის მინისტრს სამინისტროს სახელით.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მთავრობის სახელით.

351. რომელი მსჯელობაა სწორი?
- არჩევნების/რეფერენდუმის მოსამზადებლად და ჩასატარებლად საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯი და მისი საქმიანობა უფლებამოსილების განხორციელების ვადაში ფინანსდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.
- არჩევნების/რეფერენდუმის მოსამზადებლად და ჩასატარებლად საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯი და მისი საქმიანობა უფლებამოსილების განხორციელების ვადაში ფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ.
- არჩევნების/რეფერენდუმის მოსამზადებლად და ჩასატარებლად საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯი და მისი საქმიანობა უფლებამოსილების განხორციელების ვადაში ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
- არჩევნების/რეფერენდუმის მოსამზადებლად და ჩასატარებლად საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯი და მისი საქმიანობა უფლებამოსილების განხორციელების ვადაში ფინანსდება საარჩევნო სუბიექტების მიერ.

352. კენჭისყრის დღეს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად აკრედიტირებული ტელეკომპანია ''ემგისი''-ს ერთი წარმომადგენელი გამოცხადდა დიდგორის N 2 საარჩევნო უბანზე, რომელსაც შეეზღუდა დასწრების უფლება იმ არგუმენტით, რომ საარჩევნო კოდექსის თანახმად, ერთ უბანზე ერთი და იმავე ტელეკომპანიის ერთდროულად სამი წარმომადგენლის დასწრებაა სავალდებულო. ტელეკომპანია ''ემგისი''-ს წარმომადგენელმა ამ ფაქტის შესახებ მოახსენა კომისიის თავმჯდომარეს და მასზე დაუყოვნებლივ რეაგირება მოსთხოვა. კანონიერად მოქმედებდა თუ არა საარჩევნო კომისია?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს 3 წარმომადგენელისა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციის ერთდროულად მინიმუმ 3 წარმომადგენლის დასწრებაა სავალდებულო.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს 4 წარმომადგენლისა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელთა რაოდენობის განსაზღვრა საარჩევნო კომისიის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება.

353. რა ასაკიდან შეიძლება აირჩეს პირი საქართველოს პარლამენტის წევრად?
- 25 წლის ასაკიდან.
- 21 წლის ასაკიდან.
- 28 წლის ასაკიდან.
- 35 წლის ასაკიდან.

354. ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლების მქონე დაწესებულებამ კანონით დადგენილ ვადაში ვის უნდა წარუდგინოს ნარკოლოგიური შემოწმების დამადასტურებელი ცნობა და პარლამენტის არჩეულ წევრთა სია, რომლებმაც გაიარეს ნარკოლოგიური შემოწმება?
- ცესკოს თავმჯდომარეს.
- შემოწმებულ პირს.
- ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს.
- ცესკოს.

355. როგორ შეირჩევა ცესკოს წევრობის კანდიდატი?
- მათი შერჩევა ხდება დახურული კონკურსის წესით.
- მათი შერჩევა ხდება პოლიტიკური პარტიების მიერ.
- შეირჩევა ღია კონკურსის წესით.
- საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი პასუხისმგებლობით შეარჩევს კანდიდატებს.

356. თქვენი აზრით რომელია ის გარემოება, რომელიც პრეზიდენტს არ აძლევს უფლებას დაითხოვოს პარლამენტი?
- რეფერენდუმის მიმდინარეობა.
- პრემიერ-მინისტრის უარი კონტრასიგნაციის წესით ხელი მოაწეროს პრეზიდენტის აქტს პარლამენტის დათხოვნის შესახებ, თუ დათხოვნა ხორციელდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე.
- პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოლო 6 თვის განმავლობაში, თუ დათხოვნა არ ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე.
- მიმდინარე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.

357. კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს მთავრობა შედგება:
- მინისტრებისა და შესაძლოა სახელმწიფო მინისტრებისაგან.
- პრემიერ-მინისტრის, მინისტრებისაგან, აგრეთვე მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს სახელმწიფო მინისტრი ან სახელმწიფო მინისტრები.
- პრემიერ-მინისტრისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელებისაგან.
- მინისტრებისაგან.

358. რა სახის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება საპარლამენტო ფრაქციის შექმნის წესი?
- მხოლოდ პარლამენტის რეგლამენტით.
- ორგანული კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით.
- კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით.
- კონსტიტუციით.

359. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც:
- აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს ადმინისტრაციული ორგანოს ქცევის ზოგად წესს.
- აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.
- შეიცავს პირის ან პირთა შეზღუდული წრის მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.
- შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

360. რამდენი წევრისგან შედგება უმაღლესი საარჩევნო კომისია საარჩევნო პერიოდში?
- 14 წევრისგან.
- 15 წევრისგან.
- 13 წევრისგან.
- 12 წევრისგან.

361. კონსტიტუციის მიხედვით, რას უწოდებენ პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციულ ფორმას სექტემბრის პირველი სამშაბათიდან დეკემბრის მესამე პარასკევამდე?
- საშემოდგომო სესიას.
- საშემოდგომო სხდომას.
- პირველ საშემოდგომო სესიას.
- პირველ სესიას.

362. რა ვადაში უნდა წარედგინოს სასამართლოს დაკავებული პირი?

- უნდა წარედგინოს დაკავებიდან არაუგვიანეს 3 დღის განმავლობაში
- უნდა წარედგინოს დაკავებიდან ერთი კვირის განმავლობაში
- უნდა წარედგინოს დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა
- უნდა წარედგინოს დაკავებიდან არაუგვიანეს 24 საათისა

363. ვინ მონაწილეობს სათათბირო ხმის უფლებით საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში?
- ყველა პასუხი სწორია.
- მედიის წარმომადგენლები.
- დამკვირვებლები.
- კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტები.

364. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე რა ვადაში უნდა აირჩიოს ცესკომ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი?
- არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 10 დღისა. ამავე ვადაში აირჩევიან საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები.
- არა უადრეს 10 და არა უგვიანეს 20 დღისა. ამავე ვადაში აირჩევიან საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები.
- არა უადრეს 15 და არა უგვიანეს 30 დღისა. ამავე ვადაში აირჩევიან საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები.
- არა უადრეს 10 და არა უგვიანეს 30 დღისა. ამავე ვადაში აირჩევიან საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები.

365. საკონტროლო ფურცელი ივსება:
- ერთ ეგზემპლარად.
- 4 ეგზემპლარად.
- 2 ეგზემპლარად.
- 3 ეგზემპლარად.

366. ჩამოთვლილთაგან რის საფუძველზე იბეჭდება საარჩევნო ბიულეტენი?
- ცესკოს დადგენილების.
- ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებულების.
- ცესკოს განკარგულების.
- ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების.

367. კონსტიტუციის მიხედვით, რომელ ორგანოს ან თანამდებობის პირს აქვს საქართველოს პარლამენტის დათხოვნის უფლება?
- საქართველოს პრეზიდენტს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე.
- საქართველოს პრეზიდენტს კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში და პრემიერ-მინისტრის თანხმობით.
- საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.
- საქართველოს პრეზიდენტს კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

368. რომელია ის ორგანო ან თანამდებობის პირი, რომლის თანხმობის გარეშე დაუშვებელია მოსამართლის ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა?
- იუსტიციის მინისტრი.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
- იუსტიციის საბჭოს მდივანი.
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

369. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც არჩეული ცესკოს წევრი გარდაიცვლება ?
- საქართველოს პარლამენტი ცნობად იღებს აღნიშნულ ფაქტს, რაც ფორმდება საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის საოქმო ჩანაწერით.
- ცესკო ცნობად იღებს აღნიშნულ ფაქტს, რაც ფორმდება ცესკოს სხდომის საოქმო ჩანაწერით.
- ცესკო ცნობად იღებს აღნიშნულ ფაქტს, რასაც აფორმებს შესაბამისი დადგენილებით.
- საქართველოს პარლამენტი ცნობად იღებს აღნიშნულ ფაქტს, რაც ფორმდება საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სხდომის საოქმო ჩანაწერით.

370. რომელი მსჯელობაა სწორი?
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული პრეზიდენტის ბრძანებულებით.
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული პარლამენტის დადგენილებით.

- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმით.

371. თბილისის მერი, რომელსაც უფლებამოსილების ამოწურვამდე 3 წელი ჰქონდა დარჩენილი, მოულოდნელად გარდაიცვალა. მერის უფლებამოსილების შეწყვეტიდან მე-8 დღეს საქართველოს პრეზიდენტმა დანიშნა თბილისის მერის რიგგარეშე არჩევნები. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, თბილისის მერის რიგგარეშე არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტს თბილისის მერის რიგგარეშე არჩევნები უნდა დაენიშნა მერის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუადრეს მე-5 და არაუგვიანეს მე-11 დღისა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტს თბილისის მერის რიგგარეშე არჩევნები უნდა დაენიშნა მერის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუადრეს მე-8 და არაუგვიანეს მე-10 დღისა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი თბილისის მერის რიგგარეშე არჩევნებს ნიშნავს ცესკო.

372. კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნები:
- ტარდება მხოლოდ პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით
- არ ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებამდე
- ტარდება პარლამენტის გადაწყვეტილებით
- არ ტარდება, ამ მდგომარეობის გამოცხადებიდან არაუადრეს 60 დღისა

373. რა შემთხვევაშია დასაშვები საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა?
- დასაშვებია, თუ ამას ერთობლივად გადაწყვეტენ საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ- მინისტრი
- დასაშვებია, თუ ამის შესახებ არსებობს სატელეფონო შეთანხმება საქართველოსა და, მაგალითად, თურქეთის პრეზიდენტებს შორის
- დასაშვებია, თუ ამას ითვალისწინებს, მაგალითად, საქართველო-თურქეთის შესაბამისი შინაარსის საერთაშორისო ხელშეკრულება
- დასაშვებია მხოლოდ ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით

374. კონსტიტუციის მიხედვით, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული რამდენი პარლამენტის წევრისაგან შედგება საქართველოს პარლამენტი?
- 50.
- 77.
- 75.
- 100.

375. ვინ და რა ფორმით ნიშნავს მერის/გამგებლის არჩევნების მეორე ტურს ?
- მერის/გამგებლის არჩევნების მეორე ტურს განკარგულებით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
- მერის/გამგებლის არჩევნების მეორე ტურს განკარგულებით ნიშნავს ცესკო.
- მერის/გამგებლის არჩევნების მეორე ტურს ბრძანებით ნიშნავს ცესკოს თავმჯდომარე.
- მერის/გამგებლის არჩევნების მეორე ტურს საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს.

376. საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენ წევრს ნიშნავს საქართველოს პარლამენტი?
- ნიშნავს 3 წევრს.
- ნიშნავს 4 წევრს.
- ნიშნავს 2 წევრს და თავმჯდომარეს.
- არცერთი პასუხი არ შეესაბამება კონსტიტუციას - საქართველოს პარლამენტი ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს.

377. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია არასწორი?
- ყოველი 500 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ ერთი კაბინა.
- თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, განცხადება ამის შესახებ უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას, როგორც საარჩევნო უბანში, ისე ფარული კენჭისყრის კაბინაში.
- კენჭისყრის შენობაში ფარული კენჭისყრისთვის უნდა მოეწყოს კაბინები, რომელთა ერთი მხარე ღია უნდა იყოს მისი სიმაღლის ნახევრამდე, ხოლო ზედა ნახევარი ფარდით უნდა იყოს დაფარული.
- კენჭისყრის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეო გადაღება ნებადართულია.

378. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავდა წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, მისი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით მიმართა ცესკოს თავმჯდომარეს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე 58-ე დღეს. არის თუ არა რაიმე დარღვევა მოცემულ შემთხვევაში?

- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 52-ე დღისა უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, საპარლამენტო არჩევნების წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, საპარლამენტო არჩევნების წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს.

379. რა შემთხვევაში ინიშნება მერის/გამგებლის არჩევნების მეორე ტური?
- თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო საარჩევნო კოდექსით გან საზღვრული ხმათა საჭირო რაოდენობა.
- მერის/გამგებლის არჩევნების მეორე ტურს საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს.
- მერის/გამგებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში.
- არჩევნების შედეგების ბათილად მიჩნევის შემთხვევაში.

380. რომელი მსჯელობაა სწორი?
- თუ პარტიული სიით საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეულმა პირმა საარჩევნო კოდექსით დადგენილ ვადაში არ გაიარა ნარკოლოგიური შემოწმება ან/და უარი განაცხადა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, ცესკო იღებს დადგენილებას, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობის შესახებ.
- არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.
- თუ პარტიული სიით საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეულმა პირმა საარჩევნო კოდექსით დადგენილ ვადაში არ გაიარა ნარკოლოგიური შემოწმება ან/და უარი განაცხადა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, საქართველოს პარლამენტი იღებს განკარგულებას საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობის შესახებ.
- თუ პარტიული სიით საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეულმა პირმა საარჩევნო კოდექსით დადგენილ ვადაში არ გაიარა ნარკოლოგიური შემოწმება ან/და უარი განაცხადა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, საქართველოს პარლამენტი იღებს დადგენილებას, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობის შესახებ.

381. როგორია დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საარჩევნო კომისიის განკარგულების გასაჩივრების წესი?
- საარჩევნო კომისიის განკარგულება მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.
- საარჩევნო კომისიას უფლება არა აქვს დამკვირვებელ ორგანიზაციას უარი უთხრას რეგისტრაციაზე.
- საარჩევნო კომისიის განკარგულება მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.
- საარჩევნო კომისიის განკარგულება დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ არ საჩივრდება.

382. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების დროს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ დგება 1 შემაჯამებელი ოქმი.
- საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების დროს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ დგება 2 შემაჯამებელი ოქმი.
- საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების დროს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ დგება 3 შემაჯამებელი ოქმი.
- საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების დროს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ დგება 4 შემაჯამებელი ოქმი.

383. რამდენი დამკვირვებელი შეიძლება ჰყავდეს არჩევნებზე ერთ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას თითო საარჩევნო უბანში ერთდროულად?
- არა უმეტეს ორისა.
- არა უმეტეს ოთხისა.
- არა უმეტეს ერთისა.
- არა უმეტეს სამისა.

384. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რისი უფლება აქვს დამკვირვებელს?
- ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი.
- მოსთხოვოს ამომრჩეველს, უჩვენოს, რამდენი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს ხელში.

- აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.
- გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე.

385. ვის აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში?
- არჩევნების პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე სამ კანდიდატს.
- არჩევნების პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს.
- იმ კანდიდატებს, რომლებიც პირველ ტურში არ მონაწილეობდნენ.
- არჩევნების პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ოთხ კანდიდატს.

386. ამომრჩევლის შესახებ რომელი მონაცემის მითითება არ არის საჭირო მხარდამჭერთა სიის ბლანკში?
- სახელი და გვარი.
- საქართველოს მოქალაქის პირადი ნომრის.
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ნომრის.
- ტელეფონის ნომრის.

387. ვინ ადგენს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის წესს, პირობებსა და ვადებს ?
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცესკო.

388. ინფორმაციის საჯაროობიდან გამომდინარე, მოთხოვნიდან რა ვადაში უნდა გადაეცეს მომთხოვნს საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია?
- მოთხოვნიდან 2 დღის ვადაში.
- მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- მოთხოვნიდან 1 დღის ვადაში.

389. ვის აქვს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის წარდგენის უფლება იმ წევრთაგან, ვინც არჩეულია აჭარის ავტონომიური რეპუბლიკიდან?
- საქართველოს პრეზიდენტს.
- პარლამენტის თავმჯდომარეს.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან არჩეულ დეპუტატებს.
- პარლამენტის ნებისმიერ წევრს.

390. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელს არ იცავს იმუნიტეტი დაპატიმრებისგან?
- საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს.
- ცესკოს თავმჯდომარეს.
- ყველა მსჯელობა მცდარია.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს.

391. ვინ არის უფლებამოსილი აირჩიოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე?
- ცესკო.
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

392. საინიციატივო ჯგუფმა მიმართა ცესკოს მკვლელობისვთის მსჯავრდებული კ. კერესელიძის შეწყალების საკითხის რეგისტრაციისვთის, მასზე რეფერენდუმის გამართვის მიზნით, რაზეც ცესკომ უარი განუცხადა. კანონიერი იყო თუ არა ცესკოს მოქმედება?
- არა, რადგან ცესკოს უფლებამოსილებაში არ შედის რეფერენდუმის მოწყობის საკითხის გადაწყვეტა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არანაკლებ 300000 ამომრჩევლის ხელმოწერით უნდა ყოფილიყო დამოწმებული საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, დაუშვებელია რეფერენდუმის მოწყობა შეწყალების გამო.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არანაკლებ 200000 ამომრჩევლის ხელმოწერით უნდა ყოფილიყო დამოწმებული საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნა.

393. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ვინ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად?
- ნასამართლევი პირი, რომელსაც სანქციის სახით შეფარდებული აქვს ჯარიმა.
- საქართველოს პარლამენტის წევრი.
- სამინისტროს დეპარტამენტების ხელმძღვანელები.
- მოსამართლის თანაშემწე.

394. N1 საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით. რა ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება?
- საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 1 დღის ვადაში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

395. რომელ ორგანოს უნდა მიმართოს თანხმობისათვის საქართველოს მოქალაქემ საქართველოში შემოსვლისათვის, თუ იგი 4 წლის განმავლობაში ცხოვრობდა ბელგიაში?
- შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში, ვინაიდან ნებართვა არის საჭირო საქართველოს იმ მოქალაქეებისათვის, ვინც 5 ან მეტი წელი ცხოვრობდა საზღვარგარეთ
- ყოველგვარი ნებართვის გარეშე საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში
- საგარეო საქმეთა სამინისტროს
- შინაგან საქმეთა სამინისტროს

396. ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ რეგისტრაციაში გატარების მიზნით კანონით დადგენილ ვადაში მიმართა შესაბამის საარჩევნო კომისიას, რომელმაც განცხადების მიღებიდან მე-7 დღეს გადაწყვიტა რეგისტრაციის საკითხი. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციის საკითხი ასეთ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს განცხადების მიღებიდან 9 დღის ვადაში.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციის საკითხი ასეთ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციის საკითხი ასეთ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს განცხადების მიღებიდან 7 დღის ვადაში.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციის საკითხი ასეთ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში.

397. როდის აქვს საარჩევნო სუბიექტს უფლება, გამოიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი:
- არჩევნების დღემდე ნებისმიერ დროს, გარდა კენჭისყრის დღისა.
- არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა.
- არჩევნებამდე არა უგვიანეს 3 დღისა.
- არჩევნებამდე არა უგვიანეს 7 დღისა.

398. კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის დროებით გადაცემა კომისიის სხვა წევრისთვის შეიძლება მხოლოდ:
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნებართვით.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნებართვით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნებართვით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის ნებართვით.

399. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტი არ არის:
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბრძანებულება.
- საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება.

400. პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა არის:
- იგივე ვადა, რაც საქართველოს პრეზიდენტს.
- 4 წელი.

- 2 წელი.
- პარლამენტის უფლებამოსილების ვადა.

401. საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს ცენტრალური საარჩევნო კომისია აქვეყნებს:
- 5 დღის ვადაში.
- საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 2 დღის ვადაში.
- შედეგების შეჯამებიდან 7 დღის ვადაში.
- 10 დღის ვადაში.

402. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ დარღვევებზე საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ გამოიტანა გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით, რომელიც გასაჩივრებული იქნა უსკოში რა უნდა მოიმოქმედოს უსკომ?
- უსკომ უნდა განიხილოს საჩივარი და მიიღოს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.
- უსკომ საჩივარი მასალებთან ერთად უნდა გადააგზავნოს შესაბამის სასამართლოში.
- უსკომ საჩივარი განუხილველად უნდა დატოვოს.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

403. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს პრეზიდენტის, თვითმმართველი ქალაქის (მათ შორის, ქალაქ თბილისის) მერის, თვითმმართველი თემის გამგებლისა და შუალედური არჩევნების დროს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ დგება 3 შემაჯამებელი ოქმი.
- საქართველოს პრეზიდენტის, თვითმმართველი ქალაქის (მათ შორის, ქალაქ თბილისის) მერის, თვითმმართველი თემის გამგებლისა და შუალედური არჩევნების დროს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ დგება 1 შემაჯამებელი ოქმი.
- საქართველოს პრეზიდენტის, თვითმმართველი ქალაქის (მათ შორის, ქალაქ თბილისის) მერის, თვითმმართველი თემის გამგებლისა და შუალედური არჩევნების დროს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ დგება 2 შემაჯამებელი ოქმი.
- არც ერთი მსჯელობა არ არის სწორი.

404. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არაუგვიანეს მე-7 დღისა რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი დამკვირვებელი და დამკვირვებელ ორგანიზაციას გადასცეს დამკვირვებლის მოწმობა, რომელიც იმავდროულად არ არის სამკერდე ნიშანი.
- საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არაუგვიანეს მე-4 დღისა რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი დამკვირვებელი და დამკვირვებელ ორგანიზაციას გადასცეს დამკვირვებლის მოწმობა, რომელიც იმავდროულად არის სამკერდე ნიშანი.
- საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი დამკვირვებელი და დამკვირვებელ ორგანიზაციას გადასცეს დამკვირვებლის მოწმობა, რომელიც იმავდროულად არის სამკერდე ნიშანი.
- საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არაუგვიანეს მე-3 დღისა რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი დამკვირვებელი და დამკვირვებელ ორგანიზაციას გადასცეს დამკვირვებლის მოწმობა, რომელიც იმავდროულად არ არის სამკერდე ნიშანი.

405. რა კვორუმია საჭირო საქართველოს პარლამენტში საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებისათვის?
- საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირება პარლამენტში არ ხდება - ეს საქართველოს პრეზიდენტის პრეროგატივაა.
- საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება საქართველოს პარლამენტში ხდება სიითი შემადგენლობის ორი მესამედით.
- საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება ხდება საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება საქართველოს პარლამენტში ხდება სრული შემადგენლობის ორი მესამედით.

406. კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი არის:
- საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო
- ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო
- ევროპარლამენტის სტრუქტურული ნაწილი
- პრეზიდენტის სათათბირო ორგანო

407. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დაპატიმრებაზე თანხმობის თაობაზე ცენტრალური საარჩევნო კომისია განკარგულებას იღებს:
- მისი დაკავებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.
- საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინების მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.
- დანაშაულის ჩადენიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

- რეგისტრაციიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

408. განცხადება/საჩივარს ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ, ჩანაწერთა წიგნში რეგისტრაციის შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისია ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემს:
- კენჭისყრის შედეგების შეჯამებიდან 48 საათის განმავლობაში.
- კენჭისყრის დღიდან 2 დღის განმავლობაში.
- კენჭისყრის შედეგების შეჯამებიდან 24 საათის განმავლობაში.
- კენჭისყრის დღის 20 საათიდან 24 საათის განმავლობაში.

409. რა ხდება იმ შემთხვევაში თუკი არ მოხდა საარჩევნო კომისიებში პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის სრულად ათვისება?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- პარტია ვალდებულია არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება.
- პარტია უფლებამოსილია არჩევნების შედეგების შეჯამებამდე ან შეჯამების შემდეგ 15 დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება.
- პარტია უფლებამოსილია არჩევნების შედეგების შეჯამებამდე 15 დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება.

410. ხმის დათვლის პროცედურის დამთავრების შემდეგ შემაჯამებელ ოქმში გაპარული მექანიკური შეცდომის აღმოფხვრის მიზნით, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ საკუთარი ინიციატივით გადაასწორა შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემი. სწორად მოიქცა თუ არა კომისიის თავმჯდომარე?
- არ მოიქცა სწორად, ვინაიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში მონაცემების გადასწორება ნებისმიერ შემთხვევაში აკრძალულია.
- არ მოიქცა სწორად, ვინაიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის გადასწორება შეიძლება მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის თანხმობის შემთხვევაში.
- არ მოიქცა სწორად, ვინაიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის გადასწორება შეიძლება მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის თანხმობის შემთხვევაში.
- სწორად მოიქცა, ვინაიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის გადასწორება შეიძლება მხოლოდ მექანიკური შეცდომის აღმოფხვრის მიზნით.

411. მოხელეს პირველი კლასის მრჩევლის საკლასო ჩინი შეუნარჩუნდა თანამდებობიდან გადადგომის შემდეგაც. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გადამდგარი მოხელისათვის საკლასო ჩინის შენარჩუნება:
- არ არის კანონიერი, ვინაიდან მოხელეს თანამდებობიდან გადადგომისას არ უნარჩუნდება საკლასო ჩინი.
- კანონიერია, ვინაიდან მოხელეს თანამდებობიდან გადადგომისას უნარჩუნდება საკლასო ჩინი მითითებით „გადამდგარი“.
- არ არის კანონიერი, ვინაიდან მოხელეს საკლასო ჩინი უნარჩუნდება მხოლოდ სამუშაოს შეცვლის შემთხვევაში.
- კანონიერია, ვინაიდან მხოლოდ პირველი კლასის მრჩეველს უნარჩუნდება საკლასო ჩინი თანამდებობიდან გადადგომის შემდეგაც.

412. ვინ არის უფლებამოსილი დანიშნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი თანამდებობაზე?
- საქართველოს პარლამენტის წარდგინებით ცესკო.
- ცესკო.
- ცესკოს თანხმობით ცესკოს თავმჯდომარე.
- საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით საქართველოს პარლამენტი.

413. კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე აღინიშნება:
- უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა.
- კენჭისყრის მიმდინარეობის თაობაზე პრეტენზიები.
- კომისიის წევრთა ვინაობა.
- კომისიის წევრთა შორის წილისყრით ფუნქციების განაწილების შედეგები.

414. კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- პროკურატურის ორგანოების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს შინაგან საქმეთა მინისტრი.
- პროკურატურის ორგანოების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს მთავარი პროკურორი.
- პროკურატურის ორგანოების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს იუსტიციის მინისტრი.
- პროკურატურის ორგანოების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს პრემიერ-მინისტრი.

415. რომელი მსჯელობაა სწორი?
- თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, განცხადება ამის შესახებ უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას კენჭისყრის შენობაში და უნდა მოხდეს ამომრჩეველთა სიტყვიერი გაფრთხილება.
- თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, ამის შესახებ განცხადება უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას, როგორც კენჭისყრის შენობაში, ისე ფარული კენჭისყრის კაბინებში.
- თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, განცხადება ამის შესახებ უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას ფარული კენჭისყრის კაბინაში (ოთახში) და უნდა მოხდეს ამომრჩეველთა სიტყვიერი გაფრთხილება.
- თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, განცხადება ამის შესახებ უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას როგორც კენჭისყრის შენობის გარეთ (შესასვლელთან), ისე კენჭისყრის შენობაში და უნდა მოხდეს ამომრჩეველთა სიტყვიერი გაფრთხილება.

416. კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ვინ აწერს ხელს დალუქული გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების პაკეტზე?
- მთვლელები და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი.
- კენჭისყრის დღეს კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი.
- მთვლელები და კომისიის ყველა წევრი.

417. შესაბამის საარჩევნო კომისიაში კანდიდატმა შეიტანა განცხადება რეგისტრაციაზე და კანონით დადგენილი წესით წარადგინა მხარდამჭერთა სიები. საარჩევნო კომისიამ კანონით დადგენილი წესით შეამოწმა მხარდამჭერთა სიები, მათი წარდგენიდან 3 დღის ვადაში და დაარეგისტრირა კანდიდატი. საარჩევნო რეგისტრაციის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადის ამოწურვიდან მე-15 დღეს კი გაანადგურა მხარდამჭერთა სიები. სწორად მოიქცა თუ არა საარჩევნო კომისია?
- საარჩევნო კომისია სწორად მოიქცა, ვინაიდან მას არ დაურღვევია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები.
- საარჩევნო კომისია სწორად არ მოიქცა, ვინაიდან მას არ აქვს მხარდამჭერთა სიების განადგურების უფლება.
- საარჩევნო კომისია სწორად არ მოიქცა, ვინაიდან მხარდამჭერთა სიები უნდა გაენადგურებინა საარჩევნო რეგისტრაციის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადის ამოწურვიდან 10 დღეში.
- საარჩევნო კომისია სწორად არ მოიქცა, ვინაიდან მხარდამჭერთა სიები უნდა შეემოწმებინა მათი წარდგენიდან 2 დღის ვადაში.

418. საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი ფორმდება:
- სხდომიდან 2 დღის ვადაში.
- სხდომის დასრულებიდან 2 საათში.
- სხდომიდან 1 დღის ვადაში.
- სხდომიდან 3 დღის ვადაში.

419. საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ ცესკოს წევრს გ. კიღურაძეს არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 40 დღის განმავლობაში, უფლებამოსილების შეუსრულებლობისთვის პარლამენტის დადგენილებით ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება. კანონიერია თუ არა საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება?
- არა, რადგან საარჩევნო კანონმდებლობით უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 2 თვის განმავლობაში ცესკოს წევრის მიერ უფლებამოსილების შეუსრულებლობა.
- არა, რადგან საარჩევნო კანონმდებლობით უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 3 თვის განმავლობაში ცესკოს წევრის მიერ უფლებამოსილების შეუსრულებლობა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კანონმდებლობით უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია არასაპატიო მიზეზით ზედიზედ ერთი თვის განმავლობაში ცესკოს წევრის მიერ უფლებამოსილების შეუსრულებლობა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კანონმდებლობით უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ცესკოს წევრის მიერ უფლებამოსილების შეუსრულებლობა.

420. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციას ახორციელებს:
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.

421. მოხელის სამსახურებრივი დაწინაურებისათვის
- საჭიროა მისი წერილობითი თანხმობა.
- საჭიროა მისი წერილობითი თანხმობა და შესაბამის დაწესებულებაში მუშაობის 3 წლის სტაჟის ქონა.
- მისი წერილობითი თანხმობა საჭირო არ არის.
- საჭიროა მისი უშუალო ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა.

422. ცესკოს დადგენილება მიღებულად ჩაითვლება:
- თუ მას მხარს დაუჭერს ცესკოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.
- თუ მას მხარს დაუჭერს ცესკოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედი.
- თუ მას მხარს დაუჭერს ცესკოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მეორედი.
- თუ მას მხარს დაუჭერს ცესკოს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი.

423. თქვენი აზრით რომელია ის გარემოება, რომელიც პრეზიდენტს არ აძლევს უფლებას დაითხოვოს პარლამენტი?
- პრემიერ-მინისტრის უარი კონტრასიგნაციის წესით ხელი მოაწეროს პრეზიდენტის აქტს პარლამენტის დათხოვნის შესახებ, თუ დათხოვნა ხორციელდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე.
- რეფერენდუმის მიმდინარეობა.
- პარლამენტის მიერ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელებისას.
- მიმდინარე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.

424. რომელი მსჯელობა არის სწორი? ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიტანება ამომრჩევლის შემდეგი მონაცემები:
- საქართველოს მოქალაქის ავტომანქანის მართვის მოწმობის ნომერი.
- მხოლოდ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ნომერი.
- საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი.
- საქართველოს მოქალაქის საპენსიო მოწმობის ნომერი.

425. სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა ქმნიდა დასაბუთებულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ ქეთევან ლეკვეიშვილი ბინაში უკანონოდ ინახავდა ცეცხლსასროლ იარაღს. გამოძიებისთვის ასევე ცნობილი იყო, რომ ქეთევან ლეკვეიშვილი წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს. გადაუდებელი აუცილებლობის გამო, გამომძიებელმა გამოიტანა დადგენილება ქეთევან ლეკვეიშვილის ბინის ჩხრეკის თაობაზე, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობა ცესკოს. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- დიახ, რადგან დაუშვებელია ჩხრეკის ჩატარება საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიმართ ცესკოს თანხმობის გარეშე.
- დიახ, რადგან აღნიშნულის შესახებ ცესკოსთვის უნდა ეცნობებინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.
- არა, რადგან საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს არ იცავს იმუნიტეტი ჩხრეკისგან.
- არა, რადგან არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა ჩხრეკის ჩატარების, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობა ცესკოს.

426. რომელი მსჯელობაა სწორი?
- პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც კანდიდატად რეგისტრაციისას უფრო მეტი მხარდამჭერთა ხელმოწერა წარადგინა.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში ტარდება პრეზიდენტის არჩევნების მესამე ტური.
- პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო.

427. რომელი ორგანო (პირი) ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის სახელმწიფო კონტროლს?
- ცესკოს თავმჯდომარე.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
- ცესკო.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

428. კენჭისყრამდე რა ვადაში უნდა წარუდგინოს ცესკომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარებისთვის განკუთვნილი დაფინანსების გეგმა?
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 70 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 60 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 65 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 55 დღისა.

429. კონსტიტუციის მიხედვით, ვის აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს პარლამენტში?
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მეთაურს.

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს.
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს - უმაღლეს საბჭოს.

430. პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის განცხადებაში მითითებული უნდა იყოს პრეზიდენტობის კანდიდატის:
- სამუშაო ადგილი.
- რომელი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა.
- მშობლების ვინაობა.
- ოჯახური მდგომარეობა.

431. რომელი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი მიეკუთვნება მერობის/გამგებლობის კანდიდატს?
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- მისი წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი.
- მისი წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის რიგით მომდევნო ნომერი.
- თბილისის მერობის კანდიდატს რიგითი ნომერი არ მიენიჭება.

432. საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრიდან რამდენ ხანში წყვეტს ყოველგვარ ანგარიშსწორებას ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან?
- არაუგვიანეს მე-20 დღისა.
- არაუადრეს მე-10 დღისა.
- არაუადრეს მე-20 დღისა.
- არაუგვიანეს 30-ე დღისა.

433. კონსტიტუციის მიხედვით, რა სახის ნორმატიული აქტითაა დადგენილი პოლიტიკური პარტიის შექმნის წესები?
- ორგანული კანონით
- კანონით
- პრეზიდენტის ბრძანებულებით
- კონსტიტუციური შეთანხმებით

434. ვის უნდა მიმართოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით?
- ცესკოს თავმჯდომარეს.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.
- შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

435. რა სახის სამართლებრივი აქტით თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან უსკოს თავმჯდომარის მოადგილე?
- უმაღლესი საბჭოს დადგენილებით.
- უსკოს თავმჯდომარის განკარგულებით.
- უსკოს დადგენილებით.
- უსკოს განკარგულებით.

436. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა პოლიტიკური პარტია „მომავალი თაობა", რომელიც არჩევნების წინ ახორციელებდა წინასაარჩევნო აგიტაციას. მან დაიქირავა მოქალაქეები საგიტაციო პლაკატების გასაკვრელად, რომლებმაც აღნიშნული პლაკატები გააკრეს იმ შენობაზე, რომლებიც კერძო საკუთრებაში ჰქონდა მოქალაქე ვლადიმერ ქირიას. ქირიამ იჩივლა ამასთან დაკავშირებით და საჩივარში მიუთითა, რომ მათთვის არ მიუცია ნებართვა. ჰქონდათ თუ არა პლაკატების გაკვრის უფლება წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილე პირებს?
- წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილე პირებს ჰქონდათ უფლება, რადგან საგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის გარეშეც, მაგრამ ისინი ჩამოხსნილ უნდა იქნეს არჩევნების დამთავრებიდან 10 დღის განმავლობაში.
- წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილე პირებს არ ჰქონდათ უფლება, რადგან საგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.
- წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილე პირებს ჰქონდათ უფლება, რადგან საგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის გარეშეც, მაგრამ ისინი ჩამოხსნილ უნდა იქნეს არჩევნების დამთავრებიდან 15 დღის განმავლობაში.
- წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილე პირებს ჰქონდათ უფლება, რადგან საგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-

ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის გარეშეც, მაგრამ ისინი ჩამოხსნილ უნდა იქნეს კენჭისყრამდე არა უგვიანეს 15 დღისა.

437. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იაძემ გადაწყვიტა, რომ ოჯახური პირობების გამო გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან. თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით მან განცხადებით მიმართა ცესკოს. სწორად მოიქცა თუ არა იაძე?
- იაძე არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.
- იაძე არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს პარლამენტს.
- იაძე არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს უშუალოდ ცესკოს თავმჯდომარეს.
- იაძე არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

438. ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებში საკონტროლო ფურცლები იყრება:
- პირველი ამომრჩევლის მოსვლის შემდეგ.
- საარჩევნო უბნის გახსნისთანავე.
- კენჭისყრის დღის 8 საათზე.
- კომისიის წევრებს შორის ფუნქციების განაწილებისთანავე.

439. რამდენიმე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციას ახორციელებენ:
- ცესკოს მდივანი ან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნები.
- ცესკოს თავმჯდომარე და მდივანი.
- ცესკოს თავმჯდომარე ან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები.
- საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები და მდივნები.

440. კონსტიტუციის მიხედვით, კანონი ძალაში შედის:
- თუ სხვა ვადა არაა მითითებული ამ კანონში, მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.
- თუ სხვა ვადა არაა მითითებული ამ კანონში, მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს.
- კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებისთანავე.
- თუ სხვა ვადა არაა მითითებული ამ კანონში, მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

441. საარჩევნო კომისიის სხდომაზე წესრიგის დარღვევისა და საარჩევნო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში, დამრღვევის გაძევების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს:
- მხოლოდ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ზემდგომი საარჩევნო კომისია.
- საარჩევნო კომისიის სხდომის მდივანი.
- შესაბამისი საარჩევნო კომისია.

442. რა საფუძვლის არსებობისას შეუძლია საქართველოს პარლამენტს თანამდებობიდან გადააყენოს საქართველოს პრეზიდენტი?
- თუ ერთი საპარლამენტო სესიის განმავლობაში 10-ზე მეტჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება და ყველა შემთხვევაში პარლამენტმა გადალახა მისი ვეტო.
- თუ მის მიერ პარლამენტში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ასარჩევად წარდგენილი კანდიდატურა პარლამენტმა არ მოიწონა და არ აირჩია.
- თუ ერთი სესიის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული 10 კანონპროექტის მიმართ გამოიყენა ვეტოს უფლება.
- თუ დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია, რაც იმაში გამოიხატა, რომ ნაცვლად 10 დღისა, რომლის განმავლობაში მას უნდა მოეხდინა კანონპროექტის ხელმოწერა და კანონის გამოქვეყნება, მან ეს მე-11 დღეს გააკეთა.

443. რომელი მსჯელობაა სწორი?
- თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნების მეორე ტური ტარდება ცესკოს მიერ მისი დანიშვნის შესახებ განკარგულების მიღებიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა.
- თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნების მეორე ტური ტარდება ცესკოს მიერ მისი დანიშვნის შესახებ განკარგულების მიღებიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა.
- თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნების მეორე ტური ტარდება ცესკოს მიერ მისი დანიშვნის შესახებ დადგენილების მიღებიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა.
- თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნების მეორე ტური ტარდება ცესკოს მიერ მისი დანიშვნის შესახებ განკარგულების მიღებიდან

არაუგვიანეს მე-5 დღისა.

444. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ის თანამდებობის პირი,რომელიც:
- საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია.
- საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია.
- ყველა პასუხი სწორია.
- თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში.

445. რამდენი ხმის მიცემის ადგილი (კაბინა) უნდა იყოს კენჭისყრის შენობაში ხმის მიცემის ფარულობის უზრუნველსაყოფად?
- ყოველი 300 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ 1 ხმის მიცემის ადგილი (კაბინა).
- ყოველი 500 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ 1 ხმის მიცემის ადგილი (კაბინა).
- ყოველი 200 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ 1 ხმის მიცემის ადგილი (კაბინა).
- ყოველი 400 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ 1 ხმის მიცემის ადგილი (კაბინა).

446. 21 თებერვალს, კანონით დადგენილი წესით უფლებამოსილება შეუწყდა ცესკოს თავმჯდომარეს. საქართველოს პრეზიდენტმა კანონით დადგენილ ვადაში ცესკოს წარუდგინა ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურები. ცესკომ მისთვის დადგენილ ვადაში ვერ აირჩია თავმჯდომარე. ამის გამო პრეზიდენტმა კანონით დადგენილი წესით კანდიდატურები წარუდგინა პარლამენტს. პარლამენტმა აირჩია ერთ-ერთი კანდიდატურა. ვის უნდა წარუდგინოს პარლამენტმა შესაბამისი გადაწყვეტილება ცესკოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ?
- ცესკოს.
- საქართველოს პრეზიდენტს.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- პრეზიდენტის ადმინისტრაციას.

447. სახელმწიფო მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს
- საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.
- საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 25 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.
- საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.
- საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება და მიაღწია 21 წლის ასაკს.

448. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნას რეფერენდუმის მოწყობის შესახებ და თავის დასკვნას ცესკო წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.
- საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნას რეფერენდუმის მოწყობის შესახებ და თავის დასკვნას ცესკო წარუდგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.
- საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნას რეფერენდუმის მოწყობის შესახებ და თავის დასკვნას ცესკო წარუდგენს ფინანსთა სამინისტროს.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.

449. რა შემთხვევაში ტარდება მერის/გამგებლის რიგგარეშე არჩევნები?
- რიგგარეშე არჩევნები არ ტარდება.
- მერის/გამგებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, თუ უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 1 წელზე მეტი.
- მერის/გამგებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, თუ უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები.
- მერის/გამგებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, თუ უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 6 თვეზე მეტი.

450. კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს რომელი კონსტიტუციის ისტორიულ - სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობითაა გამოცხადებული საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია?
- საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციაზე დაყრდნობით
- საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ - სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით
- მოქმედ კონსტიტუციაში არც ერთ კონკრეტულ კონსტიტუციაზე მითითება არ არსებობს
- ვახტანგ მეექვსის კანონთა წიგნზე (კონსტიტუციაზე) დაყრდნობით

451. ვინ შეიძლება იყოს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ადგილობრივი დამკვირვებელი?
- საქართველოს მოქალაქე 16 წლის ასაკიდან.
- საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არ მქონე პირი 18 წლის ასაკიდან.
- საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან.
- საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არ მქონე პირი 21 წლის ასაკიდან.

452. პოლიტიკური პარტიის „ნათების" წარმომადგენელმა სცადა თავისი პარტიის სააგიტაციო პლაკატის გაკვრა გამგეობის შენობაში. გამგეობის თანამშრომლებმა მას არ მისცეს აღნიშნულის უფლება და განუმარტეს, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსით დაუშვებელია გამგეობის შენობაში საარჩევნო პლაკატების გაკვრა, ხოლო შენობის გარეთა კედელზე, რამდენიც უნდოდა იმდენი გაეკრა. სამართლიანია თუ არა გამგეობის თანამშრომელთა პასუხი?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- უსამართლოა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით საარჩევნო პლაკატების გაკვრა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შენობებში დასაშვებია ამავე დაწესებულების ხელმძღვანელის ნებართვით.
- სამართლიანია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შენობების მხოლოდ ინტერიერში.
- უსამართლოა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში.

453. რა სახის სამართლებრივი აქტითაა დაცული ბავშვთა უფლებები?
- დაცულია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დებულებით
- დაცულია პრეზიდენტის დებულებით
- დაცულია სახალხო დამცველის დებულებით
- დაცულია კანონით

454. ვინ ატარებს რეგისტრაციაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს?
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე განკარგულებით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია დადგენილებით.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე განკარგულებით.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია დადგენილებით.

455. ვინ იკავებს პარტიული სიით არჩეული გამოკლებული წევრის ადგილს პარლამენტში?
- უფლებამონაცვლე პარლამენტის წევრი შეირჩევა პარტიის გამგეობის გადაწყვეტილებით.
- შერჩევა პარტიის თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მოხდება.
- იმავე სიაში რიგით მომდევნო პარლამენტის წევრობის კანდიდატი.
- პარტიული სიიდან, პარტიის მიერ წარდგენილი 3 კანდიდატიდან პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით შეარჩევს.

456. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, რა შემთხვევაში შეუძლია ადმინისტრაციულ ორგანოს, აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება ზეპირად გამოსცეს?
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ექმნება მოსახლეობის ჯანმრთელობას.
- თუ მოსალოდნელია გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმა.
- თუ არსებობს იმ წერილობითი მტკიცებულებების დაკარგვის საფრთხე, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს გადაწყვეტილებას.

457. საქართველოს მოქალაქე ცეცხლაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებული იყო N81 საოლქო საარჩევნო კომისიაში ადგილობრივ დამკვირვებლად და არჩევნებს აკვირდებოდა ზ/აღნიშნულ ოლქში. ცეცხლაძემ მოინდომა, რომ არჩევნების პროცესზე დაკვირვება განეხორციელებინა ზ/აღნიშნულ ოლქში შემავალ ერთ-ერთ საუბნო საარჩევნო კომისიაზე, რაზეც N81 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უარი განუცხადა ცეცხლაძეს. შეაფასეთ N81 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედების კანონიერება.
- N81 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება არაკანონიერია, რადგანსაარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით საოლქო საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს ყველა დონის ნებისმიერ საარჩევნო კომისიაში.
- N81 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება არაკანონიერია, რადგანსაარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით საოლქო საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს მხოლოდ უსკოში.
- N81 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება არაკანონიერია, რადგანსაარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით საოლქო საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს მხოლოდ იმ საოლქო საარჩევნო კომისიაში სადაც დარეგისტრირებულია დამკვირვებლად და არა ამ ოლქში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიებზე.

- N81 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება არაკანონიერია, რადგანსაარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით საოლქო საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს მხოლოდ ამ საოლქო საარჩევნო და მასში შემავალ ნებისმიერ საუბნო საარჩევნო კომისიაში.

458. საიდან ფინანსდება არჩევნების/რეფერენდუმის მოსამზადებლად და ჩასატარებლად საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯი და მისი საქმიანობა უფლებამოსილების განხორციელების ვადაში?
- ცესკოს ბიუჯეტიდან.
- არასამთავრობო ორგანიზაციებიდან.
- პარლამენტის ბიუჯეტიდან.
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

459. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი არაა პრეზიდენტის მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საბაბი?
- ეკოლოგიური კატასტროფა.
- მასობრივი არეულობა.
- სტუდენტების მიერ მასობრივი საპროტესტო აქციის ჩატარება.
- ეპიდემია.

460. რომელი სამართლებრივი აქტით განისაზღვრება რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები?
- პარლამენტის რეგლამენტით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით.
- პრეზიდენტის ბრძანებულებით.
- ორგანული კანონით.

461. ვინ და რა ვადაში უნდა შეაჯამოს საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე კენჭისყრისა და არჩევნების შედეგები?
- საოლქო საარჩევნო კომისიამ კენჭისყრიდან არა უგვიანეს მე-11 დღისა.
- საოლქო საარჩევნო კომისიამ კენჭისყრიდან არა უგვიანეს მე-4 დღისა.
- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კენჭისყრიდან არა უგვიანეს ორი კვირისა.
- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კენჭისყრიდან არა უგვიანეს ათი დღისა.

462. პოლიტიკური პარტია „ნათელი მომავალის" წევრმა 26 წლის გაიოზ ვაშაყმაძემ თავისი კანდიდატურა წარადგინა ცესკოს წევრობაზე. საკონკურსო კომისიამ უარი განუცხადა მას საბუთების მიღებაზე და დაასაბუთა იმით, რომ გაიოზ ვაშაყმაძე იყო პარტიული. სწორია თუ არა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება?
- კომისიის გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან ცესკოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს ნებისმიერი საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.
- კომისიის გადაწყვეტილება სწორია, რადგან ცესკოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს ნებისმიერი საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან.
- კომისიის გადაწყვეტილება არასწორია, რადგან ცესკოს კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე 21 წლის ასაკიდან.
- კომისიის გადაწყვეტილება სწორია, რადგან ცესკოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო.

463. კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის რომელი აქტი საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას?
- პრეზიდენტის ის აქტები, რომლებიც უკავშირდება პრემიერ-მინისტრის დანიშვნას.
- პრეზიდენტის ის აქტები, რომლებზედაც მთავრობას მიცემული აქვს წინასწარი თანხმობა.
- დეკრეტები, რომლებსაც პრეზიდენტი გამოსცემს საგანგებო მდგომარეობის დროს.
- პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია, ამიტომ მისი აქტები არავითარ თანახელმოწერას (კონტრასიგნაციას) არ საჭიროებს.

464. საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება:
- ქართულ და ადგილობრივი მოსახლეობისთვის გასაგებ სხვა ენაზე.
- ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- ქართულ ენაზე, აფხაზეთში - აგრეთვე აფხაზურ ენაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში –ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ სხვა ენაზეც.
- ქართულ ენაზე.

465. საპარლამენტო არჩევნების დღეს N5 საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართა აქტიური საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქემ

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თუმცა მან თავისი გვარი ვერ აღმოაჩინა ამომრჩეველთა ერთიან სიაში. საუბნო საარჩევნო კომისიის თანამშრომლებმა მას განუმარტეს, რომ ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. რამდენად მართებულია საუბნო საარჩევნო კომისიის პასუხი?
- საუბნო საარჩევნო კომისიის პასუხი არის მართებული, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის პასუხი არ არის მართებული, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის პასუხი არ არის მართებული, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება როგორც მისი საცხოვრებელი ადგილის, ისე რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

466. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით მოსამსახურეზე თავდასხმის შედეგად მისი დაღუპვის შემთხვევაში დაღუპულის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი დახმარება
- 25 000 ლარის ოდენობით.
- 15 000 ლარის ოდენობით.
- 10 000 ლარის ოდენობით.
- 20 000 ლარის ოდენობით.

467. ვინ წყვეტს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხს?
- პარლამენტი.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- პარლამენტის პროცედურულ საკითხთა კომიტეტი.
- საკონსტიტუციო სასამართლო.

468. რომელი პარტიები ნიშნავენ საარჩევნო პერიოდში უსკოს დანარჩენ 7 წევრს,თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას იღებს 10 პარტია?
- უსკოს დანარჩენ 7 წევრს ნიშნავს ის 7 პარტია, რომლებიც არჩეული იქნებიან პარლამენტის მიერფარული კენჭისყრით.
- უსკოს დანარჩენ 7 წევრს ნიშნავს ის 7 პარტია, რომელიც ყველაზე ადრეა დარეგისტრირებული.
- უსკოს დანარჩენი 7 წევრიდან თითოს ნიშნავს ის 7 პარტია, რომელიც ყველაზე მეტ დაფინანსებას იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
- უსკოს დანარჩენ 7 წევრს ნიშნავს ის 7 პარტია, რომელიც ყველაზე ნაკლებ დაფინანსებას იღებსსახელმწიფო ბიუჯეტიდან.

469. რომელ ორგანოს ან თანამდებობის პირს ეკისრება პასუხისმგებლობა პრეზიდენტის მიერ კონტრასიგნებულ სამართლებრივ აქტებზე?
- პრეზიდენტისა და პრემიერის მიერ ხელმოწერილ აქტს იმდენად მაღალი ხარისხი აქვს, რომ პასუხისმგებლობა არავის არ დაეკისრება.
- ეს პრეზიდენტის აქტია, შესაბამისად პასუხისმგებლობა პრეზიდენტს ეკისრება.
- აქტი თანახელმოწერილია პრემიერ-მინისტრის მიერ, შესაბამისად პასუხისმგებლობა პრემიერ-მინისტრს ეკისრება.
- პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას.

470. რომელი მსჯელობაა სწორი?
- პროპორციული წესით არჩევნებში მონაწილეობისა და თბილისის საკრებულოს წევრის მანდატის მოპოვების უფლება აქვთ მხოლოდ საარჩევნო ბლოკებს.
- პროპორციული წესით არჩევნებში მონაწილეობისა და თბილისის საკრებულოს წევრის მანდატის მოპოვების უფლება აქვთ მხოლოდ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს.
- პროპორციული წესით არჩევნებში მონაწილეობისა და თბილისის საკრებულოს წევრის მანდატის მოპოვების უფლება აქვთ მხოლოდ პარტიებს.
- პროპორციული წესით არჩევნებში მონაწილეობისა და თბილისის საკრებულოს წევრის მანდატის მოპოვების უფლება აქვთ მხოლოდ პარტიებსა და ამომრჩეველთა 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატებს.

471. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, როდის უნდა დაბრუნდეს გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანში?
- არაუგვიანეს 19 საათისა.
- არაუგვიანეს 20 საათისა.
- არაუგვიანეს 18 საათისა.
- არაუგვიანეს 21 საათისა.

472. კონსტიტუციის მიხედვით, ვის ეკისრება ბრალდების მტკიცება?
- ადვოკატს
- ბრალმდებელს

- სასამართლოს
- ექსპერტს

473. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
- სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
- სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს ირჩევს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობა.
- სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს ნიშნავს საქართველოს მთავრობა.

474. მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არის სწორი?
- თვითმმართველი ქალაქის/თემის მერი/გამგებელი ინიშნება საქართველოს პრეზიდენტის მიერ, 3 წლის ვადით.
- თვითმმართველი ქალაქის/თემის მერი/გამგებელი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ღია კენჭისყრით, 4 წლის ვადით.
- თვითმმართველი ქალაქის/თემის მერი/გამგებელი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 3 წლის ვადით.
- თვითმმართველი ქალაქის/თემის მერი/გამგებელი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით.

475. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო პერიოდში რა რაოდენობის ამომრჩევლისთვისაა შესაძლებელი საარჩევნო უბნის შექმნა?
- არანაკლებ 50 და არა უმეტეს 2000 ამომრჩევლისა.
- არანაკლებ 20 და არა უმეტეს 1500 ამომრჩევლისთვის.
- არანაკლებ 20 და არა უმეტეს 2000 ამომრჩევლისა.
- არანაკლებ 10 და არა უმეტეს 2000 ამომრჩევლისა.

476. ვინ ახორციელებს არჩევნების ჩატარების ორგანიზაციულ, სამართლებრივ და ტექნიკურ უზრუნველყოფას?
- საქართველოს პარლამენტის ბიურო.
- საოლქო საარჩევნო კომისიის აპარატი.
- ცესკოს აპარატი.
- ცესკოს ბიურო.

477. რა შედეგი დადგება იმ შემთხვევაში, როდესაც წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ცესკოს ქმედება გასაჩივრდება?
- გასაჩივრება არ იწვევს შესყიდვების პროცედურების შეწყვეტას.
- გასაჩივრება არ იწვევს შესყიდვების პროცედურების შეჩერებას.
- გასაჩივრება იწვევს შესყიდვების პროცედურების შეჩერებას.
- გასაჩივრება იწვევს შესყიდვების პროცედურების შეწყვეტას.

478. ვის აქვს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ ცესკოს/საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულების გამო სარჩელის შეტანის უფლება?
- მხოლოდ პრესის ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენელს, რომლის განცხადება აკრედიტაციის თაობაზე არ დააკმაყოფილა საარჩევნო კომისიამ.
- მხოლოდ საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას.
- მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას.
- ყველა პასუხი სწორია.

479. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა პოლიტიკური პარტია „გაზაფხული". იგი აქტიურად ახორციელებდა წინასაარჩევნო აგიტაციას. არჩევნების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების ოფიციალურად გამოქვეყნების შემდეგ, პარტიის წარმომადგენელმა ამომრჩეველს გადასცა 200-200 ლარი სათითაოდ და საჩუქრები. ამის გამო პარტიას სასამართლომ გაუუქმა რეგისტრაცია. ჰქონდა თუ არა ამის უფლება პარტიას?
- პარტიას ჰქონდა ამის უფლება, რადგან საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით ნებისმიერ დროსაა დასაშვები პარტიის წარმომადგენლის მიერ ამომრჩეველთათვის ფულადი სახსრებისა და საჩუქრების გადაცემა.
- პარტიას არ ჰქონდა ამის უფლება, რადგან საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია პარტიის წარმომადგენლის მიერ ამომრჩეველთათვის ფულადი სახსრებისა და საჩუქრების გადაცემა.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- პარტიას ჰქონდა ამის უფლება, რადგან საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით ნებისმიერ დროსაა დასაშვები პარტიის

წარმომადგენლის მიერ ამომრჩეველთათვის საჩუქრების გადაცემა, რომელშიც არ უნდა შედიოდეს ფულადი სახსრები.

480. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დანიშნულ დამკვირვებელთა სია უნდა წარუდგინოს:
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანს.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს.

481. რამდენი დამხმარე და ტექნიკური პერსონალის დაქირავების უფლება აქვს საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების დანიშვნის დღიდან მის დასრულებამდე:
- ცესკოს განკარგულებით დადგენილი რაოდენობების ფარგლებში.
- ასეთი უფლება საოლქო საარჩევნო კომისიას არა აქვს.
- არა უმეტეს სამი პირისა.
- არა უმეტეს ოთხი პირისა.

482. რომელი დაწესებულების შენობაში შეიძლება წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება?
- სასამართლოებში.
- საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებაში.
- სამხედრო ნაწილებში.
- საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების დაწესებულებაში.

483. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი დ. პეტრიაშვილი, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მუშაობდა მთავარ სპეციალისტად, მინისტრმა გაათავისუფლა სამსახურიდან წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, მისი თანხმობის გარეშე. კანონიერია თუ არა მინისტრის ქმედება?
- კანონიერია, რადგან პირი, რომელიც მონაწილეობას იღებს საპრეზიდენტო არჩევნებში უნდა გათავისუფლდეს სამსახურიდან.
- კანონიერია, რადგან სამინისტროში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე პირის დანიშვნა- გათავისუფლების უფლება აქვს მინისტრს.
- არ არის კანონიერი, რადგან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი არ შეიძლება დაითხოვონ სამსახურიდან წინასაარჩევნო კამპანიის დროს მისი თანხმობის გარეშე.
- კანონიერია, რადგან მინისტრი არის სამინისტროს უმაღლესი თანამდებობის პირი.

484. რა შემთხვევაში დაადგენს არჩეულ ან მეორე ტურში გასულ პირს (პირებს) საოლქო საარჩევნო კომისია, ბათილად ცნობილი საარჩევნო უბნის (უბნების) შედეგების გაუთვალისწინებლად?
- თუ ბათილად იქნა ცნობილი ოლქის ერთ-ერთი უბნის კომისიის კენჭისყრის შედეგები, ამ უბანზე ყველა შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ხელახალი კენჭისყრა.
- თუ ბათილად ცნობილ საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ისეთია, რომ განმეორებითი კენჭისყრა გავლენას ვერ მოახდენს არჩევნების შედეგზე.
- თუ ბათილად ცნობილ საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა შეადგენს ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 5 პროცენტს.
- თუ ბათილად ცნობილ საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა შეადგენს ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 4 პროცენტს.

485. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მსჯელობა არის სწორი?
- საუბნო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის დროებითი ტერიტორიული ორგანო, რომელიც იქმნება საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული სუბიექტებისაგან, ცესკოსა და ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული/ არჩეული პირებისაგან.
- საუბნო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო, რომელიც იქმნება საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული სუბიექტებისაგან, ცესკოსა და ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული/ არჩეული პირებისაგან.
- საუბნო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის დროებითი ტერიტორიული ორგანო, რომელიც იქმნება მხოლოდ ცესკოსა და ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული/არჩეული პირებისაგან.
- საუბნო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო, რომელიც იქმნება მხოლოდ ცესკოსა და ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული/არჩეული პირებისაგან.

486. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებას არ მიეკუთვნება:
- კომისიის განკარგულებათა პროექტების მომზადება.

- საარჩევნო კომისიის სხდომათა ოქმების შედგენა.
- საჯარო ინფორმაციის გაცემა.
- სრული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში.

487. ხმათა რა რაოდენობა არის საჭირო, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი ჩაითვალოს არჩეულად?
- ამისათვის საჭიროა, რომ კანდიდატს ხმა მისცეს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა (არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა).
- ამისათვის საჭიროა, რომ კანდიდატს ხმა მისცეს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ერთმა მეორედმა (არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა).
- ამისათვის საჭიროა, რომ კანდიდატს ხმა მისცეს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა (არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა).
- ამისათვის საჭიროა, რომ კანდიდატს ხმა მისცეს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ერთმა მეორედმა (არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენები).

488. რომელი პრინციპი უნდა დაიცვას მაუწყებელმა წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების გადაცემებისა და არჩევნების გაშუქების დროს?
- მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის.
- საჯაროობისა და ჰუმანიზმის.
- გამჭვირვალობისა და შეჯიბრებითობის.
- დისპოზიციურობის და სამართლიანობის.

489. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელი არის სწორი?
- ცესკოს წევრად შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს პირი, რომელიც ნასამართლევია დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა.
- ცესკოს წევრად შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს პირი, რომლის მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დაადასტურა სასამართლომ.
- ცესკოს წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს პირი, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის საარჩევნო კომისიამ ან სასამართლომ გაათავისუფლა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში დაკავებული თანამდებობიდან, - თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან 8 წლის განმავლობაში.
- ცესკოს წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს პირი, რომლის მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დაადასტურა საქართველოს პარლამენტმა.

490. ვინ იღებს გადაწყვეტილებას რეფერენდუმის ჩატარების შესახებ?
- საქართველოს პარლამენტი.
- ცესკო.
- ცესკოს თავმჯდომარე.
- საქართველოს პრეზიდენტი.

491. რა ვადით შეიძლება შეჩერდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედება საჩივრის სასამართლოში შეტანის შემთხვევაში?
- საჩივრის რეგისტრაციიდან სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.
- საჩივრის შეტანიდან საქმის პირველ მოსმენამდე.
- საჩივრის შეტანიდან სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.
- საჩივრის სასამართლოში შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

492. როდის უნდა უზრუნველყოს კომისიის თავმჯდომარემ გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები საარჩევნო კომისიის წევრებისთვის გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის, სპეციალური კონვერტების და ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით დამოწმებული საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენების გადაცემა?
- კენჭისყრის დღის 8 საათიდან.
- კენჭისყრის დღის 9 საათიდან.
- კენჭისყრის დღის 7 საათიდან.
- კენჭისყრის დღის 10 საათიდან.

493. რამდენი წევრისაგან შედგება თვითმმართველი ქალაქის საკრებულო, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 75 000-ს?
- პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისაგან.
- პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისაგან.

- პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისა და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისაგან.
- პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისა და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისაგან.

494. რომელი მსჯელობაა სწორი:
- საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის ორი მესამედი.
- საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის ერთი მეოთხედი.
- საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
- საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის ერთი მესამედი.

495. რომელი ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობის გარეშეა დაუშვებელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა?
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის.
- საქართველოს პარლამენტის.
- საქართველოს პრეზიდენტის.

496. რა შემთხვევაში შეიძლება არ ჩატარდეს პარლამენტის არჩევნები კონსტიტუციით დადგენილ, პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში?
- თუ ასეთი გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერით (კონტრასიგნაციით) მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა.
- თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საგანგებო მდგომარეობას.
- თუ ასეთი გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა
- თუ ამის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ.

497. ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- მოსამართლე თავის საქმიანობაში ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას.
- მოსამართლე თავის საქმიანობაში ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებს
- მოსამართლე თავის საქმიანობაში ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს.
- მოსამართლე თავის საქმიანობაში ემორჩილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მითითებებს.

498. წარდგენიდან რა ვადაში უნდა დასრულდეს უფლებამოსილი საარჩევნო კომისიის მიერ კანდიდატის მხარდამჭერთა სიის შემოწმება?
- წარდგენიდან 5 დღის ვადაში.
- წარდგენიდან 7 დღის ვადაში.
- წარდგენიდან 3 დღის ვადაში.
- წარდგენიდან 10 დღის ვადაში.

499. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება იყოს:
- საქართველოს მოქალაქე 16 წლის ასაკიდან.
- უცხო ქვეყნის მოქალაქე 18 წლის ასაკიდან.
- უცხო ქვეყნის მოქალაქე 16 წლის ასაკიდან
- საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან.

500. ქვემოთ გათვალისწინებული მსჯელობებიდან რომელია გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ მდედრობითი სქესის საქართველოს მოქალაქე.
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს დაბადებით საქართველოს მოქალაქე.
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა.
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე.

501. ვის დაჯარიმებას გამოიწვევს კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შეტანილი მონაცემების გადასწორება?
- საუბნო საარჩევნო კომისიის.
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან/და მდივნის.
- ცესკოს
- საოლქო საარჩევნო კომისიის.

502. დისციპლინურ გადაცდომას არ წარმოადგენს
- სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არა ჯეროვნად შესრულება.
- ზოგად ზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება, განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ).
- შრომისუუნარობის ფურცელზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოფნა.
- დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნა.

503. მონიშნეთ საარჩევნო სამართლის ერთ-ერთი პრინციპი, რომლის საფუძველზე არჩეულნი არიან საქართველოს პარლამენტის წევრები:
- თანასწორუფლებიანობის პრინციპი.
- საყოველთაობის პრინციპი.
- სამართლიანობის პრინციპი.
- თანაზომიერების პრინციპი.

504. რა ვადაში უნდა დასრულდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით კანდიდატის მიერ წარდგენილი მხარდამჭერთა სიის შემოწმება?
- მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან 5 დღის ვადაში.
- მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან 7 დღის ვადაში.
- მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან 2 დღის ვადაში.
- მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან 3 დღის ვადაში.

505. კონსტიტუციის მიხედვით რა მიზნითაა გამართლებული იმ პირთა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის უფლების შეზღუდვა, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში?
- ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით
- მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით
- ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით
- 20 000 ამომრჩევლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით

506. 2 თებერვალს, კანონით დადგენილი წესით, უფლებამოსილება შეუწყდა ცესკოს თავმჯდომარეს. საქართველოს პრეზიდენტმა კანონით დადგენილ ვადაში ცესკოს წარუდგინა ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურები, რომელთაგანაც ერთ-ერთმა კენჭისყრისას მიიღო 3 ხმა, ხოლო დანარჩენმა კანდიდატურებმა შესაბამისად - 2 და 1 ხმა. ჩაითვლება თუ არა არჩეულად ის კანდიდატურა, რომელმაც კენჭისყრისას მიიღო 3 ხმა?
- ჩაითვლება, ვინაიდან ცესკოს თავმჯდომარის არჩევისათვის საჭიროა ცესკოს წევრების 3 ან 3-ზე მეტი ხმა.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ჩაითვლება, ვინაიდან ცესკოს თავმჯდომარის არჩევისათვის საჭიროა ცესკოს წევრების ზუსტად 3 ხმა.
- არ ჩაითვლება, ვინაიდან ცესკოს თავმჯდომარის არჩევისათვის საჭიროა ცესკოს წევრების 4 ან 4-ზე მეტი ხმა.

507. რამდენი წევრისგან შედგება თბილისის საკრებულო ?
- 25 წევრისგან.
- 50 წევრისაგან.
- 35 წევრისგან.
- 48 წევრისგან.

508. საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან რა ვადაში იმართება რეფერენდუმი?
- არა უადრეს ორი თვისა და არა უგვიანეს ოთხი თვისა.
- არა უადრეს ორი თვისა და არა უგვიანეს შვიდი თვისა.
- არა უადრეს ორი თვისა და არა უგვიანეს ხუთი თვისა.
- არა უადრეს ორი თვისა და არა უგვიანეს ექვსი თვისა.

509. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი და ვისი მოთხოვნით იწვევს პარლამენტის რიგგარეშე სესიას?
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მთავრობის წარდგინებით.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე პრეზიდენტის მოთხოვნით.
- საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის მოთხოვნით.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრის მოთხოვნით.

510. კონსტიტუციაზე დაყრდნობით მონიშნეთ სწორი პასუხი:
- საზოგადოებრივი გაერთიანების აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით
- საზოგადოებრივი გაერთიანების აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით
- საზოგადოებრივი გაერთიანების აკრძალვა დასაშვებია პარლამენტის დადგენილებით
- საზოგადოებრივი გაერთიანების აკრძალვა დაუშვებელია

511. რომელია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო?
- საარჩევნო ოლქის ნაწილი, რომელიც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების ჩატარების მიზნით, თუ საარჩევნო ოლქი მოიცავს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის მთელ ტერიტორიას.
- საკრებულო.
- საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის კანდიდატი, შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული პარტია, საარჩევნო ბლოკი და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები.

512. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი დასახელების საარჩევნო ოლქი არ იქმნება თბილისის საკრებულოს პროპორციული წესით ჩასატარებელი არჩევნებისათვის?
- დიდგორის.
- ჩუღურეთის.
- გლდანის.
- ისნის.

513. რა ვადაში აჯამებს უსკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებს?
- კენჭისყრის ჩატარებიდან არა უგვიანეს 23-ე დღისა.
- ენჭისყრის ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-19 დღისა.
- კენჭისყრის ჩატარებიდან არა უგვიანეს 21-ე დღისა.
- კენჭისყრის ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-20 დღისა.

514. დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი არის:
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება.
- სასამართლოს გადაწყვეტილება დეპუტატის ქმედუუნაროდ ცნობის შესახებ.
- პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილება.
- 100 000 ამომრჩევლის ხელმოწერით უზენაეს სასამართლოში შესული პეტიცია.

515. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტმა შესაბამის სამსახურს წარუდგინა ინფორმაცია იმ ანგარიშის შესახებ, რომლის გამოყენებასაც აპირებდა საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად. შეუძლია თუ არა საარჩევნო სუბიექტს, საარჩევნო კამპანია დააფინანსოს სხვა ფონდიდან?
- შეუძლია მხოლოდ უსკოს თანხმობით.
- შეუძლია მხოლოდ იმ ორგანოს თანხმობით ვისაც წარედგინა ინფორმაცია ანგარიშის შესახებ.
- შეუძლია მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს თანხმობით.
- არ შეუძლია.

516. რა ვადებში ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი მორიგ საპარლამენტო არჩევნების თარიღს?
- არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა.
- არჩევნებამდე არაუგვიანეს 45 დღისა.
- არჩევნებამდე არაუადრეს 45 დღისა.
- არჩევნებამდე არაუადრეს 60 დღისა.

517. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი:
- გამოქვეყნდება ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით ნებისმიერ დროს.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- გამოქვეყნდება ხელმოწერიდან 15 დღის ვადაში.
- გამოქვეყნდება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

518. პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი დგება:
- მაჟორიტარული სისტემით.
- პარტიული სიების მიხედვით.
- ჰორიზონტალური სისტემით.
- წარდგენილი კანდიდატების მიხედვით.

519. ჩამოთვლილთაგან რომელი მონაცემი არ შეიტანება ამომრჩეველთა ერთიან სიაში?
- ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრაციის თარიღი.
- ინფორმაცია ოჯახური მდგომარეობის შესახებ.
- საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი.
- გვარი, სახელი.

520. ცესკოს წევრად შეიძლება აირჩეს:
- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი.
- დამკვირვებელი.
- პირი, რომლის მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დაადასტურა სასამართლომ.
- დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც მოხსნილი აქვს ნასამართლობა.

521. უსკოს მდივანმა კანკიამ გადაწყვიტა, რომ ოჯახური პირობების გამო გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან. თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით მან განცხადებით მიმართა უსკოს თავმჯდომარეს. სწორად მოიქცა თუ არა კანკია?
- კანკია არ მოიქცა სწორად, ვინაიდან უსკოს მდივანმა გადადგომის მოთხოვნით განცხადებითუნდა მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს.
- კანკია არ მოიქცა სწორად, ვინაიდან უსკოს მდივანმა გადადგომის მოთხოვნით განცხადებითუნდა მიმართოს უსკოს.
- კანკია არ მოიქცა სწორად, ვინაიდან უსკოს მდივანმა გადადგომის მოთხოვნით განცხადებითუნდა მიმართოს საქართველოს პარლამენტს.
- კანკია მოიქცა სწორად, ვინაიდან უსკოს მდივანმა გადადგომის მოთხოვნით განცხადებითუნდა მიმართოს უშუალოდ ცესკოს თავმჯდომარეს.

522. რა სახის სამართლებრივ აქტს წარმოადგენს ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება?
- ცესკოს თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი გამოსცეს ბრძანება.
- კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს.
- საკანონმდებლო აქტს.
- ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

523. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის (პლაკატები, ბანერები და ა. შ.) ჩამოხსნა.
- საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის (პლაკატები, ბანერები და ა. შ.) ჩამოხსნა.
- საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის (პლაკატები, ბანერები და ა. შ.) ჩამოხსნა.
- საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის (პლაკატები, ბანერები და ა. შ.) ჩამოხსნა.

524. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივ აქტებს?
- ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება.
- საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბრძანება.
- ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება.

525. რომელი მსჯელობაა სწორი?
- კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ბიულეტენების დათვლის პროცესზე დასაკვირვებლად დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არა უმეტეს 3 მეთვალყურეს.
- კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ბიულეტენების დათვლის პროცესზე დასაკვირვებლად დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არა უმეტეს 4 მეთვალყურეს.

- კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ბიულეტენების დათვლის პროცესზე დასაკვირვებლად დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არა უმეტეს 2 მეთვალყურეს.
- კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ბიულეტენების დათვლის პროცესზე დასაკვირვებლად დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არა უმეტეს 5 მეთვალყურეს.

526. მოქალაქის განცხადების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიამ 2012 წლის 12 თებერვლის განკარგულებით ცვლილებები შეიტანა ამომრჩეველთა სიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ 15 თებერვალს აღნიშნული განკარგულება გადაუგზავნა საუბნო საარჩევნო კომისიას. დაარღვია თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები საოლქო საარჩევნო კომისიამ?
- საოლქო საარჩევნო კომისიამ დაარღვია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები, ვინაიდან მას განკარგულება 2 დღის ვადაში უნდა გადაეგზავნა არა საუბნო საარჩევნო კომისიისათვის, არამედ ცესკოსთვის.
- საოლქო საარჩევნო კომისიამ დაარღვია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები, ვინაიდან მას განკარგულება 2 დღის ვადაში უნდა გადაეგზავნა არა მარტო საუბნო საარჩევნო კომისიისათვის, არამედ ცესკოსთვისაც.
- საოლქო საარჩევნო კომისიამ დაარღვია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები, ვინაიდან მას განკარგულება 5 დღის ვადაში უნდა გადაეგზავნა არა საუბნო საარჩევნო კომისიისათვის, არამედ ცესკოსთვის.
- საოლქო საარჩევნო კომისიამ დაარღვია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები, ვინაიდან მას განკარგულება 5 დღის ვადაში უნდა გადაეგზავნა არა მარტო საუბნო საარჩევნო კომისიისათვის, არამედ ცესკოსთვისაც.

527. კონსტიტუციის მიხედვით, რა წესის დაცვით და რომელი ორგანოს ან თანამდებობის პირს შეუძლია სასამართლოს გადაწყვეტილების შეჩერება?
- მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.
- მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს კანონით განსაზღვრული წესით.
- საქართველოს პარლამენტსა და საკონსტიტუციო სასამართლოს ერთობლივი გადაწყვეტილებით.
- მხოლოდ ეროვნული უშიშროების საბჭოს კანონით განსაზღვრული წესით.

528. სწორია, თუ არა მსჯელობა? თუ საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა:
- არა, რადგან თუ საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა. საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებით საარჩევნო უბანზე არჩევნები ჩაშლილად ცხადდება.
- არა, რადგან თუ საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი მიიჩნევენ, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა.
- არა, რადგან მხოლოდ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიას თავისი დადგენილებით შეუძლია დაადგინოს, საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობის დარღვევამ გამოიწვია თუ არა კანონის მოთხოვნათა დარღვევა.
- დიახ, თუ საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა.

529. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია სწორი?
- ცესკოსთვის ფულადი სახსრების გამოყოფის თაობაზე იძულებითი აღსრულება არ ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდიდან.
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციას, ცესკოს სახით, უფლება არ აქვს, მიიღოს გრანტი.
- წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ცესკოს გადაწყვეტილების გასაჩივრება იწვევს შესყიდვების პროცედურების შეჩერებას.
- ცესკოსთვის ფულადი სახსრების გამოყოფის თაობაზე იძულებითი აღსრულება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდიდან.

530. საუბნო საარჩევნო კომისიაში კანონით დადგენილი წესით შედგენილ იქნა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი. ოქმზე ხელის მოწერისგან თავი შეიკავა კომისიის იმ წევრმა, რომელიც არ ეთანხმებოდა კენჭისყრის შედეგებს. სწორად მოიქცა თუ არა კომისიის წევრი?
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ მოიქცა სწორად, ვინაიდან კომისიის წევრს უფლება აქვს თავი შეიკავოს ხელმოწერისაგან მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი მოიქცა სწორად, ვინაიდან კომისიის წევრს უფლება აქვს თავი შეიკავოს ხელმოწერისაგან, თუ იგი არ ეთანხმება კენჭისყრის შედეგებს.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ მოიქცა სწორად, ვინაიდან კომისიის წევრს უფლება აქვს თავი შეიკავოს ხელმოწერისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხმების დათვლა ჩატარდა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა აშკარა დარღვევით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ მოიქცა სწორად, ვინაიდან კომისიის ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

531. კონსტიტუციის მიხედვით, ვის აქვს მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის ინიცირების (აღძვრის) უფლება?
- პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორ მეხუთედს.
- პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორ მეხუთედს.
- საქართველოს პრეზიდენტს.
- საქართველოს სახალხო დამცველს.

532. მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის
- კანონიერ ძალაში შესვლის დღეს.
- კანონიერ ძალაში შესვლიდან მეორე დღეს.
- გამოცხადებისთანავე.
- კანონიერ ძალაში შესვლიდან მეათე დღეს.

533. რა სახის ნორმატიული აქტით არის მოწესრიგებული საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის წესი?
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით
- საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით
- კანონით საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ
- საქართველოს ორგანული კანონით

534. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- პრეზიდენტი საგაზაფხულო სესიის გახსნისას პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
- პრეზიდენტი წელიწადში ერთხელ პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.
- პრეზიდენტი საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების გახსნისას პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.
- პრეზიდენტი არ არის ვალდებული წარუდგინოს მოხსენება პარლამენტს - ის სახელმწიფოს მეთაურია.

535. როგორც წესი, რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საარჩევნო კომისიის სხდომაზე კენჭისყრისას თანაბრად იყოფა კომისიის წევრთა ხმები?
- გადაწყვეტილება არ ჩაითვლება მიღებულად.
- საკითხს ხელახლა ეყრება კენჭი.
- გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
- გადაწყვეტილება ჩაითვლება მიღებულად.

536. რომელი მსჯელობაა სწორი?
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 45 დღისა ცესკო საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს ჩარიცხავს მის მიმდინარე ანგარიშზე.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 55 დღისა ცესკო საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს ჩარიცხავს მის მიმდინარე ანგარიშზე.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 60 დღისა ცესკო საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს ჩარიცხავს მის მიმდინარე ანგარიშზე.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50 დღისა ცესკო საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს ჩარიცხავს მის მიმდინარე ანგარიშზე.

537. კონსტიტუციის მიხედვით რა შემთხვევებშია დასაშვები მოსამართლის სხვა თანამდებობაზე გადაყვანა?
- დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.
- სხვა თანამდებობაზე მოსამართლის გადაყვანა საერთოდ დაუშვებელია.
- დასაშვებია მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში.
- დასაშვებია მხოლოდ უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში.

538. რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს ცესკომ, თუ დადგენილ ვადაში არ გამოიყოფა არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარებისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო ასიგნება ცესკოს შესაბამის საბიუჯეტო პროგრამულ კოდზე?
- საოლქო სასამართლოს.
- სააპელაციო სასამართლოს.
- რაიონულ/საქალაქო სასამართლოს.
- უზენაეს სასამართლოს.

539. კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საერთო სასამართლოში ნებისმიერი საქმე განიხილება ნაფიცი მსაჯულების მიერ, თუ ამას ითხოვს ბრალდებული.
- ნაფიცი მსაჯულების მიერ საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეები განიხილება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით.
- საქართველოს საერთო სასამართლოებში ნაფიცი მსაჯულების მიერ მხოლოდ სახელმწიფო ღალატის საქმეები განიხილება.
- საქართველოს საერთო სასამართლოებში ყველა საქმე განიხილება ნაფიცი მსაჯულების მიერ.

540. როგორც წესი, საერთო არჩევნების დღემდე რა ვადაში უნდა გაიმართოს ახალშექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა?
- საერთო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-40 დღისა.
- საერთო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა.
- საერთო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 34-ე დღისა.
- საერთო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 35-ე დღისა.

541. ქვემოთ ჩამოთვლილ რომელ შემთხვევაშია ვალდებული ადგილობრივი მაუწყებელი კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია?
- იმ შემთხვევაში, როდესაც პარტიამ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მიიღო ხმების 20 პროცენტი მაინც.
- იმ შემთხვევაში, როდესაც პარტიის კანდიდატი მისი მომსახურების ზონაში შემავალ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებულ ბოლო საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურში გავიდა.
- იმ შემთხვევაში, როდესაც მისმა კანდიდატმა მისი მომსახურების ზონაში შემავალ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებულ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მიიღო ხმების 20 პროცენტი.
- არც ერთ შემთხვევაში.

542. კონსტიტუციის მიხედვით, „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება... გააგრძელეთ:
- ვიდრე ამას არ დაადასტურებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- ვიდრე ამას არ დაადგენს საქართველოს მთავარი პროკურორი
- ვიდრე ამას პიროვნება თავად არ აღიარებს
- ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით

543. საქართველოს პარლამენტმა შესწორება შეიტანა მოქმედ კანონმდებლობაში და დაადგინა, რომ ოჯახურ პრობლემათა გადაწყვეტისას გადამწყვეტია ქმრის ხმა, ხოლო ბავშვების აღზრდა ევალება მხოლოდ მის მეუღლეს, ბავშვთა დედას. როგორი იქნება ამ კანონის თქვენი შეფასება?
- არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას, რამეთუ მას არცერთი ქალი არ დაეთანხმება, რასაც ოჯახის ნგრევა მოყვება
- ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ქალის (დედის) ტრადიციული მოვალეობაა არა აქტიური საზოგადოებრივი და შრომითი საქმიანობა, არამედ შვილების ღირსეულ მოქალაქეებად გაზრდა, მამაკაცს აქ არაფერი ესაქმება
- ვეთანხმები მამაკაცის დომინანტურ როლს ოჯახში - ტრადიციებისა და ჩვეულებითი სამართლის შესაბამისია
- საკონსტიტუციო სასამართლო ამ კანონს არაკონსტიტუციურად გამოაცხადებდა, რადგან ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას

544. საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტისთვის საარჩევნო კამპანიის ხარჯების დასაფარავად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა (არა უმეტეს 1 000 000 ლარი), რის საფუძველზე და რა ვადაში უნდა იქნეს ჩარიცხული საარჩევნო სუბიექტის ანგარიშზე?
- ცესკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე უნდა ჩაირიცხოს არჩევნების შედეგების შეჯამებიდან არა უგვიანეს მე-15 დღისა.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სპეციალური აქტის საფუძველზე უნდა ჩაირიცხოს არჩევნების შედეგების შეჯამებიდან არა უგვიანეს მე-10 დღისა.
- ცესკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე უნდა ჩაირიცხოს არჩევნების შედეგების შეჯამებიდან არა უგვიანეს მე-10 დღისა.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სპეციალური აქტის საფუძველზე უნდა ჩაირიცხოს არჩევნების შედეგების შეჯამებიდან არა უგვიანეს მე-15 დღისა.

545. რა ვადაში უნდა მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად იმ პარტიამ, რომელსაც არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში?
- პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 57-ე დღისა.
- საპარლამენტო არჩევნების წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე.

- საპარლამენტო არჩევნების წლის 1 თებერვლიდან 1 სექტემბრამდე.
- პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 53-ე დღისა.

546. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა არის სწორი?
- საოლქო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო, რომელსაც ქმნის ცესკო სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- საოლქო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის დროებით მოქმედი ტერიტორიული ორგანო, რომელსაც ქმნის ცესკო სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- საოლქო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო, რომელსაც ქმნის ცესკო დამსწრეთა უმრავლესობით.
- საოლქო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის დროებითმოქმედი ტერიტორიული ორგანო, რომელსაც ქმნის ცესკო დამსწრეთა უმრავლესობით.

547. ვის უნდა ეცნობოს საჩივრის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივრის ავტორი საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაცია ან მისი წარმომადგენელია?
- ცესკოს.
- დამკვირვებელი ორგანიზაციის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ შესაბამის დამკვირვებელს ან ამ ორგანიზაციას.
- მსგავსი შეტყობინების ვალდებულებას საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს.
- საოლქო საარჩევნო კომისიას.

548. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელი არ არის სწორი?
- ცესკო განკარგულებით ნიშნავს რიგგარეშე, ხელახალ და შუალედურ არჩევნებს, განმეორებით კენჭისყრას, არჩევნების მეორე ტურს.
- ცესკო დადგენილებით იღებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტს.
- ცესკო დადგენილებით ნიშნავს რიგგარეშე, ხელახალ და შუალედურ არჩევნებს, განმეორებით კენჭისყრას, არჩევნების მეორე ტურს.
- ცესკო განკარგულებით ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს.

549. ქვემოთ გათვალისწინებული მსჯელობებიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან.
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, 35 წლის ასაკიდან, რომელიც არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში.
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან.
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც.

550. საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) მიღებას ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით ადასტურებს:
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საარჩევნო კომისიის რეგისტრატორი წევრი.
- ამომრჩეველი.
- ყველა პასუხი სწორია.

551. რა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს პირველი პირის კონსტიტუციური სახელწოდება?
- პრემიერ-მინისტრი.
- მთავრობის თავმჯდომარე.
- მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.
- მთავრობის მეთაური.

552. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულება ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო ინფორმაციის თაობაზე ანგარიშს წარუდგენს:
- საზოგადოებრივ მაუწყებელს.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.
- საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს.
- საქართველოს პრეზიდენტს.

553. კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო თანამდებობის პირთაგან ვის არ შეუძლია იყოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წევრი?
- სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს

- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
- ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს

554. საუბნო საარჩევნო კომისიის საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის პასუხისმგებელი პირია:
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის საამისოდ უფლებამოსილი წევრი.

555. ვის აქვს უფლება იმპიჩმენტის წესით ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება?
- საქართველოს ფინანსთა მინისტრს, მის მოადგილეებს ერთობლივი დადგენილებით.
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.
- საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციას.
- საქართველოს პარლამენტის ნებისმიერ ფრაქციას.

556. როგორი ასაკობრივი ცენზი არის დადგენილი კონსტიტუციაში საქართველოს პარლამენტის წევრობისათვის?
- პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან
- პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან.
- ასაკობრივი ცენზი კონსტიტუციაში არ არის დადგენილი.
- პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე 23 წლის ასაკიდან.

557. არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე ერთდროულად გამოცხადდა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია ”გამჭვირვალე არჩევნები”-ს და ”სამართლიანი საზოგადოების” წარმომადგენლები. ორგანიზაცია ”გამჭვირვალე არჩევნები”- ს წარმომადგენელს უარი ეთქვა თავისი ფუნქციის შესრულებაზე იმ მოტივით, რომ საარჩევნო კოდექსი კრძალავდა ერთდროულად ერთ უბანზე ერთზე მეტი დამკვირვებლის დასწრებას . კანონიერად მოქმედებდა თუ არა საარჩევნო კომისია?
- დიახ, მაგრამ მას ამის შესახებ უნდა ეცნობებინა ცესკოსთვის.
- არა, რადგან ჯერ უნდა გაერკვია დამკვირვებლებიდან რომელი უფრო ადრე გამოცხადდა საარჩევნო უბანზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეეზღუდა დასწრების უფლება.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, მხოლოდ ერთი და იმავე ორგანიზაციას არ შეიძლება ერთდროულად ერთზე მეტი დამკვირვებელი ჰყავდეს საარჩევნო უბანში.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო უბანში ერთდროულად შეიძლება არა უმეტეს ერთი დამკვირვებლის ყოფნა.

558. რომელი მსჯელობა არის სწორი?
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურების დასახელების უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურების დასახელების უფლება აქვს კომისიის თუნდაც ერთ წევრს.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურების დასახელების უფლება აქვს პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილ საკონკურსო კომისიას.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურების დასახელების უფლება აქვს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილ საკონკურსო კომისიას.

559. სად და რამდენი ხნის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობის თაობაზე შეტანილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება?
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში.
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში.

560. რა შემთხვევაში ჩაითვლება სარეფერენდუმო საკითხი დადებითად გადაწყვეტილად:
- არც ერთი პასუხი სწორი არ არის.

- თუ მას ხმა მისცა რეფერენდუმში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.
- თუ მას ხმა მისცა რეფერენდუმში მონაწილეთა ნახევარმა.
- თუ მას ხმა მისცა რეფერენდუმში მონაწილეთა 2/3-მა.

561. რისი უფლება არ აქვს დამკვირვებელს?
- დაესწროს ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებს.
- მონაწილეობას ღებულობდეს საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე.
- გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე.
- დააკვირდეს გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის პროცესს.

562. კონსტიტუციის მიხედვით, როგორი კვორუმით წყდება პარლამენტში საგანგებო მდგომარეობის საკითხები?
- სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
- პარლამენტი ამ საკითხს არ განიხილავს - ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა.
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა მაჟორიტარული წესით არჩეულ პარლამენტართა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა და პროპორციული სისტემით არჩეულ დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

563. კონსტიტუციის მიხედვით, რომელ სახელმწიფო ორგანოს შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს საქართველოს პრეზიდენტი?
- პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება შეუძლია ეროვნული უშიშროების საბჭოს.
- პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოს.
- პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება შეუძლია პარლამენტს.
- პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების უფლება საქართველოს არცერთ სახელმწიფო ორგანოს არ შეუძლია.

564. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელი არის სწორი?
- საარჩევნო კოდექსის შესაბამისად გამოყოფილი საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაციას საქართველოს მთავრობა აქვეყნებს არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.
- საარჩევნო კოდექსის შესაბამისად გამოყოფილი საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაციას საქართველოს მთავრობა აქვეყნებს არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 15 დღისა.
- საარჩევნო კოდექსის შესაბამისად გამოყოფილი საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აქვეყნებენ არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 15 დღისა.
- საარჩევნო კოდექსის შესაბამისად გამოყოფილი საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აქვეყნებენ არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

565. ჩამოთვლილთაგან ვინ ადგენს საარჩევნო ბიულეტენის ნიმუშს?
- საქართველოს პარლამენტი.
- ცესკო.
- ცესკოს თავმჯდომარე.
- საარჩევნო კოდექსი.

566. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო კომისიაში/სასამართლოში განცხადების/სარჩელის/ საჩივრის შეტანა აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას საჩივრის გადაწყვეტამდე.
- არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.
- საარჩევნო კომისიაში/სასამართლოში განცხადების/სარჩელის/საჩივრის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.
- საარჩევნო კომისიაში/სასამართლოში განცხადების/სარჩელის/ საჩივრის შეტანა აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებულ სხვა გადაწყვეტილებების მოქმედებას.

567. რა ვადაშია ვალდებული პრეზიდენტი ან ხელი მოაწეროს და გამოაქვეყნოს პარლამენტიდან მიღებული კანონპროექტი ან მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნოს პარლამენტს?
- ერთ თვეში.
- 10 დღის ვადაში.
- 5 დღის ვადაში.
- 7 დღის ვადაში.

568. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობად ითვლება შრომითი ურთიერთობა იმ დაწესებულებებში, რომლებიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ: I – საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას; II – სასამართლო ხელისუფლებას; III – სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს; IV- სახელმწიფო თავდაცვას. სწორი პასუხია:
- მხოლოდ I, II და III.
- მხოლოდ III და IV.
- მხოლოდ I, II, IIIდა IV.
- მხოლოდ Iდა II.

569. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, რა ვადაში უნდა დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნების თარიღი?
- უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 96 საათისა.
- უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 72 საათისა.
- უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 24 საათისა.
- უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 48 საათისა.

570. რომელი აქტით ხდება საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციაზე უარის თქმა:
- ცესკოს დადგენილებით.
- ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით.
- ცესკოს მდივნის განკარგულებით.
- ცესკოს განკარგულებით.

571. საარჩევნო ოლქში არჩევნები ბათილად იქნება ცნობილი, თუ:
- შესაბამის ოლქში ბათილად ცნობილ ბიულეტენთა რაოდენობა ამ ოლქში არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლებია და გავლენას არ ახდენს არჩევნების შედეგებზე.
- შესაბამის ოლქში ბათილად ცნობილ ბიულეტენთა რაოდენობა ამ ოლქში არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტია და გავლენას არ ახდენს არჩევნების შედეგებზე.
- შესაბამის ოლქში ბათილად ცნობილ ბიულეტენთა რაოდენობა ამ ოლქში არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტია და გავლენას ახდენს არჩევნების შედეგებზე.
- შესაბამის ოლქში ბათილად ცნობილ ბიულეტენთა რაოდენობა ამ ოლქში არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლებია და გავლენას ახდენს არჩევნების შედეგებზე.

572. ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებული იქნა უსკოში. უსკომ კანონით დადგენილ ვადაში განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება. უსკოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებული იქნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ბათუმის საქალაქო სასამართლომ ასევე განიხილა საჩივარი და გადაწყვიტა იგი. რა ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება?
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

573. კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის რომელ გვერდზე უნდა მიეთითოს გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრებისათვის გადაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა?
- ასეთი ინფორმაცია მიეთითება ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.
- ასეთი ინფორმაცია მიეთითება ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე.
- ასეთი ინფორმაცია მიეთითება ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე.
- ასეთი ინფორმაცია მიეთითება ჩანაწერთა წიგნის მე-2 გვერდზე.

574. რა შემთხვევაში შეიძლება დეპუტატის დაპატიმრება პარლამენტის წინმსწრები თანხმობის გარეშე?
- დეპუტატის დაპატიმრება პარლამენტის თანხმობის გარეშე შეიძლება, თუ ამის შესახებ ინფორმირებულია ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი.
- პარლამენტის წინასწარი თანხმობის გარეშე დეპუტატის დაპატიმრება შეიძლება დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში.
- დეპუტატის დაპატიმრება პარლამენტის წინმსწრები თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

- დეპუტატის დაპატიმრება პარლამენტის თანხმობის გარეშე შეიძლება, თუ ამის შესახებ ინფორმირებულია საქართველოს პრეზიდენტი.

575. მოსამსახურემ განკარგულების კანონიერებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ეჭვის თაობაზე
- უნდა აცნობოს მხოლოდ ზემდგომ უფროსს.
- არავის არ უნდა აცნობოს.
- უნდა აცნობოს განკარგულების გამცემს და ზემდგომ უფროსს.
- უნდა აცნობოს მხოლოდ განკარგულების გამცემს.

576. კონსტიტუციის მიხედვით, რა ვადით გამწესდებიან თანამდებობაზე საერთო სასამართლოების მოსამართლეები?
- არანაკლებ 10 წლის ვადით.
- არანაკლებ 5 წლის ვადით.
- უვადოდ, 70 წლის ასაკამდე.
- უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე

577. რამდენი ტურია შესაძლებელი საპრეზიდენტო არჩევნებში?
- მხოლოდ ორი.
- ორი.
- სამი.
- მხოლოდ ერთი.

578. სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა ქმნიდა დასაბუთებულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის პეტრე უშიკიშვილის ბინაში უკანონოდ ინახებოდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება - ჰეროინი, შესაბამისად გამომძიებელმა გამოიტანა დადგენილება პეტრე უშიკიშვილის ბინის ჩხრეკის თაობაზე. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- დიახ, რადგან დაუშვებელია ჩხრეკის ჩატარება საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ ცესკოს თანხმობის გარეშე.
- არა, რადგან არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა ჩხრეკის ჩატარების, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობა ცესკოს.
- არა, რადგან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს არ იცავს იმუნიტეტი ჩხრეკისგან.
- დიახ, რადგან აღნიშნულის შესახებ ცესკოსთვის უნდა ეცნობებინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

579. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელს არა აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება?
- ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფ საქართველოს მოქალაქეს
- საქართველოს პრეზიდენტს
- ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფ სომხეთის მოქალაქეს
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს

580. ვის უნდა მიმართოს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა და რა ფორმით კანდიდატურის მოხსნის თაობაზე?
- განცხადებით მიმართავს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით სასამართლოს.
- სარჩელით მიმართავს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით სასამართლოს.
- სარჩელით მიმართავს ცესკოს.
- განცხადებით მიმართავს ცესკოს.

581. ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დაკვირვების უფლება აქვთ (მათი დამზადების თითოეულ ადგილზე) შესაბამისი საარჩევნო კომისიის დადგენილებით დანიშნულ კომისიის 2 წევრს და კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ დამკვირვებლებს.
- საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დაკვირვების უფლება აქვთ (მათი დამზადების თითოეულ ადგილზე) შესაბამისი საარჩევნო კომისიის დადგენილებით დანიშნულ კომისიის 3 წევრს და კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ დამკვირვებლებს.
- საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დაკვირვების უფლება აქვთ (მათი დამზადების თითოეულ ადგილზე) შესაბამისი საარჩევნო კომისიის განკარგულებით დანიშნულ კომისიის 2 წევრს და კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ დამკვირვებლებს.
- საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დაკვირვების უფლება აქვთ (მათი დამზადების თითოეულ ადგილზე) შესაბამისი საარჩევნო კომისიის განკარგულებით დანიშნულ კომისიის 3 წევრს და კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ დამკვირვებლებს.

582. ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი მსჯელობა არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნიშნავს საქართველოს მთავრობა.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

- არც ერთი პასუხი საქართველოს კონსტიტუციით არაა გათვალისწინებული.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

583. საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ, რომელიც დაკვირვებას ერთ ოლქში ახორციელებდა, რეგისტრაციაში გატარების მიზნით განცხადებით მიმართა ცესკოს არჩევნების დღემდე მე-9 დღეს და წარუდგინა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაცია. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- არა, რადგან საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას რეგისტრაციაში გატარების მიზნით ცესკოსთვის უნდა მიემართა არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-7 დღისა.
- დიახ, რადგან საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას ამ შემთხვევაში რეგისტრაციისთვის უნდა მიემართა შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიისთვის და ამასთან, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-7 დღისა.
- არა, რადგან საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას რეგისტრაციაში გატარების მიზნით ცესკოსთვის უნდა მიემართა არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-5 დღისა.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

584. რომელი მსჯელობაა სწორი?
- კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს და მასზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის ადგილმდებარეობის მიხედვით გამგეობის თანამშრომელი.
- კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს და მასზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და იმ უბნის ინსპექტორი რომელ უბანშიც მდებარეობს კომისია.
- კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს და მასზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს და მასზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის ადგილმდებარეობის მიხედვით რაიონის პოლიციის უფროსი.

585. ვინ ნიშნავს უმაღლესი საბჭოს არჩევნების თარიღს?
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საქართველოს პრეზიდენტი.
- უსკო პრეზიდენტის თანხმობით.
- საქართველოს პარლამენტი

586. ვაკანსიის წარმოშობიდან რა ვადაში უნდა განაცხადოს თანხმობა უფლებამოსილმა პირმა პარლამენტის წევრობაზე, თუ გამოკლებული პარლამენტის წევრი არჩეული იყო პარტიული სიით?
- ვაკანსიის წარმოშობიდან 5 დღეში.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში.
- ვაკანსიის წარმოშობიდან 10 დღეში.

587. 2 თებერვალს კანონით დადგენილი წესით უფლებამოსილება შეუწყდა ცესკოს თავმჯდომარეს. საქართველოს პრეზიდენტმა კანონით დადგენილ ვადაში ცესკოს წარუდგინა ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატურები, რომელთაგანაც ცესკომ წარდგენიდან 7 დღის ვადაში აირჩია ერთ-ერთი. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან ცესკოს მიერ თავმჯდომარის არჩევა უნდა მოხდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ცესკოსთვის კანდიდატურების წარდგენიდან 9 დღის ვადაში.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან ცესკოს მიერ თავმჯდომარის არჩევა უნდა მოხდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ცესკოსთვის კანდიდატურების წარდგენიდან 3 დღის ვადაში.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან ცესკოს მიერ თავმჯდომარის არჩევა უნდა მოხდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ცესკოსთვის კანდიდატურების წარდგენიდან 5 დღის ვადაში.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს მიერ თავმჯდომარის არჩევა უნდა მოხდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ცესკოსთვის კანდიდატურების წარდგენიდან 7 დღის ვადაში.

588. კონსტიტუციის მიხედვით რა ტერიტორიაზე ჩატარდა 1991 წლის 31 მარტს რეფერენდუმი?
- აფხაზეთის ასსრ-ის ტერიტორიის გარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე
- ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში
- ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის გარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე
- გარდა აფხაზეთის ასსრ-ისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტეროტორიებისა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

589. კონსტიტუციის ტექსტის გათვალისწინებით მონიშნეთ სწორი პასუხი

- საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა დასაშვებია თუ ამას მოითხოვს საქართველოს 200 000 მოქალაქე
- საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა დასაშვებია თუ ამას წერილობით მოითხოვს საქართველოს 30 000 მოქალაქე
- საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია
- საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა დასაშვებია თუ ამას ითვალისწინებს ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერილი ხელშეკრულება

590. ვის აქვს არჩევნებზე დაკვირვების უფლება?
- საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს.
- ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს.
- ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც რეგისტრაციას გაივლიან საქართველოს ცენტრალურ ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- ჟურნალისტებს.

591. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, შესაძლებელია თუ არა ინდივიდუალურიადმინისტრაციულ-სამართლებრივიაქტი ძალაში შევიდეს გამოქვეყნებამდე ან ოფიციალურ გაცნობამდე?
- შესაძლებელია, თუ დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.
- შესაძლებელია, თუ ამას დაჟინებით მოითხოვს დაინტერესებული პირი.
- არ არის შესაძლებელი, რადგან კანონი ამას არ ითვალისწინებს.
- არ არის შესაძლებელი, რადგან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხოლოდ მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

592. რომელია პარლამენტის არჩევნების ჩატარების დამაბრკოლებელი გარემოება?
- საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხის განხილვის მიმდინარეობა.
- საგანგებო მდგომარეობის არსებობა.
- პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება.
- ცესკოს წევრთა 2/3-ის გადახალისება.

593. რომელი მსჯელობაა სწორი?
- როგორც წესი, არჩევნებამდე ბოლო 7 დღის განმავლობაში აკრძალულია ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანა.
- როგორც წესი, არჩევნებამდე ბოლო 10 დღის განმავლობაში აკრძალულია ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანა.
- როგორც წესი, არჩევნებამდე ბოლო 3 დღის განმავლობაში აკრძალულია ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანა.
- როგორც წესი, არჩევნებამდე ბოლო 5 დღის განმავლობაში აკრძალულია ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანა.

594. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პარტიას რეგისტრაციის მოწმობა გადასცა 10 აგვისტოს. რომელი დღე იქნება რეგისტრაციიდან მე-10 დღე:
- 22 აგვისტო, რადგან დღეთა ათვლა ხდება მითითებული დღის მომდევნო დღიდან და უქმე დღეები არ უნდა ჩავთვალოთ.
- 21 აგვისტო, რადგან დღეთა ათვლა ხდება მითითებული დღის მომდევნო დღიდან თუმცა ეს დღე კვირა აღმოჩნდა, ხოლო შემდეგი პირველი სამუშაო დღე 21 აგვისტოა.
- 20 აგვისტო, რადგან დღეთა ათვლა ხდება მითითებული დღის მომდევნო დღიდან.
- 19 აგვისტო, რადგან დღეთა ათვლა ხდება მითითებული დღიდან.

595. განცხადება/საჩივარი შესაბამის საარჩევნო კომისიაში შეტანილად ითვლება:
- კომისიაში რეგისტრაციის მომენტიდან.
- კომისიაში შეტანიდან.
- განცხადება/საჩივარზე შესაბამისი რეზოლუციის დადების თარიღიდან.
- კომისიის მდივანთან რეგისტრაციის მომენტიდან.

596. რა ვადაშია ვალდებული საარჩევნო კომისია გააცნოს დაინტერესებულ პირს საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია?
- 3 დღის ვადაში.
- 5 დღის ვადაში.
- 2 დღის ვადაში.
- 1 დღის ვადაში.

597. ვინ ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს შუალედურ არჩევნებს?
- ცესკო.

- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცესკოს თავმჯდომარე.
- საქართველოს პრეზიდენტი.

598. საინიციატივო ჯგუფმა ცესკოს მიმართა სარეფერენდუმო საკითხის რეგისტრაციის თაობაზე. ცესკომ კანონით დადგენილ ვადაში განიხილა მიმართვა და კანონით დადგენილი წესით უარი უთხრა საინიციატივო ჯგუფს რეგისტრაციაზე. რა ვადაში შეუძლია საინიციატივო ჯგუფს, გაასაჩივროს შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში ცესკოს უარი რეგისტრაციის თაობაზე?
- უარის მიღებიდან 14 დღის ვადაში.
- უარის მიღებიდან 10 დღის ვადაში.
- უარის მიღებიდან 5 დღის ვადაში.
- უარის მიღებიდან 7 დღის ვადაში.

599. რა ხდება, თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი რამდენიმე საარჩევნო ოლქში, რომლებშიც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტია?
- დაინიშნება განმეორებითი კენჭისყრა.
- დაინიშნება არჩევნები იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი.
- დაინიშნება ხელახალი არჩევნები.
- ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციულად გაუქმდება მანდატები და პარლამენტი მუშაობას შეუდგება არჩეული წევრების შემადგენლობით.

600. კონსტიტუციის მიხედვით რა შემთხვევაში არ უნდა დაუშვას, ან უნდა შეჩერდეს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება პარლამენტში?
- თუ ამას მოითხოვს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედი.
- თუ ამას მოითხოვს ადგილობრივი ,,თვითმართველობის ასოციაცია".
- თუ ამას მოითხოვს საქართველოს სახალხო დამცველი.
- თუ საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის დადგენის მიზნით საკონსტიტუციო სასამართლოში შესულია წარდგინება.

601. რომელი მსჯელობა არ არის სწორი?
- საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, თუ სააღრიცხვო ბარათში მითითებული არ არის კანდიდატის დაბადების თარიღი.
- საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, თუ სააღრიცხვო ბარათში მითითებული არ არის კანდიდატის საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი.
- საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, თუ სააღრიცხვო ბარათში მითითებული არ არის კანდიდატის მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით).
- საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, თუ სააღრიცხვო ბარათში მითითებული არ არის ინფორმაცია კანდიდატის ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

602. რომელი ორგანო ადგენს საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესს?
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
- საქართველოს პარლამენტი.
- ცესკო განკარგულებით.
- ცესკო დადგენილებით.

603. თუ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ინიშნება:
- შუალედური არჩევნები.
- არჩევნების მეორე ტური.
- ხელახალი არჩევნები.
- განმეორებითი კენჭისყრა.

604. რა სახის სამართლებრივი აქტია ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება?
- ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი.
- საერთოდ არ წარმოადგენს სამართლებრივ აქტს.
- შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ისე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტი.
- ნორმატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი.

605. კონსტიტუციის 27-ე მუხლის რეგულაციათა გათვალისწინებით მონიშნეთ სწორი პასუხი:
- საქართველოს სახელმწიფო უფლებამოსილია მოქალაქეობის არმქონე პირთათვის დააწესოს პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვები
- საქართველოში დაუშვებელია აპატრიდების (მოქალაქეობის არმქონე პირები) პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვა
- საქართველოში დაუშვებელია აპატრიდების პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა
- დაუშვებელია აპატრიდების პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვა ან შეზღუდვა თუ ისინი საქართველოში 10 წელზე მეტი ცხოვრობენ

606. საპატიმრო დაწესებულებაში ჩატარებულ არჩევნებში მსჯავრდებულ გიორგი გალახვარიძეს არ მიეცა ხმის მიცემის უფლება. მას განუმარტეს, რომ ჩადენილი ჰქონდა ნაკლებად მძიმე დანაშაული და საქართველოს საარჩევნო კოდექსით არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა. სამართლიანად შეეზღუდა თუ არა მსჯავრდებულს ხმის მიცემის უფლება?
- არა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, მიუხედავად იმისა მსჯავრდებულია თუ არა.
- დიახ, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არა აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.
- არა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არა აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით იმყოფება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული.
- დიახ, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არა აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც ჩადენილი აქვს ადმინისტრაციული გადაცდომა და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.

607. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება, არის:
- საჯარო და კერძო ინტერესების გამოხატვის თავისუფლება.
- დისკრეციული უფლებამოსილება.
- ყველა პასუხი სწორია.
- აღმასრულებელი პრივილეგია.

608. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს საკუთარი განცხადებისა და სათანადო მოწმობის წარდგენის საფუძველზე, წინასაარჩევნო კამპანიის ვადით მიეცემა თუ არა უხელფასო შვებულება?
- მიეცემა.
- არ მიეცემა.
- მიეცემა, პარტიის ხელმძღვანელი პირის თანხმობით.
- მიეცემა ცესკოს თანხმობით.

609. კონსტიტუციის მიხედვით, რა ეწოდება პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ორგანოს ხელმძღვანელს?
- პრეზიდენტის აპარატის უფროსი.
- პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი.
- პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
- პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელი.

610. საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინების მიღებიდან რა ვადაში უნდა ეყაროს კენჭი ცესკოს განკარგულებას, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დანაშაულზე წასწრების გამო დაკავებასთან დაკავშირებით?
- 5 კალენდარული დღის ვადაში.
- 4 კალენდარული დღის ვადაში.
- 3 კალენდარული დღის ვადაში.
- 6 კალენდარული დღის ვადაში.

611. არჩევნების ბათილად ცნობიდან რა ვადაში უნდა დაინიშნოს ხელახალი არჩევნების თარიღი?
- არა უგვიანეს 2 დღისა.
- არა უგვიანეს 7 დღისა.
- არა უგვიანეს 3 დღისა.
- ასეთი თარიღი კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

612. რომელი ორგანოა ვალდებული დადგას სტენდები და გამოყოს ადგილები საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად?
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- საქართველოს პარლამენტი.

613. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებს ქმნის და მათ საზღვრებს აზუსტებს:
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცესკოს თავმჯდომარე.
- შესაბამისი რაიონის საკრებულო.
- ცესკო.

614. ვინ წყვეტს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს?
- პროკურატურა.
- პარლამენტი.
- საქართველოს პრეზიდენტი.
- დაუშვებელია დეპუტატს ვადამდე ადრე შეუწყდეს უფლებამოსილება.

615. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს:
- 2 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი კავშირი, რომლის წესდება ან დებულება რეგისტრაციაში გატარების მომენტისთვის ითვალისწინებს არჩევნებზე მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებების დაცვას.
- 4 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი კავშირი, რომლის წესდება ან დებულება რეგისტრაციაში გატარების მომენტისთვის ითვალისწინებს არჩევნებზე მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებების დაცვას.
- 1 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდება ან დებულება რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნებზე მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებების დაცვას.
- 3 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი კავშირი, რომლის წესდება ან დებულება რეგისტრაციაში გატარების მომენტისთვის ითვალისწინებს არჩევნებზე მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებების დაცვას.

616. რომელ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს საუბნო საარჩევნო კომისია?
- არჩევნების მეორე დღისათვის გადადების შესახებ.
- კენჭისყრის შეწყვეტის შესახებ.
- კენჭისყრის შენობის ჩაკეტვასთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.
- საარჩევნო უბნის დახურვის შესახებ.

617. როდის არის საარჩევნო სუბიექტი ვალდებული, უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა?
- კენჭისყრის დამთავრებიდან 15 დღის ვადაში.
- საარჩევნო სუბიექტი არ არის ვალდებული უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 10 დღის ვადაში.
- არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში.

618. როგორ ხდება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევა ცესკოს მიერ?
- არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის ერთი მესამედი.
- არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
- არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
- არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სრული შემადგენლობის ერთი მესამედი.

619. ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ, რომელიც დაკვირვებას ატარებდა ერთ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში გატარების მიზნით განცხადებით მიმართა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე 5 დღით ადრე და წარუდგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტი. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ რეგისტრაციისთვის უნდა მიმართოს ცესკოს.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას რეგისტრაციისთვის უნდა მიემართა ცესკოსთვის არჩევნების დღემდე 6 დღით ადრე.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას რეგისტრაციისთვის უნდა მიემართა საოლქო საარჩევნო კომისიისთვის არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-10 დღისა.

620. სამგორის საარჩევნო ოლქის N5 საარჩევნო უბანზე გამოცხადებულმა ამომრჩეველმა განაცხადა, რომ მას იმის გამო, რომ მარჯვენა ხელის მტევანი დაზიანებული ჰქონდა არ შეეძლო საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსება და მოითხოვა კაბინაში მასთან ერთად სხვა პირის შეშვება. კომისიის წევრმა შესთავაზა, რომ მასთან ერთად საარჩევნო კაბინაში მეტი სანდოობისთვის შესულიყო საერთაშორისო ორგანიზაციის დამკვირვებელი, რაზეც ამომრჩეველს პრეტენზია არ განუცხადებია. აღნიშნული ფაქტის შესახებ პრეტენზია განაცხადა საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელმა და მიმართა კომისიის თავმჯდომარეს ამ დარღვევაზე დაუყოვნებლივი რეაგირებისკენ. კანონიერად მოქმედებდა თუ არა კომისიის წევრი?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა დამკვირვებლისა და კანონით გათვალისწინებული სხვა პირებისა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსი ბიულეტენის შევსებისას ნებისმიერ შემთხვევაში კრძალავს სხვა პირის დასწრებას.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი.

621. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივ აქტებს?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

622. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ დარღვევებზე საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ გამოიტანა გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით, რომელიც გასაჩივრებული იქნა რაიონულ/საქალაქო სასამართლოში კანონით დადგენილი წესით. რაიონულმა/საქალაქო სასამართლომ კანონით დადგენილ ვადაში ასევე გამოიტანა გადაწყვეტილება შესულ საჩივართან დაკავშირებით, რომელიც ასევე გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით. რა ვადაში უნდა განიხილოს საჩივარი სააპელაციო სასამართლომ ?
- 1 სამუშაო დღის ვადაში.
- 2 დღის ვადაში.
- 2 სამუშაო დღის ვადაში.
- 1 დღის ვადაში.

623. როდის აჯამებს ცენტრალური საარჩევნო კომისია საქართველოს პარლამენტის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგებს?
- არჩევნების დღიდან არაუგვიანეს მე-20 დღისა.
- არჩევნების დღიდან არაუგვიანეს 25-ე დღისა.
- არჩევნების დღიდან არაუგვიანეს მე-19 დღისა.
- არჩევნების დღიდან არაუგვიანეს 30-ე დღისა.

624. ვინ ნიშნავს საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების თარიღს?
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის კონტრასიგნაციით.
- საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით.
- საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით.

625. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს:
- საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს ქართველი ხალხი
- საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი
- საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
- თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

626. გახარია არჩეული იყო ცესკოს თავმჯდომარედ. მას უფლებამოსილების ვადის გასვლამდე შეუწყდა თავმჯდომარის უფლებამოსილება. უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში პრეზიდენტმა ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკოს წარუდგინა 3 კანდიდატურა. წარდგენიდან მე-5 დღეს ასაკით უხუცესმა ცესკოს წევრმა მოიწვია ცესკოს სხდომა. სხდომაზე ცალ-ცალკე ეყარა კენჭი სამივე კანდიდატს. მათგან ერთ-ერთმა მიიღო ყველაზე მეტი - 5 ხმა, რომელიც არჩეულ იქნა თავმჯდომარის თანამდებობაზე. მოქმედებდა თუ არა კანონიერად ცესკო?
- ცესკო მოქმედებდა უკანონოდ, ვინაიდან სხდომა უნდა მოეწვია საქართველოს პრეზიდენტს.
- ცესკო მოქმედებდა უკანონოდ, ვინაიდან სამივე კანდიდატს კენჭი უნდა ეყაროს ერთდროულად.
- ცესკო მოქმედებდა უკანონოდ, ვინაიდან სხდომა უნდა ჩატარებულიყო კანდიდატურების წარდგენიდან 3 დღის ვადაში.
- ცესკო მოქმედებდა უკანონოდ, ვინაიდან 5 ხმა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირი არჩეულ იქნას თავმჯდომარედ.

627. თუ არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა:
- ყველა პასუხი სწორია.
- ინიშნება რიგგარეშე არჩევნები.
- ინიშნება არჩევნების მეორე ტური.
- ინიშნება მორიგი არჩევნები.

628. ვინ ირჩევს ცესკოს თავმჯდომარეს?
- საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, ცესკოს პარტიული წევრები (გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა).
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, არასამთავრობო ორგანიზაციები.
- საქართველოს პარლამენტის წარდგინებით, ცესკოს პარტიული წევრები (გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა).

629. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია გამოაქვეყნა არჩევნების დანიშვნიდან მე-5 დღეს. კანონიერად მოქმედებდა თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო?
- დიახ, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 10 დღისა.
- არა, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს არჩევნების დანიშვნამდე 5 დღით ადრე.
- დიახ, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 7 დღისა.
- არა, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

630. საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ განცხადებას ხელს აწერს:
- საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი პირი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.
- საარჩევნო ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი.
- პირველად დასახელებული პარტიის ხელმძღვანელი.
- საარჩევნო ბლოკის დებულებით განსაზღვრული პირი.

631. რა ვადაში ტარდება საკრებულოს რიგგარეშე არჩევნები?
- საკრებულოს უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში 30 დღის ვადაში ტარდება საკრებულოს რიგგარეშე არჩევნები.
- საკრებულოს უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში 50 დღის ვადაში ტარდება საკრებულოს რიგგარეშე არჩევნები.
- საკრებულოს უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში 60 დღის ვადაში ტარდება საკრებულოს რიგგარეშე არჩევნები.
- საკრებულოს უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში 25 დღის ვადაში ტარდება საკრებულოს რიგგარეშე არჩევნები.

632. რა სახის სამართლებრივ აქტებს გამოსცემს მინისტრი?
- კონსტიტუციურ კანონებს.
- დადგენილებებს.
- ბრძანებებს.
- განკარგულებებს.

633. რა უნდა იყოს მითითებული მხარდამჭერთა სიის ბლანკის ზედა მარცხენა კუთხეში?
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელები (სახელი,გვარი).
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელები (სახელი,გვარი).

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა სახელები (სახელი,გვარი).
- იმ საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება (სახელი და გვარი), რომლის არჩევნებში მონაწილეობის ინიციატივასაც მხარს უჭერს ამომრჩეველი.

634. კონსტიტუციის მიხედვით ვისი სახელით არის გამოცხადებული 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია?
- საქართველოს მოქალაქეთა სახელით
- საქართველოს მრავალეროვანი მოსახლეობის სახელით
- სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის სახელით
- ქართველი ხალხის სახელით

635. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს:
- დამკვირვებელი.
- სამინისტროს დეპარტამენტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელები.
- საქართველოს პარლამენტის წევრი.
- ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს იურისტი.

636. არჩევნების დღემდე 11 დღით ადრე ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ ”გზა დემოკრატიისკენ” რეგისტრაციაში გატარების მიზნით განცხადებით მიმართა გლდანის საარჩევნო კომისიას, სადაც დაკვირვების ობიექტად დაასახელა გლდანისა და სამგორის საარჩევნო ოლქები. განცხადებას თან დაურთო სადამფუძნებლო დოკუმენტი. საოლქო საარჩევნო კომისიამ განცხადება მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში განიხილა და დადებითად გადაწყვიტა რეგისტრაციის საკითხი. სწორად მოიქცა თუ არა საოლქო საარჩევნო კომისია?
- არა, რადგან ადგილობრივი დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში ატრებს ცესკო.
- არა, რადგან გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა მიეღო განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 3 დღისა.
- არა, რადგან განცხადება კანონით დადგენილ ვადაში არ ყოფილა წარდგენილი.
- დიახ, რადგან საოლქო საარჩევნო კომისია მოქმედებდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

637. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის მდივნის კანდიდატურების დასახელების უფლება აქვს:
- კომისიის არანაკლებ 3 წევრს.
- კომისიის არანაკლებ 2 წევრს.
- კომისიის არანაკლებ 5 წევრს.
- კომისიის არანაკლებ 4 წევრს.

638. საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად რა არის ამომრჩეველთა ერთიანი სია?
- ამომრჩეველთა ერთიანი სია არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.
- ამომრჩეველთა ერთიანი სია არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, პასიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.
- ამომრჩეველთა ერთიანი სია არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.
- ამომრჩეველთა ერთიანი სია არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო ოლქების მიხედვით.

639. არჩევნების დღემდე 15 დღით ადრე ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ ”დიდება საქართველოს” რეგისტრაციაში გატარების მიზნით განცხადებით მიმართა ცესკოს, სადაც დაკვირვების ობიექტად დაასახელა ნაძალადევის საარჩევნო ოლქი და განცხადებას თან დაურთო სადამფუძნებლო დოკუმენტი. ცესკომ განცხადება მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში განიხილა და დადებითად გადაწყვიტა რეგისტრაციის საკითხი. სწორად მოიქცა თუ არა ცესკო ?
- არა, რადგან ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთ საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- არა, რადგან განცხადება კანონით დადგენილ ვადაში არ ყოფილა წარდგენილი.
- არა, რადგან გადაწყვეტილება ცესკოს უნდა მიეღო განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 3 დღისა.
- დიახ, რადგან ცესკო მოქმედებდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

640. მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?
- საარჩევნო კოდექსის შესაბამისად განსაზღვრულ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო

სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), განკუთვნილი საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება.
- საარჩევნო კოდექსის შესაბამისად განსაზღვრულ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაკავებული შენობების გამოყენება, მიუხედავად იმისა, სხვა საარჩევნო სუბიექტებს აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა თუ არა.
- საარჩევნო კოდექსის შესაბამისად განსაზღვრულ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება.
- საარჩევნო კოდექსის შესაბამისად განსაზღვრულ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.

641. ჩამოთვლილთაგან რომელი რეკვიზიტი არ შეიტანება ამომრჩეველთა ერთიან სიაში?
- დაბადების თარიღი.
- მისამართი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით.
- ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრაციის თარიღი.
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის სერია და ნომერი.

642. კანონით გათვალისწინებული სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ, ფარული კენჭისყრის კაბინაში შესულ ამომრჩეველს - ლაშა თაბაგარს შემთხვევით გაეხა საარჩევნო ბიულეტენი, რის შესახებაც მან დაუყოვნებლივ განუცხადა კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვა ახალი ბიულეტენი. კომისიის თავმჯდომარემ მას გამოართვა დაზიანებული ბიულეტენი, მისი თანდასწრებით გადახია და მოათავსა სპეციალურ ურნაში, რის შემდეგაც ამომრჩეველს აუხსნეს, რომ მასზე მეორე ბიულეტენის გაცემის უფლება კანონით არ ჰქონდათ და სთხოვეს შენობის დაუყოვნებლივ დატოვება. კანონიერად მოქმედებდა თუ არა საარჩევნო კომისია?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში ამომრჩეველზე უნდა გაიცეს ახალი ბიულეტენი, ხოლო გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით უნდა ჩამოეჭრას კუთხე, დაეწეროს „გაფუჭებულია“, ხელი მოაწეროს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და უზრუნველყონ მისი ცალკე შენახვა.
- დიახ, რადგან, საარჩევნო კოდექსის თანახმად, დაუშვებელია ერთი და იგივე პირზე ერთზე მეტი ბიულეტენის გაცემა.
- არა, რადგან მართალია კომისიას ბიულეტენის ხელმეორედ გაცემის ვალდებულება არ ჰქონია, მაგრამ მათ დაარღვიეს დაზიანებული ბიულეტენის შენახვის წესი.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, დაუშვებელია მარკირების პროცედურის თავიდან გავლა.

643. კონსტიტუციის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ სასამართლომ უკანონოდ ცნო დაკავება, რა უფლება უჩნდება ამ ადამიანს?
- მას გაუჩნდება სურვილი ფიზიკურად გაუსწორდეს იმ პირებს, ვინც დააკავა
- უფლება მოითხოვოს იმ პირის თუ პირთა დაპატიმრება, რომლებმაც იგი უკანონოდ დააკავა
- უფლება, დაუყოვნებლივ, სახელმწიფოს ხარჯზე მიიყვანონ სახლში
- მას აქვს კომპენსაციის მიღების უფლება

644. რომელი თანამდებობის პირი ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს საქართველოს პარლამენტში?
- პარლამენტის თავმჯდომარე.
- პარლამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.
- პარლამენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
- პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელი.

645. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯომარის მიერუსკოს წევრობის კანდიდატების წარდგენიდანრა ვადაში უნდა ჩაატაროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ კენჭისყრა?
- წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
- წარდგენიდან არაუგვიანეს 14 დღისა.
- წარდგენიდან არაუგვიანეს 7 დღისა.
- წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

646. კომისიის წევრს:
- არა აქვს უფლება გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი.
- უფლება აქვს გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი.
- უფლება აქვს გახსნას დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი ზემდგომი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.
- უფლება აქვს გახსნას დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

647. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელს იცავს იმუნიტეტი დაპატიმრებისგან?
- ყველა პასუხი მცდარია.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- ცესკოს თავმჯდომარეს

648. ვინ იღებს გადაწყვეტილებას კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვის შემდეგ კენჭისყრის შენობის გახსნისა და კენჭისყრის გაგრძელების შესახებ?
- ხმების უმრავლესობით იღებს საუბნო საარჩევნო კომისია.
- ერთპიროვნულად იღებს ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ხმების უმრავლესობით იღებს ცესკო.
- ერთპიროვნულად იღებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

649. კონსტიტუციის მიხედვით, ვინ მიმართავს პარლამენტს საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირების, დენონსირების და გაუქმების შესახებ?
- მიმართავს მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტრო.
- მიმართავს მხოლოდ საქართველოს მთავრობა.
- მიმართავს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი.
- მიმართავს საქართველოს მთავრობა, აგრეთვე ზოგიერთ შემთხვევაში - საქართველოს პრეზიდენტი.

650. პარლამენტმა ცესკოს წევრობის ორ ვაკანსიაზე კენჭი უყარა 4 კანდიდატს. ხმათა საჭირო რაოდენობა მიიღო მათგან სამმა კანდიდატმა. რომელი ორი კანდიდატი ჩაითვლება არჩეულად ამ შემთხვევაში?
- არჩეულად ჩაითვლება ასაკით უხუცესი ორი კანდიდატი.
- არჩეულად ჩაითვლება ანბანის მიხედვით ბოლო ორი კანდიდატი.
- არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი.
- არჩეულად ჩაითვლება ანბანის მიხედვით პირველი ორი კანდიდატი.

651. ცესკოს წევრად ასარჩევად თითო ვაკანსიაზე რამდენ კანდიდატს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს საკონკურსო კომისია?
- 4 კანდიდატს.
- არანაკლებ 2 და არა უმეტეს 4 კანდიდატს.
- არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კანდიდატს.
- არანაკლებ 2 და არა უმეტეს 5 კანდიდატს.

652. კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.
- ნაფიცი მსაჯულების მიერ საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეები განიხილება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით.
- საერთო სასამართლოებში ნებისმიერი საქმე განიხილება ნაფიცი მსაჯულების მიერ, თუ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ბრალმდებელმა.
- საერთო სასამართლოებში ნებისმიერი საქმე განიხილება ნაფიცი მსაჯულების მიერ, თუ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ.

653. რომელი ორგანო ან თანამდებობის პირია უფლებამოსილი მთავრობის ერთ-ერთ წევრს დააკისროს პირველი ვიცე-პრემიერის მოვალეობათა შესრულება?
- მთავრობის მეთაური არის პრემიერ-მინისტრი, შესაბამისად ეს მისი პრეროგატივაა.
- მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე, შესაბამისად პარლამენტს სრული შემადგენლობის უმრავლესობით შეუძლია მთავრობის ერთ-ერთ წევრს დააკისროს პირველი ვიცე- პრემიერის მოვალეობათა შესრულება.
- აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური არის საქართველოს პრეზიდენტი, შესაბამისად ეს მისი პრეროგატივაა.
- მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე, შესაბამისად პარლამენტს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით შეუძლია მთავრობის ერთ-ერთ წევრს დააკისროს პირველი ვიცე- პრემიერის მოვალეობათა შესრულება.

654. კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლისა და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში ვინ იღებს გადაწყვეტილებას საუბნო საარჩევნო კომისიის განთავსების შენობიდან დამრღვევის გაძევების საკითხზე?
- გადაწყვეტილებას იღებს ცესკო.
- გადაწყვეტილებას იღებს ზემდგომი საარჩევნო კომისია.
- გადაწყვეტილებას იღებს საუბნო საარჩევნო კომისია.
- გადაწყვეტილებას იღებს ცესკოს თავმჯდომარე.

655. დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი არის:
- პროცედურულ საკითხთა კომიტეტის ცნობა იმის თაობაზე, რომ დეპუტატი ერთი თვის განმავლობაში არ ესწრებოდა პარლამენტის სხდომებს.
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება.
- მთავრობის და პარლამენტის ერთობლივი გადაწყვეტილება.
- სასამართლოს მიერ გარდაცვლილად ცნობა.

656. ვინ შეიძლება იყოს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ადგილობრივი დამკვირვებელი?
- იურისტი.
- სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი.
- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი.
- ჯარისკაცი.

657. ცესკოს თავმჯდომარეს უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეუწყდა. შეწყვეტიდან მე-11 დღეს საქართველოს პრეზიდენტმა ადგილობრივ არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან კონსულტაციების შემდეგ, ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკოს წარუდგინა 3 კანდიდატურა. კანონიერად მოქმედებდა თუ არა საქართველოს პრეზიდენტი?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში - შეწყვეტიდან არა უგვიანეს 15 დღისა საქართველოს პრეზიდენტი ადგილობრივ არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან კონსულტაციების შემდეგ ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკოს წარუდგენს 3 კანდიდატურას.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში - შეწყვეტიდან არა უგვიანეს 10 დღისა საქართველოს პრეზიდენტი ადგილობრივ არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან კონსულტაციების შემდეგ ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკოს წარუდგენს 3 კანდიდატურას.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში - შეწყვეტიდან არა უგვიანეს 10 დღისა საქართველოს პარლამენტი ადგილობრივ არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან კონსულტაციების შემდეგ ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკოს წარუდგენს 2 კანდიდატურას.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ცესკოს 3 ახალ კანდიდატურას წარუდგენს საქართველოს პარლამენტი.

658. ვარკეთილის N5 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა გიორგი ბრეგვაძემ კენჭისყრის დამთავრების შემდეგ შემაჯამებელ ოქმში გადაასწორა კენჭისყრასთან დაკავშირებული მონაცემები, რომელიც შეცდომით იყო შეტანილი. ამის გამო მას უფლებამოსილმა ორგანომ დააკისრა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმა. სწორია თუ არა საქმის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება?
- საქმის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება არასწორია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება იწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის პასუხისმგებლობას.
- საქმის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება არასწორია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება იწვევს მხოლოდ შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პასუხისმგებლობას.
- საქმის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება სწორია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება იწვევს საარჩევნო კომისიის იმ წევრის პასუხისმგებლობას, რომელიც გადაასწორებს მონაცემს.
- საქმის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება არასწორია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება იწვევს მხოლოდ შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივნის პასუხისმგებლობას.

659. რომელი მსჯელობა არის სწორი?
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რიგითი ნომრის პირველად არჩევის უფლება აქვს იმ პოლიტიკური გაერთიანების მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელმაც წინა საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული წესით ყველაზე მეტი ხმა მიიღო.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რიგითი ნომრის პირველად არჩევის უფლება აქვს იმ პოლიტიკური გაერთიანების მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელსაც ყველაზე მეტი წევრი ჰყავს დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რიგითი ნომრის პირველად არჩევის უფლება აქვს იმ პოლიტიკური გაერთიანების მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელმაც ყველაზე ადრე წარმოადგინა კანდიდატი.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რიგითი ნომრის პირველად არჩევის უფლება აქვს იმ პოლიტიკური გაერთიანების მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელსაც ყველაზე მეტი წევრი ჰყავს დანიშნული ცესკოში.

660. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის განცხადების წარდგენიდან რა ვადაში უნდა გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან სახალხო დამცველის მოადგილე?
- არა უგვიანეს მე-2 დღისა.
- სახალხო დამცველის მოადგილეზე არ ვრცელდება მსგავსი მოთხოვნა.
- არა უგვიანეს მე-5 დღისა.
- არა უგვიანეს მე-3 დღისა.

661. ვინ უნდა გაატაროს რეგისტრაციაში საინიციატივო ჯგუფის მიერ სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი?
- საქართველოს პარლამენტმა.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურმა აუდიტორმა.
- ცესკომ.
- საქართველოს პრეზიდენტმა.

662. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიამ პარტიული სია ცესკოს თავმჯდომარეს წარუდგინა პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის შემდეგ, არჩევნების დღემდე 32-ე დღეს. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, პარტიული სია ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს პარტიის რეგისტრაციის შემდეგ, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, პარტიული სია ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს პარტიის რეგისტრაციამდე 60 დღით ადრე.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, პარტიული სია ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს პარტიის რეგისტრაციის შემდეგ, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 31-ე დღისა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, პარტიული სია ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს პარტიის რეგისტრაციამდე 30 დღით ადრე.

663. საქართველოში არსებული ტელევიზიები ახორციელებდნენ საარჩევნო პროცესის გაშუქებას. ტელეკომპანია „საუნჯემ" საჩივრით მიმართა ცესკოს, რადგან მას არ მიეცა უფლება საარჩევნო უბანზე ჰყოლოდა 5 წარმომადგენელი. საჩივარში ისიც მიუთითა, რომ სხვა ტელევიზიებს ჰყავდათ სწორედ რომ ხუთ-ხუთი წარმომადგენელი. კანონიერია თუ არა ტელევიზიის მოთხოვნა?
- ტელევიზიის მოთხოვნა კანონიერია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არაუმეტეს 7 წარმომადგენლისა.
- ტელევიზიის მოთხოვნა უკანონოა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არაუმეტეს 3 წარმომადგენლისა.
- ტელევიზიის მოთხოვნა კანონიერია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არაუმეტეს 5 წარმომადგენლისა.
- ტელევიზიის მოთხოვნა უკანონოა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არაუმეტეს 2 წარმომადგენლისა.

664. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ განცხადების შესაბამისი საარჩევნო კომისიისათვის წარდგენიდან რა ვადაში უნდა გადადგნენ დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს და საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრები?
- განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა.
- განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მე-5 დღისა.
- განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მე-4 დღისა.
- განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მე-3 დღისა.

665. რამდენი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი იქმნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მარტყოფის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებში საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის?
- 22.
- 8.
- 15.
- 13.

666. საჯარო სამსახურს არ ეწევა

- საპარლამენტო ფრაქციის თანამშრომელი.
- მოხელე.
- სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი.
- დამხმარე მოსამსახურე.

667. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს:
- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს.
- საქველმოქმედო ორგანიზაციას.
- მოსამართლეს.

668. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით პარლამენტმა თანამდებობიდან გადააყენა, ანუ პრეზიდენტს უფლებამოსილება ვადამდე ადრე შეუწყდა, რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობებს?
- ვიცე-პრეზიდენტი.
- მთავრობის მეთაური.
- საქართველოს სახალხო დამცველი.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

669. აუცილებლობის შემთხვევაში, საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ საკითხთა გადასაწყვეტად, სპეციალური ჯგუფი იქმნება:
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით, რომელიც მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით.

670. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?
- საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება ზემდგომი საარჩევნო კომისიის განკარგულებით (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა), თუ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ფაქტი.
- საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება ზემდგომი საარჩევნო კომისიის ბრძანებით (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა), თუ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ფაქტი.
- საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებულებით (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა), თუ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ფაქტი.
- საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება ცესკოს დადგენილებით (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა), თუ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ფაქტი.

671. საარჩევნო სუბიექტის რამდენ წარმომადგენელს აქვს უფლება დაესწროს საარჩევნო კომისიის სხდომებს?
- ორივეს, მხოლოდ საარჩევნო კომისიის თანხმობით.
- ორივეს.
- მხოლოდ ერთს.
- წარმომადგენელს არ აქვს უფლება დაესწროს საარჩევნო კომისიის სხდომებს.

672. ვისი განკარგულებით იქმნება ცესკოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისია?
- ცესკოს თავმჯდომარის.
- პარლამენტის თავმჯდომარის.
- საქართველოს პრეზიდენტის.
- ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის.

673. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი ორგანოს ან თანამდებობის პირის გადაწყვეტილების საფუძველზეა დასაშვები ადამიანის თავისუფლების აღკვეთა?
- ადამიანის თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია საქართველოს სახალხო დამცველის თანხმობით
- ადამიანის თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ მთავარი პროკურორის გადაწყვეტილებით
- ადამიანის თავისუფლების აღკვეთა საერთოდ დაუშვებელია
- ადამიანის თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე

674. რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება:
- მხოლოდ რეფერენდუმით.

- საქართველოს პარლამენტის სპეციალური დადგენილებით, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
- საქართველოს პარლამენტის სპეციალური დადგენილებით, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით.

675. კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაშია დასაშვები შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა?
- იმ შემთხვევაში, თუ მისი გავრცელება ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს
- იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს მართლმადიდებელი ეკლესია
- იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს საქართველოს მწერალთა კავშირი
- იმ შემთხვევაში, თუ მკითხველთა აზრით იგი დაბალი ხარისხის შემოქმედებითი ნაწარმოებია

676. საარჩევნო უბანი, როგორც წესი, იქმნება:
- არანაკლებ 20 და არა უმეტეს 1500 ამომრჩევლისათვის.
- არანაკლებ 2000 ამომრჩევლისთვის.
- 2000-მდე ამომრჩევლისათვის.
- არა უმეტეს 2000 ამომრჩევლისათვის.

677. რეფერენდუმი შეიძლება მოეწყოს:
- ამნისტიისა და შეწყალების გამო.
- საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებათა დენონსირების შესახებ.
- საქართველოს კანონებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული საკითხებისა და პრინციპების შესახებ.
- კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად.

678. თუ გაიმართება პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური, ვის ეყრება კენჭი?
- ყველა იმ პირს, ვინც ხელახლა რეგისტრირებული იქნება ცესკო-ს მიერ კონსტიტუციითა და ორგანული კანონით დადგენილი წესით.
- პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს
- პირველ ტურში მონაწილე ყველა კანდიდატს.
- პირველ ტურში მონაწილე ყველა იმ კანდიდატს, ვინც 5%-იანი ბარიერი გადალახა.

679. პარლამენტის კომიტეტის პარლამენტის კომისიისაგან ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია:
- პარლამენტის კომიტეტი იქმნება პარლამენტის უფლებამოსილების ვადით, ხოლო კომისია - დროებითია.
- კომიტეტში მხოლოდ უმრავლესობის წევრებია, ხოლო კომისიაში მხოლოდ საპარლამენტო უმცირესობის წევრები.
- კომიტეტს ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარე, კომისიას - უმცირესობის ლიდერი.
- კომიტეტს შეუძლია კანონის მიღება, კომისიას - არა.

680. წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს:
- შპს „ირაო"-ს მენეჯერს.
- გენერალურ აუდიტორს.
- მოსამართლეს.
- საქართველოს სახალხო დამცველს.

681. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა კენჭისყრის დღეს ორჯერ, 13 საათსა და 18 საათზე, გადათვალა ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და ეს რიცხვი შესაბამისი დროის მინიშნებით შეიტანა საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- დიახ, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს აღნიშნული ვალდებულება უნდა შეესრულებინა კენჭისყრის დღეს ორჯერ, 12 საათსა და 17 საათზე.
- დიახ, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს აღნიშნული ვალდებულება უნდა შეესრულებინა კენჭისყრის დღეს სამჯერ, 10 საათზე, 13 საათსა და 16 საათზე.
- დიახ, რადგან ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობის დათვლა და ამ რიცხვის შესაბამისი დროის მინიშნებით საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში შეტანა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებაში არ შედის.
- დიახ, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს აღნიშნული ვალდებულება უნდა შეესრულებინა კენჭისყრის დღეს ორჯერ, 11 საათსა და 16 საათზე.

682. რა ვადაში ატარებს ცესკო რეგისტრაციაში თბილისის საკრებულოს წევრად არჩეულ პირებს ?
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე 3 დღის ვადაში.
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში.
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე 5 დღის ვადაში.
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 3 დღის ვადაში.

683. რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება მოქალაქის მიერ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ განცხადებაზე ორჯერ ხელის მოწერას?
- მოქალაქის მიერ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ განცხადებაზე ხელის მოწერის რაოდენობა კანონით განსაზღვრული არ არის.
- მოქალაქის მიერ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ განცხადებაზე ორჯერ ხელის მოწერის შემთხვევაში ორივე ხელმოწერა ბათილად ჩაითვლება.
- მოქალაქის მიერ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ განცხადებაზე ორჯერ ხელის მოწერა კანონით ნებადართულია.
- მოქალაქის მიერ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ განცხადებაზე ორჯერ ხელის მოწერის სამართლებრივ შედეგებზე გადაწყვეტილებას იღებს ცესკო.

684. დღიური მაუწყებლობის რამდენ პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს ტელე ან რადიოკომპანიის მიერ 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო წინასაარჩევნო აგიტაციისას?
- 15 პროცენტს.
- 20 პროცენტს.
- 10 პროცენტს.
- 5 პროცენტს.

685. რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება პრემიერ-მინისტრის ნებაყოფლობით გადადგომას?
- პრემიერ-მინისტრის გადადგომა იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას.
- პრემიერ-მინისტრის გადადგომის შემთხვევაში მის მოვალეობას შეასრულებს პირველი ვიცე-პრემიერი.
- პრემიერ-მინისტრის გადადგომის შემთხვევაში მისი დავალებით მოვალეობას შეასრულებს ერთ-ერთი სახელმწიფო მინისტრი.
- პრეზიდენტი ვალდებული გახდება დანიშნოს მოვალეობის შემსრულებელი მთავრობის მეთაური.

686. ამომრჩეველთა რამდენკაციან საინიციატივო ჯგუფს შეუძლია პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენა?
- 5-კაციანს.
- 2-კაციანს.
- 3-კაციანს.
- 4-კაციანს.

687. რეფერენდუმის მოწყობა შეიძლება:
- ამნისტიის გამო.
- განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე.
- კანონის გასაუქმებლად.
- კანონის მისაღებად.

688. რა ვადაში აჯამებს ცესკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და ქალაქ თბილისის მერის არჩევნების შედეგებს?
- კენჭისყრის ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-20 დღისა.
- კენჭისყრის ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-19 დღისა.
- კენჭისყრის ჩატარებიდან არა უგვიანეს 23-ე დღისა.
- კენჭისყრის ჩატარებიდან არა უგვიანეს 21-ე დღისა.

689. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი შეიძლება მიწვეულ იქნეს ფარული კენჭისყრის კაბინაში იმ ამომრჩევლის დასახმარებლად, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი?
- კანდიდატი.
- პოლიციელი.
- საერთაშორისო ორგანიზაციის დამკვირვებელი.
- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი.

690. რა ვადაში უნდა აირჩიოს საოლქო საარჩევნო კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრი იმ შემთხვევაში, როდესაც პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები არ ტარდება?
- არჩევნების დღემდე არა უადრეს 50-ე და არა უგვიანეს მე-60 დღისა.

- არჩევნების დღემდე არა უადრეს 46-ე და არა უგვიანეს 50-ე დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უადრეს 30-ე და არა უგვიანეს 50-ე დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უადრეს 50-ე და არა უგვიანეს 46-ე დღისა.

691. კონსტიტუციის მიხედვით, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს:
- მთავრობას
- სასამართლოს
- პარლამენტს
- პრეზიდენტს

692. რომელი მსჯელობაა სწორი?
- არჩევნების დღემდე მე-10-დან მე-7 დღემდე ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანა შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით.
- არჩევნების დღემდე მე-6-დან მე-3 დღემდე ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანა შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით.
- არჩევნების დღემდე მე-13-დან მე-10 დღემდე ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანა შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით.
- არჩევნების დღემდე მე-8-დან მე-5 დღემდე ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანა შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

693. N1 საარჩევნო კომისიას არ ჰყავდა არც თავმჯდომარე და არც მოადგილე. 21 მარტს, საარჩევნო კომისიის უხუცესმა წევრმა მოიწვია ამ კომისიის სხდომა ზ/აღნიშნული კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად, ასეთ შემთხვევაში, კომისიის სხდომას იწვევს და თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარეობს კომისიის მდივანი.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად, ასეთ შემთხვევაში, კომისიის სხდომას იწვევს და თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარეობს ანბანის მიხედვით სიაში პირველი კომისიის წევრი.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად ასეთ შემთხვევაში კომისიის სხდომას იწვევს და თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარეობს ასაკით კომისიის უხუცესი წევრი.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად, ასეთ შემთხვევაში, კომისიის სხდომას იწვევს და თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარეობს ზემდგომი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

694. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე რა ვადაში გამოსცემს ცესკო განკარგულებას კონკურსის ჩატარების შესახებ?
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 60 დღისა ან წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან არა უგვიანეს 3 დღისა.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 30 დღისა ან წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან არა უგვიანეს 3 დღისა.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 50 დღისა ან წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან არა უგვიანეს 3 დღისა.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 40 დღისა ან წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან არა უგვიანეს 2 დღისა.

695. სად საჩივრდება ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება?
- ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება საჩივრდება უზენაეს სასამართლოში.
- ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება საჩივრდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.
- ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.
- ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

696. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, არჩევნების დღემდე არაუადრეს 3 დღისა გამოიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი, რის თაობაზედაც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.
- საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, არჩევნების დღემდე ნებისმიერ დროს, გარდა კენჭისყრის დღისა გამოიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი, რის თაობაზედაც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.
- საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, არჩევნების დღემდე არაუადრეს 2 დღისა გამოიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი, რის თაობაზედაც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.
- საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, არჩევნების დღემდე არაუადრეს 5 დღისა გამოიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი, რის თაობაზედაც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.

697. რომელი ორგანო (პირი) განსაზღვრავს ცესკოს წევრთა ხელფასის ოდენობას?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

- საქართველოს პრეზიდენტი.
- ცესკოს თავმჯდომარე.
- ცესკო.

698. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, რა შემთხვევაში უნდა განაცხადოს ადმინისტრაციულ წარმოებაში თვითაცილება ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირმა?
- თუ იგი წარმოადგენს მატერიალურად პასუხისმგებელ პირს.
- თუ იგი ხელმძღვანელი თანამდებობის პირის ნათესავია.
- თუ იგი მიცემულია დისციპლინურ პასუხისგებაში.
- თუ იგი იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

699. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრმა გ. ცეცხლაძემ საარჩევნო კომისიის სხდომა არასაპატიო მიზეზით გააცდინა ზედიზედ ორჯერ, რის გამოც იგი თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით. კანონიერია თუ არა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოქმედება?
- უკანონოა, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი თანამდებობიდან ვადამდე შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით.
- კანონიერია, ვინაიდან, თუ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრმა ზედიზედ ორჯერ არასაპატიო მიზეზით გააცდინა საარჩევნო კომისიის სხდომა, იგი თანამდებობიდან უნდა გათავისუფლდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით.
- უკანონოა, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლებას საარჩევნო კომისიის სხდომის არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.
- უკანონოა, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი თანამდებობიდან ვადამდე თავისუფლდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით საარჩევნო კომისიის სხდომის ზედიზედ სამჯერ გაცდენის შემთხვევაში.

700. საქართველოს პრეზიდენტმა ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 25 დღისა ცესკოს წარუდგინა ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურები, რომელთაგან ცესკომ აირჩია ერთ- ერთი. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტმა კანდიდატურები უნდა წარადგინოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 25 დღისა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტს კანდიდატურები უნდა წარედგინა თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 30 დღისა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტს კანდიდატურები უნდა წარედგინა თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 40 დღისა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტს კანდიდატურები უნდა წარედგინა თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 35 დღისა.

701. სახელმწიფო მოსამსახურის მასობრივ აქციებში მონაწილეობის საკითხი რეგულირდება
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.
- „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით.
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით.
- „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

702. ყოველი მერამდენე საარჩევნო ბიულეტენი იკვრება ლითონის შემკერით?
- ყოველი მეცხრე.
- ყოველი მეცამეტე.
- ყოველი მეათე.
- ყოველი მეთერთმეტე.

703. საქართველოს მთავრობის მოთხოვნის მიღებიდან რა ვადაში ქვეყნდება რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება?
- მოთხოვნის მიღებიდან 2 თვის ვადაში.
- მოთხოვნის მიღებიდან 35 დღის ვადაში.
- მოთხოვნის მიღებიდან 25 დღის ვადაში.
- მოწყობის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში.

704. ბოლნისის საარჩევნო ოლქის, N-5 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ არ დაუშვა კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები შესაბამისი სამკერდე ნიშნის გარეშე. კანონიერად მოიქცა თუ არა იგი?
- კანონიერად მოიქცა, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საუბნო საარჩევნო კომისიის უმაღლესი თანამდებობის პირია.

- კანონიერად არ მოიქცა, რადგან კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ შეუზღუდავად.
- კანონიერად მოიქცა, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია კენჭისყრის შენობაში არ დაუშვას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები შესაბამისი სამკერდე ნიშნის გარეშე.
- კანონიერად არ მოიქცა, რადგან კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლებას უზღუდავს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

705. N1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებულ იქნა ცესკოში. ცესკომ კანონით დადგენილ ვადაში განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება. ცესკოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლომ ასევე განიხილა საჩივარი და გადაწყვიტა იგი. სად შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება?
- ასეთი გადაწყვეტილება აღარ საჩივრდება.
- თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში.
- თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.
- თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს საერთაშორისო სასამართლოში.

706. რა შემთხვევაში შეიძლება არ ჩატარდეს პარლამენტის არჩევნები კონსტიტუციით დადგენილ პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში?
- თუ ასეთი გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერით (კონტრასიგნაციით) მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა.
- თუ ამის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ.
- თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საომარ მდგომარეობას
- თუ ასეთი გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა.

707. რა სახის სამართლებრივი აქტით თავისუფლდება დაკავებულითანამდებობიდან უსკოს თავმჯდომარე?
- უმაღლესი საბჭოს დადგენილებით.
- მთავრობის დადგენილებით.
- უმაღლესი საბჭოს განკარგულებით.
- მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით.

708. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?
- ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დისციპლინური პასუხისმგებლობის ორი ზომა.
- ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთი ზომა.
- ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთი ზომა.
- ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთი ზომა.

709. რა ვადაში უნდა იქნეს შედგენილი საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურის დარღვევის შესახებ საჩივარი?
- კენჭისყრის დღის 6 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე.
- კენჭისყრის დღის 9 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე.
- კენჭისყრის დღის 8 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე.
- კენჭისყრის დღის 7 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე.

710. ჩამოთვლილთაგან რომელია პარლამენტის მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი?
- საარჩევნო ოლქის ნაწილი, რომელიც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების ჩატარების მიზნით, თუ საარჩევნო ოლქი მოიცავს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის მთელ ტერიტორიას.
- სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის და იმ ქალაქის საკრებულო, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები.
- საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.

711. დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი არის:
- საპროცედურო საკითხთა კომიტეტის ცნობით არასაპატიო მიზეზით სამი თვის განმავლობაში არმონაწილეობა პარლამენტის მუშაობაში
- საპროცედურო საკითხთა კომიტეტის ცნობით არასაპატიო მიზეზით ერთი თვის განმავლობაში არმონაწილეობა პარლამენტის მუშაობაში.
- საპროცედურო საკითხთა კომიტეტის ცნობით არასაპატიო მიზეზით ორი თვის განმავლობაში არმონაწილეობა პარლამენტის მუშაობაში.
- საპროცედურო საკითხთა კომიტეტის ცნობით არასაპატიო მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში არმონაწილეობა პარლამენტის მუშაობაში.

712. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ადგილობრივი/საერთაშორისო დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მედიის წარმომადგენლების საარჩევნო კოდექსით მინიჭებული უფლებების დარღვევისათვის ან მათ საქმიანობაში ჩარევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მხოლოდ საქართველოს საარჩევნო და სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- ადგილობრივი/საერთაშორისო დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მედიის წარმომადგენლების საარჩევნო კოდექსით მინიჭებული უფლებების დარღვევისათვის ან მათ საქმიანობაში ჩარევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს საარჩევნო, ადმინისტრაციული ან/და სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- ადგილობრივი/საერთაშორისო დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მედიის წარმომადგენლების საარჩევნო კოდექსით მინიჭებული უფლებების დარღვევისათვის ან მათ საქმიანობაში ჩარევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მხოლოდ საქართველოს საარჩევნო კოდექსით.
- ადგილობრივი/საერთაშორისო დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მედიის წარმომადგენლების საარჩევნო კოდექსით მინიჭებული უფლებების დარღვევისათვის ან მათ საქმიანობაში ჩარევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მხოლოდ საქართველოს საარჩევნო და ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

713. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შესახებ ცნობას თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს შედეგების შეჯამებიდან:
- 10 დღის ვადაში.
- 2 დღის ვადაში.
- 5 დღის ვადაში.
- 7 დღის ვადაში.

714. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში ამომრჩევლის შეყვანის შემთხვევაში, საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა ერთიან სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა და დასტურდება საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით.
- ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში ამომრჩევლის შეყვანის შემთხვევაში, საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა ერთიან სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა და დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით.
- ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში ამომრჩევლის შეყვანის შემთხვევაში, საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა ერთიან სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა და დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის ხელმოწერით.
- ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში ამომრჩევლის შეყვანის შემთხვევაში, საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა ერთიან სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა და დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის ხელმოწერებით.

715. როგორ არის განმარტებული რეფერენდუმის ცნება საქართველოს კონსტიტუციაში?
- რეფერენდუმი არის წარმომადგენლობითი დემოკრატიის ერთ-ერთი ფორმა
- რეფერენდუმი არის უშუალო დემოკრატიის ერთ-ერთი ფორმა
- რეფერენდუმის არის ამნისტიის გამოცხადების ერთ-ერთი პროცედურა
- რეფერენდუმი არის კანონის მიღების ერთ-ერთი პროცედურა

716. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე არის ანგარიშვალდებული აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო?
- ამომრჩევლების წინაშე.
- საქართველოს მოსახლეობის წინაშე.
- საქართველოს პარლამენტის წინაშე.
- საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

717. საარჩევნო სუბიექტმა წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ განცხადებით უნდა მიმართოს:
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- ზემდგომი საარჩევნო კომისიის მდივანს (ცესკოს გარდა).
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს.

718. რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების გამოქვეყნებიდან რა ვადაში იღებს საქართველოს მთავრობა დადგენილებას რეფერენდუმის მოწყობის უზრუნველყოფის შესახებ?
- 7 დღის ვადაში.
- 3 დღის ვადაში.
- 2 დღის ვადაში.
- 5 დღის ვადაში.

719. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით?
- ყველა ადამიანი ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ გარემოს
- სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას
- სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვას
- საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფასო სამედიცინო მომსახურების უფლება იმ პირობით, რომ მომსახურება ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ

720. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივ აქტებს?
- საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.
- უსკოს მდივნის ბრძანება.
- უსკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

721. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, თვითმმართველი ქალაქის მერის და თვითმმართველი თემის გამგებლის მორიგი არჩევნები ტარდება შესაბამისი ბოლო არჩევნებიდან სრული 4 წლის გასვლის შემდეგ, მე-5 წლის ოქტომბერში.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, თვითმმართველი ქალაქის მერის და თვითმმართველი თემის გამგებლის მორიგი არჩევნები ტარდება შესაბამისი ბოლო არჩევნებიდან სრული 4 წლის გასვლის შემდეგ, მე-5 წლის აპრილში.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, თვითმმართველი ქალაქის მერის და თვითმმართველი თემის გამგებლის მორიგი არჩევნები ტარდება შესაბამისი ბოლო არჩევნებიდან სრული 3 წლის გასვლის შემდეგ, მე-4 წლის აპრილში.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, თვითმმართველი ქალაქის მერის და თვითმმართველი თემის გამგებლის მორიგი არჩევნები ტარდება შესაბამისი ბოლო არჩევნებიდან სრული 3 წლის გასვლის შემდეგ, მე-4 წლის ოქტომბერში.

722. საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა:
- მხოლოდ საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის
- საქართველოში მცხოვრები ყოველი პირისათვის
- მხოლოდ საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირთათვის
- მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქისათვის

723. მოქალაქე სიდამონიძემ, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე, 22 წლის, ამჟამად უპარტიო, უმაღლესი იურიდიული განათლებით, რომელიც თავისუფლად ფლობს ქართულ და საშუალო დონეზე ინგლისურ ენებს, რომელსაც აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი, კანონით დადგენილი წესით განაცხადი შეიტანა ცესკოში საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის კანდიდატობაზე. ცესკომ განიხილა მისი განცხადება, დააკმაყოფილა იგი და სიდამონიძე დაარეგისტრირა კანდიდატად. სწორად მოიქცა თუ არა ცესკო?
- ცესკო არ მოიქცა სწორად, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატს არ უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება.
- სწორად მოიქცა, რადგან სიდამონიძე სრულად აკმაყოფილებდა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატისათვის დადგენილ მოთხოვნებს.
- ცესკო არ მოიქცა სწორად, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი უნდა იყოს მინიმუმ 25 წლის.
- ცესკო არ მოიქცა სწორად, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი თავისუფლად უნდა ფლობდეს ქართულ და ინგლისურ ენებს.

724. საუბნო საარჩევნო კომისიის რომელი წევრი ახდენს ამომრჩევლის მარკირებას?
- ამომრჩევლის მარკირებას ახდენს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი.
- ამომრჩევლის მარკირებას ახდენს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ამომრჩევლის მარკირებას ახდენს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- ამომრჩევლის მარკირებას ახდენს საუბნო საარჩევნო კომისიის ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი.

725. მას შემდეგ, რაც საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედი დაილუქება ცალკე პაკეტში, ვინ აწერს ამ პაკეტს ხელს?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე.

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის სხვა წევრები.

726. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საარჩევნო სუბიექტის მიერ რეგისტრაციისთვის წარმოდგენილ მხარდამჭერთა სიაში კანონით დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები ხელმოწერა აღმოჩნდება?
- სუბიექტს უარი ეთქმევა რეგისტრაციაზე.
- სუბიექტს ეძლევა დამატებით 3 დღიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.
- სუბიექტი დარეგისტრირდება იმ პირობით, რომ მომდევნო 2 დღის ვადაში შეავსებს მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობას საჭირო მინიმალურ რაოდენობამდე.
- სუბიექტს ეძლევა დამატებით 2-დღიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

727. წარდგენილი გეგმის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცესკოს შესაბამის საბიუჯეტო პროგრამულ კოდზე არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარებისთვის განკუთვნილი ასიგნების გამოყოფის კანონით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან რამდენი ხნის ვადაში, ვის და სად შეუძლია შეიტანოს სარჩელი?
- ვადის ამოწურვიდან 10 კალენდარული დღის ვადაში სარჩელის ცესკოში შეტანის უფლება აქვს საოლქო საარჩევნო კომისიას.
- ვადის ამოწურვიდან 10 კალენდარული დღის ვადაში სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება აქვს ცესკოს.
- ვადის ამოწურვიდან 5 კალენდარული დღის ვადაში სარჩელის ცესკოში შეტანის უფლება აქვთ ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებს.
- ვადის ამოწურვიდან 5 კალენდარული დღის ვადაში სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება აქვს ცესკოს.

728. საქართველოს პრეზიდენტობის რამდენი კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პარტიას?
- თითო კანდიდატის.
- 2 კანდიდატის.
- 3 კანდიდატის.
- პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს.

729. კონსტიტუციისა და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" ორგანული კანონის მიხედვით რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი წყვეტს უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხს?
- საქართველოს იუსტიციის მინისტრი
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
- საქართველოს პრეზიდენტი

730. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი:
- უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც, ან გამოცხადდეს საჯაროდ.
- უნდა გამოქვეყნდეს მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს ოფიციალურ ვებგვერდზე.
- უნდა გამოქვეყნდეს დაინტერესებული მხარის მიერ შერჩეულ ერთ-ერთ ბეჭდვით ორგანოში.
- არ ქვეყნდება.

731. რა წესის დაცვით ახდენს საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას?
- პირველი მთვლელი სპეციალური კონვერტიდან იღებს საარჩევნო ბიულეტენს, აცხადებს, ვისთვისაა მიცემული ხმა და ასე აგრძელებს ბოლომდე ბიულეტენების ამოღებას ყუთებიდან.
- პირველი მთვლელი სპეციალური კონვერტიდან იღებს საარჩევნო ბიულეტენს, აცხადებს, ვისთვისაა მიცემული ხმა და ერთი სახის საარჩევნო ბიულეტენს გადასცემს მეორე მთვლელს, მეორე სახისას - მესამე მთვლელს და ა. შ., ხოლო სპეციალურ კონვერტს დებს ცალკე.
- პირველი მთვლელი სპეციალური კონვერტიდან იღებს საარჩევნო ბიულეტენს, აცხადებს, ვისთვისაა მიცემული ხმა, რის შემდეგაც მათ გადასცემს მეორე მთვლელს, თავის მხრივ, მეორე მთვლელი გადასცემს მესამე მთვლელს და ასე გრძელდება მათ სრულ დათვლამდე.
- პირველი მთვლელი სპეციალური კონვერტიდან იღებს საარჩევნო ბიულეტენს, აცხადებს, ვისთვისაა მიცემული ხმა და დანარჩენი მთვლელების თანდასწრებით უზრუნველყოფს მათთვის ადგილის მიჩენას.

732. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია, არის
- არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია.
- კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები.
- საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალებათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება.

- ყველა პასუხი სწორია.

733. რომელია სწორი მსჯელობა?
- ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების რიგითობის შესახებ ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის ვადის დამთავრებიდან არაუგვიანეს 3 დღისა. იმავე ვადაში ქვეყნდება იმ სუბიექტთა სია, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე.
- ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების რიგითობის შესახებ ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის ვადის დამთავრებიდან არაუგვიანეს 7 დღისა. იმავე ვადაში ქვეყნდება იმ სუბიექტთა სია, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე.
- ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების რიგითობის შესახებ ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის ვადის დამთავრებიდან არაუგვიანეს 4 დღისა. იმავე ვადაში ქვეყნდება იმ სუბიექტთა სია, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე.
- ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების რიგითობის შესახებ ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის ვადის დამთავრებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. იმავე ვადაში ქვეყნდება იმ სუბიექტთა სია, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე.

734. ვისთან აზუსტებს სარეფერენდუმო საკითხის ფორმულირებას ცენტრალური საარჩევნო კომისია?
- საქართველოს პრეზიდენტთან.
- საქართველოს პარლამენტთან.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან.
- საინიციატივო ჯგუფთან.

735. პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა არის:
- 2 წელი.
- 4 წელი.
- 5 წელი.
- პარლამენტის უფლებამოსილების ვადა.

736. ძველი თბილისის N3 საარჩევნო უბანზე მონიტორინგის განხორციელების დროს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენელმა შეამჩნია, რომ საარჩევნო კომისიის თანამშრომლები ხმის მისაცემად გამოცხადებულ ამომრჩევლებს რჩევის სახით ეუბნებოდნენ, რომ ხმა მიეცათ სახელისუფლებო პარტიისთვის. აღნიშნულის შესახებ დამკვირვებელმა განცხადებით მიმართა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და რეაგირება მოსთხოვა ამ ფაქტზე. ჰქონდა თუ არა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენელს მსგავსი უფლება?
- არა, რადგან ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებით გამოვლენილი დარღვევის ფაქტებზე რეაგირების მოთხოვნის უფლება არ შედის ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენლის უფლებამოსილებაში.
- არა, რადგან საარჩევნო კომისიის თანამშრომლებს საარჩევნო კოდექსის თანახმად არ ეკრძალებათ კონკრეტულ საარჩევნო სუბიექტზე რეკომენდაციის გაწევა.
- დიახ ჰქონდა, რადგან ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებით გამოვლენილი დარღვევის ფაქტებზე რეაგირების მოთხოვნის უფლება მის უფლებამოსილებაში შედის.
- დიახ, თუმცა დამკვირვებელს ამის შესახებ უნდა მიემართა ცესკოსთვის და არა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისთვის.

737. საარჩევნო სუბიექტმა შესაბამის სამსახურს წარუდგინა ინფორმაცია იმ ანგარიშის შესახებ, რომლის გამოყენებასაც აპირებდა საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად. შეუძლია თუ არა საარჩევნო სუბიექტს, საარჩევნო კამპანია დააფინანსოს სხვა ფონდიდან?
- არ შეუძლია.
- შეუძლია მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს თანხმობით.
- შეუძლია მხოლოდ იმ ორგანოს თანხმობით ვისაც წარედგინა ინფორმაცია ანგარიშის შესახებ.
- შეუძლია მხოლოდ ცესკოს თანხმობით.

738. რამდენი შემაჯამებელი ოქმი დგება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების დროს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ?
- 1 შემაჯამებელი ოქმი.
- 3 შემაჯამებელი ოქმი.
- 2 შემაჯამებელი ოქმი.
- 4 შემაჯამებელი ოქმი.

739. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ასარჩევად, უფლებამოსილების ვადის გასვლისას გამოცხადებულ კონკურსში, საბუთების წარდგენის ვადაა:
- კონკურსის გამოცხადებიდან 14 დღე.
- კონკურსის გამოცხადებიდან 10 დღე.
- კონკურსის გამოცხადებიდან 7 დღე.
- კონკურსის გამოცხადებიდან 2 დღე.

740. საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით ვის და რამდენი ხნის ვადაში წარუდგენს ცესკო საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნას რეფერენდუმის მოწყობის შესახებ ?
- საქართველოს პარლამენტს მასალების შემოსვლიდან არაუგვიანეს 1 თვისა.
- საქართველოს პარლამენტს მასალების შემოსვლიდან არაუგვიანეს 1 დღისა.
- საქართველოს პრეზიდენტს მასალების შემოსვლიდან არაუგვიანეს 1 თვისა.
- საქართველოს პრეზიდენტს მასალების შემოსვლიდან არაუგვიანეს 1 დღისა.

741. ვინ არის პასუხისმგებელი შემაჯამებელი ოქმების შენახვასა და მათი დანიშნულებისამებრ გაცემაზე?
- ოქმის შემდგენი საარჩევნო კომისია.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ცესკო.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

742. კონსტიტუციის მიხედვით, არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება:
- რომელთაც ბრალი ედებათ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში
- რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით
- რომელთა წრეც განისაზღვრება მხოლოდ მოსამართლის გადაწყვეტილებით
- რომელთაც ბრალი ედებათ მძიმე დანაშაულის ჩადენაში

743. მოქალაქე დ-ლი, რომელიც 10 წლის წინ იყო პარლამენტის წევრი, დაიბარეს პროკურატურაში და როგორც მოწმეს მოსთხოვეს გარკვეული ინფორმაციის მიწოდება იმ ფაქტზე, რომელიც დეპუტატს გაანდეს ამომრჩევლებმა. როგორ უნდა მოიქცეს მოქალაქე დ-ლი?
- უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება ამ ფაქტზე, ეს უფლება დეპუტატს უფლებამოსილების შეწყვეტიდან 9 წლის განმავლობაში უნარჩუნდება.
- უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტზე, რომელიც მას როგორც პარლამენტის წევრს გაანდეს. მას ეს უფლება უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.
- დ-ლი გაფრთხილებულია, რომ თუ არ ითანამშრომლებს გამოძიებასთან მის მიმართ დაიწყება სისხლის-სამართლებრივი დევნა.
- უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება ამ ფაქტზე, ეს უფლება დეპუტატს უფლებამოსილების შეწყვეტიდან მხოლოდ 5 წლის განმავლობაში უნარჩუნდება, ამიტომ იგი ვალდებულია ითანამშრომლოს გამოძიებასთან.

744. რომელი ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობის გარეშეა დაუშვებელი მოსამართლის დაკავება ან დაპატიმრება, თუ იგი დანაშაულზე არ წაასწრეს?
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის.
- საქართველოს პრეზიდენტის

745. ცესკოს განკარგულების საფუძველზე მის მიერვე დადგენილი ნიმუშის მიხედვით, დაიბეჭდა საარჩევნო ბიულეტენები ქართულ, აფხაზურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. კანონიერად მოქმედებდა თუ არა ცესკო?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ბიულეტენები შეიძლება დაიბეჭდოს მხოლოდ ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში - აგრეთვე აფხაზურ ენაზე.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ბიულეტენები შეიძლება დაიბეჭდოს ქართულ ენაზე, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ სხვა ენაზედაც.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ბიულეტენები შეიძლება დაიბეჭდოს მხოლოდ ქართულ ენაზე და საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე ითარგმნოს თარჯიმნის მიერ.
- დიახ, თუმცა საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ცესკოს თავმჯდომარის დადგენილების საფუძველზე.

746. კონსტიტუციის მიხედვით, როგორ ხდება ეროვნული უშიშროების საბჭოს ფორმირება?
- ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს ნიშნავს საქართველოს მთავრობა.
- ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წინადადებით.
- ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით
- ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

747. საარჩევნო უბანში გამოცხადებულმა ერთ-ერთმა ამომრჩეველმა - ემზარ გელოვანმა კომისიის წევრებს განუცხადა, რომ მას, რამდენიმე თვის წინ მიყენებული დაზიანების გამო მარჯვენა ხელი გაშეშებული ჰქონდა და ვერ შეძლებდა დამოუკიდებლად საარჩევნო ბიულეტენზე საკუთარი ნების გამოვლენას. ემზარ გელოვანმა კომისიის წევრებს სთხოვა, რომ ფარული კენჭისყრის კაბინაში

დასახმარებლად მასთან ერთად შემოსულიყო მისი ძმა დიმიტრი გელოვანი, რომელიც იმავდროულად პარლამენტის წევრობის კანდიდატი იყო მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებში. კომისიამ გელოვანის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად შეუშვა ერთ-ერთი ამომრჩეველი - მზია ცირეკიძე. კანონიერად მოქმედებდა თუ არა საარჩევნო კომისია?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა კანონით გათვალისწინებული პირებისა, რომელთა შორის არ მოიაზრებიან საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლები.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, რომელთა შორის არ მოიაზრებიან საარჩევნო კომისიის წევრები და დამკვირვებლები.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა კანონით გათვალისწინებული პირებისა.

748. რა ვადაშია ვალდებული საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა აქტები?
- სამი თვის ვადაში.
- ერთი თვის ვადაში.
- ერთი წლის ვადაში.
- ექვსი თვის ვადაში.

749. ვარკეთილის საარჩევნო ოლქის N1 საარჩევნო უბანზე გამოცხადებულმა ამომრჩეველმა განაცხადა, რომ მას, იმის გამო, რომ მარჯვენა ხელის მტევანი დაზიანებული ჰქონდა, არ შეეძლო საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსება და მოითხოვა კაბინაში მასთან ერთად სხვა პირის შეშვება. კომისიის წევრმა საარჩევნო კაბინაში მასთან ერთად შესვლა სთხოვა სხვა ამომრჩეველს, რომელსაც თავისი საარჩევნო ნება უკვე დაფიქსირებული ჰქონდა. აღნიშნული ფაქტის შესახებ პრეტენზია განაცხადა ადგილობრივმა დამკვირვებელმა და მიმართა კომისიის თავმჯდომარეს ამ დარღვევაზე დაუყოვნებლივი რეაგირებისთვის. კანონიერად მოქმედებდა თუ არა კომისიის წევრი?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსი ბიულეტენის შევსებისას ნებისმიერ შემთხვევაში კრძალავს სხვა პირის დასწრებას.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა კანონით სპეციალურად განსაზღვრული პირებისა, რომელთა შორის სხვა ამომრჩეველი არ მოიაზრება.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა.

750. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ ქვეყნდება მის მიერ რეფერენდუმის მოწყობის თაობაზე თავდაცვის მინისტრის/იუსტიციის მინისტრის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ ქვეყნდება მის მიერ რეფერენდუმის მოწყობის თაობაზე საგარეო საქმეთა მინისტრის/იუსტიციის მინისტრის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ ქვეყნდება მის მიერ რეფერენდუმის მოწყობის თაობაზე უზენაესი სასამართლოს თავმჯომარის/იუსტიციის მინისტრის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ ქვეყნდება მის მიერ რეფერენდუმის მოწყობის თაობაზე საქართველოს პარლამენტის/საქართველოს მთავრობის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

751. რა ხდება იმ შემთხვევაში როდესაც სასამართლოში დავის განხილვისას არ გამოცხადდება ერთ- ერთი მხარე?
- სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს საქმეში არსებული მასალების გამოკვლევის საფუძველზე.
- სასამართლო განუხილველად დატოვებს საჩივარს.
- სასამართლო გადადებს საქმის განხილვას.
- სასამართლო დააკმაყოფილებს იმ მხარის მოთხოვნას, რომელიც გამოცხადდა.

752. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან და იქმნება საარჩევნო კოდექსის შესაბამისად.
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან და იქმნება საარჩევნო კოდექსის შესაბამისად.
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავისი

უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან და იქმნება საარჩევნო კოდექსის შესაბამისად.
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან და იქმნება საარჩევნო კოდექსის შესაბამისად.

753. თუ მაჟორიტარული არჩევნების პირველ ტურში ვერ აირჩა საქართველოს პარლამენტის წევრი, როდის უნდა გაიმართოს არჩევნების მეორე ტური?
- პირველი ტურიდან არა უგვიანეს 25-ე დღისა.
- პირველი ტურიდან არა უგვიანეს მე-13 დღისა.
- პირველი ტურიდან არა უგვიანეს მე-12 დღისა.
- პირველი ტურიდან არა უგვიანეს მე-11 დღისა.

754. კენჭისყრამდე რა ვადაში უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარებისთვის განკუთვნილი ასიგნების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცესკოს შესაბამის საბიუჯეტო პროგრამულ კოდზე?
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 45-ე დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 40-ე დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 55-ე დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა.

755. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიას აქვეყნებს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს:
- 29-ე დღისა.
- 25-ე დღისა.
- 35-ე დღისა.
- მე-20 დღისა.

756. სოსო ნიჟარაძე, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი იყო სისტემატურად არ ცხადდებოდა სამსახურში რეგლამენტით განსაზღვრულ დროზე. აღნიშნული დარღვევების გამო ზემდგომმა საოლქო საარჩევნო კომისიამ სოსო ნიჟარაძეს მისცა შენიშვნა და მომავალი თვის ხელფასის ნაწილი დაუქვითა. სწორად მოიქცა თუ არა საოლქო საარჩევნო კომისია?
- არა, რადგან სოსო ნიჟარაძის მიმართ გამოყენებული სანქცია აშკარად არაადეკვატური იყო ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე.
- დიახ, რადგან სოსო ნიჟარაძის ქმედება წარმოადგენდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ გადაცდომას და შესაბამისად მის მიმართ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური სანქციების გამოყენება საოლქო საარჩევნო კომისიის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა.
- არა, რადგან კანონი კრძალავს ერთდროულად რამდენიმე დისციპლინური სახდელის გამოყენებას.
- დიახ, რადგან არაერთგზის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისთვის კანონით ნებადართულია დისციპლინური პასუხისმგებლობის რამდენიმე ზომის ერთდროულად გამოყენება.

757. რა შემთხვევაშია უფლებამოსილი პრეზიდენტი დაითხოვოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო?
- საქართველოს სახალხო დამცველის მოთხოვნით.
- თუ ამას მოითხოვს ადგილობრივი მოსახლეობის არანაკლებ 10%.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.
- თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

758. საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ვინ ნიშნავს სწავლების ცენტრის ხელმძღვანელს?
- ცესკოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცესკოს თავმჯდომარე. ცესკოს თანხმობა მიიღება ცესკოს განკარგულებით.
- თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცესკოს თავმჯდომარე ერთპიროვნულად.
- ცესკოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცესკოს თავმჯდომარე. ცესკოს თანხმობა მიიღება ცესკოს დადგენილებით.
- პარლამენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცესკოს თავმჯდომარე. ცესკოს თანხმობა მიიღება ცესკოს განკარგულებით.

759. რა სახის სამართლებრივი აქტით თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე?
- ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებულებით.
- პარლამენტის დადგენილებით.
- საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით.
- ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით.

760. ვინ უნდა გადასცეს ბიულეტენი ამომრჩეველს?
- ამომრჩეველს თავისი არჩევანის დასაფიქსირებლად ბიულეტენი უნდა გადასცეს ამომრჩეველთა რეგისტრატორმა.
- ამომრჩეველს თავისი არჩევანის დასაფიქსირებლად ბიულეტენი უნდა გადასცეს კომისიის მდივანმა.
- ამომრჩეველს თავისი არჩევანის დასაფიქსირებლად ბიულეტენი უნდა გადასცეს კომისიის თავმჯდომარემ.
- ამომრჩეველს თავისი არჩევანის დასაფიქსირებლად ბიულეტენი უნდა გადასცეს კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ.

761. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა არ მიიღო, არ გაიზიარა პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები?
- კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას.
- მიუხედავად პრეზიდენტის შენიშვნებისა, პარლამენტის თავმჯდომარე ხელს აწერს კანონპროექტს და აქვეყნებს კანონს.
- კანონპროექტი ხელახლა უნდა იყოს მიღებული პარლამენტის მიერ.
- პარლამენტი გადაუგზავნის კანონპროექტს დასკვნისათვის საქართველოს ექსპერტთა კლუბს.

762. ჩამოთვლილთაგან რა შემთხვევაში შეყავთ ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში?
- თუ ამომრჩეველი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოხელეა.
- თუ ამომრჩეველი იძულებით გადაადგილებული პირია.
- თუ ამომრჩეველი საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეა.
- თუ ამომრჩეველი მსახურობს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში ან სასაზღვრო პოლიციის ქვედანაყოფში, რომელიც საარჩევნო უბნიდან შორსაა განლაგებული.

763. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელი არის სწორი?
- არჩევნებზე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 1 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომლის წესდება ან დებულება (სადამფუძნებლო დოკუმენტი) რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგის ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას და რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია ცესკოში ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- არჩევნებზე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 1 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდება ან დებულება (სადამფუძნებლო დოკუმენტი) რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას და რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია ცესკოში ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- არჩევნებზე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 2 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი სამეწარმეო იურიდიული პირი, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტი რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს და რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია ცესკოში ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- არჩევნებზე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 3 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტი რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს და რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია ცესკოში ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

764. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით ვ-მ წერილობითი განცხადებით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. მოთხოვნაზე სრულყოფილი პასუხის გაცემა მოითხოვდა სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა საჯარო მოსამსახურემ საჯარო ინფორმაცია მე-14 დღეს გასცა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, დაცულია თუ არა აღნიშნულ შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის გაცემის კანონით დადგენილი ვადა?
- ყველა პასუხი სწორია.
- დაცულია, რადგან ასეთ შემთხვევაში საჯარო ინფორმაცია უნდა გაცემულიყო არა უგვიანეს 14 დღისა.
- არ არის დაცული, რადგან საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის სხვა დასახლებულ პუნქტში არსებობის გამო ასეთი ინფორმაცია უნდა გაცემულიყო არა უგვიანეს 10 დღისა.
- არ არის დაცული, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ ადგენს ინფორმაციის გაცემის სპეციალურ ვადებს და გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ზოგადი ვადები.

765. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი შეიძლება იყოს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ადგილობრივი დამკვირვებელი ?
- ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი.
- პარლამენტის წევრი.
- პირი, რომელიც ბოლო 1 წლის განმავლობაში ნაფიც მსაჯულად იყო მიწვეული.
- მთავარი პროკურორი.

766. საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის საარჩევნო ყუთების დამზადებას უზრუნველყოფს:
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საქართველოს მთავრობა.
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

767. N2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიამ არჩევნების დანიშვნის შემდეგ მის დასრულებამდე 2 დღით ადრე დაიქირავა ბუღალტერი ხმების დასათვლელად. კანონიერად მოქმედებდა თუ არა საოლქო საარჩევნო კომისია?
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის მოქმედება არ არის კანონიერი, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, სპეციალისტი მას შეეძლო დაექირავებინა არჩევნების დამთავრებამდე 1 დღით ადრე.
- საოლქო საარჩევნო კომისიის მოქმედება კანონიერია, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია დაიქირაოს სპეციალისტი (მათ შორის ბუღალტერიც) არჩევნების დანიშვნის შემდეგ მის დასრულებამდე 2 დღით ადრე.
- საოლქო საარჩევნო კომისიის მოქმედება კანონიერია, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია დაიქირაოს სპეციალისტი არჩევნების დანიშვნის შემდეგ მის დასრულებამდე ნებისმიერ დროს.

768. რა დოკუმენტით განისაზღვრება უსკოს აპარატის სტრუქტურა,საქმიანობის წესი და უფლებამოსილებანი?
- უსკოს თავმჯდომარის ბრძანებით.
- უსკოს რეგლამენტით.
- უსკოს განკარგულებით.
- უსკოს სპეციალური აქტით.

769. სად შეიძლება გასაჩივრდეს საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დარღვევებთან დაკავშირებულ განცხადება/საჩივარზე საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება?
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.
- შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში.
- საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
- სააპელაციო სასამართლოში.

770. თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნებისას, გერმანიაში მუდმივად მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქემ გიორგი გვენცაძემ გადაწყვიტა არჩევნებში მონაწილეობის მიღება, რათა დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია და ხმა მიეცა თავისი რჩეული კანდიდატისთვის. თუმცა გიორგის შეეზღუდა აღნიშნული უფლება, იმის გამო, რომ იგი არჩევნების დღისათვის არ იმყოფებოდა საქართველოში. კანონიერად შეეზღუდა თუ არა გიორგის უფლება?
- უკანონოდ შეეზღუდა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში არ მონაწილეობენ არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს საზღვრების გარეთ მუდმივად ან დროებით მცხოვრები ამომრჩევლები, ხოლო თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნებში მათ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- კანონიერად შეეზღუდა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნებში არ მონაწილეობენ არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს საზღვრების გარეთ მუდმივად ან დროებით მცხოვრები ამომრჩევლები.
- უკანონოდ შეეზღუდა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნებში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს საზღვრების გარეთ მუდმივად ან დროებით მცხოვრებ ამომრჩევლებს.

771. რამდენი პროპორციული წესით არჩეული წევრისაგან შედგება თბილისის საკრებულო?
- 5.
- 25.
- 15.
- 9.

772. მოქალაქე მ. წულაიამ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართა წერილობითი განცხადებით, რომ მისთვის წარედგინათ საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები. ადმინისტრაციულმა ორგანომ მოთხოვნა დააკმაყოფილა და გასცა ინფორმაცია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, სწორია თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება?
- არ არის სწორი, ვინაიდან აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგების შესახებ ინფორმაციის გაცემა კანონმდებლობით აკრძალულია.
- სწორია, ვინაიდან ადმინისტრაციულ ორგანოში არ შეიძლება არსებობდეს რაიმე სახის საიდუმლო ინფორმაცია.

- სწორია, ვინაიდან საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები არ არის საიდუმლო ინფორმაცია.
- არ არის სწორი, ვინაიდან აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგების შესახებ ინფორმაცია შეიძლება გაიცეს მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ პირებზე.

773. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მსჯელობა არის სწორი?
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების თაობაზე შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია იყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესებს.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების თაობაზე შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია იყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესებს.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების თაობაზე შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია იყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ საჯარო და ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესებს.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების თაობაზე შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია იყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესებს.

774. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია, არის:
- არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია.
- კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართულური ღია კენჭისყრის შედეგები.
- ყველა პასუხი სწორია.
- საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალებათ საჯარო იმფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება.

775. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ არ მისცა თანხმობა უზენაესი სასამართლოს წევრის დაპატიმრებაზე. მთავარმა პროკურატურამ გაასაჩივრა უარი უზენაეს სასამართლოში და მოითხოვა საკითხის განხილვა უზენაესი სასამართლოს პლენუმზე. თქვენი აზრით, რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პლენუმმა?
- უნდა დაეკმაყოფილოს მთავარი პროკურორის მოთხოვნა და გააუქმოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება.
- ეს საკითხი არა უზენაესი, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია, ამიტომ პლენუმი მას არ იღებს განსახილველად.
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კომპეტენციაში არ შედის თანხმობის გაცემა მოსამართლეთა დაპატიმრებაზე.
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება, დაპატიმრებული მოსამართლე დაუყონებლივ უნდა გათავისუფლდეს.

776. პარლამენტის წევრთა რა რაოდენობა არის საჭირო პრეზიდენტის მიერ ვეტოს გამოყენების შემთხვევაში ორგანული კანონის პირვანდელი რედაქციის მიღებისათვის?
- პრეზიდენტის ვეტო აბსოლუტურია, პარლამენტმა უნდა გაიზიაროს მისი შენიშვნები.
- პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
- დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ ორი მეხუთედისა.
- პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

777. რა შემთხვევაში შეუძლია ეკავოს პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეცაა, ანუ ბიპატრიდია?
- ბიპატრიდს არ შეიძლება ეკავოს პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა
- იმ შემთხვევაში, თუ სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი გააჩნია
- იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს უჭერს აშშ-ს ადმინისტრაცია, ან ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეა
- იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტში მეოთხედ არის არჩეული

778. კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილების ვადაა:
- 6 წელი
- 4 წელი
- 5 წელი
- 10 წელი

779. ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად, საამისოდ უფლებამოსილმა პირმა კენჭისყრამდე არა

უგვიანეს 35 დღისა ცესკოს უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად, საამისოდ უფლებამოსილმა პირმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50 დღისა ცესკოს უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად, საამისოდ უფლებამოსილმა პირმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს 40 დღისა ცესკოს უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად, საამისოდ უფლებამოსილმა პირმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს 45 დღისა ცესკოს უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია.

780. საკრებულოს არჩევნების დანიშვნიდან, რა ვადაში ქმნის უფლებამოსილი საარჩევნო კომისია ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებს?
- არჩევნების დანიშვნის დღიდან 4 დღის ვადაში.
- არჩევნების დანიშვნის დღიდან 5 დღის ვადაში.
- არჩევნების დანიშვნის დღიდან 2 დღის ვადაში.
- არჩევნების დანიშვნის დღიდან 3 დღის ვადაში.

781. ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან რომელი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას?
- გამონაკლისის სახით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც თავის ქვეყანაში ცნობილი მოსამართლე იყო და საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება.
- მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე.
- მოსამართლე შეიძლება იყოს მოქალაქეობის არმქონე პირი.
- გამონაკლისის სახით, მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლე შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე.

782. რამდენი წევრისაგან შედგება თბილისის საკრებულო?
- 27.
- 50.
- 37.
- 25.

783. ადგილობრივი მაუწყებელი ვალდებულია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია/ბლოკი:
- რომელმაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მიიღო ხმების არანაკლებ 25 პროცენტისა.
- რომელმაც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებულ ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მიიღო ხმების არანაკლებ 10 პროცენტისა.
- რომელიც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ამ კანონით დადგენილი წესით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ ზედიზედ 2 კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 25 პროცენტის მხარდაჭერით.
- ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატი, რომელიც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ამ კანონით დადგენილი წესით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ ზედიზედ 2 კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 25 პროცენტის მხარდაჭერით.

784. რამდენ ხანში უნდა განაცხადოს თანხმობა პარლამენტის წევრობაზე გამოკლებული წევრის უფლებამონაცვლე პირმა?
- ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში.
- კანდიდატი ვალდებულია გახდეს პარლამენტის წევრი, რადგან თანხმობა მან პარტიულ სიაში შეყვანის დროს განაცხადა.
- ასეთ ნორმას კანონმდებლობა არ იცნობს.
- ვაკანსიის წარმოქმნიდან 7 დღეში.

785. რამდენი დამკვირვებლის ყოლის უფლება აქვს ერთ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას ერთ საარჩევნო უბანზე?
- ერთ ორგანიზაციას ერთ საარჩევნო უბანზე უფლება აქვს ჰყავდეს მხოლოდ ორი დამკვირვებელი.
- ერთ ორგანიზაციას ერთ საარჩევნო უბანზე უფლება აქვს ჰყავდეს არა უმეტეს ორი დამკვირვებლისა.
- ერთ ორგანიზაციას ერთ საარჩევნო უბანზე უფლება აქვს ჰყავდეს იმდენი დამკვირვებელი, რამდენსაც კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტს ამ ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო.
- ერთ ორგანიზაციას ერთ საარჩევნო უბანზე უფლება აქვს ჰყავდეს მხოლოდ ერთი დამკვირვებელი.

786. როგორი ფორმით უნდა მიმართოს ცესკოს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა, რომელიც ხსნის თავის კანდიდატურას?
- წერილობითი განცხადებით.
- არცერთი ფორმა არ არის საჭირო.

- სანოტარო წესით.
- ზეპირი ფორმით.

787. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს:
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის არანაკლებ 3 წევრს.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის არანაკლებ 3 წევრს.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის არანაკლებ 2 წევრს.

788. რომელი მსჯელობაა სწორი?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა.

789. N1 საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ გამოიტანა გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით, რომელიც გასაჩივრებულ იქნა რაიონულ/საქალაქო სასამართლოში კანონით დადგენილი წესით. რაიონულმა/საქალაქო სასამართლომ კანონით დადგენილ ვადაში ასევე გამოიტანა გადაწყვეტილება შესულ საჩივართან დაკავშირებით, რომელიც ასევე გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო სასამართლოში საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით. რა ვადაში უნდა განიხილოს საჩივარი სააპელაციო სასამართლომ ?
- 1 სამუშაო დღის ვადაში.
- 2 სამუშაო დღის ვადაში.
- 1 დღის ვადაში.
- 2 დღის ვადაში.

790. დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად, თუ:
- იგი დამოწმებული არ არის საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდითა და საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი კომისიის ორი წევრის ხელმოწერით.
- იგი დამოწმებული არ არის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბეჭდით.
- იგი დამოწმებული არ არის ამომრჩეველთა რეგისტრატორის ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით.
- იგი დამოწმებული არ არის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით.

791. პოლიტიკურმა პარტია - ''დათვი''-ს წარმომადგენელმა დაიწყო პარტიის ლიდერის მხარდამჭერი აგიტაცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობაში, რაც სასამართლოს მანდატურის სამსახურის თანამშრომლებმა დაუყოვნებლივ აღკვეთეს. კანონიერი იყო თუ არა მათი (მანდატურების) მოქმედება?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, სასამართლოს შენობები არის ერთ-ერთი ის ადგილი, სადაც აკრძალულია წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, სასამართლოს შენობები არის ერთ-ერთი ის ადგილი, სადაც ნებადართულია წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება ნებადართულია ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოს შენობაში, გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობისა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, დაუშვებელია წინასაარჩევნო აგიტაციისთვის ხელის შეშლა.

792. ვის აქვს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება?
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.
- პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.
- მთავარ პროკურორს.

793. საარჩევნო კომისიის სხდომიდან რა ვადაში უნდა გაფორმდეს სხდომის ოქმი?
- სხდომიდან 1 დღის ვადაში.
- სხდომიდან 4 დღის ვადაში.
- სხდომიდან 2 დღის ვადაში.
- სხდომიდან 3 დღის ვადაში.

794. არასამთავრობო ორგანიზაციამ განცხადებით მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და მოითხოვა მხარდამჭერთა სიების

გადაცემა. განცხადებაში მიუთითეს, რომ აღნიშნული სიები ესაჭიროებოდათ მხოლოდ სტატისტიკისთვის. ცესკომ უარი განუცხადა ორგანიზაციას სიების გაცემაზე. შეაფასეთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოქმედება.
- ცესკოს მოქმედება არასწორია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად იგი ვალდებულია ნებისმიერ პირზე გასცეს მხარდამჭერთა სიები, თუ მათ ექნებათ ცესკოს თავმჯდომარის თანხმობა.
- ცესკოს მოქმედება კანონიერია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ ცესკოს წევრებს.
- ცესკოს მოქმედება არასწორია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, იგი ვალდებულია ნებისმიერ პირზე გასცეს მხარდამჭერთა სიები.
- ცესკოს მოქმედება კანონიერია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ ცესკოს წევრებს, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებსა და ცესკოს სათანადო სამსახურის თანამშრომლებს, ხოლო სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში – აგრეთვე სასამართლოს.

795. კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები არის:
- არ წარმოადგენს სამართლებრივ აქტს.
- შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ისე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
- ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

796. არჩევნების დანიშვნიდან რა ვადაში ქვეყნდება ცნობები მასობრივი ინფორმაციების საშუალებით ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შესახებ?
- არჩევნების დანიშვნის დღიდან 2 დღის ვადაში.
- არჩევნების დანიშვნის დღიდან 4 დღის ვადაში.
- არჩევნების დანიშვნის დღიდან 3 დღის ვადაში.
- არჩევნების დანიშვნის დღიდან 5 დღის ვადაში.

797. საკრებულოს არჩევნებში მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის მიზნით, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა, საარჩევნო ოლქში კენჭისყრის დღემდე 40 დღით ადრე სათანადო განცხადებით მიმართა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის მიზნით, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 40 დღისა სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის მიზნით არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა კენჭისყრის დღემდე არა უადრეს 30 დღისა სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის მიზნით, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა კენჭისყრის დღემდე არა უადრეს 40 დღისა სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის მიზნით, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 30 დღისა სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

798. კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაში შეიძლება ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა?
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა დასაშვებია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განაჩენით
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა შეიძლება, თუ არსებობს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა დასაშვებია პრეზიდენტის ბრძანებულებით
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა დასაშვებია კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას

799. განცხადება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს:
- მე-7 დღისა.
- მე-3 დღისა.
- მე-5 დღისა.
- მე-9 დღისა.

800. რომელი ორგანო ადგენს საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში არჩევნების ჩატარების წესსა

და ვადებს?
- ის სამხედრო დანაყოფი, სადაც ტარდება არჩევნები.
- ცესკო.
- ასეთ სამხედრო ნაწილებში არჩევნები არ ტარდება.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

801. დისციპლინური გადაცდომისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიმართ ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არ გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომა:
- ხელფასის/ხელფასის ნაწილის დაკავება.
- საყვედური.
- შენიშვნა.
- გაფრთხილება.

802. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობებიდან რომელი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 41-ე მუხლს?
- ადამიანი შეიძლება გაეცნოს სხვა პირის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან და სხვა კერძო ინტერესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ამ პირის თანხმობის გარეშე, თუ აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფა
- ადამიანი შეიძლება გაეცნოს სხვა პირის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან და სხვა კერძო ინტერესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ამ პირის თანხმობის გარეშე, თუ ეს აუცილებელია მისი პირადი კეთილდღეობისა და კარიერული წინსვლისათვის
- ადამიანი შეიძლება გაეცნოს სხვა პირის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან და სხვა კერძო ინტერესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ამ პირის თანხმობის გარეშე, თუ აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- ადამიანი შეიძლება გაეცნოს სხვა პირის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან და სხვა კერძო ინტერესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ამ პირის თანხმობის გარეშე, თუ აუცილებელია სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა

803. რა ვადებში ტარდება საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები?
- ხუთწლიანი ვადის ამოწურვისთანავე.
- პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის მაისში ან ოქტომბერში.
- პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში.
- ნაკიანი წლის ნოემბრის პირველი ორშაბათის მომდევნო პირველ სამშაბათს.

804. რამდენ წელიწადში ერთხელ ტარდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნები?
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- ბოლო არჩევნებიდან სრული 4 წლის გასვლის შემდეგ.
- ბოლო არჩევნებიდან სრული 3 წლის გასვლის შემდეგ, მე-4 წლის ოქტომბერში.
- ბოლო არჩევნებიდან სრული 3 წლის გასვლის შემდეგ, მე-4 წლის ნოემბერში.

805. ვინ ინახავს საკონტროლო ფურცლის მესამე ეგზემპლარს, საარჩევნო ყუთებში არსებულ საკონტროლო ფურცლებთან შემდგომი შედარების მიზნით:
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისია.

806. N1 საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით. სად შეიძლება გასაჩივრდეს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება?
- საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება აღარ საჩივრდება.
- საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოს თავმჯდომარესთან.
- საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოში.

807. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?
- საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ მისი გამოცემიდან 3 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ მისი გამოცემიდან 3 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის

თქმის შესახებ მისი გამოცემიდან 2 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ მისი გამოცემიდან 2 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში.

808. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია კენჭისყრის დღეს ორჯერ, 12 საათსა და 17 საათზე, გადათვალოს ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და ეს რიცხვი შესაბამისი დროის მინიშნებით შეიტანოს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი უფლებამოსილია კენჭისყრის დღეს ორჯერ, 11 საათსა და 18 საათზე, გადათვალოს ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და ეს რიცხვი შესაბამისი დროის მინიშნებით შეიტანოს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი უფლებამოსილია კენჭისყრის დღეს ორჯერ, 12 საათსა და 17 საათზე, გადათვალოს ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და ეს რიცხვი შესაბამისი დროის მინიშნებით შეიტანოს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია კენჭისყრის დღეს ორჯერ, 11 საათსა და 18 საათზე, გადათვალოს ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და ეს რიცხვი შესაბამისი დროის მინიშნებით შეიტანოს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში.

809. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს:
- უცხო ქვეყნის მოქალაქეს.
- საქართველოს სახალხო დამცველს.
- უცხო ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს.
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრს.

810. საკრებულოს არჩევნებისას, მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენისას პარტიის/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის განცხადებაში მითითებული არ უნდა იყოს მაჟორიტარი კანდიდატის:
- სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულება.
- დაბადების თარიღი.
- თანამდებობა.
- სამუშაო ადგილი.

811. როგორ წყდება ადგილმონაცვლეობის საკითხი, როდესაც საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის პარტიული სიით?
- გამოკლებული წევრის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე სიაში რიგით მომდევნო პარლამენტის წევრობის კანდიდატი.
- გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეს პარტიული სიიდან ირჩევს პარტიის თავმჯდომარე.
- გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეს პარტიული სიიდან ირჩევს პარტიის საბჭო.
- ტარდება შუალედური არჩევნები.

812. კენჭისყრამდე რა ვადაში ადგენს და ამტკიცებს საოლქო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სპეციალურ სიებს?
- კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-2 დღისა.
- კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-4 დღისა.
- კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-5 დღისა.
- კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-3 დღისა.

813. რა სახის სამართლებრივი აქტით იღებს ცესკო გადაწყვეტილებას საარჩევნო/სარეფერენდუმო/საპლებისციტო/ ბიულეტენების ფორმის შესახებ?
- განკარგულებით.
- ბრძანებულებით.
- ბრძანებით.
- დადგენილებით.

814. კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ მითითებულთაგან რომელია სწორი პასუხი?
- საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური სახელწოდებაა „საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკა“
- საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური სახელწოდებაა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“
- საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური სახელწოდებაა „საქართველოს რესპუბლიკა“
- საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო“

815. ვინ აწერს ხელს ჩანაწერთა წიგნის პირველ და მე-2 გვერდებზე?
- საარჩევნო უბნის გახსნის დროს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი, მათ შორის პირველი ამომრჩეველი.
- კომისიის წევრები და პირველივე ამომრჩეველი.
- მხოლოდ კომისიის წევრები.
- საარჩევნო უბნის გახსნის დროს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი.

816. ამომრჩეველს, რომელმაც მარკირების პროცედურის გავლაზე თქვა უარი, კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება:
- აქვს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.
- აქვს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.
- აქვს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.
- არა აქვს.

817. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რისი უფლება არ აქვს დამკვირვებელს?
- მოსთხოვოს ამომრჩეველს, უჩვენოს, რამდენი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს ხელში.
- ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში.
- დაესწროს და დააკვირდეს საარჩევნო კომისიის სხდომებს.
- მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე და მათი გახსნის შემდეგ.

818. სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, მოხელის კვალიფიკაციის დასადგენად
- დაწესებულების ხელმძღვანელმა (დაწესებულებამ) შეიძლება შემოიღოს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ნორმატიული აქტით.
- დაწესებულების ხელმძღვანელმა (დაწესებულებამ) შეიძლება შემოიღოს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ნორმატიული აქტით და ჩაატაროს ატესტაცია.
- დაწესებულების ხელმძღვანელმა საჯარო სამსახურის ბიუროსთან შეთანხმებით შეიძლება შემოიღოს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ნორმატიული აქტით.
- დაწესებულების ხელმძღვანელმა (დაწესებულებამ) მოხელეთა განცხადებების საფუძველზე შეიძლება შემოიღოს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ნორმატიული აქტით.

819. ვინ და როდის აქვეყნებს საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრირებული პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სიას?
- საუბნო საარჩევნო კომისია, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.
- საოლქო საარჩევნო კომისია, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 45-ე დღისა.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.

820. ვინ ამოწმებს პარტიის მხარდამჭერთა სიებს?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- უსკო.
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისია.

821. რამდენი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი იქმნება საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის?
- 78.
- 73.
- 82.
- 75.

822. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელი მსჯელობა არ არის სწორი? ამომრჩეველთა ერთიანი სია დგება:
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ იმ პირთა შესახებ გადაცემული მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გარდაიცვალნენ, მაგრამ მათი ოჯახის წევრებს არ მიუმართავთ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის გარდაცვალების მოწმობის მისაღებად, აგრეთვე იმ ქუჩებისა და საცხოვრებელი სახლების შესახებ გადაცემული ინფორმაციის საფუძველზე, რომლებსაც შეეცვალა სახელწოდება/ნომერი.
- ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ იმ პირთა შესახებ გადაცემული მონაცემების საფუძველზე, რომელთა მიმართაც ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა გარემოს დაცვის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სავარაუდოდ ჩადენის გამო.

- საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ იმ ამომრჩეველთა შესახებ გადაცემული მონაცემების საფუძველზე, რომლებიც საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე დგანან.
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებული, შესაბამის ტერიტორიაზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრირებულ პირთა, მათ შორის, იმ პირთა შესახებ მონაცემების საფუძველზე, რომლებსაც არჩევნების დღისთვის უსრულდებათ 18 წელი, აგრეთვე გარდაცვლილთა შესახებ მონაცემების საფუძველზე.

823. საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება არა აქვთ:
- საარჩევნო სუბიექტების თითო წარმომადგენელს შესაბამის კომისიაში.
- არჩევნებში მონაწილე კანდიდატს.
- პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესაბამის კომისიაში აკრედიტებულ წარმომადგენლებს.
- შესაბამისი და ზემდგომი საარჩევნო კომისიების აპარატის თანამშრომლებს.

824. კონსტიტუციის მიხედვით, რას ნიშნავს კონსტიტუციური ფორმულა - „საქართველოს პარლამენტის წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით“?
- ყველა დეპუტატი თავის ქმედებაში თუ უმოქმედობაში თავისუფალია.
- მისი საქმიანობის მაღალი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე იგი თავისუფალია ყოველგვარი ოჯახური მოვალეობებისაგან.
- იმ შემთხვევაშიც კი, თუ დეპუტატი არ ასრულებს წინასაარჩევნო კამპანიაში გაცემულ ყველა დაპირებას, მისი გაწვევა დაუშვებელია.
- თუ დეპუტატი არჩეულია პარტიული სიით მას თავისუფლად შეუძლია არ ეთანხმებოდეს პარტიულ დირექტივებს.

825. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საოლქო საარჩევნო კომისიის 6 წევრს 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ცესკო.
- საოლქო საარჩევნო კომისიის 5 წევრს 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ცესკო.
- საოლქო საარჩევნო კომისიის 6 წევრს არჩევნების დანიშვნიდან საბოლოო შედეგების შეჯამებამდე ვადით სრული შემადგენლობის ორი მესამედით ირჩევს ცესკო.
- საოლქო საარჩევნო კომისიის 5 წევრს არჩევნების დანიშვნიდან საბოლოო შედეგების შეჯამებამდე ვადით სრული შემადგენლობის ორი მესამედით ირჩევს ცესკო.

826. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ კენჭისყრის დაწყებამდე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრთაგან წილისყრით გამოავლენს გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღებ კომისიის 2 წევრს. ამასთანავე, ისინი არ შეიძლება იყვნენ ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი საარჩევნო კომისიის წევრები.
- საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ კენჭისყრის დაწყებამდე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრთაგან წილისყრით გამოავლენს გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღებ კომისიის 3 წევრს. ამასთანავე, ისინი არ შეიძლება იყვნენ ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი საარჩევნო კომისიის წევრები.
- საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ კენჭისყრის დაწყებამდე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრთაგან, წილისყრით გამოავლენს გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღებ კომისიის 3 წევრს. ამასთანავე, ისინი შეიძლება იყვნენ ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი საარჩევნო კომისიის წევრები.
- საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ კენჭისყრის დაწყებამდე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრთაგან, წილისყრით გამოავლენს გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღებ კომისიის 2 წევრს. ამასთანავე, ისინი შეიძლება იყვნენ ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი საარჩევნო კომისიის წევრები.

827. კონსტიტუციის მიხედვით ვის გამგებლობაშია კანონმდებლობა მიწისა და ბუნებრივი რესურსების შესახებ?
- ავტონომიური რესპუბლიკებისა და რეგიონების (მხარეების) ერთობლივ გამგებლობაში
- ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლობაში
- მხოლოდ საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების გამგებლობაშია
- საქართველოს ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკების ერთობლივ კომპეტენციაში

828. რეფერენდუმი არის:
- საერთო-სახალხო გამოკითხვით კანონის მიღება.
- კენჭისყრით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად.
- საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

829. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება ძალაში შედის:

- მისი საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის შემდეგ.
- მისი ხელმოწერისთანავე.
- მისი მიღებისთანავე.
- ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში'' გამოქვეყნებისთანავე, თუ თვით ამ დადგენილებით უფრო გვიანი ვადა არ იქნა განსაზღვრული.

830. რა ვადაში უნდა მიმართოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით ცესკოს თავმჯდომარეს, თუ მას არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში:
- პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 57-ე დღისა.
- პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 58-ე დღისა.
- პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 55-ე დღისა.
- პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 56-ე დღისა.

831. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში ვინ ამტკიცებს სპეციალურ სიებს?
- საუბნო საარჩევნო კომისია განკარგულებით.
- საუბნო საარჩევნო კომისია დადგენილებით.
- საოლქო საარჩევნო კომისია დადგენილებით.
- საოლქო საარჩევნო კომისია განკარგულებით.

832. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული რამდენი წევრისგან შედგება თვითმმართველი ქალაქის საკრებულო, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 75 000-ს?
- 73 წევრისგან.
- 15 წევრისგან.
- 77 წევრისგან.
- 10 წევრისგან.

833. რომელი მსჯელობაა სწორი?
- პარლამენტი სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს ირჩევს არჩევნების დღემდე არა უადრეს 24-ე და არა უგვიანეს მე-20 დღისა.
- პარლამენტი სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს ირჩევს არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-20 და არა უგვიანეს 24-ე დღისა.
- ცესკო სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს ირჩევს არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-20 და არა უგვიანეს 24-ე დღისა.
- ცესკო სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს ირჩევს არჩევნების დღემდე არა უადრეს 24-ე და არა უგვიანეს მე-20 დღისა.

834. რა ვადაში გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს საუბნო საარჩევნო კომისიას?
- საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს 2 დღისა გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიებს.
- საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს 12 საათისა გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიებს.
- საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს 24 საათისა გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიებს.
- საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს 3 საათისა გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიებს.

835. რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნასთან დაკავშირებით რა გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი?
- რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნის შეჩერების შესახებ.
- რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნაზე ვეტოს დადების შესახებ.
- რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნის განმხილველი საკონსულტაციო საბჭოს დანიშვნის შესახებ.
- რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნაზე მოტივირებული უარის შესახებ.

836. საბუთების წარდგენისათვის კანონით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი:
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- არ შეისწავლება.

- განიხილება.
- არ განიხილება.

837. ვინ ნიშნავს თანამდებობაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელს?
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელს ცესკოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს ცესკოს თავმჯდომარე.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს ცესკოს თავმჯდომარე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანხმობით.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელს თავისი შემადგენლობიდან ცესკოს თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს ცესკო.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელს თავისი შემადგენლობიდან ცესკოს თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს ცესკო.

838. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი სამართლებრივი აქტით განისაზღვრება პარლამენტის შინაგანი სტრუქტურა?
- პარლამენტის დებულებით.
- კონსტიტუციით.
- პარლამენტის რეგლამენტით.
- კანონის ძალის მქონე დეკრეტით.

839. რა არის ერთ-ერთი წინაპირობა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა უნდა შეასრულოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წარდგენისას?
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნებში მონაწილეთა 50 000 ამომრჩევლის პეტიცია.
- წარდგენის აქტზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერა (კონტრასიგნაცია).
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახლადარჩეული უმაღლეს საბჭოს უფლებამოსილების ცნობა და წარდგენის განხორციელება 10 დღის ვადაში.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეკომენდაცია.

840. კონსტიტუციის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს ნიშნავს:
- უზენაესი სასამართლო.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეთა კონფერენციაზე განხილვის შემდეგ.
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით.
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის წარდგინებით.

841. ვინ ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს?
- საქართველოს პარლამენტი.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- ცესკოს თავმჯდომარე პარლამენტის თანხმობით.
- პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი.

842. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, კანონის წინაშე თანასწორობა გულისხმობს, რომ:
- ყველა მოქალაქე თანასწორია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის წინაშე.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- საქართველოს ყველა მოქალაქე თანასწორია სასამართლოს წინაშე.
- ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე.

843. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლის მოთხოვნით არ შეიძლება დაინიშნოს რეფერენდუმი?
- არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის.
- საქართველოს მთავრობის.
- საქართველოს პარლამენტის.
- არანაკლებ 150 000 ამომრჩევლის.

844. რომელ თვეში ტარდება მორიგი საპარლამენტო არჩევნები?
- ოქტომბერში.
- მარტში.
- აპრილში.

- სექტემბერში.

845. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივ აქტებს?
- უსკოს თავმჯდომარის ბრძანება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბრძანება.
- უსკოს თავმჯდომარის განკარგულება.
- საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება.

846. თუ კომისიას არ ჰყავს თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კომისიის მდივანი, კომისიის სხდომას იწვევს და საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარეობს:
- ზემდგომი კომისიის უხუცესი წევრი.
- შესაბამისი კომისიის ნებისმიერი წევრი.
- შესაბამისი კომისიის უხუცესი წევრი.
- ზემდგომი კომისიის თავმჯდომარე.

847. კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულება (ფუნქცია) არის:
- საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება
- კონსტიტუციური კონტროლის განხორციელება
- მართლმსაჯულების განხორციელება
- ადამიანის უფლებათა დაცვა

848. საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვას უზრუნველყოფს:
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საქართველოს მთავრობა.

849. საუბნო საარჩევნო კომისიის რომელი წევრი ახდენს ამომრჩევლის მარკირების შემოწმებას?
- ამომრჩევლის მარკირების შემოწმებას ახდენს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი.
- ამომრჩევლის მარკირების შემოწმებას ახდენს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ამომრჩევლის მარკირების შემოწმებას ახდენს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- ამომრჩევლის მარკირების შემოწმებას ახდენს საუბნო საარჩევნო კომისიის ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი.

850. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ „ყველაფერი ქართველებისთვის" მისი ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით მიმართა ცესკოს თავმჯდომარეს. ცესკოს თავმჯდომარემ დაარეგისტრირა პარტია, თუმცა მალევე გაუუქმა რეგისტრაცია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარტიის აკრძალვის გამო. სწორად მოიქცა თუ არა ცესკოს თავმჯდომარე?
- ცესკოს თავმჯდომარე არ მოიქცა სწორად, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად პარტიას რეგისტრაცია შეიძლება გაუუქმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტიას აკრძალავს საქართველოს პარლამენტი.
- ცესკოს თავმჯდომარე მოიქცა სწორად, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარტიას რეგისტრაცია გაუუქმდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარტიის აკრძალვის შემთხვევაში.
- ცესკოს თავმჯდომარე არ მოიქცა სწორად, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარტიას რეგისტრაცია შეიძლება გაუუქმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტიას აკრძალავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

851. კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია:
- საკუთარი ინიციატივით აირჩიოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრი.
- საკუთარი ინიციატივით აირჩიოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრი და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.
- საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით აირჩიოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრი.
- საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით დანიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრი.

852. კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს:
- ორი წარმომადგენლისა.
- სამი წარმომადგენლისა.

- თითო წარმომადგენლისა.
- ოთხი წარმომადგენლისა.

853. რომელი მსჯელობაა სწორი?
- კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით მიიღებს დაფინანსებას ყოველ საარჩევნო უბანზე 100 ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ საარჩევნო ოლქზე 150 ლარის ოდენობით.
- კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით მიიღებს დაფინანსებას ყოველ საარჩევნო უბანზე 120 ლარის ოდენობით.
- კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით მიიღებს დაფინანსებას ყოველ საარჩევნო უბანზე 50 ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ საარჩევნო ოლქზე 100 ლარის ოდენობით.
- კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით მიიღებს დაფინანსებას ყოველ საარჩევნო უბანზე 100 ლარის ოდენობით.

854. შექმნილ საარჩევნო უბანში შემავალი ყველა შენობა-ნაგებობის ნუსხასა და მისამართს აზუსტებს:
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადგილობრივი საპასპორტო სამსახური.
- შესაბამისი დასახლებული პუნქტის გამგეობა.
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია.

855. რა სახის დოკუმენტით განსაზღვრავს ცესკო პენიტენციურ დაწესებულებაში ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა ინფორმირების პირობებსა და წესს?
- ცესკოს დადგენილებით.
- ცესკოს განკარგულებით.
- ცესკოს თავმჯდომარის დადგენილებით.
- ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით.

856. საქართველოს პარლამენტში ხმათა რა რაოდენობა ესაჭიროება ცესკოს წევრობის კანდიდატს გამარჯვებისათვის?
- პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
- პარლამენტის სიითი შემადგენლობის 2/3.
- პარლამენტის დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/5.
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

857. უმაღლესი საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე.
- რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 35 წელი.
- რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 21 წელი.
- რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 30 წელი.
- რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 25 წელი.

858. რომელ საათზე იხსნება საარჩევნო უბანი კენჭისყრის დღეს?
- 8 საათზე.
- 10 საათზე.
- 7 საათზე.
- 9 საათზე.

859. კონსტიტუციის მიხედვით, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ:
- რომლის შემადგენლობაც მისი ნათესავებით არის დაკომპლექტებული
- რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე
- რომლის ნდობაც აქვს, არჩევანში შეზღუდული არ არის
- რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება

860. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში?
- 21 წელს მიღწეულ საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც სწავლის გამო დროებით ცხოვრობს საზღვარგარეთ.
- საქართველოს ყველა მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან.

- 21 წელს მიღწეულ საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ.
- 18 წელს მიღწეულ საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს.

861. რა ვადაში უნდა უზრუნველყოს საარჩევნო სუბიექტმა სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა?
- არჩევნებამდე არაუგვიანეს 5 დღისა.
- არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში.
- არჩევნებიდან არაუგვიანეს 5 დღისა.
- არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 2 თვის ვადაში.

862. თანამდებობაზე დანიშვნა ფორმდება
- ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით.
- მხოლოდ ბრძანებით და დადგენილებით.
- მხოლოდ ბრძანებით და განკარგულებით.
- მხოლოდ ბრძანებით.

863. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში ვინ ქმნის საარჩევნო უბნებს და ვინ არის უფლებამოსილი, დაადგინოს მათი სამოქმედო საზღვრები და ნომრები?
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- საქართველოს პარლამენტი.
- საარჩევნო უბნის ხელმძღვანელი პირი.
- უსკო.

864. რომელი მსჯელობაა სწორი?
- არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია, მხარეს საქმის განხილვის დრო და ადგილი შეატყობინოს საქმის განხილვის დაწყებამდე არა უგვიანეს 6 საათისა.
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია, მხარეს საქმის განხილვის დრო და ადგილი შეატყობინოს საქმის განხილვის დაწყებამდე არა უგვიანეს 5 საათისა.
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია, მხარეს საქმის განხილვის დრო და ადგილი შეატყობინოს საქმის განხილვის დაწყებამდე არა უგვიანეს 3 საათისა.

865. ვის აქვს სახელმწიფო სამსახურის გენერალური აუდიტორის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება?
- ეკონომიკის მინისტრსა და მის მოადგილეებს ერთობლივი დადგენილებით.
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს
- საქართველოს პრეზიდენტს.
- გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელი ორგანოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.

866. თუ საუბნო საარჩევნო კომისიას არ ჰყავს თავმჯდომარე ან მას არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს:
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის უხუცესი წევრი.

867. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით საარჩევნო სუბიექტმა უსკოს წარუდგინა თავის მხარდამჭერთა სიები. საარჩევნო სუბიექტს კანონით დადგენილი წესით უარი ეთქვა რეგისტრაციაზე. რეგისტრაციაზე უარის სასამართლოში გასაჩივრების ვადის გასვლიდან მე-14 დღეს საარჩევნო კომისიამ კანონით დადგენილი წესით გაანადგურა ზ/აღნიშნული სუბიექტის მიერ წარდგენილი მხარდამჭერთა სიები. სწორად მოიქცა თუ არა საარჩევნო კომისია?
- არა, რადგან ასეთ შემთხვევაში სიები უნდა განადგურდეს სასამართლოში გადაწყვეტილებისგასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 5 დღეში.
- არა, რადგან ასეთ შემთხვევაში სიები უნდა განადგურდეს სასამართლოში გადაწყვეტილებისგასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 7 დღეში.
- დიახ, რადგანასეთშემთხვევაშისიებიუნდაგანადგურდესსასამართლოშიგადაწყვეტილებისგასაჩივრებისკანონითდადგენილივადისგასვლიდან 15 დღეში.
- არა, რადგან ასეთ შემთხვევაში სიები უნდა განადგურდეს სასამართლოში გადაწყვეტილებისგასაჩივრების კანონით დადგენილი

ვადის გასვლიდან 10 დღეში.

868. სავალდებულოა თუ არა ამომრჩევლის ბარათის ქონა კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად?
- არ არის სავალდებულო, რადგან ამომრჩევლის ბარათის მიუღებლობა არ წარმოადგენს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის საფუძველს.
- სავალდებულოა, რადგან ამომრჩევლის ბარათის მიუღებლობა წარმოადგენს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის საფუძველს.
- სავალდებულოა მხოლოდ უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეთათვის.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

869. საქართველოს პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები იმართება საერთო არჩევნების შედეგების შეჯამებიდან:
- 40 დღის ვადაში.
- ერთი თვის ვადაში.
- ორი თვის ვადაში.
- 35 დღის ვადაში.

870. შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციაზე უარს აცხადებს:
- რეზოლუციით.
- ბრძანებით.
- დადგენილებით.
- განკარგულებით.

871. ვინ ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს?
- უსკოს თავმჯდომარის მოადგილე.
- უსკოს წევრი.
- უსკოს თავმჯდომარე.
- უსკოს მდივანი.

872. კონსტიტუციის მიხედვით ხელისუფლების დანაწილება არის:
- ხელისუფლების დანაწილება არის საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენციის განსაზღვრის კონსტიტუციური პრინციპი
- ხელისუფლების დანაწილება არის სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების კონსტიტუციური პრინციპი
- ხელისუფლების დანაწილება არის საქართველოს მთავრობის კომპეტენციის სხვადასხვა სამინისტროებზე გადანაწილების კონსტიტუციური პრინციპი
- ხელისუფლების დანაწილება არის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების კონსტიტუციური პრინციპი

873. საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაცია უქმდება:
- თუ გაუქმდა მის მიერ წარდგენილი კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია.
- საკუთარი განცხადების საფუძველზე.
- არჩევნებში მონაწილე პარტიის ინიციატივით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულების საფუძველზე.

874. 21 თებერვალს, კანონით დადგენილი წესით, უფლებამოსილება შეუწყდა ცესკოს თავმჯდომარეს. საქართველოს პრეზიდენტმა კანონით დადგენილ ვადაში ცესკოს წარუდგინა ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურები. ცესკომ მისთვის დადგენილ ვადაში ვერ აირჩია თავმჯდომარე. ამის გამო პრეზიდენტმა კანონით დადგენილი წესით კანდიდატურები წარუდგინა პარლამენტს. პარლამენტმა აირჩია ერთ-ერთი კანდიდატურა. რა ვადაში უნდა წარუდგინოს პარლამენტმა უფლებამოსილ ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილება ცესკოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ?
- არჩევიდან 3 დღის ვადაში.
- არჩევიდან 2 დღის ვადაში.
- არჩევიდან 7 დღის ვადაში.
- არჩევიდან 5 დღის ვადაში.

875. საოლქო საარჩევნო კომისია დაკომპლექტების შემდეგ განთავსდა ცხრასართულიანი კორპუსის მეორე სართულზე. იმავე სადარბაზოში პირველ სართულზე განთავსებულია სუპერმარკეტი „პოპული“, ხოლო გვერდით სადარბაზოში პირველ სართულზე - პოლიტიკური პარტია „ნუგეში“-ს ერთ-ერთი ფილიალი. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?

- დაირღვა, რადგან საოლქო საარჩევნო კომისია შესაძლებელია განთავსდეს ცხრასართულიან კორპუსში, მაგრამ იგი ყველა შემთხვევაში უნდა იყოს პირველ სართულზე.
- არ დარღვეულა, რადგან კანონით შესაძლებელია საოლქო საარჩევნო კომისიის განთავსება ცხრასართულიანი კორპუსის მეორე სართულზე.
- დაირღვა, რადგან საოლქო საარჩევნო კომისია არ შეიძლება განთავსებულ იქნას იმ შენობაში, სადაც განთავსებულია პოლიტიკური პარტია.
- არ დარღვეულა, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიის ქვედა სართულზე სუპერმარკეტ „პოპული"-ს არსებობას არ ზღუდავს საარჩევნო კოდექსი.

876. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობებიდან რომელი შეესაბამება კონსტიტუციას?
- გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლოს წესით სრული ანაზღაურება, თუ დაზარალებული საქართველოს მოქალაქეა
- გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლოს წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, თუ ზარალის ოდენობა 100 000 ლარს არ აღემატება
- გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლოს წესით სრული ანაზღაურება, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული
- გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლოს წესით სრული ანაზღაურება

877. როდის აცხადებს დამთავრებულად კენჭისყრას საუბნო საარჩევნო კომისია ძნელად მისადგომ ადგილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში?
- 20 საათზე, ვინაიდან კენჭისყრა ყველა უბანში მთავრდება ერთსა და იმავე დროს
- ნებისმიერ დროს 20 საათამდე, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეყვანილი ამომრჩევლების ნახევარზე მეტმა.
- ნებისმიერ დროს 20 საათამდე, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.
- საარჩევნო უბნები ძნელად მისადგომ ადგილებში საერთოდ არ იქმნება.

878. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს შესაბამისი საარჩევნო კომისია წყვეტს განცხადების მიღებიდან:
- 13 დღის ვადაში.
- 10 დღის ვადაში
- 5 დღის ვადაში.
- 2 დღის ვადაში.

879. არჩევნებამდე რამდენი დღით ადრე განისაზღვრება პრეზიდენტობის კანდიდატის რიგითი ნომერი?
- არჩევნებამდე 15 დღით ადრე.
- არჩევნებამდე 25 დღით ადრე.
- არჩევნებამდე 30 დღით ადრე.
- არჩევნებამდე 45 დრით ადრე.

880. რამდენი საოლქო საარჩევნო კომისიის შექმნის უფლება აქვს ცესკოს ქალაქ თბილისში?
- ცესკო უფლებამოსილია განკარგულებით შექმნას ქალაქ თბილისში 10 საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცესკო უფლებამოსილია განკარგულებით შექმნას ქალაქ თბილისში 15 საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცესკო უფლებამოსილია დადგენილებით შექმნას ქალაქ თბილისში 5 საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცესკო უფლებამოსილია დადგენილებით შექმნას ქალაქ თბილისში 10 საოლქო საარჩევნო კომისია.

881. ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი მსჯელობა:
- კენჭისყრის კაბინაში ფოტო-ვიდეო გადაღება დასაშვებია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნებართვით.
- საარჩევნო პლაკატის გაკვრა შესაძლებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფასადზე.
- საქართველოს პრეზიდენტს ირჩევენ საქართველოს მოქალაქეები 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ სამჯერ.
- კენჭისყრის კაბინაში ფოტო-ვიდეო გადაღება აკრძალულია.

882. კონსტიტუციის მიხედვით როგორია სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ძირითადი პრინციპი?
- ბალანსების პრინციპი
- ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

- ხელისუფლების განაწილების პრინციპი
- ხელისუფლების განშტოებათა ერთიანობის პრინციპი

883. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე სხირტლაძემ გადაწყვიტა, რომ ოჯახური პირობების გამო გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან. თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით მან განცხადებით მიმართა ცესკოს. სწორად მოიქცა თუ არა სხირტლაძე?
- სხირტლაძე არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- სხირტლაძე არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს.
- სხირტლაძე არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.
- სხირტლაძე არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

884. რა ვადაში უნდა წარედგინოს ცესკოს პარლამენტის დადგენილება, ცესკოს წევრის არჩევის შესახებ?
- საქართველოს პარლამენტის დადგენილება ცესკოს წევრის არჩევის შესახებ მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში წარედგინება ცესკოს.
- საქართველოს პარლამენტის დადგენილება ცესკოს წევრის არჩევის შესახებ მისი მიღებიდან 7 დღის ვადაში წარედგინება ცესკოს.
- საქართველოს პარლამენტის დადგენილება ცესკოს წევრის არჩევის შესახებ მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში წარედგინება ცესკოს.
- საქართველოს პარლამენტის დადგენილება ცესკოს წევრის არჩევის შესახებ მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში წარედგინება ცესკოს.

885. კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაშია დაუშვებელი სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი?
- საქართველოს კონსტიტუცია შემოხიზნული პირის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემას იმპერატიულად კრძალავს
- თუ პირი იდევნება პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მძიმე დანაშაულად ითვლება
- თუ პირი იდევნება პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით ნაკლებად მძიმე დანაშაულად ითვლება
- თუ პირი იდევნება პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება

886. N1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებულ იქნა ცესკოში. ცესკომ კანონით დადგენილ ვადაში განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება. ცესკოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლომ ასევე განიხილა საჩივარი და გადაწყვიტა იგი. რა ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება?
- თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.
- თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
- თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.
- თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.

887. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის შესარჩევ კონკურსში 23 წლის გიორგი მესხიას კანდიდატურა იქნა წამოყენებული, რომელიც იტალიაში ცხოვრობდა დიდი ხნის განმავლობაში და საქართველოში ჩამოვიდა იმის გამო, რომ თავისი წვლილი შეეტანა ქვეყნის სამსახურში. გიორგი იყო საქართველოს მოქალაქე, უპარტიო და შესანიშნავად ფლობდა ქართულ ენას, ჰქონდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი, თუმცა მას კონკურსში მონაწილეობის უფლება არ მისცეს. კანონიერად შეეზღუდა თუ არა უფლება გიორგის?
- უკანონოდ შეეზღუდა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- უკანონოდ შეეზღუდა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, რომელიც არის პარტიული, უმაღლესი განათლების მქონე, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- უკანონოდ შეეზღუდა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- უკანონოდ შეეზღუდა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 20 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე, თავისუფლად

ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

888. რით უნდა იყოს დადასტურებული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მიერ პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენა?
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა არანაკლებ ორი მესამედის ხელმოწერით.
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოს ყველა წევრის ხელმოწერით.
- ამომრჩეველთა ხელმოწერით.
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა არანაკლებ სამი მეოთხედის ხელმოწერით.

889. ჩამოთვლილთაგან ვის აქვს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება?
- ნებისმიერ პირს.
- როგორც საქართველოს მოქალაქეს, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირს.
- მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს.
- არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას.

890. კენჭისყრით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად არის:
- პლებისციტი.
- რეფერენდუმი.
- არჩევნები.
- სოციოლოგიური გამოკითხვა.

891. რა ასაკიდან წარმოიშობა პრეზიდენტად არჩევის პასიური საარჩევნო უფლება?
- 35 წლის ასაკიდან.
- 45 წლის ასაკიდან.
- 18 წლის ასაკიდან.
- 25 წლის ასაკიდან.

892. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს:
- არჩეული პირის სახელი და გვარი.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მისამართი.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის მისამართი.
- არჩეული პირის დაბადების თარიღი.

893. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ:
- ყველა პასუხი სწორია.
- პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ წარმომადგენლებს.
- ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებს.
- ცესკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს.

894. კენჭისყრის დღიდან რა ვადაში უნდა მოხდეს წინასწარი მონაცემებით საარჩევნო ზღურბლგადალახული პარტიული სიიდან სავარაუდოდ არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატების ნარკოლოგიური შემოწმება?
- კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს მე-9 დღისა.
- კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა.
- კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს მე-4 დღისა.
- კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა.

895. ცესკოს რომელი სამართლებრივი აქტით ენიჭება დამკვირვებლის სტატუსი სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლების ჯგუფს?
- ცესკოს დადგენილებით.
- ცესკოს თავმჯდომარის დადგენილებით.
- ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით.
- ცესკოს განკარგულებით.

896. როგორ განისაზღვრება დეპუტატთა გასამრჯელო?
- კანონით.

- პარლამენტის შესაბამისი რეგლამენტით.
- პარლამენტის შესაბამისი დადგენილებით.
- პრეზიდენტის ბრძანებულებით.

897. რომელი მსჯელობაა სწორი?
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსარჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, არჩევნების დღემდე არაუადრეს 2 დღისა გამოიწვიოს ან/დაშეცვალოს თავისი წარმომადგენელი, რის თაობაზედაც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, არჩევნების დღემდე არაუადრეს 3 დღისა გამოიწვიოს ან/დაშეცვალოს თავისი წარმომადგენელი, რის თაობაზედაც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, არჩევნების დღემდე ნებისმიერ დროს, გარდა კენჭისყრისდღისა გამოიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი, რის თაობაზედაც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, არჩევნების დღემდე არაუადრეს 5 დღისა გამოიწვიოს ან/დაშეცვალოს თავისი წარმომადგენელი, რის თაობაზედაც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.

898. რა სახის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება საქართველოს მთავრობის საქმიანობის წესი?
- კონსტიტუციური კანონით.
- კანონით.
- მთავრობის რეგლამენტით.
- კონსტიტუციით.

899. ვინ ატარებს განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს რეგისტრაციაში?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ცესკოს თავმჯდომარე.
- უზენაესი სასამართლო.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

900. რომელი მსჯელობაა სწორი?
- მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა ხმების 40 პროცენტისა.
- მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა ხმების 30 პროცენტისა.
- მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტის ხმებს მიიღებს.
- მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა ხმების 25 პროცენტისა.

901. ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის დღეს ნიშნავს:
- საქართველოს პრეზიდენტი ერთპიროვნული აქტით.
- ახალარჩეული პარლამენტის უხუცესი დეპუტატი.
- საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერით (კონტრასიგნაციით).
- წინა მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე.

902. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
- დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არაუმეტეს 3 მეთვალყურეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დამკვირვებლები ვერ შეთანხმდებიან, მათგან 3 მეთვალყურეს წილისყრით გამოავლენს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არანაკლებ 2 მეთვალყურეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დამკვირვებლები ვერ შეთანხმდებიან, მათგან 2 მეთვალყურეს წილისყრით გამოავლენს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არანაკლებ 3 მეთვალყურეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დამკვირვებლები ვერ შეთანხმდებიან, მათგან 3 მეთვალყურეს წილისყრით გამოავლენს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არაუმეტეს 2 მეთვალყურეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დამკვირვებლები ვერ შეთანხმდებიან, მათგან 2 მეთვალყურეს წილისყრით გამოავლენს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

903. კონსტიტუციის მიხედვით ვისი სახელით გამოაქვს გადაწყვეტილება სასამართლოს?

- საქართველოს უზენაეს სასამართლოს - საქართველოს სახელით, დანარჩენ სასამართლოებს ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სახელით
- ყველა სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს სახელით გამოაქვს.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე სასამართლოებს - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით, დანარჩენ სასამართლოებს - საქართველოს სახელით.
- ყველა სასამართლოს, გარდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოღვაწე სასამართლოებისა - საქართველოს სახელით.

904. ვინ იღებს გადაწყვეტილებას კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვის ან კენჭისყრის შეჩერების შესახებ?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი ერთობლივად.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ერთპიროვნულად.
- საუბნო საარჩევნო კომისიის და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები ერთობლივად.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ერთპიროვნულად.

905. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ხმის მიცემის დასრულების შემდეგ საარჩევნო უბანზე მყოფი წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე კომისიის სახელობითი კენჭისყრით გამოავლენს წარმომადგენლებს, რომლებიც დააკვირდებიან დათვლის პროცესს.
- ხმის მიცემის დასრულების შემდეგ საარჩევნო უბანზე მყოფი წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს წარმომადგენლებს, რომლებიც დააკვირდებიან დათვლის პროცესს.
- არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.
- ხმის მიცემის დასრულების შემდეგ საარჩევნო უბანზე მყოფი წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე თავისი შეხედულებისამებრ გამოავლენს წარმომადგენლებს, რომლებიც დააკვირდებიან დათვლის პროცესს.

906. ვინ ქმნის საარჩევნო უბნებს და ვინ არის უფლებამოსილი დაადგინოს მათი სამოქმედო საზღვრები და ნომრები?
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცესკო.
- საქართველოს პარლამენტი.
- საარჩევნო უბნის ხელმძღვანელი პირი.

907. რეგისტრირებულ პარტიულ სიებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს:
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

908. რომელი მსჯელობაა სწორი?
- თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა მისი წილი საეთერო დრო ან გაზეთის ფართობი, სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელს, ავტორიზებულ საეთერო მაუწყებელს, საზოგადოებრივ მაუწყებელს და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს და გაზეთს უფლება აქვთ, ეს დრო ან ფართობი დაუთმონ არჩევნებში მონაწილე რომელიმე კვალიფიციურ სუბიექტს.
- თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა თავისი წილი საეთერო დრო ან გაზეთის ფართობი, სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელს, ავტორიზებულ საეთერო მაუწყებელს, საზოგადოებრივ მაუწყებელს, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს და გაზეთს უფლება აქვთ, ეს დრო ან ფართობი თანაბრად გადაუნაწილონ დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებს.
- თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა მისი წილი საეთერო დრო ან გაზეთის ფართობი, სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი, ავტორიზებული საეთერო მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს და გაზეთს აქვს ვალდებულება, ეს დრო ან ფართობი თანაბრად გადაუნაწილონ დანარჩენ არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს.
- თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა მისი წილი საეთერო დრო ან გაზეთის ფართობი, სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელს, ავტორიზებულ საეთერო მაუწყებელს, საზოგადოებრივ მაუწყებელს და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს და გაზეთს უფლება აქვთ, ეს დრო ან ფართობი თანაბრად გადაუნაწილონ მხოლოდ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს.

909. ვინ იღებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტს?
- ცესკო დადგენილებით.
- ცესკოს თავმჯდომარე განკარგულებით.
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს პარლამენტი.

910. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- დეპუტატთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს მთავრობის ცალკეულ წევრს, რომელიც ვალდებულია უპასუხოს დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე.
- დეპუტატთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, რომელიც ვალდებულია უპასუხოს დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე.
- დეპუტატთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც ვალდებულია უპასუხოს დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე.
- დეპუტატთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს მთავრობას, რომელიც ვალდებულია უპასუხოს დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე.

911. ცესკომ კენჭისყრამდე არა უგვიანეს 55 დღისა ვის უნდა წარუდგინოს არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმა?
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.
- საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.

912. ქვემოთ მოყვანილიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.
- საქართველოს პრეზიდენტი ადმინისტრაციის უფროსის წერილობითი წარდგინების საფუძველზე ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს.
- საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს.
- კონსტიტუციის ახალი რედაქციით პრეზიდენტს არა აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა დანიშვნის უფლება.

913. საჯარო სამსახურის საბჭო არის
- საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო.
- საქართველოს საკონსტიტუციო საბჭოს სათათბირო ორგანო.
- საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სათათბირო ორგანო.

914. კონსტიტუციის მიხედვით, რა სახის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის მუშაობის წესი?
- პარლამენტის დებულებით
- პარლამენტის რეგლამენტით.
- კონსტიტუციით.
- პარლამენტის დადგენილებით.

915. განმეორებითი კენჭისყრისა და არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის უფლება აქვს:
- საქართველოს მთავრობას.
- საქართველოს პრეზიდენტს.
- საქართველოს პარლამენტს.
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

916. როდის არის ადგილობრივი მაუწყებელი უფლებამოსილი და არა ვალდებული, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია?
- იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკური პარტიის კანდიდატმა მისი მომსახურების ზონაში შემავალ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მიიღო ხმების არანაკლებ 25 პროცენტისა.
- იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკური პარტიის კანდიდატი მისი მომსახურების ზონაში შემავალ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებულ ბოლო საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურში გავიდა.
- იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკური პარტიის კანდიდატმა მისი მომსახურების ზონაში შემავალ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებულ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა.
- იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკური პარტია, რომელიც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ ზედიზედ 2 კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 25 პროცენტის მხარდაჭერით.

917. რომელი მსჯელობაა სწორი?
- თუ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი არჩეულია როგორც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ისე

პარტიული სიით, მაშინ იგი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეულად ითვლება.
- თუ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი არჩეულია როგორც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ისე პარტიული სიით, მაშინ იგი არჩეულად ითვლება როგორც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ისე პარტიული სიით.
- თუ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი არჩეულია როგორც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ისე პარტიული სიით, მაშინ იგი პარტიული სიით არჩეულად ითვლება.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

918. საბურთალოს N2 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ნიკა ცხადაძე არ ეთანხმებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილ მონაცემებს, რის გამოც მან ოქმს წერილობით დაურთო განსხვავებული აზრი, თუმცა უარი განაცხადა ოქმზე ხელმოწერაზე. ვალდებულია თუ არა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ხელი მოაწეროს შემაჯამებელ ოქმს განსხვავებული აზრის გამოთქმის შემთხვევაში ?
- განსხვავებული აზრის გამოთქმის შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმზე ხელმოწერის უფლება არ აქვს.
- განსხვავებული აზრის გამოთქმის შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი უფლებამოსილია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.
- განსხვავებული აზრის გამოთქმის შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.
- განსხვავებული აზრის გამოთქმის შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმზე ხელმოწერის ვალდებულება წარმოეშვება მხოლოდ საუბნო სარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით.

919. დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი არის:
- სასამართლოს მიერ დეპუტატის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობა.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება.
- პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების ერთობლივი გადაწყვეტილება.
- უზენაესი სასამართლოს მიერ დეპუტატის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის დაკმაყოფილება.

920. ვინ განსაზღვრავს საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა ხელფასის ოდენობას?
- შესაბამისი საარჩევნო კომისიები.
- განისაზღვრება საარჩევნო კოდექსით.
- საქართველოს პარლამენტი.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.

921. ვინ ნიშნავს მერის/გამგებლის რიგგარეშე არჩევნებს და რა ვადაში?
- საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, მერის/ გამგებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან არაუადრეს მე-8 და არაუგვიანეს მე-10 დღისა.
- საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, მერის/ გამგებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან არაუადრეს მე-15 და არაუგვიანეს მე-30 დღისა.
- საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით, მერის/გამგებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან არაუადრეს მე-15 და არაუგვიანეს მე-30 დღისა.
- საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით, მერის/გამგებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან არაუადრეს მე-8 და არაუგვიანეს მე-10 დღისა.

922. რომელ ორგანოს შეუძლია მიმართოს ცესკომ იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარებისათვის განკუთვნილი საბიუჯეტო ასიგნება კანონით დადგენილ ვადაში არ გამოიყოფა ცესკოს შესაბამის საბიუჯეტო პროგრამულ კოდზე?
- პარლამენტს განცხადებით.
- რაიონულ სასამართლოს საჩივრით.
- ფინანსთა სამინისტროს განცხადებით.
- რაიონულ/საქალაქო სასამართლოს სარჩელით.

923. რომელ სიაში შეჰყავთ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, რომლებიც საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში თავიანთი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით?
- საერთოდ არ აქვთ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება.
- ამომრჩეველთა ერთიან სიაში.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში.
- ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში.

924. ამომრჩეველთა ერთიანი სიის განახლების ვადებია:

- ყოველი წლის 1 იანვარი,1 აპრილი,1 აგვისტო და 15 დეკემბერი.
- ყოველი წლის 1 მარტი და 1 აგვისტო.
- ყოველი წლის 1 თებერვალი, 1 მაისი, 15 ივლისი და 1 ნოემბერი.
- ყოველი წლის 1 თებერვალი და 1 ივლისი.

925. არასამეწარმეო იურიდიულმა პირმა „ნუგეში“ საარჩევნო კომისიას წარუდგინა დამკვირვებელთა სია. საარჩევნო კომისიის უფლებამოსილმა პირმა შეამოწმა დამკვირვებელთა სია და გამოარკვია, რომ სიის ყველა წევრი კანონის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა და სიაც წარდგენილი იყო კანონის მოთხოვნათა დაცვით. აქედან გამომდინარე, უფლებამოსილმა პირმა სიის წარდგენიდან მესამე დღეს რეგისტრაციაში გაატარა და წარმდგენ ორგანიზაციას გადასცა დამკვირვებლების მოწმობები. შეაფასეთ საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედების კანონიერება.
- საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება კანონიერია, რადგან მას დამკვირვებლები რეგისტრაციაში უნდა გაეტარებინა და ორგანიზაციისთვის დამკვირვებლის მოწმობები გადაეცა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, ორგანიზაციის მიერ დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა.
- საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება არაკანონიერია, რადგან მას დამკვირვებლები რეგისტრაციაში უნდა გაეტარებინა და ორგანიზაციისთვის დამკვირვებლის მოწმობები გადაეცა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, ორგანიზაციის მიერ დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა.
- საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება კანონიერია, რადგან მას დამკვირვებლები რეგისტრაციაში უნდა გაეტარებინა და ორგანიზაციისთვის დამკვირვებლის მოწმობები გადაეცა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, ორგანიზაციის მიერ დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-4 დღისა.
- საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება კანონიერია, რადგან მას დამკვირვებლები რეგისტრაციაში უნდა გაეტარებინა და ორგანიზაციისთვის დამკვირვებლის მოწმობები გადაეცა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, ორგანიზაციის მიერ დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა.

926. რომელი უწყება და რა სახის აქტით ადგენს საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნებისთვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესს?
- ცესკოს თავმჯდომარე დადგენილებით.
- ცესკო დადგენილებით.
- საქართველოს ფინანსთა მინისტრი ბრძანებულებით.
- ცესკოს თავმჯდომარე განკარგულებით.

927. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ცესკო კენჭისყრამდე არა უგვიანეს 30 დღისა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმას.
- ცესკო კენჭისყრამდე არა უგვიანეს 55 დღისა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმას.
- ცესკო კენჭისყრამდე არა უგვიანეს 45 დღისა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმას.
- ცესკო კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50 დღისა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმას.

928. ამომრჩევლის ბარათში არ მიეთითება:
- კენჭისყრის შენობის მისამართი, სართულისა და ოთახის ნომრები.
- კენჭისყრის თარიღი და დრო.
- საარჩევნო უბნის ნომერი.
- პარლამენტის წევრობის კანდიდატის გვარი, სახელი.

929. რა ენაზე იბეჭდება შემაჯამებელი ოქმები?
- ქართულ ენაზე, აფხაზეთში - აფხაზურ ენაზე, ხოლო იმ საარჩევნო ოლქებისთვის, რომლებისთვისაც საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ სხვა ენაზე, შემაჯამებელი ოქმი შეიძლება დაიბეჭდოს შესაბამის ენაზედაც.
- მხოლოდ ქართულ ენაზე.
- მხოლოდ ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში - აფხაზურ ენაზე.
- ქართულ, აფხაზურ და რუსულ ენებზე.

930. სწორია თუ არა მსჯელობა? საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას, აგრეთვე იმ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს ცესკო:
- არა, რადგან საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას საერთოდ არ ესაჭიროება რეგისტრაცია.
- დიახ, საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას, აგრეთვე იმ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს ცესკო.

- არა, რადგან საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
- არა, რადგან ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს რეგისტრაციაში ატარებენ მხოლოდ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები.

931. რა შემთხვევაში არ გამოიყენება ამომრჩეველთა მარკირება?
- იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველი უსინათლოა.
- იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველს მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითის ფრჩხილები დაზიანებული ექნება.
- იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველს მარჯვენა ხელის ხუთივე თითის ფრჩხილი დაზიანებული ექნება.
- იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველი კენჭისყრის დღეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მკურნალობას გადის საავადმყოფოში.

932. თუ ერთდროულად ტარდება ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსით" განსაზღვრული საერთო და აჭარის ავტონომიური უმაღლესი საბჭოს არჩევნები.
- საარჩევნო ოლქები, მათი საზღვრები და ნომრები შეესაბამება საერთო არჩევნებისათვის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსით" და ცესკოს მიერ შექმნილ საარჩევნო ოლქებს.
- საარჩევნო ოლქები, მათი საზღვრები, სახელწოდებები და ნომრები განისაზღვრება უსკოს მიერ.
- საარჩევნო ოლქები, მათი საზღვრები, სახელწოდებები და ნომრები განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს მიერ.
- საარჩევნო ოლქები, მათი საზღვრები, სახელწოდებები და ნომრები განისაზღვრება ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით საქართველოს მთავრობას შეთანხმებით.

933. არჩევნებისა და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს:
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია დადგენილებით.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე განკარგულებით.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია განკარგულებით.
- საქართველოს პარლამენტი დადგენილებით.

934. პარლამენტის არჩევნების ბათილად ცნობიდან რა ვადაში უნდა ჩატარდეს ხელახალი არჩევნები?
- ბათილად ცნობიდან 1 თვის ვადაში.
- ბათილად ცნობიდან 3 კვირის ვადაში.
- ბათილად ცნობიდან 2 კვირის ვადაში.
- ბათილად ცნობიდან 2 თვის ვადაში.

935. კონსტიტუციის მიხედვით რა შემთხვევებშია დასაშვები მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისგან?
- მხოლოდ იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში.
- მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.
- მხოლოდ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში.
- მხოლოდ პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

936. რომელი ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობის გარეშეა დაუშვებელი მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა იმ შემთხვევაში, თუ მას დანაშაულზე არ წაასწრეს?
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის.

937. ვის აქვს რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობის უფლება კანონით დადგენილი წესით?
- საქართველოს პრეზიდენტს.
- საქართველოს უზენაეს სასამართლოს.
- საქართველოს პარლამენტს.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

938. რომელი მსჯელობა არის სწორი?
- საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილმონაცვლეს, თუ არჩევნები უკვე დანიშნულია, 15 დღის ვადაში ირჩევს ცესკო.
- საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილმონაცვლეს, თუ არჩევნები უკვე დანიშნულია, 10 დღის ვადაში ირჩევს ცესკო.

- საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილმონაცვლეს, თუ არჩევნები უკვე დანიშნულია, 10 სამუშაო დღის ვადაში ირჩევს ცესკო.
- საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილმონაცვლეს, თუ არჩევნები უკვე დანიშნულია, 7 დღის ვადაში ირჩევს ცესკო.

939. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია შედგება:
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და 12 წევრისაგან.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და 5 წევრისაგან.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 6 წევრისაგან.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მდივნისა და 4 წევრისაგან.

940. კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაში იმართება პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები?
- თუ არჩევნების პირველ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მას ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე ნაკლებმა.
- თუ არჩევნების მეორე ტურში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ამომრჩეველთა ხმების ორი მესამედი მაინც.
- თუ გამოცხადებულია საომარი ან საგანგებო მდგომარეობა.
- თუ პირველ ტურში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა.

941. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვინ და სად ასაჩივრებს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს?
- მხოლოდ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირი ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში.
- მხოლოდ დაინტერესებული პირი ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში.
- ნებისმიერი პირი ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით – სასამართლოში.
- როგორც წესი, ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი არ საჩივრდება.

942. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგებს აჯამებს კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს:
- მე-19 დღისა.
- მე-20 დღისა.
- მე-12 დღისა.
- მე-15 დღისა.

943. საქართველოს პარლამენტის არჩევნებამდე რამდენი ხნით ადრე უნდა დამთავრდეს საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია?
- არჩევნების დღემდე 30-ე დღისა.
- არჩევნების წინა დღემდე.
- არჩევნების დღემდე მე-20 დღისა.
- არჩევნების დღემდე 37-ე დღეს.

944. რომელი მოსაზრებაა მცდარი:
- მარკირება არ გამოიყენება მაღალმთიან დასახლებებში გახსნილ საარჩევნო უბნებში.
- მარკირება არ გამოიყენება პენიტენციურ დაწესებულებებში.
- მარკირება არ გამოიყენება გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრაში მონაწილეთა მიმართ.
- მარკირება არ გამოიყენება საავადმყოფოებში (ავადმყოფების მიმართ).

945. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, წახალისების ფორმა არ არის
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.
- მადლობის გამოცხადება.
- საკლასო ჩინის მინიჭება.
- თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლება.

946. რეგისტრაციის მოწმობის მიღებიდან, რა ვადაში უნდა გადაუგზავნოს რეფერენდუმის საინიციატივო ჯგუფმა ცესკოს შევსებული ხელმოწერების ფურცლები?
- რეგისტრაციის მოწმობის მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.
- რეგისტრაციის მოწმობის მიღებიდან არაუგვიანეს 4 თვისა.
- რეგისტრაციის მოწმობის მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

- რეგისტრაციის მოწმობის მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა.

947. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა საფუძვლით შეუძლია პრეზიდენტს შეაჩეროს თვითმმართველობის წარმომადგენლობის ორგანოს საქმიანობა?
- თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს.
- თუ ამას წერილობით მოითხოვს თვითმმართველობის ტერიტორიის მოსახლეობის 100% მაინც.
- თუ ორგანული კანონით დადგენილ ვადაში ვერ დაამტკიცა ადგილობრივი ბიუჯეტი.
- თუ მისი მოქმედებით ილახება ეთნიკური უმცირესობების უფლებები.

948. რა ვადაშია დასაშვები ცესკოს დადგენილების გასაჩივრება?
- ცესკოს დადგენილების გასაჩივრება დასაშვებია მისი მიღებიდან 10 დღეში.
- ცესკოს დადგენილების გასაჩივრება დასაშვებია მისი მიღებიდან 10 დღის შემდეგ.
- ცესკოს დადგენილების გასაჩივრება დასაშვებია მისი მიღების მომენტიდან.
- ცესკოს დადგენილების გასაჩივრება დასაშვებია მისი მიღებიდან 5 დღეში.

949. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, მასში მითითებული ვადების ათვლისას:
- ჩაითვლება მხოლოდ საქართველოსშრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეები.
- საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები ჩაითვლება.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება.

950. რომელი მსჯელობაა სწორი?
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის ჩატარებაში მონაწილეობენ საუბნო საარჩევნო კომისიის 2 წევრი თავიანთი სურვილისამებრ და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები თავიანთი სურვილისამებრ.
- არც ერთი მსჯელობა არ არის სწორი.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის ჩატარებაში მონაწილეობენ წილისყრით გამოვლენილი საუბნო საარჩევნო კომისიის 2 წევრი და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები თავიანთი სურვილისამებრ.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის ჩატარებაში მონაწილეობენ საუბნო საარჩევნო კომისიის 2 წევრი თავიანთი სურვილისამებრ და წილისყრით გამოვლენილი კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები.

951. მონიშნეთ საარჩევნო სამართლის ერთ-ერთი პრინციპი, რომლის საფუძველზეც არჩეულნი არიან საქართველოს პარლამენტის წევრები:
- განათლებულობის პრინციპი.
- ფარული კენჭისყრის პრინციპი.
- ეროვნულობის პრინციპი.
- სამართლიანობის პრინციპი.

952. ცნობა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების დანიშვნის შესახებ ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არაუგვიანეს არჩევნების დანიშვნიდან:
- 3 დღისა.
- 2 დღისა.
- 5 დღისა.
- მომდევნო დღისა.

953. რა ვადაში უნდა გაიმართოს სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა?
- კომისიის შექმნიდან არაუგვიანეს მე-5 დღისა.
- საერთო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-4 დღისა.
- საერთო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-2 დღისა.
- კომისიის შექმნიდან არაუგვიანეს მე-3 დღისა.

954. სასამართლოში წარდგენიდან მე-18 საათს სასამართლომ არ დააკმაყოფილა უფლებამოსილი პირის მოთხოვნა და არ მიიღო გადაწყვეტილება პირის დაპატიმრების შესახებ. კონსტიტუციის მიხედვით, რა სამართლებრივი შედეგი მოყვება ამ გადაწყვეტილებას?
- დასაპატიმრებლად წარდგენილი პირი დაუყონებლივ უნდა გათავისუფლდეს
- წარდგენილი პირი კიდევ 6 საათი უნდა იყოს დაკავებაში
- უნდა დაისაჯოს იმ თანამდებობის პირი, ვინც დააკავა სასამართლოში წარდგენილი პირი
- ვინაიდან გადაწყვეტილების მიღების ვადა კონსტიტუციით 24 საათით განისაზღვრება, პროკურორს შეუძლია ამავე სასამართლოს

955. ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დაკვირვების უფლება აქვთ (მათი დამზადების თითოეულ ადგილზე) კანონით დადგენილი წესით დანიშნულ შესაბამისი საარჩევნო კომისიის 2 წევრს და საარჩევნო კოდექსის საფუძველზე რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე წარადგენენ არა უმეტეს 3 დამკვირვებლისა.
- საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დაკვირვების უფლება აქვთ (მათი დამზადების თითოეულ ადგილზე) კანონით დადგენილი წესით დანიშნულ შესაბამისი საარჩევნო კომისიის 2 წევრს და საარჩევნო კოდექსის საფუძველზე რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე წარადგენენ არა უმეტეს 4 დამკვირვებლისა.
- საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დაკვირვების უფლება აქვთ (მათი დამზადების თითოეულ ადგილზე) კანონით დადგენილი წესით დანიშნულ შესაბამისი საარჩევნო კომისიის 2 წევრს და საარჩევნო კოდექსის საფუძველზე რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე წარადგენენ არა უმეტეს 2 დამკვირვებლისა.
- საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დაკვირვების უფლება აქვთ (მათი დამზადების თითოეულ ადგილზე) კანონით დადგენილი წესით დანიშნულ შესაბამისი საარჩევნო კომისიის 2 წევრს და საარჩევნო კოდექსის საფუძველზე რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე წარადგენენ არა უმეტეს 1 დამკვირვებლისა.

956. ვინ იღებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტს?
- პარლამენტი.
- ცესკოს თავმჯდომარე პარლამენტის თანხმობით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია დადგენილებით.
- პრეზიდენტი განკარგულებით.

957. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს არჩევნებისას რა შემთხვევაში იმართება განმეორებითი კენჭისყრა?
- ყველა პასუხი სწორია.
- თუ საარჩევნო ოლქში ბათილად იქნა ცნობილი არჩევნები.
- იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში-საკრებულოში ასარჩევ შესაბამისი რაოდენობის კანდიდატთაგან, ბოლო საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატისა და მომდევნო შედეგის მქონე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა შორის სხვაობა ამ საარჩევნო უბნის ან გაბათილებული საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე მეტია.
- იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში-საკრებულოში ასარჩევ შესაბამისი რაოდენობის კანდიდატთაგან, ბოლო საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატისა და მომდევნო შედეგის მქონე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა შორის სხვაობა ამ საარჩევნო უბნის ან გაბათილებული საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე ნაკლებია.

958. რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნაზე მოტივირებული უარის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს:
- საქართველოს პრეზიდენტი.
- ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია.
- საქართველოს პარლამენტი.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.

959. საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას ვისი გადაწყვეტილებით შეიძლება გაუქმდეს საარჩევნო ბლოკის რეგისტრაცია?
- ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით.
- საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.
- ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

960. რა მომენტიდან ითვლება სარჩელი სასამართლოში შეტანილად ?
- შესაბამის სასამართლოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
- იმ მომენტიდან, როცა სასამართლო ჩათვლის საჭიროდ.
- შესაბამის სასამართლოში მისი წარდგენიდან 3 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ.
- შესაბამის სასამართლოში მისი წარდგენის მომენტიდან.

961. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- მთვლელებს განცალკევებით მდგარ მაგიდაზე გადააქვთ საარჩევნო ყუთები და ადგილს ისე იკავებენ, რომ მოპირდაპირე მხარეს, ერთი მეტრის დაშორებით იმყოფებოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები.
- მთვლელებს განცალკევებით მდგარ მაგიდაზე გადააქვთ საარჩევნო ყუთები და ადგილს ისე იკავებენ, რომ მოპირდაპირე მხარეს, სამი მეტრის დაშორებით იმყოფებოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები.

- მთვლელებს განცალკევებით მდგარ მაგიდაზე გადააქვთ საარჩევნო ყუთები და ადგილს ისე იკავებენ, რომ მოპირდაპირე მხარეს, ოთხი მეტრის დაშორებით იმყოფებოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები.
- მთვლელებს განცალკევებით მდგარ მაგიდაზე გადააქვთ საარჩევნო ყუთები და ადგილს ისე იკავებენ, რომ მოპირდაპირე მხარეს, ორი მეტრის დაშორებით იმყოფებოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები.

962. რა დროს არის დაუშვებელი საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება?
- პარლამენტის საშემოდგომო სესიის დროს.
- პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოლო 6 თვის განმავლობაში.
- პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებიდან 6 თვის განმავლობაში.
- საომარი მდგომარეობის დროს.

963. კენჭისყრამდე რა ვადაში იკრძალება პარტიის მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა?
- კენჭისყრამდე 25 დღით ადრე.
- კენჭისყრამდე 10 დღით ადრე.
- კენჭისყრამდე 20 დღით ადრე.
- კენჭისყრამდე 15 დღით ადრე.

964. როდის უნდა წარადგინოს ცესკოში ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლების მქონე დაწესებულებამ პარლამენტის წევრობის კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა?
- კენჭისყრამდე 7 დღით ადრე მაინც.
- კენჭისყრამდე 14 დღით ადრე მაინც.
- კენჭისყრის შემდეგ არა უგვიანეს 7 დღისა.
- არჩევნებიდან არა უგვიანეს მე-14 დღისა.

965. ვინ ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტის ხელახალ არჩევნებს?
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს პარლამენტი.

966. რისი უფლებამოსილება გააჩნიათ კომისიის თავმჯდომარის მიერ საარჩევნო უბანზე მყოფი წარმომადგენლებისაგან წილისყრით გამოვლენილ წარმომადგენლებს?
- ისინი კომისიის წევრთაგან წილისყრით გამოვლენილ მთვლელებთან ერთად მონაწილეობენ ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში.
- ისინი დააკვირდებიან ხმების დათვლის პროცესს და სურვილის შემთხვევაში, უფლება აქვთ ერთხელ, პირადად გადათვალონ საარჩევნო ბიულეტენები, გარდა ბათილი, გაფუჭებული და გამოუყენებელი ბიულეტენებისა.
- ისინი დააკვირდებიან ხმების დათვლის პროცესს და თავმჯდომარის ბრძანებით ვალდებულნი იქნებიან ერთხელ, პირადად გადათვალონ საარჩევნო ბიულეტენები, მათ შორის, ბათილი, გაფუჭებული და გამოუყენებელი ბიულეტენები.
- ისინი თავად უზრუნველყოფენ ხმების დათვლას და სურვილის შემთხვევაში, უფლება აქვთ, გაიმეორონ ხმის დათვლის პროცედურები არაერთგზის.

967. ვის და რა მონაცემები შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე?
- საარჩევნო კომისიის მდივანს შეაქვს გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრებისათვის გადაცემული საარჩევნო ბიულეტენებისა და კენჭისყრის დასრულების შემდეგ გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს შეაქვს კენჭისყრის შედეგების შეჯამებისას შემაჯამებელ ოქმში შესატანი თითოეული მონაცემი.
- საარჩევნო კომისიის მდივანს შეაქვს კენჭისყრის შედეგების შეჯამებისას შემაჯამებელ ოქმში შესატანი თითოეული მონაცემი.
- საარჩევნო კომისიის მდივანს შეაქვს ინფორმაცია კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის კომისიის სხვა წევრისთვის დროებით გადაცემის შესახებ.

968. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში გამოცხადდა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი თავისი ფუნქციების შესასრულებლად, თუმცა მას საარჩევნო კომისიამ მოსთხოვა შენობის დატოვება, რადგან არ ჰქონდა დამკვირვებლის სამკერდე ნიშანი. ვალდებულია თუ არა დამკვირვებელი კენჭისყრის შენობაში ყოფნისას ატაროს სამკერდე ნიშანი?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- დამკვირვებელი უფლებამოსილია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე.
- დამკვირვებელი ვალდებულია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნით.
- დამკვირვებელს სამკერდე ნიშნის ტარების ვალდებულება წარმოეშვება მხოლოდ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით.

969. ვინ ატარებს რეგისტრაციაში ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთ საარჩევნო ოლქში?
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისია.

970. აქტიური საარჩევნო უფლება არის:
- პირის უფლება მიიღოს მონაწილეობა რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში ამომრჩევლის სტატუსით
- პირის უფლება აქტიურად ჩაერთოს წინასაარჩევნო კამპანიაში
- პირის უფლება აქტიური ბოიკოტი გამოუცხადოს არჩევნებს
- პირის უფლება აქტიურად შეეწინააღმდეგოს არჩევნების ჩატარებას

971. რომელი ორგანო არ მონაწილეობს ამომრჩეველთა ერთიანი სიის შესადგენად ინფორმაციის მოპოვებაში?
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.
- ფინანსთა სამინისტრო.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

972. ჩამოთვლილთაგან ვის უნდა წარუდგინოს საარჩევნო სუბიექტმა ინფორმაცია იმ საბანკო ანგარიშის შესახებ, საიდანაც ხდება საარჩევნო კამპანიის დაფინანსება?
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.
- ცესკოს.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.
- საქართველოს პარლამენტს.

973. არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან რა ვადაში ეკისრება საარჩევნო სუბიექტს ვალდებულება, უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა?
- 15 დღის ვადაში.
- ერთი თვის ვადაში.
- 10 დღის ვადაში.
- 7 დღის ვადაში.

974. რა მოხდება, თუ მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის საჭიროებისას, ერთნაირი საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდება ორზე მეტ მაჟორიტარ კანდიდატს ან 1 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატს ხმათა ტოლი რაოდენობა ექნება?
- შეირჩევიან ის კანდიდატები, რომლებმაც უფრო ადრე გაიარეს საარჩევნო რეგისტრაცია.
- დაინიშნება ხელახალი არჩევნები.
- შეირჩევა ასაკით უხუცესი ორი კანდიდატი.
- მეორე ტურში ყველა ზემოაღნიშნული კანდიდატი მონაწილეობს.

975. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ შეიძლება აირჩეს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად?
- პირი, რომელიც ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებულია წვრილმანი ხულიგნობისთვის.
- პირი, რომელიც საქმიანობს საბანკო სექტორში.
- პირი, რომლის მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დაადასტურა სასამართლომ.
- პირი, რომელიც დაჯარიმებულია დანაშაულისთვის - კერძოდ ქურდობისთვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლობა.

976. საკრებულოს წევრობის კანდიდატად დასახელების შემთხვევაში სამსახურებრივი უფლებამოსილება არ უწყდებათ:
- საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს.
- საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეებს.
- საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს და საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრებს.
- საქართველოს პარლამენტის წევრებს.

977. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გოგაშვილმა გადაწყვიტა, რომ ოჯახური პირობების გამო გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან. თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით მან განცხადებით მიმართა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. სწორად მოიქცა თუ არა გოგაშვილი?
- გოგაშვილი მოიქცა სწორად, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- გოგაშვილი არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.
- გოგაშვილი არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიას.
- გოგაშვილი არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

978. უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს:
- უსკოს თავმჯდომარეს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 57-ე დღისა.
- უსკოს თავმჯდომარეს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 60-ე დღისა.
- უსკოს თავმჯდომარეს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 55-ე დღისა.
- უსკოს თავმჯდომარეს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.

979. თუ რეფერენდუმის გამართვის ინიციატივა ამომრჩევლებს ეკუთვნით, რა ვადაში მიეცემა საინიციატივო ჯგუფს რეგისტრაციის მოწმობა?
- რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან ორ თვეში.
- რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან ორ კვირაში.
- რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან ერთ კვირაში.
- რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან ერთ თვეში.

980. ვინ უნდა გადასცეს რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციას დამკვირვებლების მოწმობები(სამკერდე ნიშნები)?
- საარჩევნო კომისიის კანცელარიამ.
- საარჩევნო კომისიის მდივანმა.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ.

981. რომელი მსჯელობაა სწორი?
- შემაჯამებელი ოქმი არის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების დამადასტურებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი. შემაჯამებელ ოქმს და კანონით დადგენილი წესით დამოწმებულ მის ასლს ერთნაირი იურიდიული ძალა აქვს.
- შემაჯამებელი ოქმი არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მხოლოდ მის ერთ ეგზემპლარს აქვს იურიდიული ძალა.
- შემაჯამებელი ოქმი არის არჩევნების შედეგების დამადასტურებელი ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი. მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილ ეგზემპლარებს აქვთ იურიდიული ძალა.
- შემაჯამებელი ოქმი არის კენჭისყრის შედეგების დამადასტურებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მხოლოდ დამოუკიდებელი დამკვირვებელი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ ეგზემპლარებს აქვთ იურიდიული ძალა.

982. შესაძლებელია თუ არა ცესკოსთვის ფულადი სახსრების გამოყოფის თაობაზე იძულებითი აღსრულება?
- შესაძლებელია მხოლოდ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით.
- შეუძლებელია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდიდან.
- შესაძლებელია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.
- შესაძლებელია მხოლოდ კანონით მკაცრად და პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

983. რამდენი წევრისაგან შედგება თვითმმართველი თემის საკრებულო?
- პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისა და შესაბამის ტერიტორიაზე არსებული ყველა თემიდან და ქალაქიდან, რომლებიც შედის ამ თვითმმართველი თემის შემადგენლობაში, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული თითო წევრისაგან.
- პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და შესაბამის ტერიტორიაზე არსებული ყველა თემიდან და ქალაქიდან, რომლებიც შედის ამ თვითმმართველი თემის შემადგენლობაში, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული თითო წევრისაგან.
- მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისაგან, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 75000-ს.
- მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისაგან, თუ

ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 75000-ს.

984. რომელი მსჯელობაა სწორი?
- კენჭისყრისას საარჩევნო ყუთთან მუდმივად უნდა იმყოფებოდეს საარჩევნო კომისიის ყველა წევრი მორიგეობით.
- კენჭისყრისას საარჩევნო ყუთთან მუდმივად უნდა იმყოფებოდეს საარჩევნო კომისიის ამომრჩეველთა რეგისტრატორი წევრი.
- კენჭისყრისას საარჩევნო ყუთთან მუდმივად უნდა იმყოფებოდეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- კენჭისყრისას საარჩევნო ყუთთან მუდმივად უნდა იმყოფებოდეს საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრი.

985. რამდენი შემაჯამებელი ოქმი დგება ქალაქ თბილისის მერის არჩევნების დროს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ?
- 2 შემაჯამებელი ოქმი.
- 3 შემაჯამებელი ოქმი.
- 4 შემაჯამებელი ოქმი.
- 1 შემაჯამებელი ოქმი.

986. რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ ბრძანებულებას იღებს:
- საქართველოს მთავრობა.
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს პარლამენტი.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.

987. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს რეგისტრაციაში ატარებს:
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

988. რა ვადაში და ვის მიერ ინიშნება თვითმმართველი ქალაქის მერის მორიგი არჩევნები?
- ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, შესაბამისად, მერის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 30 დღისა.
- ნიშნავს საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით, შესაბამისად, მერის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა.
- ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, შესაბამისად მერის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა.
- ნიშნავს საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით, შესაბამისად, მერის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 30 დღისა.

989. ქვემოთ დასახელებულთაგან რომელს აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სარჩელით ან წარდგინებით მიმართვის უფლება?
- პრეზიდენტს.
- პარლამენტის თავმჯდომარეს.
- მთავრობის მეთაურს.
- სახელმწიფო მინისტრს.

990. რომელი ორგანო (პირი) განსაზღვრავს არჩევნების გამართვისთვის გამოყოფილი თანხების განაწილებისა და გამოყენების წესს?
- პარლამენტის თავმჯდომარე.
- ფინანსთა მინისტრი.
- ცესკოს თავმჯდომარე.
- ცესკო.

991. რომელი მსჯელობაა სწორი? საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ:
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის, რომელიც კომისიაში გამოცხადდება წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ, შრომის ანაზღაურების საკითხს წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის, რომელიც კომისიაში გამოცხადდება წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ, შრომის ანაზღაურების საკითხს წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისია.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის, რომელიც კომისიაში გამოცხადდება წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ, შრომის

ანაზღაურების საკითხს წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის, რომელიც კომისიაში გამოცხადდება წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ, შრომის ანაზღაურების საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

992. კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევებშია დასაშვები საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელის დროებით შეცვლა?
- თუ ამას მოითხოვს საქართველოს მთავრობა.
- თუ ამის თაობაზე არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოში დასკვნა.
- საომარი მდგომარეობის დროს.
- თუ ამას მოითხოვს პრემიერ-მინისტრი.

993. არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებდა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია „ღია არჩევნები". მან წარმომადგენლად დანიშნა ნანა ქუტიძე, რომლის მეშვეობითაც განახორციელებდა არჩევნებზე დაკვირვებას. ორგანიზაციამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო იმიტომ, რომ ნანა ამავდროულად იყო საარჩევნო კომისიის წევრი და გაცნობიერებული ჰქონდა არჩევნებთან დაკავშირებული ყველა პროცედურა. შეეძლო თუ არა ნანას დამკვირვებლის ფუნქციის შესრულება?
- არა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსით საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს დამკვირვებელი.
- დიახ, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსი საარჩევნო კომისიის წევრს აძლევს უფლებას იყოს დამკვირვებელი მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობით.
- დიახ, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსი საარჩევნო კომისიის წევრს აძლევს უფლებას იყოს დამკვირვებელი.
- დიახ, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსი საარჩევნო კომისიის წევრს აძლევს უფლებას, იყოს დამკვირვებელი მხოლოდ ცესკოს თავმჯდომარის თანხმობით.

994. მოსამსახურეს ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულება ეძლევა
- 183 კალენდარული დღის ოდენობით.
- 134 კალენდარული დღის ოდენობით.
- 146 კალენდარული დღის ოდენობით.
- 129 კალენდარული დღის ოდენობით.

995. რომელი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას არ ტარდება საპრეზიდენტო არჩევნები?
- თუ პარლამენტმა დაამტკიცა პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა.
- თუ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ პრეზიდენტობის კანდიდატად მხოლოდ ერთი კანდიდატი არის რეგისტრირებული.
- თუ ამის შესახებ პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიღებული დადგენილება არსებობს.
- თუ საპრეზიდენტო არჩევნებში ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ კანდიდატთა რაოდენობა 20-ს აღემატება.

996. საჯარო კონკურსს მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად აცხადებს
- საჯარო სამსახურის საბჭო.
- შესაბამისი სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით.
- დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელშიც არსებობს ვაკანსია.
- დაწესებულების ხელმძღვანელი.

997. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივ აქტებს?
- საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.
- ცესკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.
- ცესკოს მდივნის ბრძანება.

998. საუბნო საარჩევნო კომისია შედგება:
- 7 წევრისგან.
- 10 წევრისაგან.
- 13 წევრისაგან.
- 12 წევრისაგან.

999. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ შეიძლება მიწვეულ იქნეს ფარული კენჭისყრის კაბინაში იმ ამომრჩევლის დასახმარებლად, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი?
- ადგილობრივი დამკვირვებელი.
- საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება.
- პოლიციელი.

- მანდატური.

1000. ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეჰყავთ:
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოხელეები.
- სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირები.
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები.
- იძულებით გადაადგილებული პირები.

1001. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილიდან ვის აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება?
- საქართველოს პრეზიდენტს.
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს.
- საქართველოს პარლამენტის წევრს.
- საქართველოს პატრიარქს.

1002. საარჩევნო კომისიის შენობაში ხმების დათვლის დროს, პირველი მთვლელი მას შემდეგ, რაც ყუთიდან ამოიღებდა ბიულეტენს, განაცხადებდა, რომელი კანდიდატის სასარგებლოდ იყო ხმა მიცემული, რის შემდეგაც იგივეს აკეთებდნენ მეორე და მესამე მთვლელებიც. ერთ-ერთმა მეთვალყურემ, რომელიც იდგა მეორე მთვლელის გვერდით, ყუთებიდან ბიულეტენების ამოღების პროცედურა კანონშეუსაბამოდ მიიჩნია. მან განაცხადა, რომ საარჩევნო კოდექსის თანახმად, პირველი მთვლელის მიერ სპეციალური კონვერტიდან ამოღებული ერთი სახის საარჩევნო ბიულეტენი მისი გამოცხადების შემდეგ უნდა გადაეცეს მეორე მთვლელს, მეორე სახის - მესამე მთვლელს და ა. შ., ხოლო სპეციალური კონვერტი უნდა განთავსდეს ცალკე. მიუხედავად მეთვალყურის შენიშვნისა, მთვლელები განაგრძობდნენ ბიულეტენების ყუთიდან იგივე წესით ამოღებას და დათვლას. მეთვალყურეებმა აღნიშნული ქმედება გაასაჩივრეს სასამართლოში. კანონიერი იყო თუ არა მეთვალყურეების შენიშვნა და სწორად მოიქცნენ თუ არა?
- დიახ, რადგან მეთვალყურეებს უფლება აქვთ, დააკვირდნენ დათვლის მთელ პროცედურას, მიუთითონ შეცდომაზე, მოითხოვონ შეცდომის გასწორება, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, გაასაჩივრონ საუბნო საარჩევნო კომისიის მოქმედება სასამართლოში.
- დიახ, მეთვალყურეებს უფლება აქვთ, დააკვირდნენ დათვლის მთელ პროცედურას, მიუთითონ შეცდომაზე, მოითხოვონ შეცდომის გასწორება, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, გაასაჩივრონ საუბნო საარჩევნო კომისიის მოქმედება, მაგრამ თავდაპირველად უნდა გაესაჩივრებინათ ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში და მხოლოდ ამის შემდეგ - სასამართლოში.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- არა, რადგან მეთვალყურეებს, მართალია, უფლება აქვთ დააკვირდნენ დათვლის მთელ პროცედურას და მიუთითონ შეცდომებზე, მაგრამ შეცდომების გამოსწორების მოთხოვნის და მისი გასაჩივრების უფლება მათ კომპეტენციაში არ შედის.

1003. თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში ბათილად იქნა ცნობილი შედეგები საარჩევნო ოლქების ნახევარზე მეტში, რომელშიც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტია:
- არჩევნების შედეგები ბათილად ითვლება და ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს ხელახალ არჩევნებს.
- არჩევნების შედეგები ბათილად ითვლება და ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს საერთო არჩევნებს.
- არჩევნების შედეგები ბათილად ითვლება და ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს შუალედურ არჩევნებს.
- არჩევნების შედეგები ბათილად ითვლება და ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს განმეორებით კენჭისყრას.

1004. დაინტერესებულმა მხარე ტ-მ ქალაქ თბილისის მერიას მიმართა განცხადებით საჯარო ინფორმაციის მიღების თაობაზე. მერიამ საჯარო ინფორმაცია არ გასცა იმ მოტივით, რომ ტ-ს განცხადებაში მითითებული არ იყო მისი მოთხოვნის მიზანი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, კანონიერია თუ არა მერიის მოქმედება?
- კანონიერია, ვინაიდან საჯარო ინფორმაცია არ გაიცემა, თუ მასში მითითებული არ არის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი.
- არ არის კანონიერი, ვინაიდან აუცილებელი არ არის, საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირის მიერ წარდგენილ განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- კანონიერია, ვინაიდან საჯარო ინფორმაციის მისაღებად განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი და მიზანი.

1005. არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო ინვენტარს და შენობებს საარჩევნო კომისიებს გადასცემს:
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.
- საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო.
- საქართველოს მთავრობა.
- სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

1006. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივ აქტებს?
- საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება.

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება.
- ცესკოს თავმჯდომარის დადგენილება.
- საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

1007. ზურაბ ჭიკჭიკაშვილი, საუბნო საარჩევნო კომისიის განთავსების შენობიდან გაძევებულ იქნა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის. გაძევების ფაქტზე კომისიამ შეადგინა აქტი, რომელსაც ხელი მოაწერა კომისიის თავმჯდომარემ. აქტში აღინიშნა დამრღვევის სახელი, გვარი, საარჩევნო ოლქისა და უბნის ნომრები. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- არა, რადგან აქტის შედგენა და შესაბამისი მონაცემების შეტანა კომისიის უფლებას წარმოადგენდა და არა ვალდებულებას.
- დიახ, რადგან აქტზე თავმჯდომარესთან ერთად ხელი შეიძლება მოეწერათ კომისიის დანარჩენ წევრებსაც.
- დიახ, რადგან გაძევების ფაქტზე დგება არა აქტი, არამედ კომისიის თავმჯდომარის განკარგულება.
- დიახ, რადგან აქტზე, თავმჯდომარესთან ერთად ხელი უნდა მოეწერათ კომისიის დანარჩენ წევრებსაც, გარდა ამისა აუცილებელი იყო დარღვევის არსის და მისი ჩადენის ზუსტი დროის მითითება.

1008. კონსტიტუციაზე დაყრდნობით მონიშნეთ სწორი პასუხი:
- შრომა საქართველოს ყოველი მოქალაქის ვალდებულებაა
- შრომა თავისუფალია
- საქართველოს მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება
- საქართველოს მოქალაქეებს აქვთ შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლება

1009. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს?
- საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის თანხმობით.
- საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს ფონდთან შეთანხმებით.
- საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით.
- საქართველოს პრეზიდენტი.

1010. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტი?
- განკარგულება.
- გადაწყვეტილება.
- კანონი.
- ორგანული კანონი.

1011. საოლქო საარჩევნო კომისია ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებულ განცხადებას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს:
- საოქმო ჩანაწერით.
- განკარგულებით.
- ბრძანებით.
- დადგენილებით.

1012. ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეჰყავთ ამომრჩევლები, რომლებიც სამკურნალოდ წვანან საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, კენჭისყრის დღისთვის ვერ იქნებიან გაწერილი ამ დაწესებულებიდან. ამ პირთა სიას ადგენს:
- შესაბამისი სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-6 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.
- შესაბამისი სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-10 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.
- შესაბამისი სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-5 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.
- შესაბამისი სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-7 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

1013. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- ამომრჩეველი, რომელიც გაივლის მარკირების შემოწმების პროცედურას, გადაინაცვლებს სარეგისტრაციო მაგიდასთან, სადაც ამომრჩეველთა რეგისტრატორი გასცემს საარჩევნო ბიულეტენს.
- ამომრჩეველი, რომელიც გაივლის მარკირების შემოწმების პროცედურას, გადაინაცვლებს ხმის მიცემის ოთახში, სადაც აიღებს მისთვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენს.
- ამომრჩეველი, რომელიც გაივლის მარკირების შემოწმების პროცედურას, გადაინაცვლებს სარეგისტრაციო მაგიდასთან, სადაც ამომრჩეველთა რეგისტრატორი განახორციელებს მის მარკირებას და იგი მიიღებს საარჩევნო ბიულეტენს.

- ამომრჩეველი, რომელიც გაივლის მარკირების შემოწმების პროცედურას, გადაინაცვლებს სარეგისტრაციო მაგიდასთან, სადაც ამომრჩეველთა რეგისტრატორი განახორციელებს მის მარკირებას, რის შემდეგაც ის გადაინაცვლებს ხმის მიცემის ოთახში, სადაც აიღებს მისთვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენს.

1014. ერთ-ერთ რა მოვლენასთან არის დაკავშირებული პარლამენტის უფლებამოსილების შეწყვეტა?
- საომარი მდგომარეობის გამოცხადებასთან.
- საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან.
- უფლებამოსილების ვადის ამოწურვასთან.
- ახალარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებასთან.

1015. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობებიდან რომელი შეესაბამება კონსტიტუციის 41-ე მუხლს?
- მხოლოდ დაბადებით საქართველოს მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას
- მხოლოდ სახელმწიფო თანამდებობის პირებს აქვთ უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნონ სახელმწიფო დაწესებულებაში მათზე არსებულ ინფორმაციას
- საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას
- საქართველოს მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას

1016. ჩამოთვლილთაგან ვის უნდა წარუდგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტმა ინფორმაცია იმ საბანკო ანგარიშის შესახებ, საიდანაც ხდება საარჩევნო კამპანიის დაფინანსება?
- საქართველოს პარლამენტს.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.
- უსკოს.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

1017. ვინ ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს საარჩევნო კოდექსის მიხედვით?
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცესკო.
- პოლიტიკური პარტიები.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

1018. ცესკოში აპარატის შემადგენლობაში ტექნიკურ მოსამსახურედ აყვანილ იქნა გიგიაძე, რომელსაც არ ჰქონდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- არ დაირღვა, ვინაიდან ცესკოს აპარატის შემადგენლობაში ტექნიკური მოსამსახურისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ქონა სავალდებულო არ არის.
- დაირღვა, ვინაიდან ცესკოს აპარატის შემადგენლობაში ნებისმიერ თანამშრომელს უნდა ჰქონდეს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- არ დაირღვა, ვინაიდან ცესკოს აპარატის შემადგენლობაში მუშაობისათვის სავალდებულო არ არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ქონა.

1019. კონსტიტუციის მიხედვით როგორი სახელმწიფოს დამკვიდრება სურთ საქართველოს მოქალაქეებს?
- სამართლიანი სახელმწიფოს.
- სოციალისტური სახელმწიფოს.
- ეროვნული სახელმწიფოს.
- სოციალური სახელმწიფოს (პრეამბულა).

1020. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რა სახის გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია საქართველოს პრეზიდენტს რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნასთან დაკავშირებით?
- რეფერენდუმის თარიღის დანიშვნისა და მისი მოწყობის უზრუნველყოფის შესახებ.
- რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნის განუხილველად დატოვების შესახებ.
- რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნაზე მოტივირებული უარის შესახებ.
- ჩამოთვლილი ყველა სახის გადაწყვეტილების მიღება შეუძლია საქართველოს პრეზიდენტს.

1021. კონსტიტუციის მიხედვით, რა ვადით აირჩევა საქართველოს პრეზიდენტი?
- განუსაზღვრელი ვადით.
- საპენსიო ასაკის მიღწევამდე.
- 4 წლის ვადით.
- 5 წლის ვადით.

1022. კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობის ფორმირებისათვის საჭიროა წარდგენილმა მთავრობის შემადგენლობამ და სამთავრობო პროგრამამ მიიღოს პარლამენტის ნდობა. პარლამენტის წევრთა რა რაოდენობაა საჭირო ნდობის მისაღებად?
- პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
- პროპორციული სიით არჩეულ დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი და მაჟორიტარული წესით არჩეულ დეპუტატთა არანაკლებ ერთი მესამედისა.
- პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
- პარლამენტის წევრთა ერთი მესამედი.

1023. კონსტიტუციის მიხედვით ვის აქვს კონსტიტუციის გადასინჯვის ინიცირების უფლება (კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის პარლამენტში შეტანის უფლება)?
- საქართველოს პრეზიდენტს.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.
- საქართველოს მთავრობას.
- არანაკლებ 200 000 ამომრჩეველს.

1024. რომელი უწყება, რა სახის აქტით ადგენს საარჩევნო კომისიების მიერ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესს?
- უსკო განკარგულებით.
- უსკო დადგენილებით.
- საქართველოს ფინანსთა მინისტრი ბრძანებით.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ბრძანებით.

1025. დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდებ თანამდებობის პირს ან დაწესებულებას
- უფლება აქვს, მოხელეს ვადაზე ადრე მოუხსნას ეს პასუხისმგებლობა, თუ მან არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა.
- უფლება აქვს, მოხელეს ვადაზე ადრე მოუხსნას პასუხისმგებლობა, თუ მან არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა და თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა საჯარო მოსამსახურემ.
- უფლება არა აქვს, მოხელეს ვადაზე ადრე მოუხსნას ეს პასუხისმგებლობა.
- უფლება აქვს, მოხელეს ვადაზე ადრე მოუხსნას ეს პასუხისმგებლობა, თუ მან თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა საჯარო მოსამსახურემ.

1026. პარტიულ სიაში უნდა აღინიშნოს ყოველი კანდიდატის:
- პიროვნული თვისებები.
- მეუღლის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ნომერი.
- მეუღლის შესახებ ინფორმაცია.
- საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი.

1027. რა ვადაში უნდა დასრულდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნითპარტიის მიერ წარდგენილი მხარდამჭერთა სიის შემოწმება?
- მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან 15 დღის ვადაში.
- მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან 10 დღის ვადაში.
- მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან 14 დღის ვადაში.
- მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან 7 დღის ვადაში.

1028. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ არის უფლებამოსილი საარჩევნო ოლქების შექმნის გამო, საარჩევნო კოდექსით დადგენილ ვადებში სარჩელი შეიტანოს სასამართლოში?
- დამკვირვებლის სტატუსის მქონე ადგილობრივი ორგანიზაცია.
- საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის წარმომადგენელი ცესკოში.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი.
- დამკვირვებლის სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაცია.

1029. საკრებულოს წევრობის კანდიდატად დასახელების შემთხვევაში სამსახურებრივი უფლებამოსილება უწყდებათ:
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ცესკოს აპარატის თანამშრომელს.
- მოსამართლის თანაშემწეს.
- სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეს.

1030. რომელი მსჯელობა არის სწორი?
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 10 დღისა უფლება აქვს მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც მან მიმართვა უნდა გაავრცელოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 5 დღისა უფლება აქვს მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც მან წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 5 დღისა უფლება აქვს მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც მან მიმართვა უნდა გაავრცელოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 10 დღისა უფლება აქვს მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც მან წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.

1031. ჩუღურეთის საარჩევნო ოლქის N3 საარჩევნო უბანზე კენჭისყრის დღეს გამოცხადებულ ამომრჩეველს მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელ თითზე ფრჩხილი იმგვარად ჰქონდა დაზიანებული, რომ შეუძლებელი გახდა აღნიშნულ თითებზე ქიმიური საღებავის წასმა, რის გამოც უფლებამოსილმა პირმა მარკირება განახორციელა ამომრჩევლის მარჯვენა ხელის შუა თითის ფრჩხილზე. სწორად მოიქცა თუ არა უფლებამოსილი პირი?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითის ფრჩხილები დაზიანებულია, კომისიის წევრს შეუძლია მარკირება გამოიყენოს მარჯვენა ხელის სხვა თითის ფრჩხილზე, ხოლო ამის შეუძლებლობისას, ასეთივე წესით მარცხენა ხელზე.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, მარკირება რომელი ხელის, რომელი თითის ფრჩხილზე განხორციელდება, კომისიის წევრის გადასაწყვეტია.
- არა, რადგან იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩევლის მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელ თითებზე ფრჩხილი დაზიანებულია, მარკირების გამოყენება საერთოდ დაუშვებელია.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითის ფრჩხილები დაზიანებულია, კომისიის წევრს შეუძლია მარკირება გამოიყენოს მარცხენა ხელის ცერა ან საჩვენებელ თითზე, ხოლო ამის შეუძლებლობისას, ასეთივე წესით ნებისმიერ სხვა თითზე.

1032. ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს მის მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხავს კენჭისყრამდე არა უგვიანეს:
- 55 დღისა.
- 50 დღისა.
- 30 დღისა.
- 45 დღისა.

1033. რა პერიოდში ხდება მხარდამჭერთა სიების განადგურება, საარჩევნო რეგისტრაციის გამო?
- მხარდამჭერთა სიების განადგურება არ ხდება.
- უზენაეს სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადის ამოწურვიდან 2 კვირაში.
- სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადის ამოწურვიდან 10 დღეში.
- სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადის ამოწურვიდან 3 დღის ვადაში.

1034. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივ აქტებს?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

1035. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი ნუკრი იაშვილი სამართალდამცველებმა დააკავეს მკვლელობის ფაქტზე წასწრების გამო. დაკავების დროს ნუკრი იაშვილმა მათ არაერთგზის განუცხადა, რომ ის იყო პარლამენტის წევრობის კანდიდატი და რომ მას დაკავებისგან იცავდა იმუნიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელებმა ამოიცნეს ნუკრი იაშვილი, ის მაინც დააკავეს, რის შესახებაც აცნობეს საქართველოს პარლამენტს. კანონიერად მოქმედებდნენ თუ არა სამართალდამცავები?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის დაკავება შესაძლებელია დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში, თუმცა მათ ამის შესახებ უნდა შეეტყობინებინათ ცესკოსთვის.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, იმუნიტეტი დაკავების დროს ვრცელდება საქართველოს პარლამენტის წევრებზე და

არა წევრობის კანდიდატებზე.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, დაუშვებელია საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის დაკავება.

1036. არჩევნების დღეს, საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად გამოცხადებულ ამომრჩეველს კომისიის წევრმა მოსთხოვა შენობის დატოვება, იმ არგუმენტით, რომ ის იყო შეიარაღებული. ამომრჩეველმა კომისიის წევრს განუმარტა, რომ ის იყო სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, შესაბამისად მას ჰქონდა იარაღის ტარების უფლება. კანონიერი იყო თუ არა კომისიის წევრის მოთხოვნა?
- დიახ, რადგან საარჩევნო კომისიის წევრი მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.
- არა, რადგან სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს კანონით ჰქონდა საარჩევნო უბანზე იარაღით შესვლის უფლება.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, დაუშვებელია კენჭისყრის შენობაში შეიარაღებულ პირთა შესვლა.
- არა, რადგან საარჩევნო უფლების შეზღუდვა დაუშვებელია ნებისმიერ შემთხვევაში.

1037. რა ვადაში უნდა შეიტანოს პრეზიდენტმა პარლამენტში დასამტკიცებლად გადაწყვეტილება ზავის დადების შესახებ?
- დაუყოვნებლივ.
- არაუგვიანეს 24 საათისა.
- არაუგვიანეს 48 საათისა.
- არაუგვიანეს 12 საათისა.

1038. ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე თანამდებობიდან ვადამდე თავისუფლდება:
- ცესკოს დადგენილებით.
- პარლამენტის დადგენილებით.
- პარლამენტის განკარგულებით.
- ცესკოს განკარგულებით.

1039. ქვემოთ ჩამოთვლილიდან ვის არა აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სარჩელით ან წარდგინებით მიმართვის უფლება ?
- სახალხო დამცველს.
- მოქალაქეს.
- საკრებულოს.
- გამგებელს.

1040. კონსტიტუციის მიხედვით, შესაძლებელია თუ არა პირადი ჩანაწერების ხელშეუხებლობის შეზღუდვა?
- შეიძლება, თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა
- შეიძლება, თუ პირადი ჩანაწერები ეკუთვნის არასრულწლოვან მოსწავლეს
- არ შეიძლება, ეს აბსოლუტური უფლებაა
- არ შეიძლება, თუ ჩანაწერები მდედრობითი სქესის პირს ეკუთვნის

1041. ვინ არის პასუხისმგებელი საარჩევნო ბიულეტენებში შესატანი მონაცემების სიზუსტეზე ქ. რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს -საკრებულოს არჩევნებისთვის?
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია.
- უსკო.
- ცესკო.

1042. კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილიდან, რომელი არ არის საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი?
- ბრძანებულება.
- გადაწყვეტილება.
- დეკრეტი.
- განკარგულება.

1043. როგორ გადაწყდება საკითხი, თუ აღმოჩნდება, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე მოწყობილი არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერც ერთმა პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5%?
- ჩატარდება ხელახალი კენჭისყრა.
- არჩევნები დაინიშნება ორი თვის შემდეგ.
- პარლამენტი მუშაობას შეუდგება მაჟორიტარული წესით არჩეული პარლამენტის წევრების შემადგენლობით.
- ჩატარდება განმეორებითი კენჭისყრა.

1044. როგორი შედეგი შეიძლება დადგეს, თუ რეგისტრაციისათვის წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს?
- 7 დღე ეძლევა განცხადებისა და საბუთების სრულყოფისთვის.
- 3 დღე ეძლევა განცხადებისა და საბუთების სრულყოფისთვის.
- შეიძლება გახდეს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.
- რეგისტრაციაში გატარდება, მაგრამ დაევალება, 3 დღის ვადაში განცხადებისა და საბუთების სისრულეში მოყვანა.

1045. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 51-ე დღეს. არის თუ არა რაიმე დარღვევა?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ტარდება შუალედური არჩევნები, და არა რიგგარეშე.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, რიგგარეშე არჩევნები ტარდება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არაუგვიანეს მე-60 დღისა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, რიგგარეშე არჩევნები ტარდება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არაუგვიანეს 52-ე დღისა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, რიგგარეშე არჩევნები ტარდება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არაუგვიანეს 45-ე დღისა.

1046. საპარლამენტო არჩევნებისას შეიქმნა საარჩევნო ბლოკი „დიდება საქართველოს", სადაც გაწევრიანებული იყო რამდენიმე პარტია. პარტიული სიების წარდგენის ვადის ამოწურვამდე აღნიშნული ბლოკიდან გაირიცხა პარტია „ერთიანობა". ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამის გამო გააუქმა პარტიის რეგისტრაცია, რითიც მას აეკრძალა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. რამდენად სამართლიანია ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება?
- ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარტიული სიების წარდგენის ვადის ამოწურვამდე საარჩევნო ბლოკიდან პარტიის გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში თითოეულ მათგანს უფლება აქვს, გააგრძელოს არჩევნებში მონაწილეობა.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონიერია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარტიული სიების წარდგენის ვადის ამოწურვამდე საარჩევნო ბლოკიდან პარტიის გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უქმდება ამ პარტიის საარჩევნო რეგისტრაცია.
- ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონიერია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარტიული სიების წარდგენის ვადის ამოწურვამდე საარჩევნო ბლოკიდან პარტიის გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში ცესკოს თავმჯდომარის დადგენილებით უქმდება ამ პარტიის საარჩევნო რეგისტრაცია.

1047. საუბნო საარჩევნო კომისიის რომელი წევრი აძლევს ამომრჩეველს სპეციალურ კონვერტს?
- ამომრჩეველს სპეციალურ კონვერტს აძლევს საუბნო საარჩევნო კომისიის ამომრჩეველთა რეგისტრატორი წევრი.
- ამომრჩეველი სპეციალურ კონვერტს იღებს კენჭისყრის ოთახში მდგარი მაგიდიდან დამოუკიდებლად.
- ამომრჩეველს სპეციალურ კონვერტს აძლევს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- ამომრჩეველს სპეციალურ კონვერტს აძლევს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

1048. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- მთავრობის წევრი უფლებამოსილია დაესწროს პარლამენტის კომიტეტის სხდომას.
- მთავრობის წევრი უფლებამოსილია დაესწროს პარლამენტის ბიუროს სხდომას.
- მთავრობის წევრი უფლებამოსილია დაესწროს პარლამენტის სხდომას.
- მთავრობის წევრი უფლებამოსილია დაესწროს პარლამენტის კომისიის სხდომას.

1049. ვინ ამოწმებს ქალაქ თბილისის მერობის კანდიდატის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მხარდამჭერთა სიებს?
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

1050. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დაპატიმრებაზე თანხმობას აძლევს:
- საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

1051. საპარლამენტო არჩევნებზე მისულმა მოქალაქემ ნორა გეწაძემ საკუთარი სახელი ვერ აღმოაჩინა სიაში, რის გამოც ატეხა ყვირილი კენჭისყრის შენობაში, იგი შეურაცხყოფას აყენებდა კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს, ბრალს სდებდა არჩევნების გაყალბებაში. მოქალაქის ყვირილმა იმოქმედა სხვა ამომრჩევლებზეც. კენჭისყრის შენობაში ვითარება უმართავი გახდა, რისთვისაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება - კენჭისყრის შეწყვეტილად გამოცხადების თაობაზე. სიტუაცია რამდენიმე საათში განიმუხტა და შესაბამისად კომისიის თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება კენჭისყრის განახლების თაობაზე. სწორად მოიქცა თუ არა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სწორად მოიქცა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, კენჭისყრის შეწყვეტის მიზეზის აღმოფხვრისთანავე კომისიის თავმჯდომარის ბრძანებულებით კენჭისყრა განახლდება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არ მოიქცა სწორად, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისია დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას კენჭისყრის განახლების თაობაზე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სწორად არ მოიქცა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, თუ კენჭისყრა შეწყვეტილად გამოცხადდა, იგი აღარ განახლდება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სწორად მოიქცა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, კენჭისყრის შეწყვეტის მიზეზის აღმოფხვრისთანავე კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით კენჭისყრა განახლდება.

1052. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა კაჭიურმა გადაწყვიტა, რომ ოჯახური პირობების გამო გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან. თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით მან განცხადებით მიმართა საუბნო საარჩევნო კომისიას. სწორად მოიქცა თუ არა კაჭიური?
- კაჭიური არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- კაჭიური არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიას.
- კაჭიური არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- კაჭიური მოიქცა სწორად, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიას.

1053. რა შემთხვევაში მიიჩნევა საარჩევნო ბიულეტენი ბათილად?
- თუ სპეციალურ კონვერტში აღმოჩნდა დადგენილი რაოდენობის ბიულეტენი.
- თუ საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილი იყო სხვა საარჩევნო უბნისათვის.
- თუ ბიულეტენი საარჩევნო ყუთში მოთავსებულია სპეციალური კონვერტით.
- თუ საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებულია სპეციალური ბეჭდით.

1054. საარჩევნო სუბიექტი ცესკოში წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ განცხადებით მიმართავს:
- საქართველოს პარლამენტს.
- საერთაშორისო დამკვირვებლებს.
- ცესკოს მდივანს.
- ცესკოს თავმჯდომარეს.

1055. ვინ ატარებს რეგისტრაციაში და გადასცემს შესაბამის მოწმობებს ქ. თბილისის საკრებულოს წევრად არჩეულ პირებს?
- ცესკოს თავმჯდომარე.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ცესკო.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

1056. მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს
- თანამდებობრივ სარგოს და საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებულ დანამატს.
- თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს.
- თანამდებობრივ კოეფიციენტებს და საკლასო ჩინისათვის გათვალისწინებულ დანამატს.
- თანამდებობრივ სარგოს და სხვადასხვა სახის დანამატს.

1057. რომელია საქართველო საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანო?
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- უსკო.
- ცესკო.

1058. რა საფუძვლის (საფუძვლების) არსებობისას არის დასაშვები საქართველოში საგანგებო სასამართლოების შექმნა?
- დასაშვებია მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული ორგანული კანონის საფუძველზე.
- საგანგებო სასამართლოების შექმნა საქართველოში დაუშვებელია.
- თუ საგანგებო მდგომარეობა არის გამოცხადებული პრეზიდენტის მიერ.
- თუ საომარი მდგომარეობა არის გამოცხადებული პრეზიდენტის მიერ.

1059. რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ათავისუფლებს თანამდებობიდან პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ორგანოს (ადმინისტრაციის) პირველ პირს?
- ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი.
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს უზენაესი სასამართლო.
- საქართველოს მთავრობა.

1060. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელ საერთაშორისო ორგანიზაციას არ აქვს უფლება საქართველოში მოახდინოს არჩევნებზე დაკვირვება საერთაშორისო დამკვირვებლის სტატუსით?
- იმ ორგანიზაციას, რომლის მიზანი, სადამფუძნებლო დოკუმენტის/წესდების მიხედვით, არის მსოფლიოში პოლიტიკური ბალანსის დამყარება.
- იმ ორგანიზაციას, რომლის მიზანი, სადამფუძნებლო დოკუმენტის/წესდების მიხედვით, არის ადამიანის უფლებათა დაცვა.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- იმ ორგანიზაციას, რომლის მიზანი სადამფუძნებლო დოკუმენტის/წესდების მიხედვით, არის არჩევნების მონიტორინგი.

1061. სწორია თუ არა მსჯელობა? არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა:
- არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა მეოთხედზე მეტმა.
- დიახ, არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.
- დიახ, არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა მესამედზე მეტმა.
- არჩეულად არ ჩაითვლება საქართველოს პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

1062. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ნიშნავს პრეზიდენტის არჩევნებს საქართველოში?
- მორგი არჩევნებს - პარლამენტი, რიგგარეშეს - მთავრობა.
- საქართველოს პარლამენტი.
- მორიგ არჩევნებს - პრეზიდენტი.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.

1063. რა შემთხვევაშია დასაშვები ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სხვა პირთათვის ამ ადამიანის თანხმობის გარეშე?
- დასაშვებია, თუ ამას მოითხოვს მისი ოჯახის წევრი
- დასაშვებია, თუ ამას მოითხოვს საქართველოს სახალხო დამცველი
- დასაშვებია, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად
- დასაშვებია, თუ ამას მოითხოვს ჯანდაცვის სამინისტრო

1064. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელი არის სწორი?
- საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა 2-კაციანი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამის საარჩევნო კომისიაში.
- საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა 3-კაციანი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამის საარჩევნო კომისიაში.
- საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა 4-კაციანი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამის საარჩევნო კომისიაში.
- საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამის საარჩევნო კომისიაში.

1065. ვისი მოთხოვნით შეიძლება გამოძახებულ იქნან და კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდნენ პოლიციის მუშაკები, თუ კენჭისყრის შენობაში საფრთხე ექმნება საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად კენჭისყრის ჩატარებას?
- ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის.
- ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის.

1066. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო უბანზე მყოფი წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს არა უმეტეს 5 წარმომადგენელს, რომლებიც დააკვირდებიან დათვლის პროცესს.
- საარჩევნო უბანზე მყოფი წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს არა უმეტეს ერთ წარმომადგენელს, რომელიც დააკვირდება დათვლის პროცესს.
- საარჩევნო უბანზე მყოფი წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს არა უმეტეს 3 წარმომადგენელს, რომლებიც დააკვირდებიან დათვლის პროცესს.
- საარჩევნო უბანზე მყოფი წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს არა უმეტეს 2 წარმომადგენელს, რომლებიც დააკვირდებიან დათვლის პროცესს.

1067. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში არ აღინიშნება:
- არჩევნების დასახელება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდის ნომერი.
- არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტთა სარეგისტრაციო ნომერი.
- ბათილ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა.

1068. უფლებამოსილი ორგანოს მიერ არჩევნებამდე რა ვადაში უნდა განისაზღვროს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალი, რომელთაც უფლება აქვთ ჩაატარონ პარტიული სიებით სავარაუდოდ არჩეული პარლამენტის წევრების ნარკოლოგიური შემოწმება?
- არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა.
- არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღისა.
- არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 55-ე დღისა.
- არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 47-ე დღისა.

1069. რა საკითხებზე არ შეიძლება ჩატარდეს რეფერენდუმი?
- კანონის გაუქმებასთან დაკავშირებით.
- შეწყალების გამო.
- საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ.
- ყველა პასუხი სწორია.

1070. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც:
- აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.
- შეიცავს მისი მუდმივი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს ადმინისტრაციული ორგანოს ქცევის ზოგად წესს.

1071. ვის ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისია არ უზრუნველყოფს ამომრჩეველთა სიების და მათთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრული წესის გამოკვრას საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობაში, კომისიის პირველივე შეკრების დღეს?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- ცესკოს.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- საუბნო საარჩევნო კომისიის იმ თანამშრომელს, რომელმაც დაარღვია საარჩევნო კოდექსის აღნიშნული მოთხოვნა.

1072. ჩუღურეთის საარჩევნო ოლქის N2 საარჩევნო უბანზე გამოცხადებულმა ამომრჩეველმა განაცხადა, რომ მას იმის გამო, რომ მარჯვენა ხელი მოკვეთილი ჰქონდა, არ შეეძლო საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსება და მოითხოვა კაბინაში მასთან ერთად მისი ბიძაშვილის შეშვება, რომელიც თან ახლდა. კომისიის წევრმა ამ მოთხოვნაზე კატეგორიული უარი განუცხადა და შესთავაზა ნაცვლად მისი ბიძაშვილისა საარჩევნო კაბინაში მასთან ერთად შესულიყო კომისიის ნებისმიერი წევრი, რომელზეც ის მიუთითებდა, რაც მისი თქმით უზრუნველყოფდა ხმის მიცემის სანდოობას. კანონიერად მოქმედებდა თუ არა კომისიის წევრი?

- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა კომისიის წევრისა და კანონით გათვალისწინებული სხვა პირებისა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა ნათესავებისა, რომელთა წრესაც კანონი ამომწურავად განსაზღვრავს.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული პირები, მათ შორის კომისიის წევრებიც.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსი ბიულეტენის შევსებისას ნებისმიერ შემთხვევაში კრძალავს სხვა პირის დასწრებას.

1073. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მსჯელობა არის სწორი?
- საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ყველა ამომრჩეველს კენჭისყრამდე არა უგვიანეს 2 დღისა გადასცეს ამომრჩევლის ბარათი, ხოლო ამომრჩევლის ბარათის მიუღებლობა არ არის კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის საფუძველი.
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ყველა ამომრჩეველს კენჭისყრამდე არა უგვიანეს 2 დღისა გადასცეს ამომრჩევლის ბარათი, ხოლო ამომრჩევლის ბარათის მიუღებლობა წარმოადგენს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის საფუძველს.
- საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ყველა ამომრჩეველს კენჭისყრამდე არა უგვიანეს 3 დღისა გადასცეს ამომრჩევლის ბარათი, ხოლო ამომრჩევლის ბარათის მიუღებლობა არ არის კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის საფუძველი.
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ყველა ამომრჩეველს კენჭისყრამდე არა უგვიანეს 3 დღისა გადასცეს ამომრჩევლის ბარათი, ხოლო ამომრჩევლის ბარათის მიუღებლობა წარმოადგენს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის საფუძველს.

1074. ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?
- უსკოს თავმჯდომარეს/წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა) თუ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ფაქტი.
- უსკოს თავმჯდომარეს/წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება უმაღლესი საბჭოს განკარგულებით (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა) თუ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ფაქტი.
- უსკოს თავმჯდომარეს/წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა) თუ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ფაქტი.
- უსკოს თავმჯდომარეს/წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება უმაღლესი საბჭოს დადგენილებით (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა) თუ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ფაქტი.

1075. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელზე არის უფლებამოსილი პრეზიდენტი დანიშნოს რეფერენდუმი?
- ევროკავშირის წევრობის საკითხზე.
- საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსირების საკითხზე.
- შეწყალების საკითხზე.
- საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების საკითხზე.

1076. რომელი მსჯელობაა სწორი?
- თბილისის საკრებულოში პროპორციული სისტემით მანდატები ნაწილდება მხოლოდ იმ საარჩევნო სუბიექტებზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 10 პროცენტისა.
- თბილისის საკრებულოში პროპორციული სისტემით მანდატები ნაწილდება მხოლოდ იმ საარჩევნო სუბიექტებზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 3 პროცენტისა.
- თბილისის საკრებულოში პროპორციული სისტემით მანდატები ნაწილდება მხოლოდ იმ საარჩევნო სუბიექტებზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 5 პროცენტისა.
- თბილისის საკრებულოში პროპორციული სისტემით მანდატები ნაწილდება მხოლოდ იმ საარჩევნო სუბიექტებზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 4 პროცენტისა.

1077. ცესკოს წევრი არჩეულად ჩაითვლება:
- თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ერთი მეოთხედი.
- თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
- თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ერთი მესამედი.
- თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ერთი მეორედი.

1078. ქალაქ თბილისის მერიასა და მოქალაქე რ-ს შორის დაიდო ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც მესამე პირების – ტ-სა და გ-ს – ინტერესებს შეეხებოდა. მერიამ ამის შესახებ მესამე პირებს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შემდეგ აცნობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, კანონიერია თუ არა მერიის მოქმედება?
- კანონიერია, ვინაიდან ადმინისტრაციული ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით დაიდო.
- არ არის კანონიერი, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებამდე აცნობოს ამის შესახებ მესამე პირს, რომლის ინტერესებსაც იგი შეეხება.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- კანონიერია, ვინაიდან ადმინისტრაციული ხელშეკრულება ზღუდავს მესამე პირის უფლებებს.

1079. არის თუ არა საარჩევნო კომისიის წევრი მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელი?
- არა, კომისიის წევრი მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელი არ არის, თუმცა ვალდებულია შეასრულოს მისი მითითებები.
- არა, კომისიის წევრი არ არის მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელი და თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, კანონსა და შესაბამის კანონქვემდებარე აქტებს.
- არა, კომისიის წევრი ემორჩილება მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მითითებებს.
- დიახ, კომისიის წევრი მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელია.

1080. პარტიულ სიაში უნდა აღინიშნოს ყოველი კანდიდატის:
- გააჩნიათ თუ არა მემკვიდრეობა.
- დამატებითი შემოსავლის წყარო.
- სამუშაო ადგილი.
- ხელფასის ოდენობა.

1081. მოხელე, რომელიც თვითნებურად (5 დღეზე მეტი ხნით) მიატოვებს სამსახურს, განთავისუფლებულად ჩაითვლება სამსახურის თვითნებურად დატოვების
- ერთი თვის შემდეგ.
- მესამე სამუშაო დღიდან.
- მეორე სამუშაო დღიდან.
- მეხუთე სამუშაო დღიდან.

1082. გახარია არჩეული იყო ცესკოს თავმჯდომარედ. მას უფლებამოსილების ვადის გასვლამდე შეუწყდა თავმჯდომარის უფლებამოსილება. უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში პრეზიდენტმა ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკოს წარუდგინა 3 კანდიდატურა. წარდგენიდან მე-6 დღეს ცესკოს უხუცესმა წევრმა მოიწვია ცესკოს სხდომა. სხდომაზე 4 ხმით არჩეულ იქნა ერთ-ერთი კანდიდატი. მოქმედებდა თუ არა კანონიერად ცესკო?
- ცესკო მოქმედებდა უკანონოდ, ვინაიდან სხდომა უნდა მოეწვია ანბანის მიხედვით პირველ წევრს.
- ცესკო მოქმედებდა კანონიერად, ვინაიდან მას არ დაურღვევია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები.
- ცესკო მოქმედებდა უკანონოდ, ვინაიდან სხდომა უნდა ჩატარებულიყო კანდიდატურების წარდგენიდან 5 დღის ვადაში.
- ცესკო მოქმედებდა უკანონოდ, ვინაიდან 4 ხმა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ პირი არჩეულ იქნას თავმჯდომარედ.

1083. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს პარლამენტის წევრი.
- ადგილობრივი დამკვირვებელი არ შეიძლება იყოს შპს „თბილისის" იურისტი.
- ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება იყოს მოსამართლე.
- ადგილობრივი დამკვირვებელი არ შეიძლება იყოს პროკურატურის თანამდებობის პირი.

1084. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელი არ არის სწორი?
- ცესკო განკარგულებით ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს.
- ცესკო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აკონტროლებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას.
- ცესკო განკარგულებით განსაზღვრავს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირების პირობებსა და წესს.
- ცესკო განკარგულებით იღებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტს.

1085. რა სახის სამართლებრივი დოკუმენტით განისაზღვრება იმ დაწესებულებათა ჩამონათვალი, რომელთაც უფლება აქვთ ჩაატარონ პარტიული სიებით სავარაუდოდ არჩეული პარლამენტის წევრების ნარკოლოგიური შემოწმება?
- ბრძანებულებით.
- ბრძანებით.

- განკარგულებით.
- დადგენილებით.

1086. როგორ არის განსაზღვრული კონსტიტუციაში დეკრეტების მოქმედება დროში?
- დეკრეტის მოქმედება დროში შეიძლება შეწყდეს მთავრობის დადგენილებით.
- დეკრეტი მოქმედებს საომარი მდგომარეობის დამთავრებამდე.
- დეკრეტის მოქმედება დროში შეიძლება შეწყდეს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით.
- დეკრეტი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

1087. რამდენჯერ შეიძლება დასახელებულ იქნეს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობაზე ერთი და იგივე კანდიდატი?
- ერთი და იგივე კანდიდატურის დასახელება შეიძლება მხოლოდ სამჯერ.
- მხოლოდ ერთხელ.
- ერთი და იგივე კანდიდატურის დასახელება შეიძლება მხოლოდ ორჯერ.
- ერთი და იგივე კანდიდატურის დასახელება შეიძლება მხოლოდ ოთხჯერ.

1088. აკრძალულია განკარგულების გაცემა, თუ იგი
- არ სცილდება განკარგულების გამცემის უფლებამოსილების ფარგლებს.
- ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.
- არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, მაგრამ თხოულობს ისეთ ქმედებათა შესრულებას, რისი უფლებაც განკარგულების მიმღებს არ გააჩნია.
- არ თხოულობს ისეთ ქმედებათა შესრულებას, რისი უფლებაც განკარგულების მიმღებს არ გააჩნია.

1089. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობს:
- საქართველოს თავდაცვის მინისტრი.
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
- ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი.

1090. შესაძლებელია თუ არა საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტია ერთი და იმავე არჩევნებისას მონაწილეობდეს დამოუკიდებლად?
- საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტია ერთი და იმავე არჩევნებისას არ შეიძლება დამოუკიდებლად მონაწილეობდეს არჩევნებში.
- საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტია ერთი და იმავე არჩევნებისას შეიძლება იმავდროულად დამოუკიდებლად მონაწილეობდეს არჩევნებში, თუმცა არ შეუძლია შედიოდეს სხვა საარჩევნო ბლოკში.
- საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტია ერთი და იმავე არჩევნებისას არ შეიძლება დამოუკიდებლად მონაწილეობდეს არჩევნებში, თუმცა მას შეუძლია შედიოდეს სხვა საარჩევნო ბლოკში.
- საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტია ერთი და იმავე არჩევნებისას შეიძლება იმავდროულად დამოუკიდებლად მონაწილეობდეს არჩევნებში.

1091. ირმა ბერიძე, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი იყო, არასაპატიო მიზეზით ზედიზედ ორჯერ არ გამოცხადდა სამსახურში. აღნიშნულის გამო, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით მას ხელფასის ნაწილი დაექვითა. კანონიერად მოქმედებდა თუ არა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე?
- არა, რადგან დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის მსგავს სახეს არ იცნობს საარჩევნო კოდექსი და კანონის ანალოგიის პირის საზიანოდ გამოყენება დაუშვებელია.
- არა, რადგან ირმა ბერიძის ქმედება არ წარმოადგენდა დისციპლინურ გადაცდომას და შესაბამისად, მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება დაუშვებელი იყო.
- დიახ, რადგან ირმა ბერიძის ქმედება წარმოადგენდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ გადაცდომას და შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარეს ჰქონდა მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების სრული უფლება.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არა არის უფლებამოსილი დისციპლინური გადაცდომისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიმართ გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

1092. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები ცესკოს წარედგინება კენჭისყრამდე არა უგვიანეს:
- 46 დღისა.
- 30 დღისა.
- 50 დღისა.
- 40 დღისა.

1093. რომელი ერთ-ერთი საფუძვლის არსებობისას არის დასაშვები საცხოვრებელ ბინაში მფლობელთა თანხმობის გარეშე ჩხრეკის ჩატარების დაუშვებლობის შეზღუდვა?
- დასაშვებია საფინანსო პოლიციის გადაწყვეტილებით
- თუ გამოცხადებულია საგანგებო და საომარი მდგომარეობა
- ბინის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა დაუშვებელია, ეს აბსოლუტური უფლებაა
- დასაშვებია პროკურატურის გადაწყვეტილებით

1094. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს თვითმმართველი ქალაქის მერის და თვითმმართველი თემის გამგებლის არჩევნების ჩატარების თარიღი ემთხვევა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პერიოდს?
- არჩევნები ჩატარდება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებიდან არაუგვიანეს 50 დღისა.
- არჩევნები ჩატარდება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებიდან არაუგვიანეს 60 დღისა.
- არჩევნები ჩატარდება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებიდან არაუგვიანეს 65 დღისა.
- არჩევნები ჩატარდება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებიდან არაუგვიანეს 55 დღისა.

1095. როგორ აითვლება საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი ვადები საარჩევნო პერიოდში?
- კალენდარული დღეებით, გარდა, საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეებისა.
- კალენდარული დღეებით.
- სამუშაო დღეებით.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

1096. N1 საარჩევნო კომისიას არ ჰყავდა თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი. 21 მარტს, ზემდგომი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მოიწვია ამ კომისიის სხდომა ზ/აღნიშნული კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად ასეთ შემთხვევაში კომისიის სხდომას იწვევს და თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარეობს კომისიის უხუცესი წევრი.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად ასეთ შემთხვევაში კომისიის სხდომას იწვევს და თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარეობს კომისიის ის წევრი, რომელსაც საარჩევნო კომისიის წევრობის ყველაზე მეტი გამოცდილება აქვს.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად ასეთ შემთხვევაში კომისიის სხდომას იწვევს და თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარეობს ზემდგომი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად ასეთ შემთხვევაში კომისიის სხდომას იწვევს და თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარეობს ზემდგომი საარჩევნო კომისიის მდივანი.

1097. რა ვადაში უნდა წარუდგინოს პარტიის წარმომადგენელმა ცესკოს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია?
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 45 დღისა.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 30 დღისა.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 60 დღისა.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 40 დღისა.

1098. დამხმარე მოსამსახურე არის
- პირი, რომელიც სამსახურში მიიღება დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით.
- მოვალეობის დროებითი შემსრულებელი.
- ტექნიკური მუშაკი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით მიიღება დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე.
- პირი, რომელიც ინიშნება მუდმივად დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე.

1099. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია არასწორი?
- ცესკოს მდივანი ანაწილებს ცესკოში შეტანილ საარჩევნო საბუთებსა და ცესკოს სახელზე შესულ კორესპონდენციას.
- ცესკოს მდივანი ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს.
- ცესკოს მდივანი რეგისტრაციაში ატარებს არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ცესკოში დანიშნულ დამკვირვებლებს და აძლევს მათ დამკვირვებლის მოწმობებს.
- ცესკოს მდივანი დადგენილებით ახორციელებს მედიის წარმომადგენლების აკრედიტაციას და აძლევს მათ სააკრედიტაციო ბარათებს.

1100. რომელი მსჯელობაა სწორი?

- გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ პირებს თავმჯდომარის მიერ გადაეცემათ სპეციალური კონვერტები და ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი და სპეციალური ბეჭდით დამოწმებული საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენები.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ პირებს თავმჯდომარის მოადგილის მიერ გადაეცემათ სპეციალური კონვერტები და ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი და სპეციალური ბეჭდით დამოწმებული საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენები.
- არც ერთი მსჯელობა არ არის სწორი.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები პირები თავად აწერენ ხელს და სპეციალური ბეჭდით ამოწმებენ საარჩევნო ბიულეტენსა და სპეციალურ კონვერტს.

1101. რამდენად შესაძლებელია საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციის შემდეგ მასში შევიდეს პარტია?
- შესაძლებელია, თუნდაც პარტიას არ ჰქონდეს გავლილი საარჩევნო რეგისტრაცია.
- შესაძლებელია, თუ პარტიას გავლილი აქვს საარჩევნო რეგისტრაცია, თუნდაც ამოწურული იყოს საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის ვადა.
- შეუძლებელია.
- შესაძლებელია, მაგრამ პარტიას გავლილი უნდა ჰქონდეს საარჩევნო რეგისტრაცია და გასული არ უნდა იყოს საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის ვადა.

1102. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი?
- საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება.
- ცესკოს განკარგულება.
- ცესკოს დადგენილება.
- არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

1103. როგორ ხდება კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფი იმ ამომრჩევლების სიის შედგენა, რომლებიც საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე დგანან?
- კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფი ის ამომრჩევლები, რომლებიც საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე დგანან, ამომრჩეველთა სიაში არ შეჰყავთ.
- კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფი იმ ამომრჩევლების სიას, რომლებიც საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე დგანან, ადგენს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-20 დღისა გადასცემს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
- კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფი იმ ამომრჩევლების სიას, რომლებიც საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე დგანან, ადგენს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-20 დღისა გადასცემს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
- კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფი იმ ამომრჩევლების სიას, რომლებიც საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე დგანან, ადგენს შესაბამისი საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელი და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-20 დღისა გადასცემს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

1104. საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის მიერ წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის 170 კანდიდატი იყო გათვალისწინებული. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 70-ზე ნაკლები და 150-ზე მეტი.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 50-ზე ნაკლები და 100-ზე მეტი.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 170-ზე ნაკლები და 300-ზე მეტი.

1105. კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს:
- გაერთიანებულ პროფკავშირებს.
- არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციას.
- საინიციატივო ჯგუფს.
- საქართველოს ექსპერტთა კლუბს.

1106. ვის აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ხელახალ კენჭისყრაში, რომელიც დაინიშნა იმის გამო, რომ ვერც ერთმა პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5%?
- ყველა პარტიას და ბლოკს, რომლებიც საერთო არჩევნებში მონაწილეობდნენ.
- მხოლოდ პარტიებს, საარჩევნო ბლოკებს აღნიშნული უფლება ჩამოერთმევათ.

- იმ პარტიებს და ბლოკებს, რომლებმაც საერთო არჩევნებში მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 3% მაინც.
- იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებმაც საერთო არჩევნებში მიიღეს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 2 პროცენტისა.

1107. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა:
- 19 წელი.
- 25 წელი.
- 23 წელი.
- 21 წელი.

1108. რისი უფლება აქვს დამკვირვებელს?
- დაესწროს და დააკვირდეს საარჩევნო კომისიის სხდომებს.
- ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი.
- აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ.
- გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლინებაზე.

1109. როგორია ხელახალ კენჭისყრაში პარტიული სიების ბედი?
- პარტიის თავმჯდომარე ერთპიროვნულად წყვეტს, გადაახალისოს თუ არა პარტიული სია.
- ისინი ხელახლა შედგება და გაივლის რეგისტრაციას.
- პარტიის გამგეობა იღებს გადაწყვეტილებას სიების შეცვლა-არშეცვლის თაობაზე.
- უცვლელი რჩება.

1110. ცესკოს თავმჯდომარე რეგისტრაციაში არ ატარებს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს, თუ:
- მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიაში აღმოჩნდება 50 000 ამომრჩევლის ხელმოწერაზე ნაკლები.
- მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიაში აღმოჩნდება 35 000 ამომრჩევლის ხელმოწერაზე ნაკლები.
- მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიაში აღმოჩნდება 40 000 ამომრჩევლის ხელმოწერაზე ნაკლები.
- მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიაში აღმოჩნდება 25 000 ამომრჩევლის ხელმოწერაზე ნაკლები.

1111. ამომრჩევლის რომელი მონაცემი არ შეიტანება ამომრჩეველთა ერთიან სიაში:
- დაბადების თარიღი.
- მამის სახელი.
- საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი.
- გვარი და სახელი.

1112. კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის რომელ გვერდზე უნდა მიეთითოს გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრებისათვის გადაცემული და კენჭისყრის დასრულების შემდეგ გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა?
- ასეთი ინფორმაცია მიეთითება ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე.
- ასეთი ინფორმაცია მიეთითება ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.
- ასეთი ინფორმაცია მიეთითება ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე.
- ასეთი ინფორმაცია მიეთითება ჩანაწერთა წიგნის მე-2 გვერდზე.

1113. წარდგენიდან რა ვადაში უნდა დასრულდეს უფლებამოსილი საარჩევნო კომისიის მიერ პარტიის მხარდამჭერთა სიის შემოწმება?
- წარდგენიდან 7 დღის ვადაში.
- წარდგენიდან 5 დღის ვადაში.
- წარდგენიდან 3 დღის ვადაში.
- წარდგენიდან 10 დღის ვადაში.

1114. საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სუბიექტთაგან რომლის მოთხოვნით განიხილავს პარლამენტი რიგგარეშე მის მიერ წარდგენილ კანონპროექტს?
- საპარლამენტო ფრაქციის მიერ წარდგენილ კანონპროექტს.
- საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანონპროექტს.
- საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს.
- პარლამენტის წევრის მიერ წარდგენილ კანონპროექტს.

1115. ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებული იქნა

უსკოში. უსკომ კანონით დადგენილ ვადაში განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება. უსკოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებული იქნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ბათუმის საქალაქო სასამართლომ ასევე განიხილა საჩივარი და გადაწყვიტა იგი. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში. საჩივრის შეტანიდან რა ვადაში უნდა განიხილოს სააპელაციო სასამართლომ საჩივარი?
- სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს საჩივრის შეტანიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
- სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს საჩივრის შეტანიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.
- სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს საჩივრის შეტანიდან 1 კალენდარული დღისვადაში.
- სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს საჩივრის შეტანიდან 2 კალენდარული დღისვადაში.

1116. სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე, უსაფუძვლოდ და უკანონოდ შეძენილი ქონების ჩამორთმევის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარი ინიციატივით დანიშნა რეფერენდუმი კანონის მისაღებად, რომლითაც მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების ოდენობა უნდა შეზღუდულიყო ორით. მართებულია თუ არა ამგვარი გადაწყვეტილება?
- დიახ, რადგანაც პრეზიდენტი უფლებამოსილია რეფერენდუმი დანიშნოს ნებისმიერ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხზე.
- არა, რადგანაც პრეზიდენტი არ არის უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით დანიშნოს რეფერენდუმი.
- დიახ, რადგანაც კანონი არ ზღუდავს რეფერენდუმზე გასატან საკითხთა წრეს.
- არა, რადგანაც რეფერენდუმის მოწყობა არ შეიძლება კანონის მისაღებად და ასევე ისეთ საკითხებზე, რომელიც ზღუდავს ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებს, ამ შემთხვევაში - საკუთრების უფლებას.

1117. რომელ ორგანოს შეუძლია რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობა?
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.
- საქართველოს პრეზიდენტს კანონით დადგენილი წესით.
- რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობა დაუშვებელია.
- საქართველოს უზენაეს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

1118. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, კენჭისყრამდე არა უგვიანეს 2 დღისა, მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, კენჭისყრამდე არა უგვიანეს 5 დღისა, მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, კენჭისყრამდე არა უგვიანეს 10 დღისა, მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, კენჭისყრამდე არა უგვიანეს 7 დღისა, მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.

1119. პარლამენტის წევრობის კანდიდატს კენჭისყრამდე არა უგვიანეს რამდენი დღისა შეუძლია მოხსნას თავისი კანდიდატურა?
- არა უგვიანეს 7 დღისა.
- არა უგვიანეს 3 დღისა.
- არა უგვიანეს 4 დღისა.
- არა უგვიანეს 10 დღისა.

1120. ვის არა აქვს საარჩევნო უბნების შექმნის გამო სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება?
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს.
- პარტიის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას.
- ამომრჩეველს.

1121. ქვემოთ ჩამოთლილი დისციპლინური სახდელების რომელ სახეს იცნობს საარჩევნო კოდექსი?
- საყვედურს.
- სასტიკ საყვედურს.
- ყველა პასუხი სწორია.
- შენიშვნას.

1122. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოხელე სამსახურში ვაკანტურ თანამდებობაზე მიიღება
- განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.
- მხოლოდ განუსაზღვრელი ვადით.
- გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით.

- მხოლოდ განსაზღვრული ვადით.

1123. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წერილობითი განცხადებით მიმართა მოქალაქე დავით გამცემლიძემ, რომელმაც მოითხოვა საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია. საარჩევნო კომისიამ უარი განუცხადა მოქალაქეს აღნიშნული დოკუმენტაციის გაცემაზე და მიუთითა, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია არის დახურული ინფორმაცია. სწორია თუ არა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება?
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება სწორია, ვინაიდან საქართველოს საარჩევნო კოდექსით საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია არის დახურული ინფორმაცია.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება სწორია, ვინაიდან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ საარჩევნო კომისიის წევრებისთვის.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება არასწორია, ვინაიდან საქართველოს საარჩევნო კოდექსით საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია არის დახურული ინფორმაცია, თუმცა დაინტერესებულ პირს შეუძლია მისი გაცნობა ადგილზე დედანში.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება არასწორია, ვინაიდან საქართველოს საარჩევნო კოდექსით საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის.

1124. კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილიდან, რომელია საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი?
- კანონი.
- შემაჯამებელი ოქმი.
- განჩინება.
- ბრძანება

1125. ვინ ამოწმებს პარტიისა და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიებს?
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია და საოლქო საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ცესკოს თანხმობით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.

1126. საოლქო საარჩევნო კომისია შედგება:
- 13 წევრისაგან.
- 7 წევრისაგან.
- 6 წევრისაგან.
- 10 წევრისაგან.

1127. რომელი მსჯელობაა სწორი:
- აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა კენჭისყრის დღემდე 15 დღით ადრე.
- აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა კენჭისყრის დღემდე 20 დღით ადრე.
- აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა კენჭისყრის დღემდე 25 დღით ადრე.
- აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა კენჭისყრის დღემდე 30 დღით ადრე.

1128. რა შინაარსის მონაცემები არ აღინიშნება საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შემაჯამებელ ოქმში?
- საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება.
- იმ საარჩევნო უბნის ნომერი, რომელშიც კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ამ უბანში და კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის საფუძველი.
- მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა.
- არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა სიებში 11 საათსა და 16საათზე.

1129. კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევებშია დასაშვები საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელის დროებით შეცვლა?
- თუ ამას მოითხოვს პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტი.
- საგანგებო მდგომარეობის დროს.
- თუ ამას მოითხოვს პრეზიდენტი.
- თუ ამას მოითხოვს პარლამენტის წევრთა 1/3.

1130. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია არასწორი?
- რეფერენდუმის შედეგებს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა.
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან.

- რეფერენდუმის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს იურიდიული ძალა.
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს.

1131. ვის არა აქვს უფლება, გაეცნოს მხარდამჭერთა სიას?
- სასამართლოში სარჩელის შეტანისას - სასამართლოს.
- ცესკოს სათანადო სამსახურის თანამშრომელს.
- ამომრჩეველს.
- ცესკოს წევრს.

1132. ვის არა აქვს საარჩევნო ოლქების შექმნის გამო სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება?
- ცესკოს წევრს.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს.
- დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას.
- პარტიის წარმომადგენელს ცესკოში.

1133. რამდენი ლარით დაჯარიმდება დაწესებულების შენობაში საარჩევნო კამპანიის ჩატარებაზე, ნებართვის გამცემი უფლებამოსილი პირი, თუ კანონით ასეთი დაწესებულების შენობაში მისი ჩატარება აკრძალულია?
- 1000.
- 200.
- 2300.
- 1500.

1134. კონსტიტუციისა და ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მიხედვით რომელი იურიდიული ფაქტი ითვლება პრეზიდენტის არჩევის დღის საფუძვლად?
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნება და ძალაში შესვლა.
- კენჭისყრის დასრულებისა და არჩევნების ჩატარებულად ცნობის ფაქტი.
- „რუსთავი-2“-ის მიერ ჩატარებული „ეგზიტპოლის“ შედეგების გასაჯაროების ფაქტი.
- საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესაბამისი შინაარსის ცნობად გამოცხადების ფაქტი.

1135. რამდენი შემაჯამებელი ოქმი დგება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დროს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ?
- 3 შემაჯამებელი ოქმი.
- 4 შემაჯამებელი ოქმი.
- 2 შემაჯამებელი ოქმი.
- 1 შემაჯამებელი ოქმი.

1136. კონსტიტუციის მიხედვით ვის გამგებლობაშია კანონმდებლობა მოქალაქეობის შესახებ?
- ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების გამგებლობაში
- საქართველოს ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკების ერთობლივ კომპეტენციაში
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამგებლობაში
- მხოლოდ საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების გამგებლობაში

1137. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მსჯელობა არის სწორი?
- საარჩევნო ბლოკი, რომელშიც 2 ან მეტი კვალიფიციური პარტიაა გაერთიანებული, არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით დაფინანსებას მიიღებს ყოველ საარჩევნო უბანზე 160 ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ საარჩევნო ოლქზე – 1200 ლარის ოდენობით.
- საარჩევნო ბლოკი, რომელშიც 2 ან მეტი კვალიფიციური პარტიაა გაერთიანებული, არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით დაფინანსებას მიიღებს ყოველ საარჩევნო უბანზე 50 ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ საარჩევნო ოლქზე – 150 ლარის ოდენობით.
- საარჩევნო ბლოკი, რომელშიც 2 ან მეტი კვალიფიციური პარტიაა გაერთიანებული, არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით დაფინანსებას მიიღებს ყოველ საარჩევნო უბანზე 20 ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ საარჩევნო ოლქზე – 160 ლარის ოდენობით.
- საარჩევნო ბლოკი, რომელშიც 2 ან მეტი კვალიფიციური პარტიაა გაერთიანებული, არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით დაფინანსებას მიიღებს ყოველ საარჩევნო უბანზე 150 ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ საარჩევნო ოლქზე – 200 ლარის ოდენობით.

1138. კონსტიტუციის მიხედვით, რა არის ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველი პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნისათვის?

- საქართველოს მთავრობის ინიციატივა.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილება.
- 30 000 ამომრჩევლის წერილობითი მოთხოვნა.
- პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნა.

1139. რა დოკუმენტით უნდა იყოს განსაზღვრული საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები?
- კონსტიტუციური კანონით
- კონსტიტუციით
- კანონით
- ორგანული კანონით

1140. რა სახის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება შრომის სამართლიანი ანაზღაურების პირობები?
- საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების დებულებით
- საქართველოს ორგანული კანონით
- საქართველოს ჯანდაცვის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დებულებითა და პროგრამებით
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით

1141. როდის არის მიღებული დღეს მოქმედი კონსტიტუცია?
- 1995 წლის 24 აგვისტოს.
- 2010 წლის 15 ოქტომბერს.
- 1921 წლის 21 თებერვალს.
- 1995 წლის 29 აგვისტოს.

1142. რა ვადაში აქვეყნებს ცესკო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე იმ საარჩევნო ბლოკების სიას, რომელთაც გაუუქმდათ რეგისტრაცია?
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 45-ე დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 47-ე დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-60 დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.

1143. ადგილობრივი მაუწყებელი უფლებამოსილია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს:
- პოლიტიკური პარტია, რომელმაც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებულ ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მიიღო ხმების არანაკლებ 8 პროცენტისა.
- პოლიტიკური პარტია, რომელმაც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებულ ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მიიღო ხმების არანაკლებ 3 პროცენტისა.
- პოლიტიკური პარტია, რომელმაც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებულ ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მიიღო ხმების არანაკლებ 10 პროცენტისა.
- პოლიტიკური პარტია, რომელმაც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებულ ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მიიღო ხმების არანაკლებ 5 პროცენტისა.

1144. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს:
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- 10 დღის ვადაში.
- დაუყოვნებლივ.
- 30 დღის ვადაში.

1145. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- შემაჯამებელი ოქმი არის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების დამადასტურებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. შემაჯამებელ ოქმს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით დამოწმებულ მის ასლთან შედარებით.
- შემაჯამებელი ოქმი არის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების დამადასტურებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. შემაჯამებელ ოქმს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით დამოწმებულ მის ასლთან შედარებით.
- შემაჯამებელი ოქმი არის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების დამადასტურებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. შემაჯამებელ ოქმს და საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით დამოწმებულ მის ასლს ერთნაირი იურიდიული ძალა აქვს.
- შემაჯამებელი ოქმი არის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების დამადასტურებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. შემაჯამებელ ოქმს და საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით დამოწმებულ მის ასლს ერთნაირი იურიდიული ძალა აქვს.

1146. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ახორციელებს საქართველოში კონსტიტუციურ კონტროლს?
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.
- საქართველოს პარლამენტი და საკონსტიტუციო სასამართლო.
- საკონსტიტუციო სასამართლო და იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

1147. ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს იუსტიციის საბჭო არის საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, შესაბამისად, ის არის მისი ხელმძღვანელი.
- საქართველოს იუსტიციის საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
- საქართველოს იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარეობს პარლამენტის მიერ პარლამენტის იურიდიული კომიტეტიდან არჩეული პარლამენტის წევრი.
- იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე არ ჰყავს, მას ხელმძღვანელობს იუსტიციის საბჭოს მდივანი.

1148. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რიგითი ნომერი განისაზღვრება საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით, არჩევნებამდე 30 დღით ადრე.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რიგითი ნომერი განისაზღვრება საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით, არჩევნებამდე 25 დღით ადრე.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რიგითი ნომერი განისაზღვრება საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით, არჩევნებამდე 20 დღით ადრე.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რიგითი ნომერი განისაზღვრება საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით, არჩევნებამდე 35 დღით ადრე.

1149. რა ხდება, თუ გამოკლებული პარლამენტის წევრის უფლებამონაცვლე ასარჩევი კანდიდატი პარტიულ სიაში აღარ არის?
- მანდატს მიაკუთვნებენ პარტიას, რომელსაც ცოტა წარმომადგენელი ჰყავს პარლამენტში
- მანდატი მიეკუთვნება საუკეთესო შედეგების მქონე პარტიას.
- პარტია შეარჩევს პარლამენტის წევრობის კანდიდატს, რომელსაც სრული შემადგენლობის უმრავლესობით დაამტკიცებს პარლამენტი.
- ეს მანდატი გაუქმებულად ჩაითვლება.

1150. N1 საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით, რომელიც გასაჩივრებულ იქნა რაიონულ/საქალაქო სასამართლოში კანონით დადგენილი წესით. რაიონულმა/საქალაქო სასამართლომ კანონით დადგენილ ვადაში ასევე მიიღო გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით. სად შეიძლება გასაჩივრდეს რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება?
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აღარ საჩივრდება.
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში.
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საერთაშორისო სასამართლოში.

1151. რამდენი დამკვირვებლის ყოლის უფლება აქვს საარჩევნო უბანში ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას?
- ერთის.
- ორის.
- სამის.
- ხუთის.

1152. საინიციატივო ჯგუფმა მიმართა ცესკოს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულებისთვის მსჯავრდებული პირების ამნისტიის აქტით გათავისუფლების საკითხის რეგისტრაციისთვის, მასზე რეფერენდუმის გამართვის მიზნით. ცესკომ უარი განაცხადა რეგისტრაციაზე. სწორი იყო თუ არა ცესკოს უარი?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- დიახ, რადგან საინიციატივო ჯგუფს მსგავსი მოთხოვნით უნდა მიემართა არა რეფერენდუმის, არამედ პლებისციტის გამართვის მიზნით.
- დიახ, რადგან საინიციატივო ჯგუფს მსგავსი მოთხოვნით უნდა მიემართა არა ცესკოსთვის არამედ საქართველოს პრეზიდენტისთვის.
- არა, რადგან ცესკოს რეგისტრაციაზე უარის თქმის უფლება არ აქვს საქართველოს პრეზიდენტის თანხმობის გარეშე.

1153. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს:
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

- საარჩევნო ბლოკს.
- სასამართლოს მიერ რეგისტრირებულ პარტიას.
- ცესკოს.

1154. არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება არ შეიძლება:
- კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე.
- კენჭისყრამდე 30 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 14 საათამდე.
- კენჭისყრამდე 35 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 12 საათამდე.
- კენჭისყრამდე 40 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე.

1155. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის სრულად გათვალისწინებული კონსტიტუციით?
- არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსით.
- არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება კონსტიტუციით.
- არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.
- არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება ორგანული კანონით.

1156. საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის 210 კანდიდატი იყო გათვალისწინებული. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 70-ზე ნაკლები და 150-ზე მეტი.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 170-ზე ნაკლები და 300-ზე მეტი.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 50-ზე ნაკლები და 250-ზე მეტი.

1157. რომელი ორგანო ან თანამდებობის პირია უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ?
- პრეზიდენტი უფლებამოსილია ბრძანებულებით ჩამოართვას პირს საქართველოს მოქალაქეობა, თუ მასთან ერთად ბრძანებულებას ხელს მოაწერს პრემიერ-მინისტრი
- მხოლოდ პრეზიდენტია უფლებამოსილი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ჩამოართვას პირს საქართველოს მოქალაქეობა
- საქართველოში მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია
- პრეზიდენტი უფლებამოსილია გამოსცეს შესაბამისი ბრძანებულება, თუ არსებობს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი განაჩენი

1158. უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიები შედგება:
- უსკოს მიერ არჩეული ექვსი წევრისა და პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული შვიდი წევრისაგან.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული 1 წევრის, უსკოს მიერ არჩეული ხუთი წევრისა და პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული შვიდი წევრისაგან.
- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი საოლქო საარჩევნო კომისიის 5 წევრის, უსკოს მიერ არჩეული ერთი წევრისა და პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული შვიდი წევრისაგან.
- საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული 1 წევრის, უსკოს მიერ არჩეული ხუთი წევრისა და პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული შვიდი წევრისაგან.

1159. შეიძლება თუ არა კანონით შეიზღუდოს საქართველოში საქართველოს მოქალაქეთა თავისუფლად შემოსვლის უფლება?
- შეიძლება თუ პიროვნება 5 წელზე მეტი ცხოვრობდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში
- არ შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მოქალაქე ცხოვრობდა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნების ტერიტორიაზე
- არ შეიძლება, საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში
- შეიძლება, თუ პიროვნება რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობდა

1160. რომელ პარტიულ სიას მიეკუთვნება საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატები?
- რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 3 პროცენტისა.
- რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 10 პროცენტისა.
- რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 2 პროცენტისა.
- რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 5 პროცენტისა.

1161. საოლქო საარჩევნო კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად აირჩია შინაგან საქმეთა სამინისტროს პენსიაში გასული თადარიგის ოფიცერი, პროფესიით ბუღალტერი იაძე. შეაფასეთ საოლქო საარჩევნო კომისიის მოქმედების კანონიერება.
- საოლქო საარჩევნო კომისიის მოქმედება არ არის კანონიერი, ვინაიდან პროფესიით ბუღალტერი არ შეიძლება იყოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის მოქმედება არ არის კანონიერი, ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე არ შეიძლება იყოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის მოქმედება არის კანონიერი, ვინაიდან ზემოაღნიშნული გარემოება არ არის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობისათვის შემზღუდველი პირობა.

1162. ვინ არის უფლებამოსილი რომ შევსებული ბიულეტენი მოათავსოს სპეციალურ კონვერტში?
- მხოლოდ ამომრჩეველი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი და ამომრჩეველი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ამომრჩეველი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და ამომრჩეველი.

1163. რა საფუძვლის (საფუძვლების) არსებობისას არის დასაშვები საქართველოში სპეციალური სასამართლოების შექმნა და საქმიანობა?
- სპეციალური სასამართლოს შექმნა დასაშვებია მხოლოდ საერთო სასამართლოს სისტემაში.
- სპეციალური სასამართლოს შექმნა სავალდებულოა, თუ ამის მოთხოვნით პარლამენტში შევიდა 30 000 ამომრჩევლის წერილობითი მოთხოვნით.
- სპეციალური სასამართლოების შექმნა მხოლოდ კონკრეტული საქმის გადასაწყვეტად იქმნება, რის შემდეგ იგი უქმდება.
- სპეციალური სასამართლოების შექმნა საქართველოში კონსტიტუციით აკრძალულია.

1164. რამდენი წევრისაგან შედგება თბილისის საკრებულო?
- 30.
- 13.
- 25.
- 50.

1165. რამდენი ხნის ვადაში უნდა დასრულდეს პარტიის მხარდამჭერთა სიის შემოწმება?
- მისი წარდგენიდან 5 დღეში.
- კენჭისყრამდე 10 დღის ვადაში.
- მისი წარდგენიდან 10 დღეში.
- კენჭისყრამდე 5 დღით ადრე.

1166. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან, რომელი არის გათვალისწინებული კონსტიტუციით?
- საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს ფიზიკური განვითარების უფლება
- სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მოზარდთა სპორტში ჩართვა
- სახელმწიფო ხელს უწყობს ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას
- ყველა უმაღლეს სასწავლებელში 4 წლის განმავლობაში ბაკალავრიატის დონეზე სავალდებულოა ფიზკულტურის გაკვეთილების ჩატარება

1167. რიგგარეშე არჩევნები ტარდება:
- საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.
- თუ არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი სასამართლოს გადაწყვეტილებით.
- საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო.
- საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობის შესავსებად.

1168. კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას?
- საქართველოს კონსტიტუციას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ორგანული კანონების მიმართ
- საქართველოს კონსტიტუციას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციების მიმართ, ისინი უნდა შეესაბამებოდნენ საქართველოს კონსტიტუციას
- საქართველოს კონსტიტუციას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა კანონების მიმართ, კანონი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას

- საქართველოს კონსტიტუციას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპების მიმართ

1169. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შეჯამებიდან რა ვადაში უნდა გამოაქვეყნოს ცესკომ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე ცნობა არჩევნების შედეგების შესახებ?
- არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 2 დღის ვადაში.
- არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 4 დღის ვადაში.
- არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 3 დღის ვადაში.
- არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში.

1170. რომელი კანონმდებლობით დადგენილ წესებს იყენებს საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების თაობაზე?
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ წესებს.
- ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილ წესებს.
- ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსით დადგენილ წესებს.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ წესებს.

1171. რა მომენტიდან სარგებლობენ საარჩევნო სუბიექტები თანასწორი უფლებებით?
- არჩევნების დანიშვნის მომენტიდან.
- არჩევნების დანიშვნამდე 3 დღის ვადაში.
- არჩევნების დანიშვნამდე 1 დღით ადრე.
- არჩევნების დანიშვნის მომენტიდან 3 დღის ვადაში.

1172. ვინ აწერს ხელს ცალ-ცალკე პაკეტებად შეკრულ და დალუქულ გამოუყენებელ და გაფუჭებულ ბიულეტენებს?
- ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელები - დამკვირვებლები.
- მთვლელები და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- მხოლოდ მთვლელები.

1173. როდის უნდა გადადგნენ თანამდებობიდან პირები, რომელთა სტატუსი შეუთავსებელია პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსთან?
- პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა.
- არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 42-ე დღისა.
- პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე შესაბამისი საარჩევნო კომისიისათვის განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა.
- არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს მე-40 დღისა.

1174. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, პროფესიული და კომერციული ინფორმაცია გასაიდუმლოვდება:
- არა უმეტეს 1 წლით.
- არანაკლებ ერთი თვის ვადით.
- შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადით.
- უვადოდ, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

1175. საარჩევნო უბანში გამოცხადებულმა ერთ-ერთმა ამომრჩეველმა - მზია გველესიანმა კომისიის წევრებს განუცხადა, რომ მას მარჯვენა ხელი მოკვეთილი ჰქონდა, რის გამოც იგი ვერ შეძლებდა დამოუკიდებლად ხმის მიცემას. მზია გველესიანმა კომისიის წევრებს სთხოვა, რომ ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მასთან ერთად შესულიყო მისი შვილი დიმიტრი პაიჭაძე, რომელიც იმავდროულად პარლამენტის წევრობის კანდიდატი იყო მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებში და სწორედ მის სასარგებლოდ აპირებდა ხმის მიცემას. კომისიამ გველესიანის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად შეუშვა ერთ- ერთი ადგილობრივი დამკვირვებელი. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- დიახ, რადგან მზია გველესიანისთვის ხმის მიცემის უფლება არ უნდა მიეცათ, რადგან მან დაარღვია კენჭისყრის ფარულობა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა.
- დიახ, რადგან ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად დაუშვებელია როგორც კანდიდატის, ისე დამკვირვებლის მიწვევა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება.

1176. მოსამსახურეს, რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით თავდასხმის შედეგად მიიღო სხეულის დაზიანება, რის შედეგადაც ცნობილ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირად ან დასახიჩრდა, ეძლევა ერთჯერადი დახმარება
- არა უმეტეს 5 000 ლარისა.
- არა უმეტეს 15 000 ლარისა.
- არა უმეტეს 25 000 ლარისა.
- არა უმეტეს 10 000 ლარისა.

1177. რა ვადაში უნდა აირჩიოს საოლქო საარჩევნო კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრი იმ შემთხვევაში, როდესაც პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები ტარდება?
- არჩევნების დღემდე არა უადრეს 30-ე და არა უგვიანეს 46-ე დღისა. გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები აირჩევიან არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-11 და არა უგვიანეს მე- 19 დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უადრეს 38-ე და არა უგვიანეს 36-ე დღისა. გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები აირჩევიან არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-10 და არა უგვიანეს მე-9 დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-60 და არა უგვიანეს 70-ე დღისა. გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები აირჩევიან არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-15 და არა უგვიანეს მე-20 დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უადრეს 48-ე და არა უგვიანეს 56-ე დღისა. გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები აირჩევიან არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-10 და არა უგვიანეს მე-9 დღისა.

1178. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან თანამდებობაზე უკონკურსოდ არშეიძლება დაინიშნონ: I - თანამდებობაზე დროებით შემცვლელები;II - მოხელეები, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა;III- მოხელეები სამსახურებრივი დაწინაურების შემთხვევაში. სწორი პასუხია:
- მხოლოდ III.
- მხოლოდ I და II.
- მხოლოდ I და III.
- მხოლოდ II.

1179. კონსტიტუციის მიხედვით, საგამოძიებო კომისიის რა მოთხოვნაა სავალდებულო შესასრულებლად?
- მის სხდომაზე დასწრება.
- მის მიერ მომზადებული კანონპროექტის პარლამენტში განხილვის აუცილებლობა
- პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტა.
- მისი გადაწყვეტილების საფუძველზე ადამიანის დაპატიმრება.

1180. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
- შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.
- შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი უფლებამოსილია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.
- შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი უფლებამოსილია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.
- შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.

1181. ვინ არის პასუხისმგებელი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს (გარდა საქართველოს დედაქალაქის – თბილისის თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოსი) არჩევნებისთვის საარჩევნო ბიულეტენებში შესატანი მონაცემების სიზუსტეზე?
- ცესკოს თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისია.

1182. რა სახის ნორმატიული აქტით არის მოწესრიგებული საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების წესი?
- საქართველოს ორგანული კანონით
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულებით
- საქართველოს კანონით
- საქართველოს კონსტიტუციური კანონით

1183. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოში სიკვდილით დასჯა აკრძალულია
- ადამიანის სიცოცხლეს იცავს კანონი
- სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა
- სიკვდილით დასჯა საქართველოში დასაშვებია მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობისა ან/და სახელმწიფო ღალატისათვის და ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებით

1184. მოხელეს თანამდებობიდან გადადგომისას საკლასო ჩინი
- უნარჩუნდება სურვილისამებრ.
- უნარჩუნდება ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
- უნარჩუნდება მითითებით „გადამდგარი“.
- ჩამოერთმევა.

1185. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილი საკონკურსო კომისია აწარმოებს იმ საარჩევნო კომისიის წევრთა მონაცემთა ბაზას, რომელთა მიერაც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დაადასტურა სასამართლომ.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია აწარმოებს იმ საარჩევნო კომისიის წევრთა მონაცემთა ბაზას, რომელთა მიერაც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დაადასტურა სასამართლომ.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს იმ საარჩევნო კომისიის წევრთა მონაცემთა ბაზას, რომელთა მიერაც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დაადასტურა სასამართლომ.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აწარმოებს იმ საარჩევნო კომისიის წევრთა მონაცემთა ბაზას, რომელთა მიერაც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დაადასტურა სასამართლომ.

1186. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ცესკო დადგენილებით იღებს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსს.
- საქართველოს პარლამენტი განკარგულებით იღებს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსს.
- ცესკო განკარგულებით იღებს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსს.
- საქართველოს პარლამენტი დადგენილებით იღებს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსს.

1187. კონსტიტუციის მიხედვით რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ მისცეს თანხმობა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის პატიმრობაში დარჩენის შესახებ?
- საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია გააუქმოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი დარჩება პატიმრობაში.
- მთავარ პროკურორს შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება ეროვნული უშიშროების საბჭოში.
- იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეუძლია წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით გააუქმოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი დარჩება პატიმრობაში.
- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება - საკონსტიტუციო სასამართლოს დაპატიმრებული წევრი დაუყონებლივ უნდა განთავისუფლდეს.

1188. მაქსიმუმ რამდენმა მოქალაქემ უნდა მოაწეროს ხელი რეფერენდუმის საინიციატივო ჯგუფისათვის გადაცემულ და სათანადო წესით დადგენილი ნიმუშის ყოველ ფურცელზე?
- ყოველ ფურცელზე ხელი უნდა მოაწეროს არა უმეტეს 55-მა მოქალაქემ.
- ყოველ ფურცელზე ხელი უნდა მოაწეროს არა უმეტეს 45-მა მოქალაქემ.
- ყოველ ფურცელზე ხელი უნდა მოაწეროს არა უმეტეს 50-მა მოქალაქემ.
- ყოველ ფურცელზე ხელი უნდა მოაწეროს არა უმეტეს 40-მა მოქალაქემ.

1189. რა სახის სამართლებრივი აქტით იღებს ცესკო საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსს?
- დადგენილებით.
- განკარგულებით.
- ბრძანებულებით.
- ბრძანებით.

1190. მხარდამჭერთა სიაში ამომრჩევლის ხელმოწერა როდის მიიჩნევა ბათილად?
- როცა სწორადაა მითითებული საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობისა და პირადი ნომერი.
- როცა მითითებულია დაბადების თარიღი.

- ხელმომწერი პირი შესაბამისი კომისიისთვის წარდგენილი განცხადებით ადასტურებს, რომ ხელმოწერა შესრულებული იყო მოტყუებით, მუქარით ან ძალდატანებით და განცხადებაზე მისი ხელმოწერა დამოწმებული იყო სანოტარო წესით.
- როცა მითითებული არის სახელი და გვარი.

1191. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხას ამტკიცებს
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
- საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.
- საქართველოს პარლამენტი.

1192. რომელი მსჯელობაა სწორი?
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, უფლება აქვს, ერთი ან რამდენიმე სახის არჩევნებისას დანიშნოს მხოლოდ 3 წარმომადგენელი ყოველ საარჩევნო კომისიაში.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, უფლება აქვს, ერთი ან რამდენიმე სახის არჩევნებისას დანიშნოს მხოლოდ 1 წარმომადგენელი ყოველ საარჩევნო კომისიაში.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, უფლება აქვს, ერთი ან რამდენიმე სახის არჩევნებისას დანიშნოს მხოლოდ 2 წარმომადგენელი ყოველ საარჩევნო კომისიაში.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, უფლება აქვს, ერთი ან რამდენიმე სახის არჩევნებისას დანიშნოს მხოლოდ 4 წარმომადგენელი ყოველ საარჩევნო კომისიაში.

1193. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისპერიოდში რამდენი წევრისაგან შედგება საუბნო საარჩევნო კომისია?
- 15 წევრისაგან.
- 13 წევრისაგან.
- 12 წევრისაგან.
- 14 წევრისაგან.

1194. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი და რომელსაც საქართველოში უცხოვრია უკანასკნელი 2 წელი მაინც.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 25 წელი და რომელსაც საქართველოში უცხოვრია უკანასკნელი 2 წელი მაინც.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 18 წელი და რომელსაც საქართველოში უცხოვრია უკანასკნელი 3 წელი მაინც.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი და რომელსაც საქართველოში უცხოვრია უკანასკნელი 3 წელი მაინც.

1195. ბაბუცა ინწკირველი, რომელიც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელს იხდიდა მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის, სურვილი გამოთქვა რეფერენდუმში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ მას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თანამშრომლებმა ამის უფლება არ მისცეს, მოგვიანებით კი აუხსნეს, რომ საქართველოს კანონმდებლობა მსგავს უფლებას უზღუდავს პირებს, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. კანონიერად შეეზღუდა თუ არა ბაბუცა ინწკირველს რეფერენდუმში მონაწილეობის მიღების უფლება?
- დიახ, რადგან კანონის თანახმად, რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით იმყოფება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა.
- დიახ, რადგან კანონის თანახმად, რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით იმყოფება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- არა, რადგან კანონში პირდაპირ წერია, რომ რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს.

1196. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გამოსაცდელი ვადით მოხელე თანამდებობაზე ინიშნება არაუმეტეს:
- 1 წლისა.
- 6 თვისა.

- 1 თვისა.
- 3 თვისა.

1197. პოლიტიკურმა პარტიებმა, მხარდამჭერთა ხელმოწერები უსკოს უნდა წარუდგინოს:
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 50-ე დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 57-ე დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 55-ე დღისა.

1198. რა მომენტიდან იწყება ახალარჩეული საკრებულოს უფლებამოსილება და წყდება ძველის?
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- ახალარჩეული საკრებულოს უფლებამოსილება იწყება არჩევნების შედეგების ცესკოს მიერ შეჯამებიდან 7 დღის ვადაში.
- ახალარჩეული საკრებულოს უფლებამოსილება იწყება არჩევნების შედეგების ცესკოს მიერ შეჯამებიდან 10 დღის ვადაში.
- ახალარჩეული საკრებულოს უფლებამოსილება იწყება არჩევნების შედეგების ცესკოს მიერ შეჯამებიდან 5 დღის ვადაში.

1199. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციის 30-ე მუხლით?
- აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა
- სახელმწიფო უზრუნველყოფს მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას
- მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით
- სახელმწიფო ხელს უწყობს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას

1200. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილების მიღება აკრძალულია:
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 10 დღისა.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 3 დღისა.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 7 დღისა.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 4 დღისა.

1201. 21 თებერვალს, კანონით დადგენილი წესით, უფლებამოსილება შეუწყდა ცესკოს თავმჯდომარეს. საქართველოს პრეზიდენტმა კანონით დადგენილ ვადაში ცესკოს წარუდგინა ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურები. ცესკომ მისთვის დადგენილ ვადაში ვერ აირჩია თავმჯდომარე. ამის გამო პრეზიდენტმა კანონით დადგენილი წესით კანდიდატურები წარუდგინა პარლამენტს. პარლამენტმა კანდიდატურების მისთვის წარდგენიდან 10 დღის ვადაში აირჩია ერთ-ერთი კანდიდატურა. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან პარლამენტმა ცესკოს თავმჯდომარე უნდა აირჩიოს მისთვის კანდიდატურების წარდგენიდან 10 დღის ვადაში.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან პარლამენტმა ცესკოს თავმჯდომარე უნდა აირჩიოს მისთვის კანდიდატურების წარდგენიდან 3 დღის ვადაში.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან პარლამენტმა ცესკოს თავმჯდომარე უნდა აირჩიოს მისთვის კანდიდატურების წარდგენიდან 5 დღის ვადაში.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან პარლამენტმა ცესკოს თავმჯდომარე უნდა აირჩიოს მისთვის კანდიდატურების წარდგენიდან 7 დღის ვადაში.

1202. საარჩევნო ოლქების საზღვრებს, სახელწოდებებსა და ნომრებს ადგენს:
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- შესაბამისი რაიონის საკრებულო.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

1203. საპარლამენტო არჩევნების დროს, მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი:
- რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა ხმების 1/3-ისა.
- რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა ხმების 2/3-ისა.
- რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა ხმების 30%-ისა.
- რომელიც არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტის ხმებს მიიღებს.

1204. უცხოეთში გრძელვადიან მივლინებად ითვლება
- საჯარო მოსამსახურის გაგზავნა უცხო სახელმწიფოში 1 თვეზე მეტი ვადით.
- საჯარო მოსამსახურის გაგზავნა უცხო სახელმწიფოში 6 თვეზე მეტი ვადით.
- საჯარო მოსამსახურის გაგზავნა უცხო სახელმწიფოში 1 წელზე მეტი ვადით.
- საჯარო მოსამსახურის გაგზავნა უცხო სახელმწიფოში 3 თვეზე მეტი ვადით.

1205. საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ, რეგისტრაციაში გატარების მიზნით, შესაბამის საარჩევნო კომისიას მიმართა არჩევნებამდე 5 დღით ადრე. სწორად მოიქცა თუ არა საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია?
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია სწორად არ მოიქცა, ვინაიდან მას საარჩევნო კომისიისათვის უნდა მიემართა არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 10 დღისა.
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია სწორად მოიქცა, ვინაიდან მას არ დაურღვევია საარჩევნო კოდექსით დადგენილი ვადები.
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია სწორად არ მოიქცა, ვინაიდან მას შესაბამისი საარჩევნო კომისიისათვის უნდა მიემართა არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-7 დღისა.
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია სწორად არ მოიქცა, ვინაიდან მას საარჩევნო კომისიისათვის უნდა მიემართა არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 9 დღისა.

1206. სწორია თუ არა მსჯელობა: საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს პარლამენტი აირჩევა 4 წლის ვადით. საქართველოს პარლამენტის 77 წევრი აირჩევა პროპორციული, ხოლო 73 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.
- არა, საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს პარლამენტი აირჩევა 5 წლის ვადით. საქართველოს პარლამენტის 150 წევრი აირჩევა პარტიული სიებით, ხოლო 85 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.
- დიახ, საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს პარლამენტი აირჩევა 4 წლის ვადით. საქართველოს პარლამენტის 77 წევრი აირჩევა პროპორციული, ხოლო 73 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.
- არა, საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს პარლამენტი აირჩევა 4 წლის ვადით. საქართველოს პარლამენტის 100 წევრი აირჩევა პარტიული სიებით, ხოლო 60 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.
- არა, საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს პარლამენტი აირჩევა 4 წლის ვადით. საქართველოს პარლამენტის 100 წევრი აირჩევა პარტიული სიებით, ხოლო 85 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

1207. პირს, რომელსაც მოხელის სამსახურში მიღების უფლება აქვს, შეუძლია მოხელის თანამდებობაზე დანიშვნისას გამოიყენოს გამოსაცდელი ვადა
- არა უმეტეს 12 თვისა.
- არა უმეტეს 8 თვისა.
- არა უმეტეს 6 თვისა.
- არა უმეტეს 3 თვისა.

1208. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელზე არის უფლებამოსილი პრეზიდენტი დანიშნოს რეფერენდუმი?
- შეწყალების საკითხებზე.
- ამნისტიის საკითხებზე.
- საქართველოს კანონის მისაღებად.
- ნატოში გაწევრიანების საკითხზე.

1209. კონსტიტუციის მიხედვით, თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, სხვა წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნები ტარდება:
- ამ მდგომარეობის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 60 დღის ვადაში
- ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ
- ამ მდგომარეობის გამოცხადებიდან 30 დღის ვადაში
- ნებისმიერ დროს პარლამენტის გადაწყვეტილებით

1210. ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება იყოს:
- საქართველოს პარლამენტის წევრი.
- საარჩევნო კომისიის წევრი.
- გამგეობის აპარატის უფროსი.
- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი.

1211. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- ერთი და იმავე საფუძვლით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/ თავმჯდომარის მოადგილის/მდივნის თანამდებობიდან გადაყენების, აგრეთვე საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის 6 თვის განმავლობაში ზედიზედ

სამჯერ დაყენება აკრძალულია.
- ერთი და იმავე საფუძვლით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/ თავმჯდომარის მოადგილის/მდივნის თანამდებობიდან გადაყენების, აგრეთვე საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის 5 თვის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ დაყენება აკრძალულია.
- ერთი და იმავე საფუძვლით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/ თავმჯდომარის მოადგილის/მდივნის თანამდებობიდან გადაყენების, აგრეთვე საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის 6 თვის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ დაყენება აკრძალულია.
- ერთი და იმავე საფუძვლით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/ თავმჯდომარის მოადგილის/მდივნის თანამდებობიდან გადაყენების, აგრეთვე საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის 5 თვის განმავლობაში ზედიზედ სამჯერ დაყენება აკრძალულია.

1212. კონსტიტუციის მიხედვით რა შემთხვევაში არ უნდა დაუშვას, ან უნდა შეჩერდეს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება პარლამენტში?
- თუ უზენაეს სასამართლოში შეტანილია სარჩელი.
- თუ საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის დადგენის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილია სარჩელი.
- თუ ამას მოითხოვს ა/ ო „სტრატეგიული კვლევის ცენტრი“.
- თუ ამას მოითხოვს საქართველოს სახალხო დამცველი.

1213. რა ვადაში იქმნება უწყებათაშორისი კომისია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების შემთხვევაში?
- არჩევნების დანიშვნიდან 7 დღის ვადაში.
- არჩევნების დანიშვნიდან 3 დღის ვადაში.
- არჩევნების დანიშვნიდან 2 დღის ვადაში.
- არჩევნების დანიშვნიდან 5 დღის ვადაში.

1214. რას ნიშნავს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები?
- არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობის შესავსებად.
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ პარტიების, საარჩევნო ბლოკების, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებისა და კანდიდატთა რეგისტრაცია არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიღების მიზნით.
- საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების არჩევნები ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით.
- საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების არჩევნები პარტიული სიების საფუძველზე.

1215. სად გამოიკვრება ინფორმაცია საარჩევნო უბნის საზღვრებისა და საარჩევნო უბანში შემავალი ყველა საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის მისამართის მითითებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)?
- საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობაში.

1216. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლეს ორგანოს?
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- უმაღლესი საარჩევნო კომისია.
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისია.

1217. რამდენ ეგზემპლარად ავსებენ საკონტროლო ფურცელს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი?
- ორ ეგზემპლარად.
- სამ ეგზემპლარად.
- ოთხ ეგზემპლარად.
- ერთ ეგზემპლარად.

1218. რეფერენდუმის მოწყობისათვის აუცილებელია:
- საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება.
- საქართველოს პარლამენტის ამომრჩეველთა 2/3-ის მოთხოვნა.

- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება.
- საქართველოს პარლამენტის, არანაკლებ 200 ათასი ამომრჩევლის მოთხოვნა.

1219. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა შემთხვევაში არ მიიჩნევა ამომრჩევლის ხელმოწერა ბათილად?
- მითითებული არ არის მამის სახელი.
- მითითებული არ არის რეგისტრაციის ადგილი.
- ყველა პასუხი სწორია.
- არასრულად არის მითითებული დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი).

1220. ვინ და რამდენი ხნის ვადაში ნიშნავს რეფერენდუმს?
- საქართველოს პარლამენტი, მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში.
- საქართველოს პრეზიდენტი, მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 60 დღის განმავლობაში.
- ცესკო, მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 60 დღის განმავლობაში.
- საქართველოს პრეზიდენტი, მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

1221. პარტიამ, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის არ ჰყავდა წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად კანონით დადგენილ ვადაში და წესით ცესკოს წარუდგინა განცხადება, რომელსაც თან ერთვოდა პარტიის რეგისტრაციის მოწმობისა და წესდების სანოტარო წესით დამოწმებული ასლები. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- არა, რადგან ასეთ შემთხვევაში პარტიის განცხადებაზე არაფრის დართვა არ არის საჭირო.
- არა, რადგან ასეთ შემთხვევაში პარტიის განცხადებას უნდა დაერთოს პარტიის რეგისტრაციის მოწმობა და წესდება ან მათი სანოტარო წესით დამოწმებული ასლები.
- დიახ, რადგან ასეთ შემთხვევაში პარტიამ უნდა წარადგინოს მხოლოდ განცხადება და რეგისტრაციის მოწმობა.
- დიახ, რადგან ასეთ შემთხვევაში პარტიის განცხადებას უნდა დაერთოს, მხოლოდ წესდების სანოტარო წესით დამოწმებული ასლი.

1222. საოლქო საარჩევნო კომისია ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებულ განცხადებას/საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის რეგისტრაციიდან:
- 2 დღის ვადაში.
- 4 დღის ვადაში.
- 1 დღის ვადაში.
- 3 დღის ვადაში.

1223. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
- საქართველოს მთავრობის აპარატის უფროსის მოადგილე.
- საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე.

1224. ვინ არის პასუხისმგებელი იმ ამომრჩეველთა მონაცემების სისწორეზე, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საავადმყოფოში წვანან სამკურნალოდ და კენჭისყრის დღისთვის ვერ იქნებიან გაწერილი და არიან შეყვანილნი ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში?
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია.
- ცესკო.
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- შესაბამისი სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი.

1225. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პარტიული სიით საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეულმა პირმა, საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ ვადაში არ გაიარა ნარკოლოგიური შემოწმება?
- საქართველოს პარლამენტი იღებს დადგენილებას საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობის შესახებ.
- ცესკო იღებს განკარგულებას საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების დროებით შეჩერების შესახებ.
- ცესკო იღებს განკარგულებას საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობის შესახებ.
- საქართველოს პარლამენტი იღებს დადგენილებას საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების დროებით შეჩერების შესახებ.

1226. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა

- ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად კანის ფერისა
- ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად ჯანმრთელობის მდგომარეობისა
- ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად ენისა

1227. ვინ ნიშნავს რეფერენდუმს?
- საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით.
- ცესკო საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით.
- პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით.
- საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით.

1228. რა ვადაში ფორმდება საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი?
- სხდომიდან 2 დღის ვადაში.
- სხდომიდან 3 დღის ვადაში.
- სხდომიდან 1 დღის ვადაში.
- სხდომიდან 1 კვირის ვადაში.

1229. ვინ უნდა გაატაროს რეგისტრაციაში ორგანიზაციის მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი დამკვირვებლები?
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ.
- საარჩევნო კომისიამ სახელობითი კენჭისყრით.
- საარჩევნო კომისიის მდივანმა.

1230. რა დოკუმენტით უნდა იყოს განსაზღვრული უმუშევრის სტატუსი?
- კანონით
- კონსტიტუციური შეთანხმებით
- გაერთიანებული პროფკავშირებისა და საქართველოს პარლამენტის ერთობლივი დადგენილებით
- გაერთიანებული პროფკავშირებისა და საქართველოს პარლამენტის ერთობლივი კანონით

1231. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი დასახელების საარჩევნო ოლქი არ იქმნება თბილისის საკრებულოს პროპორციული წესით ჩასატარებელი არჩევნებისათვის?
- ნაძალადევის.
- ვაკის.
- დიდი დიღმის.
- სამგორის.

1232. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივ აქტებს?
- ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება.
- ცესკოს დადგენილება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დადგენილება.
- ცესკოს განკარგულება.

1233. ვის აქვს არჩევნებისა და კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმების დაკვეთისა და შესყიდვის უფლება?
- ნებისმიერ საარჩევნო კომისიას.
- მხოლოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
- ცესკოს, ასევე ცესკოს თავმჯდომარის თანხმობით საოლქო საარჩევნო კომისიას.
- მხოლოდ საქართველოს პარლამენტს.

1234. რა ბედი ეწევათ გამოუყენებელ ბიულეტენებს?
- გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს კომისიის მდივანი ჩამოაჭრის კუთხეს, შეკრავს ცალკე პაკეტად და თითოეულ პაკეტზე მიუთითებს საარჩევნო უბნის დასახელებას, ნომერს და საარჩევნო ბიულეტენის სახეს.
- გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს კომისიის თავმჯდომარის მიერ შერჩეული ხმების მთვლელები გაანადგურებენ დამკვირვებლების თანდასწრებით.
- გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს კომისიის თავმჯდომარის მიერ შერჩეული ხმების მთვლელები ჩამოაჭრიან კუთხეს, შეკრავენ ცალკე პაკეტებად და თითოეულ პაკეტზე მიუთითებენ საარჩევნო უბნის დასახელებას, ნომერს და საარჩევნო ბიულეტენის სახეს.
- გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს კომისიის მდივანი დამკვირვებლების თანდასწრებით გაანადგურებს.

1235. საპარლამენტო არჩევნების დროს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი რომელი კანდიდატი ჩაითვლება არჩეულად?
- მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა 20%-ისა.
- მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტის ხმებს მიიღებს.
- გაიმარჯვებს ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მოაგროვებს, მაგრამ არანაკლებ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ერთი მესამედისა.
- მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა 30%-ისა.

1236. ხმათა რა რაოდენობა არის საჭირო იმისათვის, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღოს გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული ბიულეტენების გადათვლის შესახებ?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის მხარდაჭერა.
- ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერა.
- ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა სხდომაზე დამსწრეთა არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერა.

1237. ვისი ფონდიდან ფინანსდება აჭარისავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო ბლოკის საარჩევნო კამპანია?
- საარჩევნო ბლოკის საარჩევნო კამპანია ფინანსდება ბლოკის პირველ ნომრად რეგისტრირებული პარტიის ფონდიდან.
- საარჩევნო ბლოკის საარჩევნო კამპანია ფინანსდება ბლოკის პირველ და მეორე ნომრადრეგისტრირებული პარტიების ფონდებიდან.
- საარჩევნო ბლოკის საარჩევნო კამპანია ფინანსდება ბლოკში შემავალი პარტიების ცალ-ცალკეარსებული ფონდებიდან.
- საარჩევნო ბლოკის შექმნამდე იქმნება ერთიანი ფონდი, საიდანაც ფინანსდება საარჩევნობლოკის საარჩევნო კამპანია.

1238. საარჩევნო სუბიექტმა პოლიტიკურმა პარტიამ "ყველაფერი ქართველებისთვის" თავიანთ წინასაარჩევნო კამპანიაში განაცხადეს, რომ მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მიიღებდნენ ისეთ კანონს, რომლითაც საქართველოში მცხოვრებ ყველა არაქრისტიან მოსახლეს აიძულებდნენ დაეტოვებინათ საქართველოს საზღვრები და დახურავდნენ ყველა არაქრისტიანულ სალოცავს. შესაბამისმა ორგანომ პოლიტიკურ პარტიას "ყველაფერი ქართველებისთვის" აღარ მისცა მსგავსი შინაარსის აგიტაციის გაგრძელების უფლება. კანონიერად შეიზღუდა თუ არა საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო აგიტაციის უფლება ?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას.
- დიახ, რადგან წინასაარჩევნო აგიტაციის უფლების შეზღუდვა უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია ნებისმიერ დროს.
- არა, რადგან საარჩევნო აგიტაციის უფლება საარჩევნო სუბიექტების აბსოლუტურ უფლებას წარმოადგენს რომლის შეზღუდვა არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება.
- არა, რადგან მართალია საარჩევნო პროგრამა შეიცავდა რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას, მაგრამ თან არ ახლდა ძალადობა, შესაბამისად ამ უფლების შეზღუდვა დაუშვებელი იყო.

1239. რამდენი შემაჯამებელი ოქმი დგება საქართველოს პარლამენტის არჩევნების დროს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ?
- 3 შემაჯამებელი ოქმი.
- 4 შემაჯამებელი ოქმი.
- 2 შემაჯამებელი ოქმი.
- 1 შემაჯამებელი ოქმი.

1240. კონსტიტუციის მიხედვით, რა ეწოდება საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელს?
- პარლამენტის მეთაური.
- პარლამენტის სპიკერი.
- პარლამენტის თავმჯდომარე.
- პარლამენტის პრეზიდენტი.

1241. ვინ უნდა მიაწოდოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას იმ პირთა სია, რომლებიც კენჭისყრის დღეს იმყოფებიან პატიმრობაში და ვერ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში მათი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით?
- საქართველოს იუსტიციის მინისტრმა.
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა.
- საქართველოს მთავარმა პროკურორმა.
- პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელმა.

1242. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია მცდარი?
- საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს ნარკომანი, მაგრამ თუ ეს პირი შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ არჩეულად გამოაცხადა, საქართველოს პარლამენტს უფლება არა აქვს, არ ცნოს მისი უფლებამოსილება.
- საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს ნარკომანი, ხოლო თუ ეს პირი შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ არჩეულად გამოაცხადა, საქართველოს პარლამენტს უფლება არა აქვს, ცნოს მისი უფლებამოსილება.
- საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს ნარკომანი.
- საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს ნარკოტიკების მომხმარებელი.

1243. საჯარო სამსახურს ეწევა
- სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, დამხმარე მოსამსახურე და შტატგარეშე მოსამსახურე.
- სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი.
- სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, მოხელე, დამხმარე მოსამსახურე, შტატგარეშე მოსამსახურე.
- სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, მოხელე და დამხმარე მოსამსახურე.

1244. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარტიის/საარჩევნო ბლოკის პარტიული სიის რეგისტრაციაში გატარებაზე უარს ეუბნება:
- რეზოლუციით.
- განკარგულებით.
- დადგენილებით.
- ბრძანებით.

1245. როგორ არის განსაზღვრული კონსტიტუციაში პარლამენტის მორიგი არჩევნების ჩატარების წელი და თვე?
- კონსტიტუციაში მორიგი არჩევნების ჩატარების თვე არ არის გათვალისწინებული.
- მორიგი არჩევნები ტარდება ნაკიანი წლის ნოემბრის თვის პირველი ორშაბათის მომდევნო პირველ სამშაბათს.
- მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში.
- მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ნოემბერში.

1246. რომელი მსჯელობაა სწორი?
- თუ კენჭისყრის დროს დაირღვა საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა, საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე.
- თუ კენჭისყრის დროს დაირღვა საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა, საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და ბრძანებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე.
- თუ კენჭისყრის დროს დაირღვა საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა, საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და ბრძანებულებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე.
- თუ კენჭისყრის დროს დაირღვა საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა, საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე.

1247. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- პრემიერ-მინისტრი იყენებს თავის საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას და კანონპროექტები შეაქვს პარლამენტში.
- პრემიერ-მინისტრი ახორციელებს მთავრობის წევრთა საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს.
- პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს.
- პრემიერ-მინისტრი ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას.

1248. სახელმწიფო პოლიტიკას საჯარო სამსახურის სფეროში განსაზღვრავს
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს პარლამენტი.
- სამსახურის უფროსი.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

1249. რა პირობების არსებობისას არის უზრუნველყოფილი პაციენტთა უფასო სამედიცინო დახმარება?
- თუ პაციენტი არასრულწლოვანია
- თუ პაციენტი მდედრობითი სქესისაა
- თუ ეს პირობა განსაზღვრულია კანონით
- თუ პაციენტი 70 წელს გადაცილებული ასაკის მამაკაცია

1250. არჩევნების დღეს, საარჩევნო უბანზე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის მეორე დამკვირვებელი გამოცხადდა

პირველი დამკვირვებლის წასვლიდან 2 საათში, მას საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა შენობაში შესვლის უფლება არ მისცეს, იმ არგუმენტით, რომ საარჩევნო კოდექსის თანახმად, ერთ ორგანიზაციას უფლება აქვს ჰყავდეს მხოლოდ ერთი დამკვირვებელი. კანონიერი იყო თუ არა კომისიის წევრების მოქმედება?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ერთ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას უფლება აქვს ჰყავდეს მხოლოდ ერთი დამკვირვებელი.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსით დამკვირვებელს უფლება აქვს, კენჭისყრის დღის ნებისმიერ დროს შეენაცვლოს მისი წარმდგენი ორგანიზაციის რეგისტრირებულ წარმომადგენელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსი არ კრძალავს საარჩევნო უბანში თუნდაც ერთდროულად ერთზე მეტი დამკვირვებლის ყოლას.
- დიახ, რადგან არჩევნებზე განხორციელებულ დაკვირვებებს შორის დროის ინტერვალი უნდა იყოს 3 საათზე მეტი.

1251. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- ცესკო დადგენილებით ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულებას.
- ცესკო დადგენილებით ადგენს საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში არჩევნების ჩატარების წესსა და ვადებს.
- ცესკო დადგენილებით ადგენს მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალურ ოდენობას ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატებისთვის.
- ცესკო დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიულ და ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებს.

1252. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული რამდენი წევრისგან შედგება საქართველოს პარლამენტი?
- 73 წევრისგან.
- 77 წევრისგან.
- 85 წევრისგან.
- 150 წევრისგან.

1253. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის 3 საერთაშორისო დამკვირვებლის მეშვეობით, რომელსაც შეიძლება ახლდეს თარჯიმანი.
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის 3 საერთაშორისო დამკვირვებლის მეშვეობით, რომელსაც შეიძლება ახლდეს მხოლოდ ერთი თარჯიმანი.
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის 2 საერთაშორისო დამკვირვებლის მეშვეობით, რომელსაც შეიძლება ახლდეს მხოლოდ ერთი თარჯიმანი.
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის 2 საერთაშორისო დამკვირვებლის მეშვეობით, რომელსაც შეიძლება ახლდეს თარჯიმანი.

1254. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში:
- 35 საათს.
- 45 საათს.
- 30 საათს.
- 40 საათს.

1255. კონსტიტუციის მიხედვით, დეპუტატთა რა რაოდენობაა საჭირო საპარლამენტო ფრაქციის შექმნისათვის?
- არანაკლებ ხუთისა.
- არანაკლებ სამისა.
- არანაკლებ ექვსისა.
- არანაკლებ ოთხისა.

1256. არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მოსაპოვებლად ვინ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო სუბიექტის - პოლიტიკური პარტიის დარეგისტრირება?
- შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ.
- შესაბამისმა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ.
- ცესკოს თავმჯდომარემ.
- ცესკომ.

1257. საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტის არჩევნებამდე 70 დღით ადრე დანიშნა პარლამენტის მორიგი არჩევნების თარიღი. სწორად მოიქცა თუ არა საქართველოს პრეზიდენტი?

- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, პარლამენტის მორიგი არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, პარლამენტის მორიგი არჩევნების თარიღი საქართველოს პრეზიდენტმა უნდა დანიშნოს არჩევნებამდე არაუადრეს 60 დღისა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, პარლამენტის მორიგი არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არაუგვიანეს 75 დღისა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, პარლამენტის მორიგი არჩევნების თარიღი საქართველოს პრეზიდენტმა უნდა დანიშნოს არჩევნებამდე 70 დღით ადრე.

1258. რომელი მსჯელობაა სწორი?
- კენჭისყრისას გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს/სპეციალურ კონვერტს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე, დაეწერება „გაფუჭებულია“, ხელს მოაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება.
- კენჭისყრისას გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს/სპეციალურ კონვერტს ჩამოეჭრება კუთხე, დაეწერება „დაზიანებულია“, ხელს მოაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება.
- კენჭისყრისას გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს/სპეციალურ კონვერტს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე, დაეწერება „გაბათილებულია“, ხელს მოაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება.
- კენჭისყრისას გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს/სპეციალურ კონვერტს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე, დაეწერება „გაფუჭებულია“, ხელს მოაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და იგი ცალკე შეინახება.

1259. რას ნიშნავს არჩევნების მეორე ტური?
- კენჭისყრა, რომელიც იმართება საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ვადებში, როდესაც არჩევნების პირველ ტურში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა.
- კენჭისყრა, რომელიც განმეორებით იმართება იმ საარჩევნო უბანში, რომელშიც ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრის შედეგი.
- თუ არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი სასამართლოს გადაწყვეტილებით.
- არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობის შესავსებად.

1260. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, სად გაეცნობა დაინტერესებული მხარე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს?
- იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც ახორციელებს ადმინისტრაციულ წარმოებას.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- მხოლოდ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში.
- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

1261. რა სახის სამართლებრივი აქტით იღებს ცესკო საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირების დებულებას?
- ბრძანებულებით.
- განკარგულებით.
- ბრძანებით.
- დადგენილებით.

1262. რა დოკუმენტით განისაზღვრება ცესკოს აპარატის სტრუქტურა, საქმიანობის წესი და უფლებამოსილებანი?
- ცესკოს განკარგულებით.
- ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით.
- ცესკოს სპეციალური აქტით.
- ცესკოს რეგლამენტით.

1263. თუ პარტია რეგისტრირებული არ იყო ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას, ან არჩევნების დანიშვნის დღისთვის არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტია მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით მიმართავს ცესკოს თავმჯდომარეს:
- მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წლის 1 იანვრიდან 15 ივლისამდე.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე.
- არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57 დღისა.
- არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50 დღისა.

1264. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილ პირთაგან ვინ შედის პარლამენტის ბიუროს შემადგენლობაში?
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
- მაჟორიტარული წესით არჩეული რომელიმე ერთი დეპუტატი, მიუხედავად პარლამენტში დაკავებული თანამდებობისა.

- ფრაქციების თავმჯდომარეები.
- საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი.

1265. კონსტიტუციის მიხედვით, სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება:
- კონსტიტუციური კანონით
- პარლამენტის რეგლამენტით
- ორგანული კანონით
- კანონით

1266. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელია გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- პრეზიდენტს, საკუთარი ინიციატივით, შეუძლია განახორციელოს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს დათხოვნა, ეს მისი კონსტიტუციური პრეროგატივაა.
- პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო, მხოლოდ უზენაესი სასამართლოს წარდგინებით.
- პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო მთავრობის წარდგინებით.
- პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო, მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

1267. დიდი დიღმის საარჩევნო ოლქის N4 საუბნო საარჩევნო კომისიას არ ჰყავდა კომისიის თავმჯდომარე და მისი მოადგილე. აქედან გამომდინარე, საარჩევნო კომისიის მდივანმა მოიწვია კომისიის სხდომა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად. კანონიერია თუ არა კომისიის მდივნის მოქმედება?
- კანონიერია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, თუ საარჩევნო კომისიას არ ჰყავს არც თავმჯდომარე და არც თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის სხდომას საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად იწვევს და მის არჩევამდე თავმჯდომარეობს კომისიის მდივანი.
- უკანონოა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, თუ საარჩევნო კომისიას არ ჰყავს არც თავმჯდომარე და არც თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის სხდომას საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად იწვევს და მის არჩევამდე თავმჯდომარეობს ზემდგომი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- კანონიერია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, თუ საარჩევნო კომისიას არ ჰყავს არც თავმჯდომარე და არც თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის სხდომას საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად იწვევს და მის არჩევამდე თავმჯდომარეობს კომისიის ნებისმიერი წევრი.
- უკანონოა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, თუ საარჩევნო კომისიას არ ჰყავს არც თავმჯდომარე და არც თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის სხდომას საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად იწვევს და მის არჩევამდე თავმჯდომარეობს ზემდგომი საარჩევნო კომისიის მდივანი.

1268. N1 საარჩევნო უბანზე კენჭისყრის დროს ადგილობრივმა დამკვირვებელმა ხუხუამ თავისი შენიშვნა საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებით შეიტანა ჩანაწერთა წიგნში. მან შენიშვნის შინაარსთან ერთად იქვე მიუთითა იმ მოწმეების ვინაობა, რომელთაც შეეძლოთ შენიშვნაში ასახული ფაქტის დადასტურება, თუმცა ხუხუამ შენიშვნა გააკეთა ანონიმურად და წიგნში მიუთითა მხოლოდ ტელეფონის ნომერი და არ მიუთითა თავისი სახელი და გვარი. სწორად მოიქცა თუ არა ხუხუა?
- ხუხუა არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა მიხედვით ჩანაწერთა წიგნში კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით არ შეიძლება იმ მოწმეების ვინაობის მითითება, რომელთაც შეუძლიათ დაადასტურონ შენიშვნაში მოყვანილი ფაქტი.
- ხუხუა არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა მიხედვით ჩანაწერთა წიგნში შენიშვნის შინაარსთან ერთად მიეთითება შენიშვნის ავტორის სახელი, გვარი და მისამართი.
- ხუხუა სწორად მოიქცა, ვინაიდან მას არ დაურღვევია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

1269. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები საქართველოს პარლამენტმა დანიშნა საკრებულოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 70 დღით ადრე. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პარლამენტი, საკრებულოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 60 დღისა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პარლამენტი, საკრებულოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 90 დღისა.
- დიახ, რადგან საკრებულოს არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი და არა პარლამენტი.
- დიახ, რადგან საქართველოს პარლამენტს საკრებულოს არჩევნები უნდა დაენიშნა საკრებულოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 60 დღით ადრე.

1270. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან რამდენი დღის ვადაში ატარებს რეგისტრაციაში არჩეულ პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ დროებით მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ?

- 15.
- 20.
- 2.
- 10.

1271. რიგით რომელია და რა ეწოდება საქართველოს კონსტიტუციის იმ თავს, რომელშიც მოგვარებულია საქართველოს სახელმწიფოს აღმასრულებელი განშტოების უმაღლესი ორგანოს ფორმირების, სტრუქტურის, საქმიანობის და სხვა საკითხები?
- თავი მეოთხე1. საქართველოს მთავრობა.
- თავი მეოთხე. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება.
- თავი მეშვიდე. საქართველოს მთავრობა.
- თავი მეოთხე1. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება.

1272. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ დარღვევებზე სად შეიძლება გასაჩივრდეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება?
- შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- სასამართლოში.
- უსკოში.
- შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან.

1273. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელის და დამხმარე მოსამსახურის თანამდებობრივ სარგოებსა და თანამდებობათა დასახელებებს განსაზღვრავს
- საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
- საქართველოს პრეზიდენტი.

1274. რა ვადით იკავებენ შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატები საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეული გამოკლებული წევრების ადგილებს?
- 1 წლის ვადით.
- საკრებულოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.
- 4 წლის ვადით.
- 2 წლის ვადით.

1275. კონსტიტუციის მიხედვით, როგორი კვორუმით წყდება პარლამენტში 46-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხები (საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს პრეზიდენტის დეკრეტების დამტკიცების საკითხები)?
- პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედით.
- ეს საკითხები არა პარლამენტში, არამედ ეროვნული უშიშროების საბჭოში წყდება.
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

1276. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რისი უფლება არ აქვს დამკვირვებელს?
- მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე და მათი გახსნის შემდეგ.
- დაესწროს და დააკვირდეს საარჩევნო კომისიის სხდომებს.
- მოსთხოვოს ამომრჩეველს, უჩვენოს, რამდენი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს ხელში.
- ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში.

1277. დაწესებულების კადრების სამსახურის მოვალეობა არ არის
- კონსულტაცია გაუწიოს მოსამსახურეებს მათი სამართლებრივი მდგომარეობისა და შეზღუდვების და სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.
- განახორციელოს ნორმატიული აქტების შესრულების კონტროლი.
- გაანალიზოს მოსამსახურეთა პროფესიული მომზადების დონე, ორგანიზება გაუწიოს მოსამსახურეთა გადამზადებას (კვალიფიკაციის შეცვლას) და კვალიფიკაციის ამაღლებას.
- უზრუნველყოს ვაკანტურ სახელმწიფო თანამდებობაზე კონკურსისა და ატესტაციის ჩატარება.

1278. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
- საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ

ყველა ამომრჩეველს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 2 დღისა გადასცეს ამომრჩევლის ბარათი.
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ყველა ამომრჩეველს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 2 დღისა გადასცეს ამომრჩევლის ბარათი.
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ყველა ამომრჩეველს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 3 დღისა გადასცეს ამომრჩევლის ბარათი.
- საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ყველა ამომრჩეველს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 3 დღისა გადასცეს ამომრჩევლის ბარათი.

1279. კონსტიტუციის მიხედვით, რას უწოდებენ პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციულ ფორმას თებერვლის პირველი სამშაბათიდან ივნისის ბოლო პარასკევამდე?
- მეორე საგაზაფხულო სხდომას.
- საგაზაფხულო სესიას.
- საგაზაფხულო სხდომას.
- მეორე სესიას.

1280. რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობის უფლება აქვს:
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.
- ცესკოს კანონით დადგენილი წესით.
- საქართველოს პარლამენტს კანონით დადგენილი წესით.
- საქართველოს პრეზიდენტს კანონით დადგენილი წესით.

1281. ვინ წყვეტს განკარგულებით იმ ამომრჩევლის რეგისტრაციის საკითხს, რომელმაც კანონით დადგენილ ვადაში ვერ გაიარა რეგისტრაცია, განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში?
- ცესკოს თავმჯდომარე.
- ცესკო.
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- საუბნო საარჩევნო კომისია.

1282. რომელი მსჯელობაა სწორი?
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო დადგენილებით იღებს უსკოს რეგლამენტს.
- საქართველოს პარლამენტი დადგენილებით იღებს უსკოს რეგლამენტს.
- საქართველოს პრეზიდენტი განკარგულებით იღებს საქართველოს უსკოს რეგლამენტს.
- უმაღლესი საარჩევნო კომისია დადგენილებით იღებს უსკოს რეგლამენტს

1283. რა შედეგი მოჰყვება ძირითად საარჩევნო ყუთში მოთავსებულ საკონტროლო ფურცელსა და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შენახულ საკონტროლო ფურცელს შორის განსხვავების გამოვლენას?
- ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიკვრება პაკეტად, დაეწერება ,,ბათილია'' და საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.
- ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიფუთება, დაილუქება, შედგება სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცემა ცესკოს.
- ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიფუთება, დაილუქება, შედგება სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.
- ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი განადგურდება.

1284. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადაა:
- 2 წელი.
- 5 წელი.
- 6 წელი.
- 4 წელი.

1285. საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება
- ნებისმიერი საჩუქრის ან მომსახურების მიღება უშუალო ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე.
- ნებისმიერი საჩუქრის ან მომსახურების მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე.
- ნებისმიერი საჩუქრის ან მომსახურების მიღება, რომლის საბაზრო ღირებულებაც 300 ლარს აღემატება.
- ნებისმიერი საჩუქრის ან მომსახურების მიღება, რომლის საბაზრო ღირებულებაც 100 ლარს აღემატება და რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე.

1286. შეიძლება თუ არა რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად?
- რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად არ შეიძლება.
- რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად შეიძლება, თუ ასეთი მოთხოვნით საქართველოს პრეზიდენტს მიმართა 200 000-მა ამომრჩეველმა.
- რეფერენდუმის მოწყობა შეიძლება მხოლოდ კანონის გასაუქმებლად.
- რეფერენდუმის მოწყობა შეიძლება მხოლოდ კანონის მისაღებად.

1287. რომელი მსჯელობაა სწორი?
- უსკო ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე, რომელსაც წარუდგენსანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში.
- უსკო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე, რომელსაც წარუდგენსანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში.
- უსკო ანგარიშვალდებულია უმაღლესი საბჭოს წინაშე, რომელსაც წარუდგენსანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 45 დღის ვადაში.
- უსკო ანგარიშვალდებულია უმაღლესი საბჭოს წინაშე, რომელსაც წარუდგენსანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში.

1288. საკრებულოს უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, რა ვადაში ტარდება საკრებულოს რიგგარეშე არჩევნები?
- საკრებულოს რიგგარეშე არჩევნების ჩატარების ვადებს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 49-ე დღისა დადგენილებით ადგენს ცესკო.
- საკრებულოს რიგგარეშე არჩევნების ჩატარების ვადებს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 45-ე დღისა განკარგულებით ადგენს ცესკო.
- საკრებულოს რიგგარეშე არჩევნების ჩატარების ვადებს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 49-ე დღისა განკარგულებით ადგენს ცესკო.
- საკრებულოს რიგგარეშე არჩევნების ჩატარების ვადებს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 40-ე დღისა განკარგულებით ადგენს ცესკო.

1289. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ვის უფლებამოსილებაში შედის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხის გადაწყვეტა?
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის.
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივნის.
- ცესკოს თავმჯდომარის.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის.

1290. რა სახის სამართლებრივი აქტითაა დაცული დედათა უფლებები?
- დაცულია კონსტიტუციური კანონით
- ყველა უფლება დაცულია კონსტიტუციით
- დაცულია კანონით
- დაცულია ორგანული კანონით

1291. კონსტიტუციის მიხედვით, რამდენი მოადგილე ჰყავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს?
- კონსტიტუციაში ეს საკითხი არ არის განსაზღვრული.
- 5.
- 3.
- კონსტიტუციის მიხედვით - 4, თუმცა პარლამენტს შეუძლია კიდევ აირჩიოს

1292. რომელი ორგანო (პირი) და რა ვადაში ქმნის საარჩევნო უბნებს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე?
- სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე საარჩევნო უბნებს ქმნის ცესკოს თავმჯდომარე არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-40 დღისა.
- სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე საარჩევნო უბნებს ქმნის ცესკოს თავმჯდომარე არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა.
- სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე საარჩევნო უბნებს ქმნის ცესკო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-40 დღისა.
- სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე საარჩევნო უბნებს ქმნის ცესკო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა.

1293. საჩივრის შეტანიდან რა ვადაში უნდა განიხილოს სასამართლომ საჩივარი ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებაზე?
- სასამართლო საჩივარს განიხილავს მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.
- სასამართლო საჩივარს განიხილავს მასალების შესვლიდან 1 კალენდარული დღის განმავლობაში.
- სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს მასალების შესვლიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში.
- სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს მასალების შესვლიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში.

1294. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ყველა მსჯელობა სწორია.
- საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს და საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით დამოწმებულ მის ასლს ერთნაირი იურიდიული ძალა აქვს.
- საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით დამოწმებულ ასლს, რომელიც უნდა გადაეცეს ცესკოს, დედანთან შედარებით უპირატესი იურიდიული ძალა აქვს.
- საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით დამოწმებულ მის ასლთან შედარებით უპირატესი იურიდიული ძალა აქვს.

1295. რეფერენდუმს ამზადებს და აწყობს:
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.
- ცესკო.
- ადგილობრივი მმართველობის ორგანოები.
- საქართველოს მთავრობა.

1296. კენჭისყრამდე რა ვადაში უნდა ჩარიცხოს უსკომ საოლქო საარჩევნო კომისიის ანგარიშზე არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის მათთვის გამოყოფილი ფულადი სახსრები?
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 30 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 35 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 45 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 40 დღისა.

1297. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- პრეზიდენტს არ გააჩნია აბსოლუტური იმუნიტეტი, შეიძლება მისი დაპატიმრება, თუ მას ბრალად ედება ნებისმიერი სახის დანაშაულის ჩადენა.
- პრეზიდენტი ხელშეუვალია, არ შეიძლება მისი დაპატიმრება მისი თანამდებობაზე ყოფნის დროს.
- პრეზიდენტი უნდა მიეცეს პასუხისგებაში, თუ მეუღლეს უღალატა.
- პრეზიდენტს არ გააჩნია აბსოლუტური იმუნიტეტი, თუ მას ბრალად ედება მძიმე დანაშაულის ჩადენა.

1298. კონსტიტუციის მიხედვით, რა ეწოდება საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს?
- მხოლოდ დეპუტატი.
- მხოლოდ პარლამენტის წევრი.
- სენატორი.
- როგორც პარლამენტის წევრი, ასევე დეპუტატი.

1299. საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ჩაატარა წილისყრა კომისიის წევრთა შორის ფუნქციების გადანაწილების თაობაზე. წილისყრის დასრულების შემდეგ მანვე წილისყრის შედეგები ჩაწერა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში. სწორად მოიქცა თუ არა კომისიის თავმჯდომარე?
- სწორად მოიქცა, რადგან კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ასეთი ჩანაწერის გაკეთების უფლება ჰქონდა მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- არა, რადგან კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ასეთი ჩანაწერის გაკეთების უფლება ჰქონდა მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს.
- არა, რადგან კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ასეთი ჩანაწერის გაკეთების უფლება ჰქონდა მხოლოდ კომისიის იმ წევრს, რომელსაც წილისყრის შედეგებით დაევალა ამ წიგნის წარმოება.
- არა, რადგან კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ასეთი ჩანაწერის გაკეთების უფლება ჰქონდა მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

1300. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილიდან ვის აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება?
- საქართველოს პრემიერ-მინისტრს.
- საქართველოს სახალხო დამცველს.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.
- საქართველოს იუსტიციის მინისტრს.

1301. სწორია თუ არა მსჯელობა? საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცესი და კენჭისყრის მიმდინარეობის თაობაზე პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები აისახება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში:
- დიახ, საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცესი და კენჭისყრის მიმდინარეობის თაობაზე პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები აისახება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.

- არა, რადგან ჩანაწერთა წიგნში აისახება კენჭისყრის შენობაში მყოფი პიროვნებების ვინაობა და ეს პიროვნებები ადასტურებენ ამას საკუთარი ხელმოწერით.
- არა, რადგან ჩანაწერთა წიგნი გააჩნია მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიას.
- არა, რადგან ჩანაწერთა წიგნში აისახება მხოლოდ საჩივრები.

1302. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელი არ არის სწორი?
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტი/წესდება ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას და რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია ცესკოში ან საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელი, სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული ორგანიზაცია ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტი/წესდება ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას და რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია ცესკოში.
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტი/ წესდება ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვას და რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია ცესკოში.
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული ორგანიზაცია, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტი/წესდება ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს და რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია ცესკოში.

1303. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წილისყრით რამდენი მთვლელი უნდა შეარჩიოს?
- არაუმეტეს 2 მთვლელი.
- არანაკლებ 3 მთვლელი.
- არაუმეტეს 3 მთვლელი.
- არანაკლებ 2 მთვლელი.

1304. საქართველოს პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შემთხვევაში, პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებიდან რამდენ დღეში უნდა ჩატარდეს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები?
- ბრძანებულების ამოქმედებიდან 45-ე დღეს.
- ბრძანებულების ამოქმედებიდან 55-ე დღეს.
- ბრძანებულების ამოქმედებიდან 50-ე დღეს.
- ბრძანებულების ამოქმედებიდან მე-60 დღეს.

1305. ძველი თბილისის N2 საარჩევნო უბანზე მონიტორინგის განხორციელების დროს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენელმა შეამჩნია, რომ საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი თანამშრომელი ხმის მისაცემად გამოცხადებულ ამომრჩევლებს რჩევის სახით ეუბნებოდა, რომ ხმა მიეცათ ლეიბორისტული პარტიისთვის. აღნიშნულის შესახებ დამკვირვებელმა განცხადებით მიმართა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და რეაგირება მოსთხოვა ამ ფაქტზე. კანონიერი იყო თუ არა დამკვირვებლის მოქმედება?
- დიახ, თუმცა მას აღნიშნულის შესახებ უნდა მიემართა არა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისთვის, არამედ სასამართლოსთვის.
- დიახ, რადგან ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებით გამოვლენილი დარღვევის ფაქტებზე რეაგირების მოთხოვნის უფლება მის უფლებამოსილებაში შედის.
- არა, რადგან საარჩევნო კომისიის წევრს ეკრძალება მხოლოდ სახელისუფლებო პარტიის აგიტაცია და არა ნებისმიერი სხვა პოლიტიკური პარტიის.
- არა, რადგან მას უნდა მიემართა ზემდგომი საარჩევნო კომისიისთვის.

1306. კენჭისყრამდე რა ვადაში შეჰყავს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში საარჩევნო ადმინისტრაციის ის მოხელეები, რომლებიც კენჭისყრის დღეს საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო ვერ იღებენ მონაწილეობას არჩევნებში მათი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით?
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-10 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-7 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-14 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-5 დღისა.

1307. კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის რამდენი წევრია უფლებამოსილი პრემიერ-მინისტრის წინაშე დასვას მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი?
- პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
- პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- ასეთი უფლებამოსილება პარლამენტის წევრებს საერთოდ არ გააჩნიათ.
- პარლამენტის წევრთა ათკაციან ჯგუფს.

1308. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თანამდებობაზე დანიშვნა არ შეიძლება გაფორმდეს
- დადგენილებით.
- განკარგულებით.
- ბრძანებულებით.
- ბრძანებით.

1309. ვინ ადგენს და რა სახით მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშს?
- მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშს ბრძანებით ადგენს ცესკო.
- მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშს განკარგულებით ადგენს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშს დადგენილებით ადგენს საქართველოს ცენტრალური სარჩევნო კომისია.
- მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშს ბრძანებულებით ადგენს ცესკო.

1310. საქართველოსზოგადიადმინისტრაციულიკოდექსისთანახმად, თუკანონიარ ითვალისწინებს სხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებას, ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ამზადებს:
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.
- ზოგადი ან ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში.
- მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

1311. რომელი მსჯელობა არ არის სწორი? ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიტანება ამომრჩევლის შემდეგი მონაცემები:
- ამომრჩევლის ოჯახური მდგომარეობა.
- გვარი, სახელი.
- მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით).
- დაბადების თარიღი.

1312. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს ცესკო.
- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს საკრებულოს უხუცესი წევრი.
- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს პარლამენტის თავმჯდომარე.

1313. სახელმწიფო სამსახური საქართველოში ხორციელდება
- ქართულ ენაზე, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე.
- ქართულ ენაზე, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ და რუსულ ენებზე.
- მხოლოდ ქართულ ენაზე.
- ქართულ ენაზე ან/და რომელიმე უცხოურ ენაზე, სამსახურის სპეციფიკის გათვალისწინებით.

1314. საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება:
- კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
- კომისიის სიითი შემადგენლობის ორი მესამედი.
- კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
- კომისიის სრული შემადგენლობის ორი მესამედი.

1315. სად და ვის უნდა წარედგინოს ქალაქ ქუთაისში პოლიციის მიერ დაკავებული პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი?
- ქუთაისის პოლიციის სამმართველოს
- ქუთაისის პროკურატურას
- სასამართლოს განსჯადობის მიხედვით
- საქართველოს მთავარ პროკურორს

1316. საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად რომელი არ არის პოლიტიკური თანამდებობის პირი?

- სახალხო დამცველი.
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები.
- სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი.

1317. რას ნიშნავს მორიგი არჩევნები?
- საერთო არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო საქართველოს კონსტიტუციით, საარჩევნო კოდექსით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებითა და სათანადო კანონებით დადგენილ ვადებში.
- არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობის შესავსებად.
- საერთო არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო.
- არჩევნები, რომელიც მორიგი არჩევნებისათვის დადგენილი წესით ხელახლა ტარდება.

1318. არჩევნებზე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელმა მარნეულის საარჩევნო ოლქის N1 საარჩევნო უბანში შენიშნა, რომ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი იწარმოებოდა აზერბაიჯანულ ენაზე. აღნიშნული ფაქტი დამკვირვებელმა უკანონოდ მიიჩნია იმ მოტივით, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ყველა ოფიციალური დოკუმენტი უნდა იწარმოებოდეს სახელმწიფო ენაზე – ქართულად და შემდეგ ითარგმნოს საჭიროების შემთხვევაში. აღნიშნულის შესახებ დამკვირვებელმა დაუყოვნებლივ აცნობა კომისიის თავმჯდომარეს და მოსთხოვა დარღვევაზე რეაგირება. სწორი იყო თუ არა არჩევნებზე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენლის შენიშვნა?
- დიახ, თუმცა მას ამის შესახებ უნდა მიემართა სასამართლოსთვის.
- არა, რადგან მსგავს დარღვევებზე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელს არ აქვს რეაგირების მოთხოვნის უფლება.
- დიახ, რადგან საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული და ჩანაწერთა წიგნის წარმოება ამ ენაზე უნდა მომხდარიყო.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ჩანაწერთა წიგნი შეიძლება იწარმოებოდეს ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ სხვა ენაზედაც.

1319. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ზეპირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი:
- წერილობით გამოიცემა,თუ ადმინისტრაციული ორგანო ამას საჭიროდ მიიჩნევს.
- წერილობით არ გამოიცემა.
- წერილობით უნდა გამოიცეს გამოქვეყნებიდან 7 დღის ვადაში.
- წერილობით უნდა გამოიცეს მიღებიდან 3 დღის ვადაში.

1320. რა ვადაში უნდა გადაეცეს დამკვირვებელ ორგანიზაციას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება?
- დამკვირვებელ ორგანიზაციას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება უნდა გადაეცეს მიღებიდან არა უგვიანეს მე-4 დღისა.
- დამკვირვებელ ორგანიზაციას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება უნდა გადაეცეს მიღებიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა.
- დამკვირვებელ ორგანიზაციას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება უნდა გადაეცეს მიღების დღესვე.
- დამკვირვებელ ორგანიზაციას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება უნდა გადაეცეს მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

1321. საჯარო სამსახური არის
- საქმიანობა სახელმწიფო სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებსა და საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.
- საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.
- საქმიანობა სახელმწიფო დაწესებულებებსა და საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.
- საქმიანობა საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

1322. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული რამდენი წევრისგან შედგება თბილისის საკრებულო?
- 25 წევრისგან.
- 15 წევრისგან.
- 50 წევრისგან.
- 35 წევრისგან.

1323. არჩევნების არჩატარებულად გამოცხადებიდან, ან ბათილად ცნობიდან რა ვადაში უნდა დანიშნოს უფლებამოსილმა ორგანომ პარლამენტის ხელახალი არჩევნების თარიღი?
- არჩატარებულად გამოცხადებიდან, ან ბათილად ცნობიდან არა უგვიანეს 15 დღის ვადაში.
- არჩატარებულად გამოცხადებიდან, ან ბათილად ცნობიდან არა უგვიანეს 7 დღის ვადაში.
- არჩატარებულად გამოცხადებიდან, ან ბათილად ცნობიდან არა უგვიანეს 13 დღის ვადაში.
- არჩატარებულად გამოცხადებიდან, ან ბათილად ცნობიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში.

1324. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს პრეზიდენტი არის მთავრობის მეთაური.
- საქართველოს პრეზიდენტი არის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.
- საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.
- საქართველოს პრეზიდენტი არის ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი.

1325. კონსტიტუციის მიხედვით რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ათავისუფლებს თანამდებობიდან სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს?
- საქართველოს მთავრობა.
- უზენაესი სასამართლო.
- მმართველი პარტიის ხელმძღვანელი ორგანო.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

1326. რა ვადაში იმართება პარლამენტის წევრის არჩევნების მეორე ტური?
- ვადის განსაზღვრა ხდება ცესკოს განკარგულებით.
- პირველი ტურიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.
- პირველი ტურიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.
- პირველი ტურიდან არაუგვიანეს 25-ე დღისა.

1327. სად და რამდენი ხნის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებების უკანონოდ ცნობის თაობაზე შეტანილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ?
- 2 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში.
- ასეთი გადაწყვეტილება არ საჩივრდება.
- გონივრულ ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოში.
- 3 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში.

1328. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- უვადოდ დანიშვნამდე მოსამართლე შეიძლება გამწესდეს თანამდებობაზე 5 წლის გამოსაცდელი ვადით.
- უვადოდ დანიშვნამდე მოსამართლე შეიძლება გამწესდეს თანამდებობაზე არაუმეტეს 3 წლისა.
- უვადოდ დანიშვნამდე მოსამართლე შეიძლება გამწესდეს თანამდებობაზე განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 5 წლისა.
- უვადოდ დანიშვნამდე მოსამართლე შეიძლება გამწესდეს თანამდებობაზე 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

1329. თუ პრეზიდენტს უფლებამოსილება ვადამდე ადრე შეუწყდა, ვინაიდან თანამდებობიდან იგი გადაყენებული იქნა იმპიჩმენტის წესით, რა ვადებში უნდა ჩატარდეს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები?
- უფლებამოსილების შეწყვეტიდან 60 დღის განმავლობაში.
- უფლებამოსილების შეწყვეტიდან 30 დღის განმავლობაში.
- პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება იმპიჩმენტის წესით საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად რიგგარეშე არჩევნები ამ საფუძვლით არ ჩატარდება.
- უფლებამოსილების შეწყვეტიდან 45 დღის განმავლობაში.

1330. რომელი ორგანოს გადაწყვეტილებაა საბოლოო წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვის დებულებათა დარღვევის შემთხვევაში საარჩევნო კომისიის განკარგულების გასაჩივრების შემდეგ?
- ცესკოს.
- უზენაესი სასამართლოს.
- სააპელაციო სასამართლოს.
- საკონსტიტუციო სასამართლოს.

1331. ვინ აკისრებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომას დისციპლინური გადაცდომის

ჩადენის შემთხვევაში?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- მხოლოდ ცესკოს თავმჯდომარე.
- ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისია.
- მხოლოდ ცესკო.

1332. როდის იკრძალება წინასაარჩევნო ფასიანი ან/და უფასო რეკლამის განთავსება ტელევიზიის და რადიოს ეთერის მეშვეობით?
- კენჭისყრის დღეს 7 საათის შემდეგ.
- კენჭისყრის დღის წინა დღის 12 საათის შემდეგ.
- კენჭისყრის დღეს.
- კენჭისყრის დღის 20 საათის შემდეგ.

1333. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- ამომრჩეველთა მარკირება ითვალისწინებს ამომრჩევლის მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელი თითის ფრჩხილზე თვალით უხილავი და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი ქიმიური საღებავის წასმას, ხოლო აღნიშნული მოქმედების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მარჯვენა ხელის სხვა თითის ფრჩხილზე, ხოლო ამის შეუძლებლობისას, ასეთივე წესით მარცხენა ხელზე.
- ამომრჩეველთა მარკირება ითვალისწინებს ამომრჩევლის მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითის ფრჩხილზე თვალით უხილავი და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი ქიმიური საღებავის წასმას, ხოლო აღნიშნული მოქმედების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მარჯვენა ხელის სხვა თითის ფრჩხილზე, ხოლო ამის შეუძლებლობისას, ასეთივე წესით მარცხენა ხელზე.
- ამომრჩეველთა მარკირება ითვალისწინებს ამომრჩევლის მარჯვენა ხელის ცერა თითის ფრჩხილზე თვალით უხილავი და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი ქიმიური საღებავის წასმას, ხოლო აღნიშნული მოქმედების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მარჯვენა ხელის სხვა თითის ფრჩხილზე, ხოლო ამის შეუძლებლობისას, ასეთივე წესით მარცხენა ხელზე.
- ამომრჩეველთა მარკირება ითვალისწინებს ამომრჩევლის მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელი თითის ფრჩხილზე თვალით უხილავი და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი ქიმიური საღებავის წასმას, ხოლო აღნიშნული მოქმედების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მარჯვენა ხელის სხვა თითის ფრჩხილზე, ხოლო ამის შეუძლებლობისას, მარკირება არ ხორციელდება.

1334. საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის ან არცნობის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება არა აქვს:
- მაჟორიტარ კანდიდატს.
- დამკვირვებელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- პარტიის წარმომადგენელს.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს.

1335. ვისი ფონდიდან ფინანსდება საარჩევნო ბლოკის საარჩევნო კამპანია?
- საარჩევნო ბლოკის შექმნამდე იქმნება ერთიანი ფონდი, საიდანაც ფინანსდება საარჩევნო ბლოკის საარჩევნო კამპანია.
- საარჩევნო ბლოკის საარჩევნო კამპანია ფინანსდება ბლოკის პირველ და მეორე ნომრად რეგისტრირებული პარტიების ფონდებიდან.
- საარჩევნო ბლოკის საარჩევნო კამპანია ფინანსდება ბლოკის პირველ ნომრად რეგისტრირებული პარტიის ფონდიდან.
- საარჩევნო ბლოკის საარჩევნო კამპანია ფინანსდება ბლოკში შემავალი პარტიების ცალ-ცალკე არსებული ფონდებიდან.

1336. რამდენი საარჩევნო ოლქი იქმნება თბილისის საკრებულოს პროპორციული წესით ჩასატარებელი არჩევნებისათვის ?
- 10.
- 6.
- 7.
- 5.

1337. რომელი ორგანო აძლევს არჩეულ პარლამენტის წევრებს დროებით მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ?
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია.
- საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაცია.
- ცესკო.
- ცესკოს თავმჯდომარე.

1338. კონსტიტუციის მიხედვით, ვინ მიმართავს პარლამენტს საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირების, დენონსირების და გაუქმების შესახებ?
- მიმართავს მხოლოდ საქართველოს მთავრობა.
- მიმართავს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი.
- მიმართავს საქართველოს მთავრობა, აგრეთვე ზოგიერთ შემთხვევაში - საქართველოს პრეზიდენტი.

- მიმართავს მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტრო.

1339. არჩევნებში მონაწილე პარტიამ „გამარჯვება“ საარჩევნო კომისიას კანონით დადგენილი წესით წარუდგინა საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა 155 კაციანი პარტიული სია. შეესაბამება თუ არა პარტიული სია საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს?
- დიახ, რადგან წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი.
- არა, რადგან წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 70-ზე ნაკლები და 140-ზე მეტი.
- დიახ, რადგან წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 140-ზე ნაკლები და 170-ზე მეტი.
- არა, რადგან წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 50-ზე ნაკლები და 150-ზე მეტი.

1340. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო უბნის გახსნისთანავე იხსნება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი. წიგნის პირველ და მე-2 გვერდებზე ხელს აწერენ მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და ადგილობრივი დამკვირვებლები.
- საარჩევნო უბნის გახსნისთანავე იხსნება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი. წიგნის პირველ და მე-2 გვერდებზე ხელს აწერს მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საარჩევნო უბნის გახსნისთანავე იხსნება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი. წიგნის პირველ და მე-2 გვერდებზე ხელს აწერს მისი გახსნისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი.
- საარჩევნო უბნის გახსნისთანავე იხსნება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი. წიგნის პირველ და მე-2 გვერდებზე ხელს აწერენ მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები.

1341. რომელი მსჯელობაა სწორი?
- თვითმმართველი ქალაქის (გარდა ქალაქ თბილისისა) საკრებულო შედგება მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული 5 წევრისა და პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისგან, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 75 000-ს.
- თვითმმართველი ქალაქის (გარდა ქალაქ თბილისისა) საკრებულო შედგება მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისგან, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 75 000-ს.
- თვითმმართველი ქალაქის (გარდა ქალაქ თბილისისა) საკრებულო შედგება მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისა და პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისგან, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 75 000-ს.
- თვითმმართველი ქალაქის (გარდა ქალაქ თბილისისა) საკრებულო შედგება მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული 5 წევრისა და პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისგან, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 75 000-ს.

1342. თუ კენჭისყრა შეწყვეტილად გამოცხადდა:
- იგი აღარ განახლდება.
- იგი განახლდება ზემდგომი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.
- იგი განახლდება ამავე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.
- იგი განახლდება ამავე საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.

1343. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფინანსურ სახსრებს განკარგავს:
- ცესკოს თავმჯდომარე.
- ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე.
- ცესკოს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი.
- ცესკოს მდივანი.

1344. რა ვადაში აჯამებს ცესკო საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს?
- კენჭისყრიდან არა უგვიანეს მე-20 დღისა.
- კენჭისყრიდან არა უგვიანეს 30-ე დღისა.
- კენჭისყრიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა.
- კენჭისყრიდან არა უგვიანეს მე-15 დღისა.

1345. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი არჩევნებამდე 23 დღით ადრე რეგისტრაციაში გაატარა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს მისცა შესაბამისი მოწმობა. სწორად მოიქცა თუ არა ცესკო-ს თავმჯდომარე?
- დიახ, რადგან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 20-ე დღისა რეგისტრაციაში ატარებს ცესკო-ს თავმჯდომარე, ხოლო შესაბამის მოწმობას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს აძლევს რეგისტრაციიდან 5 დღის

ვადაში.
- არა, რადგან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 45-ე დღისა რეგისტრაციაში ატარებს ცესკო-ს თავმჯდომარე, ხოლო შესაბამის მოწმობას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს აძლევს რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში.
- არა, რადგან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა რეგისტრაციაში ატარებს ცესკოს თავმჯდომარე, ხოლო შესაბამის მოწმობას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს აძლევს რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში ცესკოს თავმჯდომარე.
- არა, რადგან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა რეგისტრაციაში ატარებს ცესკო-ს თავმჯდომარე, ხოლო შესაბამის მოწმობას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს აძლევს რეგისტრაციიდან 2 დღის ვადაში.

1346. ვის აქვს უფლება, საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნა, პრეტენზია და საჩივარი ასახოს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში?
- მხოლოდ კომისიის თავმჯდომარეს და მოადგილეს.
- მხოლოდ ამომრჩევლებს და დამკვირვებლებს.
- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს.
- მხოლოდ კომისიის წევრებს და მდივანს.

1347. სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება არის
- სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი.
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი დაწესებულება, რომელიც არ ახორციელებს საჯარო ხელისუფლებას.
- სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი დაწესებულება, რომელიც არ ახორციელებს საჯარო ხელისუფლებას.

1348. უსკოში აპარატის შემადგენლობაში ტექნიკურ მოსამსახურედ აყვანილ იქნა ლ. დუმბაძე, რომელსაც არ ჰქონდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- არ დაირღვა, ვინაიდან უსკოს აპარატის შემადგენლობაში მუშაობისათვის სავალდებულო არარის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ქონა.
- დაირღვა, ვინაიდან უსკოს აპარატის შემადგენლობაში ნებისმიერ თანამშრომელს უნდაჰქონდეს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- არ დაირღვა, ვინაიდან უსკოს აპარატის შემადგენლობაში ტექნიკური მოსამსახურისთვისსაარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ქონა სავალდებულო არ არის.

1349. რომელი სამართლებრივი აქტით ხდება პარტიული სიების/კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ საარჩევნო ბლოკიდან პარტიის გარიცხვის შემთხვევაში ამ პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება?
- ცესკოს დადგენილებით.
- ცესკოს მდივნის განკარგულებით.
- ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.

1350. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი და ვისი მოთხოვნით იწვევს პარლამენტის რიგგარეშე სესიას?
- საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის წარდგინებით.
- საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით.
- საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის მოთხოვნით.
- საქართველოს პრეზიდენტი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

1351. საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია:
- დიახ, საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია, თავისი შემადგენლობიდან, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- არა, საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს ნიშნავს ცესკო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
- არა, საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს ნიშნავს ცესკო სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- დიახ, საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია, თავისი შემადგენლობიდან, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

1352. სახელმწიფო მოსამსახურეს
- უფლება აქვს, დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს პარტიული საქმიანობისათვის.
- უფლება აქვს, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს პარტიული საქმიანობისათვის.
- მხოლოდ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს აქვს უფლება, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს პარტიული საქმიანობისათვის.
- არა აქვს უფლება, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს პარტიული საქმიანობისათვის.

1353. საარჩევნო უბნების შექმნის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს:
- საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრს.
- შესაბამისი რაიონის გამგეობას.

1354. რამდენი საერთაშორისო დამკვირვებლის მეშვეობით ახორციელებს საერთაშორისო ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას?
- ხუთი საერთაშორისო დამკვირვებლის მეშვეობით.
- სამი საერთაშორისო დამკვირვებლის მეშვეობით.
- ათი საერთაშორისო დამკვირვებლის მეშვეობით.
- ორი საერთაშორისო დამკვირვებლის მეშვეობით.

1355. კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის რომელი აქტი საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას?
- პრეზიდენტის დეკრეტები, რომლებიც გამოცემულია საგანგებო მდგომარეობის დროს.
- პრეზიდენტის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც უკავშირდება მოქალაქეობის მინიჭებას და შეწყვეტას.
- პრეზიდენტის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც გამოცემულია მთავრობის წარდგინებით.
- პრეზიდენტის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც უკავშირდება პრემიერმინისტრობის კანდიდატურის წამოყენებას.

1356. რა ვადაში უნდა დასრულდეს პარტიის მხარდამჭერთა სიის შემოწმება?
- მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან 10 დღის ვადაში.
- მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან 15 დღის ვადაში.
- მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან 7 დღის ვადაში.
- მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან 14 დღის ვადაში.

1357. საარჩევნო კოდექსის თანახმად, როდის იხსნება ძირითადი საარჩევნო ყუთი?
- გადასატან ყუთში მოთავსებული ხმების დათვლის შემდეგ, ნებისმიერ დროს.
- კენჭისყრის დასრულების შემდეგ ნებისმიერ დროს.
- ყუთების გახსნის რიგითობა კანონით არ არის მოწესრიგებული.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის გახსნისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების დასრულების შემდეგ.

1358. ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დაკვირვების უფლება აქვთ (მათი დამზადების თითოეულ ადგილზე):
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ დანიშნულ 3 პიროვნებას.
- საქართველოს საარჩევნო კოდექსის საფუძველზე რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე წარადგენენ არა უმეტეს 3 დამკვირვებელს.
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის განკარგულებით დანიშნულ კომისიის 2 წევრსა და საქართველოს საარჩევნო კოდექსის საფუძველზე რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე წარადგენენ არა უმეტეს 3 დამკვირვებელს.
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის განკარგულებით დანიშნულ კომისიის 3 წევრს.

1359. რით უნდა იყოს დადასტურებული უფლებამოსილი სუბიექტის მიერ პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენა?
- ამომრჩეველთა ხელმოწერებით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.
- პარლამენტის ბიუროს წევრთა ხელმოწერით.
- საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.

1360. რომელი მსჯელობაა სწორი?

- საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინოს ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ, რომლიდანაც მოხდება საარჩევნო კამპანიისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება.
- საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ, რომლიდანაც მოხდება საარჩევნო კამპანიისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება.
- საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია საქართველოს ცესკოს წარუდგინოს ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ, რომლიდანაც მოხდება საარჩევნო კამპანიისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება.
- საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ, რომლიდანაც მოხდება საარჩევნო კამპანიისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება.

1361. კონსტიტუციის მიხედვით, რომელ ორგანოს ან თანამდებობის პირს და რა წესით აქვს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობიდან გადაყენების უფლება?
- საქართველოს პრეზიდენტს მთავრობასთან შეთანხმებით.
- თავდაცვის მინისტრს ერთპიროვნულად.
- საქართველოს პრეზიდენტს ერთპიროვნულად.
- თავდაცვის მინისტრს პრეზიდენტის თანხმობით.

1362. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელია წინააღმდეგობაში საქართველოს კონსტიტუციასთან?
- საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის
- ჩამორთმეული საკუთრების ანაზღაურება უნდა იყოს წინასწარი
- ჩამორთმეული საკუთრების ანაზღაურება იბეგრება შეღავათიანი მოსაკრებლით
- ჩამორთმეული საკუთრების ანაზღაურება უნდა იყოს სამართლიანი

1363. ვინ აჯამებს სხვა სახელმწიფოში გახსნილი საარჩევნო უბნების შედეგებს?
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საგარეო საქმეთა სამინისტრო.
- საქართველოს საკონსულო.
- საბურთალოს №03 საოლქო საარჩევნო კომისია.

1364. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ჩანაწერთა წიგნი არის ე.წ. ზონარგაყრილი წიგნი. ზონარი ილუქება, დასალუქ ფურცელს ხელს აწერენ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი და მას დაესმება საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭედი.
- ჩანაწერთა წიგნი არის ე.წ. ზონარგაყრილი წიგნი. ზონარი ილუქება, დასალუქ ფურცელს ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი და მას დაესმება საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭედი.
- ჩანაწერთა წიგნი არის ე.წ. ზონარგაყრილი წიგნი. ზონარი ილუქება, დასალუქ ფურცელს ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი და მას დაესმება საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭედი.
- ჩანაწერთა წიგნი არის ე.წ. ზონარგაყრილი წიგნი. ზონარი ილუქება, დასალუქ ფურცელს ხელს აწერს მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მას დაესმება საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭედი.

1365. რას ნიშნავს პასიური საარჩევნო უფლება?
- მოქალაქის უფლება, ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებში, რეფერენდუმში, პლებისციტში.
- მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული 2 ან მეტი პარტიის გაერთიანება.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები.

1366. რა ეწოდება საქართველოს პრეზიდენტის უფლებას არ მოაწეროს ხელი და თავისი შენიშვნებით დაუბრუნოს პარლამენტს კანონპროექტი?
- პრეზიდენტი ყველა შემთხვევაში ვალდებულია მოაწეროს ხელი და გამოაქვეყნოს კანონი
- ჯიბის ვეტო.
- ვეტო.
- აბსოლუტური ვეტო.

1367. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა საფუძვლით შეუძლია პრეზიდენტს შეაჩეროს თვითმმართველობის წარმომადგენლობის ორგანოს საქმიანობა?
- თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შესრულებას.

- თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა სახელმწიფო ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებას.
- თუ ვერ აირჩია თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი - მერი ან გამგებელი.
- თუ ერთი თვის განმავლობაში არ ჩატარებულა ამ ორგანოს სხდომები.

1368. კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევებში მონაწილეობს საქართველოს პრეზიდენტი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების თანამდებობაზე განწესებაში?
- თუ დადგენილება მიიღო საქართველოს პარლამენტმა.
- თუ ასეთი დადგენილება მიიღო საქართველოს მთავრობამ.
- ასეთი შემთხვევა გათვალისწინებულია საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.
- თუ ეს გათვალისწინებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის დებულებით.

1369. ვის მიმართავს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მსურველი პარტია?
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანს.
- საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსს.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

1370. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამსახურებრივ საკითხზე გამოცემული ბრძანების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა აითვლება კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში:
- ბრძანების გამოცემიდან 1 თვის ვადაში.
- ბრძანების გაცნობიდან 2 თვის ვადაში.
- ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- ბრძანების გამოცემიდან 10 დღის ვადაში.

1371. ვინ და როდის ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებს?
- საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, 3 წელიწადში ერთხელ.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საკრებულოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 40 დღისა.
- საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, საკრებულოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა.
- საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, საკრებულოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 40 დღისა.

1372. როგორი ასაკობრივი ცენზი არის დადგენილი კონსტიტუციაში საქართველოს პარლამენტის წევრობისათვის?
- როგორც პროპორციული, ასევე მაჟორიტარული წესით არჩეულთათვის 21 წლის ასაკიდან.
- ასაკობრივი ცენზი კონსტიტუციაში დადგენილი არ არის.
- მაჟორიტარული სისტემით არჩეული დეპუტატებისათვის 21 წლის, ხოლო პროპორციული სისტემით არჩეულთათვის - 18 წლის ასაკიდან.
- მაჟორიტარული სისტემით არჩეული დეპუტატებისათვის 25 წლის, ხოლო პროპორციული სისტემით არჩეულთათვის - 23 წლის ასაკიდან.

1373. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ის საფუძველი, რომელზე აპელირებითაც პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება?
- ერთი ფრაქციიდან მეორეში გადასვლა.
- ერთთვიანი ავადმყოფობა.
- სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.
- საპენსიო ასაკის მიღწევა.

1374. როგორ განისაზღვრება დეპუტატთა გასამრჯელო?
- კანონით.
- პარლამენტის რეგლამენტით.
- პარლამენტის დადგენილებით.
- მთავრობის დადგენილებით.

1375. ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა არჩევნებისა და კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმების დაკარგვის შემთხვევაში?
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- საარჩევნო კომისიის ნებისმიერ წევრს.

- საარჩევნო კომისიის მდივანს.
- ყველა პასუხი სწორია.

1376. რომელი მსჯელობაა სწორი?
- კენჭისყრისას ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს კომისიის თავმჯდომარე.
- კენჭისყრისას ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს სხვა ამომრჩეველი.
- კენჭისყრისას ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს საერთაშორისო დამკვირვებელი.
- კენჭისყრისას ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ადგილობრივი დამკვირვებელი.

1377. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება სასამართლოში საჩივრდება მისი მიღებიდან:
- 1 კალენდარული დღის ვადაში.
- 3 დღის ვადაში.
- 2 კალენდარული დღის ვადაში.
- 4 კალენდარული დღის ვადაში, თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

1378. ვისი თანხმობითაა შესაძლებელი ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების გამოფენა შენობა- ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე?
- ასეთი სახის თანხმობა საჭიროებას არ წარმოადგენს.
- მესაკუთრეების ან მფლობელების.
- ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის.

1379. ლევან ოქროპირიძე, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი იყო, არასაპატიო მიზეზით სამჯერ არ გამოცხადდა სამსახურში, აღნიშნული ქმედების გამო ზემდგომმა საოლქო საარჩევნო კომისიამ მას მიმდინარე თვის ხელფასის ნაწილი დაუქვითა და უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეუწყვიტა. კანონიერად მოქმედებდა თუ არა საოლქო საარჩევნო კომისია?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, დისციპლინური გადაცდომისთვის დისციპლინური სანქციის გამოყენება მხოლოდ ცესკოს უფლებამოსილებაში შედის.
- დიახ, რადგან ლევან ოქროპირიძემ სამჯერ ჩაიდინა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მრავალი ზომა.

1380. რა სახის არჩევნები უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევაში, როდესაც საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეულ წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება?
- დამატებითი არჩევნები.
- შუალედური არჩევნები.
- ხელახალი არჩევნები.
- შემავსებელი არჩევნები.

1381. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ შექმნილმა საკონკურსო კომისიამ, უსკოს წევრობის კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან მე-6 დღეს მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგინა ორ ვაკანსიაზე არანაკლებ 4 კანდიდატურა. მთავრობის თამჯდომარემ მე-7 დღეს შერჩეული კანდიდატები წარუდგინა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს. დაირღვა თუ არა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მოთხოვნები?
- „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მოთხოვნებიდაირღვა, ვინაიდან საკონკურსო კომისიის მიერ მთავრობის თამჯდომარეს უნდა წარედგინოს თითო ვაკანსიაზე თითო კანდიდატურა.
- „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მოთხოვნებიდაირღვა, ვინაიდან საკონკურსო კომისიის მიერ მთავრობის თავმჯდომარეს წარედგინა თითო ვაკანსიაზე 5 კანდიდატურა.
- „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მოთხოვნებიარ დარღვეულა, ვინაიდან უსკოს წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის წარდგინებით.
- „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მოთხოვნებიდაირღვა, ვინაიდან საკონკურსო კომისიას მთავრობის თავმჯდომარისათვის კანდიდატები უნდა წარედგინა ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

1382. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება დამკვირვებელი ორგანიზაციისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში.
- საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება დამკვირვებელი ორგანიზაციისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში.
- საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება დამკვირვებელი ორგანიზაციისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში.
- საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება დამკვირვებელი ორგანიზაციისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში.

1383. კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს:
- პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობას.
- პარლამენტის ბიუროს.
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობას.
- საინიციატივო ჯგუფს.

1384. რომელი მოსაზრებაა არასწორი? საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აჯამებს არჩევნების შედეგებს და ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს, რომელშიც აღინიშნება:
- ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა.
- ამომრჩეველთა რაოდენობა.
- საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა.
- გაცემულ ბიულეტენთა რაოდენობა.

1385. საუბნო საარჩევნო კომისიამ კენჭისყრამდე 3 დღით ადრე უზრუნველყო საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილი ყველა ამომრჩეველისთვის ამომრჩევლის ბარათის მიწოდება. მაგრამ კენჭისყრის დღეს აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ ამომრჩეველს არ მიუღია ბარათი. ბარათის წარუდგენლობის გამო ამომრჩეველს შეუზღუდეს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. კანონიერი იყო თუ არა ამომრჩევლისთვის კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა მოცემულ შემთხვევაში?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩევლის ბარათის მიუღებლობა არ წარმოადგენს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის საფუძველს.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსში პირდაპირ წერია, რომ ამომრჩევლის ბარათის მიუღებლობა წარმოადგენს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის საფუძველს.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, იმ შემთხვევაში როდესაც კენჭისყრამდე 3 დღით ადრე ამომრჩეველი არ მიიღებს ამომრჩეველთა ბარათს, ვადის გაცდენიდან არა უგვიანეს 12 საათისა იგი ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს საარჩევნო კომისიას.
- არა, რადგან მოცემულ შემთხვევაში თავად საუბნო საარჩევნო კომისია მოქმედებდა უკანონოდ, რადგან ამომრჩევლებისთვის ბარათის მიწოდება უნდა უზრუნველყო კენჭისყრამდე არა უგვიანეს 2 დღისა.

1386. კონსტიტუციის მიხედვით, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული რამდენი პარლამენტის წევრისაგან შედგება საქართველოს პარლამენტი?
- 100.
- 50.
- 73.
- 77.

1387. რამდენი ამომრჩევლის ხელმოწერით უნდა დადასტურდეს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენა?
- არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის ხელმოწერით.
- არანაკლებ 15 000 ამომრჩევლის ხელმოწერით.
- არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის ხელმოწერით.
- არანაკლებ 20 000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

1388. 21 თებერვალს, კანონით დადგენილი წესით, უფლებამოსილება შეუწყდა ცესკოს თავმჯდომარეს. საქართველოს პრეზიდენტმა კანონით დადგენილ ვადაში ცესკოს წარუდგინა ცესკოს თავმჯდომარის 3 კანდიდატურა. ცესკომ მისთვის დადგენილ ვადაში ვერ აირჩია თავმჯდომარე. ამის გამო პრეზიდენტმა სხვა სამი კანდიდატურა წარუდგინა პარლამენტს. პარლამენტმა მისთვის დადგენილ ვადაში აირჩია ერთ- ერთი კანდიდატურა. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან ცესკოს მიერ თავმჯდომარის მისთვის კანონით დადგენილ ვადაში ვერ არჩევის შემთხვევაში, თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი, რომელსაც პრეზიდენტის მიერ წარედგინება არა ცესკოსთვის მანამდე წარდგენილი კანდიდატურები, არამედ სამი სხვა კანდიდატურა.

- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან ცესკოს მიერ თავმჯდომარის მისთვის კანონით დადგენილ ვადაში ვერ არჩევის შემთხვევაში, თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი, რომელსაც პრეზიდენტის მიერ წარედგინება იგივე სამი კანდიდატურა, რომელიც მანამდე ცესკოსათვის იყო წარდგენილი.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან ცესკოს მიერ თავმჯდომარის მისთვის კანონით დადგენილ ვადაში ვერ არჩევის შემთხვევაში, თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი, რომელსაც პრეზიდენტის მიერ წარედგინება 2 ძველი კანდიდატურა (რომლებმაც ცესკოში კენჭისყრისას ყველაზე მეტი ხმა მიიღეს) და ერთი ახალი კანდიდატურა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან ცესკოს მიერ თავმჯდომარის მისთვის კანონით დადგენილ ვადაში ვერ არჩევის შემთხვევაში, თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი, რომელსაც პრეზიდენტის მიერ წარედგინება 1 ძველი კანდიდატურა (რომელმაც ცესკოში კენჭისყრისას ყველაზე მეტი ხმა მიიღო) და ორი ახალი კანდიდატურა.

1389. ვინ არის პასუხისმგებელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ძალებისა და შენაერთების, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურების სამხედრო მოსამსახურეების მონაცემთა სისწორეზე, რომლებიც ამომრჩეველთა სპეციალურ სიებში არიან შეყვანილნი?
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცესკო.
- შესაბამისი დანაყოფების/ნაწილების მეთაურები.
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია.

1390. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან.
- რეფერენდუმის შედეგებს არ აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა.
- რეფერენდუმის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არ არის საბოლოო.

1391. რომელი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშეა ანგარიშვალდებული სახელმწიფო აუდიტის სამსახური?
- საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.
- საქართველოს პარლამენტის წინაშე.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე
- საქართველოს მთავრობის წინაშე.

1392. რამდენი წლის უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი?
- 33.
- 25.
- 35.
- 30.

1393. რა არის ერთ-ერთი წინაპირობა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა უნდა შეასრულოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წარდგენისას?
- საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობა.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეკომენდაცია.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინასწარი თანხმობა.

1394. რომელი მსჯელობაა სწორი?
- პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 2 დღის ვადაში, უფლებამოსილი ორგანო რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ დროებით მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ.
- პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 3 დღის ვადაში, უფლებამოსილი ორგანო რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ დროებით მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ.
- პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში, უფლებამოსილი ორგანო რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ დროებით მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ.
- პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 4 დღის ვადაში, უფლებამოსილი ორგანო რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ დროებით მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ.

1395. დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა
- 2 თვის თანამდებობრივი სარგო.
- 3 თვის თანამდებობრივი სარგო.

- 2 კვირის თანამდებობრივი სარგო.
- 1 თვის თანამდებობრივი სარგო.

1396. რომელი ორგანო განიხილავს სარჩელს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შესახებ?
- ყველა დონის საერთო სასამართლო.
- მხოლოდ უზენაესი სასამართლო.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საკონსტიტუციო სასამართლო.

1397. ვის უნდა წარედგინოს ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის ეგზემპლარები?
- აუცილებლად ცესკოს.
- რეგისტრაციის ადგილის მიხედვით თვითმმართველობის ორგანოს.
- ასეთ ვალდებულებას კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს.
- იმ საარჩევნო კომისიას, რომელშიც საარჩევნო სუბიექტმა გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია.

1398. არჩევნების დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც რეგისტრირებული იყო 1300 ამომრჩეველი, დაიდგა ფარული კენჭისყრისათვის განკუთვნილი 2 კაბინა. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან 1300 კაციან საარჩევნო უბანზე უნდა დაიდგას მინიმუმ 3 ფარული კენჭისყრისთვის განკუთვნილი კაბინა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან 1300 კაციან საარჩევნო უბანზე უნდა დაიდგას 1 ფარული კენჭისყრის კაბინა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დაირღვა, ვინაიდან 1300 კაციან საარჩევნო უბანზე შესაძლებელია დაიდგას 2 ფარული კენჭისყრის კაბინა.

1399. დაწესებულების შინაგანაწესს ამტკიცებს
- დაწესებულების ხელმძღვანელი.
- საქართველოს იუსტიციის მინისტრი.
- საქართველოს პარლამენტი.
- დაწესებულების საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

1400. კონსტიტუციის მიხედვით, საგამოძიებო საპარლამენტო კომისიის რა მოთხოვნაა სავალდებულო შესასრულებლად?
- საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის მოთხოვნა.
- მთავრობისათვის უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის დაწყების მოთხოვნა.
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნა.
- პრეზიდენტის იმპიჩმენტის დაშვების მოთხოვნა.

1401. რამდენი დღის ვადაში უნდა დასრულდეს პარტიის მხარდამჭერთა სიის შემოწმება?
- სიის წარდგენიდან 7 დღეში.
- სიის წარდგენიდან 5 დღეში.
- სიის წარდგენიდან 10 დღეში.
- სიის წარდგენიდან 3 დღეში.

1402. რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა უმაღლესმა საბჭომ კენჭი უყარა უსკოს წევრობის კანდიდატებს და კენჭისყრის შედეგების მიხედვით ვერ შეივსო ყველა ვაკანსია?
- დარჩენილ კანდიდატებს ხელახლა უნდა ეყაროთ კენჭი.
- დარჩენილი კანდიდატებიდან, რომლებმაც ვერ მიიღეს ხმათა საჭირო რაოდენობა, ყველაზეუკეთესი შედეგის მქონე იმდენი კანდიდატურა ჩაითვლება არჩეულად, რამდენიც საჭიროა ვაკანსიების შესავსებად.
- პრეზიდენტი ხელახლა დაავალებს საკონკურსო კომისიას კანდიდატურების შერჩევას.
- არცერთი კანდიდატი არ ჩაითვლება არჩეულად და საკონკურსო კომისია შეარჩევს ახალკანდიდატებს.

1403. რა ვადებში ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს?
- პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებიდან არაუგვიანეს 15 დღისა.
- პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებიდან არაუადრეს 15 დღისა.
- რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების თარიღს არა პრეზიდენტი, არამედ ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს
- პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებისთანავე.

1404. რა ვადაში უნდა წარედგინოს ცესკოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის საკონკურსო საბუთები საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, თუ დანიშნულია არჩევნები?
- კონკურსის გამოცხადებიდან 5 დღის განმავლობაში.
- კონკურსის გამოცხადებიდან 10 დღის განმავლობაში.
- კონკურსის გამოცხადებიდან 14 დღის განმავლობაში.
- კონკურსის გამოცხადებიდან 2 დღის განმავლობაში.

1405. თქვენი აზრით რომელია ის გარემოება, რომელიც პრეზიდენტს არ აძლევს უფლებას დაითხოვოს პარლამენტი?
- პრემიერ-მინისტრის უარი კონტრასიგნაციის წესით ხელი მოაწეროს პრეზიდენტის აქტს პარლამენტის დათხოვნის შესახებ, თუ დათხოვნა ხორციელდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე.
- ქვეყანაში მოქმედი საგანგებო ან საომარი მდგომარეობა.
- მიმდინარე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.
- რეფერენდუმის მიმდინარეობა.

1406. რა შემთხვევაში შეუძლია ეკავოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეცაა, ანუ ბიპატრიდია?
- ბიპატრიდს არ შეიძლება ეკავოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა
- იმ შემთხვევაში, თუ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერია
- იმ შემთხვევაში, თუ პარტიამ, რომლის ლიდერია, არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 80 % მიიღო
- იმ შემთხვევაში, თუ დაინიშნება პრეზიდენტის მიერ

1407. ოფიციალურად ვისი ხელმოწერით გამოქვეყნდა 1995 წლის 24 აგვისტოს დღეს მოქმედი კონსტიტუცია?
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ხელმოწერით
- საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ხელმოწერით
- საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის ხელმოწერით
- საქართველოს უზენაესი საბჭოს ყველა წევრის ხელმოწერით

1408. რა შემთხვევაში უნდა შეიკრიბოს დათხოვნილი პარლამენტი?
- თუ ამას მოითხოვს დათხოვნილი პარლამენტის წევრთა არანაკლებ 3/4.
- საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაგრძელების საკითხის გადასაწყვეტად.
- თუ ამას მოითხოვს დათხოვნილი პარლამენტის წევრთა არანაკლებ 2/3.
- თუ ამას მოითხოვს მთავრობის მეთაური.

1409. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- მსჯავრდებულებს საქართველოში შეიწყალებს პრეზიდენტთან არსებული შეწყალების კომისია.
- მსჯავრდებულებს საქართველოში შეიწყალებს საქართველოს პრეზიდენტი.
- მსჯავრდებულებს საქართველოში შეიწყალებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
- მსჯავრდებულებს საქართველოში შეიწყალებს იუსტიციის მინისტრი.

1410. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს აქვთ თუ არა ფოტო-ვიდეო გადაღების უფლება?
- არა, მხოლოდ ცესკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს აქვთ უფლება აწარმოონ ფოტო-ვიდეო გადაღება.
- დიახ, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს აქვთ უფლება აწარმოონ გადაღება როგორც კაბინაში, ისე მის გარეთ.
- დიახ, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, კენჭისყრის კაბინის გარდა, შეუძლიათ აწარმოონ ფოტო-ვიდეო გადაღება.
- არა, საქართველოს საარჩევნო კოდექსით არავის აქვს უფლება კენჭისყრის შენობაში აწარმოოს ფოტო-ვიდეო გადაღება.

1411. ვინ და რა სახის სამართლებრივი აქტით ნიშნავს უმაღლესი საბჭოს არჩევნების მეორე ტურს?
- უმაღლესი საბჭოს არჩევნების მეორე ტურს განკარგულებით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
- უმაღლესი საბჭოს არჩევნების მეორე ტურს განკარგულებით ნიშნავს უსკო.
- უმაღლესი საბჭოს არჩევნების მეორე ტურს დადგენილებით ნიშნავს უსკო.
- უმაღლესი საბჭოს არჩევნების მეორე ტურს ბრძანებულებით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

1412. რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი და რა წესით იღებს სხვა ქვეყნების ელჩების აკრედიტაციას?
- საქართველოს პრეზიდენტი უშიშროების საბჭოს თანხმობით.
- საქართველოს პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმებით.

- საგარეო საქმეთა სამინისტრო პრეზიდენტთან შეთანხმებით.
- საქართველოს მთავრობა პრეზიდენტთან შეთანხმებით.

1413. რა შემთხვევაში იქმნება რეფერენდუმის მოწყობის საინიციატივო ჯგუფი?
- თუ რეფერენდუმის გამართვის ინიციატივა ეკუთვნის საქართველოს პრეზიდენტს.
- თუ რეფერენდუმის გამართვის ინიციატივა ეკუთვნით ამომრჩევლებს.
- თუ რეფერენდუმის გამართვის ინიციატივა ეკუთვნის საქართველოს პარლამენტს.
- ყველა შემთხვევაში.

1414. რამდენი დღის ვადაში უნდა წარუდგინოს ცესკომ პარლამენტს ანგარიში არჩევნების შედეგების შესახებ?
- 60 დღის ვადაში.
- ერთი თვის ვადაში.
- 90 დღის ვადაში.
- 30 დღის ვადაში.

1415. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ხელფასის ოდენობას განსაზღვრავს:
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- საქართველოს პარლამენტი.

1416. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატმა საკონკურსოდ წარდგენილ განცხადებას არ უნდა დაურთოს:
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ფოტოასლი.
- ხელფასის ცნობა წინა სამუშაო ადგილიდან.
- საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის ფოტოასლი.
- უმაღლესი განათლების (სამეცნიერო ხარისხის – თუ აქვს) დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოასლი.

1417. საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის ანგარიშზე არსებული ნაშთის სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვის დღიდან რა ვადაში უნდა წარუდგინოს ცესკოს საფინანსო ანგარიში?
- ნაშთის ჩარიცხვიდან 2 კვირის ვადაში.
- ნაშთის ჩარიცხვიდან 1 კვირის ვადაში.
- ნაშთის ჩარიცხვიდან 15 დღის ვადაში.
- ნაშთის ჩარიცხვიდან 10 დღის ვადაში.

1418. კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობიდან რომელი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას?
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ხელშეკრულებით საქართველოს სახელმწიფო ენად (აფხაზეთში აფხაზურთან ერთად) გამოცხადდა ინგლისური ენა
- საქართველომ და ვატიკანმა დადეს ხელშეკრულება, რომლითაც კათოლიციზმი საქართველოში გამოცხადდა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად
- საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ექნებათ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში ცხოვრობენ ბათუმში ან ქობულეთში
- საქართველომ და სომხეთის რესპუბლიკამ დადეს ხელშეკრულება სახელმწიფო საზღვრის ერთ მონაკვეთზე საქართველოს ტერიტორიაზე ერთი მეტრით გადმოწევის შესახებ

1419. კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს სახალხო დამცველს:
- ირჩევს ხალხი
- ირჩევს პარლამენტი
- ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით
- ნიშნავს პრემიერ-მინისტრი

1420. რომელი მსჯელობაა სწორი?
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა სრულდება კენჭისყრის დღის 19 საათზე.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა სრულდება კენჭისყრის დღის 20 საათზე.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა სრულდება კენჭისყრის დღის 19:30 საათზე.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა სრულდება კენჭისყრის დღის 20:30 საათზე.

1421. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას დასამტკიცებლად?
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
- საქართველოს პრეზიდენტი.

1422. კონსტიტუციის მიხედვით ვის და რა საფუძვლით შეუძლია მოსთხოვოს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე?
- საქართველოს იუსტიციის მინისტრს - თუ მიაჩნია, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება კანონს ეწინააღმდეგება.
- გამწესების წესის მიხედვით, უზენაესი სასამართლოს წევრს (წევრებს) ანგარიში კონკრეტულ საქმეზე შეიძლება მოსთხოვოს საქართველოს პარლამენტის უმრავლესობამ, ხოლო დანარჩენ მოსამართლეებს - იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ.
- ასეთი უფლება საქართველოში არავის არა აქვს.
- საქართველოს პრეზიდენტს, თუ მიაჩნია, რომ მოსამართლის (სასამართლოს) გადაწყვეტილება კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

1423. როგორი სამართლებრივი აქტია კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი?
- ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
- შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ისე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

1424. კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის წევრის პირადი გაჩხრეკა შეიძლება, თუ :
- არსებობს მთავრობის წინასწარი თანხმობა.
- არსებობს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თანხმობა.
- არსებობს პარლამენტის თანხმობა.
- არსებობს აშშ-ს საელჩოს თანხმობა.

1425. რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებაში არ არის აკრძალული საარჩევნო კამპანიის ჩატარება?
- სასამართლოში.
- სამხედრო ნაწილში.
- საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში.
- საქართველოს პარლამენტში.

1426. კონსტიტუციის მიხედვით როგორია საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობა?
- სრული შემადგენლობა არის 100 პარლამენტის წევრი.
- სრული შემადგენლობა არის 150 პარლამენტის წევრი.
- კონსტიტუციით რაოდენობა არ არის დადგენილი, დადგენილია მხოლოდ პრინციპი - 30 000 საქართველოს მოქალაქეზე მოდის 1 დეპუტატი.
- სრული შემადგენლობა არის 235 პარლამენტის წევრი.

1427. ქვემოთ ჩამოთვლილიდან ვის არა აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სარჩელით ან წარდგინებით მიმართვის უფლება?
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს.
- ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობით ორგანოს.
- თბილისის საკრებულოს.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს.

1428. დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი არის:
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება.
- თუ დეპუტატი არის უცხო სახელმწიფოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტმა მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილება.
- საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა.

1429. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნები ტარდება:
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.

- მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.
- მხოლოდ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.
- მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

1430. კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის მიხედვით მონიშნეთ სწორი პასუხი:
- რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირს, რომელიც იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში და მოხდილი აქვს სასჯელის ნახევარზე მეტი
- არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, 18 წლის ასაკიდან, ან პირს, რომელსაც არჩევნების დღეს შეუსრულდება 18 წელი
- რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირს, რომელიც იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში და მოხდილი აქვს სასჯელის ორი მესამედი
- რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც საქართველოში 10 წელზე მეტი ცხოვრობს

1431. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში კანდიდატები ხმათა თანაბარ რაოდენობას მიიღებენ?
- ინიშნება რიგგარეშე არჩევნები.
- ინიშნება ხელახალი არჩევნები.
- არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო.
- ინიშნება არჩევნების მესამე ტური.

1432. კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულება (ფუნქცია) არის:
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ფორმირება
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავება და განხორციელება
- კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის კონტროლი

1433. ვინ ატარებს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირებას?
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირებას ატარებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ეროვნული სასწავლო ცენტრი.
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირებას ატარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირებას ატარებს ცესკოს აპარატი.
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირებას ატარებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.

1434. პარლამენტის წევრთა რა რაოდენობა არის საჭირო პრეზიდენტის მიერ ვეტოს გამოყენების შემთხვევაში კონსტიტუციური კანონპროექტის პირვანდელი რედაქციის მიღებისათვის?
- პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედისა.
- პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედისა.
- პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.
- პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.

1435. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობებიდან რომელი შეესაბამება კონსტიტუციას?
- კანონს უკუძალა არ აქვს, თუ არ ამძიმებს პასუხისმგებლობას
- კანონს უკუძალა არ აქვს, თუ პარლამენტის მიერ რიგგარეშედ იქნა განხილული
- კანონს უკუძალა არ აქვს, თუ საქართველოს მთავრობის მიერ არ არის ინიცირებული
- კანონს უკუძალა არ აქვს, თუ არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას

1436. პოლიტიკურმა პარტია ”დემოკრატიის ზეობამ” არჩევნების დღემდე 1 დღით ადრე შეცვალა თავისი წარმომადგენელი, რის შესახებაც აცნობა შესაბამის საარჩევნო კომისიას. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თავისი განკარგულებით ცნობად არ მიიღო აღნიშნული ინფორმაცია იმ მოტივით, რომ მსგავსი ცვლილებების გაკეთების უფლება საარჩევნო სუბიექტებს ჰქონდათ არჩევნებამდე 3 დღით ადრე. სწორად მოიქცა თუ არა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, არჩევნების დღემდე 3 დღით ადრე გამოიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი.
- დიახ, თუმცა საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, არჩევნების დღემდე არა სამი, არამედ ხუთი დღით ადრე გამოიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, არჩევნების დღემდე ნებისმიერ დროს, გარდა კენჭისყრის დღისა გამოიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, არჩევნების დღემდე 1 დღით ადრე გამოიწვიოს ან/და

შეცვალოს თავისი წარმომადგენელი.

1437. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობებიდან რომელი არ შეესაბამება კონსტიტუციას?
- სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით
- სახალხო დამცველი უფლებამოსილია მის მიერ ინიცირებული კანონპროექტის რიგგარეშედ განხილვა მოსთხოვოს პარლამენტს
- სახალხო დამცველი მისთვის ცნობილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს ატყობინებს შესაბამის ორგანოებსა და პირებს
- სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები

1438. ვინ ნიშნავს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების თარიღს?
- პარლამენტის თავმჯდომარე.
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს მთავრობა.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.

1439. სარეფერენდუმო ბიულეტენში აღნიშნული უნდა იყოს მოქალაქეებისადმი მიმართული კითხვა სარეფერენდუმოდ გამოტანილ საკითხთან დაკავშირებით და ამ კითხვაზე პასუხის შესაძლო ვარიანტები:
- კი, არა.
- ვეთანხმები, არ ვეთანხმები.
- დიახ, არა.
- თანახმა ვარ, არა ვარ თანახმა.

1440. რომელი სამართლებრივი აქტით განისაზღვრება პირველი ვიცე-პრემიერისა და ვიცე-პრემიერის უფლებამოსილებანი?
- კანონით.
- ისინი პრემიერ-მინისტრის მიერ არიან დანიშნულნი, ამიტომ მათი უფლებამოსილებანიც პრემიერის აქტით განისაზღვრება.
- პრეზიდენტის ბრძანებულებით.
- ორგანული კანონით.

1441. როგორია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესი შესაბამისი ვაკანსიის წარმოქმნის შემდეგ?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს შესაბამისი ვაკანსიის წარმოშობის შემდეგ, კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე, წევრობის უფლებამოსილების ვადით, სახელობითი კენჭისყრით, კომისიის წევრთაგან ირჩევს შესაბამისი კომისია.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს შესაბამისი ვაკანსიის წარმოქმნის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე, წევრობის უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს შესაბამისი ვაკანსიის წარმოქმნის შემდეგ, კომისიის წევრთაგან ირჩევს შესაბამისი კომისია.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს შესაბამისი ვაკანსიის წარმოშობის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე, წევრობის უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, კომისიის წევრთაგან ირჩევს საუბნო კომისია.

1442. პარლამენტის მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატი პროკურატურამ მოწმის სახით გამოიძახა დასაკითხად, ვინაიდან გამომძიებლის ინფორმაციით მას, როგორც დეპუტატს ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს ჰქონდა მოპოვებული გამოძიებისათვის სასარგებლო ინფორმაცია. როგორ უნდა მოიქცეს დეპუტატი?
- დეპუტატს შეუძლია მიაწოდოს ეს ინფორმაცია, მაგრამ ამას არ გააკეთებს იმიტომ, რომ ამომრჩევლები აღარ დაუჭერენ მას მხარს მომდევნო არჩევნებში.
- მართლმსაჯულების ხელშეწყობა ყოველი მოქალაქის ვალია - დეპუტატი ვალდებულია მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია გამომძიებელს.
- იმის გამო რომ დეპუტატმა უარი თქვა იმ ინფორმაციის მიწოდებაზე, რომელიც მას როგორც დეპუტატს გაანდეს, დააყენა პარლამენტის წინაშე მისი იმუნიტეტის მოხსნა.
- დეპუტატს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ საკითხზე, რომელიც მოიპოვა ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს.

1443. კენჭისყრის ჩატარებიდან რა ვადაში ადგენს ცესკო საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, ქალაქ თბილისის მერისა და ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს?
- კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-19 დღისა.
- კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-20 დღისა.
- კენჭისყრიდან არაუგვიანეს 25-ე დღისა.
- კენჭისყრიდან არაუგვიანეს 21-ე დღისა.

1444. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელი არის სწორი?
- წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა საქართველოს იმ მოქალაქისა, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება.
- წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებისა.
- წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა სახალხო დამცველის აპარატში შექმნილი სპეციალური ჯგუფის წევრებისა.
- წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა საქართველოს იმ მოქალაქისა, რომელიც სწავლობს იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსზე.

1445. ჩამოთვლილთაგან რისი უფლება აქვს დამკვირვებელს?
- კენჭისყრის დღეს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში სამკერდე ნიშნის გარეშე.
- ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა.
- კენჭისყრის დღის ნებისმიერ დროს შეენაცვლოს მისი წარმდგენი ორგანიზაციის რეგისტრირებულ წარმომადგენელს.
- მოუწოდოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერისკენ.

1446. გადასატანი საარჩევნო ყუთის სია არ დგება ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიების საფუძველზე, თუ:
- ამომრჩეველი სამკურნალოდ წევს საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და მასში იხსნება საარჩევნო უბანი.
- ამომრჩეველი მსახურობს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში ან სასაზღვრო პოლიციის ქვედანაყოფში, რომელიც საარჩევნო უბნიდან შორსაა განლაგებული.
- ამომრჩეველი იმყოფება პატიმრობაში.
- ამომრჩეველს შეზღუდული შესაძლებლობის, ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა.

1447. საქართველოს პრეზიდენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს -საკრებულოს პირველი სხდომა მოიწვია არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან მე-15 დღეს. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- დიახ, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს ცესკო არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში.
- დიახ, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 10 დღის ვადაში.
- დიახ, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს პირველი სხდომა მოიწვევა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის-გუბერნატორის მიერ.
- დიახ, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 50 დღის ვადაში.

1448. ვინ შეიძლება იყოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი?
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს პარტიული, უმაღლესი განათლების მქონე პირი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს პარტიული, საშუალო განათლების მქონე პირი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს უპარტიო, საშუალო განათლების მქონე პირი.

1449. დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომა
- შენიშვნა.
- გაფრთხილება.
- უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა – არაუმეტეს 1 წლისა.
- საყვედური.

1450. ქვემდგომი საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს:
- შესაბამისი რაიონის გამგეობას.
- საოლქო საარჩევნო კომისიას.
- იმ კომისიის წევრთა ნახევარზე მეტს, რომელსაც ამ განკარგულებით ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება.
- დაინტერესებულ ორგანიზაციას.

1451. საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვების მიზნით ცესკოს მიმართა შპს „მიუკერძოებლობამ" განცხადებით, რომლის დებულებაშიც ერთ-ერთ ფუნქციად მითითებული იყო არჩევნების მონიტორინგი. ცესკომ უარი განუცხადა ორგანიზაციას რეგისტრაციაზე. სწორად მოიქცა თუ არა ცენტრალური საარჩევნო კომისია?
- ცენტრალური საარჩევნო კომისია მოიქცა უკანონოდ, რადგან ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელიც დარეგისტრირებულია კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 2 წლისა, აქვს უფლება იყოს დამკვირვებელი არჩევნებზე.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია მოიქცა კანონიერად, რადგან დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 2 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია მოიქცა კანონიერად, რადგან დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 1 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო იურიდიული პირი.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია მოიქცა უკანონოდ, რადგან ნებისმიერ სამეწარმეო იურიდიულ პირს, რომელიც დარეგისტრირებულია კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 1 წლისა, აქვს უფლება იყოს დამკვირვებელი არჩევნებზე.

1452. რა არის ერთ-ერთი წინაპირობა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა უნდა შეასრულოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წარდგენისას?
- საქართველოს კონსტიტუცია არანაირ წინაპირობას არ ითვალისწინებს, ეს პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილებაა.
- საქართველოს პარლამენტის შესაბამისი შინაარსის დადგენილება.
- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები 30 000 ამომრჩევლის წერილობითი წინადადება.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებთან კონსულტაციების გამართვა.

1453. რა უნდა ერთვოდეს განცხადებას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენის შესახებ?
- პრეზიდენტობის კანდიდატის წერილობითი თანხმობა და ოთხი ფოტოსურათი.
- მხოლოდ პრეზიდენტობის კანდიდატის წერილობითი თანხმობა.
- პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა არჩევნებში მონაწილეობაზე, მისი დაბადების მოწმობის ფოტოასლი და სამი ფოტოსურათი.
- პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა და მისი დაბადების მოწმობის ფოტოასლი.

1454. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს 12 საათისა საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს.
- საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს 48 საათისა საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს.
- საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს 6 საათისა საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს.
- საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს 24 საათისა საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს.

1455. მაქსიმუმ რა დროით შეიძლება იმყოფებოდეს ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში არჩევნების დღეს?
- არჩევნების დღეს ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში შესაძლოა იმყოფებოდეს მაქსიმუმ 20 წუთით.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- არჩევნების დღეს ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში შესაძლოა იმყოფებოდეს მაქსიმუმ 15 წუთით.
- არჩევნების დღეს ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში შესაძლოა იმყოფებოდეს მაქსიმუმ 25 წუთით.

1456. ვინ ადგენს საარჩევნო სუბიექტებისათვის საარჩევნო ღონისძიებათა გამართვის განრიგს?
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები.
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცესკო.

1457. რა სახის სამართლებრივ აქტს წარმოადგენს უსკოს დადგენილება?
- ინდივიდუალურ ნორმატიულ აქტს.
- ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.
- საკანონმდებლო აქტს.
- კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს.

1458. მოსამსახურეს არა აქვს უფლება

- მიიღოს თანამდებობრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები.
- მიიღოს ინფორმაცია თანამდებობრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად.
- მოითხოვოს სამსახურებრივი გამოძიება თავისი პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გაბათილების მიზნით.
- სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს პარტიული საქმიანობისათვის.

1459. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, რომელია ადმინისტრაციული წარმოების სახე?
- ფორმალური.
- არაფორმალური.
- ზოგადი.
- მრავალსაფეხურიანი.

1460. რეგისტრირებულმა საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაცია უნდა წარუდგინოს:
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანს.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

1461. არის თუ არა საარჩევნო კომისიის წევრი მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელი?
- დიახ, საარჩევნო კომისიის წევრი არის მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელი და ასრულებს მის უშუალო დავალებებს.
- არა, საარჩევნო კომისიის წევრი არ არის მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელი.
- არა, საარჩევნო კომისიის წევრი არ არის მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელი, გარდა საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრებისა.
- დიახ, საარჩევნო კომისიის წევრი არის მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელი.

1462. ვალდებულია თუ არა საარჩევნო კომისია საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია გააცნოს ყველა დაინტერესებულ პირს?
- არა, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ გააცნოს საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია ზოგიერთ დაინტერესებულ პირს.
- არა, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია მათი მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში გააცნოს ზოგიერთ დაინტერესებულ პირს.
- არა, საარჩევნო კომისია არ არის ვალდებული საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია გააცნოს ყველა დაინტერესებულ პირს.
- დიახ, საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია მათი მოთხოვნიდან 2 დღის ვადაში გააცნოს ყველა დაინტერესებულ პირს.

1463. როდის წყდება საკრებულოს ძველი შემადგენლობის უფლებამოსილება?
- პარლამენტის მიერ არჩევნების შედეგების დამტკიცების შემდეგ.
- არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების დღიდან.
- ახალარჩეული საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე.
- არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ხელმოწერისთანავე.

1464. თბილისის მერობის არჩევნებში მონაწილე მერობის ერთ-ერთმა კანდიდატმა მიიღო სხვა კანდიდატებზე მეტი ხმა, თუმცა მიუხედავად ამისა, უფლებამოსილმა ორგანომ არ ჩათვალა მისი კანდიდატურა არჩეულად, იმ არგუმენტით, რომ არჩევნებში მონაწილე 5 000 ამომრჩევლიდან მას ხმა მისცა მხოლოდ 1 000 ადამიანმა, რაც მათი განცხადებით საკმარისი არ იყო მერის არჩევისთვის. სწორი იყო თუ არა უფლებამოსილი ორგანოს განცხადება?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნებში არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მიიღო სხვებზე მეტი ხმა, მაგრამ არანაკლებ არჩევნებში მონაწილეთა 20 პროცენტისა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნებში არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მიიღო სხვებზე მეტი ხმა, მაგრამ არანაკლებ არჩევნებში მონაწილეთა 30 პროცენტისა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნებში არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მიიღო სხვებზე მეტი ხმა.
- დიახ, რადგან მერის არჩევნებში არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 50 %-ზე მეტი მიიღო.

1465. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი მსჯელობა არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას?
- საგამოძიებო ორგანოებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება ბინის ჩხრეკის შესახებ საკუთარი ინიციატივით
- ბინაში შესვლა, აგრეთვე ჩხრეკის ჩატარება ბინის მფლობელის თანხმობის გარეშე დასაშვებია, თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა

- რაიონულ პოლიციას უფლება აქვს მფლობელის თანხმობის გარეშე შევიდეს მის საცხოვრებელ ბინაში, თუ მიღებული აქვს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება
- პოლიციას აქვს უფლება მფლობელის თანხმობის გარეშე შევიდეს მის საცხოვრებელ ბინაში, თუ მიღებული აქვს პროკურორის დავალება

1466. რა სახის ხარჯების დაფარვის ვალდებულება აქვთ დაკისრებული საარჩევნო კომისიებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მათთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის გადაცემულ შენობა-ნაგებობებსა და ინვენტართან დაკავშირებით?
- საარჩევნო კომისიებს ეკისრებათ მხოლოდ კომუნალური ხარჯების დაფარვის ვალდებულება.
- საარჩევნო კომისიებს ეკისრებათ ინვენტარის ექსპლოატაციის ხარჯების დაფარვის ვალდებულება.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- საარჩევნო კომისიებს ეკისრებათ შენობა-ნაგებობების ექსპლოატაციის ხარჯების დაფარვისვალდებულება.

1467. ვინ ატარებს რეგისტრაციაში არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებს საუბნო საარჩევნო კომისიებში?
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ცესკოს თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი.

1468. ვინ შეიძლება იქნეს არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს - საკრებულოს წევრად?
- საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 2 წელი მაინც.
- საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არ მქონე პირი, რომელსაც საქართველოში უცხოვრია უკანასკნელი 2 წელი მაინც.
- საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია უკანასკნელი 2 წელი მაინც.
- საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია უკანასკნელი 5 წელი მაინც.

1469. საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს:
- სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.
- მხოლოდ კომისიის თავმჯდომარე.
- კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.
- მხოლოდ სხდომის მდივანი.

1470. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელისათვის დადგენილია შემდეგი ძირითადი მოთხოვნები
- ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, აქვს საშუალო განათლება მაინც და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.
- ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 16 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.
- ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 17 წლის ასაკს, აქვს საშუალო განათლება მაინც და ვერ ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.
- ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 17 წლის ასაკს, აქვს საშუალო განათლება მაინც და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

1471. ვინ ატარებს რეგისტრაციაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს - საკრებულოს წევრად არჩეულ პირებს და გადასცემს მათ შესაბამის მოწმობებს?
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ცესკოს მდივანი.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი.
- ცესკოს თავმჯდომარე.

1472. კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს:
- პარლამენტის წევრთა ფრაქციას.
- მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას.
- პარლამენტის წევრთა კომიტეტს.
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს.

1473. საპარლამენტო არჩევნების დროს პარტიულ სიას საარჩევნო რეგისტრაციაში ატარებს:
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი.

1474. საარჩევნო კომისიის სხდომაზე საკადრო საკითხები წყდება:
- საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.
- საარჩევნო კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

1475. რა დროს არის დაუშვებელი საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება?
- საგანგებო მდგომარეობის დროს.
- პარლამენტის საშემოდგომო სესიის დროს.
- პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოლო 6 თვის განმავლობაში.
- პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებიდან 6 თვის განმავლობაში.

1476. კონსტიტუციაზე დაყრდნობით მონიშნეთ სწორი პასუხი:
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების აკრძალვა მხოლოდ ეროვნული უშიშროების საბჭოს პრეროგატივაა
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის შეჩერება შეუძლია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, თუ იგი უხეშად არღვევს საარჩევნო კანონმდებლობას
- პოლიტიკურ გაერთიანებათა აკრძალვა დაუშვებელია, ამით პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპი ირღვევა
- მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა აკრძალვა შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით

1477. რომელი ორგანო ადგენს ამომრჩეველთა სპეციალურ სიას, რომელშიც შეყვანილნი არიან საარჩევნო ადმინისტრაციის ის მოხელეები, რომლებიც კენჭისყრის დღეს საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო ვერ იღებენ მონაწილეობას არჩევნებში მათი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით?
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცესკო.
- სამოქალაქო რეესტრი.
- საუბნო საარჩევნო კომისია.

1478. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება არა აქვს ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს:
- მეზობელი.
- დამკვირვებელი.
- მეგობარი.
- ახლობელი.

1479. როდის ტარდება ხელახალი არჩევნები?
- არჩევნები, რომელიც იმართება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.
- თუ არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი სასამართლოს გადაწყვეტილებით.
- არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობის შესავსებად.
- საერთო არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო.

1480. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტებია:
- ცესკოს ბრძანებულება.
- ცესკოს ბრძანება.
- ცესკოს განკარგულება და ბრძანებულება.
- ცესკოს დადგენილება და განკარგულება.

1481. კენჭისყრის დღეს პოლიციის თანამშრომელი ხმის მისაცემად დილის 9 საათზე გამოცხადდა ვაკის საარჩევნო ოლქის N2 საარჩევნო

უბანზე, მაგრამ იმის გამო, რომ თან ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი, ნაკადის მომწესრიგებელმა კომისიის წევრმა მას აუკრძალა კენჭისყრის შენობაში შესვლა. პოლიციის თანამშრომლის განმარტებით მას უფლება არ ჰქონდა საშტატო იარაღის ზედამხედველობის გარეშე დატოვების უფლება. მიუხედავად ამ არგუმენტისა, ნაკადის მომწესრიგებელმა კომისიის წევრმა მას არ მისცა კენჭისყრის შენობაში შესვლის უფლება. კანონიერად მოქმედებდა თუ არა კომისიის წევრი?
- არა, რადგან პოლიციის თანამშრომელს ნებისმიერ შემთხვევაში უფლება აქვს საშტატო ცეცხლსასროლი იარაღით შევიდეს კენჭისყრის შენობაში.
- დიახ, რადგან პოლიციის თანამშრომელს არცერთ შემთხვევაში არ აქვს უფლება ცეცხლსასროლი იარაღით შევიდეს კენჭისყრის შენობაში.
- დიახ, რადგან დაუშვებელია კენჭისყრის შენობაში შეიარაღებულ პირთა შესვლა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კენჭისყრის შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე საფრთხე ექმნება კენჭისყრის ჩატარებას.
- არა, რადგან კენჭისყრის შენობაში ცეცხლსასროლი იარაღით პოლიციის თანამშრომლის შესვლის საკითხი უნდა გადაეწყვიტა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

1482. ცესკომ თავის სხდომაზე შეაჯამა საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგები და შეადგინა არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი. აღნიშნულმა არჩევნებმა ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, ცესკოს მიმართა მოქალაქე მაია ზარიძემ და მოითხოვა არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი. ცესკომ ქალბატონს უარი განუცხადა ფოტოასლის გაცემაზე და ეს იმით დაასაბუთა, რომ არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი საიდუმლო ინფორმაციას შეიცავდა. დაარღვია თუ არა ცესკომ კანონი?
- ცესკომ დაარღვია მოქმედი კანონმდებლობა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამოწმებული ფოტოასლები გადაეცემა ყველა დაინტერესებულ პირს.
- ცესკოს არ დაურღვევია მოქმედი კანონმდებლობა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი არის ნორმატიული ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი და დახურული ტიპის ინფორმაციას შეიცავს, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის.
- ცესკოს არ დაურღვევია მოქმედი კანონმდებლობა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი, რომელიც დახურული ტიპის ინფორმაციას შეიცავს.
- ცესკომ დაარღვია მოქმედი კანონმდებლობა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცესკოს თავმჯდომარე მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას განკარგულებით.

1483. როგორ ხდება მთვლელების მიერ კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის დათვლის შედეგების დაფიქსირება?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს დაუყოვნებლივ შეაქვს დათვლის შედეგები შესაბამის ოქმში.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს დათვლის შედეგები ჩანაწერთა წიგნში.
- დათვლის შედეგები საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ შეაქვს დათვლის შედეგები სადემონსტრაციო ოქმში.

1484. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას კენჭისყრის დღეს ერთდროულად მაქსიმუმ რამდენი წარმომადგენელი შეიძლება ჰყავდეს საარჩევნო უბანში?
- 2.
- 4.
- 1.
- 3.

1485. რომელი მსჯელობაა სწორი?
- პარტიული სიების/კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვამდე საარჩევნო ბლოკიდან პარტიის/პარტიების გასვლის შემთხვევაში თითოეულ მათგანს უფლება აქვს გააგრძელოს არჩევნებში მონაწილეობა, გარიცხვის შემთხვევაში - არჩევნებში მონაწილეობის უფლება აღარ აქვთ.
- პარტიული სიების/კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვამდე საარჩევნო ბლოკიდან პარტიის/პარტიების გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში თითოეულ მათგანს უფლება აქვს, გააგრძელოს არჩევნებში მონაწილეობა.
- პარტიული სიების/კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვამდე საარჩევნო ბლოკიდან პარტიის/პარტიების გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში არც ერთ მათგანს უფლება არ აქვს გააგრძელოს არჩევნებში მონაწილეობა.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

1486. ვინ და ვისი თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობას?
- ცესკოს თავმჯდომარე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების თანდასწრებით.
- ცესკოს თავმჯდომარე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე

პირთა თანდასწრებით.

1487. მანანა ნიშნიანიძე, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი იყო, არასაპატიო მიზეზით საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას ზედიზედ 3-ჯერ არ დაესწრო. აღნიშნულის გამო ზემდგომმა საოლქო საარჩევნო კომისიამ მას დააკისრა 5000 ლარიანი ჯარიმა. კანონიერად მოქმედებდა თუ არა საოლქო საარჩევნო კომისია?
- არა, რადგან ჯარიმა არ წარმოადგენს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დისციპლინური გადაცდომისათვის საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომას.
- არა, რადგან კომისიის წევრისთვის შეფარდებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმის ადეკვატური უნდა იყოს.
- დიახ, რადგან მანანა ნიშნიანიძის ქმედება წარმოადგენდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომას და შესაბამისად კომისიას ჰქონდა მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების სრული უფლება.
- არა, რადგან მანანა ნიშნიანიძის ქმედება არ წარმოადგენდა დისციპლინურ გადაცდომას და შესაბამისად მის მიმართ ჯარიმის სახით დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება დაუშვებელი იყო.

1488. ქვემოთ მოცემული რომელი მსჯელობა არის სწორი?
- რიგგარეშე არჩევნების დროს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად უფლებამოსილმა პირმა, რიგგარეშე არჩევნებამდე არა უგვიანეს 30-ე დღისა ცესკოს უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერი ამომრჩევლების სია.
- რიგგარეშე არჩევნების დროს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად უფლებამოსილმა პირმა, რიგგარეშე არჩევნებამდე არა უგვიანეს 35-ე დღისა ცესკოს უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერი ამომრჩევლების სია.
- რიგგარეშე არჩევნების დროს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად უფლებამოსილმა პირმა, რიგგარეშე არჩევნებამდე არა უგვიანეს 45-ე დღისა ცესკოს უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერი ამომრჩევლების სია.
- რიგგარეშე არჩევნების დროს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად უფლებამოსილმა პირმა, რიგგარეშე არჩევნებამდე არა უგვიანეს 40-ე დღისა ცესკოს უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერი ამომრჩევლების სია.

1489. რა ხდება იმ შემთხვევაში თუ დადგინდა, რომ მოქალაქემ 2-ჯერ ან უფრო მეტჯერ მოაწერა ხელი განცხადებას რეფერენდუმის მოწყობის შესახებ?
- მისი ყველა ხელმოწერა ბათილად ითვლება.
- ნებისმიერი ერთი ხელმოწერა ინარჩუნებს იურიდიულ ძალას, ხოლო დანარჩენები ბათილად ცხადდება.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ის ხელმოწერა, რომელიც უფრო ადრე იქნა შესრულებული ინარჩუნებს იურიდიულ ძალას, ხოლო დანარჩენი ბათილად ცხადდება.

1490. რას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია იმ შემთხვევისათვის თუ ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე საქართველოს პარლამენტი ვერ ახერხებს სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებას?
- თუ საბიუჯეტო წლის მომდევნო ორი თვის განმავლობაშიც ვერ მიიღებს პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტს, საქართველოს პრეზიდენტი ან პარლამენტს დაითხოვს ან მთავრობას გადააყენებს.
- საქართველოს პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს, დანიშნავს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს და თავისი დეკრეტით დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს.
- თუ პარლამენტი ვერ მოახერხებს ბიუჯეტის მიღებას კონსტიტუციით დადგენილ ვადაში, ხარჯები დაიფარება წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, ხოლო პარლამენტს ბიუჯეტის მიღება შეუძლია მომდევნო ორი თვის განმავლობაში.
- საქართველოს პრეზიდენტი დაითხოვს უუნარო პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს.

1491. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- სახელმწიფო მინისტრი ინიშნება განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად.
- საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფო მინისტრის ინსტიტუტი გათვალისწინებული არ არის.
- სახელმწიფო მინისტრი ინიშნება მხოლოდ სამინისტროს საკანონმდებლო საქმიანობის უზრუნველსაყოფად.
- სახელმწიფო მინისტრი ინიშნება იმ მიზნით, რომ მინისტრის გადადგომის შემთხვევაში შეასრულოს მისი მოვალეობა.

1492. კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას?
- ყველა ეწინააღმდეგება
- საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის არჩევნებში გაიმარჯვა და საქართველოს პრეზიდენტი გახდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეცაა
- საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის არჩევნებში გაიმარჯვა და საქართველოს პრეზიდენტი გახდა მდედრობითი სქესის ნატურალიზებული საქართველოს მოქალაქე
- საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის არჩევნებში გაიმარჯვა და საქართველოს პრეზიდენტი გახდა ნატურალიზებული საქართველოს მოქალაქე, რომელიც სასჯელს იხდის მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის

1493. რომელი ორგანო განიხილავს სარჩელს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შესახებ?
- საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლო.
- მხოლოდ უზენაესი სასამართლო.
- მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლო.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.

1494. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დაპატიმრებაზე თანხმობას ცენტრალური საარჩევნო კომისია აძლევს:
- ბრძანებით.
- დადგენილებით.
- განკარგულებით.
- საოქმო ჩანაწერით.

1495. რა სახის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ამომრჩევლების ხელმოწერათა რაოდენობა?
- საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით.
- კონსტიტუციით.
- ორგანული კანონით.
- კონსტიტუციური კანონით.

1496. კონსტიტუციის ტექსტის გათვალისწინებით ქვემოთ მოყვანილიდან მონიშნეთ სწორი მსჯელობა.
- საქართველოში ოფიციალური ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე - აფხაზური
- საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული
- საქართველოში მათ შორის აფხაზეთში სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო საქმისწარმოების ოფიციალური ენა აგრეთვე არის ინგლისური და რუსული
- საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე - აფხაზური

1497. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვის მიზნით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა:
- მხოლოდ კომისიის წევრებისათვის, დამკვირვებლებისთვის და მეთვალყურეებისთვის.
- მხოლოდ კომისიის წევრებისათვის და დამკვირვებლებისთვის.
- საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირისა და ამომრჩევლისათვის.
- მხოლოდ კომისიის წევრებისათვის.

1498. რა ვადაში უნდა წარუდგინოს პარტიამ ცესკოს მხარდამჭერთა სია?
- ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 15 აგვისტოსი.
- არჩევნებამდე 60 დღით ადრე მაინც.
- არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა.
- ნიმუშის მიღებიდან 50 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

1499. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია:
- პოლიტიკური პარტიის წევრობასთან.
- მოსამართლეთა კონფერენციის წევრობასთან.
- არასამთავრობო, არაკომერციული იურიდიული პირის წევრობასთან, თუ ეს წევრობა არ ითვალისწინებს ანაზღაურებად საქმიანობას.
- უნივერსიტეტის პროფესორობასთან.

1500. ვინ ატარებს რეგისტრაციაში იმ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს 1 საარჩევნო ოლქში?
- ცესკო.
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- უსკო.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

1501. ცესკოს წევრების (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა) უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება:
- 3 წლით.
- 4 წლით.
- 5 წლით.
- 2 წლით.

1502. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ის საფუძველი, რომელზე აპელირებითაც პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება?
- ერთი ფრაქციიდან მეორეში გადასვლა.
- საპენსიო ასაკის მიღწევა.
- ერთთვიანი ავადმყოფობა.
- სახელმწიფო სამსახურში კანონით დადგენილი თანამდებობის დაკავება.

1503. კენჭისყრისას რა შემთხვევაში ითვლება მიღებულად საქართველოს პარლამენტში ორგანული კანონის პროექტი?
- თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.
- თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა.
- თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
- თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

1504. საარჩევნო კოდექსით დადგენილი ზოგადი წესის მიხედვით, რა ვადა უნდა მიეცეთ საარჩევნო სუბიექტებს იმ ხარვეზის შესავსებად, რომელიც მათ მიერ წარმოდგენილ რეგისტრაციაში გატარების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იქნა აღმოჩენილი შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ?
- 3 დღე.
- 5 დღე.
- 4 დღე.
- 10 დღე.

1505. რომელია სწორი მსჯელობა?
- საარჩევნო სუბიექტები არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 დღისა შესაბამის საარჩევნო კომისიას წარუდგენენ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს საარჩევნო კამპანიის ფონდში ჩარიცხული ფულადი სახსრების წყაროს მითითებით.
- საარჩევნო სუბიექტები არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 დღისა, ხოლო საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც წინასწარი მონაცემებით მიიღებენ საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი ხმების საჭირო რაოდენობას, კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს 12 დღისა შესაბამის საარჩევნო კომისიას წარუდგენენ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს.
- საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც წინასწარი მონაცემებით მიიღებენ საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი ხმების საჭირო რაოდენობას, კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს 12 დღისა შესაბამის საარჩევნო კომისიას წარუდგენენ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს საარჩევნო კამპანიის ფონდში ჩარიცხული ფულადი სახსრების წყაროს მითითებით.
- საარჩევნო სუბიექტები არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, ხოლო ის საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც წინასწარი მონაცემებით მიიღებენ საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი ხმების საჭირო რაოდენობას, კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს 18 დღისა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აუდიტორულ (აუდიტორული ფირმის) დასკვნასთან ერთად წარუდგენენ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს ფულადი სახსრების წყაროს მითითებით.

1506. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას იღებდა პარტია „განთიადი". გაზეთმა „მიმინო", რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, მთელი გაზეთი დაუთმო აღნიშნულ პარტიას, ვინაიდან „განთიადი" მიიჩნეოდა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- დაირღვა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არც ერთ საარჩევნო სუბიექტს გაზეთის 1 ნომერში არ უნდა დაეთმოს გამოყოფილი ფართობის ორ მესამედზე მეტი.
- დაირღვა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არც ერთ საარჩევნო სუბიექტს გაზეთის 1 ნომერში არ უნდა დაეთმოს გამოყოფილი ფართობის ერთ მესამედზე მეტი.
- დაირღვა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არც ერთ საარჩევნო სუბიექტს გაზეთის 1 ნომერში არ უნდა დაეთმოს გამოყოფილი ფართობის ნახევარზე მეტი.
- დაირღვა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არც ერთ საარჩევნო სუბიექტს გაზეთის 1 ნომერში არ უნდა დაეთმოს გამოყოფილი ფართობის ერთ მეოთხედზე მეტი.

1507. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
- წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი.
- წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 200-ზე ნაკლები და 500-ზე მეტი.
- წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 70-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი.
- წარდგენილ პარტიულ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 50-ზე ნაკლები და 100-ზე მეტი.

1508. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნების თარიღს განკარგულებით ნიშნავს და საარჩევნო

ღონისძიებათა ვადებს განკარგულებით ადგენს ცესკო არჩევნების დღემდე არა უგვიანეს რამდენი თვისა?
- არა უგვიანეს 2 თვისა.
- არა უგვიანეს 4 თვისა.
- არა უგვიანეს 1 თვისა.
- არა უგვიანეს 3 თვისა.

1509. რომელი მსჯელობაა სწორი:
- საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები არჩევნების დასრულების მომენტიდან სარგებლობენ თანასწორი უფლებებით საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით" დადგენილი წესით.
- საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები არჩევნების დანიშვნიდან 10 დღის შემდეგ სარგებლობენ თანასწორი უფლებებით საქართველოს ორგანული კანონით „სისხლის სამართლის კოდექსით" დადგენილი წესით.
- საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები ცესკოს თავმჯდომარის თანხმობის მომენტიდან სარგებლობენ თანასწორი უფლებებით საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით" დადგენილი წესით.
- საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები არჩევნების დანიშვნის მომენტიდან სარგებლობენ თანასწორი უფლებებით საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით" დადგენილი წესით.

1510. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი მსჯელობა არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას?
- საგამოძიებო ორგანოებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება ბინის ჩხრეკის შესახებ საკუთარი ინიციატივით
- ბინაში შესვლა, აგრეთვე ჩხრეკის ჩატარება ბინის მფლობელის თანხმობის გარეშე დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილებით
- რაიონულ პოლიციას უფლება აქვს მფლობელის თანხმობის გარეშე შევიდეს მის საცხოვრებელ ბინაში, თუ მიღებული აქვს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება
- პოლიციას აქვს უფლება მფლობელის თანხმობის გარეშე შევიდეს მის საცხოვრებელ ბინაში, თუ მიღებული აქვს პროკურორის დავალება

1511. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ვის არ შეუძლია იყოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წევრი?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს
- შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსს
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს

1512. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია არასწორი?
- კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას ცესკოს მიერ დადგენილი საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი.
- კენჭისყრის შენობაში ფარული კენჭისყრისთვის უნდა მოეწყოს კაბინები, რომელთა ერთი მხარე ღია უნდა იყოს მისი სიმაღლის ნახევრამდე, ხოლო ქვედა ნახევარი ფარდით უნდა იყოს დაფარული.
- ყოველი 500 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ ერთი კაბინა.
- კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას უნდა იდგეს გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი.

1513. ვინ აქვეყნებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიას?
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიას აქვეყნებს პარლამენტი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიას აქვეყნებს ცესკო.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიას აქვეყნებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიას აქვეყნებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

1514. ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან, რომელი არ არის საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი?
- თუ საარჩევნო კომისიის წევრმა არჩევის შემთხვევაში 5 დღის ვადაში არ შეწყვიტა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობა ან/და სამსახური.
- თუ არსებობს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან თუ საარჩევნო კომისიის წევრის მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დაადასტურა სასამართლომ – სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში.
- არასპატიო მიზეზით ზედიზედ 2 თვის განმავლობაში ცესკოს ან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/წევრის უფლებამოსილების შეუსრულებლობის ან ცესკოს ან საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის ზედიზედ 3-ჯერ გაცდენის შემთხვევაში.
- საარჩევნო კომისიის წევრის დამნიშვნელი პარტიის მიერ კანონით დადგენილი წესით მისი გამოწვევისას – გამოწვევის შესახებ განცხადების წარდგენის შემთხვევაში.

1515. პლებისციტის დანიშვნის უფლება აქვს:
- საქართველოს მთავრობას.
- საქართველოს პარლამენტს.

- საქართველოს პრემიერ-მინისტრს.
- პოლიტიკურ გაერთიანებებს.

1516. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რა ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სამსახურებრივ საკითხზე გამოცემული ბრძანება სასამართლოში:
- 3 თვის ვადაში.
- 2 თვის ვადაში.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- 1 თვის ვადაში.

1517. კონსტიტუციის მიხედვით რა ვადებში ტარდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საპროგრამო სიტყვის წარმოთქმისა და ფიცის დადების ცერემონიალი-ინაუგურაცია?
- პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს.
- კენჭისყრის ჩატარების დღიდან მესამე კვირა დღეს.
- პრეზიდენტის არჩევნების დღიდან მესამე კვირა დღეს.
- კონსტიტუციით ცერემონიალის ჩატარების ვადები არაა განსაზღვრული.

1518. პლებისციტი არის:
- კენჭისყრით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად.
- საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად.
- საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით კანონის მისაღებად, ან გასაუქმებლად.
- კენჭისყრით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე საქართველოს ამომრჩეველთა მოსაზრების გასაგებად.

1519. რომელი არ არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტი?
- საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილება.
- ცესკოს დადგენილება.
- საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება.
- ცესკოს მდივნის განკარგულება.

1520. თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით გამართული პარლამენტის არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერც ერთმა პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5%, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 2 კვირის ვადაში ტარდება:
- არჩევნების მეორე ტური.
- შუალედური არჩევნები.
- რიგგარეშე არჩევნები.
- ხელახალი კენჭისყრა.

1521. პირი გათავისუფლდა საჯარო სამსახურიდან. გათავისუფლებიდან ერთი თვის შემდეგ მან საჯარო გახადა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მისთვის ცნობილი კონფიდენციალური ინფორმაცია. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პირის ქმედება:
- არ არის კანონიერი, ვინაიდან პირი ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალობა სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგაც.
- კანონიერია, ვინაიდან პირი არ არის ვალდებული დაიცვას საჯარო სამსახურში მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალობა სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ.
- კანონიერია, ვინაიდან პირი არ არის ვალდებული დაიცვას საჯარო სამსახურში მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალობა გათავისუფლებიდან ერთი თვის შემდეგ.
- არ არის კანონიერი, ვინაიდან პირი ვალდებულია დაიცვას საჯარო სამსახურში მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალობა გათავისუფლებიდან 6 თვისგანმავლობაში.

1522. ვინ იღებს გადაწყვეტილებას რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნასთან დაკავშირებით?
- საქართველოს მთავრობა.
- ცესკო.
- საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს პრეზიდენტი.

1523. რომელ თვეში ტარდება მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები?
- ოქტომბერში.
- მარტში.
- აპრილში.
- სექტემბერში.

1524. ზოგადი წესის მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიამ საარჩევნო უბნის შექმნიდან რა ვადაში უნდა უზრუნველყოს ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე საარჩევნო უბნების ნომრების, საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართების, ტელეფონის (ფაქსის) ნომრების და სხვა რეკვიზიტების გამოქვეყნება?
- არა უგვიანეს 5 დღისა.
- არა უგვიანეს 6 დღისა.
- არა უგვიანეს 7 დღისა.
- არა უგვიანეს 4 დღისა.

1525. პარტიულ სიას საარჩევნო რეგისტრაციაში ატარებს ცესკოს თავმჯდომარე:
- განკარგულებით.
- დადგენილებით.
- ბრძანებით.
- გადაწყვეტილებით.

1526. როგორ წყდება იმ ბიულეტენების საკითხი, რომელთა ნამდვილობაც დათვლის დროს საეჭვოდ იქნა მიჩნეული?
- ასეთი ბიულეტენების ნამდვილობის საკითხს წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრით.
- ასეთი ბიულეტენის ნამდვილობის საკითხს წყვეტენ დამკვირვებლები კენჭისყრით.
- ასეთი ბიულეტენის ნამდვილობის საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრით.
- ასეთი ბიულეტენი ითვლება ბათილად და ცალკე ილუქება.

1527. ერთ-ერთი რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებას?
- პრემიერ-მინისტრი ვალდებულია 2 კვირის ვადაში დანიშნოს ახალი მინისტრი.
- პრემიერ-მინისტრი ვალდებულია 3 კვირის ვადაში დანიშნოს ახალი მინისტრი.
- პრემიერ-მინისტრი წარუდგენს პრეზიდენტს დასანიშნად ახალ კანდიდატურას.
- პრემიერ-მინისტრი წარუდგენს პარლამენტს ასარჩევად რამდენიმე კანდიდატურას.

1528. რა რაოდენობის ამომრჩევლებისთვის იქმნება საარჩევნო უბანი, გარდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა?
- არანაკლებ 10 და არაუმეტეს 1500 ამომრჩევლისა.
- არანაკლებ 50 და არაუმეტეს 1500 ამომრჩევლისა.
- არანაკლებ 20 და არაუმეტეს 1500 ამომრჩევლისა.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.

1529. რა ჩაითვლება საარჩევნო კამპანიის ხარჯებად?
- კამპანიის ხარჯებად ითვლება კანდიდატის/კანდიდატების პირადი ქონება.
- კამპანიის ხარჯებად ითვლება საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების ერთობლიობა.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- კამპანიის ხარჯებად ითვლება კანდიდატის/კანდიდატების ოჯახის წევრების ქონება.

1530. მორიგ არჩევნებში არჩეული თვითმმართველი ქალაქის - თბილისის მერის უფლებამოსილების ვადაა?
- 4 წელი.
- 5 წელი.
- 2 წელი.
- 3 წელი.

1531. ვინ აწერს ხელს პაკეტზე, რომელშიც კენჭისყრის ყველა პროცედურის დასრულების შემდეგ ილუქება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედი?
- ასეთ პაკეტზე ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის ყველა წევრი.

- ასეთ პაკეტზე ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის ყველა წევრი, რის შემდეგაც მას დაესმევა საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედი.
- ასეთ პაკეტზე ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის ყველა წევრი, აგრეთვე კენჭისყრის დღეს კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი.
- ასეთ პაკეტზე ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი, კომისიის ყველა წევრი და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

1532. ვისთან შეთანხმებით უნდა დააზუსტოს ცესკომ საინიციატივო ჯგუფის მიერ სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხის ფორმულირება?
- საინიციატივო ჯგუფთან.
- საქართველოს პარლამენტთან.
- საქართველოს პრეზიდენტთან.
- საქართველოს სახალხო დამცველთან.

1533. ცესკოს დადგენილება მიღებულად ჩაითვლება:
- თუ მას მხარს დაუჭერს არანაკლებ ცესკოს სხდომის დამსწრეთა უმრავლესობა.
- თუ მას მხარს დაუჭერს არანაკლებ ცესკოს სრული შემადგენლობის ორი მესამედი.
- თუ მას მხარს დაუჭერს არანაკლებ ცესკოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედი.
- თუ მას მხარს დაუჭერს არანაკლებ ცესკოს სრული შემადგენლობის სამი მეოთხედი.

1534. მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?
- ცესკო საარჩევნო უბნებიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შემოსვლის პარალელურად უზრუნველყოფს ამ ოქმების მონაცემთა ცესკოს ვებგვერდზე განთავსებას.
- ყველა მსჯელობა მცდარია.
- დასაშვებია ცესკოს მიერ არჩევნების შედეგების შეჯამება საერთო სასამართლოებში არსებული შესაბამისი საარჩევნო დავების დასრულებამდე.
- ცესკოს წევრის განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში ცესკოს შეუძლია არჩევნების შედეგები საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე შეაჯამოს.

1535. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს:
- ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
- ირჩევს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

1536. დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დანიშნული მოხელე - იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - მისი უშუალო ხელმძღვანელის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მიერ გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოხელის გათავისუფლება:
- კანონიერია, ვინაიდან იურიდიული დეპარტამენტის უფროსს მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭება მოხელის გათავისუფლების უფლებამოსილება, თუ მისი პროფესიული ჩვევები არადამაკმაყოფილებელია.
- კანონიერია, ვინაიდან იურიდიული დეპარტამენტის უფროსს უფლება აქვს ნებისმიერ შემთხვევაში გაათავისუფლოს მის დაქვემდებარებაში მყოფი მოხელე.
- არ არის კანონიერი, ვინაიდან დაუშვებელია მოხელის გათავისუფლება არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო.
- არ არის კანონიერი, ვინაიდან მოხელის გათავისუფლების უფლება აქვს იმ პირს ან დაწესებულებას, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს.

1537. საოლქო საარჩევნო კომისიის პარტიის მიერ დანიშნულ წევრებს უფლებამოსილება უწყდებათ:
- შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე.
- საბოლოო შედეგის ცესკოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერისთანავე.
- საარჩევნო დღის დასრულებისთანავე.
- არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებისთანავე.

1538. საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს ყველა საარჩევნო კომისიაში დანიშნოს:
- ორი წარმომადგენელი.
- სამი წარმომადგენელი.
- თითო წარმომადგენელი.

- ხუთი წარმომადგენელი.

1539. პრემიერ-მინისტრის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით სასამართლო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის როლისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილი ბიუჯეტის პროექტში პარლამენტისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯები წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით შემცირდა 10 %-ით. ამასთან დაკავშირებით პარლამენტის წევრთა ორმა მეხუთედმა დააყენა მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი და დაიწყო უნდობლობის პროცედურა. რა საფუძვლით შეუძლია პარლამენტს უნდობლობის გამოცხადება ამ შემთხვევაში?
- არავითარი საფუძველი უნდობლობისათვის არ არსებობს, ამ ეტაპზე ადგილობრივი თვითმმართველობისათვის ტრანსფერების ზრდა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დეპუტატთა სატრანსპორტო მომსახურება
- შეიძლება მართლაც საჭირო იყო სასამართლო ხელისუფლებისათვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის ბიუჯეტის ზრდა, მაგრამ ამის შესახებ ბიუჯეტის წარდგენამდე საჭირო იყო პარლამენტის წინასწარი თანხმობა.
- პრემიერ-მინისტრს ეს გადაწყვეტილება ერთპიროვნულად არ უნდა მიეღო, საჭირო იყო პრეზიდენტის თანხმობა.
- არავითარი საფუძველი უნდობლობისათვის არ არსებობს, მთავრობა სამართლიანად თვლიდა, რომ ამ ეტაპზე სასამართლო ხელისუფლების მატერიალური ბაზის სრულყოფა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დეპუტატთა მივლინებები საზღვარგარეთ.

1540. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ცესკო დადგენილებით ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს.
- ცესკო განკარგულებით ქმნის საარჩევნო ოლქებს ან/და აზუსტებს მათ საზღვრებს.
- ცესკო ბრძანებით ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს.
- ცესკო ბრძანებულებით ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს.

1541. სად შეიძლება გასაჩივრდეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება?
- ცესკოში.
- ცესკოს თავმჯდომარესთან.
- შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან.

1542. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოში კანონიერად მყოფ პირთა საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება შეიძლება შეიზღუდოს ჯანმრთელობის დაცვის მიზნით
- საქართველოში კანონიერად მყოფი უცხოელის საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მასსა და მის ქართველ მეუღლეს შორის არსებული დავის გამო
- საქართველოში კანონიერად მყოფ პირთა საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება შეიძლება შეიზღუდოს დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით
- საქართველოში კანონიერად მყოფ პირთა საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით

1543. საარჩევნო კამპანიის ჩატარება შეიძლება შემდეგი დაწესებულების შენობაში:
- საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
- სამხედრო ნაწილში.

1544. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიები/საარჩევნო ბლოკები პარტიულ სიებს წარუდგენენ:
- შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- ცესკოს თავმჯდომარეს.
- შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.

1545. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული პაკეტების გახსნისა და ბიულეტენების ხელახალი დათვლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს:
- დადგენილებით.
- რეზოლუციით.
- განკარგულებით.
- ბრძანებით.

1546. აქვთ თუ არა საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს?
- არა, საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებს.
- დიახ, საარჩევნო სუბიექტების თითო წარმომადგენელს აქვს შესაბამისი საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება.
- არა, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს არ აქვთ საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება.
- დიახ, საარჩევნო სუბიექტების განუსაზღვრელი რაოდენობის წარმომადგენლებს აქვთ შესაბამისი საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება.

1547. კონსტიტუციის მიხედვით, რა საკითხებზეა უფლებამოსილი დანიშნოს რეფერენდუმი საქართველოს პრეზიდენტმა?
- რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტის მიერ მოთხოვნაში დასმულ ნებისმიერ საკითხზე.
- მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ საკითხებზე.
- სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნებისმიერ საკითხზე.
- მხოლოდ კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ საკითხებზე.

1548. საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს:
- საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მეშვეობით.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საქართველოს პარლამენტი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მეშვეობით.
- საქართველოს მთავრობა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მეშვეობით.

1549. რომელი მსჯელობაა სწორი?
- არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.
- კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ბიულეტენების დათვლის პროცესზე დასაკვირვებლად დამკვირვებლები თავიანთი შემადგენლობიდან სახელობითი კენჭისყრით შეარჩევენ არაუმეტეს 2 მეთვალყურეს.
- კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ბიულეტენების დათვლის პროცესზე დასაკვირვებლად დამკვირვებლები თავიანთი შემადგენლობიდან წილისყრით შეარჩევენ არაუმეტეს 2 მეთვალყურეს.
- კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ბიულეტენების დათვლის პროცესზე დასაკვირვებლად დამკვირვებლები თავიანთი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არაუმეტეს 2 მეთვალყურეს.

1550. რა შემთხვევაში შეიძლება განთავსდეს საუბნო საარჩევნო კომისია და კენჭისყრის ადგილი გამოიყოს იმ შენობაში, რომელშიც განთავსებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო - საკრებულო?
- დაუშვებელია ნებისმიერ შემთხვევაში.
- იმ შემთხვევაში, როდესაც საკრებულოს მიერ დაკავებულ შენობაში საუბნო საარჩევნო კომისიის განთავსების შესახებ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება.
- ქვეყანაში გამოცხადებული საომარი მდგომარეობის დროს.
- იმ შემთხვევაში, როდესაც საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე არ არის სხვა, შესაფერისი შენობა კანონის შესაბამისად კენჭისყრის ჩასატარებლად.

1551. რა სახის სამართლებრივი აქტი გამოიცემა ცესკოს თავმჯდომარის მიერ საკადრო საკითხებთან დაკავშირებით?
- ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება.
- ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება.
- ცესკოს თავმჯდომარის დადგენილება.
- ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებულება.

1552. ვის მიერ ხდება საქართველოს პრეზიდენტის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარება?
- ცესკოს მდივნის განკარგულებით.
- ცესკოს თავმჯდომარის მიერ.
- ცესკოს მიერ დადგენილებით.
- ცესკოს საქმისწარმოების დეპარტამენტის (კანცელარია) მიერ.

1553. მონიშნეთ საარჩევნო სამართლის ერთ-ერთი პრინციპი, რომლის საფუძველზეც არჩეულნი არიან საქართველოს პარლამენტის წევრები:
- თანასწორობის პრინციპი.
- სამართლიანობის პრინციპი.
- ეკონომიკური მიზანშეწონილობის პრინციპი.
- დემოკრატიულობის პრინციპი.

1554. რა სახის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება საპარლამენტო ფრაქციის საქმიანობის წესი?
- კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით.
- ორგანული კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით.
- კანონით.
- ორგანული კანონით.

1555. რომელ ორგანოს გადაეცემა დასკვნისათვის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენებისათვის აღძრული საქმე?
- საქართველოს მთავრობას.
- ეროვნული უშიშროების საბჭოს.
- საქართველოს ექსპერტთა კლუბს.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

1556. საინიციატივო ჯგუფმა ცესკოს მიმართა სარეფერენდუმო საკითხის რეგისტრაციის თაობაზე. ცესკომ კანონით დადგენილ ვადაში განიხილა მიმართვა და კანონით დადგენილი წესით უარი უთხრა საინიციატივო ჯგუფს რეგისტრაციაზე. ცესკოს უარი რეგისტრაციის შესახებ საინიციატივო ჯგუფმა გაასაჩივრა შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. რა ვადაში უნდა განიხილოს სასამართლომ საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება?
- რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ საჩივარი უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება 7 დღის ვადაში.
- რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ საჩივარი უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება 3 დღის ვადაში.
- რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ საჩივარი უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება 5 დღის ვადაში.
- რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ საჩივარი უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება 2 დღის ვადაში.

1557. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, ვის კომპეტენციაში შედის საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებათა პროექტების მომზადება?
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თანაშემწის.

1558. კონსტიტუციის მიხედვით, ვის ეკისრება მოსამართლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველყოფა?
- ეროვნული უშიშროების საბჭოს.
- იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.
- სახელმწიფოს.
- თავდაცვის სამინისტროს.

1559. ვინ წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისიის იმ წევრის შრომის ანაზღაურების საკითხს, რომელიც კომისიაში გამოცხადდება წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ?
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცესკო.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის ფინანსური მენეჯერი კომისიის თავმჯდომარის მითითებით.

1560. რომელი მსჯელობაა სწორი?
- უსკო დადგენილებით ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს.
- უსკო ბრძანებით ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს.
- უსკო განკარგულებით საარჩევნო პერიოდში ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს.
- უსკო ბრძანებულებით ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს.

1561. რა შემთხვევაში არ აქვს საქართველოს პარლამენტს უფლება ცნოს საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეული პირის უფლებამოსილება?
- თუ არჩეული პირი არის ალკოჰოლის მომხმარებელი.
- თუ არჩეული პირი არის დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის მქონე პირი.
- არჩეული პირის უფლებამოსილების არ ცნობა საქართველოს პარლამენტის მიერ დაუშვებელია.
- თუ არჩეული პირი არის ნარკომანი ან ნარკოტიკების მომხმარებელი.

1562. კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტი მონაწილეობს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე

განწესებაში:
- ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.
- კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

1563. საუბნო საარჩევნო კომისიის რამდენი წევრი მონაწილეობს გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის ჩატარებაში?
- საარჩევნო კომისიის 3 წევრი.
- საარჩევნო კომისიის 4 წევრი.
- საარჩევნო კომისიის 1 წევრი.
- საარჩევნო კომისიის 2 წევრი.

1564. შექმნილი საარჩევნო უბნების საზღვრების დაზუსტება ხდება არჩევნების დღემდე არა უგვიანეს:
- 50-ე დღისა.
- ერთი თვისა.
- მე-40 დღისა.
- მე-20 დღისა.

1565. პრეზიდენტის მიერ ცესკოს წევრობის კანდიდატების პარლამენტისათვის წარდგენის შემდეგ, რა ვადაში უნდა ჩაატაროს პარლამენტმა კენჭისყრა?
- წარდგენიდან არაუგვიანეს 7 დღისა.
- წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
- წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღისა.
- წარდგენიდან არაუგვიანეს 14 დღისა.

1566. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხას ამტკიცებს
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
- საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.

1567. როგორია თითოეული საუბნო საარჩევნო კომისიისათვის გადაცემული სპეციალური კონვერტების რაოდენობის თანაფარდობა საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობასთან?
- თითოეული საუბნო საარჩევნო კომისიისათვის გადაცემული სპეციალური კონვერტების რაოდენობა ორჯერ მეტია საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე.
- თითოეული საუბნო საარჩევნო კომისიისათვის გადაცემული სპეციალური კონვერტების რაოდენობა ტოლია საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობისა.
- თითოეული საუბნო საარჩევნო კომისიისათვის გადაცემული სპეციალური კონვერტების რაოდენობა ტოლია საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 100-ის ჯერადი რიცხვისა.
- თითოეული საუბნო საარჩევნო კომისიისათვის გადაცემული სპეციალური კონვერტების რაოდენობა ასით მეტია საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე.

1568. რა საფუძვლის არსებობისას არის დაუშვებელი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა?
- დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა, რომლის მიზანია გარკვეული იდეოლოგიის გავრცელება
- დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა, რომლის მიზანია ქველმოქმედების განხორციელება
- დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა, რომლის მიზანია ხელისუფლების მოპოვება
- დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა, რომლის მიზანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა

1569. რომელი არ არის მხარდამჭერთა სიაში ამომრჩევლის ხელმოწერის ბათილად მიჩნევის საფუძველი?
- რეგისტრაციის ადგილის მიუთითებლობა.
- ფაქტის დადგენა, რომელიც ადასტურებს, რომ მხარდამჭერთა სიაში შეყვანილია სხვა საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ამომრჩეველი.
- პროფესიის მიუთითებლობა.
- არასრულად სახელისა და გვარის მითითება.

1570. ვინ ამტკიცებს სპეციალურ სიებს?

- საოლქო საარჩევნო კომისია დადგენილებით.
- საუბნო საარჩევნო კომისია განკარგულებით.
- საუბნო საარჩევნო კომისია დადგენილებით.
- საოლქო საარჩევნო კომისია განკარგულებით.

1571. რა შემთხვევაში ჩაითვლება ბათილად მხარდამჭერთა სიაში ამომრჩევლის ხელმოწერა?
- ხელმოწერა შესრულებულია სხვა პირის მიერ, მაგრამ ხელმომწერი უარყოფს.
- როცა არ არის ხელმოწერილი ან ხელმოწერა შესრულებულია სხვა პირის მიერ და ამას წერილობით ადასტურებს ამომრჩეველი, რომლის ნაცვლადაც შესრულებულია ხელმოწერა.
- ხელმოწერა შესრულებულია სხვა პირის მიერ და ამას ზეპირად ადასტურებს ხელმომწერი.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.

1572. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი და ვისი მოთხოვნით იწვევს პარლამენტის რიგგარეშე სესიას?
- საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით.
- საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით.
- საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერით (კონტრასიგნაციით).

1573. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო პერიოდში ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეჰყავთ?
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოხელეები.
- სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირები.
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები.
- იძულებით გადაადგილებული პირები.

1574. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი თანამდებობა ან საქმიანობა?
- მოსამართლე შეიძლება იყოს თსუ ასოცირებული პროფესორი.
- მოსამართლე შეიძლება იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.
- მოსამართლე შეიძლება იყოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების-ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს წევრი.
- მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

1575. კანონით გათვალისწინებული სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ, ფარული კენჭისყრის კაბინაშიშესვლამდე ამომრჩეველ - ლევან მამედოვს, რომლის ქცევაც კომისიის ერთ-ერთმა წევრმა საეჭვოდ მიიჩნია, მოსთხოვა კაბინაში შესვლამდე მისთვის ეჩვენებინა რამდენი ბიულეტენი ეკავა ხელში, რაზეც ამომრჩეველს პრეტენზია არ გამოუთქვამს. კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, ბიულეტენის სპეციალურ კონვერტში მოთავსებამდე ლევან მამედოვს კვლავ მოსთხოვეს იგივე მოქმედების გამეორება, რაზეც ლევანი აღშფოთდა და საჯაროდ განაცხადა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას, რადგან არც ერთი სხვა ამომრჩევლის მიმართ მსგავს პროცედურებს საარჩევნო კომისია არ მიმართავდა. კანონიერად მოქმედებდა თუ არა საარჩევნო კომისია?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსი კრძალავს დისკრიმინაციის ყოველგვარ გამოვლინებას.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს სრული უფლება ჰქონდათ, ამომრჩევლისთვის ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლამდე და სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის ჩადებამდე მოეთხოვათ, მათთვის ეჩვენებინა, რომ მას ხელში მხოლოდ კანონით დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი ჰქონდა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს სრული უფლება ჰქონდათ, ამომრჩევლისთვის ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლამდე და სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის ჩადებამდე მოეთხოვათ, მათთვის ეჩვენებინა, რომ მას ხელში მხოლოდ კანონით დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი ჰქონდა, თუმცა ლევან მამედოვს კანონით უფლება ჰქონდა არ შეესრულებინა კომისიის წევრთა მითითება.
- არა, რადგან ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება არ შედის კომისიის წევრთა კომპეტენციაში.

1576. კონსტიტუციის მიხედვით, ვის ეკისრება მოსამართლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველყოფა?
- შინაგან საქმეთა სამინისტროს.
- ეროვნული უშიშროების საბჭოს.
- საქართველოს პარლამენტს.
- სახელმწიფოს.

1577. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კენჭისყრის დროს დაირღვევა საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა?
- საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა

დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე.
- საუბნო საარჩევნო კომისია განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის დაყადაღებისა და კენჭისყრის შეწყვეტის თაობაზე.
- საუბნო საარჩევნო კომისია შეწყვეტს კენჭისყრის პროცესს და განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საარჩევნო უბანზე ხმების გაბათილების შესახებ.
- საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და შეჩერებიდან 2 საათის შემდეგ განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე.

1578. ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე რა ვადაში უნდა წარადგინოს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია?
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-8 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-9 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-7 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-5 დღისა.

1579. ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს:
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული დროის განმავლობაში.
- მხოლოდ ხმის მიცემისათვის საჭირო დროის განმავლობაში.
- განუსაზღვრელი დროის განმავლობაში.
- მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ფიქსირებული დროის განმავლობაში.

1580. კონსტიტუციის მიხედვით, რა საფუძვლის არსებობისას არის დასაშვები სატელეფონო საუბრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა?
- თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა
- საპრეზიდენტო არჩევნების დროს
- თუ დაწყებულია პრემიერ-მინისტრის იმპიჩმენტის პროცედურა
- ამ უფლების შეზღუდვა დაუშვებელია ნებისმიერი საფუძვლის არსებობისას

1581. რომელი პირობის დაცვა ევალებათ კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50-ე დღიდან კენჭისყრის დღემდე სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელებს, ავტორიზებულ საეთერო მაუწყებელს, საზოგადოებრივ მაუწყებელს და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოს?
- ერთი დღის განმავლობაში ფასიანი დრო მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის ნახევარზე მეტს არ უნდა დაეთმოს.
- ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15%-ს არ უნდა აღემატებოდეს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ უნდა დაეთმოს ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.
- ისინი არ იზღუდებიან.
- ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 30%-ს არ უნდა აღემატებოდეს და არც ერთ სუბიექტს არ შეიძლება დაეთმოს გამოყოფილი დროის ერთ მესამედზე მეტი.

1582. როგორ არის განსაზღვრული საქართველოს კონსტიტუციაში მთავრობის წევრთა რაოდენობა?
- კონსტიტუციაში ეს საკითხი არ არის გადაწყვეტილი.
- არაუმეტეს ოცისა.
- არაუმეტეს ოცდასამისა.
- არაუმეტეს ათისა.

1583. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ცესკოს მიერ წარდგენილი გეგმის შესაბამისად კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა უზრუნველყოფს არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარებისთვის განკუთვნილი ასიგნების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცესკოს შესაბამის საბიუჯეტო პროგრამულ კოდზე.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ცესკოს მიერ წარდგენილი გეგმის შესაბამისად კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა უზრუნველყოფს არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარებისთვის განკუთვნილი ასიგნების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცესკოს შესაბამის საბიუჯეტო პროგრამულ კოდზე.
- საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ცესკოს მიერ წარდგენილი გეგმის შესაბამისად კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა უზრუნველყოფს არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარებისთვის განკუთვნილი ასიგნების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცესკოს შესაბამის საბიუჯეტო პროგრამულ კოდზე.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური ცესკოს მიერ წარდგენილი გეგმის შესაბამისად კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა უზრუნველყოფს არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარებისთვის განკუთვნილი ასიგნების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცესკოს შესაბამის საბიუჯეტო პროგრამულ კოდზე.

1584. ხმის დათვლის პროცედურების დროს, სად უნდა იდგეს დამკვირვებელთაგან გამოვლენილი მეორე მეთვალყურე?
- მეორე მთვლელთან.
- მეოთხე მთვლელთან.
- ადგილს მნიშვნელობა არა აქვს.
- მესამე მთვლელთან.

1585. რომელი მსჯელობა არ არის სწორი?
- აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა გამგეობის შენობაზე.
- აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა ნებისმიერ შემთხვევაში კერძო საკუთრებაზე.
- აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე.
- აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა სასამართლოს შენობაზე.

1586. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი?
- უსკოს დადგენილება.
- საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება.
- არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.
- უსკოს განკარგულება.

1587. არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია რამდენი დღის ვადაში აქვეყნებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე?
- 5 დღის ვადაში.
- 10 დღის ვადაში.
- 7 დღის ვადაში.
- 2 დღის ვადაში.

1588. საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების დროს ვინ ატარებს რეგისტრაციაში პრეზიდენტობის კანდიდატს და არა უგვიანეს რამდენი დღისა?
- საუბნო საარჩევნო კომისია არა უადრეს 45-ე დღისა.
- საოლქო საარჩევნო კომისია არა უგვიანეს 30-ე დღისა.
- საოლქო საარჩევნო კომისია არა უადრეს 30-ე დღისა.
- ცესკო, არა უგვიანეს 25-ე დღისა.

1589. რომელი სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს ცესკო პენიტენციურ დაწესებულებაში ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ინფორმირების პირობებსა და წესს?
- ბრძანებით.
- დადგენილებით.
- მსგავსი უფლებამოსილება ცესკოს არ გააჩნია.
- განკარგულებით.

1590. კანონით დადგენილ მოთხოვნებთან პარტიული სიისა და თანდართული საბუთების შესაბამისობის შემთხვევაში, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარტიულ სიასა და წარდგენილ კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს დასკვნის წარდგენიდან:
- 3 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 25-ე დღისა.
- 10 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე მე-18 დღისა.
- 9 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე მე-15 დღისა.
- 7 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე მე-10 დღისა.

1591. ვის მიერ დადგენილი წესით ხდება მხარდამჭერთა სიის შემოწმება?
- ადგილობრივი თვითმმართველობის (საკრებულოს) მიერ დადგენილი წესით.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

1592. საკრებულოს არჩევნებში მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის მიზნით, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიამ/ საარჩევნო ბლოკმა/ სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს:

- 21–ე დღისა.
- 25–ე დღისა.
- მე-14 დღისა.
- 30–ე დღისა.

1593. ვინ აქვეყნებს ცნობას მასობრივი ინფორმაციების საშუალებით ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შესახებ?
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ცესკოს თავმჯდომარე.
- საოლქო საარჩევნო კომისიები.
- ცესკო.

1594. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს:
- საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
- საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის ორი მესამედი.
- დამსწრეთა უმრავლესობა (თუ კანონით უფრო მაღალი კვორუმი არაა დადგენილი), მაგრამ არანაკლებ საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის ორი მესამედისა.
- დამსწრეთა უმრავლესობა (თუ კანონით უფრო მაღალი კვორუმი არაა დადგენილი), მაგრამ არანაკლებ საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

1595. ხმათა რა რაოდენობით ხდება უმაღლესი საბჭოს მიერ უსკოს წევრების არჩევა?
- დამსწრეთა უმრავლესობით.
- სრული შემადგენლობის ორ მესამედზე მეტით.
- სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
- სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

1596. ერთი და იმავე საფუძვლით საარჩევნო კომისიის მდივნის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის ზედიზედ ორჯერ დაყენება აკრძალულია:
- 6 თვის განმავლობაში.
- 5 თვის განმავლობაში.
- ერთი წლის განმავლობაში.
- 3 თვის განმავლობაში.

1597. მხარდამჭერთა სიის შემოწმების პროცესზე დასწრების უფლება აქვს:
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს.
- გამომძიებელს.
- საარჩევნო ობიექტის წარმომადგენელს.
- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს.

1598. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან არა უგვიანეს 3 დღისა ვინ გამოსცემს განკარგულებას კონკურსის ჩატარების შესახებ?
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საქართველოს პარლამენტი.
- ცესკო.
- საქართველოს პრეზიდენტი.

1599. საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებით. მოსახლეობამ დადებითად გადაწყვიტა სარეფერენდუმო საკითხი, თუმცა მასში საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ცვლილება შეიტანა. ჰქონდა თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს ამის უფლება?
- საკონსტიტუციო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა და გაუქმება შეუძლია მხოლოდ უზენაეს სასამართლოს.
- საკონსტიტუციო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმით.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონდა უფლება, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

1600. საინიციატივო ჯგუფმა მიმართა ცესკოს საქართველოს კონსტიტუციიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის ერთ-ერთი დებულების - ”ნებისმიერი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ”, ამოღების საკითხის რეგისტრაციისთვის, მასზე რეფერენდუმის გამართვის მიზნით, რაზეც ცესკომ უარი განუცხადა. კანონიერი იყო თუ არა ცესკოს უარი?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, დაუშვებელია რეფერენდუმის გამართვა ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავს ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.
- არა, რადან ცესკოს უფლებამოსილებაში არ შედის რეფერენდუმის მოწყობის საკითხის გადაწყვეტა.
- დიახ, რადგან საინიციატივო ჯგუფს მსგავსი მოთხოვნით უნდა მიემართა არა რეფერენდუმის, არამედ პლებისციტის გამართვის მიზნით.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

1601. რომელ ორგანოს გადაეცემა დასკვნისათვის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან მთავრობის წევრების, მათ შორის პრემიერ-მინისტრის გადაყენებისათვის აღძრული საქმე?
- საქართველოს სახალხო დამცველს.
- საქართველოს პრეზიდენტს.
- საკონსტიტუციო სასამართლოს.
- უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს.

1602. საკანონმდებლო ინიციატივის წესით ერთ-ერთმა საპარლამენტო ფრაქციამ შეიტანა პარლამენტში კანონპროექტი „მთავრობის სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“. რა ვადაში უნდა იყოს განხილული ეს კანონპროექტი?
- პარლამენტი ამ კანონპროექტს განსახილველად არ მიიღებს, იგი არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ არის წარდგენილი. „მთავრობის სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონპროექტის შეტანა პარლამენტში მხოლოდ პრემიერ-მინისტრს შეუძლია.
- რიგგარეშე თავისი კანონპროექტის განხილვის მოთხოვნის უფლება ფრაქციებს არა აქვთ, ამიტომ კანონპროექტი მაშინ განიხილება, როცა მისი რიგი მოვა.
- პარლამენტი ამ კანონპროექტს განსახილველად არ მიიღებს, იგი არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ არის წარდგენილი. „მთავრობის სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონპროექტის შეტანა პარლამენტში მხოლოდ მთავრობას შეუძლია.
- ნებისმიერი კანონპროექტი პარლამენტში ერთი თვის ვადაში უნდა იყოს განხილული.

1603. პლებისციტს ნიშნავს:
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საქართველოს უზენაესი სასამართლო.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
- საქართველოს პარლამენტი.

1604. კონსტიტუციის მიხედვით ვის აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სარჩელით ან წარდგინებით მიმართვის უფლება?
- ბათუმის მერს მერიის სახელით.
- პრემიერ-მინისტრს.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრს სამინისტროს სახელით.
- საქართველოს მთავრობას.

1605. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „დაკავშირებულ პირში“ იგულისხმება: I - ახლო ნათესავი;II - ოჯახის წევრი;III - ნებისმიერი სხვა პირი, რომელთანაც საჯარო მოსამსახურეს აქვს ერთიანი საოჯახო (შინა) მეურნეობა. სწორი პასუხია:
- მხოლოდ I, II და III.
- მხოლოდ I.
- მხოლოდ II.
- მხოლოდ I და II.

1606. ნასვამ მდგომარეობაში მყოფ მოხელეს, რომელსაც დაწესებულების უფროსი ჩამოაშორებს სამსახურს მოცემული სამუშაო დღის განმავლობაში, არ ეძლევა
- თანამდებობრივი სარგო.
- პრემია.
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დანამატები.
- ხელფასი სამსახურიდან ჩამოშორების პერიოდისათვის.

1607. რომელი მსჯელობაა სწორი?
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან მეორე დღეს.
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან მე-7 დღეს.

- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან მე-15 დღეს.

1608. მოხელეები იყოფიან
- სახელმწიფო მოხელეებად, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად და შტატგარეშე მოსამსახურეებად.
- სახელმწიფო მოხელეებად, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად და სახელმწიფო დაწესებულებების დამხმარე მოსამსახურეებად.
- სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებად, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად და დამხმარე მოსამსახურეებად.
- სახელმწიფო მოხელეებად და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად.

1609. ვინ ქმნის საკრებულოს არჩევნებისათვის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებს?
- ცესკო.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ცესკოს თავმჯდომარე.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

1610. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო სუბიექტისთვის კანონით დადგენილი წესით მხარდამჭერთა სიის გაბათილებული ნაწილის უკან დაბრუნების შემდეგ, განსაზღვრულ ვადაში საარჩევნო სუბიექტი მხარდამჭერთა სიებს კვლავ ხარვეზით წარმოადგენს?
- მხარდამჭერთა სია მთლიანად ბათილდება და საარჩევნო სუბიექტს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით უარი ეთქმევა საარჩევნო რეგისტრაციაზე.
- მას მიეცემა 2 დღის ვადა ხარვეზების შესავსებად.
- მას მიეცემა 3 დღის ვადა ხარვეზების შესავსებად.
- მას მიეცემა 5 დღის ვადა ხარვეზების შესავსებად.

1611. ვინ ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურს?
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს პარლამენტი.
- ცესკო.
- უსკო.

1612. ვინ აწერს ხელს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის პირველ და მე-2 გვერდებზე?
- კომისიის თავმჯდომარე და მისი მოადგილე.
- კომისიის თავმჯდომარე და კომისიის კიდევ ორი წევრი.
- მხოლოდ კომისიის თავმჯდომარე.
- მისი გახსნისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი.

1613. ვისი ხელმოწერით გამოსცემს მთავრობა თავის სამართლებრივ აქტებს?
- მთავრობის ყველა აქტს ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.
- მთავრობის ყველა აქტს პრემიერ-მინისტრის დავალებით ხელს აწერენ შესაბამისი ვიცე- პრემიერები.
- დადგენილებებს ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი, ხოლო განკარგულებებს - პირველი ვიცე- პრემიერი.
- მთავრობის ყველა აქტს ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი და ის მინისტრი, რომლის საქმიანობის სფეროსაც ეხება სამართლებრივი აქტი.

1614. რომელი მსჯელობაა სწორი?
- თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნების მეორე ტურს განკარგულებით ნიშნავს ცესკოს თავმჯდომარე.
- თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნების მეორე ტურს დადგენილებით ნიშნავს ცესკო.
- თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნების მეორე ტურს განკარგულებით ნიშნავს ცესკო.
- თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნების მეორე ტურს დადგენილებით ნიშნავს ცესკოს თავმჯდომარე.

1615. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია, რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, 1 თვეში შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა აქტები.
- საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება უფლებამოსილია, რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, 1 თვეში შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა აქტები.
- საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება უფლებამოსილია, რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, 2

თვეში შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა აქტები.
- საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია, რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, 2 თვეში შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა აქტები.

1616. 21 თებერვალს, კანონით დადგენილი წესით, უფლებამოსილება შეუწყდა ცესკოს თავმჯდომარეს. საქართველოს პრეზიდენტმა კანონით დადგენილ ვადაში ცესკოს წარუდგინა ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურები. ცესკომ მისთვის დადგენილ ვადაში აირჩია ერთ-ერთი კანდიდატურა. ვის უნდა გადაუგზავნოს ცესკომ შესაბამისი გადაწყვეტილება თავმჯდომარის არჩევის შესახებ?
- ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს.
- პრეზიდენტს.
- პარლამენტს.
- პრეზიდენტის ადმინისტრაციას.

1617. ვის აქვს რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობის უფლება?
- საკონსტიტუციო სასამართლოს.
- ცესკოს.
- საქართველოს პარლამენტს.
- საქართველოს პრეზიდენტს.

1618. კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაშია საჭირო მანიფესტაციის გამართვისათვის ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილება?
- თუ მანიფესტაცია პოლიტიკური მოთხოვნით იმართება
- თუ მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება
- თუ მანიფესტაციაში უცხოელები მონაწილეობენ
- თუ მანიფესტაციაში სტუდენტები მონაწილეობენ

1619. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილიდან ვის აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება?
- საქართველოს 3 000 ამომრჩეველს.
- საქართველოს მთავრობას.
- საქართველოს პრეზიდენტს.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

1620. რეფერენდუმის გამართვისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს:
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
- ფინანსთა სამინისტრო.
- ცესკო.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

1621. რა სახის სამართლებრივიაქტით იღებს უსკო გადაწყვეტილებას საარჩევნობიულეტენების ფორმის ნიმუშის დადგენის შესახებ?
- დადგენილებით.
- ბრძანებულებით.
- ბრძანებით.
- განკარგულებით.

1622. რა ხდება არჩეული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში?
- ცესკო ცნობად იღებს აღნიშნულ ფაქტს, რასაც აფორმებს შესაბამისი დადგენილებით.
- ცესკო ცნობად იღებს აღნიშნულ ფაქტს, რაც ფორმდება ცესკოს სხდომის საოქმო ჩანაწერით.
- საქართველოს პარლამენტი ცნობად იღებს აღნიშნულ ფაქტს, რაც ფორმდება საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის საოქმო ჩანაწერით.
- საქართველოს პარლამენტი ცნობად იღებს აღნიშნულ ფაქტს, რაც ფორმდება საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სხდომის საოქმო ჩანაწერით.

1623. მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არის სწორი?
- აკრძალულია ერთი და იმავე საფუძვლით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის 6 თვის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ დაყენება.
- აკრძალულია ერთი და იმავე საფუძვლით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის 6 თვის განმავლობაში ზედიზედ სამჯერ დაყენება.
- აკრძალულია ერთი და იმავე საფუძვლით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის 5 თვის

განმავლობაში ზედიზედ ორჯერ დაყენება.
- აკრძალულია ერთი და იმავე საფუძვლით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის 3 თვის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ დაყენება.

1624. დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი არის:
- პარლამენტის საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების ერთობლივი გადაწყვეტილება, თუ იგი ერთხმად არის მიღებული.
- დეპუტატის მიერ პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება.
- სამკურნალო დაწესებულების დადგენილი დიაგნოზი, რომლის მიხედვით დეპუტატი ქმედუუნაროა.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება.

1625. N1 საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ გამოიტანა გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით, რომელიც გასაჩივრებულ იქნა ცესკოში რა უნდა მოიმოქმედოს ცესკომ?
- ცესკომ უნდა განიხილოს საჩივარი და მიიღოს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.
- ცესკომ საჩივარი მასალებთან ერთად უნდა გადააგზავნოს შესაბამის სასამართლოში.
- ცესკომ საჩივარი განუხილველად უნდა დატოვოს.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

1626. რომელი მსჯელობაა სწორი?
- უსკო განკარგულებით საარჩევნო პერიოდში ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს.
- უსკო დადგენილებით საარჩევნო პერიოდში ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს.
- უსკო დადგენილებით ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს.
- უსკო ბრძანებულებით ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს.

1627. შექმნილი საარჩევნო უბნების საზღვრების დაზუსტება ხდება არჩევნების დღემდე არა უგვიანეს:
- მე-40 დღისა.
- ერთი თვისა.
- მე-20 დღისა.
- 50-ე დღისა.

1628. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა 2- კაციან საინიციატივო ჯგუფს.
- მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა 5- კაციან საინიციატივო ჯგუფს.
- მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა 4 - კაციან საინიციატივო ჯგუფს.
- მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა 3- კაციან საინიციატივო ჯგუფს.

1629. კონსტიტუციის მიხედვით, რა ენაზე ხორციელდება სამართალწარმოება?
- განსახილველ საქმეში ორივე მხარის მოთხოვნით სამართალწარმოება ხორციელდება მათ მიერ შეთანხმებულ ენაზე.
- სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეს წარმოადგენს უცხოელი, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის.
- სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე.
- სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე, ხოლო სამოქალაქო სამართლის საქმეებზე - აგრეთვე ინგლისურ ენაზე.

1630. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია კენჭისყრის დღეს ორჯერ, 12:30 საათსა და 17 საათზე, გადათვალოს ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და ეს რიცხვი შესაბამისი დროის მინიშნებით შეიტანოს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია კენჭისყრის დღეს ორჯერ, 12 საათსა და 17 საათზე, გადათვალოს ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და ეს რიცხვი შესაბამისი დროის მინიშნებით შეიტანოს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია კენჭისყრის დღეს ორჯერ, 12:30 საათსა და 17:30 საათზე, გადათვალოს

ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და ეს რიცხვი შესაბამისი დროის მინიშნებით შეიტანოს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია კენჭისყრის დღეს ორჯერ, 12 საათსა და 17:30საათზე, გადათვალოს ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და ეს რიცხვი შესაბამისი დროის მინიშნებით შეიტანოს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში.

1631. საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებისას პრეზიდენტობის კანდიდატს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს რიგგარეშე არჩევნებამდე არა უგვიანეს:
- მე-20 დღისა.
- 30-ე დღისა.
- 25-ე დღისა.
- მე-15 დღისა.

1632. საკრებულოს არჩევნებისას, თუ საარჩევნო უბანში ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრა, რა ვადაში იმართება საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული განმეორებითი კენჭისყრა?
- კენჭისყრის დღიდან 3 კვირის ვადაში.
- კენჭისყრის დღიდან ერთი თვის ვადაში.
- კენჭისყრის დღიდან 2 კვირის ვადაში.
- კენჭისყრის დღიდან ორი თვის ვადაში.

1633. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოებისმხარე შეიძლება იყოს:
- ყველა პასუხი სწორია.
- იურიდიული პირი.
- ფიზიკური პირი.
- ადმინისტრაციული ორგანო.

1634. საქართველოს პარლამენტის რამდენი წევრი აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე?
- 77 წევრი.
- 75 წევრი.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- 73 წევრი.

1635. სად უნდა აისახოს კენჭისყრისა და არჩევნების შედეგები?
- აისახება მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.
- აისახება ცესკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.
- აისახება მხოლოდ ცესკოს კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.
- აისახება მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიების კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.

1636. საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტია ერთი და იმავე არჩევნებისას:
- საკითხი წყდება საარჩევნო ბლოკის წესდების შესაბამისად.
- არ შეიძლება იმავდროულად შედიოდეს სხვა საარჩევნო ბლოკში.
- შეიძლება იმავდროულად შედიოდეს სხვა საარჩევნო ბლოკში.
- საკითხს წყვეტს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

1637. კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყნის რომელი ნაწილის პროგრესულ განვითარებაზე ზრუნავს განსაკუთრებულად სახელმწიფო?
- სახელმწიფო ქ. ქუთაისის, როგორც საპარლამენტო ქალაქის განვითარებისათვის ადგენს გარკვეულ შეღავათებს
- საქართველოს კანონით „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ დადგენილია გარკვეული შეღავათები
- სახელმწიფო თანაბრად ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის განვითარებისათვის
- მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო კანონით ადგენს შეღავათებს

1638. გახარია არჩეული იყო ცესკოს თავმჯდომარედ. მას უფლებამოსილების ვადის გასვლამდე შეუწყდა თავმჯდომარის უფლებამოსილება. უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში პრეზიდენტმა ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკოს წარუდგინა 3 კანდიდატურა. წარდგენიდან 4 დღის ვადაში ცესკოს უხუცესმა წევრმა მოიწვია ცესკოს სხდომა. სხდომაზე 4 ხმით არჩეულ იქნა ერთ-ერთი კანდიდატი. იგივე სხდომის განკარგულებით გახარიას შეუნარჩუნდა ცესკოს წევრის უფლებამოსილება. მოქმედებდა კანონიერად თუ არა ცესკო?
- ცესკო მოქმედებდა კანონიერად, ვინაიდან მას არ დაურღვევია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები.

- ცესკო მოქმედებდა უკანონოდ, ვინაიდან სხდომა უნდა მოეწვია ანბანის მიხედვით პირველ წევრს.
- ცესკო მოქმედებდა უკანონოდ, ვინაიდან არ ჰქონდა უფლება გახარიასთვის შეენარჩუნებინა წევრობის უფლებამოსილება.
- ცესკო მოქმედებდა უკანონოდ, ვინაიდან სხდომა უნდა ჩატარებულიყო კანდიდატურების წარდგენიდან მე-5 დღეს.

1639. ქვემოთ ჩამოთვლილი, რომელი წყაროდან ფინანსდება რეფერენდუმის მოსამზადებლად და ჩასატარებლად საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯი და მისი საქმიანობა უფლებამოსილების განხორციელების ვადაში?
- უსკოს ბიუჯეტიდან.
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
- წილისყრით შერჩეული რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ბიუჯეტიდან.
- წილისყრით შერჩეული რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის ბიუჯეტიდან.

1640. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, თვითმმართველი ქალაქის მერის და თვითმმართველი თემის გამგებლის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს რამდენი დღისა ნიშნავს არჩევნებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით?
- არა უგვიანეს 20 დღისა.
- არა უგვიანეს 40 დღისა.
- არა უგვიანეს 30 დღისა.
- არა უგვიანეს 60 დღისა.

1641. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია მხარეს საქმის განხილვის დრო და ადგილი შეატყობინოს საქმის განხილვის დაწყებამდე არა უგვიანეს 12 საათისა.
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია მხარეს საქმის განხილვის დრო და ადგილი შეატყობინოს საქმის განხილვის დაწყებამდე არა უგვიანეს 10 საათისა.
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია მხარეს საქმის განხილვის დრო და ადგილი შეატყობინოს საქმის განხილვის დაწყებამდე არა უგვიანეს 3 საათისა.
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია მხარეს საქმის განხილვის დრო და ადგილი შეატყობინოს საქმის განხილვის დაწყებამდე არა უგვიანეს 24 საათისა.

1642. რა სახის სამართლებრივ აქტს წარმოადგენს ცესკოს დადგენილება?
- კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.
- საკანონმდებლო აქტს.

1643. საბურთალოს საარჩევნო ოლქის N4 საარჩევნო უბანზე კენჭისყრის დღეს გამოცხადებულ ამომრჩეველს მარჯვენა ხელის ცერა თითზე ფრჩხილი ჰქონდა დაზიანებული, რაც შეუძლებელს ხდიდა აღნიშნულ თითზე ქიმიური საღებავის წასმას, რის გამოც უფლებამოსილმა პირმა მარკირება განახორციელა ამომრჩევლის მარცხენა ხელის ცერა თითზე. სწორად მოიქცა თუ არა უფლებამოსილი პირი?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც მარჯვენა ხელის ცერა თითის ფრჩხილი დაზიანებულია, კომისიის წევრს შეუძლია მარკირება გამოიყენოს მარცხენა ხელის ცერა თითზე, ხოლო ამის შეუძლებლობისას, ასეთივე წესით ნებისმიერ სხვა თითზე.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, მარკირება უნდა განხორციელდეს მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელი თითის ფრჩხილზე, ხოლო აღნიშნული მოქმედების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მარჯვენა ხელის სხვა თითის ფრჩხილზე, ხოლო ამის შეუძლებლობისას, ასეთივე წესით მარცხენა ხელზე.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, მარკირება უნდა განხორციელდეს ჯერ მარცხენა ხელის ცერა ან საჩვენებელი თითის ფრჩხილზე, ხოლო აღნიშნული მოქმედების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელ თითზე.
- არა, რადგან იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩევლის მარჯვენა ხელის ცერა თითზე ფრჩხილი დაზიანებულია, მარკირების გამოყენება საერთოდ დაუშვებელია.

1644. კონსტიტუციის მიხედვით რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ნიშნავს თანამდებობაზე სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს?
- პრემიერ-მინისტრი.
- საქართველოს მთავრობა.
- ირჩევს პარლამენტი.
- საქართველოს პრეზიდენტი.

1645. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს:
- ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების წესს.
- სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების განხორციელების წესს.
- ყველა პასუხი სწორია.
- ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დადგენის წესს.

1646. ვინ აუქმებს პარტიის საარჩევნო რეგისტრაციას?
- ცესკოს თავმჯდომარე განკარგულებით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია დადგენილებით.
- პარლამენტის თავმჯდომარე განკარგულებით.
- საქართველოს პარლამენტი.

1647. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს ამტკიცებს:
- განკარგულებით.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- ბრძანებით.
- დადგენილებით.

1648. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, პარტიის შესწორებული განცხადებისა და საბუთების შემოწმება და რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა ხდება მათი წარდგენიდან:
- 2 დღეში.
- 5 დღეში.
- 7 დღეში.
- 3 დღეში.

1649. რა შემთხვევაში ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს?
- თუ კანდიდატურა წარდგენილია ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ.
- თუ კანდიდატურა წარდგენილია იუსტიციის მინისტრის მიერ.
- თუ კანონით ეს წესი არის დადგენილი.
- ასეთი უფლება პრეზიდენტს არ გააჩნია.

1650. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოთხოვნა წაეყენება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატს?
- უნდა ჰქონდეს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას.
- უნდა იყოს 35 წლის.
- ბოლო 10 წლის განმავლობაში უნდა ცხოვრობდეს საქართველოში.

1651. 1 მარტს საარჩევნო ადმინისტრაციას წერილობითი განცხადებით მიმართა მოქალაქე თენგიზ ჭკადუამ და მოითხოვა არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაცია დოკუმენტაციის სახით. ადმინისტრაციამ თანხმობა განუცხადა მოქალაქეს ინფორმაციის გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაიხდიდა დოკუმენტების ასლის გადაღებისთვის საჭირო თანხას, თან პასუხში მიუთითა, რომ აღნიშნულ ინფორმაციას გააცნობდა 20 მარტს. სწორად მოიქცა თუ არა საარჩევნო ადმინისტრაცია?
- არასწორად მოიქცა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო დოკუმენტაცია ნაწილობრივ დახურული ტიპის ინფორმაციას განეკუთვნება და მისი გაცემა შეიძლება მხოლოდ ცესკოს თავმჯდომარის დადგენილების საფუძველზე.
- სწორად მოიქცა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ყველასთვის. საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია მათი მოთხოვნიდან 20 დღის ვადაში გააცნოს ყველა დაინტერესებულ პირს.
- არასწორად მოიქცა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ყველასთვის. საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია მათი მოთხოვნიდან 2 დღის ვადაში გააცნოს ყველა დაინტერესებულ პირს.
- სწორად მოიქცა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ყველასთვის. საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია მათი მოთხოვნიდან 1 თვის ვადაში გააცნოს ყველა დაინტერესებულ პირს.

1652. საქართველოს სახელმწიფოს რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი წყვეტს ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების საკითხს?
- საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წერილობითი თანხმობით
- საქართველოს პრეზიდენტი

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- საქართველოს პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმებით

1653. საჯარო მოსამსახურეს შეიძლება მიეცეს შვებულება ანაზღაურების გარეშე
- არა უმეტეს 6 თვისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- არა უმეტეს 3 წლისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- არა უმეტეს 1 წლისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- არა უმეტეს 3 თვისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1654. რა შემთხვევაში შეიძლება არ ჩატარდეს პარლამენტის არჩევნები კონსტიტუციით დადგენილ პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში?
- თუ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ.
- თუ ტარდება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები
- თუ ასეთი გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერით (კონტრასიგნაციით) მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა.
- თუ ასეთი გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა.

1655. როგორია საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გადაცემის წესი?
- გადასცემს ცესკო კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს 12 საათისა.
- გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს 12 საათისა.
- გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს მე-2 დღისა.
- გადასცემს ცესკო კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს მე-2 დღისა.

1656. ჩამოთვლილთაგან რა შემთხვევაში გასცემს საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენსა (ბიულეტენებსა) და სპეციალურ კონვერტებს ამომრჩეველთა სიის საფუძველზე:
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) ან საპენსიო მოწმობის წარდგენის შემთხვევაში.
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის), მართვის მოწმობის, საპენსიო მოწმობის ან სტუდენტის ბილეთის წარდგენის შემთხვევაში.
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) ან მართვის მოწმობის წარდგენის შემთხვევაში.
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის, საქართველოს მოქალაქის პასპორტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირისათვის – ასევე დევნილის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ერთად) წარდგენის შემთხვევაში.

1657. ჩამოთვლილთაგან, ხმის მიცემის პროცედურათა რომელი თანმიმდევრობაა სწორი:
- მარკირება, ბიულეტენის მიღება, კომისიის წევრის მიერ ბიულეტენზე ბეჭდის დასმა და ხელმოწერა, ხმის მიცემა, ბიულეტენზე კომისიის წევრის ხელმოწერა და კონვერტის გადაცემა, მარკირების შემოწმება და ბიულეტენის ყუთში ჩაშვება.
- მარკირება, ბიულეტენის მიღება, ბიულეტენზე კომისიის წევრის ხელმოწერა, ხმის მიცემა, ბიულეტენზე ბეჭდის დასმა და კონვერტის გადაცემა, მარკირების შემოწმება, ბიულეტენის ყუთში ჩაშვება.
- მარკირების შემოწმება, მარკირება, ხელმოწერა, ბიულეტენზე კომისიის წევრის ხელმოწერა, ბიულეტენზე ბეჭდის დასმა, ბიულეტენის მიღება, ხმის მიცემა, კონვერტის აღება, კონვერტში მოთავსებული ბიულეტენის (ბიულეტენების) ყუთში ჩაშვება.
- მარკირების შემოწმება, ბიულეტენის მიღება, ბიულეტენზე კომისიის წევრის ხელმოწერა, ხმის მიცემა, ბიულეტენზე ხელმოწერის შემოწმება, ბეჭდის დასმა, კონვერტის მიღება და მარკირება, ბიულეტენის ყუთში ჩაშვება.

1658. როდის უნდა გამოაქვეყნოს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ცნობა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შესახებ?
- შედეგების შეჯამებიდან 10 დღის ვადაში.
- შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში.
- შედეგების შეჯამებიდან 7 დღის ვადაში.
- შედეგების შეჯამებიდან 2 დღის ვადაში.

1659. მხარდამჭერთა სიაში ამომრჩევლის ხელმოწერა ბათილად მიიჩნევა, თუ:
- მითითებული არ არის ოჯახის წევრების შემადგენლობა.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული რეგისტრაციის ადგილი (დასახლებული პუნქტი, ქუჩა, სახლისა და ბინის ნომრები).
- მითითებული არ არის მეუღლის ბინის ნომერი.

1660. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით პარტიამ, რომელიც რეგისტრირებული იყო ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას, არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს არჩევნების დანიშვნის შემდეგ, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს:
- 57-ე დღისა.
- 35-ე დღისა.
- 25-ე დღისა.
- 37-ე დღისა.

1661. სწორია თუ არა მსჯელობა? საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს უფლება აქვთ ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლამდე და სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის (ბიულეტენების) ჩადებამდე მოსთხოვონ, უჩვენოს, რომ მას ხელთ აქვს მხოლოდ კანონით დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი.
- დიახ, და ამომრჩეველი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა.
- არა, რადგან ამით შეიძლება დაირღვეს ხმის მიცემის ფარულობა.
- დიახ, თუმცა ამომრჩეველი არ არის ვალდებული შეასრულოს ეს მოთხოვნა.
- არა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებს არა აქვთ ამის უფლება.

1662. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
- კენჭისყრის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად კენჭისყრის კაბინაში დასაშვებია ფოტო და ვიდეოგადაღება.
- კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია.
- კენჭისყრის სამართლიანად და ობიექტურად ჩატარების უზრუნველსაყოფად კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება ნებადართულია, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც აკრძალვაზე არსებობს ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება.
- კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც დაშვებაზე არსებობს ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება.

1663. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი მსჯელობა?
- ბლანკის ქვედა მარჯვენა კუთხეში უნდა იყოს მითითებული საარჩევნო სუბიექტის სახელი.
- ბლანკის ქვედა მარჯვენა კუთხეში უნდა იყოს მხოლოდ ბეჭედი დასმული.
- მხარდამჭერთა ბლანკის ზედა მარცხენა კუთხეში მითითებული უნდა იყოს იმ საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება (სახელი და გვარი), რომლის არჩევნებში მონაწილეობის ინიციატივას მხარს უჭერს ამომრჩეველი.
- ბლანკის არც ერთ კუთხეში არ უნდა იყოს მითითებული საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება.

1664. კონსტიტუციის მიხედვით რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ათავისუფლებს თანამდებობიდან სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს?
- სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის თანამდებობიდან გათავისუფლება დაუშვებელია, იგი სარგებლობს აბსოლუტური იმუნიტეტით და განუსაზღვრელი ვადით არის არჩეული მოსახლეობის მიერ.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
- საქართველოს მთავრობა.

1665. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივ აქტებს?
- უსკოს თავმჯდომარის ბრძანება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დადგენილება.
- უსკოს დადგენილება.
- უსკოს განკარგულება.

1666. ვის საქმიანობაზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება?
- საქართველოს სახალხო დამცველისსაქმიანობაზე.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობაზე.
- იმ თანამდებობრივი პირების საქმიანობაზე, რომლებიც ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად.
- საქართველოს პარლამენტის საქმიანობაზე.

1667. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელია გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- დეპუტატის მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა იმის გამო, რომ ბიუჯეტის განხილვისას გამოთქვა მოსაზრება, რომ ეთნიკურ უმცირესობათა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს შეუწყდეთ დაფინანსება, ვინაიდან ისინი დახმარებას მეზობელი ქვეყნიდან იღებენ.

- დეპუტატის მიმართ უნდა დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა, თუ ლტოლვილებთან შეხვედრისას მან გამოთქვა მოსაზრება იურისდიქციის აღდგენის შემდეგ აფხაზეთისათვის რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ.
- დეპუტატი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას გამოთქმული აზრებისათვის.
- პარლამენტის წევრი პასუხისგებაში უნდა მიეცეს პარლამენტში მის მიერ ინიცირებული „საქართველოს ფედერალური მოწყობის შესახებ“ კანონპროექტის გამო.

1668. ვინ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საარჩევნო პლაკატების გასაკრავად ადგილების გამოყოფა?
- ცესკომ.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ.
- მერიის დასუფთავების სამსახურმა.
- საქართველოს პარლამენტმა.

1669. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- მოქალაქეობისა და თავშესაფრის მიცემის საკითხებს საქართველოში წყვეტს საქართველოს სახალხო დამცველი.
- მოქალაქეობისა და თავშესაფრის მიცემის საკითხებს საქართველოში წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი.
- მოქალაქეობისა და თავშესაფრის მიცემის საკითხებს საქართველოში წყვეტს ეროვნული უშიშროების საბჭო.
- მოქალაქეობისა და თავშესაფრის მიცემის საკითხებს საქართველოში წყვეტს საქართველოს მთავრობა.

1670. ვის აქვს უფლება სასამართლოში შეიტანოს სარჩელი ამომრჩეველთა სიების გამო?
- არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას.
- სახალხო დამცველს.
- საქართველოს პრეზიდენტს.
- პარლამენტართა ერთ მეხუთედს.

1671. საოლქო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებისას კანონით დადგენილ ვადაში ვერ მოხერხდა კომისიის ხელმძღვანელი პირის არჩევა. ვინ ასრულებს აღნიშნული თანამდებობის პირის მოვალეობას ხელმძღვანელის კანონით დადგენილი წესით არჩევამდე?
- ხელმძღვანელის მოვალეობას ასეთ შემთხვევაში ასრულებს საოლქო საარჩევნო კომისიის ის წევრი, რომელმაც არჩევნებისას ყველაზე მეტი ხმა მიიღო, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში კი ასაკით უხუცესი წევრი.
- ხელმძღვანელის მოვალეობას ასეთ შემთხვევაში ასრულებს საოლქო საარჩევნო კომისიის ის წევრი, რომელმაც არჩევნებისას ყველაზე მეტი ხმა მიიღო, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში კი წილისყრით განსაზღვრული პირი.
- ხელმძღვანელის მოვალეობას ასეთ შემთხვევაში ასრულებს საოლქო საარჩევნო კომისიის ყველაზე უხუცესი წევრი.
- ხელმძღვანელის მოვალეობას ასეთ შემთხვევაში ასრულებს საოლქო საარჩევნო კომისიის ის წევრი, რომელმაც არჩევნებისას ყველაზე მეტი ხმა მიიღო, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში კი ის წევრი, რომელსაც საარჩევნო კომისიის წევრად მუშაობის ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს.

1672. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მსჯელობა არის სწორი?
- საარჩევნო ბლოკი, რომლის შემადგენლობაშიც არ შედის არცერთი კვალიფიციური პარტია, მაგრამ მასში გაერთიანებული პარტიების მიერ ბოლო საპარლამენტო ან ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ საერთო არჩევნებში, ერთ-ერთში მაინც, მიღებული ხმების ჯამი არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 2% ან მეტია, არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით დაფინანსებას მიიღებს ყოველ საარჩევნო უბანზე 100 ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ საარჩევნო ოლქზე - 150 ლარის ოდენობით.
- საარჩევნო ბლოკი, რომლის შემადგენლობაშიც არ შედის არცერთი კვალიფიციური პარტია, მაგრამ მასში გაერთიანებული პარტიების მიერ ბოლო საპარლამენტო ან ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ საერთო არჩევნებში, ერთ-ერთში მაინც, მიღებული ხმების ჯამი არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3% ან მეტია, არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით დაფინანსებას მიიღებს ყოველ საარჩევნო უბანზე 150 ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ საარჩევნო ოლქზე - 200 ლარის ოდენობით.
- საარჩევნო ბლოკი, რომლის შემადგენლობაშიც არ შედის არცერთი კვალიფიციური პარტია, მაგრამ მასში გაერთიანებული პარტიების მიერ ბოლო საპარლამენტო ან ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ საერთო არჩევნებში, ერთ-ერთში მაინც, მიღებული ხმების ჯამი არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3% ან მეტია, არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად დაფინანსებას მიიღებს ყოველ საარჩევნო უბანზე 100 ლარის და ყოველ საარჩევნო ოლქზე - 150 ლარის ოდენობით.
- საარჩევნო ბლოკი, რომლის შემადგენლობაშიც არ შედის არცერთი კვალიფიციური პარტია, მაგრამ მასში გაერთიანებული პარტიების მიერ ბოლო საპარლამენტო ან ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ საერთო არჩევნებში, ერთ-ერთში მაინც, მიღებული ხმების ჯამი არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 2% ან მეტია, არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით დაფინანსებას მიიღებს ყოველ საარჩევნო უბანზე 150 ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ საარჩევნო ოლქზე - 200 ლარის ოდენობით.

1673. მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფმა ცესკოს მიმართა განცხადებით, რათა რეგისტრაციაში გაეტარებინა სარეფერენდუმო საკითხი: „ხართ თუ არა თანახმა, დაწესდეს პასუხისმგებლობა კრიტიკული აზრის გამოთქმისთვის?“. ცესკომ რეგისტრაციაში გაატარა შემოთავაზებული სარეფერენდუმო საკითხი, რის შემდეგ საინიციატივო ჯგუფმა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით შეაგროვა ხელმოწერათა საჭირო რაოდენობა. ცესკომ ხელმოწერების ნამდვილობის შემოწმების შემდეგ, რეფერენდუმის დასანიშნად საკითხი წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც უარი თქვა რეფერენდუმის დანიშვნაზე იმ მოტივით, რომ სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის ძირითად უფლებებს. კანონიერია თუ არა საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება?
- კანონიერია, რადგან საქართველოს პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია, რის გამოც მას აქვს ასეთი მოქმედების უფლება.
- კანონიერია, რადგან სარეფერენდუმო საკითხი ზღუდავს ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებას.
- არ არის კანონიერი, რადგან საინიციატივო ჯგუფმა შეაგროვა ხელმოწერების საჭირო რაოდენობა.
- არ არის კანონიერი, რადგან სარეფერენდუმო საკითხი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა.

1674. მოსამსახურე, რომელსაც აქვს სამსახურებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსთან, არის
- დამხმარე მოსამსახურე.
- სახელმწიფო მოსამსახურე.
- ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურე.
- სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი.

1675. ამომრჩევლის შესახებ რომელი მონაცემის მითითება არ არის საჭირო მხარდამჭერთა სიის ბლანკში?
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ნომრის.
- საქართველოს მოქალაქის პირადი ნომრის.
- მამის სახელის.
- დაბადების თარიღის.

1676. კენჭისყრამდე რა ვადაში იკრძალება პარტიის მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა?
- კენჭისყრამდე 15 დღით ადრე.
- კენჭისყრამდე 10 დღით ადრე.
- კენჭისყრამდე 20 დღით ადრე.
- კენჭისყრამდე 25 დღით ადრე.

1677. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული მოქალაქე ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეჰყავთ მისი სამუშაო ადგილის მიხედვით.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული მოქალაქე ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეჰყავთ მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული მოქალაქე ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეჰყავთ მის მიერ არჩეული ადგილის მიხედვით.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული მოქალაქე ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეჰყავთ მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

1678. კონსტიტუციის მიხედვით, რომელ ორგანოს ან თანამდებობის პირს შეუძლია მიმოწერის ხელშეუხებლობის შეზღუდვა?
- ფინანსთა მინისტრს
- მთავარ პროკურორსა და პრემიერ-მინისტრს
- სასამართლოს
- მხოლოდ მთავარ პროკურორს

1679. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მოიწვიოს და თავმჯდომარეობდეს მთავრობის სხდომას.
- საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მოიწვიოს და თავმჯდომარეობდეს მთავრობის სხდომას, ხოლო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება პრეზიდენტის აქტით.
- საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით თანამდებობიდან გაათავისუფლოს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.
- საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ცალკეულ საკითხთა მთავრობის სხდომაზე განხილვა და მონაწილეობა მიიღოს ამ განხილვაში.

1680. ვინ განსაზღვრავს პარტიული სიების შედგენის წესს?
- ცესკო დადგენილებით.

- პარტიები და საარჩევნო ბლოკები.
- ცესკოს თავმჯდომარე ერთპიროვნული განკარგულებით.
- პარლამენტი კანონით.

1681. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა აკრძალულია:
- კენჭისყრის დღემდე 20 დღით ადრე.
- კენჭისყრის დღემდე 25 დღით ადრე.
- კენჭისყრის დღემდე 15 დღით ადრე.
- კენჭისყრის დღემდე 18 დღით ადრე.

1682. როგორ განისაზღვრება გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრების ვინაობა?
- გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრების ვინაობა განისაზღვრება საარჩევნო კომისიის წევრებს შორის სახელობითი კენჭისყრით.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრების ვინაობა განისაზღვრება წილისყრით.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ კომისიის წევრებად განისაზღვრება ასაკით უხუცესი კომისიის წევრები.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრების ვინაობა განისაზღვრება თავიანთი სურვილისამებრ.

1683. კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი არის:
- სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ერთიანობის გარანტი.
- ქვეყნის ერთიანობის გარანტი.
- საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვის გარანტი.
- საქართველოს კონსტიტუციის დაცვის გარანტი.

1684. ვინ ატარებს რეგისტრაციაში იმ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს 3 საარჩევნო ოლქში?
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცესკო.
- უსკო.
- საუბნო საარჩევნო კომისია.

1685. კენჭისყრამდე N7 საუბნო საარჩევნო კომისიამ საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ყველა ამომრჩეველს დაურიგა ამომრჩევლის ბარათები. კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე გამოცხადდა მოქალაქე ჭოლა ქებაძე მონაწილეობის მისაღებად, თუმცა მას არ აღმოაჩნდა ამომრჩევლის ბარათი. მოქალაქემ განმარტა, რომ არც არავის მიუცია მისთვის აღნიშნული ბარათი. საუბნო საარჩევნო კომისიამ ქებაძეს არ მისცა უფლება მონაწილეობა მიეღო კენჭისყრაში. სწორად მოიქცა თუ არა კომისია?
- კომისია მოიქცა უკანონოდ, რადგან ამომრჩევლის ბარათის მიუღებლობა არ არის კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის საფუძველი.
- კომისია მოიქცა უკანონოდ, რადგან თვითონ იყო ვალდებული მიეცა ამომრჩევლის ბარათი იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ამომრჩევლისათვის.
- კომისია მოიქცა კანონიერად, რადგან ამომრჩევლის ბარათის წარმოდგენა სავალდებულოა კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად.
- კომისია მოიქცა უკანონოდ, რადგან ამომრჩეველს ბარათის წარმოდგენის ვალდებულება უჩნდება მაშინ, როცა საუბნო საარჩევნო კომისია გადასცემს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 2 დღისა.

1686. საინიციატივო ჯგუფს ხელმოწერების შეგროვება რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით შეუძლია დაიწყოს:
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბების დღიდან.
- რეგისტრაციის მოწმობის მიღების დღიდან.
- რეგისტრაციის შესახებ თხოვნის მიმართვის დღიდან.

1687. პარტიამ, რომელსაც არ გააჩნია რეგისტრაცია ცესკოში, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აქტიური საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა:
- არანაკლებ 1000 მხარდამჭერთა ხელმოწერები.
- არანაკლებ 3000 მხარდამჭერთა ხელმოწერები.
- არანაკლებ 5000 მხარდამჭერთა ხელმოწერები.
- არანაკლებ 25000 მხარდამჭერთა ხელმოწერები.

1688. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
- საარჩევნო ბლოკის ცესკოში რეგისტრაციის შემდეგ ბლოკში შემავალი პოლიტიკური გაერთიანებები უფლებამოსილნი არიან, შეაჩერონ თავიანთი პარტიის ფონდების საქმიანობა და ისარგებლონ მხოლოდ საარჩევნო ბლოკის პირველი ნომერი პარტიის ფონდით.
- არც ერთი მსჯელობა არ არის სწორი.
- საარჩევნო ბლოკის ცესკოში რეგისტრაციის შემდეგ ბლოკში შემავალი პოლიტიკური გაერთიანებები ვალდებული არიან, შეაჩერონ თავიანთი პარტიის ფონდების საქმიანობა და ისარგებლონ მხოლოდ საარჩევნო ბლოკის პირველი ნომერი პარტიის ფონდით.
- საარჩევნო ბლოკის ცესკოში რეგისტრაციის შემდეგ ბლოკში შემავალი პოლიტიკური გაერთიანებები უფლებამოსილნი არიან, დროებით შეაჩერონ თავიანთი პარტიის ფონდების საქმიანობა და 5 დღის ვადაში ისარგებლონ მხოლოდ საარჩევნო ბლოკის პირველი ნომერი პარტიის ფონდით.

1689. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი მსჯელობა?
- თბილისის საკრებულოს პროპორციული წესით ჩასატარებელი არჩევნებისათვის იქმნება 5 საარჩევნო ოლქი.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს არჩევნებისათვის ქალაქ თბილისში იქმნება 9 საარჩევნო ოლქი.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს არჩევნებისათვის ქალაქ თბილისში იქმნება 12 საარჩევნო ოლქი.
- თბილისის საკრებულოს პროპორციული წესით ჩასატარებელი არჩევნებისათვის იქმნება 10 საარჩევნო ოლქი.

1690. საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი დაუყოვნებლივ გადაეცემა:
- პარტიის წარმომადგენლებს.
- ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.
- ცესკოს.
- პარტიის/საარჩევნო ბლოკის/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებს.

1691. საჯარო სამსახურის საბჭოს თავმჯდომარე არის
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
- საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

1692. რომელი მსჯელობაა სწორი?
- კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა წინასწარი მონაცემებით საარჩევნო ზღურბლგადალახული პარტიების პარტიული სიიდან სავარაუდოდ არჩეულმა ყველა საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატმა უნდა გაიაროს ნარკოლოგიური შემოწმება.
- კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა წინასწარი მონაცემებით საარჩევნო ზღურბლგადალახული პარტიების პარტიული სიიდან სავარაუდოდ არჩეულმა ყველა საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატმა უნდა გაიაროს ნარკოლოგიური შემოწმება.
- კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს მე-14 დღისა წინასწარი მონაცემებით საარჩევნო ზღურბლგადალახული პარტიების პარტიული სიიდან სავარაუდოდ არჩეულმა ყველა საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატმა უნდა გაიაროს ნარკოლოგიური შემოწმება.
- კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს მე-10 დღისა წინასწარი მონაცემებით საარჩევნო ზღურბლგადალახული პარტიების პარტიული სიიდან სავარაუდოდ არჩეულმა ყველა საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატმა უნდა გაიაროს ნარკოლოგიური შემოწმება.

1693. რა სახის სამართლებრივი აქტით ანიჭებს დამკვირვებლის სტატუსს საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ ადგილობრივ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს?
- ბრძანებულებით.
- განკარგულებით.
- ბრძანებით.
- დადგენილებით.

1694. პარლამენტის თავმჯდომარის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას?
- ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ დანიშნული პირი.
- მთავრობის თავმჯდომარე.
- მთავრობის მეთაური.
- პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

1695. საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით გამართული რეფერენდუმის შედეგების ოფიციალური გამოქვეყნებიდან ექვსი თვის შემდეგ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით საქართველოს პრეზიდენტმა კვლავ დანიშნა რეფერენდუმი იმავე საკითხზე. კანონიერია თუ არა საქართველოს პრეზიდენტის მოქმედება?
- არა, ვინაიდან ერთსა და იმავე საკითხზე რეფერენდუმის დანიშვნა არ შეიძლება იმ დღიდან ერთი წლის განმავლობაში, როდესაც ოფიციალურად გამოქვეყნდა ამ საკითხზე გამართული რეფერენდუმის შედეგები.

- დიახ, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის, არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით ნიშნავს რეფერენდუმს იმდენჯერ, რამდენჯერაც მიიჩნევს საჭიროდ.
- არა, ვინაიდან ერთსა და იმავე საკითხზე რეფერენდუმის დანიშვნა დაუშვებელია.
- დიახ, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის, არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით ნიშნავს რეფერენდუმს.

1696. კენჭისყრის დღეს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად აკრედიტირებული ტელეკომპანია ”ემგისი”-ს 3 წარმომადგენელი გამოცხადდა საარჩევნო უბანზე, რომელთაგან ერთ-ერთს შეეზღუდა დასწრების უფლება იმ არგუმენტით, რომ საარჩევნო კოდექსის თანახმად, დაუშვებელი იყო ერთ უბანზე ერთი და იმავე ტელეკომპანიის ერთდროულად ორზე მეტი წარმომადგენლის დასწრება. ტელეკომპანია „ემგისი“-ს წარმომადგენლებმა ამ ფაქტის შესახებ მოახსენეს კომისიის თავმჯდომარეს და მასზე დაუყოვნებლივი რეაგირება მოსთხოვეს. კანონიერად მოქმედებდა თუ არა საარჩევნო კომისია?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს 3 წარმომადგენლისა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს 4 წარმომადგენლისა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს 2 წარმომადგენლისა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელთა რაოდენობის განსაზღვრა საარჩევნო კომისიის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება.

1697. კონსტიტუციის მიხედვით, რა წესის დაცვით და რომელი ორგანოს თუ თანამდებობის პირს შეუძლია სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა?
- სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა შეუძლია იუსტიციის უმაღლეს საბჭოს კანონით განსაზღვრული წესით
- სასამართლოს გადაწყვეტილება საერთოდ არ ექვემდებარება გაუქმებას ან შეცვლას.
- სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა შეუძლია სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.
- სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა შეუძლია საქართველოს მთავრობას კანონით განსაზღვრული წესით.

1698. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით?
- ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლება შეიძლება შეიზღუდოს დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით
- ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლება შეიძლება შეიზღუდოს კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნით
- ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლება შეიძლება შეიზღუდოს სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად
- ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლება შეიძლება შეიზღუდოს ინფორმაციის გარკვეული ხარისხის დადგენის მიზნით

1699. ვის კონტრასიგნაციას საჭიროებს რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ?
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის.

1700. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რისი აღნიშვნა არ ხდება ბეჭდვით სააგიტაციო მასალაზე?
- დამამზადებელი და დამკვეთი ორგანიზაციების მისამართები.
- დამამზადებელი და დამკვეთი ორგანიზაციების რეგისტრაციის ნომერი.
- ინფორმაცია მისი ტირაჟის შესახებ.
- დამამზადებელი და დამკვეთი ორგანიზაციების სახელწოდებები.

1701. ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებული იქნა უსკოში. უსკომ კანონით დადგენილ ვადაში განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება. უსკოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებული იქნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ბათუმის საქალაქო სასამართლომ ასევე განიხილა საჩივარი და გადაწყვიტა იგი. ბათუმი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ განიხილა საჩივარი და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. სად შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება?
- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.
- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან.
- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრდება უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარესთან.
- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრდება უზენაეს სასამართლოში.

1702. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით რა მიზნით იქმნება მთავრობის შემადგენლობაში სამინისტრო?
- მომავალ საპარლამენტო არჩევნებში პარტიის გამარჯვების უზრუნველსაყოფად.
- განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად.
- მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველსაყოფად.
- განსაზღვრულ სფეროში საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერების დასაქმებისათვის.

1703. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია, რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, 1 წლის განმავლობაში შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა აქტები.
- საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია, რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, 1 თვეში შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა აქტები.
- საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია, რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, 3 თვეში შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა აქტები.
- საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია, რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, 6 თვეში შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა აქტები.

1704. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური იმართება არჩევნების პირველი ტურის შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან ორი კვირის თავზე.
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური იმართება არჩევნების პირველი ტურის შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან ოთხი კვირის თავზე.
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური იმართება არჩევნების პირველი ტურის შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან ერთი კვირის თავზე.
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური იმართება არჩევნების პირველი ტურის შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან სამი კვირის თავზე.

1705. რომელი მსჯელობაა სწორი? საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ:
- საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს არა უმეტეს 2 წარმომადგენელს, რომლებიც დააკვირდებიან საჩივრების რეგისტრაციის პროცესს.
- საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს არა უმეტეს 4 წარმომადგენელს, რომლებიც დააკვირდებიან საჩივრების რეგისტრაციის პროცესს.
- საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს არა უმეტეს 1 წარმომადგენელს, რომლებიც დააკვირდებიან საჩივრების რეგისტრაციის პროცესს.
- საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს არა უმეტეს 3 წარმომადგენელს, რომლებიც დააკვირდებიან საჩივრების რეგისტრაციის პროცესს.

1706. პარლამენტში აღიძრა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით გადაყენების პროცედურა მის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით. საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტს წარუდგინა დასკვნა, რომლითაც დაადასტურა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ქმედობაში დანაშაულის ნიშნების არსებობა. წარდგენიდან მე-13 დღეს პარლამენტში ჩატარდა კენჭისყრა, რომელშიც იმპიჩმენტის წესით ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადაყენებისათვის ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მოგროვდა, შესაბამისად იმპიჩმენტის პროცედურა დასრულდა. ერთი წლის შემდეგ ახალარჩეულმა პარლამენტმა იმავე ბრალდებით იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადააყენა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. შეაფასეთ პარლამენტის გადაწყვეტილება:
- პარლამენტმა აღადგინა სამართლიანობა.
- პარლამენტის გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურია - ხელახალი პროცედურის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ წინა გადაწყვეტილების მიღებიდან 9 თვის განმავლობაში.
- პარლამენტის გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურია - ხელახალი პროცედურის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ წინა გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის განმავლობაში
- პარლამენტის გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურია - იმავე საკითხზე იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია.

1707. რომელი ორგანოს სამართლებრივი აქტით თავისუფლდება ვადამდე ცესკოს მდივანი?
- ცესკოს დადგენილებით.
- პარლამენტის დადგენილებით.
- ცესკოს განკარგულებით.
- ცესკოს თავმჯდომარის დადგენილებით.

1708. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ანიჭებს საქართველოში უმაღლეს სპეციალურ და საპატიო წოდებებს?
- საქართველოს პრეზიდენტი.

- საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს მთავრობა.
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

1709. საარჩევნო უბნების ნომრები, საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართები, ტელეფონის (ფაქსის) ნომრები და სხვა რეკვიზიტები ქვეყნდება:
- არ ქვეყნდება.
- საზღვრების დაზუსტების დასრულებისთანავე.
- საზღვრების დაზუსტების დასრულებიდან 3 დღის ვადაში.
- საარჩევნო უბნების შექმნიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

1710. სად საჩივრდება ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება?
- რაიონულ/საქალაქო სასამართლოში.
- უზენაეს სასამართლოში.
- საკონსტიტუციო სასამართლოში.
- სააპელაციო სასამართლოში

1711. ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.
- საქართველოს მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.
- საქართველოს მთავრობა ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის წინაშე.
- საქართველოს მთავრობა ანგარიშვალდებულია პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

1712. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი და საქართველოში მუდმივად უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 25 წელი და საქართველოში მუდმივად უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 18 წელი და საქართველოში მუდმივად უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი და საქართველოში მუდმივად უცხოვრია სულ ცოტა 3 წლის განმავლობაში, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც.

1713. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- თუ ნდობამიღებული მთავრობის პირვანდელი შემადგენლობა ერთი მესამედით, მაგრამ არანაკლებ მთავრობის 4 წევრით განახლდა, საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის განახლებულ შემადგენლობას.
- თუ ნდობამიღებული მთავრობის პირვანდელი შემადგენლობა ორი მესამედით განახლდა, საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის განახლებულ შემადგენლობას.
- თუ ნდობამიღებული მთავრობის პირვანდელი შემადგენლობა ერთი მესამედით, მაგრამ არანაკლებ მთავრობის 5 წევრით განახლდა, საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის განახლებულ შემადგენლობას.
- თუ ნდობამიღებული მთავრობის პირვანდელი შემადგენლობა ერთი მესამედით განახლდა, საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის განახლებულ შემადგენლობას.

1714. ვინ ამტკიცებს საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის დებულებას?
- ცესკოს თავმჯდომარე ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თანხმობით.
- ცესკოს თავმჯდომარე.
- საქართველოს იუსტიციის მინისტრი.
- ცესკო პარლამენტის თანხმობით.

1715. რა შინაარსის მონაცემი არ აღინიშნება ცესკოს მიერ შედგენილი არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში?
- ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა.
- გაცემულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა იმ საარჩევნო უბნებში, რომლებშიც კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი.

- ამომრჩეველთა რაოდენობა.
- არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა.

1716. დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი არის:
- მთავარი პროკურორის გადაწყვეტილება.
- წინასწარ პატიმრობაში ყოფნა.
- პირადი განცხადება.
- მეუღლესთან განქორწინება.

1717. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია არასწორი?
- არჩევნების მოსამზადებლად და ჩასატარებლად საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯი და მისი საქმიანობა უფლებამოსილების განხორციელების ვადაში ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
- წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ცესკოს ქმედების გასაჩივრება იწვევს შესყიდვების პროცედურების შეჩერებას.
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციას, ცესკოს სახით, უფლება აქვს, მიიღოს გრანტი კანონით უფლებამოსილი პირისაგან.
- ცესკოსთვის ფულადი სახსრების გამოყოფის თაობაზე იძულებითი აღსრულება არ ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდიდან.

1718. ადმინისტრაციულმა ორგანომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დასაბუთების გარეშე გამოსცა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, იყო თუ არა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, არ დაესაბუთებინა წერილობითი ფორმით გამოცემული აქტი?
- იყო, რადგან ადმინისტრაციულმა ორგანომ შეიძლება საჭიროდ არ ჩათვალოს დასაბუთება.
- არ იყო უფლებამოსილი.
- იყო, რადგან წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ ის გამოცემულია დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე და არ ზღუდავს მესამე პირების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.
- იყო, რადგან წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ ის გამოცემულია დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

1719. რა უნდა იყოს მოცემული რეფერენდუმის გამართვასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში?
- რეფერენდუმის მოწყობის თარიღი და სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის ზუსტი ფორმულირება.
- მხოლოდ რეფერენდუმის მოწყობის თარიღი.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- მხოლოდ სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის ფორმულირება.

1720. რომელი საკანონმდებლო აქტით ხდება საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანიის ხარჯების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა?
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციით.
- საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი".
- საქართველოს ორგანული კანონით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ".
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.

1721. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილმა საკონკურსო კომისიამ, ცესკოს წევრობის კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან მე-5 დღეს პრეზიდენტს წარუდგინა 8 კანდიდატურა. თითო ვაკანსიაზე 2 კანდიდატურა. კანდიდატების შერჩევიდან მე-7 დღეს პრეზიდენტმა შერჩეული კანდიდატები წარუდგინა საქართველოს პარლამენტს. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან ცესკოს წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის წარდგინებით.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საკონკურსო კომისიის მიერ პრეზიდენტს უნდა წარედგინოს თითო ვაკანსიაზე 3 კანდიდატურა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა ვინაიდან საკონკურსო კომისიას პრეზიდენტისთვის კანდიდატები უნდა წარედგინა ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან პრეზიდენტს პარლამენტისათვის კანდიდატურები უნდა წარედგინა შერჩევიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

1722. რიგგარეშე არჩევნების დროს, არჩევნებამდე რა ვადაში ატარებს ცესკო რეგისტრაციაში პრეზიდენტობის კანდიდატებს?
- რიგგარეშე არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-20 დღისა.
- რიგგარეშე არჩევნებამდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.

- რიგგარეშე არჩევნებამდე არა უგვიანეს 25-ე დღისა.
- რიგგარეშე არჩევნებამდე არა უგვიანეს 35-ე დღისა.

1723. კრწანისის N1 საარჩევნო უბანზე, სადაც ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანილი იყო 700 ამომრჩეველი, იმავე უბანზე შექმნილ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ იქნა 35 ამომრჩეველი, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეეძლოთ კენჭისყრის შენობაში მისვლა. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეეძლოთ კენჭისყრის შენობაში მისვლა, არ უნდა აღემატებოდეს საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული ამომრჩევლების 3 პროცენტს.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეეძლოთ კენჭისყრის შენობაში მისვლა, არ უნდა აღემატებოდეს საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული ამომრჩევლების 4 პროცენტს.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეეძლოთ კენჭისყრის შენობაში მისვლა, უნდა აღემატებოდეს საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული ამომრჩევლების 3 პროცენტს.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეეძლოთ კენჭისყრის შენობაში მისვლა, არ უნდა აღემატებოდეს საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული ამომრჩევლების 6 პროცენტს.

1724. რამდენი ხნის ვადაში უნდა დასრულდეს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიის შემოწმება?
- მისი წარდგენიდან 3 დღეში.
- კენჭისყრამდე 3 დღით ადრე.
- მისი წარდგენიდან 5 დღეში.
- კენჭისყრამდე 5 დღით ადრე.

1725. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ არის უფლებამოსილი, საარჩევნო უბნის შექმნის გამო, საარჩევნო კოდექსით დადგენილ ვადებში სარჩელი შეიტანოს სასამართლოში?
- შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის წარმომადგენელი.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი.
- დამკვირვებლის სტატუსის მქონე ადგილობრივი ორგანიზაცია.
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი.

1726. კონსტიტუციის მიხედვით, რა ვალდებულება ეკისრება სახელმწიფოს ოჯახის მიმართ?
- სახელმწიფოს არანაირი ვალდებულება ოჯახის მიმართ არ გააჩნია. ოჯახმა თავად უნდა იზრუნოს თავის კეთილდღეობაზე
- სახელმწიფო ვალდებულია ყოველი ოჯახი უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებით
- სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას
- დაქორწინებისას სახელმწიფო ვალდებულია დაქორწინებულებს უსასყიდლოდ მისცეს ბინის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი

1727. კონსტიტუციის მიხედვით, შეიძლება თუ არა პირს განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის?
- არ შეიძლება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა
- შეიძლება, თუ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის არის პირი მსჯავრდებული
- შეიძლება, თუ პირი საქართველოს მოქალაქე არ არის
- არ შეიძლება

1728. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის მიზნით, კანონით დადგენილ ვადაში, თანამდებობიდან არ უნდა გადადგეს:
- მოსამართლე.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსი.
- სახელმწიფო რწმუნებული.
- გენერალური აუდიტორი.

1729. მთავარი პროკურორის წარდგინებაზე ვისი თანხმობაა საჭირო იმისთვის, რომ კანონით გათვალისწინებული წესით საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს ჩაუტარდეს ჩხრეკა?
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსი.
- საქართველოს პარლამენტის.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოსი.

- ცესკოსი.

1730. ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული საერთო სასამართლოს მოსამართლე.
- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს მიერ არჩეული უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი წევრი.
- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

1731. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას დგება:
- ორი შემაჯამებელი ოქმი.
- ოქმების რაოდენობას განსაზღვრავს ცენტრალური საარჩევნო კომისია დადგენილებით.
- ერთი შემაჯამებელი ოქმი.
- სამი შემაჯამებელი ოქმი.

1732. ამომრჩეველთა ერთიანი სია არის:
- კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ამომრჩეველი, რომელიც კენჭისყრის დღისათვის იმყოფება შესაბამისი საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე.
- კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.
- კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიურ საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომლებიც არჩევნების დღეს იღებს კენჭისყრაში მონაწილეობას.
- კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც გამოკრულია საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში.

1733. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო უბანზე ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით განცხადება/საჩივარი, შედგენილი უნდა იქნეს საარჩევნო ყუთის გახსნიდან, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის საოლქო კომისიისათვის გადაგზავნამდე.
- საარჩევნო უბანზე ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით განცხადება/საჩივარი შედგენილი უნდა იქნეს 20 საათიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გადაგზავნამდე.
- საარჩევნო უბანზე ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით განცხადება/საჩივარი შედგენილი უნდა იქნეს საარჩევნო ყუთის გახსნიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე.
- საარჩევნო უბანზე ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით განცხადება/საჩივარი შედგენილი უნდა იქნეს 20 საათიდან, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე.

1734. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-2 დღისა ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაცია და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ორიგინალები.
- ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-3 დღისა ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაცია და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ფოტოასლები.
- ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-2 დღისა ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაცია და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ორიგინალები.
- ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-2 დღისა ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაცია და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ფოტოასლები.

1735. ვინ ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს?
- უსკოს წევრი.
- უსკოს თავმჯდომარე.
- უსკოს თავმჯდომარის მოადგილე.

- უსკოს მდივანი.

1736. რა შემთხვევაშია უფლებამოსილი პრეზიდენტი დაითხოვოს ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო?
- თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებას.
- თუ ორგანული კანონით დადგენილ ვადამდე ვერ მიიღო ადგილობრივი ბიუჯეტი.
- თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს.
- თუ არსებობს პროკურორის მიერ მიღებული შესაბამისი შინაარსის დადგენილება.

1737. მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშს ადგენს:
- შესაბამისი საარჩევნო კომისია დადგენილებით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია განკარგულებით.
- საუბნო საარჩევნო კომისია განკარგულებით.
- საოლქო საარჩევნო კომისია განკარგულებით.

1738. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საკრებულოს არჩევნებში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მხარდამჭერ ამომრჩეველთა 3 პროცენტის (არანაკლებ 50 ამომრჩევლის) ხელმოწერებით.
- საკრებულოს არჩევნებში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მხარდამჭერ ამომრჩეველთა 2 პროცენტის (არანაკლებ 50 ამომრჩევლის) ხელმოწერებით.
- საკრებულოს არჩევნებში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მხარდამჭერ ამომრჩეველთა 5 პროცენტის (არანაკლებ 50 ამომრჩევლის) ხელმოწერებით.
- საკრებულოს არჩევნებში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მხარდამჭერ ამომრჩეველთა 1 პროცენტის (არანაკლებ 50 ამომრჩევლის) ხელმოწერებით.

1739. ცესკოს შესაბამისმა სამსახურმა განიხილა რა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად იმ პარტიის განცხადება, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავდა წარმომადგენელი პარლამენტში შეადგინა შესაბამისი დასკვნა, რომელიც გადასცა ცესკოს თავმჯდომარეს. დასკვნის წარდგენიდან 3 საათში ცესკოს თავმჯდომარემ წერილობით აცნობა პარტიის წარმომადგენელს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) და მას 5 დღე განუსაზღვრა განცხადებისა და საბუთების სრულყოფისთვის. კანონიერად მოქმედებდა თუ არა ცესკოს თავმჯდომარე?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, განცხადებისა და საბუთების სრულყოფისთვის გათვალისწინებულია 5 დღე.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, განცხადებისა და საბუთების სრულყოფისთვის გათვალისწინებულია 3 დღე.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, განცხადებისა და საბუთების სრულყოფისთვის ვადის დადგენა ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილებაში შედის.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, განცხადებისა და საბუთების სრულყოფისთვის გათვალისწინებულია 6 დღე.

1740. პირის დაკავებისას საგანგებოდ უფლებამოსილი პირის კონსტიტუციური მოვალეობა არის:
- გადაიყვანოს წინასწარი დაკავების საკანში, შეხვდეს დაკავებულის ახლობლებს და დაიწყოს მათთან მოლაპარაკებები პროცესუალური შეთანხმების დადების თაობაზე
- დაკავებულ პირს საიმედოდ დაადოს ხელბორკილები
- დაკავებისას განუმარტოს პირს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ამცნოს საზოგადოებას საშიში დამნაშავის დაკავების შესახებ

1741. პირი, რომელიც სამსახურებრივ ურთიერთობაშია ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთან, არის
- სახელმწიფო მოხელე.
- ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურე.
- დამხმარე მოსამსახურე.
- შტატგარეშე მოსამსახურე.

1742. რა ვადაში ფორმდება საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი?
- სხდომიდან ერთი დღის ვადაში.
- სხდომიდან ათი დღის ვადაში.
- სხდომიდან ხუთი დღის ვადაში.

- სხდომიდან სამი დღის ვადაში.

1743. ვის აქვს ცესკოს თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის კანდიდატურების დასახელების უფლება?
- კომისიის არანაკლებ 5 წევრს.
- კომისიის არანაკლებ 4 წევრს.
- კომისიის არანაკლებ 3 წევრს.
- კომისიის არანაკლებ 2 წევრს.

1744. ქვემოთ მოყვანილიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისა და სასამართლოს თავმჯდომარისგან.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლის, თავმჯდომარის და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნისგან.
- კონსტიტუციაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა რაოდენობა არ არის განსაზღვრული.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისგან.

1745. რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ათავისუფლებს თანამდებობიდან სახელმწიფო მინისტრს?
- საქართველოს პრეზიდენტი ეროვნული უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით.
- პრემიერ-მინისტრი ერთპიროვნულად.
- პრემიერ-მინისტრი ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
- მხოლოდ ეროვნული უშიშროების საბჭო.

1746. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტი?
- ცესკოს დადგენილება.
- საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება.
- ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის დადგენილება.

1747. ვის მიმართავს საარჩევნო სუბიექტი და რა ვადაში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საარჩევნო კამპანიის ხარჯების დაფინანსების მიზნით?
- მიმართავს ფინანსთა სამინისტროს არჩევნებამდე არა უგვიანეს 38 დღისა.
- მიმართავს ფინანსთა სამინისტროს არჩევნებამდე არა უგვიანეს 48 დღისა.
- მიმართავს ცესკოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 48 დღისა.
- მიმართავს ცესკოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 38 დღისა.

1748. ქვემოთ გათვალისწინებული მსჯელობებიდან რომელია გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც.
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე.
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც.
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ მამრობითი სქესის საქართველოს მოქალაქე.

1749. ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე კანონით განსაზღვრულ ვადაში ვის უნდა წარუდგინოს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია?
- შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას.
- ყველა პასუხი სწორია.
- ცესკოს მდივანს.
- შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

1750. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მონაცემი არ აღინიშნება საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში?
- არჩევნების დასახელება.
- საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება.
- ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა.
- ამომრჩეველთა რაოდენობა და მათი ვინაობა.

1751. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული კონსტიტუციით?
- საქართველოს კონსტიტუციაში მოხსენიებულია ადამიანის ყველა საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკური უფლებები
- საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის კონსტიტუციაში არ მოხსენებულ საყოველთაოდ აღიარებულ იმ უფლებებს, რომლებიც თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან
- საქართველოს კონსტიტუციაში უარყოფილია მოქალაქეთა სოციალ-ეკონომიკური უფლებები
- საქართველოს კონსტიტუციაში მოხსენიებულია ადამიანის ყველა საყოველთაოდ აღიარებული სამოქალაქო უფლებები

1752. რას ნიშნავს საარჩევნო რეგისტრაცია?
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ პარტიების, საარჩევნო ბლოკების, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებისა და კანდიდატთა რეგისტრაციას არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიღების მიზნით.
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ პარტიის საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატის რეგისტრაციას.
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოქალაქის ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრაციას.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ პარტიის რეგისტრაციას.

1753. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მონაცემი არ აღინიშნება ცესკო მიერ შედგენილ არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში?
- ამომრჩეველთა რაოდენობა.
- არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა.
- ამომრჩეველთა ვინაობა.
- საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა.

1754. პოლიტიკურმა პარტიამ "ზეკანონიერი სამართალი", რომელსაც არ ჰყავდა პარლამენტში წარმომადგენელი და არც კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს წარმოადგენდა, 2012 წლის 15 ივლისს მიიღო კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, მხარდამჭერთა სიის ნიმუში. 2012 წლის 29 აგვისტოს კი პარტიამ ცესკოს წარუდგინა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერთა 28 000 ამომრჩევლის სია თანდართულ დოკუმენტებთან ერთად. ცესკოს სათანადო სამსახურმა განიხილა პარტიის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია და მიღებიდან მესამე დღეს ცესკოს თავმჯდომარემ გამოსცა განკარგულება პარტიის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, იმ მოტივით, რომ გაშვებული იყო დოკუმენტაციის ცესკოში წარდგენის ვადა. სწორად მოიქცა თუ არა ცესკოს თავმჯდომარე?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარტია, რომელსაც არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში და არ არის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი, ვალდებულია მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მიღებიდან 30 დღის ვადაში წარუდგინოს ცესკოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერთა სია.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარტია, რომელსაც არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში და არ არის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი, ვალდებულია მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 15 აგვისტოსი, წარუდგინოს ცესკოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერთა სია.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარტია, რომელსაც არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში და არ არის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი, ვალდებულია მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 30 აგვისტოსი, წარუდგინოს ცესკოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერთა სია.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარტია, რომელსაც არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში და არ არის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი, ვალდებულია, მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში წარუდგინოს ცესკოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერთა სია.

1755. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება შემოიღოს
- სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ადმინისტრაციის უფროსმა.
- საჯარო სამსახურის ბიურომ ან სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ხელმძღვანელმა.
- სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა.
- სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ხელმძღვანელმა (დაწესებულებამ) ან ზემდგომმა უფროსმა.

1756. კონსტიტუციის მიხედვით, ვინ შედის პარლამენტის ბიუროს შემადგენლობაში?
- პარლამენტის თავმჯდომარე.
- საქართველოს სახალხო დამცველი.
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი.

1757. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი წყვეტს საქართველოში თავშესაფრის მიცემის საკითხს?
- საქართველოს პარლამენტი.
- თავდაცვის სამინისტრო.
- ეროვნული უშიშროების საბჭო.
- საქართველოს პრეზიდენტი.

1758. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელ საკითხზე შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა?
- შეწყალების გამო.
- ამნისტიის გამო.
- კანონის მისაღებად.
- ქვეყნის მმართველობის ფორმის შეცვლასთან დაკავშირებით.

1759. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ამომრჩევლისათვის გადაცემული ბიულეტენის უკანა მხარეს ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ამომრჩევლისათვის გადაცემული ბიულეტენის უკანა მხარეს ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.
- ამომრჩევლისათვის გადაცემული ბიულეტენის უკანა მხარეს ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- ამომრჩევლისათვის გადაცემული ბიულეტენის უკანა მხარეს ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი.

1760. რა ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება?
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

1761. რა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს პირველი პირის კონსტიტუციური სახელწოდება?
- მთავრობის მეთაური.
- პრემიერ-მინისტრი.
- კანცლერი.
- მთავრობის პრეზიდენტი.

1762. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი:
- საარჩევნო ადმინისტრაცია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში როგორც დამოკიდებული, ასევე დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან.
- არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.
- საარჩევნო ადმინისტრაცია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან.
- საარჩევნო ადმინისტრაცია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოკიდებულია სხვა სახელმწიფო ორგანოებზე.

1763. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი ორგანოს ან თანამდებობის პირის გადაწყვეტილების საფუძველზეა დასაშვები ადამიანის პირადი თავისუფლების შეზღუდვა?
- ადამიანის პირადი თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე
- ადამიანის პირადი თავისუფლების შეზღუდვა საერთოდ დაუშვებელია
- ადამიანის პირადი თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს გენერალური პროკურორის გადაწყვეტილების საფუძველზე
- ადამიანის პირადი თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით

1764. სააღრიცხვო ბარათში უნდა აღინიშნოს ყოველი კანდიდატის:
- უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მისი მოღვაწეობის შესახებ.
- უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იყო თუ არა თანამდებობის პირი.
- ბოლო არჩევნებით საქართველოს პარლამენტის წევრად ყოფნის ფაქტი.
- უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მისი მოღვაწეობის შესახებ.

1765. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება შეუძლია საუბნო საარჩევნო კომისიას სრული შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება შეუძლია საუბნო საარჩევნო კომისიას სრული შემადგენლობის ორი მესამედის გადაწყვეტილებით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება შეუძლია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება შეუძლია ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

1766. გლდანის საარჩევნო ოლქის N9 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ზაზა ვასაძე სამსახურში არ გამოცხადდა ერთი კვირის განმავლობაში. ზემდგომმა საოლქო საარჩევნო კომისიამ განიხილა მისი საქმე და მას დააკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, კერძოდ, ხელფასის 15%-ის დაკავება. ზაზამ საქმის განხილვისას განაცხადა, რომ იყო ავად და წარმოადგინა ექიმის ცნობა, რომელიც ადასტურებდა მის ავადმყოფობას. კანონიერად დაეკისრა თუ არა ზაზას დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა?
- უკანონოდ დაეკისრა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრ ვასაძეს კი ჰქონდა საპატიო მიზეზი გაცდენისათვის, კერძოდ, ავადმყოფობა.
- კანონიერად დაეკისრა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, სამსახურში გამოუცხადებლობა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და დამრღვევს ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.
- უკანონოდ დაეკისრა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებს დისციპლინური სახდელის ისეთ ზომას, როგორიცაა ხელფასის დაკავება.
- უკანონოდ დაეკისრა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, დისციპლინური გადაცდომისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს პასუხისმგებლობას აკისრებს მხოლოდ ცესკო.

1767. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რა ვადაში უნდა ჩატარდეს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები?
- უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არაუგვიანეს 45-ე დღისა.
- უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არაუგვიანეს მე-40 დღისა.
- უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არაუგვიანეს 50-ე დღისა.
- უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არაუგვიანეს 55-ე დღისა.

1768. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურს ნიშნავს:
- საქართველოს პარლამენტი.
- საოლქო საარჩევნო კომისია განკარგულებით.
- ცესკო განკარგულებით.
- ცესკო დადგენილებით.

1769. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული რამდენი წევრისგან შედგება თვითმმართველი ქალაქის საკრებულო, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 75 000-ს?
- 5 წევრისგან.
- 10 წევრისგან.
- 3 წევრისგან.
- 15 წევისგან.

1770. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელი არ არის სწორი?
- ცესკოს თავმჯდომარე სათანადო მოწმობებს აძლევს არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების წარმომადგენლებს
- ცესკოს თავმჯდომარე რეგისტრაციაში ატარებს ქალაქ თბილისის მერობის კანდიდატებს.
- ცესკოს თავმჯდომარე ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს ცესკოში.
- ცესკოს თავმჯდომარე ნიშნავს რეფერენდუმს.

1771. რა მომენტიდან იწყება და როდის მთავრდება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა?
- უფლებამოსილება იწყება საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების გამართვიდან მე-2 დღეს და წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე.
- უფლებამოსილება იწყება საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების გამართვიდან მე-3 დღეს და წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის ჩატარებისთანავე.
- უფლებამოსილება იწყება საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების დღეს და წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე.
- უფლებამოსილება იწყება საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების დღეს და წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის ჩატარებისთანავე.

1772. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმებით.

- საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს თავდაცვის მინისტრი.
- საქართველოს პრეზიდენტი უმაღლესი მთავარსარდალია, ამიტომ ერთპიროვნულად ნიშნავს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს.
- საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებთან შეთანხმების საფუძველზე.

1773. ვინ ამოწმებს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიებს?
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცესკო.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

1774. არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს:
- ამომრჩეველთა ხმების საერთო რაოდენობის ორ მესამედს.
- ამომრჩეველთა ხმების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს.
- არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების საერთო რაოდენობის ორ მესამედს.
- არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს.

1775. საპარლამენტო არჩევნების არჩატარებულად გამოცხადებიდან ან ბათილად ცნობიდან, რა ვადაში უნდა ჩატარდეს ხელახალი საპარლამენტო არჩევნები?
- არჩევნების არჩატარებულად გამოცხადებიდან, ან ბათილად ცნობიდან 2 თვის ვადაში.
- არჩევნების არჩატარებულად გამოცხადებიდან, ან ბათილად ცნობიდან 1 თვის ვადაში.
- არჩევნების არჩატარებულად გამოცხადებიდან, ან ბათილად ცნობიდან 45 დღის ვადაში.
- არჩევნების არჩატარებულად გამოცხადებიდან, ან ბათილად ცნობიდან 55 დღის ვადაში.

1776. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი აწერს ხელს პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ განცხადებას?
- პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი პირი.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ცესკო.
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

1777. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი ავთანდილ სენელიძე სამართალდამცველებმა დააკავეს ხულიგნობის ფაქტზე წასწრების გამო. დაკავების დროს ავთანდილ სენელიძემ მათ არაერთგზის განუცხადა, რომ ის იყო პარლამენტის წევრობის კანდიდატი და რომ მას დაკავებისგან იცავდა იმუნიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელებმა ამოიცნეს ავთანდილ სენელიძე, ის მაინც დააკავეს, რის შესახებაც აცნობეს ცესკოს. კანონიერად მოქმედებდნენ თუ არა სამართალდამცველები?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის დაკავება შესაძლებელია დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, დაუშვებელია საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის დაკავება.
- დიახ, თუმცა პოლიციამ ამის შესახებ უნდა შეატყობინოს საქართველოს პარლამენტს.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, იმუნიტეტი დაკავების დროს ვრცელდება საქართველოს პარლამენტის წევრებზე და არა წევრობის კანდიდატებზე.

1778. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.
- საქართველოს მოქალაქის გაძევება საქართველოდან დასაშვებია მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენის საფუძველზე
- საქართველოს მოქალაქის გაძევება საქართველოდან დასაშვებია მხოლოდ პარლამენტის დადგენილების საფუძველზე
- საქართველოს მოქალაქის გაძევება საქართველოდან დასაშვებია მხოლოდ მთავრობის დადგენილებით

1779. საარჩევნო ადმინისტრაციას, ცენტრალური საარჩევნო კომისიის სახით:
- უფლება აქვს მიიღოს გრანტი საქართველოს პარლამენტის თანხმობით.
- უფლება აქვს მიიღოს გრანტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით
- არა აქვს უფლება მიიღოს გრანტი.
- უფლება აქვს მიიღოს გრანტი.

1780. კონსტიტუციის მიხედვით, ერთი და იგივე პირი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად შეიძლება გამწესდეს:

- ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
- მხოლოდ ორჯერ.
- მხოლოდ ერთხელ - საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.
- საქართველოს კონსტიტუცია ამ საკითხზე არავითარ შეზღუდვას არ ადგენს.

1781. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილ მონაცემებს?
- მას უფლება აქვს, ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი.
- კომისიის დანარჩენ წევრებს ხმათა უმრავლესობით უფლება აქვთ გარიცხონ კომისიის შემადგენლობიდან.
- მას უფლება არ აქვს ჰქონდეს განსხვავებული აზრი.
- კომისიის წევრი ასეთ დროს ტოვებს კომისიას და ასაჩივრებს ცესკოში.

1782. როდის არ შეიძლება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა?
- კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე.
- კენჭისყრამდე 24 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე.
- კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 24 საათამდე.
- კენჭისყრის დღის 24 საათამდე.

1783. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ერთ მესამედზე მეტ ხმას.
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ორ მესამედზე მეტ ხმას.
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტის ხმას.

1784. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებისათვის ყოველი დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული წარმოადგენს:
- სამ ადგილობრივ საარჩევნო ოლქს.
- ოთხ ადგილობრივ საარჩევნო ოლქს.
- ერთ საარჩევნო ოლქს.
- ორ საარჩევნო ოლქს.

1785. საჯარო სამსახურის საბჭოს მდივანს და საბჭოს სხვა წევრებს ნიშნავს
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
- საჯარო სამსახურის საბჭო.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
- საქართველოს პრეზიდენტი.

1786. ვინ ატარებს რეგისტრაციაში თბილისის მერობის კანდიდატს?
- საქართველოს პარლამენტი.
- ცესკოს თავმჯდომარე.
- საქართველოს პრეზიდენტი.
- თბილისის საოლქო საარჩევნო კომისია.

1787. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნებს ქმნის, მათ საზღვრებს და ნომრებს ადგენს არა უგვიანეს არჩევნების წლის 1 სექტემბრისა.
- არც ერთი მსჯელობა არ არის სწორი.
- საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნებს ქმნის, მათ საზღვრებს და ნომრებს ადგენს არა უგვიანეს არჩევნების წლის 1 ივნისისა.
- საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნებს ქმნის, მათ საზღვრებს და ნომრებს ადგენს არა უგვიანეს არჩევნების წლის 1 ივლისისა.

1788. დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების პერიოდში მოხელე
- შეიძლება სამსახურებრივად დაწინაურდეს.
- შეიძლება სამსახურებრივად დაწინაურდეს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

- არ შეიძლება სამსახურებრივად დაწინაურდეს.
- შეიძლება სამსახურებრივად დაწინაურდეს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით.

1789. ახალშექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა იმართება:
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- საერთო არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-15 და არა უგვიანეს 30-ე დღისა.
- საერთო არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-40 და არა უგვიანეს 35-ე დღისა.
- საერთო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა.

1790. რამდენი დღის ვადაში უნდა დასრულდეს კანდიდატის მხარდამჭერთა სიის შემოწმება?
- სიის წარდგენიდან 3 დღეში.
- სიის წარდგენიდან 7 დღეში.
- სიის წარდგენიდან 2 დღეში.
- სიის წარდგენიდან 5 დღეში.

1791. რა ვადაში მიეცემა საინიციატივო ჯგუფს სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხის რეგისტრაციის მოწმობა ?
- რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან ორ კვირაში.
- რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან ერთ თვეში.
- რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან ორ თვეში.
- რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან ერთ კვირაში.

1792. როგორ არის განსაზღვრული კონსტიტუციით დროში კანონის მოქმედების საკითხი?
- პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს.
- პარლამენტის მიერ მიღებული კანონის მოქმედება ვრცელდება ყველა იმ ურთიერთობაზე, რასაც 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიღების შემდეგ ჰქონდა ადგილი.
- პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი ძალაში შედის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერისთანავე.
- პარლამენტის მიერ მიღებული კანონის მოქმედება მის ძალაში შესვლამდე არსებულ ურთიერთობებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონი ამსუბუქებს ან აუქმებს პასუხისმგებლობას.

1793. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და
- არ წარმოადგენს სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას
- წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას
- წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას
- წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას

1794. რომელ საათზე იკეტება კენჭისყრის შენობა?
- 18 საათზე.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- 19 საათზე.
- 21 საათზე.

1795. რომელი ორგანო განიხილავს სადავო საკითხს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ?
- საარბიტრაჟო სასამართლო.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საკონსტიტუციო სასამართლო.
- პარლამენტის პროცედურულ საკითხთა კომიტეტი.

1796. რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ პარტია, რომელმაც გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია, შევიდეს რეგისტრირებულ საარჩევნო ბლოკში საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე?
- მხოლოდ სათანადო განცხადება ცესკოს თავმჯდომარეს.
- პარტიისა და საარჩევნო ბლოკის მხარდამჭერთა თანხმობა.
- ცესკოს თავმჯდომარეს წარუდგინოს სათანადო განცხადება და საარჩევნო ბლოკის თანხმობა.
- მხოლოდ საარჩევნო ბლოკის თანხმობა.

1797. როგორი უნდა იყოს წარდგენილ პარტიულ სიაში პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა?
- არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი.
- არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და 235-ზე მეტი.
- არ უნდა იყოს 150-ზე ნაკლები და 175-ზე მეტი.
- არ უნდა იყოს 50-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი.

1798. დეპუტატთა რა რაოდენობაა საჭირო პარლამენტში საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისთვის, დენონსირებასა და გაუქმებისთვის?
- სრული შემადგენლობის ერთი მესამედი.
- სრული შემადგენლობის ორი მესამედი.
- სიითი შემადგენლობის ორი მესამედი.
- სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

1799. რომელი მსჯელობაა სწორი?
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 3 დღის ვადაში ცესკო რეგისტრაციაში ატარებს თბილისის საკრებულოს წევრად არჩეულ პირებს და გადასცემს მათ შესაბამის მოწმობებს.
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 10 დღის ვადაში ცესკო რეგისტრაციაში ატარებს თბილისის საკრებულოს წევრად არჩეულ პირებს და გადასცემს მათ შესაბამის მოწმობებს.
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 15 დღის ვადაში ცესკო რეგისტრაციაში ატარებს თბილისის საკრებულოს წევრად არჩეულ პირებს და გადასცემს მათ შესაბამის მოწმობებს.
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში ცესკო რეგისტრაციაში ატარებს თბილისის საკრებულოს წევრად არჩეულ პირებს და გადასცემს მათ შესაბამის მოწმობებს.

1800. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული კონსტიტუციით?
- სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა შეჯიბრობითობის საფუძველზე.
- სამართალწარმოება ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილი წესების საფუძველზე.
- სამართალწარმოება ხორციელდება სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე.
- სამართალწარმოება ხორციელდება მოსამართლის მიერ დადგენილი პრინციპების საფუძველზე.

1801. რამდენი წარმომადგენლის დანიშვნა შეუძლია საარჩევნო ბლოკს თითოეულ საარჩევნო კომისიაში?
- ხუთი წარმომადგენლის.
- ერთი წარმომადგენლის.
- სამი წარმომადგენლის.
- ორი წარმომადგენლის.

1802. სად შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ დარღვევებზე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება?
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უსკოსთავმჯდომარის მოადგილესთან.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უსკოსთავმჯდომარესთან.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უსკოში.

1803. ქვემოთ დასახელებულთაგან რომელს აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სარჩელით ან წარდგინებით მიმართვის უფლება?
- ქალაქ თბილისის მერს.
- პარლამენტის ფრაქციას.
- პარლამენტის კომიტეტს.
- სასამართლოს.

1804. რომელი კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს პასუხისმგებლობა საარჩევნო სუბიექტისთვის საარჩევნო კოდექსით მინიჭებული უფლების დარღვევისთვის?
- ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონით.
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით.
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

1805. პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ წარუდგინა პრეზიდენტს რიგგარეშე სესიის მოწვევის მოთხოვნა. პრეზიდენტმა წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში არ გამოსცა რიგგარეშე სესიის მოწვევის აქტი. რა შედეგი მოჰყვება ამ ვითარებას?
- პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით გაასაჩივრებს პრეზიდენტის ქმედებას უზენაეს სასამართლოში, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს წარდგინება და მიიღოს განჩინება რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ.
- პრეზიდენტის ქმედება არაკონსტიტუციურია - შეიძლება დაიწყოს მისი იმპიჩმენტის პროცედურა.
- პარლამენტი თავისი რეგლამენტის თანახმად იკრიბება რიგგარეშე სესიაზე.
- რიგგარეშე სესია არ ჩატარდება.

1806. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ სამართლებრივ აქტებს გამოსცემს სახელმწიფო მინისტრი?
- კანონებს.
- ბრძანებებს.
- განკარგულებებს.
- დადგენილებებს.

1807. დისციპლინური გადაცდომისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს ზემდგომმა საოლქო საარჩევნო კომისიამ მისცა გაფრთხილება და თან ხელფასიდან დაუქვითა 10%, ვინაიდან ქმედება მიიჩნია უხეშ დარღვევად. პასუხისმგებლობა შეფარდებულმა პირმა გაასაჩივრა ზემდგომი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება. მართებულია თუ არა საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება?
- ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება კანონიერია, რადგან ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის რამდენიმე ზომა.
- ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.
- ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ორი ზომა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში გაფრთხილება და ხელფასიდან დაქვითვა.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

1808. საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესს ადგენს:
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე განკარგულებით.
- საქართველოს პარლამენტი დადგენილებით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია დადგენილებით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია განკარგულებით.

1809. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, აგრეთვე სათემო მაუწყებელი ვალდებული არიან, მათი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღიდან თავიანთ ეთერში ყოველ საათში 5 წუთი გამოყონ წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად და ყოველ 5 საათში თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსონ თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ მათთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 90 წამს არ აღემატებოდეს (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოს). სუბიექტის მიერ გამოუყენებელი დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა დროისათვის დაუშვებელია.
- საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, აგრეთვე სათემო მაუწყებელი ვალდებული არიან, მათი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღიდან თავიანთ ეთერში ყოველ საათში 5 წუთი გამოყონ წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად და ყოველ 4 საათში თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსონ თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ მათთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 60 წამს არ აღემატებოდეს (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოს). სუბიექტის მიერ გამოუყენებელი დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა დროისათვის დაუშვებელია.
- საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, აგრეთვე სათემო მაუწყებელი ვალდებული არიან, მათი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღიდან თავიანთ ეთერში ყოველ საათში 5 წუთი გამოყონ წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად და ყოველ 3 საათში თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსონ თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ მათთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 90 წამს არ აღემატებოდეს (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოს). სუბიექტის მიერ გამოუყენებელი დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა დროისათვის დაუშვებელია.
- საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, აგრეთვე სათემო მაუწყებელი ვალდებული არიან, მათი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღიდან თავიანთ ეთერში ყოველ საათში 3 წუთი გამოყონ წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად და ყოველ 3 საათში თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსონ თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ მათთვის წარდგენილი

წინასაარჩევნო რეკლამა იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 60 წამს არ აღემატებოდეს (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოს). სუბიექტის მიერ გამოუყენებელი დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა დროისათვის დაუშვებელია.

1810. რომელი მსჯელობა არ არის სწორი?
- წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეს და მოქალაქეობის არ მქონე პირს.
- წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა საქართველოს სახალხო დამცველისა.
- წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა.
- წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებისა.

1811. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძველი არ არის
- კანონით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით მოხელისათვის სხვა სამსახურებრივი დავალების დაკისრება.
- დაწესებულების რეორგანიზაცია, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება.
- დროებითი შრომისუუნარობა.
- შვებულება.

1812. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს პარტიული, უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და რომელსაც აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და რომელსაც აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს უპარტიო, საშუალო განათლების მქონე პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და რომელსაც აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს უპარტიო, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და რომელსაც აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

1813. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 77-ზე ნაკლები აღმოჩნდება?
- გაუნაწილებელი მანდატები პირველ რიგში მანდატების რაოდენობის 6-მდე შესავსებად დაემატება რიგრიგობით იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც გადალახეს საარჩევნო ბარიერი და მიღებული მანდატების რაოდენობა 6-ზე ნაკლები აქვთ.
- გაუნაწილებელი მანდატები პირველ რიგში მანდატების რაოდენობის 6-მდე შესავსებად დაემატება რიგრიგობით იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც ვერ გადალახეს საარჩევნო ბარიერი და მიღებული მანდატების რაოდენობა 6-ზე ნაკლები აქვთ.
- გაუნაწილებელი მანდატები პირველ რიგში მანდატების რაოდენობის 6-მდე შესავსებად დაემატება რიგრიგობით იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც ვერ გადალახეს საარჩევნო ბარიერი და მიღებული მანდატების რაოდენობა 7-ზე ნაკლები აქვთ.
- გაუნაწილებელი მანდატები პირველ რიგში მანდატების რაოდენობის 6-მდე შესავსებად დაემატება რიგრიგობით იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც გადალახეს საარჩევნო ბარიერი და მიღებული მანდატების რაოდენობა 6-ზე მეტი აქვთ.

1814. გახარია არჩეული იყო ცესკოს თავმჯდომარედ. მას უფლებამოსილების ვადის გასვლამდე შეუწყდა თავმჯდომარის უფლებამოსილება. უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში პრეზიდენტმა ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკოს წარუდგინა 3 კანდიდატურა. წარდგენიდან მე-5 დღეს ანბანის მიხედვით ცესკოს პირველმა წევრმა მოიწვია ცესკოს სხდომა. სხდომაზე 4 ხმით არჩეულ იქნა ერთ-ერთი კანდიდატი. მოქმედებდა თუ არაკანონიერად ცესკო?
- ცესკო მოქმედებდა უკანონოდ, ვინაიდან სხდომა უნდა ჩატარებულიყო კანდიდატურების წარდგენიდან 3 დღის ვადაში.
- ცესკო მოქმედებდა უკანონოდ, ვინაიდან 4 ხმა არ არის საკმარისი იმისათვის რომ პირი არჩეულ იქნას თავმჯდომარედ.
- ცესკო მოქმედებდა კანონიერად, ვინაიდან მას არ დაურღვევია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები.
- ცესკო მოქმედებდა უკანონოდ, ვინაიდან სხდომა უნდა მოეწვია ასაკით უხუცეს ცესკოს წევრს.

1815. საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანმა ხვედელიძემ გადაწყვიტა, რომ ოჯახური პირობების გამო გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან. თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით მან განცხადებით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას. სწორად მოიქცა თუ არა ხვედელიძე?
- ხვედელიძე მოიქცა სწორად, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანმა გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიას.
- ხვედელიძე არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანმა გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს.
- ხვედელიძე არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანმა გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა

მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- ხვედელიძე არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანმა გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.

1816. კონსტიტუციის მიხედვით, როგორი ქვორუმი (დეპუტატთა ხმების რაოდენობა) არის დადგენილი პარლამენტში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა ასარჩევად?
- დამსწრეთა უმრავლესობით.
- სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
- საქართველოს კონსტიტუციით ეს საკითხი არ არის გადაწყვეტილი.
- სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

1817. ვინ წყვეტს შრომის ანაზღაურების საკითხს საუბნო საარჩევნო კომისიის იმ წევრისა, რომელიც კომისიაში გამოცხადდება წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ?
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი განკარგულებით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საოლქო საარჩევნო კომისია.

1818. ამომრჩევლის მიერ წარდგენილ დოკუმენტში აღნიშნული ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემები შეესაბამება სიაში არსებულ მონაცემებს, მაგრამ ამომრჩეველთა რეგისტრატორმა ამ ამომრჩევლის სახე და წარდგენილ დოკუმენტში ან ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათი ერთმანეთთან შეუსაბამოდ მიიჩნია. რომელია სწორი მსჯელობა?
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი მიმართავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი მიმართავს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი მიმართავს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს.
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი მიმართავს საარჩევნო უბანზე მყოფ დამკვირვებელს.

1819. პარლამენტის წევრთა რა რაოდენობა არის საჭირო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად?
- პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.
- პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედისა.
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
- პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

1820. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი ორგანო.
- საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უზენაესი ორგანო.
- საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო.
- საქართველოს მთავრობა არის პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ორგანო

1821. საოლქო საარჩევნო კომისიამ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას უარი განუცხადა რეგისტრაციაზე, რადგან მან არ წარადგინა კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტი/წესდება. საოლქო საარჩევნო კომისიამ გამოსცა განკარგულება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთების გარეშე და გადასცა ორგანიზაციას გადაწყვეტილების მიღებიდან მე-5 დღეს. დაარღვია თუ არა საოლქო საარჩევნო კომისიამ საარჩევნო კოდექსი?
- საოლქო საარჩევნო კომისიამ დაარღვია მოქმედი საარჩევნო კოდექსი, რადგან საარჩევნო კომისიის განკარგულება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და ორგანიზაციას უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს მე-10 დღისა.
- საოლქო საარჩევნო კომისიამ დაარღვია მოქმედი საარჩევნო კოდექსი, რადგან საარჩევნო კომისიის განკარგულება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და ორგანიზაციას უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.
- საოლქო საარჩევნო კომისიას არ დაურღვევია მოქმედი საარჩევნო კოდექსი, რადგან საარჩევნო კომისიის განკარგულებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ არ სჭირდება დასაბუთება და ორგანიზაციას უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა.
- საოლქო საარჩევნო კომისიამ დაარღვია მოქმედი საარჩევნო კოდექსი, რადგან საარჩევნო კომისიის განკარგულება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და ორგანიზაციას უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა.

1822. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?

- ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად სოციალური კუთვნილებისა
- ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რელიგიისა
- ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა
- ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად მისი ასაკისა

1823. ვის და რამდენი ხნის ვადაში უნდა წარედგინოს პარტიის გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის თაობაზე?
- პარტიის გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის თაობაზე უნდა წარედგინოს ცესკოს არჩევნების დანიშვნიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.
- პარტიის გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის თაობაზე უნდა წარედგინოს საქართველოს პარლამენტს არჩევნების დანიშვნიდან 7 კალენდარული დღის ვადაში.
- პარტიის გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის თაობაზე უნდა წარედგინოს საქართველოს პარლამენტს არჩევნების დანიშვნიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.
- პარტიის გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის თაობაზე უნდა წარედგინოს ცესკოს არჩევნების დანიშვნიდან 7 კალენდარული დღის ვადაში.

1824. ზოგადი წესის მიხედვით, რამდენი ხნის ვადაში უნდა ეცნობოს საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს, საარჩევნო რეგისტრაციისთვის მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების თაობაზე?
- 3 დღის ვადაში.
- 5 დღის ვადაში.
- 6 დღის ვადაში.
- 2 დღის ვადაში.

1825. საარჩევნო კოდექსის თანახმად, თავდაპირველად რომელი საარჩევნო ყუთი იხსნება?
- რიგითობა კანონით არ არის განსაზღვრული.
- სპეციალური.
- საერთო.
- გადასატანი.

1826. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში შესაბამის საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენის უფლება არა აქვს:
- ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს.
- არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას.
- საარჩევნო ბლოკს.
- საკრებულოს ფრაქციას.

1827. არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად ვინ ატარებს საარჩევნო სუბიექტს რეგისტრაციაში?
- იუსტიციის სამინისტრო.
- სასამართლო.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

1828. რამდენი ხნით ადრე უნდა თქვას უარი არჩევნებში მონაწილეობაზე პარლამენტის წევრობის კანდიდატმა, მისმა წარმდგენმა პარტიამ ან ბლოკმა?
- ნებისმიერ დროს.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 1 კვირისა.
- ნებისმიერ დროს, კენჭისყრამდე არა უგვიანეს 10 დღისა.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 1 დღისა.

1829. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის:
- ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ პირთან დადებული შეთანხმება.
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს.
- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით დაინტერესებული მხარის მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით შეტანილი წერილობითი მოთხოვნა უფლების მოპოვებაზე.
- ყველა პასუხი სწორია.

1830. საარჩევნო კამპანიის ჩატარება არ შეიძლება შემდეგი დაწესებულების შენობაში:
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- თავისუფალი უნივერსიტეტის შენობაში.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.
- თეატრის შენობაში.

1831. ცესკომ კენჭისყრამდე 2 თვით ადრე საქართველოს პარლამენტს წარუდგინა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმა. საქართველოს პარლამენტმა გეგმის შესაბამისად მისი წარდგენიდან მე-4 დღეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრები ჩარიცხა ცესკოს ანგარიშზე. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- დიახ, რადგან ცესკოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმა საქართველოს პარლამენტისთვის უნდა წარედგინა 55 დღით ადრე.
- დიახ, რადგან საქართველოს პარლამენტს გეგმის წარდგენიდან არა უადრეს 50-ე დღისა უნდა ჩაერიცხა ცესკოს ანგარიშზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრები.
- დიახ, რადგან ცესკოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმა უნდა წარედგინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის და გეგმის შესაბამისად მას უნდა ჩაერიცხა ცესკოს ანგარიშზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრები.
- დიახ, რადგან ცესკოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმა უნდა წარედგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის და გეგმის შესაბამისად ცესკოს ანგარიშზეც მას უნდა ჩაერიცხა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრები.

1832. არჩევნების დღემდე 12 დღით ადრე ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ ”თავისუფალი ხმა” რეგისტრაციაში გატარების მიზნით განცხადებით მიმართა ნაძალადევის საარჩევნო კომისიას, სადაც დაკვირვების ობიექტად დაასახელა ნაძალადევის საარჩევნო ოლქი და განცხადებას თან დაურთო სადამფუძნებლო დოკუმენტი. საოლქო საარჩევნო კომისიამ განცხადება მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში განიხილა და გამოიტანა განკარგულება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ იმ მოტივით, რომ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების რეგისტრაცია შედიოდა ცესკოს უფლებამოსილებაში. ორგანიზაციამ კომისიის განკარგულება მისი მიღებიდან მეორე დღეს გაასაჩივრა სასამართლოში. კანონიერად მოქმედებდა თუ არა საოლქო საარჩევნო კომისია?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების რეგისტრაციას ახორციელებს მხოლოდ ცესკო.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს თბილისის საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს ცესკო.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ან ცესკო.

1833. რა ხდება იმ შემთხვევაში თუკი არ მოხდა საარჩევნო კომისიებში პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის სრულად ათვისება?
- პარტია უფლებამოსილია არჩევნების შედეგების შეჯამებამდე 15 დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება.
- პარტია უფლებამოსილია არჩევნების შედეგების შეჯამებამდე ან შეჯამების შემდეგ 15 დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება.
- პარტია უფლებამოსილია არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

1834. კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის წევრთა რა რაოდენობა არის საჭირო ომისა და ზავის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის?
- ამ საკითხთა გადაწყვეტა პრეზიდენტის პრეროგატივაა, ამიტომ პარლამენტი ამ საკითხებს არც განიხილავს.
- პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
- პარლამენტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა.

1835. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, გამოიწვევს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება მის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების ბათილობას?
- გამოიწვევს, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ბათილია იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში, რომლის საფუძველზედაც დაიდო ხელშეკრულება.
- არ გამოიწვევს, ვინაიდან ხელშეკრულება ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ ამოქმედდა.
- არ გამოიწვევს, ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით დამდგარ სამართლებრივ შედეგებს უკუქცევითი ძალა ვერ მიენიჭება.

- გამოიწვევს, ვინაიდან სამოქალაქო კანონმდებლობა ზოგადად ითვალისწინებს ხელშეკრულების ბათილობას.

1836. ვის უნდა ეცნობოს საჩივრის განხილვის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივრის ავტორი საარჩევნო კომისიის წევრია?
- თავად კომისიის წევრს.
- ცესკოს.
- შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას.
- საოლქო საარჩევნო კომისიას.

1837. შესაძლებელია თუ არა კენჭისყრის შედეგების შეჯამება, თუ საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდება?
- არა, რადგან თუ საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდება, იგი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას.
- დიახ, ვინაიდან საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობის დარღვევა არ წარმოადგენს ხელშემშლელ პირობას კენჭისყრის შედეგების შეჯამებისას.
- დიახ, რადგან თუ საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდება, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა.
- არა, რადგან თუ საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდება, კენჭისყრის შედეგების შეჯამება დაუშვებელია.

1838. არჩევნების დღეს N1 საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცედურის დაწყებამდე, ამომრჩეველთა რეგისტრატორს კაპანაძეს გადაეცა ყველა სახის საარჩევნო ბიულეტენის ორ-ორი ბლოკნოტი. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან ამომრჩეველთა თითოეულ რეგისტრატორს არ უნდა გადაეცეს ყველა სახის საარჩევნო ბიულეტენის ბლოკნოტი, ბიულეტენი ამომრჩეველს უნდა გადასცეს კომისიის თავმჯდომარემ.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან ამომრჩეველთა თითოეულ რეგისტრატორს უნდა გადაეცეს ყველა სახის საარჩევნო ბიულეტენის სამ-სამი ბლოკნოტი.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დაირღვა, ვინაიდან ამომრჩეველთა თითოეულ რეგისტრატორს უნდა გადაეცეს ყველა სახის საარჩევნო ბიულეტენის ორ-ორი ბლოკნოტი.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან ამომრჩეველთა თითოეულ რეგისტრატორს უნდა გადაეცეს ყველა სახის საარჩევნო ბიულეტენის თითო ბლოკნოტი.

1839. რა უნდა დაადგინოს იმ ორგანომ, რომელსაც გადაეცა აქტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის გადაყენების შესახებ?
- უზენაესმა სასამართლომ თავისი დასკვნით უნდა დაადასტუროს ან უარყოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის ქმედობაში დანაშაულის ნიშნების არსებობა ან არარსებობა.
- საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით უნდა დაადასტუროს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის მიერ კონსტიტუციის დარღვევა.
- უზენაესმა სასამართლომ და საკონსტიტუციო სასამართლომ ერთობლივი დასკვნით უნდა დაადასტურონ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის ქმედობაში დანაშაულის ნიშნების არსებობა ან კონსტიტუციის დარღვევა.
- საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით უნდა დაადასტუროს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის ქმედობაში დანაშაულის ნიშნების არსებობა ან კონსტიტუციის დარღვევა

1840. ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლების მქონე დაწესებულებამ არჩევნებიდან რა ვადაში უნდა წარადგინოს ნარკოლოგიური შემოწმების დამადასტურებელი ცნობა და პარლამენტის არჩეულ წევრთა სია, რომლებმაც გაიარეს ნარკოლოგიური შემოწმება?
- არჩევნებიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა.
- არჩევნებიდან არაუგვიანეს მე-13 დღისა.
- არჩევნებიდან არაუგვიანეს მე-11 დღისა.
- არჩევნებიდან არაუგვიანეს მე-12 დღისა.

1841. როგორ არის განსაზღვრული საქართველოს კონსტიტუციაში პროკურატურის ორგანოების ადგილი სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში?
- პროკურატურის ორგანოები შედის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში.
- პროკურატურის ორგანოები სასამართლო ხელისუფლების ნაწილია.
- პროკურატურის ორგანოები არსებობენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სტატუსით დამოუკიდებლად.
- პროკურატურის ორგანოები ქმნიან დამოუკიდებელ სახელმწიფო განშტოებას.

1842. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობებიდან რომელია გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- ერთი და იგივე მდედრობითი სქესის პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.

- ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ.
- ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ სამჯერ.
- ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

1843. რა პირობების არსებობისას შეიძლება მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა უცხო ქვეყნის მოქალაქეს?
- თუ მისი ორივე მშობელი ქართველი ან აფხაზია
- თუ იგი მილიარდერია
- თუ ეს გამომდინარეობს საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებიდან
- თუ მისი ერთ-ერთი მშობელი წარმოშობით ქართველი ან აფხაზია

1844. ხმათა რა რაოდენობა არის საჭირო იმისთვის, რომ ცესკომ თავისი გადაწყვეტილებით უფლებამოსილება შეუწყვიტოს იმ ქვემდგომ საარჩევნო კომისიას, რომელიც არ ან ვერ ასრულებს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას?
- დამსწრეთა ორი მესამედი.
- სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.
- სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
- დამსწრეთა უმრავლესობა.

1845. ვინ უნდა უზრუნველყოს იმ ამომრჩეველთა სიის შედგენა რომლებიც კენჭისყრის დღეს პატიმრობაში იმყოფებიან და შემდეგ რამდენი ხნის ვადაში უნდა მოხდეს მისი ადრესატისთვის გადაცემა?
- ამ პირთა სიას ადგენს ცესკო და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-6 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.
- ამ პირთა სიას ადგენს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მისი დავალებით სხვა პირი და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-6 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.
- ამ პირთა სიას ადგენს შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელი და კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-6 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.
- ამ პირთა სიას ადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-6 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

1846. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მონაცემი არ შეიძლება იყოს შეტანილი ამომრჩეველთა ერთიან სიაში ?
- ამომრჩევლის ნასამართლობაზე აღნიშვნა.
- საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი.
- ამომრჩევლის დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი).
- ამომრჩევლის მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით).

1847. საქართველოს პარლამენტის აპარატში შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე მოქალაქე პ-მ პარლამენტის აპარატს წერილობით მიმართა პარლამენტის აპარატის სტრუქტურის შესახებ მონაცემების ასლების გაცემის მოთხოვნით. პარლამენტის აპარატმა უფლება მისცა მას, გასცნობოდა ამ მონაცემებს, თუმცა ასლების გაცემაზე უარი უთხრა იმ მოტივით, რომ პ-ს არ გადაუხდია ასლის გადაღების ღირებულება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, კანონიერია თუ არა საჯარო დაწესებულების უარი?
- კანონიერია, ვინაიდან საჯარო დაწესებულება არ გასცემს ზემოაღნიშნული მონაცემების ასლებს, თუ არ ანაზღაურდა მისი გადაღებისათვის აუცილებელი თანხა.
- არ არის კანონიერი, ვინაიდან პირს არ შეიძლება უარი ეთქვას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, გარდა კომერციული საიდუმლოების შესახებ ინფორმაციისა.
- არ არის კანონიერი, ვინაიდან პირს აქვს უფლება, გაეცნოს ზემოაღნიშნულ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს მათი ასლები.
- კანონიერია, ვინაიდან საჯარო დაწესებულებას არა აქვს შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირებზე ზემოაღნიშნული მონაცემების ასლის გაცემის უფლება.

1848. რა მიზნით იქმნება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატი?
- არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით.
- წინასაარჩევნო კამპანიის განხორციელების მიზნით.
- საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის მიზნით.
- არჩევნების მიმდინარეობაზე დაკვირვების მიზნით.

1849. პარლამენტის წევრთა მანდატებს მიიღებს მხოლოდ ის პოლიტიკური გაერთიანება ან საარჩევნო ბლოკი, რომელთაც კენჭისყრის შედეგად მიიღეს:
- კანონმდებლობით საარჩევნო ბარიერი არ არის დადგენილი, მანდატები განაწილდება მიღებული ხმების პროპორციულად.
- რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ხმების 6 % მაინც.
- არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლების ხმების 5 % მაინც.
- რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ხმების 5 % მაინც.

1850. რომელი მოთხოვნა არ წაეყენება საკრებულოს წევრობის კანდიდატს?
- ასაკი.
- უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრების ფაქტი.
- საქართველოს მოქალაქეობა.
- უმაღლესი განათლება.

1851. ვაკის საარჩევნო ოლქის N5 საარჩევნო უბანზე გამოცხადებულ სამ ამომრჩეველს არ მიეცათ ხმის მიცემის საშუალება იმის გამო, რომ შესრულდა 20 საათი და კომისიის წევრთა განმარტებით კანონის თანახმად, კენჭისყრის შენობა უნდა ჩაკეტილიყო. ამომრჩევლებმა გააპროტესტეს კომისიის წევრთა აღნიშნული ქმედება, იმ არგუმენტით, რომ ისინი საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად გამოცხადდნენ 19:45 წუთზე და შენობაში შესვლის საშუალება არ მიეცათ რიგში დგომის გამო. მიუხედავად ამ არგუმენტისა კომისიის წევრებმა მათ არ მისცეს შენობაში შემოსვლის საშუალება და პოლიციის დახმარებით უზრუნველყვეს აღშფოთებული მოქალაქეების დაშოშმინება და შენობის ჩაკეტვა. კანონიერად მოქმედებდა თუ არა საარჩევნო კომისია?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის შენობა უნდა ჩაიკეტოს 21 საათის შესრულების შემდეგ.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, 20 საათისთვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა, რის შესახებაც უნდა განაცხადოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, 20 საათის შესრულების შემდეგ კენჭისყრის შენობა უნდა ჩაიკეტოს.
- დიახ, თუმცა ამ პროცესში პოლიციელების ჩაბმის უფლება არ ჰქონიათ.

1852. ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა არ არის სწორი?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ ჩატარებული კომისიის წევრთა ფუნქციების გადასანაწილებელი წილისყრით უნდა განისაზღვროს ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრები, რომლებიც აგრეთვე გასცემენ საარჩევნო ბიულეტენებს, ბიულეტენის უკანა გვერდზე სათანადო ადგილას ხელის მოწერის და ბეჭდის დასმის შემდეგ.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ ჩატარებული კომისიის წევრთა ფუნქციების გადასანაწილებელი წილისყრით უნდა განისაზღვროს კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი, რომელიც აგრეთვე ამოწმებს ამომრჩეველთა მარკირებას.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ ჩატარებული კომისიის წევრთა ფუნქციების გადასანაწილებელი წილისყრით უნდა განისაზღვროს საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ ჩატარებული კომისიის წევრთა ფუნქციების გადასანაწილებელი წილისყრით უნდა განისაზღვროს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი კომისიის წევრი მისი არყოფნის შემთხვევაში.

1853. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, გარდა III თავისა, არ ვრცელდება:
- ადგილობრივითვითმმართველობის ორგანოს საქმიანობაზე.
- საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს საქმიანობაზე.
- სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქმიანობაზე.
- საქართველოს სამთავრობო დაწესებულების საქმიანობაზ.

1854. რეფერენდუმის მოთხოვნის უფლება აქვს:
- არანაკლებ 200 000 ამომრჩეველს.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- არანაკლებ 50 000 ამომრჩეველს.
- არანაკლებ 100 000 ამომრჩეველს.

1855. ცესკო არ უზრუნველყოფს:
- არჩევნების ჩატარებას.
- პლებისციტის გამართვას.
- რეფერენდუმის გამართვას.
- კონსტიტუციის პროექტის საერთო-სახალხო განხილვის ჩატარებას.

1856. ვის არა აქვს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება?
- საარჩევნო ბლოკს.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს.
- არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას.

1857. რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ნიშნავს საქართველოში რეფერენდუმს?

- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია - თუ ტარდება ადგილობრივი რეფერენდუმი.
- საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის თანხმობით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია - თუ ტარდება საერთო-ეროვნული რეფერენდუმი.
- საქართველოს პრეზიდენტი.

1858. ვინ და სად უნდა ჩარიცხოს საარჩევნო კოდექსით გათვალიწინებული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დაფინანსების თანხა?
- შესაბამისმა საოლქო საარჩევნო კომისიამ შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის ანგარიშზე არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა.
- შესაბამისმა საოლქო საარჩევნო კომისიამ შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის ანგარიშზე არჩევნებამდე არა უგვიანეს 3 დღისა.
- ცესკომ შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის ანგარიშზე არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა.
- ცესკომ შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის ანგარიშზე არჩევნებამდე არა უგვიანეს 3 დღისა.

1859. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენიდან რა ვადაში უნდა გადასცეს ეს ოქმები საოლქო საარჩევნო კომისიამ ცესკოს?
- ოქმების შედგენიდან არაუგვიანეს მე-7 დღისა.
- ოქმების შედგენიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა.
- ოქმების შედგენიდან არაუგვიანეს მე-5 დღისა.
- ოქმების შედგენიდან არაუგვიანეს მე-3 დღისა.

1860. ქვემოთ მოყვანილიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის საკითხს
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს მოქალაქეთა შორის არსებულ საარჩევნო დავას
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნის კონსტიტუციურობის საკითხს
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ

1861. ვინ ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს?
- ცესკოს თავმჯდომარე.
- ცესკოს მდივანი.
- ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე.
- ცესკოს წევრი.

1862. როდის ტარდება საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები?
- პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის აპრილში.
- პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ნოემბერში.
- პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში.
- პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის იანვარში.

1863. რეფერენდუმის შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან, რა ვადაში არ შეიძლება იმავე საკითხზე რეფერენდუმის გამართვა?
- ამ საკითხზე რეფერენდუმის შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 5 თვის განმავლობაში.
- ამ საკითხზე რეფერენდუმის შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების დღიდან 1 წლის განმავლობაში.
- წინა რეფერენდუმის შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 2 წლის განმავლობაში.
- წინა რეფერენდუმის შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 6 თვის განმავლობაში.

1864. ვინ და რა ვადაში უნდა უზრუნველყოს საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ჩარიცხვა მის მიმდინარე ანგარიშზე?
- შესაბამისმა საოლქო საარჩევნო კომისიამ კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50 დღისა.
- ცესკომ კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50 დღისა.
- შესაბამისმა საოლქო საარჩევნო კომისიამ კენჭისყრამდე არა უგვიანეს 45 დღისა.
- ცესკომ კენჭისყრამდე არა უგვიანეს 45 დღისა.

1865. რომელი მსჯელობა არ არის სწორი?
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსხელახალი არჩევნები ტარდება იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შედეგები ბათილად იქნაცნობილი სასამართლოს გადაწყვეტილებით.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსხელახალი არჩევნები ტარდება იმ შემთხვევაში, თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემითჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობდა ერთი კანდიდატი და საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით მოიხსნა მისი

კანდიდატურა.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსხელახალი არჩევნები ტარდება იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები არჩატარებულად გამოცხადდასაარჩევნო ოლქების მესამედზე მეტში.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსხელახალი არჩევნები ტარდება იმ შემთხვევაში, თუ პროპორციული საარჩევნო სისტემითჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ვერც ერთმა საარჩევნო სუბიექტმა ვერ გადალახა საარჩევნო ბარიერი.

1866. კონსტიტუციის მიხედვით, რა შედეგი დადგება, თუ პარლამენტმა ნდობა არ გამოუცხადა მთავრობას მე- 80 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი წესით?
- პარლამენტს მომდევნო სესიებზე არ აქვს უფლება უნდობლობის პროცედურა დაიწყოს.
- მთავრობა პასუხისმგებელია პრეზიდენტის წინაშე, ამიტომ პარლამენტის ნდობა მისთვის აუცილებელი არ არის.
- პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები.
- პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა.

1867. რა საკანონმდებლო აქტებით განისაზღვრება, არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შესაბამის სასამართლოში შეტანისა და განხილვის ვადა და წესი?
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონითა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონით.
- საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონითა და სამოსამართლო ეთიკის კოდექსით.
- საქართველოს საარჩევნო კოდექსით.
- საქართველოს საარჩევნო კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით.

1868. რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ნიშნავს მთავრობის წევრებს?
- საქართველოს პრეზიდენტი.
- პრემიერ-მინისტრი.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
- საქართველოს პარლამენტი.

1869. კონსტიტუციის მიხედვით, დაკავებისთანავე დაკავებულის ერთ-ერთი უფლებაა:
- ეცადოს გაქცევა
- არ დაუშვას მასზე ხელბორკილების დადება
- მოითხოვოს დამცველის დახმარება
- მოითხოვოს ახლობლებთან შეხვედრა

1870. ვინ აწერს ხელს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს დახურვის შემდეგ?
- კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი.
- საარჩევნო კომისიის ყველა წევრი, თავმჯდომარე და მისი მოადგილე.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.
- საარჩევნო კომისიის ყველა წევრი, თავმჯდომარე, მისი მოადგილე და ბოლო ამომრჩეველი.

1871. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმებისა და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე არჩევნების დღიდან რა ვადაში აჯამებს თავის სხდომაზე საქართველოს პარლამენტის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგებს და ადგენს ოქმს?
- არა უგვიანეს მე-19 დღისა.
- არა უგვიანეს მე-12 დღისა.
- არა უადრეს მე-20 დღისა.
- არა უადრეს მე-12 დღისა.

1872. რამდენი სახის საარჩევნო ბიულეტენი მზადდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის?
- ორი სხვადასხვა სახის საარჩევნო ბიულეტენი.
- ერთი.
- სამი.
- იმდენი სახის, რამდენი მანდატიცაა საარჩევნო ოლქში.

1873. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ცესკოს თავმჯდომარე სათანადო მოწმობას აძლევს არჩეულ საკრებულოს წევრს (გარდა ქ. თბილისის საკრებულოს წევრისა).

- უსკოს თავმჯდომარე სათანადო მოწმობას აძლევს არჩეულ საკრებულოს წევრს (გარდა ქ. თბილისის საკრებულოს წევრისა).
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სათანადო მოწმობას აძლევს არჩეულ საკრებულოს წევრს (გარდა ქ. თბილისის საკრებულოს წევრისა).
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სათანადო მოწმობას აძლევს არჩეულ საკრებულოს წევრს (გარდა ქ. თბილისის საკრებულოს წევრისა).

1874. როდის ტარდება საკრებულოს მორიგი არჩევნები?
- ბოლო არჩევნებიდან სრული 4 წლის გასვლის შემდეგ.
- ბოლო არჩევნებიდან სრული 3 წლის გასვლის შემდეგ.
- ბოლო არჩევნებიდან სრული 4 წლის გასვლის შემდეგ, ივნისში.
- ბოლო არჩევნებიდან სრული 3 წლის გასვლის შემდეგ, მე-4 წლის ოქტომბერში.

1875. ვის აქვს საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება?
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას.
- ეროვნული უშიშროების საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.
- პარლამენტის ბიუროს.

1876. რა სახის ნორმატიული აქტით განისაზღვრება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში?
- შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით
- საქართველოს ორგანული კანონებით
- კონსტიტუციური შეთანხმებით
- შესაბამისი კონსტიტუციური კანონებით

1877. როგორი შედეგი დგება, თუ კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი საარჩევნო უბანთა ნახევარზე მეტში ან რამდენიმე უბანში, რომლებშიც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტია და გავლენას ახდენს არჩევნების შედეგებზე და მაჟორიტარული არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი?
- მორიგ არჩევნებამდე საარჩევნო ოლქი მანდატს კარგავს.
- შედეგი გამოვლინდება დარჩენილი საარჩევნო უბნების მიხედვით.
- ამ ოლქში დაინიშნება ხელახალი არჩევნები.
- ხელახალი არჩევნები ჩატარდება უბნებში, სადაც შედეგები ბათილად იქნა ცნობილი.

1878. საჯარო მოსამსახურემ შეტყობინებით მიმართა ზემდგომ თანამდებობის პირს სხვა საჯარო მოსამსახურის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის თაობაზე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ამ დროს ზემდგომი თანამდებობის პირი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან შესაბამისი ზომები მიიღოს:
- 3 სამუშაოდღისვადაში.
- 5 სამუშაოდღისვადაში.
- 7 სამუშაოდღისვადაში.
- 1 სამუშაოდღისვადაში.

1879. საინიციატივო ჯგუფის მიერ სარეფერენდუმოდ შემოთავაზებულ საკითხს რეგისტრაციაში ატარებს:
- როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისია, ისე ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია.
- სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი არ საჭიროებს რეგისტრაციას.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია.

1880. რა ვადაში ტარდება მერის/გამგებლის არჩევნების მეორე ტური?
- მეორე ტური არ ტარდება
- ცესკოს მიერ მისი დანიშვნის შესახებ განკარგულების მიღებიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა.
- ცესკოს მიერ მისი დანიშვნის შესახებ განკარგულების მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.
- ცესკოს მიერ მისი დანიშვნის შესახებ განკარგულების მიღებიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა.

1881. ამომრჩეველთა ერთიან სიაში არ შეიტანება ამომრჩევლის შემდეგი მონაცემი:
- ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი.
- გვარი, სახელი.

- ინფორმაცია ნასამართლობის შესახებ.
- საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი.

1882. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი მსჯელობა?
- მხარდამჭერთა სიის ბლანკის ზედა მარცხენა კუთხეში მითითებული უნდა იყოს იმ საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება (სახელი და გვარი), რომლის არჩევნებში მონაწილეობის ინიციატივასაც მხარს უჭერს იუსტიციის სამინისტრო.
- მხარდამჭერთა სიის ბლანკის ზედა მარცხენა კუთხეში მითითებული უნდა იყოს იმ საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება (სახელი და გვარი), რომლის არჩევნებში მონაწილეობის ინიციატივასაც მხარს უჭერს ამომრჩეველი.
- მხარდამჭერთა სიის ბლანკის ზედა მარცხენა კუთხეში მითითებული უნდა იყოს იმ საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება (სახელი და გვარი), რომლის არჩევნებში მონაწილეობის ინიციატივასაც მხარს უჭერს საოლქო საარჩევნო კომისია.
- მხარდამჭერთა სიის ბლანკის ზედა მარცხენა კუთხეში მითითებული უნდა იყოს იმ საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება (სახელი და გვარი), რომლის არჩევნებში მონაწილეობის ინიციატივასაც მხარს უჭერს საუბნო საარჩევნო კომისია.

1883. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილიდან ვის აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება?
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს.
- საქართველოს პარლამენტის ფრაქციას.
- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

1884. სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობად ითვლება
- შრომითი ურთიერთობა არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე იმ დაწესებულებაში, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას.
- შრომითი ურთიერთობა არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე იმ დაწესებულებაში, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს.
- შრომითი ურთიერთობა არჩევით თანამდებობაზე იმ დაწესებულებაში, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას.
- შრომითი ურთიერთობა დანიშვნით თანამდებობაზე იმ დაწესებულებაში, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას.

1885. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება პროკურატურის კონტროლის სხვადასხვა ფორმათა მეშვეობით.
- სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკანონმდებლო მოღვაწეობის მეშვეობით.
- სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება მართლმსაჯულების ფორმის მეშვეობით.
- სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება ადმინისტრირების მეშვეობით.

1886. ვინაიდან პირი სასამართლოში დასაპატიმრებლად წარდგენილი იყო კვირა დღეს დილით, სასამართლომ მისი დაპატიმრების გადაწყვეტილება მიიღო წარდგენიდან 25-ე საათს. კონსტიტუციის მიხედვით, რა სამართლებრივი შედეგი მოყვება ამ გადაწყვეტილებას?
- დაკავებული პირი დაუყონებლივ უნდა გათავისუფლდეს
- პროკურორმა ხელახლა უნდა წარადგინოს პირი იმავე სასამართლოში
- გადაწყვეტილება დარჩება ძალაში, ვინაიდან სასამართლოები კვირა დღეს არ მუშაობენ
- გადაწყვეტილება დარჩება ძალაში, ვინაიდან სულ ერთი საათით არის გადამეტებული კონსტიტუციით დადგენილი 24 საათიანი ვადა

1887. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა მოვლენასთან არის დაკავშირებული პრეზიდენტის მიერ საომარი მდგომარეობის გამოცხადება?
- საქართველოზე განხორციელებული თავდასხმის შემთხვევაში.
- საქართველოს მოქალაქეთა მიერ მოწყობილ შეიარაღებულ ამბოხებასთან დაკავშირებით.
- საქართველოს მოქალაქეებზე ტერორისტული აქტის განხორციელების შემთხვევასთან დაკავშირებით.
- მეზობელ სახელმწიფოზე განხორციელებული თავდასხმის შემთხვევაში.

1888. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- პრეზიდენტი უფლებამოსილია დანიშნოს რეფერენდუმი, თუ ამას მოითხოვს არანაკლებ 200 000 ამომრჩეველი.
- პრეზიდენტი უფლებამოსილია დანიშნოს რეფერენდუმი, თუ ამის მოთხოვნით მას მიმართა საქართველოს პარლამენტმა.

- პრეზიდენტი უფლებამოსილია დანიშნოს რეფერენდუმი საქართველოს მთავრობის მოთხოვნით.
- პრეზიდენტი უფლებამოსილია დანიშნოს რეფერენდუმი საკუთარი ინიციატივით.

1889. N1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებულ იქნა ცესკოში. ცესკომ კანონით დადგენილ ვადაში განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება. სად შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოს გადაწყვეტილება?
- ცესკოს გადაწყვეტილება არ საჩივრდება.
- ცესკოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
- ცესკოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.
- ცესკოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

1890. კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ
- მასში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ იქნა 10-ზე ნაკლები განცხადება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ საკონკურსო-საატესტაციო კომისია უარს განაცხადებს თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წამოყენებაზე.
- საკონკურსო-საატესტაციო კომისია უარს განაცხადებს თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წამოყენებაზე.
- მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება.
- მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ საკონკურსო-საატესტაციო კომისია უარს განაცხადებს თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წამოყენებაზე.

1891. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელია კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის მიღების კონსტიტუციური წესი?
- კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.
- კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს ორი მოწვევის პარლამენტთა უმრავლესობა.
- კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ პარლამენტის ორ თანმიმდევრულ სესიაზე სულ ცოტა სამი თვის ინტერვალით მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედისა.
- კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ პარლამენტის ორ თანმიმდევრულ სესიაზე სულ ცოტა სამი თვის ინტერვალით მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.

1892. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, კენჭისყრამდე არა უგვიანეს 5 დღისა, მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, კენჭისყრამდე არა უგვიანეს 10 დღისა, მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, კენჭისყრამდე არა უგვიანეს 3 დღისა, მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, კენჭისყრამდე არა უადრეს 10 დღისა, მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.

1893. კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი მათი შინაარსის გათვალისწინებით ვრცელდება:
- როგორც ფიზიკურ, აგრეთვე იურიდიულ პირებზე
- მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე
- მხოლოდ ფიზიკურ პირებზე
- მხოლოდ იურიდიულ პირებზე

1894. ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს:
- მხოლოდ ერთხელ.
- მხოლოდ ზედიზედ ოთხჯერ.
- მხოლოდ სამჯერ.
- ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

1895. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას, რომელი პრინციპები უნდა დაიცვას საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების, გადაცემებისა და არჩევნების გაშუქების დროს მაუწყებელმა?
- პირდაპირობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი.
- გამჭვირვალობის და პირდაპირობის პრინციპი.
- საყოველთაობისა და სამართლიანობის პრინციპი.
- მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპი.

1896. დამკვირვებელს უფლება არა აქვს:
- დაესწროს ხმის დათვლის პროცედურებს.
- ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში.
- კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში.
- დაესწროს საარჩევნო კომისიის სხდომებს.

1897. რომელი მსჯელობაა სწორი?
- პარტიების მიერ საარჩევნო კომისიებში დანიშნულ წევრებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც პარტიას სახელმწიფო დაფინანსება უწყდება ან პარტია უკან გამოიწვევს მის მიერ დანიშნულ წევრს) უფლებამოსილება ვადამდე უწყდებათ ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით.
- პარტიების მიერ საარჩევნო კომისიებში დანიშნულ წევრებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც პარტიას სახელმწიფო დაფინანსება უწყდება ან პარტია უკან გამოიწვევს მის მიერ დანიშნულ წევრს) უფლებამოსილება ვადამდე უწყდებათ სასამართლოს გადაწყვეტილებით.
- პარტიების მიერ საარჩევნო კომისიებში დანიშნულ წევრებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პარტიას სახელმწიფო დაფინანსება უწყდება ან პარტია უკან გამოიწვევს მის მიერ დანიშნულ წევრს) უფლებამოსილება ვადამდე უწყდებათ პარლამენტის დადგენილებით.
- პარტიების მიერ საარჩევნო კომისიებში დანიშნულ წევრებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც პარტიას სახელმწიფო დაფინანსება უწყდება ან პარტია უკან გამოიწვევს მის მიერ დანიშნულ წევრს) უფლებამოსილება ვადამდე უწყდებათ ცესკოს დადგენილებით.

1898. ზოგადი წესის მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიამ რა ვადაში უნდა უზრუნველყოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიის გამოქვეყნება?
- შესაბამისი არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-20 დღისა.
- შესაბამისი არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 29-ე დღისა.
- შესაბამისი არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.
- შესაბამისი არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-60 დღისა.

1899. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის დროებით გადაცემა კომისიის სხვა წევრისთვის შეიძლება მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნებართვით.
- საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის დროებით გადაცემა კომისიის სხვა წევრისთვის შეიძლება მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნებართვით.
- საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის დროებით გადაცემა კომისიის სხვა წევრისთვის შეიძლება მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ნებართვით.
- საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის დროებით გადაცემა კომისიის სხვა წევრისთვის შეიძლება მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ნებართვით.

1900. რამდენი შემაჯამებელი ოქმი დგება საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების დროს?
- მხოლოდ ერთი ოქმი – პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ორი ოქმი – ერთი ოქმი დგება პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების, ხოლო მეორე ოქმი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით.
- მხოლოდ ერთი ოქმი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით.

1901. მზია შოთნიაშვილი, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი იყო, არასაპატიო მიზეზით საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას ზედიზედ 3-ჯერ არ დაესწრო, აღნიშნული უმოქმედობის გამო საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მას უფლებამოსილება შეუწყვიტა ვადაზე ადრე. კანონიერად მოქმედებდა თუ არა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე?
- არა, რადგან მზია შოთნიაშვილის ქმედება არ წარმოადგენდა დისციპლინურ გადაცდომას და შესაბამისად მის მიმართ დისციპლინური სანქციის გამოყენება უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის სახით დაუშვებელი იყო.
- დიახ, რადგან მზია შოთნიაშვილის ქმედება წარმოადგენდა საარჩევნო კოდექსით გათვალიწინებული გადაცდომას და შესაბამისად კომისიის თავმჯდომარეს ჰქონდა მის მიმართ დისციპლინური სანქციის გამოყენების სრული უფლება.
- არა, რადგან დისციპლინური სანქციის მსგავს სახეს არ იცნობს საარჩევნო კოდექსი და ანალოგიის პირის საზიანოდ გამოყენება დაუშვებელია.
- არა, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არ იყო უფლებამოსილი პირი.

1902. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, გარდა III თავისა, არ ვრცელდება:
- საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობაზე.
- ყველა პასუხი სწორია.
- სამინისტროს საქმიანობაზე.
- საქართველოს მთავრობის საქმიანობაზე.

1903. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რიგითი ნომერი არის 6.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რიგითი ნომერი განისაზღვრება საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადაში, შესაბამისი პროცედურების გავლით, რომელიც ტარდება ცესკოს შენობაში.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რიგითი ნომერი არის 7.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რიგითი ნომერი არის 5.

1904. რომელი ორგანო (პირი) განსაზღვრავს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარების წესს?
- ცესკოს თავმჯდომარე.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი.
- ცესკო.

1905. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული კონსტიტუციით?
- სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა მატერიალური შესაძლებლობების გათვალისწინებით.
- სამართალწარმოება ხორციელდება სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე.
- სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობის საფუძველზე.
- სამართალწარმოება ხორციელდება ევროსაბჭოს მიერ დადგენილი წესის საფუძველზე.

1906. რომელი სამართლებრივი აქტით ხდება არჩეული პარლამენტის წევრების უფლებამოსილების ცნობის შემდეგ პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიერ საკუთარი ინიციატივით პარტიული სიიდან კანდიდატურის მოხსნა?
- საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით.
- ცესკოს დადგენილებით.
- ცესკოს მდივნის განკარგულებით.
- ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით.

1907. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობებიდან, რომელია სწორი?
- ცესკომ კანონით დადგენილი წესით ყოველწლიურად საქართველოს პრეზიდენტს უნდა წარუდგინოს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მომავალი წლის საბიუჯეტო განაცხადი, რომლის საფუძველზედაც განისაზღვრება მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსება.
- საქართველოს პარლამენტმა კანონით დადგენილი წესით ყოველწლიურად საქართველოს პრეზიდენტს უნდა წარუდგინოს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მომავალი წლის საბიუჯეტო განაცხადი, რომლის საფუძველზედაც განისაზღვრება მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსება.
- ცესკომ კანონით დადგენილი წესით ყოველწლიურად საქართველოს პარლამენტს უნდა წარუდგინოს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მომავალი წლის საბიუჯეტო განაცხადი, რომლის საფუძველზედაც განისაზღვრება მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსება.
- ცესკომ კანონით დადგენილი წესით ყოველწლიურად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უნდა წარუდგინოს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მომავალი წლის საბიუჯეტო განაცხადი, რომლის საფუძველზედაც განისაზღვრება მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსება.

1908. რომელი მსჯელობაა სწორი?
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეუძლია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტის თანხმობით.
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეუძლია მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს.
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეუძლია მხოლოდ უზენაეს სასამართლოს.
- რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმით.

1909. რა არის უსკო?
- უმაღლესი საოლქო საარჩევნო კომისია.
- საქართველოს უმაღლესი საარჩევნო კომისია.
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიები.

- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანო.

1910. რა შემთხვევაში არ აქვს პარტიას უფლება, უკან გამოიწვიოს მის მიერ დანიშნული უსკოს წევრი?
- პარტიას უფლება არ აქვს უკან გამოიწვიოს მის მიერ დანიშნული უსკოს წევრი, თუ უსკოს წევრმა შეიცვალა პოლიტიკური შეხედულებები.
- პარტიას უფლება არ აქვს უკან გამოიწვიოს მის მიერ დანიშნული უსკოს წევრი არჩევნების დანიშვნის დღიდან საბოლოო შედეგების შეჯამებამდე.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- პარტიას უფლება არ აქვს უკან გამოიწვიოს მის მიერ დანიშნული უსკოს წევრი, თუ უსკოს წევრი ამას მოითხოვს.

1911. პლებისციტის შედეგები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის:
- სავალდებულო ხასიათისაა, როდესაც მას დაამტკიცებს ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია.
- სარეკომენდაციო ხასიათისაა.
- სავალდებულო ხასიათისაა.
- სავალდებულო ხასიათისაა, როდესაც მას დაამტკიცებს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

1912. რას ნიშნავს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები?
- საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების არჩევნები პარტიული სიების საფუძველზე.
- საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების, გამგებლებისა და მერების არჩევნები ერთმანდატიანი ან მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით.
- მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად.
- საქართველოს მოქალაქეებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ.

1913. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს განიხილავს და წყვეტს:
- საქართველოს პრეზიდენტი 10 დღის ვადაში.
- თვით ეს კომისია 10 დღის ვადაში.
- საქართველოს პარლამენტი 15 დღის ვადაში.
- ამავე კომისიის თავმჯდომარე 15 დღის ვადაში.

1914. საოლქო საარჩევნო კომისიაში ჩატარდა სხდომა საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, რომელსაც ესწრებოდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები, დამკვირვებლები, მედიის წარმომადგენლები და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები. ჰქონდათ თუ არა ზემოთ ჩამოთვლილ პირებს საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება?
- ჰქონდათ უფლება, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ ნებისმიერი საარჩევნო კომისიის წევრებსა და კომისიის წარმომადგენლებს, შესაბამის კომისიაში აკრედიტებულ მედიის წარმომადგენლებს, საარჩევნო სუბიექტების თითო წარმომადგენელს შესაბამის კომისიაში, აგრეთვე შესაბამის კომისიაში რეგისტრირებულ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის თითო დამკვირვებელს.
- ჰქონდათ უფლება, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ ქვემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებსა და კომისიის წარმომადგენლებს, შესაბამის კომისიაში აკრედიტებულ მედიის წარმომადგენლებს, საარჩევნო სუბიექტების თითო წარმომადგენელს შესაბამის კომისიაში, აგრეთვე შესაბამის კომისიაში რეგისტრირებულ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის თითო დამკვირვებელს.
- არ ჰქონდათ უფლება, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებსა და კომისიის წარმომადგენლებს.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს არ ჰქონდათ უფლება, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებსა და კომისიის წარმომადგენლებს, შესაბამის კომისიაში აკრედიტებულ მედიის წარმომადგენლებს, საარჩევნო სუბიექტების თითო წარმომადგენელს შესაბამის კომისიაში, აგრეთვე შესაბამის კომისიაში რეგისტრირებულ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის თითო დამკვირვებელს.

1915. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, სრული შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის წინაშე დასვას საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის საკითხი.
- საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, სრული შემადგენლობის ერთი მესამედის გადაწყვეტილებით ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის წინაშე დასვას საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის საკითხი.
- საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, სრული შემადგენლობის სამი მეოთხედის გადაწყვეტილებით ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის წინაშე დასვას საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის საკითხი.
- საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია სრული შემადგენლობის ერთი მეოთხედის გადაწყვეტილებით ზემდგომი საოლქო

საარჩევნო კომისიის წინაშე დასვას საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის საკითხი.

1916. პოლიტიკური პარტია „აისი" აწარმოებდა წინასაარჩევნო აგიტაციას. მან საარჩევნო პლაკატები გამოაკრა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გამოყოფილ სტენდზე. აღნიშნულმა საარჩევნო სუბიექტმა არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან მე-12 დღეს ჩამოხსნა სააგიტაციო პლაკატები, რადგან იცოდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკისრებოდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა. დაარღვია თუ არა საარჩევნო სუბიექტმა კანონი? რა ვადაშია საარჩევნო სუბიექტი ვალდებული ჩამოხსნას საარჩევნო პლაკატები?
- პოლიტიკურ პარტიას არ დაურღვევია კანონი, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.
- პოლიტიკურ პარტიას არ დაურღვევია კანონი, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.
- პოლიტიკურმა პარტიამ დაარღვია კანონი, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.
- პოლიტიკურმა პარტიამ დაარღვია კანონი, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.

1917. სად და რამდენი ხნის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები?
- მათი მიღებიდან 1 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- მათი მიღებიდან 3 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- მათი მიღებიდან 4 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- მათი მიღებიდან 2 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

1918. რა ვადაში უნდა წარედგინოს ცესკოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის საკონკურსო საბუთები საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემთხვევაში?
- კონკურსის გამოცხადებიდან 14 დღის განმავლობაში.
- კონკურსის გამოცხადებიდან 30 დღის განმავლობაში.
- კონკურსის გამოცხადებიდან 10 დღის განმავლობაში.
- კონკურსის გამოცხადებიდან 2 დღის განმავლობაში.

1919. კონსტიტუციის მიხედვით, რა საფუძვლის არსებობისას იქნება საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში ორი პალატა?
- ორპალატიანი პარლამენტი შეიქმნება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ
- ორპალატიანი პარლამენტი შეიქმნება მას შემდეგ, რაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეიქმნება შესაბამისი პირობები
- ორი პალატის არსებობა ასუსტებს პარლამენტის საკონტროლო შესაძლებლობებს, ამიტომ ბიკამერალურ პარლამენტს თანამედროვე საქართველოში პერსპექტივა არა აქვს
- საქართველოს პარლამენტის სტრუქტურაში ორი პალატა იქნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ

1920. რომელი მსჯელობაა სწორი?
- პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში განმეორებითი კენჭისყრა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო უბნებში, სადაც კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი, საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 25 პროცენტზე მეტია.
- პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში განმეორებითი კენჭისყრა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო უბნებში, სადაც კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი, საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 30 პროცენტზე მეტია.
- პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში განმეორებითი კენჭისყრა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო უბნებში, სადაც კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი, საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 10 პროცენტზე მეტია.
- პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში განმეორებითი კენჭისყრა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო უბნებში, სადაც კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი, საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 15 პროცენტზე მეტია.

1921. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რისი უფლება არ აქვს დამკვირვებელს?
- მოსთხოვოს ამომრჩეველს, უჩვენოს, რამდენი საარჩევნო ბიულეტენი კონვერტი აქვს ხელში. და სპეციალური
- გაეცნოს საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს, შესაბამისი საარჩევნო კომისიისგან მოითხოვოს და მიიღოს ამ ოქმების ასლები.
- კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე.

- გაასაჩივროს საარჩევნო კომისიის ქმედება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1922. თუ პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტა დაემთხვა საპარლამენტო არდადეგებს ან არასასესიო კვირას, რა ვადაში უნდა შეიკრიბოს პარლამენტი?
- უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 72 საათისა.
- უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 24 საათისა.
- უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 36 საათისა.
- უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 48 საათისა.

1923. რომელი ორგანო (პირი) ადგენს იმ ფურცლის ნიმუშის ფორმას, რომელზეც რეფერენდუმის საინიციატივო ჯგუფის მიერ უნდა მოგროვდეს ხელმოწერები?
- ცესკოს თავმჯდომარე.
- ცესკო.
- ის საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ახდენს ხელმოწერების შეგროვებას.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

1924. რომელი მსჯელობაა სწორი?
- რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საჭიროებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც რეფერენდუმი ინიშნება შინაგან საქმეთა მინისტრის მოთხოვნით.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საჭიროებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც რეფერენდუმი ინიშნება მთავრობის მოთხოვნით.
- რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საჭიროებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც რეფერენდუმი ინიშნება თავდაცვის მინისტრის მოთხოვნით.

1925. რამდენი დამკვირვებელი შეიძლება ჰყავდეს არჩევნებზე ადგილობრივ დამკვირვებელ ერთ ორგანიზაციას თითო საარჩევნო უბანში ერთდროულად?
- არა უმეტეს ორი.
- არა უმეტეს სამი.
- არა უმეტეს ერთი.
- არა უმეტეს ოთხი.

1926. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე დაკვირვების მიზნით საქართველოს მოქალაქე ცეცხლაძე რეგისტრირებული იყო უსკოში ადგილობრივ დამკვირვებლად. ცეცხლაძემ მოინდომა, რომ არჩევნების პროცესზე დაკვირვება განეხორციელებინა N81 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ ერთ-ერთ საუბნო საარჩევნო კომისიაზე, რაზეც N81 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უარი განუცხადა ცეცხლაძეს. შეაფასეთ N81 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედების კანონიერება.
- N81 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება კანონიერია, რადგან ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კანონით დადგენილი წესით უსკოში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს მხოლოდ უსკოში.
- N81 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება კანონიერია, რადგან ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კანონით დადგენილი წესით უსკოში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს მხოლოდ უსკოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის მიერ დადგენილებით განსაზღვრულ საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- N81 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება კანონიერია, რადგან ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კანონით დადგენილი წესით უსკოში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს მხოლოდ უსკოს თავმჯდომარის მიერ განკარგულებით განსაზღვრულ საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- N81 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება არაკანონიერია, რადგან ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კანონით დადგენილი წესით უსკოში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს ყველა დონის ნებისმიერ საარჩევნო კომისიაში.

1927. სათანადო ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, ვინ და რა ვადაში ატარებს რეგისტრაციაში ცესკოში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს?
- ცესკოს თავმჯდომარე დაუყოვნებლივ.
- ცესკოს მდივანი დაუყოვნებლივ.
- ცესკოს თავმჯდომარე 24 საათის განმავლობაში.
- ცესკოს მდივანი 24 საათის განმავლობაში.

1928. კენჭისყრის დღემდე რა ვადაში უნდა მოხდეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ განცხადების წარდგენა შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის?
- კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-4 დღისა.
- კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-3 დღისა.
- კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-5 დღისა.
- კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-6 დღისა.

1929. რომელი მსჯელობა არ არის სწორი?
- ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
- ნებისმიერი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა შესაბამისი საარჩევნო უბნის მთელ ტერიტორიაზე.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა შესაბამისი საარჩევნო ოლქის მთელ ტერიტორიაზე.

1930. კონსტიტუციის ტექსტის მიხედვით რა საფუძვლის არსებობისას არის დასაშვები სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა?
- თუ პირი მცირეწლოვანია
- თუ გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა
- თუ სიტყვის თავისუფლების გამოვლინებით ილახება სხვათა უფლებები
- თუ გამოცხადებულია საომარი მდგომარეობა

1931. კონსტიტუციის მიხედვით, რომელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი ფუნქცია (ანუ საქმიანობის ძირითადი მიმართულება)?
- მოსამართლეთა კორპუსის მომზადება და მოსამართლეების კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა.
- უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატთა შერჩევა და პარლამენტში ასარჩევად წარდგენა.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება (ფუნქცია) არის საკასაციო, საქალაქო და რაიონული მოსამართლეების თანამდებობიდან გათავისუფლება.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, შესაბამისად, მისი ერთ-ერთი ფუნქცია არის უზრუნველყოს პრეზიდენტის კომუნიკაცია სასამართლო ხელისუფლების ორგანოებთან.

1932. კონსტიტუციის მიხედვით, ვის და რა შემთხვევაში შეუძლია ადამიანის დაკავება?
- ადამიანის დაკავება დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ
- ადამიანის დაკავება შეუძლია პროკურორს, თუ მიაჩნია, რომ პირს დანაშაულის ჩადენა შეუძლია
- ადამიანის დაკავება შეუძლია ნებისმიერ სახელმწიფო მოხელეს, თუ მიაჩნია, რომ ეს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს
- ადამიანის დაკავება შეუძლია ნებისმიერ პირს, თუ დაკავებული პირი კანონით დადგენილ გადასახადს არ იხდის

1933. კონსტიტუციის მიხედვით, თუ პრეზიდენტმა თავისი მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა პარლამენტს კანონპროექტი, პარლამენტი
- ჯერ კენჭს უყრის კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას, შემდეგ პრეზიდენტის შენიშვნებს.
- პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს და თუ არ მიიღო ეს შენიშვნები, შემდეგ კენჭს უყრის პირვანდელ რედაქციას.
- გადასცემს პრეზიდენტის შენიშვნებს და კანონპროექტს დასკვნისათვის საკონსტიტუციო სასამართლოს.
- პარლამენტის თავმჯდომარე ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს.

1934. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის ეგზემპლარები უნდა წარედგინოს იმ საარჩევნო კომისიას, რომელშიც საარჩევნო სუბიექტმა გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია.
- ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის ეგზემპლარები უნდა წარედგინოს საუბნო საარჩევნო კომისიას.
- ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის ეგზემპლარები უნდა წარედგინოს ნებისმიერ საარჩევნო კომისიას.
- ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის ეგზემპლარები არ უნდა წარედგინოს იმ საარჩევნო კომისიას, რომელშიც საარჩევნო სუბიექტმა გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია.

1935. რა ოდენობის სპეციალური კონვერტები უნდა გადაეცეს არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიას, თუ ამ უბანზე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაა 1300 ადამიანი?
- ასეთ საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს 1350 სპეციალური კონვერტი.

- ასეთ საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს ზუსტად 1300 სპეციალური კონვერტი.
- ასეთ საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს 1450 სპეციალური კონვერტი.
- ასეთ საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს 1400 სპეციალური კონვერტი.

1936. რომელი არ არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტი?
- ცესკოს განკარგულება.
- ცესკოს მდივნის განკარგულება.
- ცესკოს დადგენილება.
- ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებულება.

1937. ვინ არის ვალდებული, აღრიცხოს კენჭისყრის დღის ყველა საარჩევნო პროცედურა და მიუთითოს მათი განხორციელების დრო ჩანაწერთა წიგნში?
- საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი კომისიის თავმჯდომარესთან ერთად.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

1938. კონსტიტუციის მიხედვით როგორი ასაკობრივი ცენზი არის დადგენილი საქართველოს კონსტიტუციით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის?
- საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან
- ასაკობრივი ცენზი არა კონსტიტუციით, არამედ ორგანული კანონით არის დადგენილი.
- საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან
- საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან.

1939. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის ფორმით.
- სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება პროკურატურის კონტროლის სხვადასხვა ფორმათა მეშვეობით.
- სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საპრეზიდენტო რესპუბლიკის მმართველობის ინსტიტუტების მეშვეობით.
- სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საპარლამენტო რესპუბლიკის მმართველობის ინსტიტუტების მეშვეობით.

1940. რა სახის სამართლებრივი აქტით იღებს ცესკო გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისიების ბეჭდების ფორმების შესახებ?
- ბრძანებით.
- ბრძანებულებით.
- დადგენილებით.
- განკარგულებით.

1941. ვის საკუთრებად ითვლება საარჩევნო ბიულეტენი?
- საოლქო საარჩევნო კომისიის საკუთრებად.
- ცესკოს საკუთრებად.
- საუბნო საარჩევნო კომისიის საკუთრებად.
- სახელმწიფო საკუთრებად.

1942. N1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებულ იქნა ცესკოში. ცესკომ კანონით დადგენილ ვადაში განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება. ცესკოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. რა ვადაში უნდა განიხილოს თბილისის საქალაქო სასამართლომ საჩივარი?
- თბილისის საქალაქო სასამართლო საჩივარს განიხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში.
- თბილისის საქალაქო სასამართლო საჩივარს განიხილავს 1 კალენდარული დღის ვადაში.
- თბილისის საქალაქო სასამართლო საჩივარს განიხილავს 2 სამუშაო დღის ვადაში.
- თბილისის საქალაქო სასამართლო საჩივარს განიხილავს 1 სამუშაო დღის ვადაში.

1943. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საოლქო საარჩევნო კომისიის ერთ წევრს 1 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უსკო.
- საოლქო საარჩევნო კომისიის ერთ წევრს არჩევნების დანიშვნიდან საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე დროის მონაკვეთით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უსკო.

- საოლქო საარჩევნო კომისიის ერთ წევრს არჩევნების დანიშვნიდან საბოლოო შედეგების შეჯამებამდე სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უსკო.
- საოლქო საარჩევნო კომისიის ერთწევრს 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უსკო.

1944. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რა შემთხვევაში არ გაიცემა ამომრჩეველზე საარჩევნო ბიულეტენი?
- იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველს არ შესრულებია 25 წელი.
- არც ერთ შემთხვევაში.
- მარკირების პროცედურის გავლაზე უარის თქმის შემთხვევაში.
- იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველს დაზიანებული აქვს მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელ თითზე ფრჩხილი იმგვარად, რომ შეუძლებელია მარკირების განხორციელება.

1945. რა სახის სამართლებრივი აქტით ამტკიცებს უფლებამოსილი ორგანო (პირი) ცესკოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულებას?
- ცესკო განკარგულებით.
- ცესკოს თავმჯდომარე ბრძანებულებით.
- ცენტრის ხელმძღვანელი ბრძანებით.
- ცესკო დადგენილებით.

1946. რომელია სწორი მსჯელობა?
- საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები ტარდება უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 45-ე დღისა.
- არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.
- საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები ტარდება უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს მე-60 დღისა.
- საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები ტარდება უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 50-ე დღისა.

1947. ვინ არის პასუხისმგებელი კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვაზე?
- პატრულის თანამშრომლები.
- მანდატურები.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ცესკო.

1948. რეგისტრაციიდან რა ვადაში უნდა განიხილოს საოლქო საარჩევნო კომისიამ განცხადება/საჩივარი კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის შესახებ?
- რეგისტრაციიდან 4 დღის ვადაში.
- რეგისტრაციიდან 1 დღის ვადაში.
- რეგისტრაციიდან 2 დღის ვადაში.
- რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში.

1949. საქართველოს კონსტიტუციის გათვალისწინებით ქვემოთ ჩამოთვლილიდან მონიშნეთ სწორი მსჯელობა.
- კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს ოფიციალური დედაქალაქი არის თბილისი, ხოლო ისტორიული დედაქალაქი არის მცხეთა
- საქართველოს სასამართლო ხელისუფლების დედაქალაქი არის ქალაქი ბათუმი
- საქართველოს საპარლამენტო დედაქალაქი არის ქალაქი ქუთაისი
- საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი

1950. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელი მსჯელობა არ არის სწორი? გადასატანი საარჩევნო ყუთის სია დგება ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიების საფუძველზე, თუ:
- ამომრჩეველი იმყოფება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ ძნელად მისადგომ ადგილას.
- ამომრჩევლის იდენტიფიკაცია შეუძლებელია.
- ამომრჩეველი მსახურობს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში ან სასაზღვრო პოლიციის ქვედანაყოფში, რომელიც საარჩევნო უბნიდან შორსაა განლაგებული.
- ამომრჩეველი იმყოფება პატიმრობაში.

1951. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობათაგან რომელი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას?
- თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პარლამენტის არჩევნები ტარდება

ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ
- თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ
- თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 60 დღისა
- თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ

1952. შევსებული ხელმოწერის ფურცლები საინიციატივო ჯგუფმა უნდა გადაუგზავნოს:
- ცენტრალურ სარეფერენდუმო კომისიას, რეგისტრაციის მოწმობის დღიდან არა უგვიანეს ორი თვისა.
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რეგისტრაციის მოწმობის მიღების დღიდან არა უგვიანეს სამი თვისა.
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რეგისტრაციის მოწმობის მიღების დღიდან არა უგვიანეს ორი თვისა.
- ცენტრალურ სარეფერენდუმო კომისიას, რეგისტრაციის მოწმობის მიღების დღიდან არა უგვიანეს სამი თვისა.

1953. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის/დანიშვნის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს:
- შესაბამის რაიონის საკრებულოს.
- არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას.
- დაინტერესებულ ამომრჩეველს.
- შესაბამის რაიონის გამგეობას.

1954. რომელ მხარდამჭერთა სიებს ამოწმებს ცენტრალური საარჩევნო კომისია?
- პარტიის.
- ქალაქის მერობის კანდიდატის.
- საკრებულოს წევრობის.
- პარლამენტის წევრობის მაჟორიტარი დეპუტატის.

1955. სად და რა წესით შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება?
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.
- საქართველოს პარლამენტში და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.
- პრეზიდენტის მოთხოვნით ეროვნულ უშიშროების საბჭოში.
- მხოლოდ პარლამენტში პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

1956. ქვემოთ მოყვანილიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი.
- საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს მთავრობის ბანკირი.
- საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული, სამინისტროს ბანკირი.
- საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს მთავრობის ფისკალური აგენტი.

1957. ვინ იღებს გადაწყვეტილებას კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვის, კენჭისყრის შეწყვეტის ან შეჩერების, შემდეგ კენჭისყრის შენობის გახსნისა და კენჭისყრის გაგრძელების შესახებ?
- საუბნო საარჩევნო კომისია დადგენილებით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

1958. ცესკოს მიერ ცესკოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ განკარგულება ეგზავნება:
- საქართველოს პარლამენტს.
- ასეთი რამ არაა გათვალისწინებული საარჩევნო კოდექსით.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.
- საქართველოს პრეზიდენტს.

1959. რა სახის სამართლებრივი აქტით თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან ცესკოს თავმჯდომარე?
- ცესკოს დადგენილებით.
- პარლამენტის განკარგულებით.
- პარლამენტის დადგენილებით.

- პრეზიდენტის ბრძანებულებით.

1960. დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი არის:
- სასამართლოს მიერ მის წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილება.
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება.
- მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება.

1961. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციაში?
- პრეზიდენტი გადასცემს კანონპროექტს ხელმოწერისა და გამოქვეყნებისათვის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს.
- პრეზიდენტი გამოაქვეყნებს კანონპროექტს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.
- პრეზიდენტი მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნებს კანონპროექტს პარლამენტს.
- პრეზიდენტი გადასცემს კანონპროექტს დასკვნისათვის საკონსტიტუციო სასამართლოს.

1962. რა ვადებში ტარდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა?
- არჩევნებიდან არაუგვიანეს 25 დღისა.
- არჩევნებიდან 25 დღის განმავლობაში.
- არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში.
- არჩევნებიდან არაუადრეს მე-20 დღისა.

1963. საქართველოს კონსტიტუციისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის“ მიხედვით როგორ (რა წესით) ხდება საკრებულოების ფორმირება?
- საკრებულოების წევრებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში -აჭარის უმაღლესი საბჭო.
- საკრებულოს სრულ შემადგენლობას ირჩევენ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ყველა 18 წელს მიღწეული ადამიანი.
- საკრებულოთა წევრების ნახევარს ნიშნავს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მერი ან გამგებელი, მეორე ნახევარს ირჩევს მოსახლეობა.
- საკრებულოს სრულ შემადგენლობას ირჩევენ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები.

1964. რომელი ერთ-ერთი შემთხვევაა, როდესაც პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე?
- პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა.
- საქართველოს კონსტიტუცია პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების ინსტიტუტს არ იცნობს.
- თუ პრეზიდენტი დაპატიმრებულია მძიმე დანაშაულის ჩადენის ბრალდებით.
- არაოფიციალური ვიზიტით პრეზიდენტის ყოფნა მეზობელ სახელმწიფოში.

1965. რა სახის სამართლებრივი აქტით იღებს საქართველოს პრეზიდენტი გადაწყვეტილებას რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ?
- განკარგულებით.
- დადგენილებით.
- ბრძანებით.
- ბრძანებულებით.

1966. რა ხდება იმ შემთხვევაში როდესაც საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მოადგილე ობიექტური მიზეზების გამო ვერ ასრულებენ თავიანთ სამსახურეობრივ მოვალეობას?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ასეთ შემთხვევაში, თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს ანბანის მიხედვით სიაში პირველი კომისიის წევრი.
- ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს ასაკით უხუცესი კომისიის წევრი.
- ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომისიის ის წევრი, რომელსაც აირჩევს თვითონ კომისია თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

1967. რა ვადაში უნდა დააზუსტოს საოლქო საარჩევნო კომისიამ მის მიერ შექმნილი საარჩევნო უბნების საზღვრები და საარჩევნო უბანში შემავალი შენობა-ნაგებობათა ნუსხა?
- არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-40 დღისა.
- არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა.

- არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-60 დღისა.
- არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღისა.

1968. ვის წინაშეა ანგარიშვალდებული ცესკო და რამდენი ხნის ვადაში წარუდგენს მას ანგარიშს?
- ცესკო დამოუკიდებელი ორგანოა და არავის წინაშე არ არის ანგარიშვალდებული.
- ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში.
- ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში.
- ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში.

1969. ხმის დათვლის პროცედურის დამთავრების შემდეგ, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისას დაშვებულ იქნა შეცდომა. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ კანონით დადგენილი წესით შედგენილ იქნა შესწორების ოქმი. სწორად მოიქცა თუ არა საუბნო საარჩევნო კომისია?
- სწორად მოიქცა, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეცდომით შეტანილი მონაცემების გასწორების მიზნით საუბნო საარჩევნო კომისიამ უნდა შეადგინოს შესწორების ოქმი.
- არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეცდომით შეტანილი მონაცემების გასწორების მიზნით, შესწორების ოქმი უნდა შეადგინოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ.
- არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეცდომით შეტანილი მონაცემების გასწორების მიზნით, შესწორების ოქმი უნდა შეადგინოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ.
- არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეცდომით შეტანილი მონაცემების გასწორების მიზნით, შესწორების ოქმი უნდა შეადგინოს საოლქო საარჩევნო კომისიამ.

1970. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის დროებით კომისიის სხვა წევრისთვის გადაცემის შესახებ უფლებამოსილი პირი აღნიშნავს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე დროის მითითებით.
- საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის დროებით კომისიის სხვა წევრისთვის გადაცემის შესახებ უფლებამოსილი პირი აღნიშნავს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე დროის მითითებით.
- საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის დროებით კომისიის სხვა წევრისთვის გადაცემის შესახებ უფლებამოსილი პირი აღნიშნავს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე დროის მითითებით.
- საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის დროებით კომისიის სხვა წევრისთვის გადაცემის შესახებ უფლებამოსილი პირი აღნიშნავს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-2 გვერდზე დროის მითითებით.

1971. ვინ იწვევს საარჩევნო კომისიის სხდომას იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კომისიას არ ჰყავს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი?
- საარჩევნო კომისიის უხუცესი წევრი.
- საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი წევრი.
- საარჩევნო კომისიის ყველაზე ახალგაზრდა წევრი.
- თუ საარჩევნო კომისიას არ ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი, კომისიის სხდომა არ მოიწვევა.

1972. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო ბიულეტენების ზუსტი აღრიცხვის მიზნით ბლოკნოტში ბიულეტენები თანამიმდევრობით ინომრება. ნომერი აღინიშნება არა ბიულეტენის ყუაზე, არამედ თვითონ ბიულეტენზე. ბიულეტენი და მისი ყუა ერთმანეთისაგან პერფორირებული ხაზითაა გამოყოფილი.
- საარჩევნო ბიულეტენების ზუსტი აღრიცხვის მიზნით ბლოკნოტში ბიულეტენები თანამიმდევრობით ინომრება. ნომერი აღინიშნება ბიულეტენის ყუაზე და თვითონ ბიულეტენზე. ბიულეტენი და მისი ყუა ერთმანეთისაგან პერფორირებული ხაზითაა გამოყოფილი.
- საარჩევნო ბიულეტენების ზუსტი აღრიცხვისა და კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფის მიზნით ბიულეტენების ბლოკნოტის თავფურცელზე მიეთითება თუ რამდენი ბიულეტენია ამ კონკრეტულ ბლოკნოტში.
- საარჩევნო ბიულეტენების ზუსტი აღრიცხვის მიზნით ბლოკნოტში ბიულეტენები თანამიმდევრობით ინომრება. ნომერი აღინიშნება ბიულეტენის ყუაზე. ბიულეტენი და მისი ყუა ერთმანეთისაგან პერფორირებული ხაზითაა გამოყოფილი.

1973. შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვას უზრუნველყოფს:
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია.

- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- საქართველოს მთავრობა.

1974. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიამ, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა, კენჭისყრამდე არა უგვიანეს რამდენი დღისა უნდა მიმართოს განცხადებით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რის შემდეგაც უფლება აქვთ შეაგროვონ მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები?
- არა უგვიანეს 50-ე დღისა.
- არა უგვიანეს მე-60 დღისა.
- არა უადრეს მე-60 დღისა.
- არა უადრეს 50-ე დღისა.

1975. სწორია თუ არა მოსაზრება? საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დანიშვნის განცხადებას ხელს უნდა აწერდეს პარტიის/საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი პირი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი ზემდგომ საარჩევნო კომისიაში და მასში უნდა აღინიშნოს წარმომადგენლის გვარი, სახელი, დაბადების წელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (თუ აქვს):
- დიახ, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დანიშვნის განცხადებას ხელს უნდა აწერდეს პარტიის/საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი პირი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი ზემდგომ საარჩევნო კომისიაში და მასში უნდა აღინიშნოს წარმომადგენლის გვარი, სახელი, დაბადების წელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (თუ აქვს).
- არა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დანიშვნის განცხადებას ხელს აწერს მხოლოდ კანდიდატი და მასში უნდა აღინიშნოს წარმომადგენლის გვარი, სახელი, დაბადების წელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (თუ აქვს).
- არა, რადგან წარმომადგენლის დანიშვნის განცხადებაში უნდა აღინიშნოს წარმომადგენლის პირადობის მოწმობის (მოქალაქის პასპორტის) ნომერი და პირადი ნომერი.
- არა, რადგან საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დანიშვნის განცხადებას ხელს უნდა აწერდეს პარტიის/საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი პირი, და მასში უნდა აღინიშნოს წარმომადგენლის გვარი, სახელი, დაბადების წელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (თუ აქვს).

1976. საარჩევნო კომისიის რეგლამენტს:
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამტკიცებს განკარგულებით.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია იღებს განკარგულებით.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია იღებს დადგენილებით.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამტკიცებს ბრძანებით.

1977. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვინ შეიძლება იყოსადმინისტრაციული წარმოების მხახე?
- ადმინისტრაციული ორგანო,ფიზიკური ან იურიდიული პირი.
- მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანო.
- მხოლოდ ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი.

1978. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნების შექმნის შემდეგ 5 დღის ვადაში კანონით დადგენილი წესით აქვეყნებს სათანადო ინფორმაციას საარჩევნო უბნების საზღვრების მითითებით.
- საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნების შექმნის შემდეგ 7 დღის ვადაში კანონით დადგენილი წესით აქვეყნებს სათანადო ინფორმაციას საარჩევნო უბნების საზღვრების მითითებით.
- საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნების შექმნის შემდეგ 2 დღის ვადაში კანონით დადგენილი წესით აქვეყნებს სათანადო ინფორმაციას საარჩევნო უბნების საზღვრების მითითებით.
- საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნების შექმნის შემდეგ 3 დღის ვადაში კანონით დადგენილი წესით აქვეყნებს სათანადო ინფორმაციას საარჩევნო უბნების საზღვრების მითითებით.

1979. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ დარღვევებზე საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით. რა ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება?
- საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 2სამუშაო დღის ვადაში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 1 დღისვადაში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 3 დღისვადაში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 2 დღისვადაში.

1980. საქართველოს პარლამენტის აპარატის მოხელის და დამხმარე მოსამსახურის, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებსა და თანამდებობათა დასახელებებს განსაზღვრავს
- საქართველოს პარლამენტი დადგენილებით.
- საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით.
- საქართველოს პარლამენტის ბიურო.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

1981. კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის წევრის დაკავება დასაშვებია:
- თუ არის პარლამენტის წინასწარი თანხმობა.
- თუ არის საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობა.
- თუ არის პარლამენტის თანხმობა.
- თუ არის პარლამენტის თავმჯდომარის თანხმობა.

1982. თუ დადგენილ ვადაში არ გამოიყოფა არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარებისათვის განკუთვნილი საბიუჯეტო ასიგნება, ვის და რა ფორმით შეუძლია მიმართოს ცესკომ ?
- სასამართლოს - სარჩელით.
- საქართველოს პრეზიდენტს - მიმართვით.
- სასამართლოს - შუამდგომლობით.
- საქართველოს პარლამენტს - შუამდგომლობით.

1983. ვის მიმართ გამოიყენება მარკირება?
- იმ პირთა მიმართ, რომელნიც ხმას აძლევენ საზღვარგარეთ არსებულ საარჩევნო უბნებში.
- საავადმყოფოებში მყოფ ამომრჩეველთა მიმართ.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრაში მონაწილეთა მიმართ.
- პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ ამომრჩეველთა მიმართ.

1984. ადგილობრივი მაუწყებელი უფლებამოსილია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს:
- პოლიტიკური პარტია, რომელიც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ ზედიზედ 3 კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 25 პროცენტის მხარდაჭერით.
- პოლიტიკური პარტია, რომელიც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ ზედიზედ 3 კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 20 პროცენტის მხარდაჭერით.
- პოლიტიკური პარტია, რომელიც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ ზედიზედ 2 კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 20 პროცენტის მხარდაჭერით.
- პოლიტიკური პარტია, რომელიც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ ზედიზედ 2 კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 25 პროცენტის მხარდაჭერით.

1985. რამდენი წევრისაგან შედგება საოლქო საარჩევნო კომისია?
- 12 წევრისაგან.
- 14 წევრისაგან.
- 13 წევრისაგან.
- 15 წევრისაგან.

1986. შეიძლება თუ არა ხალხის მიერ ხელისუფლების განხორციელების შეზღუდვა?
- შეიძლება. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი შეზღუდულია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით
- შეიძლება, ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი შეზღუდულია კანონით
- არ შეიძლება, ამით სახალხო სუვერენიტეტი ილახება
- არ შეიძლება, ხელისუფლების წყარო არის ხალხი

1987. რა სახის ნორმატიული აქტით არის მოწესრიგებული მოქალაქეობის საკითხები საქართველოში?
- კონსტიტუციითა და პარლამენტის რეგლამენტით
- კონსტიტუციითა და ორგანული კანონით

- კონსტიტუციითა და მთავრობის დადგენილებით
- კონსტიტუციითა და კანონით

1988. რამდენჯერ შეიძლება ზედიზედ დასახელდეს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ერთი და იგივე კანდიდატურა, რომელმაც ვერ მიიღო საკმარისი რაოდენობის ხმები?
- ასეთი კანდიდატურა შესაძლებელია დასახელდეს მხოლოდ ოთხჯერ.
- ასეთი კანდიდატურა შესაძლებელია დასახელდეს მხოლოდ სამჯერ.
- ასეთი კანდიდატურა შესაძლებელია დასახელდეს მხოლოდ ორჯერ.
- ასეთი კანდიდატურა შესაძლებელია დასახელდეს მხოლოდ ერთხელ.

1989. ვინ იღებს გადაწყვეტილებას რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ:
- საქართველოს პრეზიდენტი.
- ცესკო.
- საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს მთავრობა.

1990. რამდენი დამკვირვებლის ყოლის უფლება აქვს ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას ერთდროულად საარჩევნო უბანში?
- არა უმეტეს სამი დამკვირვებლისა.
- არა უმეტეს ორი დამკვირვებლისა.
- არა უმეტეს ერთი დამკვირვებლისა.
- კანონით არაა შეზღუდული დამკვირვებელთა რაოდენობა.

1991. რა უფლებამოსილება გააჩნია ცესკოს იმ შემთხვევაში, როდესაც ქვემდგომი საარჩევნო კომისია არ ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას?
- უფლებამოსილია განკარგულებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი ხმით, უფლებამოსილება შეუწყვიტოს ამ კომისიას და შექმნას დროებითი ჯგუფი, რომელსაც კომისიის ხელახლა შექმნამდე დაეკისრება მისი უფლებამოსილების განხორციელება.
- უფლებამოსილია დადგენილებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი ხმით, უფლებამოსილება შეუწყვიტოს ამ კომისიას და შექმნას დროებითი ჯგუფი, რომელსაც კომისიის ხელახლა შექმნამდე დაეკისრება მისი უფლებამოსილების განხორციელება.
- უფლებამოსილია განკარგულებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედით, უფლებამოსილება შეუწყვიტოს ამ კომისიას და შექმნას დროებითი ჯგუფი, რომელსაც კომისიის ხელახლა შექმნამდე დაეკისრება მისი უფლებამოსილების განხორციელება.
- უფლებამოსილია დადგენილებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედით, უფლებამოსილება შეუწყვიტოს ამ კომისიას და შექმნას დროებითი ჯგუფი, რომელსაც კომისიის ხელახლა შექმნამდე დაეკისრება მისი უფლებამოსილების განხორციელება.

1992. რამდენი შემაჯამებელი ოქმი დგება ქალაქ თბილისის მერის არჩევნების დროს?
- ორი შემაჯამებელი ოქმი.
- ერთი შემაჯამებელი ოქმი.
- სამი შემაჯამებელი ოქმი.
- ხუთი შემაჯამებელი ოქმი.

1993. რით უნდა დამოწმდეს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლის სისწორე?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ხელმოწერებითა და კომისიის ბეჭდით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებითა და კომისიის ბეჭდით.
- ნოტარიული წესით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის ყველა წევრის ხელმოწერებითა და კომისიის ბეჭდით.

1994. რომელი მსჯელობაა სწორი? საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ:
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი, რომელიც კომისიაში გამოცხადდება წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ მისთვის ფუნქციის მინიჭების საკითხს წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი, რომელიც კომისიაში გამოცხადდება წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ, მისთვის ფუნქციის მინიჭების საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი, რომელიც კომისიაში გამოცხადდება წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ, მისთვის ფუნქციის მინიჭების საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი, რომელიც კომისიაში გამოცხადდება წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ, მისთვის

ფუნქციის მინიჭების საკითხს წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

1995. თუ კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემდეგ მისი უფლებამონაცვლის დანიშვნის უფლების მქონე პარტიამ არ გამოიყენა ეს უფლება, აგრეთვე, თუ უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა საოლქო საარჩევნო კომისიის ან ცესკოს მიერ არჩეულ კომისიის წევრს და ამის გამო კომისიის შემადგენლობაში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა, მისი შემადგენლობის შესავსებად კომისიის წევრის არჩევის უფლება აქვს:
- ახალი კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 5 დღეში მხოლოდ ცესკოს.
- ახალი კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 10 დღეში ცესკოს.
- ახალი კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 10 დღეში შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას ან ცესკოს.
- ახალი კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 5 დღეში შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას ან ცესკოს.

1996. ვინ არის პასუხისმგებელი საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვასა და საარჩევნო ყუთების დამზადებაზე საქართველოს დედაქალაქის – თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებისთვის?
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია.
- ცესკო.
- უსკო.

1997. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ დარღვევებზე საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილებასაჩივართან დაკავშირებით, რომელიც გასაჩივრებულ იქნა რაიონულ/საქალაქო სასამართლოში კანონით დადგენილი წესით. რაიონულმა/საქალაქო სასამართლომ კანონით დადგენილ ვადაში ასევე მიიღო გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით. სად შეიძლება გასაჩივრდეს რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება?
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდესუზენაეს სასამართლოში.
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აღარ საჩივრდება.
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციოსასამართლოში.
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საერთაშორისოსასამართლოში.

1998. საარჩევნო ბლოკის შექმნის უფლება აქვთ:
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულ პარტიებს.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით რეგისტრირებულ პარტიებს.
- სასამართლოში რეგისტრირებულ პარტიებს.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბრძანებით რეგისტრირებულ პარტიებს.

1999. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- ცესკო განკარგულებით ამტკიცებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სპეციალური სწავლების წესსა და პირობებს.
- ცესკო დადგენილებით განსაზღვრავს ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების დამატებით წესს და კენჭისყრის პროცედურებს.
- ცესკო დადგენილებით ადგენს საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნებთან/რეფერენდუმთან დაკავშირებული ხარჯების ანგარიშის ფორმას.
- ცესკო დადგენილებით ამტკიცებს საშტატო განრიგს და ხარჯთაღრიცხვას ცესკოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე.

2000. არჩევნებში მონაწილე პარტიის მიერ წარდგენილ სიაში მინიმუმ რამდენი უნდა იყოს საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რაოდენობა?
- არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობის 2/3-ზე ნაკლები.
- არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები.
- არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობის 1/2-ზე ნაკლები.
- არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობის 1/3-ზე ნაკლები.

2001. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი ორგანო იქმნება ან თანამდებობის პირი ინიშნება პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით?
- საქართველოს პრეზიდენტის კაბინეტი.
- საქართველოს პრეზიდენტის აპარატი.
- ეროვნული უშიშროების საბჭო.
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

2002. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი დგება:

- მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატების მიხედვით.
- წილისყრით.
- პროპორციული სიების მიხედვით.
- პარტიული სიების მიხედვით.

2003. უსკოს თავმჯდომარე სალიამ გადაწყვიტა რომ ოჯახური პირობების გამო გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან. თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით მან განცხადებით მიმართა უსკოს. სწორად მოიქცა თუ არა სალია?
- სალია არ მოიქცა სწორად, ვინაიდან მას გადადგომის თაობაზე განცხადება უნდა წარედგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის.
- სალია არ მოიქცა სწორად, ვინაიდან უსკოს თავმჯდომარემ გადადგომის მოთხოვნითგანცხადებით უნდა მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს
- სალია მოიქცა სწორად, ვინაიდან უსკოს თავმჯდომარემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს უსკოს.
- სალია არ მოიქცა სწორად, ვინაიდან უსკოს თავმჯდომარემ გადადგომის მოთხოვნითგანცხადებით უნდა მიმართოს უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტს.

2004. ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი:
- საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად ამ სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 77-ზე და გაიყოს საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას.
- საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების დასადგენად ხმების რაოდენობა უნდა გაიყოს 200-ზე.
- საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად ამ სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 50-ზე და გაიყოს ასეთი პარტიების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობების ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას.
- საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად ამ სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გაიყოს 150-ზე.

2005. ვინ განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობას?
- ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი განკარგულებით.
- ცესკოს თავმჯდომარე განკარგულებით.
- ცესკოს თავმჯდომარე დადგენილებით.
- საქართველოს იუსტიციის მინისტრი ბრძანებით.

2006. კონსტიტუციის მიხედვით, რისთვის იქმნება ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ბიურო?
- მიღებული კანონპროექტების დასამტკიცებლად.
- პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციისათვის.
- კანონპროექტების მომზადებისათვის.
- კანონპროექტების ინიცირებისათვის.

2007. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობაზე წამოყენებული იყო მოქალაქე გიორგი ქორიძის კანდიდატურა, მაგრამ იგი არ დაინიშნა ცესკოს წევრად იმის გამო, რომ რამდენიმე თვის წინ ჩადენილი ჰქონდა ადმინისტრაციული გადაცდომა, კერძოდ, წვრილმანი ხულიგნობა, რისთვისაც სასამართლომ შეუფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 10 დღის ვადით. კანონიერად შეეზღუდა თუ არა გიორგის უფლება?
- კანონიერად შეეზღუდა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს წევრად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც ჩადენილი აქვს ადმინისტრაციული გადაცდომა და არ არის ცნობილი სახდელდაუდებლად.
- უკანონოდ შეეზღუდა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს წევრად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ნასამართლევია დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა, ხოლო ადმინისტრაციული გადაცდომის ჩამდენ პირზე ამგვარი აკრძალვა არ არის დაწესებული.
- კანონიერად შეეზღუდა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს წევრად არ შეიძლება დაინიშნოს კანონის დამრღვევი პირი.
- უკანონოდ შეეზღუდა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს წევრად შეიძლება დაინიშნოს ნებისმიერი პირი, არ აქვს მნიშვნელობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინა, თუ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, არც იმას აქვს მნიშვნელობა, გასულია თუ არა ნასამართლობის ვადა.

2008. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი მსჯელობა?
- საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 72 საათისა.

- საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 48 საათისა.
- საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ორი კვირის ვადაში.
- საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საერთო არჩევნებიდან ორი კვირის თავზე.

2009. რომელი პარტიები ნიშნავენ ცესკოს დანარჩენ 7 წევრს, თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას იღებს 10 პარტია?
- ცესკოს დანარჩენ 7 წევრს ნიშნავს ის 7 პარტია, რომელიც ყველაზე ადრეა დარეგისტრირებული.
- ცესკოს დანარჩენ 7 წევრს ნიშნავს ის 7 პარტია, რომელიც ყველაზე ნაკლებ დაფინანსებას იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
- ცესკოს დანარჩენი 7 წევრიდან თითოს ნიშნავს ის 7 პარტია, რომელიც ყველაზე მეტ დაფინანსებას იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
- ცესკოს დანარჩენ 7 წევრს ნიშნავს ის 7 პარტია, რომლებიც არჩეულ იქნებიან პარლამენტის მიერ ფარული კენჭისყრით.

2010. თუ ერთდროულად ტარდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსით" განსაზღვრული საერთო და აჭარის ავტონომიური უმაღლესი საბჭოს არჩევნები
- საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" შესაბამისად საერთო არჩევნებისთვის ჩამოყალიბებული საუბნო საარჩევნო კომისიები.
- საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრული საუბნო საარჩევნო კომისიები.
- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ უსკოსმიერ განსაზღვრული საუბნო საარჩევნო კომისიები
- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული საუბნო საარჩევნო კომისიები

2011. საქართველოს მოქალაქე ცეცხლაძე რეგისტრირებული იყო N1 საოლქო საარჩევნო კომისიაში ადგილობრივ დამკვირვებლად და არჩევნებს აკვირდებოდა ზ/აღნიშნულ ოლქში. ცეცხლაძემ მოინდომა, რომ არჩევნების პროცესზე დაკვირვება განეხორციელებინა ცესკოში, რაზეც ცესკოს უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უარი განუცხადა. შეაფასეთ ცესკოს უფლებამოსილი პირის მოქმედების კანონიერება.
- ცესკოს უფლებამოსილი პირის მოქმედება არაკანონიერია, რადგან საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით საოლქო საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს ყველა დონის ნებისმიერ საარჩევნო კომისიაში.
- ცესკოს უფლებამოსილი პირის მოქმედება კანონიერია, რადგან საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს მხოლოდ ნებისმიერ საუბნო საარჩევნო კომისიაში.
- ცესკოს უფლებამოსილი პირის მოქმედება კანონიერია, რადგან საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება არა აქვს არჩევნებს დააკვირდეს ცესკოში.
- ცესკოს უფლებამოსილი პირის მოქმედება არაკანონიერია, რადგან საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით საოლქო საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს ცესკოში.

2012. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის გადადგომის თაობაზე განცხადება წარედგინება:
- საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიას.
- საქართველოს პრეზიდენტს.
- საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
- საქართველოს პარლამენტს.

2013. პოლიტიკურმა პარტიამ „თავისუფალი ნება", რომელმაც გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებში, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან მე-19 დღეს უზრუნველყო სააგიტაციო მასალების ჩამოხსნა შესაბამისი შენობა-ნაგებობებიდან. კანონიერად მოქმედებდა თუ არა პოლიტიკური პარტია?
- დიახ, რადგან არჩევნებში გამარჯვებულ სუბიექტს შეუძლია საერთოდ არ იზრუნოს სააგიტაციო მასალების ჩამოხსნაზე.
- დიახ, რადგან საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.
- არა, რადგან საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.
- არა, რადგან საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.

2014. თუ საკრებულოს არჩევნებისას ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, რა ვადაში უნდა წარადგინოს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელმა შესწორებული მონაცემები?
- 4 დღის ვადაში.

- 1 დღის ვადაში.
- 3 დღის ვადაში.
- 2 დღის ვადაში.

2015. საკრებულოს არჩევნებისას პარტიულ სიაში წარდგენილ კანდიდატთა რაოდენობა:
- არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები და უნდა აღემატებოდეს ამ რაოდენობის ორმაგ ოდენობას.
- არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე მეტი და არ უნდა აღემატებოდეს ამ რაოდენობის სამმაგ ოდენობას.
- არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ამ რაოდენობის სამმაგ ოდენობას.
- არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ამ რაოდენობის ორმაგ ოდენობას.

2016. მოსამსახურისათვის დგინდება ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება
- 25 კალენდარული დღის ოდენობით.
- 30 კალენდარული დღის ოდენობით.
- 35 კალენდარული დღის ოდენობით.
- 20 კალენდარული დღის ოდენობით.

2017. რა შემთხვევაში არ გამოიყენება მარკირება?
- იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველს დაზიანებული აქვს მარჯვენა და მარცხენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითის ფრჩხილები.
- იმ შემთხვევაში, როდესაც კენჭისყრის დღეს ამომრჩეველი იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში.
- მარკირების გავლა ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელი პროცედურაა.
- იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველს დაზიანებული აქვს მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითის ფრჩხილები.

2018. ვინ და რა ვადაში ატარებს რეგისტრაციაში ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილ საკრებულოს წევრობის კანდიდატებს?
- მათი წარდგენიდან 2 დღის ვადაში რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი ცესკოს თავმჯდომარე.
- მათი წარდგენიდან 3 დღის ვადაში რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი ცესკოს თავმჯდომარე.
- მათი წარდგენიდან 3 დღის ვადაში რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- მათი წარდგენიდან 2 დღის ვადაში რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

2019. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც გადასატან საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდება?
- ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიკვრება პაკეტად, დაეწერება ,,გაუქმებულია" და საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ გადაეცემა ცესკოს.
- ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიკვრება პაკეტად, დაეწერება ,,გაუქმებულია" და საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.
- ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიკვრება პაკეტად, დაეწერება ,,ბათილია" და საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ გადაეცემა ცესკოს.
- ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიკვრება პაკეტად, დაეწერება ,,ბათილია" და საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

2020. კანდიდატთა შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ცესკოს წევრობის რამდენ კანდიდატურას წარუდგენს თანამდებობაზე? საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს ერთ ვაკანტურ
- ორ კანდიდატურას.
- ხუთ კანდიდატურას.
- ოთხ კანდიდატურას.
- სამ კანდიდატურას.

2021. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად დაინიშნა ზვიად ბერიძე. ბერიძე პირადი საქმეების გამო ერთი თვის განმავლობაში ვერ ახერხებდა კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას. იგი თავს იმით იმართლებდა, რომ არჩევნების დღემდე კიდევ გარკვეული პერიოდი იყო დარჩენილი და საქმეც, შესაბამისად, ბევრი არაფერი ჰქონდა. ჰქონდა თუ არა ბერიძეს აღნიშნულის უფლება?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- არ ჰქონდა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, კომისიის წევრი ვალდებულია შესაბამისი კომისიის წევრად დანიშვნის (არჩევის) დღიდან მიიღოს მონაწილეობა მის საქმიანობაში.
- არ ჰქონდა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, კომისიის წევრი ვალდებულია შესაბამისი კომისიის წევრად

დანიშვნის (არჩევის) მომდევნო დღიდან მიიღოს მონაწილეობა მის საქმიანობაში.
- ჰქონდა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, კომისიის წევრი უფლებამოსილია და არა ვალდებული, შესაბამისი კომისიის წევრად დანიშვნის (არჩევის) დღიდან მიიღოს მონაწილეობა მის საქმიანობაში.

2022. რამდენჯერ შეიძლება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის ერთი და იმავე კანდიდატურის წარდგენა?
- მხოლოდ ორჯერ.
- მხოლოდ სამჯერ.
- მხოლოდ ხუთჯერ.
- მხოლოდ ოთხჯერ.

2023. როგორი წესით გადასცემენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საარჩევნო კომისიებს არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის საჭირო შენობა-ნაგებობებს და ინვენტარს?
- საარჩევნო კომისიებს ასეთი შენობა-ნაგებობები და ინვენტარი გადაეცემათ დროებით და ქირავნობის ხელშეკრულებით.
- საარჩევნო კომისიებს ასეთი შენობა-ნაგებობები და ინვენტარი გადაეცემათ სამუდამოდ და უსასყიდლოდ.
- საარჩევნო კომისიებს ასეთი შენობა-ნაგებობები და ინვენტარი გადაეცემათ დროებით და უსასყიდლოდ.
- საარჩევნო კომისიებს ასეთი შენობა-ნაგებობები და ინვენტარი გადაეცემათ დროებით და ლიზინგით.

2024. N1 საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით, რომელიც გასაჩივრებულ იქნა რაიონულ/საქალაქო სასამართლოში კანონით დადგენილი წესით. რაიონულმა/საქალაქო სასამართლომ კანონით დადგენილ ვადაში ასევე მიიღო გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით. რა ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება?
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აღარ საჩივრდება.
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 1 დღის ვადაში.
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში.
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში.

2025. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებისას გადალახავს 5-პროცენტიან საარჩევნო ბარიერს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებს არა უმეტეს 1 000 000 ლარს საარჩევნო კამპანიის ხარჯების დასაფარავად, მათ შორის, 350 000 ლარს მიზნობრივად წინასაარჩევნო სატელევიზიო რეკლამის ხარჯების დასაფარავად.
- საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებისას გადალახავს 5-პროცენტიან საარჩევნო ბარიერს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებს არა უმეტეს 1 500 000 ლარს საარჩევნო კამპანიის ხარჯების დასაფარავად, მათ შორის, 350 000 ლარს მიზნობრივად წინასაარჩევნო სატელევიზიო რეკლამის ხარჯების დასაფარავად.
- საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებისას მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა 5 პროცენტს ან მეტს, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 7 პროცენტს ან მეტს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებს არა უმეტეს 1 000 000 ლარს არჩევნების ორივე ტურში საარჩევნო კამპანიისას გაწეული ხარჯების დასაფარავად.
- საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებისას მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტს ან მეტს, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 10 პროცენტს ან მეტს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებს არა უმეტეს 1 000 000 ლარს არჩევნების ორივე ტურში საარჩევნო კამპანიისას გაწეული ხარჯების დასაფარავად.

2026. საქართველოს პარლამენტის არჩევნების მოსამზადებლად და ჩასატარებლად საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯი ფინანსდება:
- ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული სახსრებიდან.
- შემოწირულობებიდან.

2027. ვის აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის არჩევნებისას ჩატარებულ ხელახალ კენჭისყრაში?
- მხოლოდ იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებმაც საერთო არჩევნებში მიიღეს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 2 პროცენტისა.
- ხელახალ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებმაც საერთო არჩევნებში მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 1 პროცენტი მაინც.
- ხელახალ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებმაც საერთო არჩევნებში მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 3 პროცენტი.
- ხელახალ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებმაც საერთო არჩევნებში მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტი მაინც.

2028. დისციპლინური სახდელის რომელ სახეს არ იცნობს საარჩევნო კოდექსი?
- შენიშვნას.
- ხელფასის დაკავებას.
- საყვედურს.
- გაფრთხილებას.

2029. თუ ერთდროულად ტარდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსით" განსაზღვრული საერთო და აჭარის ავტონომიური უმაღლესი საბჭოს არჩევნები:
- საოლქო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ უსკოსმიერ განსაზღვრული საოლქო საარჩევნო კომისიები.
- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" შესაბამისად საერთო არჩევნებისთვის ჩამოყალიბებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები.
- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული საოლქო საარჩევნო კომისიები.
- საოლქო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრული საოლქო საარჩევნო კომისიები.

2030. პარლამენტის წევრთა რა რაოდენობა არის საჭირო საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად?
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.
- პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედისა.
- პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედისა

2031. დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი არის:
- პარლამენტის უმრავლესობის და უმცირესობის ლიდერთა ერთობლივი განცხადება.
- პარლამენტში შესული 50 000 მოქალაქის წერილობითი მოთხოვნა.
- სამკურნალო დაწესებულებიდან პარლამენტში შესული დასკვნა დეპუტატის სერიოზული ფსიქიკური დაავადების შესახებ.
- გარდაცვალება.

2032. ვინ ადგენს თბილისის მერის არჩევნების შედეგებს?
- საქართველოს პრეზიდენტი.
- თბილისის საკრებულო.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საქართველოს პარლამენტი.

2033. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, ვის შეუძლია დანიშნოს პლებისციტი?
- მხოლოდ თავდაცვის მინისტრს.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრს.
- საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს.

2034. როდემდე აქვს უფლება საარჩევნო სუბიექტს შეცვალოს თავისი წარმომადგენელი?
- არჩევნების დღემდე ნებისმიერ დროს, გარდა კენჭისყრის დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 2 დღისა.
- არჩევნების დღემდე 2 დღით ადრე.
- უკვე რეგისტრირებული წარმომადგენლის შეცვლა დაუშვებელია.

2035. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა:
- 5 წლის ვადით.
- 10 წლის ვადით.
- 4 წლის ვადით.
- 3 წლის ვადით.

2036. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მსჯელობა არ არის სწორი?
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე არ

შეიძლება დააკავონ ან დააპატიმრონ, თუ საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინებაზე არ იქნა ცესკოს თანხმობა.
- იმუნიტეტი ხელშეუხებლობაზე ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტზე და არა პრეზიდენტობის კანდიდატზე.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე არ შეიძლება გაჩხრიკონ, თუ საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინებაზე არ იქნა ცესკოს თანხმობა.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი შესაძლებელია დააკავონ დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცესკოს. თუ ცესკო მიიღებს სათანადო განკარგულებას, დაკავებული საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

2037. რა ვადაში უნდა დასრულდეს კანდიდატის მხარდამჭერთა სიის შემოწმება?
- მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან 7 დღის ვადაში.
- მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან 2 დღის ვადაში.
- მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან 5 დღის ვადაში.
- მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან 3 დღის ვადაში.

2038. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისგანკარგულებით შექმნილმა საკონკურსო კომისიამ, უსკოს წევრობის კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან მე-4 დღეს მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგინა 8 კანდიდატურა. თითო ვაკანსიაზე 4 კანდიდატურა. კანდიდატების შერჩევიდან მე-7 დღეს მთავრობის თავმჯდომარემ შერჩეული კანდიდატები წარუდგინა უმაღლეს საბჭოს. დაირღვა თუ არა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მოთხოვნები?
- „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საკონკურსო კომისიამ მთავრობის თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს თითო ვაკანსიაზე არანაკლებ ორი და არაუმეტეს 3 კანდიდატურა.
- „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან საკონკურსო კომისიას არდაურღვევია მთავრობის თავმჯდომარისათვის კანდიდატურების წარდგენის ვადა.
- „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან უსკოს წევრს ირჩევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭომთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით.
- „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საკონკურსო კომისიამ მთავრობის თამჯდომარეს უნდა წარუდგინოს თითო ვაკანსიაზე თითო კანდიდატურა.

2039. ხმათა რა ოდენობით წყდება საკადრო საკითხები საარჩევნო კომისიის სხდომაზე?
- კომისიის სრული შემადგენლობის ორი მესამედის მხარდაჭერით.
- კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- დამსწრეთა უმრავლესობით.
- დამსწრეთა ორი მესამედის მხარდაჭერით.

2040. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში
- საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა
- საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ უზენაესი სასამართლოს ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის არსებობისას
- საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია

2041. რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით რიგგარეშე არჩევნებამდე რა ვადაში უნდა მიმართოს უფლებამოსილმა პირმა ცესკოს?
- არჩევნებამდე არაუგვიანეს 55-ე დღისა.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- არჩევნებამდე არაუგვიანეს 45-ე დღისა.
- არჩევნებამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა.

2042. რომელი ორგანო განსაზღვრავს არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის ფორმას და მისი შევსების წესს?
- ცესკო.
- პარლამენტი.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური.
- ფინანსთა სამინისტრო.

2043. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია არასწორი?
- აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას, და კონტროლი ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე.
- არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არა აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო.
- საქართველოში არჩევნები, რეფერენდუმი და პლებისციტი ტარდება ღია და გამჭვირვალე კენჭისყრით.
- აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომელიც აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ პირობებს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან/და მის შესაბამისად საარჩევნო კოდექსით შეზღუდული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება.

2044. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით?
- პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები ასრულებენ პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას თავმჯდომარის დავალებით.
- პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები ასრულებენ პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას თავმჯდომარის თხოვნით.
- პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები ასრულებენ პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში.
- თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების შეუძლებლობის შემთხვევაში.

2045. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია, რომელიც დაკვირვებას ახორციელებდა 2 საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში გაატარა საოლქო საარჩევნო კომისიამ. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას ნებისმიერ შემთხვევაში რეგისტრაციაში ატარებს ცესკო.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, იმ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციას, რომელიც დაკვირვებას ახდენს ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში, ახორციელებს ცესკო.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, იმ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციას, რომელიც დაკვირვებას ახდენს ორ ან უფრო ნაკლებ საარჩევნო ოლქში, ახორციელებს საოლქო საარჩევნო კომისია.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციას ახორციელებს საოლქო საარჩევნო კომისია.

2046. რა ვადაში უნდა წარედგინოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია?
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 35 დღისა.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 2 თვისა.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 40 დღისა.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 1 თვისა.

2047. არჩევნების დანიშვნის შემდეგ, საღამოს 10 საათისათვის გასულ სატელევიზიო გადაცემაში მოწვეულმა ერთ-ერთმა სტუმარმა, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომელი იყო, პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ თუ საქართველოს მოქალაქეებს საღი აზრი გააჩნიათ, ხმა უნდა მისცენ პოლიტიკურ პარტიას - 'საღი საზოგადოება'. აღნიშნული ფაქტი მოგვიანებით გაასაჩივრეს კონკურენტმა საარჩევნო სუბიექტებმა. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- დიახ, რადგან სახელმწიფო მოხელეებს ეკრძალებათ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა.
- დიახ, რადგან წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა პირებისა.
- არა, რადგან წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსი არ უკრძალავს საჯარო მოხელეებს წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევასა და აგიტაციაში მონაწილეობას იმ შემთხვევაში, როცა ისინი უშუალოდ არ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს.

2048. როდის უნდა იქნეს შედგენილი კენჭისყრის პროცედურის დარღვევის შესახებ განცხადება/საჩივარი საარჩევნო უბანზე:
- კანონის დარღვევის შემჩნევიდან არა უგვიანეს 24 საათის განმავლობაში.
- კანონის დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის 7 საათიდან შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე.
- კანონის დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის 7 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე.
- კანონის დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის 8 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე.

2049. საქართველოს პარლამენტის არჩევნების დროს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში განმეორებითი კენჭისყრა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო უბნებში, სადაც კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი, საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის:
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- 10%-ზე მეტია.

- 7%-ზე მეტია.
- 10%-ზე ნაკლებია.

2050. ჯანმრთელობის მდგომარეობის, ხანგრძლივი შრომისუუნარობის, სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში მოხელეს კომპენსაცია
- არ ეძლევა.
- ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.
- ეძლევა 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.
- ეძლევა 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

2051. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელია გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს ახალ მთავრობას 10 დღის ვადაში.
- საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი მთავრობას აკისრებს მოვალეობის შესრულებას მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე.
- საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს ახალ მთავრობას 7 დღის ვადაში.
- საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალი მთავრობის შექმნამდე ძველი მთავრობა ავტომატურად აგრძელებს საქმიანობას.

2052. შუალედურ არჩევნებზე უფასო სარეკლამო დროის გამოყოფის ვალდებულება ვრცელდება:
- საზოგადოებრივ მაუწყებელზე და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიაზე.
- მხოლოდ ადგილობრივ მაუწყებელზე.
- საზოგადოებრივ და ადგილობრივ მაუწყებლებზე.
- მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

2053. საქართველოსზოგადიადმინისტრაციულიკოდექსისთანახმად, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი განმარტება?
- ადმინისტრაციული ორგანო – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებების ჩათვლით), ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.
- ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა),აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- ადმინისტრაციული ორგანო – ყველა დაწესებულება, პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებები, ნებისმიერი პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

2054. საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილმონაცვლეს:
- 5 დღის ვადაში (ხოლო არჩევნების დანიშვნის შემდეგ – 7 დღის ვადაში) ირჩევს ცესკო.
- 10 დღის ვადაში (ხოლო არჩევნების დანიშვნის შემდეგ – 7 დღის ვადაში) ირჩევს ცესკო.
- 15 დღის ვადაში (ხოლო არჩევნების დანიშვნის შემდეგ – 7 დღის ვადაში) ირჩევს ცესკო.
- 3 დღის ვადაში (ხოლო არჩევნების დანიშვნის შემდეგ – 7 დღის ვადაში) ირჩევს ცესკო.

2055. რომელი მსჯელობა არ არის სწორი?
- წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირი ჩააბას ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას.
- წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად შვებულების დროს ხელმოწერების შეგროვება და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა.
- წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად განახორციელოს წინასაარჩევნო აგიტაცია სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას.
- წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვება და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა.

2056. საქართველოს პარლამენტის წევრმა ნიკა სვანიძემ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას პოლიტიკური პარტია ,,ნათების'' მხარდამჭერი მოწოდებები გააკეთა, რათა დახმარებოდა პარტიას არჩევნებში გამარჯვებაში. ჰქონდა თუ არა ნიკას ასეთი მოწოდებების გაკეთების უფლება?
- ჰქონდა უფლება, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად პარლამენტის წევრს წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა შეუძლია სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას, მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის თანხმობით.
- არ ჰქონდა უფლება, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირს ეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას.
- ჰქონდა უფლება, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირს წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა შეუძლია სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას.
- არ ჰქონდა უფლება, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირს ეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას და მივლინებისას.

2057. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ დარღვევებზე საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით, რომელიც გასაჩივრებულ იქნა რაიონულ/საქალაქო სასამართლოში კანონით დადგენილი წესით. რაიონულმა/საქალაქო სასამართლომ კანონით დადგენილ ვადაში ასევე მიიღო გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით. რა ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება?
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აღარ საჩივრდება.
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 3დღის ვადაში.
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 1დღის ვადაში.
- რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 2დღის ვადაში.

2058. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ყველას აქვს უფლება, იცოდეს:
- ყველა პასუხი სწორია.
- ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.
- საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი.
- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები.

2059. რა სახის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარების წესი?
- ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დადგენილებით.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით.
- ცესკოს დადგენილებით.

2060. საქართველოს პრეზიდენტის საერთო არჩევნების შედეგების შეჯამებიდან რა ვადაში უნდა გაიმართოს ხელახალი არჩევნები, თუ საერთო არჩევნების პირველ ან მეორე ტურში მონაწილე ყველა კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა?
- საერთო არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 1 თვის ვადაში.
- საერთო არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში.
- საერთო არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 2 თვის ვადაში.
- საერთო არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 50 დღის ვადაში.

2061. რომელი ორგანო ატარებს რეგისტრაციაში საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას?
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობით.
- საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს თანხმობით.
- საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით.

2062. რომელი მსჯელობაა სწორი?
- თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერც ერთმა პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 4 პროცენტი, არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 1 კვირის ვადაში ტარდება ხელახალი კენჭისყრა.
- თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერც ერთმა პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5 პროცენტი, არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 1 კვირის ვადაში ტარდება ხელახალი კენჭისყრა.
- თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერც ერთმა პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 4 პროცენტი, არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 2 კვირის ვადაში

ტარდება ხელახალი კენჭისყრა.
- თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერც ერთმა პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5 პროცენტი, არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 2 კვირის ვადაში ტარდება ხელახალი კენჭისყრა.

2063. ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?
- ცესკოს თავმჯდომარეს/წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება საქართველოს პარლამენტის განკარგულებით (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა) თუ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ფაქტი.
- ცესკოს თავმჯდომარეს/წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა) თუ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ფაქტი.
- ცესკოს თავმჯდომარეს/წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა) თუ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ფაქტი.
- ცესკოს თავმჯდომარეს/წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება საქართველოს პარლამენტის დადგენილებით (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა) თუ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ფაქტი.

2064. რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი განსაზღვრავს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სტრუქტურას?
- ეს პრეზიდენტის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ორგანოა, ამიტომ მის სტრუქტურას თავად პრეზიდენტი განსაზღვრავს.
- იმდენად მნიშვნელოვანი ორგანოა, რომ მისი სტრუქტურა პარლამენტის მიერ მიღებული კანონით განისაზღვრება.
- იმდენად მნიშვნელოვანი ორგანოა, რომ მის სტრუქტურას მთავრობა განსაზღვრავს.
- ეს არის იუსტიციის სამინისტროს მოვალეობა.

2065. რა სახის სამართლებრივი აქტით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისია, დამკვირვებელი ორგანიზაციისთვის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ?
- ბრძანებით.
- დადგენილებით.
- ბრძანებულებით.
- განკარგულებით.

2066. ვინ წყვეტს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს?
- ეროვნული უშიშროების საბჭო.
- პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის თანხმობით.
- იურიდიულ საკითხთა და პროცედურულ საკითხთა კომიტეტები ერთობლივად.
- პარლამენტი.

2067. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის პარტიული სიით?
- მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე სიაში რიგით მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე.
- მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე სიაში რიგით მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 20 დღეში თანხმობა განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე.
- მის ადგილს 2 თვის ვადაში იკავებს იმავე სიაში რიგით მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 20 დღეში თანხმობა განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე.
- მის ადგილს 2 თვის ვადაში იკავებს იმავე სიაში რიგით მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე.

2068. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს თბილისის საკრებულოს და მიიღოს მისგან პასუხი.
- პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს მთავრობის წევრს და მიიღოს მისგან პასუხი.
- პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს მთავრობას და მიიღოს მისგან პასუხი.
- პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს და მიიღოს მისგან პასუხი.

2069. საქართველოში მიმდინარეობდა საპარლამენტო არჩევნები. კენჭისყრამდე ერთი დღით ადრე საოლქო საარჩევნო კომისიას წერილობითი განცხადებით მიმართა მოქალაქე გელა ჭანკვეტაძემ და განუცხადა, რომ მან ვერ მოასწრო ამომრჩევლად დარეგისტრირება იმის გამო, რომ იგი მკურნალობდა სამედიცინო დაწესებულებაში, თან წარმოადგინა სამედიცინო დაწესებულებიდან ცნობა. საოლქო საარჩევნო კომისიამ მოქალაქეს განუცხადა, რომ მის საკითხს ვერ განიხილავდა, რადგან ასეთი განცხადება მიიღებოდა

მხოლოდ კენჭისყრამდე არაუგვიანეს 2 დღისა. კანონიერია თუ არა საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება?
- უკანონოა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, იმ ამომრჩევლის რეგისტრაციის საკითხს, რომელმაც კანონით დადგენილ ვადაში ვერ გაიარა რეგისტრაცია, წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისია დადგენილებით. ამომრჩევლის განცხადებას საოლქო საარჩევნო კომისია განიხილავს მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში, ხოლო თუ კენჭისყრის დღემდე დარჩენილია 2 დღეზე ნაკლები – დაუყოვნებლივ.
- კანონიერია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, იმ ამომრჩევლის რეგისტრაციის საკითხს, რომელმაც კანონით დადგენილ ვადაში ვერ გაიარა რეგისტრაცია, წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისია განკარგულებით, იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველი განცხადებით მიმართავს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 2 დღისა.
- უკანონოა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, იმ ამომრჩევლის რეგისტრაციის საკითხს, რომელმაც კანონით დადგენილ ვადაში ვერ გაიარა რეგისტრაცია, წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისია განკარგულებით. ამომრჩევლის განცხადებას საოლქო საარჩევნო კომისია განიხილავს მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში, ხოლო თუ კენჭისყრის დღემდე დარჩენილია 2 დღეზე ნაკლები – დაუყოვნებლივ.
- კანონიერია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, იმ ამომრჩევლის რეგისტრაციის საკითხს, რომელმაც კანონით დადგენილ ვადაში ვერ გაიარა რეგისტრაცია, წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისია დადგენილებით, იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველი განცხადებით მიმართავს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 2 დღისა.

2070. საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან რა ვადაში იმართება რეფერენდუმი?
- არა უგვიანეს 5 თვისა.
- არა უადრეს 2 თვისა და არა უგვიანეს 6 თვისა.
- არა უადრეს 1 თვისა და არა უგვიანეს 5 თვისა.
- არა უგვიანეს 6 თვისა.

2071. დილით რომელ საათზე იხსნება საარჩევნო უბანი არჩევნების დღეს?
- დილის 07:30 საათზე.
- დილის 8 საათზე.
- დილის 7 საათზე.
- დილის 08:30 საათზე.

2072. კენჭისყრამდე რა ვადაში უნდა ჩარიცხოს ცესკომ საოლქო საარჩევნო კომისიის ანგარიშზე არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარებისთვის მათთვის გამოყოფილი ფულადი სახსრები?
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 40 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 45 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 30 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 35 დღისა.

2073. საპარლამენტო არჩევნებისას საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს პარტიული სია რის შემდეგ უნდა წარედგინოს?
- უნდა წარედგინოს ამომრჩევლის რეგისტრაციის შემდეგ.
- საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას პარტიული სიები საერთოდ არ წარედგინება.
- უნდა წარედგინოს პარტიისა და საარჩევნო ბლოკის გაერთიანების შემდეგ.
- უნდა წარედგინოს პარტიის/საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაციის შემდეგ.

2074. სად საჩივრდება უსკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება?
- უსკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.
- უსკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება საჩივრდება ბათუმის საქალაქო სასამართლოში.
- უსკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება საჩივრდება უზენაეს სასამართლოში.
- უსკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.

2075. წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს:
- პარლამენტის წევრს.
- უცხო ქვეყნის მოქალაქეს.
- სემეკის წევრს.
- საქართველოს სახალხო დამცველს.

2076. ვინ აწერს ხელს საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმს?
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი.

- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი და კომისიის ყველა წევრი.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მოადგილე.
- სხდომის თავმჯდომარე და საარჩევნო კომისიის მდივანი.

2077. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ დარღვევებზე საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით, რომელიც გასაჩივრებულ იქნა რაიონულ/საქალაქო სასამართლოში კანონით დადგენილი წესით. რა ვადაში უნდა განიხილოს საჩივარი რაიონულმა/საქალაქო სასამართლომ?
- 4 დღის ვადაში.
- 3 დღის ვადაში.
- 2 დღის ვადაში.
- 1 დღის ვადაში.

2078. მიღებიდან რა ვადაში უნდა მოხდეს ცესკოს დადგენილების განთავსება ცესკოს ვებგვერდზე?
- მიღებიდან 36 საათის განმავლობაში.
- მიღებიდან 20 საათის განმავლობაში.
- მიღებიდან 12 საათის განმავლობაში.
- მიღებიდან 24 საათის განმავლობაში.

2079. თბილისის მერის არჩევნებისათვის რამდენ საარჩევნო ოლქს წარმოადგენს თბილისი?
- 7 საარჩევნო ოლქს.
- 1 საარჩევნო ოლქს.
- 10 საარჩევნო ოლქს.
- 5 საარჩევნო ოლქს.

2080. კონსტიტუციის მიხედვით, როგორი უნდა იყოს დროებითი საპარლამენტო კომისიის შემადგენლობა?
- საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა დროებით კომისიაში უნდა აღემატებოდეს წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს, მაგრამ არ უნდა იყოს საერთო რაოდენობის 60 %-ზე მეტი.
- შემადგენლობის ნახევარი, 50 % უნდა იყოს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა, 40 % - საპარლამენტო უმცირესობის და 10 % - დამოუკიდებელი დეპუტატები.
- საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს დროებითი კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს.
- საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა თანაბრად უნდა იყვნენ წარმოდგენილი დროებით კომისიაში.

2081. უმაღლესმა საბჭომ უსკოს წევრობის ორ ვაკანსიაზე კენჭი უყარა 4 კანდიდატს. ხმათა საჭირო რაოდენობა მიიღო მათგან სამმა კანდიდატმა. რომელი ორი კანდიდატი ჩაითვლება არჩეულად ამ შემთხვევაში?
- არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი.
- არჩეულად ჩაითვლება ასაკით უხუცესი ორი კანდიდატი.
- არჩეულად ჩაითვლება ანბანის მიხედვით პირველი ორი კანდიდატი.
- არჩეულად ჩაითვლება ანბანის მიხედვით ბოლო ორი კანდიდატი.

2082. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კენჭისყრის დროს დაირღვევა საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა?
- ასეთ შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე.
- ასეთ შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე.
- ასეთ შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე.
- ასეთ შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე.

2083. თბილისის თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში პროპორციული წესით ასარჩევი კანდიდატების პარტიული სია უნდა შედგებოდეს:
- არანაკლებ 37 და არა უმეტეს 80-ისა.
- არანაკლებ 37 და არა უმეტეს 100-ისა.
- არანაკლებ 50 და არა უმეტეს 80-ისა.
- არანაკლებ 50 და არა უმეტეს 100-ისა.

2084. რომელი მსჯელობაა სწორი?
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტის მხოლოდ 1 წარმომადგენელს აქვს უფლება, დაესწროს შესაბამისისაარჩევნო კომისიის სხდომებს, მოითხოვოს სიტყვით გამოსვლა და აზრის გამოთქმა, ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტის ყველა წარმომადგენელს აქვს უფლება, დაესწროს შესაბამისი საარჩევნოკომისიის სხდომებს, მოითხოვოს სიტყვით გამოსვლა და აზრის გამოთქმა, ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტის არც ერთ წარმომადგენელს არ აქვს უფლება, დაესწროს შესაბამისისაარჩევნო კომისიის სხდომებს, მოითხოვოს სიტყვით გამოსვლა და აზრის გამოთქმა, ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტის მხოლოდ 2 წარმომადგენელს აქვს უფლება, დაესწროს შესაბამისისაარჩევნო კომისიის სხდომებს, მოითხოვოს სიტყვით გამოსვლა და აზრის გამოთქმა, ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.

2085. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ვისი ინიციატივით შეიძლება დაინიშნოს რეფერენდუმი?
- ცესკოს.
- იუსტიციის მინისტრის.
- სახალხო დამცველის.
- საქართველოს მთავრობის.

2086. რა ვადაში უნდა მიმართოს საარჩევნო სუბიექტმა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საარჩევნო კამპანიის ხარჯების დაფინანსების მიზნით ცესკოს?
- არჩევნებამდე არა უგვიანეს 38 დღისა.
- არჩევნებამდე არა უგვიანეს 40 დღისა.
- არჩევნების შემდეგ არა უგვიანეს 38 დღისა.
- არჩევნებამდე არა უგვიანეს 35 დღისა.

2087. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
- ბათილია ყველა ხელმოწერა, შესრულებული იმ ბლანკზე, რომელიც დადასტურებული არ არის ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.
- არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.
- ბათილია ყველა ხელმოწერა, შესრულებული იმ ბლანკზე, რომელიც დადასტურებული არის ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.
- ბათილია ყველა ხელმოწერა, შესრულებული იმ ბლანკზე, რომელიც დადასტურებული არ არის მესამე პირის მიერ.

2088. თუ ამომრჩეველს არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, ვისი მიწვევის უფლება აქვს დასახმარებლად ფარული კენჭისყრის კაბინაში?
- სხვა ამომრჩევლის.
- დამკვირვებლის.
- საარჩევნო კომისიის წევრის.
- დაუშვებელია ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად ვინმეს მიწვევა.

2089. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
- საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია უზრუნველყოს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლის გამოკვრა საჯარო გაცნობისათვის.
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია უზრუნველყოს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლის გამოკვრა საჯარო გაცნობისათვის.
- საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია უზრუნველყოს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოკვრა საჯარო გაცნობისათვის.
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია უზრუნველყოს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოკვრა საჯარო გაცნობისათვის.

2090. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს - საკრებულოს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ორმა კანდიდატმა მოაგროვა ხმათა თანაბარი რაოდენობა. რომელი კანდიდატი ჩაითვლება არჩეულად?
- მეორე ტურში მონაწილეობს ყველა ზემოაღნიშნული კანდიდატი.

- კანდიდატი, რომელიც უფრო ადრე იყო რეგისტრირებული შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- კანდიდატი, რომელიც არის ასაკით უფროსი.
- კანდიდატი, რომელიც უფრო გვიან იყო რეგისტრირებული შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

2091. ვის არ აქვს ხმის მიცემის უფლება გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით?
- ამომრჩევლებს, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობის გამო დამოუკიდებლად არ შეუძლიათ კენჭისყრის შენობაში მისვლა.
- ამომრჩევლებს, რომლებიც სამკურნალოდ წვანან საავადმყოფოში და მასში არ იხსნება საარჩევნო უბანი.
- პატიმრობაში მყოფ პირებს.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.

2092. რომელი მსჯელობაა სწორი?
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 8:30 საათიდან.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 9:30 საათიდან.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 8 საათიდან.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 9 საათიდან.

2093. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა კენჭისყრის წინა დღის 15 საათზე წერილობითი განცხადებით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას თავისი კანდიდატურის მოხსნის შესახებ. რამდენად მართებულია პრეზიდენტობის კანდიდატის მოქმედება?
- მართებულია, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს შეუძლია თავისი კანდიდატურა მოხსნას კენჭისყრამდე 48 საათით ადრე, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიას.
- არ არის მართებული, რადგან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, კენჭისყრამდე არა უგვიანეს 10 დღისა, მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.
- მართებულია, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს შეუძლია თავისი კანდიდატურა მოხსნას კენჭისყრამდე ნებისმიერ დროს, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.
- არ არის მართებული, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს თვითონ არ შეუძლია მოხსნას თავისი კანდიდატურა, ასეთი მოთხოვნით კენჭისყრის წინა დღის 12 საათამდე წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ (პარტიამ) ან ამომრჩეველთა 5-კაციანმა საინიციატივო ჯგუფმა.

2094. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ბიულეტენის ბათილად მიჩნევის საფუძველი?
- თუ სპეციალური კონვერტი არის დადგენილი ნიმუშის იდენტური.
- თუ შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა.
- თუ საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის ამომრჩეველთა რეგისტრატორის ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით.
- თუ სპეციალურ კონვერტში აღმოჩნდა დადგენილ რაოდენობაზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი.

2095. ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებაში მონაწილეობას არ იღებს:
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

2096. რომელი ერთ-ერთი შემთხვევაა, როდესაც პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე?
- პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვა.
- ვილნიუსის სამიტზე პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის დრო.
- პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.
- პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის მიმდინარეობის დრო.

2097. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს:
- ნასამართლევი პირი, რომელსაც სანქციის სახით შეფარდებული აქვს ჯარიმა.
- პროფესიით ბუღალტერი.
- საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი.
- პროფესიით იურისტი.

2098. რა ვადაში შეუძლია საინიციატივო ჯგუფს გაასაჩივროს უარი რეგისტრაციაში გატარებაზე?
- 7 დღის ვადაში.
- 10 დღის ვადაში.
- 5 დღის ვადაში.

- 14 დღის ვადაში.

2099. რომელი ორგანო წყვეტს დეპუტატის უფლებამოსილების ცნობის საკითხს?
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.
- პარლამენტი.
- საოლქო საარჩევნო კომისია.

2100. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ანიჭებს უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს?
- საქართველოს მთავრობა.
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.
- საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის თანხმობით.

2101. კენჭისყრიდან რა ვადაში აჯამებს ცესკო საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგებს?
- არაუგვიანეს მე-10 დღისა.
- 15 დღის ვადაში.
- ორი კვირის ვადაში.
- არაუგვიანეს მე-19 დღისა.

2102. რომელი ორგანო ირჩევს ან რომელი თანამდებობის პირი ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე იმ წევრებს, რომლებიც შეადგენენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნახევარზე მეტს?
- ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
- ირჩევს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო.
- ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
- ირჩევს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაცია.

2103. პარლამენტის არჩევნების ბათილად ცნობიდან რა ვადაში და ვისი განკარგულებით უნდა დაინიშნოს ხელახალი არჩევნები?
- არჩევნების ბათილად ცნობიდან არა უგვიანეს 6 დღისა, საქართველოს პარლამენტის განკარგულებით.
- არჩევნების ბათილად ცნობიდან არა უგვიანეს 7 დღისა, ცესკოს განკარგულებით.
- არჩევნების ბათილად ცნობიდან არა უგვიანეს 6 დღისა, ცესკოს განკარგულებით.
- არჩევნების ბათილად ცნობიდან არა უგვიანეს 7 დღისა, საქართველოს პარლამენტის განკარგულებით.

2104. რა სახის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება?
- კონსტიტუციითა და კანონით.
- კონსტიტუციით.
- კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.
- ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“.

2105. სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც არ ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ
- სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი და მისი ადმინისტრაცია.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოები, საქართველოს პროკურატურა.
- საქართველოს პარლამენტის და აჭარის უმაღლესი საბჭოს ფრაქციათა აპარატები.
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და სააგენტოები.

2106. რომელი მსჯელობაა სწორი?
- პარტიის გადაწყვეტილება არჩევნების დანიშვნიდან შედეგების შეჯამებამდე მოქმედი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ უნდა წარედგინოს ცესკოს არჩევნების დანიშვნიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.
- პარტიის გადაწყვეტილება არჩევნების დანიშვნიდან შედეგების შეჯამებამდე მოქმედი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ უნდა წარედგინოს ცესკოს არჩევნების დანიშვნიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.
- პარტიის გადაწყვეტილება არჩევნების დანიშვნიდან შედეგების შეჯამებამდე მოქმედი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ უნდა წარედგინოს ცესკოს არჩევნების დანიშვნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.
- პარტიის გადაწყვეტილება არჩევნების დანიშვნიდან შედეგების შეჯამებამდე მოქმედი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ უნდა წარედგინოს ცესკოს არჩევნების დანიშვნიდან 7 კალენდარული დღის ვადაში.

2107. არის თუ არა საარჩევნო კომისიის წევრი მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელი?
- არა, საარჩევნო კომისიის წევრი ემორჩილება მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მითითებებს.
- არა, საარჩევნო კომისიის წევრი არ არის მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელი და თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, კანონსა და შესაბამის კანონქვემდებარე აქტებს.
- არა, საარჩევნო კომისიის წევრი მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელი არ არის, თუმცაღა ვალდებულია შეასრულოს მისი მითითებები.
- დიახ, საარჩევნო კომისიის წევრი მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელია.

2108. საარჩევნო კომისიისგან რაიმე საბუთის მიღებას განმცხადებელი ადასტურებს:
- ყველა პასუხი სწორია.
- სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით.
- კომისიის სხდომის ოქმზე ხელმოწერით.
- ჩანაწერთა წიგნზე ხელმოწერით.

2109. რა ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტში მიღებული კანონპროექტი?
- 7 დღის ვადაში.
- 5 დღის ვადაში.
- დაუყოვნებლივ.
- 6 დღის ვადაში.

2110. ვინ ადგენს მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშს და რა დოკუმენტით?
- ცესკოს თავმჯდომარე ადგენს განკარგულებით.
- შესაბამისი საოლქო კომისიის თავმჯდომარე ადგენს დადგენილებით.
- ცესკო ადგენს განკარგულებით.
- შესაბამისი საოლქო კომისია ადგენს დადგენილებით.

2111. რომელი ერთ-ერთი შემთხვევაა, როდესაც პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე?
- ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის დრო.
- პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა.
- პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვა.
- პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის მიმდინარეობის დრო.

2112. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით?
- დაუშვებელია საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობა, რომელიც ეწევა ომის პროპაგანდას
- დაუშვებელია საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობა, რომელიც ეწევა ძალადობის პროპაგანდას
- დაუშვებელია საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობა, რომლის მიზანია ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა
- დაუშვებელია საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობა, რომლის მიზანია ქველმოქმედება

2113. პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის განცხადებაში ქვემოთ ჩამოთვლილთაგან პრეზიდენტობის კანდიდატის რომელი მონაცემი უნდა იყოს მითითებული?
- მეუღლის პროფესია.
- პროფესია.
- პიროვნების სიმაღლე.
- მშობლების პროფესია.

2114. ვის და რა ვადაში ეგზავნებათ/გადაეცემათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს - საკრებულოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ეგზემპლარები?
- არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ერთი ეგზემპლარი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა ეგზავნება ცესკოს, მეორე ეგზემპლარი ინახება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- შემაჯამებელი ოქმის ეგზემპლარები არსად არ იგზავნება, ის რჩება საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ერთი ეგზემპლარი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა ეგზავნება ცესკოს.
- არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ერთი დამოწმებული ფოტოასლი შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში ინახება. ოქმის დამოწმებული ფოტოასლები გადაეცემათ შესაბამისი საკრებულოს სამანდატო კომისიას, აგრეთვე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების წარმომადგენლებს.

2115. ეროვნებით სომეხმა მოქალაქე სედოიანმა, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე, 22 წლის, ამჟამად უპარტიო, მაგრამ წარსულში პოლიტიკური გაერთიანება „სინათლი“-ს წევრი, საშუალო განათლებით, რომელიც თავისუფლად ფლობს ქართულ და საშუალო დონეზე ინგლისურ ენებს, რომელსაც აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი, კანონით დადგენილი წესით განაცხადი შეიტანა ცესკოში საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის კანდიდატობაზე. ცესკომ განიხილა მისი განცხადება, არ დააკმაყოფილა იგი და სედოიანი არ დაარეგისტრირა კანდიდატად. სწორად მოიქცა თუ არა ცესკო?
- სწორად მოიქცა, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი თავისუფლად უნდა ფლობდეს ქართულ და ინგლისურ ენებს.
- ცესკო არ მოიქცა სწორად, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებდა საარჩევნო კოდექსით საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატისათვის დადგენილ მოთხოვნებს.
- სწორად მოიქცა, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება.
- სწორად მოიქცა, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი არც ამჟამად და არც წარსულში არ უნდა იყოს პარტიული.

2116. იმ შემთხვევაში თუ პრეზიდენტის უფლებამოსილების პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის ვადამდე ადრე თავმჯდომარე, შეწყვეტის გამო ვინ ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას?
- საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი
- პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ავტომატურად, ipso facto, ანუ თანამდებობის მიხედვით.
- პარლამენტის თავმჯდომარის დავალებით ერთ-ერთი მოადგილე.
- პარლამენტის ბიურო.

2117. კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის რომელი გვერდები გამოიყენება საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების, პრეტენზიებისა და საჩივრების ასახვისათვის?
- მე-8 და მომდევნო გვერდები.
- მე-9 და მომდევნო გვერდები.
- მე-10 და მომდევნო გვერდები.
- მე-7 და მომდევნო გვერდები.

2118. რა შემთხვევაში ითვლება დამტკიცებულად კონსტიტუციური შეთანხმება პარლამენტში?
- კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ კენჭისყრისას მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.
- კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ კენჭისყრისას მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ოთხი მეხუთედი.
- კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ კენჭისყრისას მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა სამი მეხუთედი.
- კონსტიტუციურ შეთანხმებას პარლამენტში დამტკიცება არ სჭირდება, იგი ძალაში შედის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერისთანავე.

2119. რომელი საარჩევნო სისტემის საფუძველზე შეიძლება ჩატარდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს - საკრებულოს არჩევნები?
- პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების საფუძველზე.
- მხოლოდ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.
- პროპორციული ან მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.
- მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

2120. კონსტიტუციის მიხედვით, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, საქართველო თავშესაფარს აძლევს:
- მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს
- მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს
- უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს
- მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს

2121. კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს:
- საქართველოს მთავრობა
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი
- საქართველოს პრეზიდენტი
- საქართველოს პარლამენტი

2122. რომელი უწყების მონაცემების საფუძველზე არ დგება ამომრჩეველთა ერთიანი სია?
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

2123. რა ვადაში შეუძლია გაასაჩივროს საინიციატივო ჯგუფმა სარეფერენდუმოდ შეთავაზებული საკითხის რეგისტრაციაში გატარებაზე ცესკოს უარი?
- უარის მიღებიდან 5 საათის ვადაში.
- უარის მიღებიდან 5 დღის ვადაში.
- უარის მიღებიდან 1 თვის ვადაში.
- უარის მიღებიდან 5 კვირის ვადაში.

2124. შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან მე-3 დღეს რეგისტრაციაში გაატარა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად არჩეული პირები და გადასცა მათ შესაბამისი მოწმობები. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ რეგისტრაციაში უნდა გაატაროს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრად არჩეული პირები და გადასცეს მათ შესაბამისი მოწმობები.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ რეგისტრაციაში უნდა გაატაროს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრად არჩეული პირები და გადასცეს მათ შესაბამისი მოწმობები.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ რეგისტრაციაში უნდა გაატაროს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრად არჩეული პირები და გადასცეს მათ შესაბამისი მოწმობები.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან არა უგვიანეს 24 საათისა, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ რეგისტრაციაში უნდა გაატაროს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრად არჩეული პირები და გადასცეს მათ შესაბამისი მოწმობები.

2125. რა პირობებში შეიძლება საქართველოში სამხედრო სასამართლოების შემოღება?
- საომარ პირობებში და თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში.
- საომარ პირობებში და მხოლოდ საერთო სასამართლოს სისტემაში.
- საომარ პირობებში და ეროვნული უშიშროების საბჭოს სისტემაში.
- საგანგებო მდგომარეობის პირობებში და პროკურატურის სისტემაში.

2126. როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საუბნო საარჩევნო კომისიამ იმ ამომრჩევლებთან დაკავშირებით, რომლებმაც კენჭისყრის შენობის დაკეტვამდე ვერ მოასწრეს ხმის მიცემა?
- ამომრჩევლებს უნდა დაატოვებინონ შენობა ხმის მიცემის გარეშე.
- კომისიის ერთ-ერთი წევრის მიერ უნდა აღირიცხოს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარები და სახელები და მხოლოდ მათ უნდა მიეცეთ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.
- ამომრჩევლებს მისცენ შესაძლებლობა გააკეთონ არჩევანი - გააგრძელონ რიგში დგომა თუ არჩევნებში მონაწილეობისთვის გამოცხადდნენ მეორე დღეს.
- კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით მიიღონ გადაწყვეტილება მეორე დღეს კენჭისყრის გამართვის შესახებ, რომელშიც მონაწილეობას მხოლოდ კენჭისყრის შეწყვეტის მომენტში რიგში მდგომი ამომრჩევლები მიიღებენ.

2127. ვინ არის უფლებამოსილი მოამზადოს და მოაწყოს რეფერენდუმი?
- საქართველოს პრეზიდენტი.
- პარლამენტის თავმჯდომარე.
- საქართველოს პარლამენტი.
- ცესკო.

2128. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ცესკო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში.
- ცესკო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში.
- ცესკო ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში.

- ცესკო ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში.

2129. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით უფლებამოსილმა სუბიექტმა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უნდა მიმართოს განცხადებით, კენჭისყრამდე არა უგვიანეს:
- 50-ე დღისა.
- 25-ე დღისა.
- 30-ე დღისა.
- მე-40 დღისა.

2130. საინიციატივო ჯგუფმა მიმართა ცესკოს მკვლელობისთვის მსჯავრდებული ქეთევან დეკანოზიშვილის შეწყალების საკითხის რეგისტრაციისთვის, მასზე რეფერენდუმის გამართვის მიზნით, რაზეც ცესკომ უარი განუცხადა. კანონიერი იყო თუ არა ცესკოს მოქმედება?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არანაკლებ 200000 ამომრჩევლის ხელმოწერით უნდა ყოფილიყო დამოწმებული საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნა.
- არა, რადგან ცესკოს უფლებამოსილებაში არ შედის რეფერენდუმის მოწყობის საკითხის გადაწყვეტა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, დაუშვებელია რეფერენდუმის მოწყობა შეწყალების გამო.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არანაკლებ 300000 ამომრჩევლის ხელმოწერით უნდა ყოფილიყო დამოწმებული საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნა.

2131. როგორც წესი, რა დრომდე ახორციელებს საარჩევნო კომისია საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებას, გაცემასა და რეგისტრაციას?
- ყოველი დღის 18:30 საათამდე.
- სამუშაო დღის 18:00 საათამდე.
- სამუშაო დღის 18:30 საათამდე.
- ყოველი დღის 18:00 საათამდე.

2132. დღის რა პერიოდში იმართება კენჭისყრა არჩევნების დღეს?
- დილის 7 საათიდან 20 საათამდე.
- დილის 8 საათიდან 20 საათამდე.
- დილის 08:30 საათიდან 20 საათამდე.
- დილის 07:30 საათიდან 20 საათამდე.

2133. საარჩევნო კომისიის სხდომა მოიწვევა:
- კომისიის წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით.
- კომისიის თავმჯდომარის მიერ ან მისი მოადგილის მოთხოვნით.
- კომისიის წევრთა ორი მესამედის მოთხოვნით.
- კომისიის მდივნის მოთხოვნით.

2134. პოლიტიკურმა პარტიამ „დიდება საქართველოს", პარტიის ლიდერის პლაკატები გააკრა ცესკოს შენობაზე, რომელიც დაცვის პოლიციის თანამშრომლების მიერ დაუყოვნებლივ იქნა ჩამოხსნილი. სწორი იყო თუ არა დაცვის პოლიციის თანამშრომლების მოქმედება?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, დაუშვებელია ცესკოს შენობაზე საარჩევნო პლაკატების გაკვრა, რადგან ცესკო სახელმწიფო დაწესებულებას წარმოადგენს.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, დაუშვებელია საარჩევნო პლაკატების გაკვრისთვის ხელის შეშლა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო პლაკატების გაკვრა ნებადართულია ნებისმიერ ადგილას, გარდა სასამართლოს, პარლამენტის და მთავრობის შენობებისა.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

2135. მოხელე არის
- პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით მიიღება სამსახურში არამუდმივ სამუშაოთა შესასრულებლად.
- პირი, რომელიც მიიღება გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით.
- პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე.
- პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით მიიღება დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე.

2136. რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი უზრუნველყოფს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას?
- ამ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

- ამ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი.
- ალბათ პრეზიდენტის ადმინისტრაცია.
- ცხადია, ცენტრალური საარჩევნო კომისია.

2137. ერთსა და იმავე საკითხზე რეფერენდუმის დანიშვნა არ შეიძლება:
- 6 თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც ოფიციალურად გამოქვეყნდა ამ საკითხზე გამართული რეფერენდუმის შედეგები.
- ორი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც ოფიციალურად გამოქვეყნდა ამ საკითხზე გამართული რეფერენდუმის შედეგები.
- ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც ოფიციალურად გამოქვეყნდა ამ საკითხზე გამართული რეფერენდუმის შედეგები.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

2138. არჩევნებამდე რა ვადაში უნდა დანიშნოს უფლებამოსილმა პირმა საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების თარიღი?
- არჩევნებამდე არაუგვიანეს 55 დღისა.
- არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა.
- არჩევნებამდე არაუგვიანეს 70 დღისა.
- არჩევნებამდე არაუგვიანეს 45 დღისა.

2139. რას ნიშნავს საარჩევნო ბლოკი?
- საქართველოს მოქალაქეებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ.
- საარჩევნო სუბიექტების კანდიდატისა და საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული 2 ან 2-ზე მეტი პარტიის გაერთიანება.
- მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად.

2140. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივ აქტებს?
- საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება.
- ცესკოს ბრძანებულება.
- ცესკოს მდივნის განკარგულება.
- ცესკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

2141. რას ნიშნავს პირდაპირი საარჩევნო უფლება?
- აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების გამოვლენას.
- ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის ყოველ ამომრჩეველს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვს.
- საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს, ქალაქ თბილისის მერს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრს ამომრჩევლები ირჩევენ უშუალოდ.
- საარჩევნო პროცესი საჯაროა.

2142. რომელი ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობის გარეშეა დაუშვებელი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, თუ ადგილი არ აქვს დანაშაულზე წასწრების შემთხვევას?
- საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის.
- საკონსტიტუციო სასამართლოს.
- საქართველოს პრეზიდენტის.
- საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის.

2143. მოხელის განთავისუფლება გარდაცვალების გამო ხდება
- გარდაცვალებიდან 3 დღის ვადაში.
- გარდაცვალებიდან 5 დღის ვადაში.
- გარდაცვალების დღიდან.
- გარდაცვალების მეორე დღიდან.

2144. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მინისტრის თანამდებობასთან შეუთავსებელი თანამდებობა ან საქმიანობა?
- მემარცხენე კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის თანამდებობა.
- მემარჯვენე მონარქისტული პარტიის თავმჯდომარეობა.
- სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.
- სპორტის ერთ-ერთი სახეობის ფედერაციის პრეზიდენტობა.

2145. კონსტიტუციის მიხედვით ვისი სახელით გამოაქვს გადაწყვეტილება სასამართლოს?
- ყველა სასამართლოს გადაწყვეტილებები გამოაქვს საქართველოს სახელით.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე სასამართლოების გარდა, გადაწყვეტილებები გამოაქვს საქართველოს სახელით.
- ყველა სასამართლოს გადაწყვეტილებები გამოაქვს საქართველოს მოქალაქეთა სახელით.
- ყველა სასამართლოს გადაწყვეტილებები გამოაქვს ქართველის ხალხის სახელით.

2146. ვინ და რა ვადაში წყვეტს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს?
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე განცხადების წარდგენიდან ერთი დღის ვადაში.
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე განცხადების წარდგენიდან ერთი დღის ვადაში.
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი განცხადების წარდგენიდან სამი დღის ვადაში.
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი განცხადების წარდგენიდან ერთი დღის ვადაში.

2147. რომელი მსჯელობა არის სწორი?
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებიდან 7 დღის ვადაში ცესკოს თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს აძლევს შესაბამის მოწმობას.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებიდან 3 დღის ვადაში ცესკოს თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს აძლევს შესაბამის მოწმობას.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებიდან 2 დღის ვადაში ცესკოს თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს აძლევს შესაბამის მოწმობას.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებიდან 5 დღის ვადაში ცესკოს თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს აძლევს შესაბამის მოწმობას.

2148. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- საინიციატივო ჯგუფი ხელმოწერების შეგროვებას იწყებს სარეფერენდუმო საკითხის შეთავაზებამდე 1 წლით ადრე.
- საინიციატივო ჯგუფი ხელმოწერების შეგროვებას იწყებს სარეფერენდუმო საკითხის შეთავაზებამდე 1 თვით ადრე.
- საინიციატივო ჯგუფი ხელმოწერების შეგროვებას იწყებს სარეფერენდუმო საკითხის შეთავაზებამდე 1 კვირით ადრე.
- საინიციატივო ჯგუფი ხელმოწერების შეგროვებას იწყებს რეგისტრაციის მოწმობის მიღების დღიდან.

2149. რომელი მსჯელობაა სწორი?
- მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ ცესკოს წევრებს, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებსა და ცესკოს სათანადო სამსახურის თანამშრომლებს, ხოლო სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში – აგრეთვე სასამართლოს.
- მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ ცესკოს წევრებს და ცესკოს სათანადო სამსახურის თანამშრომლებს, ხოლო სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში – აგრეთვე სასამართლოს.
- მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ ცესკოს წევრებს, შესაბამისი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებსა და ცესკოს სათანადო სამსახურის თანამშრომლებს, ხოლო სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში – აგრეთვე სასამართლოს.
- მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ თავმჯდომარეს, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებსა და ცესკოს სათანადო სამსახურის თანამშრომლებს, ხოლო სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში – აგრეთვე სასამართლოს.

2150. კონსტიტუციის მიხედვით, რა საფუძვლის არსებობისას არის დასაშვები ადამიანის პირადი საქმიანობის ადგილის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა?
- თუ ამას მოითხოვენ პროფკავშირები
- საომარი მდგომარეობის დროს
- თუ ამას მოითხოვს მეწარმე
- პრეზიდენტის იმპიჩმენტის განხორციელების დროს

2151. რა სახის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სტრუქტურა?
- მთავრობის განკარგულებით.
- კანონით.
- პარლამენტის დადგენილებით.
- პრემიერ-მინისტრის ბრძანებით.

2152. არჩევნების დღემდე რამდენი ხნით ადრე ხდება არჩევნებში მონაწილე რეგისტრირებული პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება?

- არა უგვიანეს 2 კვირისა.
- არა უგვიანეს 30-ე დღისა.
- არა უგვიანეს 25-ე დღისა.
- არა უგვიანეს მე-20 დღისა.

2153. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით ვერ შეარჩევენ ბიულეტენების დათვლის პროცესზე მეთვალყურე დამკვირვებლებს?
- მეთვალყურეებად თავმჯდომარე აირჩევს ასაკით უხუცეს დამკვირვებლებს.
- მეთვალყურეებს სახელობითი კენჭისყრის საფუძველზე აირჩევს საუბნო საარჩევნო კომისია.
- მეთვალყურეებს წილისყრით გამოავლენს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.

2154. კენჭისყრამდე რამდენი ხნით ადრე აქვს უფლება საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს უარი თქვას არჩევნებში მონაწილეობაზე?
- არა უგვიანეს 15 დღისა.
- არა უგვიანეს 10 დღისა.
- არა უგვიანეს 3 დღისა.
- არა უგვიანეს 5 დღისა.

2155. რა შემთხვევაში არ აქვს პარტიას უფლება, უკან გამოიწვიოს მის მიერ დანიშნული ცესკოს წევრი?
- პარტიას უფლება არ აქვს უკან გამოიწვიოს მის მიერ დანიშნული ცესკოს წევრი, თუ ცესკოს წევრი ამას მოითხოვს.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- პარტიას უფლება არ აქვს უკან გამოიწვიოს მის მიერ დანიშნული ცესკოს წევრი არჩევნების დანიშვნის დღიდან საბოლოო შედეგების შეჯამებამდე.
- პარტიას უფლება არ აქვს უკან გამოიწვიოს მის მიერ დანიშნული ცესკოს წევრი, თუ ცესკოს წევრმა შეიცვალა პოლიტიკური შეხედულებები.

2156. რა ხდება იმ შემთხვევაში თუ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობა აღმოჩნდა დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები?
- მას მიეცემა 5 დღის ვადა ხარვეზების შესავსებად.
- მას მიეცემა 3 დღის ვადა ხარვეზების შესავსებად.
- მხარდამჭერთა სია მთლიანად ბათილდება და საარჩევნო სუბიექტს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით უარი ეთქმევა საარჩევნო რეგისტრაციაზე.
- მას მიეცემა 2 დღის ვადა ხარვეზების შესავსებად.

2157. კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაშია საჭირო შეკრების გამართვისათვის ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილება?
- თუ შეკრებაში მდედრობითი სქესის საქართველოს მოქალაქეებიც მონაწილეობენ
- თუ შეკრებაში 1000-ზე მეტი მონაწილეა
- თუ შეკრება ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება
- თუ შეკრება პოლიტიკური მოთხოვნით იმართება

2158. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- მერის/გამგებლის არჩევნებში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 50%-ზე მეტი მიიღო.
- მერის/გამგებლის არჩევნებში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 20%-ზე მეტი მიიღო.
- მერის/გამგებლის არჩევნებში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 40%-ზე მეტი მიიღო.
- მერის/გამგებლის არჩევნებში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 30%-ზე მეტი მიიღო.

2159. კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის კომიტეტის პარლამენტის კომისიისაგან ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია:
- კომიტეტს არ აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, ხოლო კომისიას - აქვს.
- კომიტეტი იქმნება კანონთა მისაღებად, კომისიას ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნია.
- კომიტეტს ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარე, კომისიას მისი ერთ-ერთი მოადგილე.
- კონსტიტუციით კომიტეტში არ არის დადგენილი უმრავლესობის წარმომადგენლობის კვორუმი, კომისიაში საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს.

2160. ვის აქვს კანონის ხელმოწერისა და გამოქვეყნების ანუ პრომულგაციის უფლება?
- საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს.

- საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს.
- მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარეს.
- მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს.

2161. კენჭისყრისას რა შემთხვევაში ითვლება მიღებულად საქართველოს პარლამენტში კანონპროექტი?
- თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
- თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
- თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა.
- თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

2162. როგორი წესით ხდება თბილისის მერის არჩევა?
- თბილისის მერი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, თბილისის ამომრჩევლების მიერ, 4 წლის ვადით.
- თბილისის საკრებულოს წევრთაგან 5 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პრეზიდენტი.
- საკრებულოს მიერ წარდგენილი 5 კანდიდატიდან ხმების უმრავლესობით 4 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი, რომელსაც ნდობას უცხადებს საქართველოს პრეზიდენტი.
- საკრებულოს მიერ წარდგენილი 5 კანდიდატიდან ერთ–ერთს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი 4 წლის ვადით.

2163. რომელი მსჯელობაა სწორი?
- პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობის უფლება აქვს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე 4 კანდიდატს.
- პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობის უფლება აქვს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე 3 კანდიდატს.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობის უფლება აქვს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს.

2164. ჩამოთვლილთაგან რომელი მონაცემი არ არის მითითებული ამომრჩევლის ბარათში?
- კენჭისყრის შენობის მისამართი და სართული.
- ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი.
- საარჩევნო უბნის ნომერი.
- ამომრჩევლის ნომერი ამომრჩეველთა სიაში.

2165. მოცემული მსჯელობებიდან რომელია სწორი?
- ნებადართულია ტოტალიზატორის გამართვა არჩევნებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე მხოლოდ ცესკოს თანხმობით.
- აკრძალულია ტოტალიზატორის გამართვა არჩევნებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.
- ნებადართულია ტოტალიზატორის გამართვა არჩევნებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.

2166. ვის და რა ფორმით უნდა მიმართოს საარჩევნო სუბიექტმა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საარჩევნო კამპანიის ხარჯების დაფინანსების მიზნით?
- კანონით განსაზღვრულ ვადაში წერილობითი ფორმით მიმართავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.
- კანონით განსაზღვრულ ვადაში ზეპირი ან წერილობითი ფორმით მიმართავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.
- კანონით განსაზღვრულ ვადაში სატელეფონო შეტყობინებით მიმართავს ცესკოს.
- კანონით განსაზღვრულ ვადაში წერილობითი ფორმით მიმართავს ცესკოს.

2167. ვინ აგებს პასუხს დაბეჭდილი და შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის გადაცემული ბიულეტენების რაოდენობის დაკვეთილ რაოდენობასთან შესაბამისობაზე?
- საარჩევნო კომისიის მდივანი და თავმჯდომარე.
- საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის დაკვეთის შემსრულებელი.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საარჩევნო კომისიის მდივანი.

2168. რა ვადაში შედის ძალაში რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ?
- მისი გამოქვეყნების დღიდან.
- მისი გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს 3 დღისა.
- მისი გამოქვეყნების დღიდან არაუგვიანეს 3 კვირისა.
- მისი გამოქვეყნების დღიდან არაუგვიანეს 3 დღისა.

2169. ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებული იქნა უსკოში. უსკომ კანონით დადგენილ ვადაში განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება. სად შეიძლება გასაჩივრდეს უსკოს გადაწყვეტილება?
- უსკოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.
- უსკოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
- უსკოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში.
- უსკოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

2170. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- თუ კენჭისყრის დღეს, გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა ერთით ნაკლები აღმოჩნდა, კომისიის თავმჯდომარე ასრულებს საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციას.
- თუ კენჭისყრის დღეს, გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა ორით ნაკლები აღმოჩნდა, მცირდება ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრების რაოდენობა.
- თუ კენჭისყრის დღეს, გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა ერთით ნაკლები აღმოჩნდა, მცირდება ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრების რაოდენობა.
- თუ კენჭისყრის დღეს, გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა ერთით ნაკლები აღმოჩნდა, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციას.

2171. რომელი მსჯელობაა სწორი?
- არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, ერთი ან რამდენიმე სახის არჩევნებისას დანიშნოს მხოლოდ 2 წარმომადგენელი ყოველ საარჩევნო კომისიაში.
- არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, ერთი ან რამდენიმე სახის არჩევნებისას დანიშნოს მხოლოდ 3 წარმომადგენელი ყოველ საარჩევნო კომისიაში.
- არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, ერთი ან რამდენიმე სახის არჩევნებისას დანიშნოს მხოლოდ 1 წარმომადგენელი ყოველ საარჩევნო კომისიაში.
- არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, ერთი ან რამდენიმე სახის არჩევნებისას დანიშნოს მხოლოდ 4 წარმომადგენელი ყოველ საარჩევნო კომისიაში.

2172. რა ვადაში იხილავს საოლქო საარჩევნო კომისია საჩივარს საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით?
- 3 დღის ვადაში.
- 1 დღის ვადაში.
- 4 დღის ვადაში.
- 2 დღის ვადაში.

2173. რამდენი დღით ადრე უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას რეგისტრაციაში გატარების მიზნით ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით?
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-7 დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-5 დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-10 დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-15 დღისა.

2174. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობებიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს პრეზიდენტი არის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.
- საქართველოს პრეზიდენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში.
- საქართველოს პრეზიდენტი არის ქვეყნის ერთიანობის გარანტი.
- საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.

2175. კენჭისყრის დღეს კანონით დადგენილ დროს გაიხსნა გლდანის საარჩევნო ოლქის N1 საარჩევნო უბანი. უბნის გახსნის შემდეგ აღმოჩნდა რომ კომისიის წევრთა რაოდენობა იყო 7-ზე ნაკლები. ვის და რა ვადაში უნდა მიეწოდოს ინფორმაცია აღნიშნული ფაქტის შესახებ?
- ინფორმაცია უნდა მიეწოდოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ.

- ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას ფაქტის გამოვლენიდან 2 საათის განმავლობაში.
- ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ცესკოს დაუყოვნებლივ.
- ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

2176. რა შემთხვევაში უნდა შეიკრიბოს დათხოვნილი პარლამენტი?
- თუ ამას მოითხოვს დათხოვნილი პარლამენტის წევრთა არანაკლებ 2/3.
- თუ ამას მოითხოვს მთავრობის მეთაური.
- პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული საგანგებო ან სამარი მდგომარეობის დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად.
- თუ ამას მოითხოვს დათხოვნილი პარლამენტის წევრთა არანაკლებ 3/4.

2177. პირმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართა განცხადებით საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე. სამინისტრომ მას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი უთხრა და გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში წერილობით განუმარტა მისი უფლებები და გასაჩივრების წესი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, კანონიერია თუ არა სამინისტროს მოქმედება?
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- კანონიერია, ვინაიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი.
- არ არის კანონიერი, ვინაიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.
- კანონიერია, ვინაიდან საჯარო დაწესებულებას ჰქონდა უფლება, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

2178. საქართველოს პრეზიდენტის ხელახალ არჩევნებს ნიშნავს:
- საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი.
- საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

2179. ჩამოთვლილთაგან ვის არა აქვს უფლება იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში და დააკვირდეს კენჭისყრის პროცესს?
- პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს.
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს.
- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს.
- თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელს.

2180. კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი არ არის გამოიყენოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლება - დანიშნოს რეფერენდუმი.
- პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი არ არის გამოიყენოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლება - შეიწყალოს მსჯავრდებულნი
- პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი არ არის გამოიყენოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლება - დანიშნოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრები.
- პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი არ არის გამოიყენოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლება - გადაწყვიტოს მოქალაქეობის საკითხები.

2181. ვინ და რამდენი ხნის ვადაში უნდა აცნობოს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს უნდა ეცნობოს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 3 დღისა.
- რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს უნდა ეცნობოს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 2 დღისა.
- რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

2182. ამომრჩეველთა რამდენ კაციან საინიციატივო ჯგუფს აქვს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება?

- ამომრჩეველთა 15 კაციან ჯგუფს.
- ამომრჩეველთა 7 კაციან ჯგუფს.
- ამომრჩეველთა 5 კაციან ჯგუფს.
- ამომრჩეველთა 10 კაციან ჯგუფს.

2183. ცესკოს მიერ საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებით შედგენილი ოქმის:
- ერთი ეგზემპლარი ინახება ცესკოში, მეორე - გადაეცემა საქართველოს პარლამენტს.
- ერთი ეგზემპლარი ინახება ცესკოში, მეორე - გადაეცემა საუბნო საარჩევნო კომისიას.
- ერთი ეგზემპლარი ინახება ცესკოში, მეორე - გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს.
- ერთი ეგზემპლარი ინახება ცესკოში, მეორე - გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას.

2184. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შედგება?
- პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 21 წევრისაგან და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 6 წევრისაგან.
- პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 15 წევრისაგან და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 6 წევრისაგან.
- პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 21 წევრისაგან.
- პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 15 წევრისაგან და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 12 წევრისაგან.

2185. კონსტიტუციის მიხედვით, რა არის პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნის ერთ-ერთი საფუძველი?
- პარლამენტის წევრთა ერთი მეოთხედის მოთხოვნა.
- კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევები.
- ქვეყანაში შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობა.
- საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა.

2186. რომელი მსჯელობაა სწორი?
- მხოლოდ დამკვირვებლებს აქვთ უფლება, ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლამდე და სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის ჩადებამდე მოსთხოვონ, უჩვენოს, რომ მას ხელში მხოლოდ საარჩევნო კოდექსით დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს უფლება აქვთ, ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლამდე და სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის ჩადებამდე მოსთხოვონ, უჩვენოს, რომ მას ხელში მხოლოდ საარჩევნო კოდექსით დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს.
- მხოლოდ საერთაშორისო დამკვირვებლებს აქვთ უფლება, ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლამდე და სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის ჩადებამდე მოსთხოვონ, უჩვენოს, რომ მას ხელში მხოლოდ საარჩევნო კოდექსით დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს.
- მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს აქვთ უფლება, ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლამდე და სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის ჩადებამდე მოსთხოვონ, უჩვენოს, რომ მას ხელში მხოლოდ საარჩევნო კოდექსით დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს.

2187. ხმის დათვლის პროცედურის დამთავრების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისას დაშვებულ იქნა შეცდომა. საარჩევნო კომისიის მიერ კანონით დადგენილი წესით შედგენილ იქნა შესწორების ოქმი. შესწორების ოქმზე ხელის მოწერისაგან თავი შეიკავა კომისიის სხდომაზე დამსწრე კომისიის ერთ-ერთმა წევრმა. სწორად მოიქცა თუ არა საარჩევნო კომისიის წევრი?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- არ მოიქცა სწორად, ვინაიდან საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ შესწორების ოქმზე ხელმოწერის ვალდებულება ეკისრება კომისიის სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრს.
- სწორად მოიქცა, ვინაიდან საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ შესწორების ოქმზე ხელის მოწერისგან თავის შეკავება შეუძლია კომისიის იმ წევრს, რომელიც ეჭვს შეიტანს საარჩევნო კომისიის მოქმედების კანონიერებაში.
- სწორად მოიქცა, ვინაიდან საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ შესწორების ოქმზე ხელის მოწერისგან თავის შეკავება შეუძლია კომისიის იმ წევრს, რომელიც არ ეთანხმება შესწორების ოქმს.

2188. რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის:
- საქართველოს პარლამენტის მიერ რეფერენდუმის შედეგების დამტკიცების დღიდან.
- მისი გამოქვეყნების დღიდან.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ რეფერენდუმის შედეგების აღიარების დღიდან.
- ცესკოს მიერ რეფერენდუმის შედეგების დადგენის დღიდან.

2189. რა ვადით არიან გამწესებული საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები?
- 10 წლის ვადით.

- არანაკლებ 10 წლის ვადით
- 5 წლის ვადით.
- უვადოდ.

2190. რა ვადაში უნდა მიმართოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით ცესკოს თავმჯდომარეს, თუ მას არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში:
- საპარლამენტო არჩევნების წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე.
- საპარლამენტო არჩევნების წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე.
- საპარლამენტო არჩევნების წლის 1 თებერვლიდან 1 ივლისამდე.
- საპარლამენტო არჩევნების წლის 1 თებერვლიდან 1 აგვისტომდე.

2191. საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს სააგიტაციო მასალის დამზადების უფლება აქვს:
- საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის დასრულების დღიდან.
- არჩევნების დანიშვნის დღიდან.
- არჩევნების თარიღის გამოცხადების დღიდან.
- მორიგი არჩევნების დასრულებისთანავე.

2192. საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის გასაჩივრების შემთხვევაში ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის შესაბამისი განკარგულების გამო სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება აქვს:
- შესაბამისი რაიონის გამგეობას.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს.
- დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას.
- დაინტერესებულ ამომრჩეველს.

2193. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ წარდგენილი საბუთები არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს?
- შესაბამისად საოლქო საარჩევნო კომისიის ან ცესკოს თავმჯდომარე 2 დღის ვადაში აცნობებს ამის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) მას, ვინც დანიშნა/აირჩია კომისიის წევრი.
- შესაბამისად საოლქო საარჩევნო კომისია ან ცესკოს თავმჯდომარე 5 დღის ვადაში აცნობებს ამის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) მას, ვინც დანიშნა/აირჩია კომისიის წევრი.
- შესაბამისად საოლქო საარჩევნო კომისია ან ცესკოს თავმჯდომარე 3 დღის ვადაში აცნობებს ამის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) მას, ვინც დანიშნა/აირჩია კომისიის წევრი.
- ასეთ შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს უარს განუცხადებენ წევრობაზე შესაბამისად საოლქო საარჩევნო კომისია ან ცესკოს თავმჯდომარე.

2194. საკრებულოს წევრობის კანდიდატად დასახელების შემთხვევაში სამსახურებრივი უფლებამოსილება არ უწყდებათ:
- თავდაცვის სამინისტროს ოფიცრებს.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგითებს.
- საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილეს.
- სახელმწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს და მის მოადგილეებს.

2195. ვინ წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისიის იმ წევრისათვის ფუნქციების მინიჭების საკითხს, რომელიც კომისიაში გამოცხადდება წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ?
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

2196. ვის უნდა ეცნობოს საჩივრის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივრის ავტორი საარჩევნო სუბიექტია?
- უნდა გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.
- საარჩევნო სუბიექტის კანონით დადგენილი წესით დანიშნულ წარმომადგენელს.
- ცესკოს.
- საოლქო საარჩევნო კომისიას.

2197. საგანგებო მდგომარეობა ცხადდება:
- მხოლოდ ქვეყნის რომელიმე ნაწილში.
- მხოლოდ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
- ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში.
- საქართველოსა და მეზობელი სახელმწიფოს მოსაზღვრე ტერიტორიაზე.

2198. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ, რომელსაც საქართველოს პარლამენტში არ ჰყავდა წარმომადგენელი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს განცხადებით მიმართა საპარლამენტო არჩევნების წლის 5 აგვისტოს. მართებულია თუ არა პარტიის ქმედება?
- მართებულია, ვინაიდან პარტიამ, რომელსაც საქართველოს პარლამენტში არ ჰყავს წარმომადგენელი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად განცხადებით უნდა მიმართოს საპარლამენტო არჩევნების წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე.
- მართებულია, ვინაიდან პარტიამ, რომელსაც საქართველოს პარლამენტში არ ჰყავს წარმომადგენელი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად განცხადებით უნდა მიმართოს საპარლამენტო არჩევნების წლის 1 იანვრიდან 15 აგვისტომდე.
- არ არის მართებული, ვინაიდან პარტიამ, რომელსაც საქართველოს პარლამენტში არ ჰყავს წარმომადგენელი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად განცხადებით უნდა მიმართოს საპარლამენტო არჩევნების წლის 1 იანვრიდან 5 აგვისტომდე.
- არ არის მართებული, ვინაიდან პარტიამ, რომელსაც საქართველოს პარლამენტში არ ჰყავს წარმომადგენელი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად განცხადებით უნდა მიმართოს საპარლამენტო არჩევნების წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე.

2199. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პრემიერ-მინისტრი გამოსცემს:
- კანონებს.
- ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს.
- დადგენილებებს.
- განკარგულებებს.

2200. ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს სამხედრო ძალები ჰყავს საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად.
- საქართველოს სამხედრო ძალები ჰყავს ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.
- საქართველოს სამხედრო ძალები ჰყავს ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად.
- საქართველოს სამხედრო ძალები ჰყავს დაკარგული ტერიტორიების საჭიროების შემთხვევაში ძალით დასაბრუნებლად.

2201. ცესკოს თავმჯდომარეს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება:
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის განკარგულებით.
- საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით.
- ცესკოს თავმჯდომარეს უფლებამოსილება ვადამდე საერთოდ არ უწყდება.
- საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.

2202. წინა საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობდა პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი სახვაძე, რომელიც იყო მერიის კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომელი. ვინაიდან და რადგანაც იგი პრეზიდენტობის კანდიდატად იყრიდა კენჭს, კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა გამოსცა ბრძანება გიორგი სახვაძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. კანონიერად მოიქცა თუ არა მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი მოიქცა სწორად, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატები და მათი წარმომადგენლები წინა საარჩევნო კამპანიის დროს შეიძლება დაითხოვონ სამსახურიდან, ანდა გადაიყვანონ სხვა სამუშაოზე ან სხვა თანამდებობაზე შესაბამისი სამსახურის უფროსის ბრძანებით.
- მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი არ მოიქცა სწორად, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატები და მათი წარმომადგენლები წინა საარჩევნო კამპანიის დროს არ შეიძლება დაითხოვონ სამსახურიდან, ანდა გადაიყვანონ სხვა სამუშაოზე ან სხვა თანამდებობაზე მათი თანხმობის გარეშე.
- მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი არ მოიქცა სწორად, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატები და მათი წარმომადგენლები წინა საარჩევნო კამპანიის დროს შეიძლება დაითხოვონ სამსახურიდან მხოლოდ ცესკოს თავმჯდომარის თანხმობით.

2203. რომელი საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სემინარებისა და სასწავლო კურსების გამართვას?
- საუბნო საარჩევნო კომისია.

- უსკო.
- ცესკო.
- საოლქო საარჩევნო კომისია.

2204. დიდგორის N1 საარჩევნო უბანზე, სადაც ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანილი იყო 150 ამომრჩეველი, იმავე უბანზე შედგენილ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ იქნა 4 ამომრჩეველი, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეეძლოთ კენჭისყრის შენობაში მისვლა. არის თუ არა მოცემულ კაზუსში რაიმე სახის დარღვევა?
- არა, რადგან ამომრჩეველთა ერთიან სიაში საარჩევნო კოდექსის თანახმად შეყვანილ უნდა იქნეს მინიმუმ 20 და მაქსიმუმ 1500 ამომრჩეველი.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა 3 პროცენტს.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს მინიმუმ 20 და მაქსიმუმ 1500 ამომრჩეველი, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საერთო სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა 3 პროცენტს.
- დიახ, რადგან ამომრჩეველთა ერთიან სიაში საარჩევნო კოდექსის თანახმად შეყვანილ უნდა იქნეს მინიმუმ 200 ამომრჩეველი, რომელთა საერთო რაოდენობა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ ამომრჩეველთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს 1500 ადამიანს.

2205. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ წარმოადგენს პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს?
- თუ იგი საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების შეჯამებამდე გაირიცხა საარჩევნო ბლოკიდან, ბლოკის მიერ პარტიული სიების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ.
- თუ იგი საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების შეჯამებამდე გავიდა საარჩევნო ბლოკიდან, ბლოკის მიერ პარტიული სიების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ.
- საქალაქო სასამართლოს განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი პარტიის ლიდერი.
- თუ პარტიამ საკუთარი განცხადებით მიმართა რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე.

2206. რა შინაარსის მონაცემი არ აღინიშნება საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში ?
- არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერების მიხედვით.
- ერთიან სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა.
- არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა სიებში 10 საათსა და 15საათზე.
- სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა.

2207. რომელი მსჯელობაა სწორი?
- არჩევნების დანიშვნის დღიდან საბოლოო შედეგების შეჯამებამდე პარტიას უფლება აქვს დანიშნოს ახალი წევრი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პრეზიდენტი მოითხოვს ამას.
- არჩევნების დანიშვნის დღიდან საბოლოო შედეგების შეჯამებამდე პარტიას უფლება აქვს დანიშნოს ახალი წევრი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამას გადაწყვეტს პარტიის სამდივნო.
- არჩევნების დანიშვნის დღიდან საბოლოო შედეგების შეჯამებამდე პარტიას უფლება აქვს დანიშნოს ახალი წევრი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამას გადაწყვეტს ერთპიროვნულად პარტიის ლიდერი.
- არჩევნების დანიშვნის დღიდან საბოლოო შედეგების შეჯამებამდე პარტიას უფლება აქვს დანიშნოს ცესკოს ახალი წევრი მხოლოდ დანიშნული წევრის გარდაცვალების ან გადადგომის შემთხვევაში.

2208. რომელი მსჯელობაა სწორი? საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ:
- თუ კენჭისყრის დღეს გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა ორით ნაკლები აღმოჩნდა, კომისიის თავმჯდომარე ასრულებს საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციას.
- თუ კენჭისყრის დღეს გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა ორით ნაკლები აღმოჩნდა, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციას.
- თუ კენჭისყრის დღეს გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა ორით ნაკლები აღმოჩნდა, მცირდება ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრების რაოდენობა.
- თუ კენჭისყრის დღეს გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა ორით ნაკლები აღმოჩნდა, კომისიის თავმჯდომარე ასრულებს კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციას.

2209. რომელი მსჯელობაა სწორი?
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- არავინ არ არის უფლებამოსილი გამოითხოვოს თავისი მოთხოვნა რეფერენდუმის მოწყობის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის

მიერ რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.
- საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი არ არის გამოითხოვოს თავისი მოთხოვნა რეფერენდუმის მოწყობის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.
- საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია გამოითხოვოს თავისი მოთხოვნა რეფერენდუმის მოწყობის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

2210. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი წარმოადგენს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ჩატარების სამართლებრივ საფუძველს?
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ.
- არჩევნების პირველ ტურში არც ერთ კანდიდატს არ მისცა ხმა არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.
- საქართველოს პარლამენტის დადგენილება, რომელიც მიღებულია პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით
- პირველ ტურში დამარცხებულ კანდიდატთა ერთობლივი განცხადება.

2211. რა სახის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ცესკოს აპარატის სტრუქტურა და საქმიანობის წესი?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ცესკოს დებულებით.
- ცესკოს რეგლამენტით.
- საარჩევნო კოდექსით.

2212. რეფერენდუმის გამართვა არ შეიძლება:
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების პერიოდში.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პერიოდში.
- საქართველოს პარლამენტის არჩევნების პერიოდში.
- მასობრივი არეულობის პერიოდში.

2213. საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს ცენტრალური საარჩევნო კომისია წყვეტს განცხადების მიღებიდან:
- 10 დღის ვადაში.
- 5 დღის ვადაში.
- 13 დღის ვადაში.
- 2 დღის ვადაში.

2214. რომელი მსჯელობა არის სწორი?
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირება ხდება არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-40 დღისა.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირება ხდება არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 45-ე დღისა.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირება ხდება არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირება ხდება არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 35-ე დღისა.

2215. იმ შემთხვევაში, როდესაც კენჭისყრის დღეს ამომრჩევლისთვის შეუძლებელია კენჭისყრის შენობაში მისვლა, ვის და რამდენი ხნის ვადაში უნდა მიმართოს ამომრჩეველმა გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით?
- საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართავს კენჭისყრის დღემდე 2 დღით ადრე მაინც.
- საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართავს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 24 საათისა.
- საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართავს კენჭისყრის დღემდე 1 დღით ადრე მაინც.
- საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართავს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 8 საათისა.

2216. დამკვირვებელს უფლება არ აქვს:
- აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.
- კენჭისყრის დღის ნებისმიერ დროს შეენაცვლოს მისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებულ წარმომადგენელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- დააკვირდეს ამომრჩეველთა ხმების დათვლას ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენის დანახვას.
- მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე და მათი გახსნის შემდეგ.

2217. ჩამოთვლილთაგან რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ადგენს საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს?
- იუსტიციის მინისტრი.
- ცესკოს თავმჯდომარე.

- სააპელაციო სასამართლო.
- შესაბამისი რაიონული/საქალაქო სასამართლო.

2218. რა შემთხვევაში არ ინიშნება მერის/გამგებლის არჩევნების მეორე ტური?
- თუ მერის/გამგებლის არჩევნებში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 25%–ზე მეტი.
- თუ მერის/გამგებლის არჩევნებში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 15 %–ზე მეტი.
- თუ მერის/გამგებლის არჩევნებში რომელიმე კანდიდატმა მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 40%– ზე მეტი.
- თუ მერის/გამგებლის არჩევნებში რომელიმე კანდიდატმა მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 50%– ზე მეტი.

2219. საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს წევრობის რამდენ კანდიდატს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს?
- 4 წევრს.
- 6 წევრს.
- 3 წევრს.
- 5 წევრს.

2220. კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაში შეიძლება ადამიანი გაეცნოს სხვა პირის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან და სხვა კერძო ინტერესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ამ პირის თანხმობის გარეშე?
- იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად
- იმ შემთხვევაში, თუ პირველი რიგის მემკვიდრეა
- იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო თანამდებობის პირია
- იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია მისი ოჯახის სიმტკიცის შენარჩუნება

2221. რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების გადაწყვეტილებას?
- საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო.
- საქართველოს პარლამენტი.
- საქართველო მთავრობა.
- გაერო.

2222. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია გამოითხოვოს თავისი მოთხოვნა რეფერენდუმის მოწყობის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.
- არავინ არ არის უფლებამოსილი გამოითხოვოს თავისი მოთხოვნა რეფერენდუმის მოწყობის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილი არ არის გამოითხოვოს თავისი მოთხოვნა რეფერენდუმის მოწყობის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

2223. რამდენი წევრისგან შედგება უმაღლესი საარჩევნო კომისია არა საარჩევნო პერიოდში?
- 5 წევრისგან.
- 3 წევრისგან.
- 6 წევრისგან.
- 14 წევრისგან.

2224. რა ვადაში უნდა მოხდეს კანონით გათვალისწინებული წესით და საფუძველზე დროებით შეჩერებული კენჭისყრის განახლება?
- შეჩერებიდან არა უგვიანეს 1 საათისა.
- შეჩერებიდან არა უგვიანეს 2 საათისა.
- კენჭისყრის შეჩერების მიზეზის აღმოფხვრისთანავე.
- შეჩერებიდან არა უგვიანეს ნახევარი საათისა.

2225. უფლებამოსილი სუბიექტის მოთხოვნის მიღებიდან რა ვადაშია უფლებამოსილი საქართველოს პრეზიდენტი დანიშნოს რეფერენდუმი?
- 30 დღის განმავლობაში.
- 48 საათის განმავლობაში.
- კონსტიტუციითა და კანონით ვადა არ არის განსაზღვრული, მისი განსაზღვრა პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილებაა.

- 7 დღის განმავლობაში.

2226. თუ პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა მთავრობის შემადგენლობას და მის სამთავრობო პროგრამას, რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ნიშნავს პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის სხვა წევრებს?
- პრემიერ-მინისტრსაც და მთავრობის სხვა წევრებსაც ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
- პრემიერ-მინისტრს ნიშნავს პარლამენტი, დანარჩენ წევრებს - პარლამენტის თავმჯდომარე.
- პრემიერ-მინისტრს ნიშნავს პარლამენტი, მინისტრებს - პრეზიდენტი.
- საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო მთავრობის სხვა წევრებს - პრემიერ- მინისტრი.

2227. ვინ ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების თარიღს?
- საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით.
- პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის კონტრასიგნაციით.
- საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი.
- საქართველოს პარლამენტი.

2228. რამდენი წარმომადგენლის დანიშვნის უფლება აქვს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას არჩევნებისას ყოველ საარჩევნო კომისიაში?
- მხოლოდ სამის.
- მხოლოდ ორის.
- მხოლოდ ხუთის.
- მხოლოდ ერთის.

2229. საოლქო საარჩევნო კომისია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საფინანსო ანგარიშს წარუდგენს თავის ანგარიშზე არსებული ნაშთის ჩარიცხვიდან:
- 1 კვირის ვადაში.
- 4 კვირის ვადაში.
- 3 კვირის ვადაში.
- 2 კვირის ვადაში.

2230. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საარჩევნო კომისიის წევრის მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომას?
- გაფრთხილება.
- თანამდებობრივი დაქვეითება.
- შენიშვნა.
- ხელფასის ნაწილის დაკავება.

2231. საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების შემთხვევაში, როდის უნდა შეიქმნას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან უწყებათაშორისი კომისია?
- არჩევნების დანიშვნიდან 5 დღის ვადაში.
- არჩევნების დანიშვნიდან 3 დღის ვადაში.
- არჩევნების დანიშვნიდან 8 დღის ვადაში.
- არჩევნების დანიშვნიდან 15 დღის ვადაში.

2232. არჩევნებზე დამკვირვებელს უფლება არა აქვს:
- მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე და მათი გახსნის შემდეგ.
- ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში.
- დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და სხვა დოკუმენტების შედგენას.
- დაესწროს ამომრჩეველთა ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებს.

2233. მოხელე სამსახურში მიიღება
- დანიშვნით ან დამტკიცებით.
- დანიშვნით ან არჩევით.
- დამტკიცებით ან არჩევით.
- მხოლოდ დანიშვნით.

2234. რა შემთხვევაში და როდის ტარდება თბილისის საკრებულოს შუალედური არჩევნები?
- თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ თბილისის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, კანონით დადგენილი წესით ტარდება შუალედური არჩევნები. შუალედური არჩევნები ტარდება უახლოეს ივნისში ან ოქტომბერში, იმ პირობით, რომ შესაბამისი თვის ბოლომდე 60 დღე მაინც არის დარჩენილი. შუალედური არჩევნები არ ტარდება, თუ საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 1 წელზე ნაკლებია დარჩენილი.
- თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ თბილისის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, კანონით დადგენილი წესით ტარდება შუალედური არჩევნები. შუალედური არჩევნები ტარდება უახლოეს მაისში ან ოქტომბერში, იმ პირობით, რომ შესაბამისი თვის ბოლომდე 60 დღე მაინც არის დარჩენილი. შუალედური არჩევნები არ ტარდება, თუ საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 1 წელზე ნაკლებია დარჩენილი.
- თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ თბილისის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, კანონით დადგენილი წესით ტარდება შუალედური არჩევნები. შუალედური არჩევნები ტარდება უახლოეს მაისში ან ოქტომბერში, იმ პირობით, რომ შესაბამისი თვის ბოლომდე 50 დღე მაინც არის დარჩენილი. შუალედური არჩევნები არ ტარდება, თუ საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 1 წელზე ნაკლებია დარჩენილი.
- თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ თბილისის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, კანონით დადგენილი წესით ტარდება შუალედური არჩევნები. შუალედური არჩევნები ტარდება უახლოეს ივნისში ან ოქტომბერში, იმ პირობით, რომ შესაბამისი თვის ბოლომდე 60 დღე მაინც არის დარჩენილი. შუალედური არჩევნები არ ტარდება, თუ საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 1 წელზე მეტია დარჩენილი.

2235. კენჭისყრისას რა შემთხვევაში ითვლება მიღებულად საქართველოს პარლამენტში დადგენილება?
- თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
- თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
- თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.
- თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა.

2236. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო სუბიექტის არც ერთ წარმომადგენელს არ აქვს უფლება, დაესწროს შესაბამისი საარჩევნო კომისიის სხდომებს, მოითხოვოს სიტყვით გამოსვლა და აზრის გამოთქმა, ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.
- საარჩევნო სუბიექტის მხოლოდ 1 წარმომადგენელს აქვს უფლება, დაესწროს შესაბამისი საარჩევნო კომისიის სხდომებს, მოითხოვოს სიტყვით გამოსვლა და აზრის გამოთქმა, ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.
- საარჩევნო სუბიექტის ყველა წარმომადგენელს აქვს უფლება, დაესწროს შესაბამისი საარჩევნო კომისიის სხდომებს, მოითხოვოს სიტყვით გამოსვლა და აზრის გამოთქმა, ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.
- საარჩევნო სუბიექტის მხოლოდ 2 წარმომადგენელს აქვს უფლება, დაესწროს შესაბამისი საარჩევნო კომისიის სხდომებს, მოითხოვოს სიტყვით გამოსვლა და აზრის გამოთქმა, ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.

2237. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აირჩევა?
- უმაღლესი საბჭო აირჩევა 6 წლის ვადით.
- უმაღლესი საბჭო აირჩევა 5 წლის ვადით.
- უმაღლესი საბჭო აირჩევა 4 წლის ვადით.
- უმაღლესი საბჭო აირჩევა3 წლის ვადით.

2238. კონსტიტუციის მიხედვით რომელი სახის ნორმატიული აქტით უნდა განისაზღვროს ქალაქ ლაზიკის სტატუსი და უფლებამოსილებები?
- საქართველოს კანონით
- საქართველოს ორგანული კანონით
- საქართველოს კონსტიტუციით
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით

2239. რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი და რა წესით იღებს საერთაშორისო ორგანიზაციათა დიპლომატიური წარმომადგენლობის აკრედიტაციას?
- საქართველოს პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმებით.
- საქართველოს მთავრობა პრეზიდენტთან კონსულტაციის შემდეგ.
- საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის თანხმობით.
- საქართველოს მთავრობა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით.

2240. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივ აქტებს?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება.

- საუბნო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

2241. საუბნო საარჩევნო კომისიამ საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ამომრჩევლებს კენჭისყრამდე 1 დღით ადრე გადასცა ამომრჩევლის ბარათი. სწორად მოიქცა თუ არა საუბნო საარჩევნო კომისია?
- დიახ, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ამომრჩევლებს კენჭისყრამდე 1 დღით ადრე გადასცეს ამომრჩევლის ბარათი.
- დიახ, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია გადასცეს ამომრჩევლის ბარათი საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ამომრჩევლებს.
- არა, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ამომრჩევლებს კენჭისყრამდე არა უგვიანეს 2 დღისა გადასცეს ამომრჩევლის ბარათი.
- არა. ვინაიდან საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩეველთა სიებში შეყვანილი ამომრჩევლები თვითონ არიან ვალდებული გამოცხადდნენ საუბნო საარჩევნო კომისიაში და მიიღონ ამომრჩევლის ბარათი.

2242. ვინ ადგენს მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშს?
- მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშს დადგენილებით ადგენს საოლქო საარჩევნო კომისია.
- მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშს დადგენილებით ადგენს ცესკო.
- მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშს განკარგულებით ადგენს ცესკო.
- მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშს განკარგულებით ადგენს საოლქო საარჩევნო კომისია.

2243. საპარლამენტო არჩევნებისას პარტიამ „აისი" მოინდომა თავის მიერ დანიშნული ცესკოს წევრის გამოწვევა, თუმცა პარტიას ეს უფლება შეეზღუდა, რადგან არჩევნები უკვე დანიშნული იყო. კანონიერად შეეზღუდა თუ არა პარტიას თავის მიერ დანიშნული ცესკოს წევრის გამოწვევის უფლება?
- კანონიერად შეეზღუდა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, დაუშვებელია ცესკოს წევრის გამოწვევა არჩევნების დანიშვნის დღიდან მისი საბოლოო შედეგების შეჯამებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იქნება ცესკოს თავმჯდომარის თანხმობა.
- კანონიერად შეეზღუდა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, დაუშვებელია ცესკოს წევრის გამოწვევა არჩევნების დანიშვნის დღიდან მისი საბოლოო შედეგების შეჯამებამდე.
- უკანონოდ შეეზღუდა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარტიას ნებისმიერ დროს აქვს უფლება გამოიწვიოს თავის მიერ დანიშნული ცესკოს წევრი.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

2244. მოსამართლის შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება:
- კონსტიტუციითა და კონსტიტუციური შეთანხმებით.
- კონსტიტუციითა და კანონით.
- კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.
- კონსტიტუციით და პარლამენტის დადგენილებით.

2245. ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებული იქნა უსკოში. უსკომ კანონით დადგენილ ვადაში განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება. უსკოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებული იქნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. რა ვადაში უნდა განიხილოს ბათუმის საქალაქო სასამართლომ საჩივარი?
- საქალაქო სასამართლო საჩივარს განიხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში.
- საქალაქო სასამართლო საჩივარს განიხილავს 1 სამუშაო დღის ვადაში.
- საქალაქო სასამართლო საჩივარს განიხილავს 1 კალენდარული დღის ვადაში.
- საქალაქო სასამართლო საჩივარს განიხილავს 2 სამუშაო დღის ვადაში.

2246. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას იღებდა პარტია „ნათება", რომელიც აწარმოებდა წინასაარჩევნო კამპანიას. პარტიას აქტიურად უჭერდა მხარს საქველმოქმედო ფონდი „სიღარიბის გარეშე" და მისი პრეზიდენტი გურამ თარგამაძე, რომელიც წინასაარჩევნო აგიტაციაშიც მონაწილეობდა. ჰქონდა თუ არა ფონდს წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება?
- არ ჰქონდა უფლება, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ რელიგიურ ორგანიზაციას.
- არ ჰქონდა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, დაუშვებელია წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობდეს საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაცია.
- ჰქონდა უფლება, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ორგანიზაციას.
- ჰქონდა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციას.

2247. სწორია თუ არა მსჯელობა? სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს ირჩევს ცესკო:
- არა, რადგან სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის 3 წევრს ირჩევს №1 საოლქო საარჩევნო კომისია სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
- არა, რადგან სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის 3 წევრს ირჩევს №1 საოლქო საარჩევნო კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- დიახ, რადგან სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს ირჩევს ცესკო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
- დიახ, რადგან სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს ირჩევს ცესკო სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

2248. რომელი მსჯელობა არის სწორი?
- კენჭისყრის ყველა პროცედურის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალი იხურება, მას ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი და იგი მოწმდება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით.
- კენჭისყრის ყველა პროცედურის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალი იხურება, მას ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი და იგი მოწმდება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით.
- კენჭისყრის ყველა პროცედურის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალი იხურება, მას ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და იგი მოწმდება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით.
- არც ერთი მსჯელობა არ არის სწორი.

2249. 20 აპრილს, კანონით დადგენილი წესით, უფლებამოსილება შეუწყდა ცესკოს თავმჯდომარეს. საქართველოს პრეზიდენტმა კანონით დადგენილ ვადაში ცესკოს წარუდგინა თავმჯდომარის 2 კანდიდატურა, რომელთაგან ცესკომ აირჩია ერთ-ერთი. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტს ცესკოსთვის უნდა წარედგინა ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე 1 კანდიდატურა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტს ცესკოსთვის უნდა წარედგინა ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე 4 კანდიდატურა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს ცესკოსთვის უნდა წარედგინა ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე 2 კანდიდატურა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტს ცესკოსთვის უნდა წარედგინა ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე 3 კანდიდატურა.

2250. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ახორციელებს საქართველოში კონსტიტუციურ კონტროლს?
- უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.
- საქართველოს პრეზიდენტი.
- მხოლოდ უზენაესი სასამართლო.

2251. რომელი ორგანო (პირი) ადგენს და ამტკიცებს ამომრჩეველთა სპეციალურ სიებს?
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- ცესკოს თავმჯდომარე.
- ცესკო.
- საოლქო საარჩევნო კომისია.

2252. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული რამდენი წევრისგან შედგება საქართველოს პარლამენტი?
- 75 წევრისგან.
- 150 წევრისგან.
- 77 წევრისგან.
- 85 წევრისგან.

2253. სამგორის N3 საარჩევნო უბანზე, სადაც ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანილი იყო 500 ამომრჩეველი, იმავე უბანზე შედგენილ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ იქნა 20 ამომრჩეველი, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეეძლოთ კენჭისყრის შენობაში მისვლა. არის თუ არა მოცემულ კაზუსში რაიმე სახის დარღვევა?
- დიახ, რადგან დარღვეულია გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შესაყვან ამომრჩეველთა კანონით განსაზღვრული რაოდენობა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს მინიმუმ 20 და მაქსიმუმ 1500 ამომრჩეველი, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთიან სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა 2 პროცენტს.
- დიახ, რადგან ამომრჩეველთა ერთიან სიაში საარჩევნო კოდექსის თანახმად შეყვანილ უნდა იქნეს მინიმუმ 600 ამომრჩეველი,

რომელთა საერთო რაოდენობა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილ ამომრჩეველთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს 1500 ადამიანს.
- არა, რადგან ამომრჩეველთა ერთიან სიაში საარჩევნო კოდექსის თანახმად შეყვანილ უნდა იქნეს მინიმუმ 20 და მაქსიმუმ 1500 ამომრჩეველი.

2254. ვინ არის საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი თანამდებობის პირი?
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საოლქო საარჩევნო კომისიის და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი.

2255. რა ასაკიდან შეიძლება აირჩეს პირი საქართველოს პრეზიდენტად?
- 40 წლის ასაკიდან.
- 35 წლის ასაკიდან.
- 30 წლის ასაკიდან.
- 25 წლის ასაკიდან.

2256. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა ნანა კიღურაძემ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაუშვა შეცდომა, რისთვისაც ზემდგომმა საოლქო საარჩევნო კომისიამ დააკისრა ისეთი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, როგორიცაა გაფრთხილება. ნანა კიღურაძემ განმარტა, რომ მას შეცდომა გაუფრთხილებლობით მოუვიდა. საქმის განმხილველმა ორგანომ ნანას განუმარტა, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა განზრახ ჩაიდინა გადაცდომა თუ გაუფრთხილებლობით, მას მოქმედი კანონმდებლობით უნდა დაკისრებოდა დისციპლინური სახდელი. მართებულია თუ არა ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება?
- საქმის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება მართებულია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს დისციპლინური პასუხისმგებლობა ეკისრება სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისთვის.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- საქმის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება არ არის მართებული, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება გაუფრთხილებლობით ჩადენილი გადაცდომისთვის.
- საქმის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება არ არის მართებული, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს დისციპლინური პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენილი გადაცდომისთვის.

2257. საერთაშორისო დამკვირვებლის თანმხლებ თარჯიმანს რეგისტრაციაში ატარებს:
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

2258. მოხელედ ითვლება
- ტექნიკური მუშაკი.
- მძღოლი.
- მთავრობის აპარატის დეპარტამენტის თანამშრომელი.
- დამლაგებელი.

2259. მოხელისათვის საკლასო ჩინის მინიჭება ან ჩამორთმევა ხდება
- მოხელის მიერ ატესტაციის გავლის შედეგების მიხედვით.
- მოხელის მიერ კონკურსის გავლის შედეგების მიხედვით.
- პირადი განცხადების საფუძველზე.
- ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე.

2260. საქართველოში რა ენაზე მზადდება და იმართება რეფერენდუმი?
- ქართულ და რუსულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში აგრეთვე აფხაზურ ენაზე.
- ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში აგრეთვე აფხაზურ ენაზე.
- ქართულ ენაზე, აფხაზეთში აფხაზურ ენაზე, ხოლო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობისთვის სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.
- მხოლოდ ქართულ ენაზე.

2261. საკონსტიტუციო სასამართლოდან მიღებული დასკვნის შემდეგ რა ვადებში განიხილავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

გენერალური აუდიტორის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხს?
- განხილვის დაწყების ვადას ადგენს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
- დასკვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 დღისა.
- დასკვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 30 დღისა.
- კონსტიტუციით ვადა არ არის განსაზღვრული.

2262. კონსტიტუციის მიხედვით, რა ასაკიდან შეიძლება აირჩეს პირი საქართველოს პრეზიდენტად (ასაკობრივი ცენზი)?
- საქართველოს კონსტიტუცია კონკრეტულ ასაკს არ ადგენს.
- საქართველოს კონსტიტუცია კონკრეტულ ასაკს არ ადგენს, მხოლოდ მიუთითებს, რომ პირი ზრდასრული ასაკის უნდა იყოს.
- 35 წლის ასაკიდან.
- 21 წლის ასაკიდან.

2263. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიაში, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის რამდენი პროცენტის ხელმოწერაა საჭირო?
- საერთო რაოდენობის 0,75 პროცენტის.
- საერთო რაოდენობის 0,80 პროცენტის.
- საერთო რაოდენობის 0,40 პროცენტის.
- საერთო რაოდენობის 0,70 პროცენტის.

2264. არჩევნების დღემდე 12 დღით ადრე ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ ”თავისუფალი ხმა” რეგისტრაციაში გატარების მიზნით განცხადებით მიმართა გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიას, სადაც დაკვირვების ობიექტად დაასახელა გლდანის საარჩევნო ოლქი და განცხადებას თან დაურთო სადამფუძნებლო დოკუმენტი. საოლქო საარჩევნო კომისიამ განცხადება მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში განიხილა და გამოიტანა განკარგულება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, იმ მოტივით, რომ ორგანიზაცია ”თავისუფალ ხმას” განცხადების შეტანისთვის კანონით დადგენილი ვადა ჰქონდა გაცდენილი. ორგანიზაციამ კომისიის განკარგულება მისი მიღებიდან მეორე დღეს გაასაჩივრა ცესკოში. სწორად მოიქცა თუ არა დამკვირვებელი ორგანიზაცია?
- არა, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიის უკანონო განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან.
- არა, რადგან მას უნდა მიემართა სასამართლოსთვის.
- დიახ, რადგან იგი მოქმედებდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.
- არა, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება უნდა გაესაჩივრებინა არა უადრეს 2 და არა უგვიანეს 5 დღისა.

2265. როგორ არის განსაზღვრული კონსტიტუციაში საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა?
- საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის საპარლამენტო რესპუბლიკა
- საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოგრაფიული რესპუბლიკა
- საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა
- საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის საპრეზიდენტო რესპუბლიკა

2266. შესაძლებელია თუ არა არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტმა გამოიყენოს მისი ფონდის გარდა სხვა სახსრები?
- შესაძლებელია მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს დადგენილებით.
- შესაძლებელია.
- დაუშვებელია.
- შესაძლებელია მხოლოდ ცესკოს განკარგულებით.

2267. საჯარო სამსახურში მიიღება პირი, თუ იგი
- სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ.
- იმყოფება გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში.
- ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის.
- ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი აქვს ნასამართლობა.

2268. ვინ უნდა წარუდგინოს ცესკოს ნარკოლოგიური შემოწმების დამადასტურებელი ცნობა და საქართველოს პარლამენტის არჩეულ წევრთა სია, რომლებმაც გაიარეს ნარკოლოგიური შემოწმება?
- ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლების მქონე დაწესებულებამ.
- საქართველოს პროკურატურამ.
- საქართველოს მთავარმა პროკურორმა.
- მოსამართლის თანაშემწემ.

2269. ვინ ხელმძღვანელობს კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვას?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი.

2270. ვინ შეიძლება აირჩეს საკრებულოს წევრად?
- საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისათვის შეუსრულდა 18 წელი და საქართველოში მუდმივად უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც.
- საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისათვის შეუსრულდა 21 წელი და საქართველოში მუდმივად უცხოვრია სულ ცოტა 4 წლის განმავლობაში, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც.
- საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისათვის შეუსრულდა 21 წელი და საქართველოში მუდმივად უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 1 წელს მაინც.
- საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისათვის შეუსრულდა 21 წელი და საქართველოში მუდმივად უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც.

2271. საკრებულოს არჩევნებისას საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგებს ბათილად ცნობს:
- ცესკო.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
- ცესკოს თავმჯდომარე.

2272. ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?
- იმ საარჩევნო უბნებისთვის, სადაც არიან მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლები, საუბნო საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს ისეთი ტექნოლოგიის გამოყენებას, რომელიც ამ ამომრჩევლებს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსების საშუალებას მისცემს.
- იმ საარჩევნო უბნებისთვის, სადაც არიან მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლები, ცესკო უზრუნველყოფს ისეთი ტექნოლოგიის გამოყენებას, რომელიც ამ ამომრჩევლებს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსების საშუალებას მისცემს.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- იმ საარჩევნო უბნებისთვის, სადაც არიან მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლები, საოლქო საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს ისეთი ტექნოლოგიის გამოყენებას, რომელიც ამ ამომრჩევლებს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსების საშუალებას მისცემს.

2273. საოლქო საარჩევნო კომისიას საჩივრით მიმართა მოქალაქემ, რომ მას მარკირება არ ჩაუტარდა სათანადო წესით. საოლქო საარჩევნო კომისიამ მოქალაქეს უარი განუცხადა საჩივრის განხილვაზე და მიუთითა, რომ საქართველოში მოქმედი საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის უფლება აქვს მხოლოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. აქვს თუ არა საოლქო საარჩევნო კომისიას საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის უფლება?
- საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს მხოლოდ სასამართლო.
- საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის უფლება აქვს საოლქო საარჩევნო კომისიას.

2274. როდის და ვისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე გაუქმდება საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაცია?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებულებით, თუ მან არ წარადგინა პარტიული სია ან წარდგენილი პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდა.
- საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება ცესკოს თავმჯდომარის დადგენილებით, თუ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-2 დღისა ბლოკის პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობა საარჩევნო კოდექსით დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა.
- საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით საკუთარი განცხადების საფუძველზე.

2275. რომელი უწყებაა უფლებამოსილი, განსაზღვროს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალი, რომელთაც უფლება აქვთ ჩაატარონ პარტიული სიებით სავარაუდოდ არჩეული პარლამენტის წევრების ნარკოლოგიური შემოწმება?
- ცესკოს თავმჯდომარე.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.
- ცესკო.

2276. საქართველოს მოქალაქე უზენაესი სასამართლოს მოსამართლე შეიძლება გახდეს:
- 30 წლის ასაკიდან.
- 28 წლის ასაკიდან.
- 35 წლის ასაკიდან.
- 21 წლის ასაკიდან.

2277. შემაჯამებელი ოქმი არის:
- კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების დამადასტურებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
- არჩევნების შედეგების დამადასტურებელი სამართლებრივი აქტი.
- არჩეული დეპუტატის უფლებამოსილების დამადასტურებელი სამართლებრივი აქტი.
- კენჭისყრის შედეგების დამადასტურებელი სამართლებრივი აქტი.

2278. რამდენი მაჟორიტარული წესით არჩეული წევრისაგან შედგება თბილისის საკრებულო?
- 20.
- 10.
- 30.
- 25.

2279. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი სამართლებრივი აქტი განსაზღვრავს პარლამენტის თავმჯდომარის არჩევის წესს?
- კანონი.
- პარლამენტის რეგლამენტი.
- მთავრობის დადგენილება.
- ორგანული კანონი.

2280. მოცემულთაგან რომელია სწორი მსჯელობა?
- ამომრჩეველთა მარკირება არ გამოიყენება, თუ ამომრჩეველი არის წინააღმდეგი.
- ამომრჩეველთა მარკირება არ გამოიყენება გადასატანი საარჩევნო ყუთით კენჭისყრის მონაწილეთა მიმართ.
- ამომრჩეველთა მარკირება საერთოდ არ გამოიყენება.
- ამომრჩეველთა მარკირება არ გამოიყენება 23 წლამდე ამომრჩევლის მიმართ.

2281. კონსტიტუციის 27-ე მუხლის ნორმათა გათვალისწინებით მონიშნეთ სწორი პასუხი:
- საქართველოს სახელმწიფო უფლებამოსილია შეზღუდოს სხვა ქვეყნის მოქალაქეთა პოლიტიკური საქმიანობა
- საქართველოს სახელმწიფო უფლებამოსილია აკრძალოს საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ბიზნეს-საქმიანობა
- საქართველოს სახელმწიფო უფლებამოსილია უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის დააწესოს კომერციული საქმიანობის შეზღუდვები
- განურჩევლად მოქალაქეობის კუთვნილებისა ან მოქალაქეობის არქონისა საქართველოში ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანია

2282. ვის აქვს პრემიერ-მინისტრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება?
- პრემიერ-მინისტრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული.
- საქართველოს პრეზიდენტს.
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობას.

2283. პრეზიდენტის არჩევნებისას რამდენი წარმომადგენლის დანიშვნის უფლება აქვს საარჩევნო კომისიაში არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას?
- საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლის დანიშვნის უფლება აქვთ მხოლოდ საარჩევნო ბლოკს და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს.
- ყოველ საარჩევნო კომისიაში ორი წარმომადგენლის.
- სამი წარმომადგენლის.
- ერთი წარმომადგენლის.

2284. ვინ იღებს გადაწყვეტილებას საუბნო საარჩევნო კომისიის განთავსების შენობიდან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის გაძევების საკითხზე?
- გადაწყვეტილებას იღებს ცესკო.
- გადაწყვეტილებას იღებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- გადაწყვეტილებას იღებს საუბნო საარჩევნო კომისია.

- გადაწყვეტილებას იღებს ზემდგომი საარჩევნო კომისია.

2285. ცესკოს მდივანმა კანკიამ გადაწყვიტა, რომ ოჯახური პირობების გამო გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან. თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით მან განცხადებით მიმართა ცესკოს თავმჯდომარეს. სწორად მოიქცა თუ არა კანკია?
- კანკია არ მოიქცა სწორად, ვინაიდან ცესკოს მდივანმა გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს.
- კანკია არ მოიქცა სწორად, ვინაიდან ცესკოს მდივანმა გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.
- კანკია მოიქცა სწორად, ვინაიდან ცესკოს მდივანმა გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს უშუალოდ ცესკოს თავმჯდომარეს.
- კანკია არ მოიქცა სწორად, ვინაიდან ცესკოს მდივანმა გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს პარლამენტს.

2286. რა სახის სამართლებრივი აქტით ანიჭებს დამკვირვებლის სტატუსს საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ადგილობრივ არასამეწარმეო იურიდიულ პირებს?
- დადგენილებით.
- ბრძანებით.
- ბრძანებულებით.
- განკარგულებით.

2287. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს:
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

2288. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რა ვადაში ტარდება რიგგარეშე არჩევნები?
- პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს მე-60 დღისა.
- პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 30-ე დღისა.
- პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს მე-15 დღისა.
- პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 45-ე დღისა.

2289. როდის ტარდება უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები?
- უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ნოემბერში.
- უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის აპრილში.
- უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის იანვარში.
- უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში.

2290. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს:
- მაჟორიტარ კანდიდატს.
- საარჩევნო ბლოკს.
- შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პარტიას.
- ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს.

2291. ცესკოში მიმდინარეობდა პარტიების მხარდამჭერთა სიების შემოწმება. პარტიის წარმომადგენელმა მოითხოვა ამ პროცესზე დასწრება, თუმცა ცესკომ უარი განუცხადა მას. ცესკომ უარი დაასაბუთა იმით, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარტიის წარმომადგენელს მხარდამჭერთა სიების შემოწმებაზე დასწრების უფლება არ ჰქონდა, რადგან ამით დაირღვეოდა არჩევნების გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად ჩატარების პრინციპი. სწორად მოიქცა თუ არა ცესკო?
- ცესკოს გადაწყვეტილება კანონიერია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, არავის აქვს უფლება დაესწროს პარტიის მხარდამჭერთა სიების შემოწმების პროცესს.
- ცესკოს გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად პარტიის წარმომადგენელს აქვს უფლება დაესწროს მხარდამჭერთა სიების შემოწმების პროცესს.
- ცესკოს გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად პარტიის წარმომადგენელს აქვს უფლება დაესწროს მხარდამჭერთა სიების შემოწმების პროცესს მხოლოდ ცესკოს თავმჯდომარის დადგენილებით.
- ცესკოს გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად პარტიის წარმომადგენელს აქვს უფლება დაესწროს მხარდამჭერთა სიების შემოწმების პროცესს მხოლოდ ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით.

2292. საარჩევნო ბიულეტენების, სპეციალური კონვერტების, კომისიის ბეჭდების, შემაჯამებელი ოქმებისა და სხვა საარჩევნო საბუთების შენახვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება:
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს.
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

2293. პარტიულ სიაში უნდა აღინიშნოს ყოველი კანდიდატის:
- პარტიულობა.
- პიროვნების სიმაღლე.
- ინფორმაცია მის წარსულზე.
- გარეგნული თვისებები.

2294. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლება აქვს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს?
- ბრძანების.
- დადგენილების.
- განკარგულების და ბრძანების.
- განკარგულების.

2295. ხმების დათვლის პროცედურის დაწყებისას, პირველად რომელი საარჩევნო ყუთი იხსნება?
- პირველად იხსნება სპეციალური საარჩევნო ყუთი.
- პირველად იხსნება გადასატანი საარჩევნო ყუთი.
- ყველა საარჩევნო ყუთი იხსნება ერთდროულად.
- პირველად იხსნება ძირითადი საარჩევნო ყუთი.

2296. ვინ ადგენს პატიმრობაში მყოფი პირებისათვის სპეციალურ სიას?
- პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელი ცესკოს თანხმობით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელი.

2297. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრებიდან მე-5 დღეს და წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრებიდან მე-2 დღეს და წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრებიდან მე-3 დღეს და წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების დღეს და წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე.

2298. სახელმწიფო მოსამსახურეს 5 წელიწადში ერთხელ თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით ეძლევა სასწავლო შვებულება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით
- 15 კალენდარული დღის ოდენობით.
- 5 თვემდე ვადით.
- 3 თვემდე ვადით.
- 6 თვემდე ვადით.

2299. შეიძლება თუ არა ერთი და იმავე პირის შეყვანა სხვადასხვა პარტიულ სიაში?
- შეიძლება.
- დაუშვებელია.
- მისაღებია.
- გააჩნია რა შემთხვევაში.

2300. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა:

- ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის მიზნით.
- ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით.
- ყველა პასუხი სწორია.
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების მიზნით.

2301. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, ვინ არ არის უფლებამოსილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის გამო შეიტანოს სარჩელი სასამართლოში?
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი.
- შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო რეგისტრაციის მქონე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი.
- დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაცია.
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი.

2302. საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღი საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან 48 საათში დანიშნა საქართველოს პარლამენტმა. კანონიერად მოქმედებდა თუ არა საქართველოს პარლამენტი?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არაუგვიანეს 72 საათისა ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტამდე 48 საათით ადრე ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არაუგვიანეს 48 საათისა ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტამდე არაუგვიანეს 72 საათისა ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

2303. საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ, საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო, სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს:
- საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან.
- საქართველოს სახალხო დამცველს.
- საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას/საარჩევნო ბლოკს.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

2304. რა შემთხვევაში შეიძლება რეფერენდუმის გამართვა?
- საქართველოში მასობრივი არეულობის დროს.
- არც ერთ შემთხვევაში.
- მეზობელ ქვეყანაში სამხედრო გადატრიალების დროს.
- ქვეყნის საომარ მდგომარეობაში ყოფნისას.

2305. კონსტიტუციის მიხედვით ვის აქვს კონსტიტუციის გადასინჯვის ინიცირების უფლება (კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის პარლამენტში შეტანის უფლება)?
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.
- საქართველოს სახალხო დამცველს.
- მთავრობის მეთაურს.
- საქართველოს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს.

2306. მას შემდეგ, რაც საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედი დაილუქება ცალკე პაკეტში, ვინ აწერს პაკეტს ხელს?
- საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის სხვა წევრები.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

2307. საარჩევნო უბანზე მისულმა მოქალაქე გიორგი მგელაძემ თავისი გვარი ვერ აღმოაჩინა ამომრჩეველთა ერთიან სიაში. კომისიამ გადაამოწმა გიორგის მონაცემები და განუმარტა, რომ მას დღეს შეუსრულდა 18 წელი და არ ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მართებულია თუ არა კომისიის პასუხი?
- კომისიის პასუხი არ არის კანონიერი, რადგან მოქმედი საარჩევნო კოდექსის მიხედვით ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიტანება იმ პირთა მონაცემები, რომელსაც არჩევნების დღეს შეუსრულდა 16 წელი.
- კომისიის პასუხი კანონიერია, რადგან მოქმედი საარჩევნო კოდექსის მიხედვით ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიტანება იმ პირთა მონაცემები, რომელსაც არჩევნების დღეს შეუსრულდა 21 წელი.
- კომისიის პასუხი კანონიერია, რადგან მოქმედი საარჩევნო კოდექსის მიხედვით ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიტანება იმ პირთა

მონაცემები, რომელსაც არჩევნების წინა დღეს შეუსრულდა 18 წელი.
- კომისიის პასუხი არ არის კანონიერი, რადგან მოქმედი საარჩევნო კოდექსის მიხედვით ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიტანება იმ პირთა მონაცემები, რომელსაც არჩევნების დღეს შეუსრულდა 18 წელი.

2308. როგორია საქართველოს მთავრობის კონსტიტუციური სტატუსი?
- საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო.
- საქართველოს მთავრობა არის მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანო.
- მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი პრეზიდენტის სათათბირო ორგანო.
- მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანო.

2309. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით?
- დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა
- კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფო უზრუნველყოფს სკოლამდელ აღზრდას
- მოქალაქეებს უფლება აქვთ სახელმწიფოს 10 %-იანი დაფინანსებით მიიღონ უმაღლესი განათლება
- ყველას აქვს განათლების მიღების უფლება

2310. თუ პარტიული სიის იმ ნაწილში, რომელიც შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, დადგენილ მინიმუმზე ნაკლები კანდიდატი დარჩა:
- რეგისტრაციაში გატარდება პარტიული სიის დარჩენილი ნაწილი.
- პარტიული სია რეგისტრაციაში მაინც გატარდება.
- არც პარტიული სია და არც წარდგენილი კანდიდატები რეგისტრაციაში არ გატარდება.
- რეგისტრაციაში გატარდება მხოლოდ პარტიულ სიაში მითითებული მაჟორიტარი კანდიდატები.

2311. ხმათა რა რაოდენობით ხდება პარლამენტის მიერ ცესკოს წევრების არჩევა?
- პარლამენტის სრული შემადგენლობის ორ მესამედზე მეტით.
- დამსწრეთა უმრავლესობით.
- პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

2312. რას ნიშნავს აქტიური საარჩევნო უფლება?
- მოქალაქის უფლება, ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებში, რეფერენდუმში, პლებისციტში.
- მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად.
- საარჩევნო სუბიექტების კანდიდატისა და საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული 2 ან მეტი პარტიის გაერთიანება.

2313. კონსტიტუციის მიხედვით ვინ უწყობს ხელს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას?
- არასამთავრობო ორგანიზაციები და ფონდები
- სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი
- რეგიონალური განვითარების სამინისტრო
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები

2314. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი საარჩევნო სუბიექტს წარმოადგენს:
- შესაბამის საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობაში.
- სასამართლოსთან ურთიერთობაში.
- ერთდროულად ყველა საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობაში.
- მხოლოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობაში.

2315. ვინ შეიძლება იყოს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ადგილობრივი დამკვირვებელი?
- მოსამართლე.
- საქართველოს პარლამენტის წევრი.

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომელი.

2316. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელია გათვალისწინებული კონსტიტუციაში:
- საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფიგურას სპორტულ სამყაროში.
- საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლებას საგარეო ურთიერთობებში.
- საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.
- საქართველოს პრეზიდენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში.

2317. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ტარდება თუ არა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები?
- ტარდება.
- რა თქმა უნდა, მისი გადადება შეუძლებელია.
- არ ტარდება.
- საგანგებო ან საომარი მდგომარეობა ხელს არ უშლის პრეზიდენტის არჩევნებს.

2318. კონსტიტუციის მიხედვით რომელი ორგანო წყვეტს საქართველოს ტერიტორიის გასხვისების საკითხს?
- საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმზე
- საქართველოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია
- საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტთან და ეროვნული უშიშროების საბჭოსთან შეთანხმებით
- რუსეთის პრეზიდენტი, სახელმწიფო სათათბიროსთან და რუსეთის მთავრობასთან შეთანხმებით

2319. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- საარჩევნო კომისიის წევრს უფლება აქვს, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი და ამით კიდევ უფრო უზრუნველყოს კენჭისყრის გამჭვირვალობა.
- საარჩევნო კომისიის წევრს არა აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი და ამით დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად ამომრჩეველი უარს აცხადებს ხმის მიცემის ფარულობაზე და ეს შეთანხმებულია შესაბამისი კომისიის თავმჯდომარესთან.
- საარჩევნო კომისიის წევრს არა აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი ან სხვაგვარად დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა.
- საარჩევნო კომისიის წევრს არა აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი და ამით დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად ამომრჩეველი უარს აცხადებს ხმის მიცემის ფარულობაზე.

2320. რომელი მსჯელობაა სწორი:
- განცხადება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ წარედგინება საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-3 დღისა.
- განცხადება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-3 დღისა.
- განცხადება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ წარედგინება საგარეო საქმეთა სამინისტროს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-3 დღისა.
- განცხადება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-5 დღისა.

2321. საქართველოს მოქალაქე ცეცხლაძე რეგისტრირებული იყო N1 საოლქო საარჩევნო კომისიაში ადგილობრივ დამკვირვებლად და არჩევნებს აკვირდებოდა ზ/აღნიშნულ ოლქში. ცეცხლაძემ მოინდომა, რომ არჩევნების პროცესზე დაკვირვება განეხორციელებინა ზ/აღნიშნულ ოლქში შემავალ ერთ-ერთ საუბნო საარჩევნო კომისიაზე, რაზეც N1 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უარი განუცხადა ცეცხლაძეს. შეაფასეთ N1 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედების კანონიერება.
- N1 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება არაკანონიერია, რადგან საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით საოლქო საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს მხოლოდ ცესკოში.
- N1 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება არაკანონიერია, რადგან საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით საოლქო საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს მხოლოდ ამ საოლქო საარჩევნო და მასში შემავალ ნებისმიერ საუბნო საარჩევნო კომისიაში.
- N1 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება არაკანონიერია, რადგან საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით საოლქო საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს მხოლოდ იმ საოლქო საარჩევნო კომისიაში სადაც დარეგისტრირებულია დამკვირვებლად და არა ამ ოლქში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიებზე.
- N1 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება არაკანონიერია, რადგან საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით საოლქო საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს ყველა დონის

ნებისმიერ საარჩევნო კომისიაში.

2322. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, საჯარო სამსახურში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ
- სახელმწიფო მოხელედ.
- შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.
- დამხმარე მოსამსახურედ.
- მოწვეულ სპეციალისტად.

2323. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ყოველი 5 საარჩევნო ბიულეტენი იკვრება ლითონის შემკერით და ყოველ შეკვრას, როგორც სრულს, ისე არასრულს, ზემოდან ეწერება შეკრული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.
- ყოველი 15 საარჩევნო ბიულეტენი იკვრება ლითონის შემკერით და ყოველ შეკვრას, როგორც სრულს, ისე არასრულს, ზემოდან ეწერება შეკრული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.
- ყოველი 20 საარჩევნო ბიულეტენი იკვრება ლითონის შემკერით და ყოველ შეკვრას, როგორც სრულს, ისე არასრულს, ზემოდან ეწერება შეკრული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.
- ყოველი 10 საარჩევნო ბიულეტენი იკვრება ლითონის შემკერით და ყოველ შეკვრას, როგორც სრულს, ისე არასრულს, ზემოდან ეწერება შეკრული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.

2324. საქართველოს პარლამენტმა დადგენილებით ვადაზე ადრე შეუწყვიტა უფლებამოსილება ცესკოს წევრს იმის გამო, რომ საკონკურსოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში მონაცემები არასწორად იყო მითითებული. კანონიერია თუ არა პარლამენტის დადგენილება?
- კანონიერია, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით, თუ საკონკურსოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში მონაცემები არასწორად იქნება მითითებული.
- კანონიერია, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება საქართველოს პარლამენტის განკარგულებით, თუ საკონკურსოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში მონაცემები არასწორად იქნება მითითებული.
- კანონიერია, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, თუ საკონკურსოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში მონაცემები არასწორად იქნება მითითებული.
- უკანონოა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საკონკურსოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში მონაცემების არასწორი მითითება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ცესკოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტას.

2325. საპარლამენტო არჩევნებისას შეიქმნა საარჩევნო ბლოკი „დიდება საქართველოს", სადაც გაწევრიანებული იყო რამდენიმე პარტია. პარტიული სიების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ აღნიშნული ბლოკიდან გაირიცხა პარტია „ერთიანობა". ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამის გამო გააუქმა პარტიის რეგისტრაცია, რითიც მას აეკრძალა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. რამდენად სამართლიანია ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება?
- ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონიერია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარტიული სიების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ საარჩევნო ბლოკიდან პარტიის გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში, ცესკოს თავმჯდომარის დადგენილებით უქმდება ამ პარტიის საარჩევნო რეგისტრაცია.
- ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარტიული სიების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ საარჩევნო ბლოკიდან პარტიის გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში, თითოეულ მათგანს უფლება აქვს, გააგრძელოს არჩევნებში მონაწილეობა.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონიერია, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარტიული სიების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ საარჩევნო ბლოკიდან პარტიის გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში, ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უქმდება ამ პარტიის საარჩევნო რეგისტრაცია.

2326. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენა უნდა დადასტურდეს არანაკლებ:
- 25 000 ამომრჩევლის ხელმოწერით.
- 50 000 ამომრჩევლის ხელმოწერით.
- 20 000 ამომრჩევლის ხელმოწერით.
- 10 000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

2327. არჩევნების საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია, რომელიც დაკვირვებას ახორციელებდა ერთ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში გაატარა შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია, რომელიც დაკვირვებას ატარებს არა უმეტეს ერთ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას ნებისმიერ შემთხვევაში რეგისტრაციაში

ატარებს ცესკო.
- დიახ, რადგან არჩევნების საერთაშორისო თუ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს ნებისმიერ შემთხვევაში რეგისტრაციაში ატარებს ცესკო.

2328. კონსტიტუციის მიხედვით, რა არის დაკავების საფუძველი?
- კანონით განსაზღვრული შემთხვევები
- სატელეფონო ზარი პოლიციაში
- პოლიციის მიერ მორიგი რეიდის ჩატარება
- პიროვნების ქურდული წარსული

2329. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის იქმნება 77 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
- საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის იქმნება 63 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
- საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის იქმნება 75 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
- საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის იქმნება 73 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.

2330. რა სახის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ამომრჩევლების ხელმოწერათა რაოდენობა?
- ორგანული კანონით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით.
- კანონით.
- კონსტიტუციური კანონით.

2331. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- ერთსა და იმავე საკითხზე რეფერენდუმის დანიშვნა არ შეიძლება იმ დღიდან 1 წლის განმავლობაში, როდესაც ოფიციალურად გამოქვეყნდა ამ საკითხზე გამართული რეფერენდუმის შედეგები.
- ერთსა და იმავე საკითხზე რეფერენდუმის დანიშვნა დაუშვებელია.
- ერთსა და იმავე საკითხზე რეფერენდუმის დანიშვნა არ შეიძლება იმ დღიდან 6 თვის განმავლობაში, როდესაც ოფიციალურად გამოქვეყნდა ამ საკითხზე გამართული რეფერენდუმის შედეგები.
- ერთსა და იმავე საკითხზე რეფერენდუმის დანიშვნა არ შეიძლება იმ დღიდან 2 წლის განმავლობაში, როდესაც ოფიციალურად გამოქვეყნდა ამ საკითხზე გამართული რეფერენდუმის შედეგები.

2332. ამომრჩევლის მიერ წარდგენილ დოკუმენტში აღნიშნული ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემები შეესაბამება სიაში არსებულ მონაცემებს, მაგრამ ამომრჩეველთა რეგისტრატორმა ამ ამომრჩევლის სახე და წარდგენილ დოკუმენტში ან ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათი ერთმანეთთან შეუსაბამოდ მიიჩნია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მსჯელობა არის სწორი?
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი ამომრჩეველს სთხოვს დატოვოს კენჭისყრის შენობა.
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების შესრულების შემდეგ, ამომრჩეველს სთხოვს დატოვოს კენჭისყრის შენობა, ვინაიდან ამომრჩეველს არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების შესრულების შემდეგ, ამომრჩეველს მისცემს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას.
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი ინიშნავს აღნიშნულ ფაქტს და ამომრჩეველზე გასცემს საარჩევნო ბიულეტენს.

2333. დამკვირვებელთა სიაში აღინიშნება დამკვირვებლის:
- სოციალური მდგომარეობა.
- განათლება.
- დაბადების თარიღი.
- გვარი, სახელი, რეგისტრაციის ადგილი და საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი.

2334. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივ აქტებს?
- ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება.
- ცესკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულება.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბრძანება.

2335. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით პარლამენტმა თანამდებობიდან გადააყენა, ანუ პრეზიდენტს უფლებამოსილება ვადამდე ადრე შეუწყდა, რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობებს?

- საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
- პარლამენტის ბიურო.

2336. რომელი მსჯელობაა სწორი:
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა 5- კაციანი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამის საარჩევნო კომისიაში.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელიც რეგისტრირებულია საოლქო საარჩევნო კომისიაში.

2337. პარტიის მიერ დანიშნულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს, რომელიც ზედიზედ ორჯერ რეგლამენტით განსაზღვრულ დროზე 5 წუთით გვიან გამოცხადდა სამსახურში, ზემდგომმა საოლქო საარჩევნო კომისიამ უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეუწყვიტა. კანონიერი იყო თუ არა ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის მოქმედება?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის სახით უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამოყენების უფლება ზემდგომ საარჩევნო კომისიას არ გააჩნია.
- დიახ, რამდენადაც პარტიის მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მოქმედებას არაერთგზისი ხასიათი ჰქონდა და შესაბამისად საოლქო საარჩევნო კომისიას ჰქონდა მის მიმართ ყველაზე მკაცრი დისციპლინური სანქციის გამოყენება უფლება.
- არა, რამდენადაც პარტიის მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მოქმედება საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომას არ წარმოადგენს, შესაბამისად მის მიმართ დისციპლინური სანქციის გამოყენება დაუშვებელია.
- დიახ, რამდენადაც პარტიის მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მოქმედება საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს, რის მიმართაც დისციპლინური სანქციის გამოყენება შესაძლებელია.

2338. რა სახის ნორმატიული აქტით არის დადგენილი საქართველოში საერთო იურისდიქციის სასამართლოთა სისტემა?
- საქართველოს ორგანული კანონით.
- საქართველოს კონსტიტუციით.
- საქართველოს კონსტიტუციური კანონით.
- საქართველოს კანონით.

2339. რომელი მსჯელობაა სწორი?
- უსკო ბრძანებით ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს.
- საარჩევნო პერიოდში უსკო განკარგულებით ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს.
- უსკოსთავმჯდომარე განკარგულებითქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს.
- უსკო დადგენილებით ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს.

2340. სასამართლოში სარჩელის შეტანა:
- აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.
- არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- მხარის მოთხოვნით სასამართლო აჩერებს გადაწყვეტილების მოქმედებას.

2341. რომელი პასუხია მცდარი? საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, კომისიის წევრთაგან წილისყრით გამოავლენს:
- კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს, რომელიც აგრეთვე ამოწმებს ამომრჩეველთა მარკირებას.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღებ კომისიის ორ წევრს.
- ამომრჩეველთა რეგისტრატორ კომისიის წევრებს.
- სპეციალური კონვერტის კომისიის ბეჭდით დამმოწმებელ კომისიის წევრს.

2342. საეჭვოდ მიჩნეული ბიულეტენების ნამდვილობის საკითხს წყვეტს:

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია კენჭისყრით.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრით.
- საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრით.

2343. კონსტიტუციის მიხედვით როგორი სახელმწიფოს დამკვიდრება სურთ საქართველოს მოქალაქეებს?
- სამართლიანი სახელმწიფოს
- თეოკრატიული, საეკლესიო სახელმწიფოს
- სოციალისტური სახელმწიფოს
- სამართლებრივი სახელმწიფოს

2344. რამდენი წევრისაგან შედგება საოლქო საარჩევნო კომისია?
- ცამეტი.
- თორმეტი.
- თერთმეტი.
- ათი.

2345. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად პარტიის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს რამდენი დღისა უნდა წარუდგინოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია?
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 25 დღისა.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 35 დღისა.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 30 დღისა.
- კენჭისყრამდე არა უგვიანეს 40 დღისა.

2346. რა სახის სამართლებრივი აქტით ადგენს და ამტკიცებს უფლებამოსილი საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სპეციალურ სიებს?
- ბრძანებით.
- ბრძანებულებით.
- დადგენილებით.
- განკარგულებით.

2347. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია არასწორი?
- არჩევნების მოსამზადებლად და ჩასატარებლად საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯი და მისი საქმიანობა უფლებამოსილების განხორციელების ვადაში ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციას, ცესკოს სახით, უფლება აქვს, მიიღოს გრანტი კანონით უფლებამოსილი პირისაგან.
- წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ცესკოს ქმედების გასაჩივრება არ იწვევს შესყიდვების პროცედურების შეჩერებას.
- ცესკოსთვის ფულადი სახსრების გამოყოფის თაობაზე იძულებითი აღსრულება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდიდან.

2348. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმებას, მიიღება:
- სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ.
- სხდომაზე დამსწრეთა არანაკლებ ორი მესამედის მიერ.
- სხდომაზე დამსწრეთა არანაკლებ ერთი მესამედის მიერ.
- სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მიერ.

2349. 300000 ამომრჩეველმა თხოვნით მიმართა პრეზიდენტს, რათა ჩატარებულიყო რეფერენდუმი საკითხზე: უნდა მიეღოთ თუ არა კანონი სასჯელის უმაღლესი ზომის - სიკვდილით დასჯის აღდგენის თაობაზე. შეუძლია თუ არა საქართველოს პრეზიდენტს, დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა?
- შეუძლია, რადგანაც ისეთი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხის გადაწყვეტა, როგორიც სასჯელის უმაღლესი ზომის შესახებ კანონის მიღებაა, მიზანშეწონილია მხოლოდ საერთო-სახალხო გამოკითხვის მეშვეობით.
- არ შეუძლია, რადგანაც ამგვარი თხოვნით პრეზიდენტს შეუძლია მიმართოს არანაკლებ 500000 ამომრჩეველმა.
- არ შეუძლია, რადგანაც არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად.
- შეუძლია, რადგანაც მას ამგვარი თხოვნით მიმართა მოსახლეობის იმ რაოდენობამ, რომელიც გამოხატავს ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ აზრს.

2350. თუ სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არჩევნების დღემდე მე-19 დღისათვის დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა. რა წესით უნდა მოხდეს კომისიის წევრთა არჩევა?
- კომისიის წევრებს აირჩევს ცესკო 3 დღის ვადაში კონკურსში მონაწილე კანდიდატთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე.
- კომისიის წევრებს აირჩევს ამ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე 7 დღის ვადაში.
- კომისიის წევრებს აირჩევს ცესკო 5 დღის ვადაში.
- კომისიის წევრებს აირჩევს საქართველოს პარლამენტის ბოლო არჩევნებზე პირველ სამ ადგილზე გასული პარტია 7 დღის ვადაში.

2351. რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი წარუდგენს საქართველოს პარლამენტს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად?
- საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.
- პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი.
- საქართველოს პრეზიდენტი.

2352. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთის მიზნით კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციის მუშაკების ყოფნა შესაძლებელია მხოლოდ:
- საუბნო საარჩევნო კომისიის ნებართვით.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნებართვით.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით.

2353. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი დაუყოვნებლივ, ოქმის შევსებისთანავე, თავის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით გაუგზავნოს ცესკოს.
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი ოქმის შევსებიდან მომდევნო დღეს, გაუგზავნოს ცესკოს.
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი ოქმის შევსებიდან 24 საათის განმავლობაში, თავის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით გაუგზავნოს ცესკოს.
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი ოქმის შევსებიდან 48 საათის განმავლობაში, თავის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით გაუგზავნოს ცესკოს.

2354. საქართველოში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. აღნიშნული არჩევნების მიმართ საზოგადოების ძალიან დიდი ინტერესი არსებობდა. აქედან გამომდინარე, რომ არ მომხდარიყო საარჩევნო კომისიებზე ზეწოლა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ რაიონებში საოლქო საარჩევნო კომისიები განთავსებულიყო გუბერნატორის ადმინისტრაციის შენობებში. რამდენად შეესაბამება ცესკოს გადაწყვეტილება მოქმედ კანონმდებლობას?
- ცესკოს გადაწყვეტილება შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. საქართველოს საარჩევნო კოდექსით შესაძლებელია საოლქო კომისიების განთავსება გუბერნატორის ადმინისტრაციის შენობებში.
- ცესკოს გადაწყვეტილება შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. საქართველოს საარჩევნო კოდექსით შესაძლებელია საოლქო კომისიების განთავსება გუბერნატორის ადმინისტრაციის შენობებში, მხოლოდ ცესკოს თავმჯდომარის თანხმობით.
- ცესკოს გადაწყვეტილება არ შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. საქართველოს საარჩევნო კოდექსით დაუშვებელია საოლქო კომისიების განთავსება გუბერნატორის ადმინისტრაციის შენობებში.
- ცესკოს გადაწყვეტილება არ შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. საქართველოს საარჩევნო კოდექსით დაუშვებელია საოლქო კომისიების განთავსება გუბერნატორის ადმინისტრაციის შენობებში. ცესკოს შეეძლო საარჩევნო კომისიები განეთავსებინა გამგეობის შენობებში.

2355. თუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს ერთდროულად, ან კომისიის მდივანს დროებით არ შეუძლიათ საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული მოვალეობების შესრულება და შესასრულებელია ისეთი მოქმედება, რომელიც კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას მიეკუთვნება, ვინ ასრულებს მას?
- საარჩევნო კომისიის უხუცესი წევრი.
- კომისიის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილი პირი.
- საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის მოვალეობის შემსრულებელი.
- საარჩევნო კომისიის ნებისმიერი წევრი.

2356. კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაში შეიძლება მოქალაქეს შეეზღუდოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებული ინფორმაციის გაცნობის უფლება?
- თუ ინფორმაცია დაკავშირებულია მის ფინანსებთან
- თუ ინფორმაცია მასსა და მის მეუღლეს შორის არსებულ დავას ეხება

- თუ ინფორმაცია სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას შეიცავს
- თუ ინფორმაცია დაკავშირებულია მის ჯანმრთელობასთან

2357. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებულნი არიან, გაითვალისწინონ პლებისციტის შედეგები.
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის პლებისციტის შედეგები სარეკომენდაციო ხასიათისაა.
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებულნი არიან, აღასრულონ პლებისციტის შედეგები.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

2358. რა ვადაში უნდა დაუბრუნდეს ცესკოს საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთვის შესწორებული საბუთები ?
- შეტყობინებიდან არაუგვიანეს მე-4 დღისა.
- შეტყობინებიდან არაუგვიანეს მე-3 დღისა.
- შეტყობინებიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა.
- შეტყობინებიდან არაუგვიანეს მე-5 დღისა.

2359. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი შუალედური არჩევნების თარიღს ნიშნავს და საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:
- გადაწყვეტილებით.
- განკარგულებით.
- საოქმო ჩანაწერით.
- დადგენილებით.

2360. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული საუბნო საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი წევრი ნინო მაისურაძე იმავდროულად მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ, ამის შესახებ ცნობილი გახდა საარჩევნო სუბიექტისათვის, რომელმაც აღნიშნული გაასაჩივრა შესაბამის ორგანოში, იმ არგუმენტით რომ საარჩევნო კოდექსის თანახმად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც მოსამართლის თანაშემწეა. სწორი იყო თუ არა საარჩევნო სუბიექტის მოქმედება?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს პირი, რომელიც მუშაობს მოსამართლის თანაშემწედ.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს პირი, რომელიც მოსამართლეა და არა მისი თანაშემწე.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსი კრძალავს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობასთან ერთად შეთავსებით სხვა სამსახურში საქმიანობას.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, მოსამართლის თანაშემწედ მუშაობა არ წარმოადგენს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის შემზღუდავს.

2361. საბურთალოს საარჩევნო ოლქის N3 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა ლაშა ცხადაძემ უარი განაცხადა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის სავალდებულო ხელმოწერაზე, რადგან იგი არ ეთანხმებოდა ოქმში არსებულ მონაცემებს. ლაშას ზემდგომმა საოლქო საარჩევნო კომისიამ დააკისრა დისციპლინური სახდელის ისეთი სახე, როგორიცაა გაფრთხილება. კანონიერად დაეკისრა თუ არა ლაშას დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა?
- უკანონოდ დაეკისრა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ ცესკოს.
- უკანონოდ დაეკისრა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ლაშას ქმედება არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.
- უკანონოდ დაეკისრა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ისეთ სახეს, როგორიცაა გაფრთხილება.
- კანონიერად დაეკისრა, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის სავალდებულო ხელმოწერაზე უარის თქმა არის დისციპლინური გადაცდომა და ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას აქვს უფლება, ლაშას მიმართ გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ისეთი ზომა, როგორიცაა გაფრთხილება.

2362. სწორია თუ არა მსჯელობა? საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია:
- დიახ, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- არა, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიის 5 წევრს ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
- არა, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიის 5 წევრს ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- დიახ, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიის 3 წევრს ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

2363. რა უნდა აღინიშნოს ამომრჩეველთა სიის გრაფაში „ფაქტობრივი მდგომარეობა“ იმ ამომრჩევლის გვარის გასწვრივ, რომელიც სხვა სახელმწიფოში იმყოფება მაგრამ არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე?
- არაფრის აღნიშვნა არ არის საჭირო.
- არ არის საკონსულო აღრიცხვაზე.
- საკონსულო აღრიცხვაზეა.
- იმყოფება უცხოეთში.

2364. კონსტიტუციის რომელი მუხლით დადგენილი წესით ხელმძღვანელობს პარლამენტი პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებისას იმპიჩმენტის წესით?
- კონსტიტუციის ბოლო, 109-ე მუხლით.
- 1563-ე მუხლით.
- 63-ე მუხლით.
- პირველი მუხლით.

2365. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციაში?
- პრომულგაციისათვის, ანუ ხელმოწერისა და გამოქვეყნებისათვის პარლამენტიდან მიღებულ კანონპროექტს პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს.
- პრეზიდენტი გამოაქვეყნებს კანონპროექტს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.
- პრეზიდენტი გადასცემს კანონპროექტს დასკვნისათვის საკონსტიტუციო სასამართლოს.
- პრეზიდენტი გადასცემს კანონპროექტს ხელმოწერისა და გამოქვეყნებისათვის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს.

2366. ერთი და იმავე ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას უფლება აქვს საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს:
- ოთხი დამკვირვებლისა.
- ერთი დამკვირვებლისა.
- ხუთი დამკვირვებლისა.
- ორი დამკვირვებლისა.

2367. საოლქო საარჩევნო კომისიის პარტიის მიერ დანიშნულ წევრებს უფლებამოსილება უწყდებათ?
- საბოლოო შედეგის ცესკოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერისთანავე.
- საარჩევნო დღის დასრულებისთანავე.
- არცერთი პასუხი არა არის სწორი.
- შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე.

2368. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელი არ არის სწორი?
- აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში.
- აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა საგზაო ნიშნებზე.
- აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შენობების მხოლოდ ექსტერიერში.
- აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე.

2369. რა წესით ხდება მოქალაქეობის ჩამორთმევა საქართველოში?
- იუსტიციის მინისტრის წარდგინებით მთავრობამ უნდა მიიღოს შესაბამისი დადგენილება
- საქართველოში საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია
- პარლამენტმა სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით უნდა მიიღოს შესაბამისი დადგენილება
- პარლამენტმა სრული შემადგენლობის უმრავლესობით უნდა მიიღოს შესაბამისი დადგენილება

2370. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?
- საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება ზემდგომისაარჩევნო კომისიის განკარგულებით (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა), თუ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ფაქტი.
- საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება უსკოსთავმჯდომარის ბრძანებულებით (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა), თუ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ფაქტი.
- საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება უსკოსდადგენილებით (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა), თუ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ფაქტი.

- საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება ზემდგომისაარჩევნო კომისიის ბრძანებით (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა), თუ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ფაქტი.

2371. კონსტიტუციის მიხედვით, რა საკითხებზე არ არის უფლებამოსილი პრეზიდენტი დანიშნოს რეფერენდუმი?
- სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ.
- პარლამენტის ადგილსამყოფელის შესახებ.
- ორპალატიანი პარლამენტის შექმნის შესახებ.
- კანონის გასაუქმებლად.

2372. კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- პროკურატურის ორგანოების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
- პროკურატურის ორგანოების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს იუსტიციის მინისტრი.
- პროკურატურის ორგანოების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს მთავარი პროკურორი.
- პროკურატურის ორგანოების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს პრემიერ-მინისტრი.

2373. განმეორებითი კენჭისყრა შეიძლება დაინიშნოს:
- არჩევნების მხოლოდ მეორე ტურის შემდეგ.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- არჩევნების მხოლოდ პირველი ტურის შემდეგ.
- არჩევნების როგორც პირველი ტურის, ისე მეორე ტურის შემდეგ.

2374. ორგანიზაცია 'HUMAN RIGHTS' -მა, რომელიც კანონით დადგენილი წესის შესაბამისად რეგისტრირებული იყო ცესკოს მიერ საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციად, საარჩევნო უბანში წარმოადგინა 2 დამკვირვებელი თავისი თარჯიმნით. საარჩევნო კომისიამ ორი დამკვირვებლიდან მხოლოდ ერთს მისცა უფლება თარჯიმანთან ერთად განეხორციელებინა არჩევნებზე დაკვირვება. კანონიერად მოიქცა თუ არა საარჩევნო კომისია?
- არა, რადგან საერთაშორისო ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს 2 საერთაშორისო დამკვირვებლის მეშვეობით.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო უბანში ერთდროულად არ შეიძლება ერთზე მეტი დამკვირვებელი ჰყავდეს ერთი და იმავე ორგანიზაციას.
- არა, რადგან მას უნდა შეეზღუდა არა საერთაშორისო დამკვირვებლის არამედ თარჯიმნის დასწრება.
- არა, რადგან საერთაშორისო ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს არა უმეტეს 5 დამკვირვებლის მეშვეობით.

2375. სად შეიტანება სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი?
- საარჩევნო ბიულეტენში.
- ამომრჩეველთა ხელმოწერების ფურცლებში.
- სარეფერენდუმო კონვერტში.
- განსაკუთრებულ ბიულეტენში.

2376. მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს ადგენს
- საქართველოს მთავრობა.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
- საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2377. რა დროში უნდა დასრულდეს კანდიდატის მხარდამჭერთა სიის შემოწმება?
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- მისი წარდგენიდან 20 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს სიის წარდგენის ვადის ამოწურვიდან მე-8დღისა.
- მისი წარდგენიდან 3 დღის ვადაში.
- მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს სიის წარდგენის ვადის ამოწურვიდან მე-5დღისა.

2378. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული რამდენი წევრისგან შედგება თვითმმართველი ქალაქის საკრებულო, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 75 000-ს?
- 10 წევრისგან.
- 3 წევრისგან.
- 5 წევრისგან.
- 15 წევრისგან.

2379. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი საარჩევნო სუბიექტს წარმოადგენს მხოლოდ იუსტიციის სამინისტროსთან ურთიერთობაში.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი საარჩევნო სუბიექტს წარმოადგენს მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობაში.
- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი საარჩევნო სუბიექტს წარმოადგენს მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობაში.

2380. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი ორგანოს ან თანამდებობის პირის გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება საქართველოს მთავრობის ფორმირება?
- საქართველოს პარლამენტისა და საკონსტიტუციო სასამართლოს.
- საქართველოს პარლამენტის.
- საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე.
- საქართველოს პრეზიდენტის.

2381. რომელი იურიდიული ფაქტის დადგომასთან არის დაკავშირებული კონსტიტუციაში პარლამენტის მიერ მუშაობის დაწყება?
- მთავრობის მიერ უფლებამოსილების მოხსნასთან.
- ახალარჩეული პარლამენტის წევრთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილების დადასტურებასთან.
- პრეზიდენტის ბრძანებულების გამოცემასთან.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებასთან.

2382. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო ბიულეტენების ზუსტი აღრიცხვის მიზნით, თითოეული სახის საარჩევნო ბიულეტენები თანამიმდევრობით ინომრება და 30-30 ცალად იკინძება ბლოკნოტების სახით.
- საარჩევნო ბიულეტენების ზუსტი აღრიცხვის მიზნით, თითოეული სახის საარჩევნო ბიულეტენები თანამიმდევრობით ინომრება და 75-75 ცალად იკინძება ბლოკნოტების სახით.
- საარჩევნო ბიულეტენების ზუსტი აღრიცხვის მიზნით, თითოეული სახის საარჩევნო ბიულეტენები თანამიმდევრობით ინომრება და 25-25 ცალად იკინძება ბლოკნოტების სახით.
- საარჩევნო ბიულეტენების ზუსტი აღრიცხვის მიზნით, თითოეული სახის საარჩევნო ბიულეტენები თანამიმდევრობით ინომრება და 50-50 ცალად იკინძება ბლოკნოტების სახით.

2383. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლება აქვს ცესკოს თავმჯდომარეს?
- ბრძანებულების, ბრძანების და განკარგულების.
- დადგენილების.
- განკარგულების და ბრძანების.
- მხოლოდ განკარგულების.

2384. მოხელეს უფროს საჯარო თანამდებობაზე შეიძლება მიენიჭოს შემდეგი საკლასო ჩინი
- პირველი, მეორე, მესამე კლასის მრჩეველი.
- საჯარო სამსახურის პირველი, მეორე, მესამე კლასის მრჩეველი.
- საჯარო სამსახურის პირველი, მეორე, მესამე კლასის რეფერენტი.
- ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი, სახელმწიფო მრჩეველი.

2385. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ნიშნავს პარლამენტის არჩევნებს საქართველოში?
- მორიგ და რიგგარეშე არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
- მორიგ არჩევნებს ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე, რიგგარეშეს - პრეზიდენტი.
- მორიგ არჩევნებს - პრეზიდენტი, რიგგარეშეს - ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- მორიგ და რიგგარეშე არჩევნებს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

2386. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ამომრჩეველთა ერთიანი სია არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.
- ამომრჩეველთა ერთიანი სია არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.
- ამომრჩეველთა ერთიანი სია არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო ოლქების მიხედვით.

- ამომრჩეველთა ერთიანი სია არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, პასიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.

2387. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას.
- საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო პოლიტიკის განხორციელებას.
- საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელებას.
- საქართველოს მთავრობა ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

2388. უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული უსკოს წევრების უფლებამოსილების ვადაა?
- 2 წელი.
- 3 წელი.
- 4 წელი.
- 5 წელი.

2389. მთავრობის ფორმირების საჭიროება მოჰყვება ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობას. ვინ წარუდგენს პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურას?
- მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატების ჯგუფი.
- პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტი.
- პროპორციული წესით არჩეული დეპუტატების ჯგუფი.
- არავის წარდგენა არ არის საჭირო, პრეზიდენტი ერთპიროვნულად გადაწყვეტს ვინ წამოაყენოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად.

2390. კონსტიტუციის მიხედვით ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროს, თავისი ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთი საშუალება არის:
- სასამართლოსადმი მიმართვის უფლება
- სახალხო საკანონმდებლო ინიციატივის უფლება
- გაფიცვა
- რეფერენდუმი

2391. ამომრჩეველმა ზ. მაისურაძემ არჩევნებამდე 18 დღით ადრე მოითხოვა ამომრჩეველთა სიაში ცვლილების შეტანა მისი ოჯახის წევრის მონაცემებთან დაკავშირებით. მართებულია თუ არა ზ. მაისურაძის ქმედება?
- არ არის მართებული, რადგანაც უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში ზ. მაისურაძეს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 20-ე დღისა უნდა მოეთხოვა ამომრჩეველთა სიაში ცვლილების შეტანა.
- არ არის მართებული, რადგანაც ამომრჩეველთა სიაში ცვლილების შეტანის მოთხოვნის უფლება არ აქვს ამომრჩეველს.
- დიახ მართებულია, რადგანაც ამომრჩეველს უფლება აქვს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-16 დღისა მოითხოვოს ამომრჩეველთა მონაცემებსა და ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა მისი ოჯახის წევრის მონაცემებთან დაკავშირებით.
- დიახ მართებულია, რადგანაც ამომრჩეველს ნებისმიერ დროს უფლება აქვს გაეცნოს მისი და მისი ოჯახის წევრთა შესახებ არსებულ ყველა მონაცემს და მოითხოვოს მათში ცვლილების შეტანა.

2392. კონსტიტუციის მიხედვით რომელი მოვლენებით დასტურდება ის, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო?
- 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის აქტით
- 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმით და 1992 წლის 21 თებერვალს 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენით
- 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის აქტითა და 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიღებით
- 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნებში ეროვნულ-გამათავისუფლებელი ძალების - ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" გამარჯვებით

2393. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი წყვეტს განცხადების წარდგენიდან:
- 5 დღის ვადაში.
- 3 დღის ვადაში.
- 1 დღის ვადაში.
- 9 დღის ვადაში.

2394. რა შემთხვევაში შეიძლება რეფერენდუმის გამართვა?

- განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხზე.
- საქართველოში შეიარაღებული ამბოხების დროს.
- საქართველოში მასობრივი არეულობის შემთხვევაში.
- საქართველოში შეირაღებული თავდასხმის შემთხვევაში.

2395. რა შემთხვევაში შეიძლება განთავსდეს საუბნო საარჩევნო კომისია და კენჭისყრის ადგილი გამოიყოს იმ შენობაში, რომელშიც განთავსებულია საარჩევნო სუბიექტი - პოლიტიკური პარტია?
- იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკური პარტიის მიერ დაკავებულ შენობაში საუბნო საარჩევნო კომისიის განთავსების შესახებ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება.
- ქვეყანაში გამოცხადებული საომარი მდგომარეობის დროს.
- იმ შემთხვევაში, როდესაც საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე არ არის სხვა, შესაფერისი შენობა კანონის შესაბამისად კენჭისყრის ჩასატარებლად.
- დაუშვებელია ნებისმიერ შემთხვევაში.

2396. რომელია მცდარი პასუხი? საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგნენ და გათავისუფლდნენ შემდეგი თანამდებობის პირები:
- საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს და საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრები.
- სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების თანაშემწეები.
- საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლები.
- საქართველოს სახალხო დამცველი.

2397. რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ნიშნავს თანამდებობაზე პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ორგანოს (ადმინისტრაციის) პირველ პირს?
- საქართველოს მთავრობა.
- საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო.
- საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს პრეზიდენტი.

2398. სწორია თუ არა მსჯელობა? საარჩევნო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს განცხადება (საჩივარი), თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი:
- არა, რადგან საარჩევნო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს განცხადება (საჩივარი), თუ დარღვეულია მხოლოდ მისი შეტანის წესი.
- არა, რადგან საარჩევნო კომისია ვალდებულია არ განიხილოს განცხადება (საჩივარი), თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი.
- დიახ, რადგან საარჩევნო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს განცხადება (საჩივარი), თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი.
- არა, რადგან საარჩევნო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს განცხადება (საჩივარი), თუ დარღვეულია მხოლოდ მისი შეტანის ვადა.

2399. სარეფერენდუმოდ შეთავაზებული საკითხის რეგისტრაციაზე ცესკოს უარის გამო, საინიციატივო ჯგუფმა უარის მიღებიდან მესამე დღეს საჩივარი შეიტანა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. სწორად მოიქცა თუ არა საინიციატივო ჯგუფი ?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საინიციატივო ჯგუფს შეუძლია ცესკოს უარი გაასაჩივროს რეგისტრაციაში გატარებაზე უარის მიღებიდან 5 დღის ვადაში.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საინიციატივო ჯგუფს შეუძლია ცესკოს უარი გაასაჩივროს რეგისტრაციაში გატარებაზე უარის მიღებიდან 2 დღის ვადაში.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საინიციატივო ჯგუფს შეუძლია ცესკოს უარი გაასაჩივროს რაიონულ/საქალაქო სასამართლოში.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს განკარგულება რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმის შესახებ არ საჩივრდება.

2400. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილმა საკონკურსო კომისიამ, ცესკოს წევრობის კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან მე-4 დღეს პრეზიდენტს წარუდგინა 8 კანდიდატურა. თითო ვაკანსიაზე 4 კანდიდატურა. კანდიდატების შერჩევიდან მე-7 დღეს პრეზიდენტმა შერჩეული კანდიდატები წარუდგინა საქართველოს პარლამენტს. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან საკონკურსო კომისიას არ დაურღვევია პრეზიდენტისათვის კანდიდატურების წარდგენის ვადა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საკონკურსო კომისიის მიერ პრეზიდენტს უნდა წარედგინოს თითო ვაკანსიაზე თითო კანდიდატურა.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან ცესკოს წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის

წარდგინებით.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საკონკურსო კომისიის მიერ პრეზიდენტს უნდა წარედგინოს თითო ვაკანსიაზე არანაკლებ ორი და არაუმეტეს 3 კანდიდატურისა.

2401. ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან რომელი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლს?
- გადასახადებიდან განთავისუფლება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით.
- გადასახადებიდან განთავისუფლება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონით.
- გადასახადებიდან განთავისუფლება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.
- გადასახადებიდან განთავისუფლება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

2402. რა პირობაა დადგენილი კონსტიტუციაში თანამდებობიდან მთავრობის წევრის-მინისტრის ნებაყოფლობით გადადგომისათვის?
- კონსტიტუცია არავითარ პირობას არ ითვალისწინებს, ეს მინისტრის დისკრეციული უფლებაა.
- გადადგომა დასაშვებია მხოლოდ პრემიერ-მინისტრის წერილობითი თანხმობით.
- გადადგომა დასაშვებია პრემიერ-მინისტრის ან პირველი ვიცე-პრემიერის წერილობითი თანხმობით.
- გადადგომა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მინისტრი წარმოადგენს პრემიერ-მინისტრის მეუღლის წერილობით თანხმობას.

2403. N1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებულ იქნა ცესკოში. ცესკომ კანონით დადგენილ ვადაში განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება. ცესკოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლომ ასევე განიხილა საჩივარი და გადაწყვიტა იგი. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო სასამართლოში. საჩივრის შეტანიდან რა ვადაში უნდა განიხილოს სააპელაციო სასამართლომ საჩივარი?
- სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს საჩივრის შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.
- სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს საჩივრის შეტანიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
- სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს საჩივრის შეტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.
- სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს საჩივრის შეტანიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.

2404. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებულ მოხელეს კომპენსაცია:
- არ მიეცემა.
- მიეცემა 3 თვისთანამდებობრივისარგოსოდენობით.
- მიეცემა 1 თვისთანამდებობრივისარგოსოდენობით.
- მიეცემა 2 თვისთანამდებობრივისარგოსოდენობით.

2405. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილ პირთაგან ვინ არ შედის პარლამენტის ბიუროს შემადგენლობაში?
- საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები.
- პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეები.
- პარლამენტის ადმინისტრაციის უფროსი.
- პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები.

2406. თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, განცხადება ამის შესახებ უნდა გამოიკრას:
- მხოლოდ კენჭისყრის კაბინაში (ოთახში).
- როგორც კენჭისყრის შენობაში, ისე ფარული კენჭისყრის კაბინაში (ოთახში).
- ადგილს განსაზღვრავს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია.
- მხოლოდ საარჩევნო უბანში.

2407. რომელი არ მიეკუთვნება საარჩევნო ადმინისტრაციას?
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- საქალაქო საარჩევნო კომისია.

2408. როგორ არის შეზღუდული (თუ რა თქმა უნდა რაიმე შეზღუდვა არსებობს) თავის საქმიანობაში პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, მაგალითად ვიცე-პრეზიდენტი?
- კონსტიტუცია მისთვის არავითარ შეზღუდვებს არ აწესებს.
- არ შეუძლია გამოიყენოს 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლება - დაითხოვოს

თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.
- ვიცე-პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოს კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული, შესაბამისად პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ის ვერ გახდება.
- არ შეუძლია გამოიყენოს 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლება - დაითხოვოს პარლამენტი.

2409. პარლამენტის არჩევნებამდე რამდენი დღით ადრე უნდა განისაზღვროს საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი?
- არჩევნების დღემდე არაუადრეს 50-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა.
- არჩევნების დღემდე არაუადრეს 35-ე და არაუგვიანეს 25-ე დღისა.
- არჩევნების დღემდე არაუადრეს მე-40 და არაუგვიანეს 30-ე დღისა.
- არჩევნების დღემდე არაუადრეს 36-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა.

2410. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს უფლებამოსილების ვადა გასდიოდა 21 ოქტომბერს, ხოლო ცესკომ გამოსცა განკარგულება ვაკანტურ ადგილზე კონკურსის გამოცხადების თაობაზე 19 ოქტომბერს. კანონიერად მოქმედებდა თუ არა ცესკო?
- კანონიერად მოქმედებდა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 3 დღისა ცესკო გამოსცემს განკარგულებას კონკურსის ჩატარების შესახებ.
- არ მოქმედებდა კანონიერად, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 30 დღისა ცესკო გამოსცემს განკარგულებას კონკურსის ჩატარების შესახებ.
- კანონიერად მოქმედებდა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 2 დღისა ცესკო გამოსცემს განკარგულებას კონკურსის ჩატარების შესახებ.
- არ მოქმედებდა კანონიერად, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 60 დღისა ცესკო გამოსცემს განკარგულებას კონკურსის ჩატარების შესახებ.

2411. საპარლამენტო არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი განისაზღვრება არჩევნების დღემდე?
- არაუადრეს 36-ე და არაუგვიანეს მე-20 დღისა.
- არაუადრეს 36-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა.
- არაუადრეს 36-ე და არაუგვიანეს 25-ე დღისა.
- არაუადრეს 34-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა.

2412. პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც:
- რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ნახევარზე მეტ ხმას მიიღებს.
- მოწინააღმდეგეზე მეტ, მაგრამ ამომრჩეველთა არანაკლებ 60 % ხმას მიიღებს.
- მოწინააღმდეგეზე მეტ ხმას მიიღებს.
- მოწინააღმდეგეზე მეტ ხმას მიიღებს, მაგრამ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ ერთი მესამედისა.

2413. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ერთი და იმავე საფუძვლით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის/მდივნის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის 3 თვის განმავლობაში ზედიზედ სამჯერ დაყენება აკრძალულია.
- ერთი და იმავე საფუძვლით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის/მდივნის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის 6 თვის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ დაყენება აკრძალულია.
- ერთი და იმავე საფუძვლით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის/მდივნის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის 3 თვის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ დაყენება აკრძალულია.
- ერთი და იმავე საფუძვლით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის/მდივნის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის 6 თვის განმავლობაში ზედიზედ სამჯერ დაყენება აკრძალულია.

2414. რომელი მსჯელობაა სწორი?
- კენჭისყრის დროს საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება.
- კენჭისყრის დროს კომისიის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ორზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება.
- კენჭისყრის დროს კომისიის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება.
- კენჭისყრის დროს საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ორზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება.

2415. ყოველი არჩევნების დასრულებიდან რა ვადაშია ვალდებული ცესკო წარმოადგინოს ანგარიში არჩევნების მიმდინარეობის შესახებ?
- 45 დღის ვადაში.
- 50 დღის ვადაში.
- 60 დღის ვადაში.

- ერთი თვის ვადაში.

2416. სად აღინიშნება ამომრჩევლის გადაყვანა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში და ვის მიერ უნდა იქნას ის დადასტურებული?
- ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში, რაც დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით.
- ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში, რაც დასტურდება საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით.
- ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში, რაც დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ხელმოწერებით.
- ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში, რაც დასტურდება საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ხელმოწერებით.

2417. ქვემოთ მოყვანილი მოსაზრებებიდან რომელია სწორი?
- მოსამსახურეს შეიძლება მიეცეს შვებულება ანაზღაურების გარეშე არა უმეტეს 6 თვისა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- მოსამსახურეს შეიძლება მიეცეს შვებულება ანაზღაურების გარეშე არა უმეტეს 2 წლისა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- მოსამსახურეს შეიძლება მიეცეს შვებულება ანაზღაურების გარეშე არა უმეტეს 3 წლისა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- მოსამსახურეს შეიძლება მიეცეს შვებულება ანაზღაურების გარეშე არა უმეტეს 1 წლისა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2418. კონსტიტუციის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ პრემიერ-მინისტრი ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას, რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ასრულებს მის მოვალეობას?
- თანამდებობის მიხედვით პირველი ვიცე-პრემიერის უფლებამოსილების მქონე მთავრობის წევრი.
- საქართველოში ორიგინალური საპრეზიდენტო მმართველობის ფორმაა, ამიტომ პრემიერი ერთდროულად სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების (მთავრობის) მეთაურის ფუნქციებს შეასრულებს.
- მთავრობის ერთ-ერთი ვიცე-პრემიერი იმისდა მიხედვით თუ რა სიტუაციაში მოხდა პრეზიდენტის უფლებამოსილებების ვადამდე ადრე შეწყვეტა.
- საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი.

2419. გადასატანი საარჩევნო ყუთის სია დგება ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიების საფუძველზე, თუ:
- ამომრჩეველი იმყოფება საზღვარგარეთ.
- ამომრჩეველი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრია.
- ამომრჩეველი იმყოფება პატიმრობაში.
- ამომრჩეველი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრია.

2420. რამდენი პარტიული სიის წარდგენის უფლება აქვს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ საარჩევნო ბლოკს?
- ორი პარტიული სია.
- სამი პარტიული სია.
- საარჩევნო ბლოკს პარტიული სიის წარდგენის უფლება არ აქვს.
- თითო პარტიული სია.

2421. რომელი მოთხოვნა არ არის სავალდებულო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატისათვის?
- იურიდიული განათლება.
- საქართველოს სახელმწიფო ენის ცოდნა.
- არანაკლებ 3 წლის შრომითი გამოცდილება.
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

2422. ჩამოთვლილთაგან რომელ დოკუმენტში აისახება კენჭისყრისა და არჩევნების შედეგები?
- საუბნო საარჩევნო კომისიის, საოლქო საარჩევნო კომისიის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების ჩანაწერთა წიგნში.
- ცესკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.
- ცესკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების სადემონსტრაციო ოქმებში.
- საუბნო საარჩევნო კომისიის, საოლქო საარჩევნო კომისიის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების სარეგისტრაციო ოქმებში.

2423. რა სახის სამართლებრივი აქტით თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე?
- ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებულებით.
- პარლამენტის დადგენილებით.

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით.
- ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით.

2424. მოხელე ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო სამსახურიდან შეიძლება განთავისუფლდეს
- ავადმყოფობის ან დასახიჩრების გამო სამსახურში ზედიზედ 4 თვის, ან კალენდარული წლის მანძილზე 5 თვის გამოუცხადებლობის გამო.
- ავადმყოფობის ან დასახიჩრების გამო სამსახურში ზედიზედ 4 თვის, ან კალენდარული წლის მანძილზე 6 თვის გამოუცხადებლობის გამო.
- ავადმყოფობის ან დასახიჩრების გამო სამსახურში ზედიზედ 2 თვის, ან კალენდარული წლის მანძილზე 4 თვის გამოუცხადებლობის გამო.
- ავადმყოფობის ან დასახიჩრების გამო სამსახურში ზედიზედ 1 თვის, ან კალენდარული წლის მანძილზე ორი თვის გამოუცხადებლობის გამო.

2425. ვინ ატარებს რეგისტრაციაში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს?
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს დადგენილებით რეგისტრაციაში ატარებს პარლამენტი.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს ბრძანებულებით რეგისტრაციაში ატარებს ცესკოს თავმჯდომარე.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს ცესკოს თავმჯდომარე.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს დადგენილებით რეგისტრაციაში ატარებს ცესკოს თავმჯდომარე.

2426. რა სახის სამართლებრივი აქტით ადგენს უფლებამოსილი ორგანო (პირი) საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში არჩევნების ჩატარების წესსა და ვადებს?
- პრეზიდენტი ბრძანებულებით.
- თავდაცვის მინისტრი ბრძანებით.
- ცესკო განკარგულებით.
- ცესკო დადგენილებით.

2427. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის
- მხოლოდ ორი ზომა.
- მხოლოდ ერთი ზომა – საყვედური.
- მხოლოდ ერთი ზომა.
- ერთდროულად ორი ზომა – შენიშვნა და გაფრთხილება.

2428. საოლქო საარჩევნო კომისიის პარტიის მიერ დანიშნულ წევრებს უფლებამოსილება უწყდებათ?
- არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების დღიდან.
- საბოლოო შედეგის უსკოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერისთანავე.
- შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე.
- საარჩევნო დღის დასრულებისთანავე.

2429. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის განცხადების წარდგენიდან რა ვადაში უნდა გადადგეს თანამდებობიდან საქართველოს პრეზიდენტი?
- განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მე-7 დღისა.
- განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა.
- განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.

2430. N1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებულ იქნა ცესკოში. ცესკომ კანონით დადგენილ ვადაში განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება. რა ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოს გადაწყვეტილება?
- ცესკოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
- ცესკოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.
- ცესკოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.
- ცესკოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.

2431. ვინ და რამდენი ხნის ვადაში ნიშნავს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს?
- საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან

არა უგვიანეს 72 საათისა ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 48 საათისა ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 52 საათისა ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 24 საათისა ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.

2432. საარჩევნო კომისიის წევრის/ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი არ არის:
- არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 2 თვის განმავლობაში ცესკოს ან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/წევრის უფლებამოსილების შეუსრულებლობა.
- თუ საარჩევნო კომისიის წევრმა დაიკავა კანონით განსაზღვრული, საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა.
- არასაპატიო მიზეზით 1 თვის განმავლობაში ცესკოს ან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/წევრის უფლებამოსილების შეუსრულებლობა.
- თუ გამოვლინდა, რომ არასწორია საკონკურსოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული მონაცემები – ამ ფაქტის გამოვლენის დღიდან.

2433. რა ვადაში საჩივრდება უსკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება?
- უსკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება საჩივრდება მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღისვადაში.
- უსკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება საჩივრდება მისი მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
- უსკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება საჩივრდება მისი მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.
- უსკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება საჩივრდება მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღისვადაში.

2434. მიღებიდან რა ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 4 დღის ვადაში.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 1 დღის ვადაში.

2435. მოქალაქემ მიმართა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მოითხოვა საკრებულოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების შესახებ საჯარო ინფორმაცია. საკრებულომ გასცა მოთხოვილი ინფორმაცია და იმავე პირს დააკისრა ამ მონაცემების ასლების გადაღების ღირებულების გადახდა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, კანონიერია თუ არა საკრებულოს მოქმედება?
- არ არის კანონიერი, ვინაიდან პირს აქვს უფლება, უსასყიდლოდ მიიღოს სხვა პირის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებული პერსონალური მონაცემების ასლები.
- არ არის კანონიერი, ვინაიდან დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის.
- არ არის კანონიერი, თუ პირი თანხმობას არ განაცხადებს ინფორმაციის ასლის გადაღების ღირებულების გადახდაზე.
- კანონიერია, ვინაიდან პირს აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების შესახებ ინფორმაცია; ამასთანავე, ის ვალდებულია აანაზღაუროს ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხა.

2436. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების გამო, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცესკოში გასაჩივრების შემთხვევაში, განცხადება/საჩივარი განუხილველი რჩება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების გამო, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცესკოში გასაჩივრების შემთხვევაში, განცხადება/საჩივარი განიხილება 2 დღის ვადაში.
- საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების გამო, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცესკოში გასაჩივრების შემთხვევაში, განცხადება/საჩივარი განიხილება 1 დღის ვადაში.
- საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების გამო, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცესკოში გასაჩივრების შემთხვევაში, განცხადება/საჩივარი განიხილება 3 დღის ვადაში.

2437. ვინ და რამდენი ხნის ვადაში აქვეყნებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საქართველოში და საქართველოს ყოველ საარჩევნო ოლქში?
- არჩევნების დანიშვნიდან 3 დღის ვადაში და შემდგომ, კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-3 დღისა საოლქო საარჩევნო კომისია თავის ვებგვერდზე.
- არჩევნების დანიშვნიდან 5 დღის ვადაში და შემდგომ, კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-5 დღისა საოლქო საარჩევნო კომისია თავის ვებგვერდზე.
- არჩევნების დანიშვნიდან 3 დღის ვადაში და შემდგომ, კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-3 დღისა ცესკო თავის ვებგვერდზე.

- არჩევნების დანიშვნიდან 5 დღის ვადაში და შემდგომ, კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-5 დღისა ცესკო თავის ვებგვერდზე.

2438. საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე დარჩენილი იყო 30 დღე, როდესაც განისაზღვრა ერთ- ერთი საარჩევნო სუბიექტის - პოლიტიკური პარტია „ახალი დემოკრატიული საქართველოს“ რიგითი ნომერი. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- დიახ, რადგან საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი განისაზღვრება არჩევნებამდე 50 დღით ადრე.
- დიახ, რადგან საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი განისაზღვრება არჩევნებამდე 60 დღით ადრე.
- არა, რადგან საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი განისაზღვრება არჩევნებამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა.
- არა, რადგან საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი განისაზღვრება არჩევნებამდე არაუგვიანეს 50 დღისა.

2439. კონსტიტუციისა და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი წყვეტს უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხს?
- საქართველოს უზენაესი სასამართლო
- საქართველოს პრეზიდენტი
- საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წერილობითი თანხმობით (კონტრასიგნაციით)
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

2440. როგორი წესით გადასცემენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საარჩევნო კომისიებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის საჭირო შენობა-ნაგებობებს და ინვენტარს?
- საარჩევნო კომისიებს ასეთი შენობა-ნაგებობები და ინვენტარი გადაეცემათ სამუდამოდ დაუსასყიდლოდ.
- საარჩევნო კომისიებს ასეთი შენობა-ნაგებობები და ინვენტარი გადაეცემათ დროებით დალიზინგით.
- საარჩევნო კომისიებს ასეთი შენობა-ნაგებობები და ინვენტარი გადაეცემათ დროებით დაუსასყიდლოდ.
- საარჩევნო კომისიებს ასეთი შენობა-ნაგებობები და ინვენტარი გადაეცემათ დროებით დაქირავნობის ხელშეკრულებით.

2441. ვინ ნიშნავს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს?
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს პარლამენტი.

2442. დასაშვებია თუ არა საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნების დროს შესაბამისი ფონდის სახსრების გარდა სხვა სახსრების გამოყენება?
- დასაშვებია შესაბამისი საარჩევნო კომისიის თანხმობით.
- დასაშვებია.
- დაუშვებელია.
- დასაშვებია შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობით.

2443. რომელი მსჯელობაა სწორი?
- თუ უფლებამოსილი პარტიები კანონით დადგენილ ვადაში არ დანიშნავენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, ცესკო უფლებამოსილია შეავსოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები საჭირო რაოდენობამდე.
- თუ უფლებამოსილი პარტიები კანონით დადგენილ ვადაში არ დანიშნავენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, ცესკო აძლევს მათ დამატებით 2-დღიან ვადას კომისიის წევრის დანიშვნისათვის.
- თუ უფლებამოსილი პარტიები კანონით დადგენილ ვადაში არ დანიშნავენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, ცესკო აძლევს მათ დამატებით 5-დღიან ვადას კომისიის წევრის დანიშვნისათვის.
- თუ უფლებამოსილი პარტიები კანონით დადგენილ ვადაში არ დანიშნავენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, ცესკო აძლევს მათ დამატებით 3-დღიან ვადას კომისიის წევრის დანიშვნისათვის.

2444. ვისთვის არის შესასრულებლად სავალდებულო საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით?
- მხოლოდ კომისიის წევრთათვის.
- მხოლოდ ამომრჩეველთათვის.
- მხოლოდ დამკვირვებელთათვის.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

2445. საოლქო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის:
- დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანო.

- დროებითი ტერიტორიული ორგანო.
- მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო.
- მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანო.

2446. კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის წევრთა რა რაოდენობა არის საჭირო პრეზიდენტის მიერ ვეტოს გამოყენების შემთხვევაში კანონპროექტის პირვანდელი რედაქციის მიღებისათვის?
- კანონის პროექტის მიღებისათვის - პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
- პარლამენტი ვერ გადალახავს პრეზიდენტის ვეტოს, პრეზიდენტის ვეტო აბსოლუტურია.
- კანონის პროექტის მიღებისათვის - დამსწრეთა უმრავლესობით.
- კანონის პროექტის მიღებისათვის - პარლამენტის სიითი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

2447. რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელ გადაწყვეტილებას არ იღებს საქართველოს პრეზიდენტი:
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- რეფერენდუმის აგიტაციის შესახებ.
- რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნაზე მოტივირებული უარის შესახებ.
- რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ.

2448. საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ, საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო, სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს:
- საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას.
- საქართველოს მოქალაქეს 23 წლის ასაკიდან.
- საარჩევნო კომისიის ნებისმიერ წევრს.
- საპარლამენტო ფრაქციას.

2449. რა უფლებამოსილება გააჩნია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას იმ შემთხვევაში, თუ ქვემდგომი საარჩევნო კომისია არ ასრულებს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას?
- ცესკო უფლებამოსილია შეიტანოს სარჩელი ქვემდგომი საარჩევნო კომისიის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის გამო.
- ცესკო უფლებამოსილია დაითხოვოს ქვემდგომი საარჩევნო კომისია.
- ცესკო უფლებამოსილია შეუწყვიტოს უფლებამოსილება განკარგულებით ქვემდგომ საარჩევნო კომისიას და შექმნას დროებითი ჯგუფი, რომელსაც კომისიის ხელახლა შექმნამდე დაეკისრება მისი უფლებამოსილების განხორციელება.
- ცესკო უფლებამოსილია უფლებამოსილება შეუწყვიტოს ქვემდგომ საარჩევნო კომისიას და შექმნას სპეციალური ჯგუფი.

2450. რეფერენდუმის მომზადებასა და გამართვას უზრუნველყოფენ:
- ცესკო, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები.
- საქართველოს პრეზიდენტის მიერ პარტიის წარმომადგენელთაგან პარიტეტულ საწყისებზე შექმნილი კომისიები.
- ცენტრალური, საოლქო და საუბნო სარეფერენდუმო კომისიები.
- ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები, რომლებსაც ეკისრებათ შესაბამისად ცენტრალური, საოლქო და საუბნო სარეფერენდუმო კომისიების მოვალეობათა შესრულება.

2451. როგორ უნდა მოიქცეს ამომრჩეველი, თუ მას კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლა არ შეუძლია?
- უნდა მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიას გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით კენჭისყრის დღემდე 2 დღით ადრე მაინც.
- უნდა მიმართოს ცესკოს კენჭისყრის დღის წინა დღის 18 საათამდე გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის მოთხოვნით.
- უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე 2 დღით ადრე მაინც გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის მოთხოვნით.
- უნდა მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღის წინა დღის 18 საათამდე გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის მოთხოვნით.

2452. სწორია თუ არა მსჯელობა? საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი გასაჩივრებისა და დავის განხილვის ვადები შეიძლება გაგრძელდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.
- არა, რადგან საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი გასაჩივრების და დავის განხილვის ვადები შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ცესკოს მიერ.
- დიახ, რადგან საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი გასაჩივრების და დავის განხილვის ვადები შეიძლება გაგრძელდეს 3 დღის ვადით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.
- დიახ, რადგან საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი გასაჩივრებისა და დავის

განხილვის ვადები შეიძლება გაგრძელდეს 2 დღის ვადით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.
- არა, რადგან აკრძალულია საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი გასაჩივრებისა და დავის განხილვის ვადების გაგრძელება.

2453. ვინ წყვეტს და განიხილავს ცესკოს წევრის (გარდა პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა) უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხს იმ შემთხვევაში, როდესაც ცესკოს წევრმა დაიკავა კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა?
- საქართველოს პარლამენტი 25 დღის ვადაში.
- საქართველოს პარლამენტი 15 დღის ვადაში.
- საქართველოს პარლამენტი 9 დღის ვადაში.
- საქართველოს პარლამენტი 10 დღის ვადაში.

2454. ვინ ამოწმებს პარტიის მხარდამჭერთა სიებს?
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ცესკო.

2455. რამდენი პარტიული სიის წარდგენის უფლება აქვს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას?
- არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას აქვს ერთი პარტიული სიის წარდგენის უფლება.
- არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას აქვს ხუთი პარტიული სიის წარდგენის უფლება.
- არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას აქვს ორი პარტიული სიის წარდგენის უფლება.
- არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას აქვს სამი პარტიული სიის წარდგენის უფლება.

2456. კონსტიტუციის მიხედვით, რა პირობით შეუძლია ადამიანს კრებაში მიიღოს მონაწილეობა?
- არ უნდა იყოს შინაგან საქმეთა მინისტრი
- უნდა იყოს უიარაღოდ
- არ უნდა იყოს სამხედრო ძალების შემადგენლობაში
- არ უნდა იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობაში

2457. ცესკო სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნებს ქმნის:
- არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-20 დღისა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე, არანაკლებ 20 და არაუმეტეს 3000 ამომრჩევლისთვის.
- არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე, არანაკლებ 20 და არაუმეტეს 1500 ამომრჩევლისთვის.
- არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-20 დღისა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე, არანაკლებ 20 და არაუმეტეს 1500 ამომრჩევლისთვის.
- არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე, არანაკლებ 20 და არაუმეტეს 3000 ამომრჩევლისთვის.

2458. კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო თანამდებობის პირთაგან ვის არ შეუძლია იყოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წევრი?
- საქართველოს პრეზიდენტს
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს
- საქართველოს პრემიერ-მინისტრს

2459. საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტმა თავისი დეკრეტით შეზღუდა საკუთრების განკარგვის უფლება. შეაფასეთ ეს დეკრეტი:
- საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში შეჭრა გარკვეულ პირობებში გამართლებულია. ასეთ პირობას საომარი მდგომარეობა წარმოადგენს, დეკრეტი კონსტიტუციურია
- საქართველოს პრეზიდენტს დეკრეტის გამოცემის უფლება არ აქვს
- საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში შეჭრა დასაშვებია მხოლოდ პარლამენტის კანონით, დეკრეტი არაკონსტიტუციურია
- საერთოდ დაუშვებელია საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში შეჭრა, დეკრეტი არაკონსტიტუციურია

2460. კანონით დადგენილი წესით უფლებამოსილი პირის მიერ მოწვეულ იქნა გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. სხდომას 13 წევრიდან ესწრებოდა 6 წევრი. სხდომაზე თავმჯდომარის მიერ გატანილ იქნა საკითხი რომელსაც კომისიამ კენჭი უყარა. სწორად

მოიქცა თუ არა საოლქო საარჩევნო კომისია?
- არა, ვინაიდან საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედი.
- კომისია სწორად მოიქცა, ვინაიდან საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მესამედი.
- კომისია სწორად მოიქცა, ვინაიდან საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მეოთხედი.
- არა, ვინაიდან საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

2461. საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ პარტიულ სიას ამოწმებს:
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სათანადო სამსახური.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის სათანადო სამსახური.

2462. პრეზიდენტობის კანდიდატის რა მონაცემები უნდა იყოს მითითებული პარტიის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის განცხადებაში?
- მეუღლის ვინაობა.
- დაბადების თარიღი.
- რომელი საშუალო სკოლა დაამთავრა.
- რამდენი წელი ცხოვრობდა საზღვარგარეთ.

2463. საარჩევნო კომისიაში საარჩევნო ბიულეტენების შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემისათვის პირადად პასუხს აგებს:
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და სამეურნეო სამსახურის უფროსი.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

2464. პარლამენტის წევრთა რა რაოდენობაა საჭირო, რათა მიღებულ იქნას პრეზიდენტის შენიშვნები, რომელიც მან გააკეთა ორგანული კანონის პროექტზე?
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
- ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონპროექტის მიღებისათვის არის დადგენილი. ამ შემთხვევაში ეს იქნება პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
- დამსწრეთა და კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობა.
- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედი.

2465. როგორ უნდა მოიქცეს საარჩევნო კომისიის წევრი, თუ იგი არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას?
- საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია თავის ქმედებით ხელი შეუშალოს კომისიის იმ გადაწყვეტილების აღსრულებას, რომელსაც არ ეთანხმება.
- საარჩევნო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს წერილობით გამოთქვას განსხვავებული აზრი, რომელიც ერთვის ოქმს.
- საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია არ დაემორჩილოს კომისიის გადაწყვეტილებას, რომელსაც არ ეთანხმება.
- საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია პატივი არ სცეს კომისიის იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც არ ეთანხმება.

2466. რომელი სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი და რა წესით ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს თანამდებობიდან?
- საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის წარდგინებით.
- საქართველოს პრეზიდენტი პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით.
- საქართველოს პრეზიდენტი საგარეო საქმეთა მინისტრის წარდგინებით.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით.

2467. რომელი კატეგორიის პირთა მონაცემების დამუშავება არ შედის იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებაში ამომრჩეველთა ერთიან სიაში შესატანად?
- იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ.
- გარდაცვლილების შესახებ.
- იმ პირთა შესახებ, რომლებსაც არჩევნების დღისათვის უსრულდებათ 18 წელი.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.

2468. რეფერენდუმს ნიშნავს:
- საქართველოს მთავრობა.
- ცესკო.
- საქართველოს პარლამენტი ხმათა უმრავლესობით.
- საქართველოს პრეზიდენტი.

2469. რას ნიშნავს არჩევნების (კენჭისყრის) დღე?
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების თარიღი.
- არჩევნების ჩატარების, განმეორებითი კენჭისყრის ან არჩევნების მეორე ტურის გამართვის დღე.
- არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობის შესავსებად.
- საერთო, შუალედური ან ხელახალი არჩევნების ჩატარების დღე, ასევე მეორე ტურის, განმეორებითი კენჭისყრის დღე.

2470. ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან რომელია გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ირჩევს საქართველოს მთავრობა.
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს მთავრობა.
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

2471. საქართველოს მოქალაქე ცეცხლაძე რეგისტრირებული იყო ცესკოში ადგილობრივ დამკვირვებლად. ცეცხლაძემ მოინდომა, რომ არჩევნების პროცესზე დაკვირვება განეხორციელებინა N1 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ ერთ-ერთ საუბნო საარჩევნო კომისიაზე, რაზეც N1 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უარი განუცხადა ცეცხლაძეს. შეაფასეთ N1 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედების კანონიერება.
- N1 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება კანონიერია, რადგან საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ცესკოში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს მხოლოდ ცესკოში.
- N1 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება კანონიერია, რადგან საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ცესკოში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს მხოლოდ ცესკოს თავმჯდომარის მიერ განკარგულებით განსაზღვრულ საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- N1 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება არაკანონიერია, რადგან საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ცესკოში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს ყველა დონის ნებისმიერ საარჩევნო კომისიაში.
- N1 საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მოქმედება კანონიერია, რადგან საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ცესკოში დარეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს არჩევნებს დააკვირდეს მხოლოდ ცესკოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის მიერ დადგენილებით განსაზღვრულ საოლქო საარჩევნო კომისიაში.

2472. რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან?
- საქართველოს პრეზიდენტი.
- ერთპიროვნულად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
- საქართველოს მთავრობა.

2473. საჯარო სამსახურში მიღების მსურველმა თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს უნდა წარუდგინოს
- ხელწერილი კანონით დადგენილ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის შესახებ.
- ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ცნობა საგადასახადო სამსახურიდან.
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

2474. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საოლქო საარჩევნო კომისიის ერთ წევრს არჩევნების დანიშვნიდან საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე დროის მონაკვეთით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უსკო.
- საოლქო საარჩევნო კომისიის ერთწევრს სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უსკო.
- საოლქო საარჩევნო კომისიის ერთ წევრს 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უსკო.
- საოლქო საარჩევნო კომისიის ერთ წევრს არჩევნების დანიშვნიდან საბოლოო შედეგების შეჯამებამდე სრული შემადგენლობის ორი მესამედით ირჩევს უსკო.

2475. რა ვადაში უნდა მიმართონ უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად იმ პარტიამ, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისათვის ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში?
- პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 57-ე დღისა.
- საპარლამენტო არჩევნების წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე.
- პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 53-ე დღისა.
- საპარლამენტო არჩევნების წლის 1 თებერვლიდან 1 სექტემბრამდე.

2476. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისათვის წარდგენილ განცხადებას ხელს უნდა აწერდეს:
- საარჩევნო ბლოკში შემავალი ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირები.
- საარჩევნო ბლოკის თავმჯდომარე.
- საარჩევნო ბლოკში შემავალი ყველა პარტიის თავმჯდომარე და მათი მოადგილეები.
- საარჩევნო ბლოკის წესდებაში პირველად დასახელებული პარტიის თავმჯდომარე.

2477. რით უნდა იყოს დადასტურებული საინიციატივო ჯგუფის მიერ პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენა?
- საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით.
- ამომრჩეველთა ხელმოწერებით.
- საქართველოს მთავრობის წევრთა ხელმოწერებით.
- ამომრჩეველთა ხელმოწერებით, რომლებიც დამოწმებულია სასამართლო წესით.

2478. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ცესკო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს, თვითმმართველი ქალაქის მერის და თვითმმართველი თემის გამგებლის არჩევნების დანიშვნის დღიდან 5 დღის ვადაში თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცნობას მის მიერ შექმნილი საარჩევნო ოლქების შესახებ, მათი საზღვრების მითითებით.
- ცესკო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს, თვითმმართველი ქალაქის მერის და თვითმმართველი თემის გამგებლის არჩევნების დანიშვნის დღიდან 4 დღის ვადაში თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცნობას მის მიერ შექმნილი საარჩევნო ოლქების შესახებ, მათი საზღვრების მითითებით.
- ცესკო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს, თვითმმართველი ქალაქის მერის და თვითმმართველი თემის გამგებლის არჩევნების დანიშვნის დღიდან 3 დღის თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცნობას მის მიერ შექმნილი საარჩევნო ოლქების შესახებ, მათი საზღვრების მითითებით.
- ცესკო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს, თვითმმართველი ქალაქის მერის და თვითმმართველი თემის გამგებლის არჩევნების დანიშვნის დღიდან 2 დღის ვადაში თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცნობას საარჩევნო ოლქების შესახებ, მათი საზღვრების მითითებით.

2479. ვის უნდა აცნობოს ამომრჩეველმა საარჩევნო ბიულეტენის ან სპეციალური კონვერტის გაფუჭების ფაქტის შესახებ?
- საუბნო საარჩევნო კომისიის ამომრჩეველთა რეგისტრატორ წევრს.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- საუბნო საარჩევნო კომისიის საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველ კომისიის წევრს.

2480. რა შემთხვევაში ჩაითვლება არჩეულად მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი?
- იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა ხმების 30 პროცენტისა.
- იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტის ხმებს მიიღებს.
- იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა ხმების ერთი მესამედისა.
- იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა ხმების 20 პროცენტისა.

2481. რა უფლებამოსილება გააჩნია უსკოს იმ შემთხვევაში, როდესაც ქვემდგომი საარჩევნო კომისია არ ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას?
- უფლებამოსილია დადგენილებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტიხმით, უფლებამოსილება შეუწყვიტოს ამ კომისიას და შექმნას დროებითი ჯგუფი, რომელსაც კომისიის ხელახლა შექმნამდე დაეკისრება მისი უფლებამოსილების განხორციელება.
- უფლებამოსილია განკარგულებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტიხმით, უფლებამოსილება შეუწყვიტოს ამ კომისიას და შექმნას დროებითი ჯგუფი, რომელსაც კომისიის ხელახლა შექმნამდე დაეკისრება მისი უფლებამოსილების განხორციელება.
- უფლებამოსილია დადგენილებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის სულ ცოტა 2/3 უფლებამოსილება შეუწყვიტოს ამ კომისიას და შექმნას დროებითი ჯგუფი, რომელსაც კომისიის ხელახლა შექმნამდე დაეკისრება მისი უფლებამოსილების

განხორციელება.
- უფლებამოსილია განკარგულებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის სულ ცოტა 2/3 უფლებამოსილება შეუწყვიტოს ამ კომისიას და შექმნას დროებითი ჯგუფი, რომელსაც კომისიის ხელახლა შექმნამდე დაეკისრება მისი უფლებამოსილების განხორციელება.

2482. კონსტიტუციის მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ სასამართლოები და იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
- სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.
- სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ სასამართლოები და იუსტიციის სამინისტრო.
- სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ სასამართლოები და პროკურატურა.

2483. საქართველოს იუსტიციის მინისტრის წარდგინების საფუძველზე, რა სახის აქტით გასცემს ცესკო თანხმობას საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიმართ ჩხრეკის ჩატარებაზე?
- ბრძანებით.
- ბრძანებულებით.
- დადგენილებით.
- განკარგულებით.

2484. რამდენ ცალად უნდა შედგეს მიღება–ჩაბარების აქტი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიისთვის საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გადაცემისას?
- ხუთ ცალად.
- ოთხ ცალად.
- სამ ცალად.
- ორ ცალად.

2485. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო პერიოდში კენჭისყრამდე რა ვადაში იკრძალება პარტიის მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა?
- კენჭისყრამდე 25 დღით ადრე.
- კენჭისყრამდე 10 დღით ადრე.
- კენჭისყრამდე 15 დღით ადრე.
- კენჭისყრამდე 20 დღით ადრე.

2486. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს 5 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
- ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
- საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს 5 წლის ვადით ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
- საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს 5 წლის ვადით თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლო.

2487. პასიური საარჩევნო უფლება არის:
- პირის უფლება არჩევნების გარეშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის მოიპოვოს პარლამენტის წევრის მანდატი
- პირის უფლება მიიღოს სახელმწიფო ან/და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობა ასარჩევი თანამდებობის კანდიდატის სტატუსით და გამარჯვების შემთხვევაში დაიკავოს ეს თანამდებობა
- პირის პასიური დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე არჩევნების მიმართ
- ეს არის ბაგრატიონთა სამეფო გვარის წარმომადგენელთა უფლება პრეზიდენტის ბრძანებულებით გახდნენ სენატის წევრები

2488. რომელი მსჯელობა არ არის სწორი?
- საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს შესაბამისი ვაკანსიის წარმოშობის შემდეგ, კომისიის წევრთაგან ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია წევრობის უფლებამოსილების ვადით.
- საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს შესაბამისი ვაკანსიის წარმოშობის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე, კომისიის წევრთაგან ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით.

2489. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის სააღრიცხვო ბარათში არ უნდა აღინიშნოს:
- მისამართი.

- სოციალური მდგომარეობა.
- დაბადების თარიღი.
- ხელმოწერა.

2490. კონსტიტუციის მიხედვით, რა სახის ნორმატიული აქტით რეგულირდება პოლიტიკური პარტიის შექმნის წესი?
- ორგანული კანონით
- კონსტიტუციით
- კონსტიტუციური კანონით
- კანონით

2491. მიღებიდან რა ვადაში უნდა მოხდეს უსკოს დადგენილების განთავსება უსკოს ვებგვერდზე?
- მიღებიდან 12 საათის განმავლობაში.
- მიღებიდან 24 საათის განმავლობაში.
- მიღებიდან 20 საათის განმავლობაში.
- მიღებიდან 36 საათის განმავლობაში.

2492. რომელი მსჯელობაა სწორი?
- რეფერენდუმი იმართება არა უგვიანეს 2 თვისა და არა უადრეს 6 თვისა საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.
- რეფერენდუმი იმართება არა უადრეს 3 თვისა და არა უგვიანეს 6 თვისა საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.
- რეფერენდუმი იმართება არა უადრეს 2 თვისა და არა უგვიანეს 6 თვისა საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.
- რეფერენდუმი იმართება არა უადრეს 2 თვისა და არა უგვიანეს 4 თვისა საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

2493. ვინ ამზადებს რეფერენდუმს?
- საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს პრეზიდენტი.
- ქალაქის მერი.
- ცესკო.

2494. რომელ სამართლებრივ აქტში ან აქტებშია დადგენილი პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების წესი?
- კონსტიტუციაში და კანონში.
- კონსტიტუციაში.
- კანონში.
- კანონში და ორგანულ კანონში.

2495. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივ აქტებს?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება.

2496. მოსამსახურეს მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში ანაზღაურებადი შვებულება ეძლევა
- 180 კალენდარული დღის ოდენობით.
- 140 კალენდარული დღის ოდენობით.
- 200 კალენდარული დღის ოდენობით.
- 160 კალენდარული დღის ოდენობით.

2497. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, რა არის აღმასრულებელი პრივილეგია?
- სახელმწიფოორგანოსმიერადმინისტრაციულ-სამართლებრივიაქტისგამოცემა დასაბუთების გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ.
- თანამდებობის პირის დისკრეციული უფლებამოსილება, დაუბრკოლებლად გაეცნოს გასაიდუმლოებულ ინფორმაციას.
- მოსამართლისმიერმიღებულისაბოლოოგადაწყვეტილება, რომლისგასაჩივრება დაუშვებელია.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.

2498. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივ აქტებს?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის დადგენილება.
- საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.
- ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება.

2499. ხმათა რა რაოდენობა არის საჭირო იმისთვის, რომ ცესკომ შექმნას დროებითი ჯგუფი, რომელიც განახორციელებს იმ საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებას, რომელსაც ცესკომ თავისივე გადაწყვეტილებით შეუწყვიტა უფლებამოსილება?
- დამსწრეთა უმრავლესობა.
- სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.
- დამსწრეთა სულ ცოტა ორი მესამედი მაინც.
- სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

2500. როგორ განაწილდება პარლამენტის წევრთა დარჩენილი მანდატები, თუ პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 77-ზე ნაკლები აღმოჩნდა?
- თითო მანდატი მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც არჩევნებში ხმების ნაკლები რაოდენობა მიიღო.
- დარჩენილი მანდატები პირველ რიგში მანდატების რაოდენობის 6-მდე შესავსებად დაემატებათ რიგრიგობით იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც გადალახეს საარჩევნო ბარიერი და მიღებული მანდატების რაოდენობა 6-ზე ნაკლები აქვთ.
- დარჩენილი მანდატები იმ პარტიას მიეკუთვნება, რომელსაც ყველაზე ცოტა ადგილი აქვს პარლამენტში.
- დარჩენილი მანდატები დარჩება გაუნაწილებელი.

2501. ვინ წარუდგენს ყოველწლიურად საქართველოს პარლამენტს საარჩევნო ადმინისტრაციის მომავალი წლის საბიუჯეტო განაცხადს, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსება?
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- საოლქო საარჩევნო კომისია.

2502. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ვინ არ იღებს მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში?
- სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩეველი.
- საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისათვის შეუსრულდა 21 წელი.
- ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები.
- არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს საზღვრების გარეთ მუდმივად ან დროებით მცხოვრები ამომრჩევლები.

2503. რამდენი დღის ვადაში შეუძლია მოითხოვოს ამომრჩეველმა ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანა უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში?
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-14 დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-15 დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-16 დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-12 დღისა.

2504. რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ამტკიცებს პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ საომარ მდგომარეობას?
- საქართველოს მთავრობა.
- საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო.
- საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

2505. საქართველოს პარლამენტის არჩევნების დროს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის პარტიულ სიაში შეყვანის შემთხვევაში მიეთითება თუ არა პარტიულ სიაში, რომ კანდიდატი წარდგენილია მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში?
- მიეთითება.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- არ მიეთითება.
- მიეთითება, თუ თანახმაა პარტიის ხელმძღვანელი პირი.

2506. რა სახის სამართლებრივი აქტით ახდენს საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი მედიის წარმომადგენელთათვის აკრედიტაციის მინიჭებას?
- განკარგულებით.
- ბრძანებულებით.
- დადგენილებით.
- ბრძანებით.

2507. რამდენი ამომრჩევლისათვის იქმნება საარჩევნო უბანი?
- საარჩევნო უბანი იქმნება არანაკლებ 15 და არა უმეტეს 1200 ამომრჩევლისთვის.
- საარჩევნო უბანი იქმნება არანაკლებ 25 და არა უმეტეს 2000 ამომრჩევლისთვის.
- საარჩევნო უბანი იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 1500 ამომრჩევლისთვის.
- საარჩევნო უბანი იქმნება არანაკლებ 10 და არა უმეტეს 1000 ამომრჩევლისთვის.

2508. საჯარო სამსახურის ბიუროს დებულებას, სტრუქტურასადა საშტატო ნუსხას ამტკიცებს
- საქართველოს პარლამენტი.
- საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი.
- საქართველოს მთავრობა.
- საქართველოს პრეზიდენტი.

2509. მხარდამჭერთა სიის გაცნობის უფლება აქვს:
- საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელს.
- საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებს.
- საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელს.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის სათანადო სამსახურის თანამშრომლებს.

2510. ვის უნდა წარედგინოს უფლებამოსილი პარტიის გადაწყვეტილება სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევისა და მისი უფლებამონაცვლის დანიშვნის შესახებ ?
- ცესკოს.
- შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიასა და ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.
- ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.
- შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას.

2511. რა ფორმით იღებს საოლქო საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას ხმის დათვლასა და კენჭისყრის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებული განცხადების/საჩივრის განხილვისას და სად შეიძლება მისი გასაჩივრება?
- საოლქო საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დადგენილებით, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოში კანონით დადგენილი წესით.
- საოლქო საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს განკარგულებით, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.
- საოლქო საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს განკარგულებით, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოში კანონით დადგენილი წესით.
- საოლქო საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დადგენილებით, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.

2512. რომელი სამართლებრივი აქტით ქმნის ცესკო საარჩევნო ოლქებს ან/და აზუსტებს მათ საზღვრებს?
- ბრძანებით.
- დადგენილებით.
- მსგავსი უფლებამოსილება არ გააჩნია ცესკოს.
- განკარგულებით.

2513. რამდენი წარმომადგენლის დანიშვნა შეუძლია საარჩევნო ბლოკს თითოეულ საარჩევნო კომისიაში?
- საარჩევნო ბლოკს შეუძლია დანიშნოს 2 წარმომადგენელი თითოეულ საარჩევნო კომისიაში.
- საარჩევნო ბლოკს შეუძლია დანიშნოს 1 წარმომადგენელი თითოეულ საარჩევნო კომისიაში.
- საარჩევნო ბლოკს შეუძლია დანიშნოს 5 წარმომადგენელი თითოეულ საარჩევნო კომისიაში.
- საარჩევნო ბლოკს შეუძლია დანიშნოს 3 წარმომადგენელი თითოეულ საარჩევნო კომისიაში.

2514. ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე ხასაიამ გადაწყვიტა, რომ ოჯახური პირობების გამო გადამდგარიყო დაკავებული

თანამდებობიდან. თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით მან განცხადებით მიმართა ცესკოს. სწორად მოიქცა თუ არა ხასაია?
- ხასაია არ მოიქცა სწორად, ვინაიდან ცესკოს თავმჯდომარის მოადგილემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტს.
- ხასაია არ მოიქცა სწორად, ვინაიდან ცესკოს თავმჯდომარის მოადგილემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს პარლამენტს.
- ხასაია არ მოიქცა სწორად, ვინაიდან ცესკოს თავმჯდომარის მოადგილემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს.
- ხასაია მოიქცა სწორად, ვინაიდან ცესკოს თავმჯდომარის მოადგილემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.

2515. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ:
- საარჩევნო ბლოკს.
- სადამკვირვებლო ორგანიზაციას.
- პარტიას.
- მაჟორიტარ კანდიდატს.

2516. საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინების საფუძველზე, რა სახის აქტით გასცემს ცესკო თანხმობას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ ჩხრეკის ჩატარებაზე?
- განკარგულებით.
- ბრძანებით.
- დადგენილებით.
- ბრძანებულებით.

2517. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რომელი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა არ შეიძლება შეეფარდოს მოხელეს:
- უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა არა უმეტეს ერთი წლის ვადით.
- შენიშვნა.
- გაფრთხილება.
- არაუმეტეს 30 სამუშაოდღისხელფასისდაკავება.

2518. რეფერენდუმის მოწყობა შეიძლება:
- სახელმწიფოს რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ.
- კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად.
- საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ.
- ამნისტიისა და შეწყალების გამო.

2519. კონსტიტუციის მიხედვით, როგორ უნდა იმოქმედოს პარლამენტის თავმჯდომარემ თუ: მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა გადალახა პრეზიდენტის ვეტო და გადაუგზავნა მას კანონპროექტი, პრეზიდენტი მაინც არ მოაწერს ხელს:
- უნდა მოაწეროს ხელი და გამოაქვეყნოს კანონი.
- მიმართავს სარჩელით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.
- დაიწყებს ამ კანონპროექტის ხელახალ განხილვას პარლამენტში.
- მიმართავს წარდგინებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

2520. რომელი მსჯელობა არის სწორი?
- თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნებში არ მონაწილეობენ არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს საზღვრებს გარეთ მუდმივად მცხოვრები ამომრჩევლები.
- თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნებში მონაწილეობენ არჩევნების დღეს საქართველოს საზღვრებს გარეთ დროებით მყოფი ამომრჩევლები.
- თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნებში მონაწილეობენ არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს საზღვრებს გარეთ მუდმივად მცხოვრები ამომრჩევლები.
- თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნებში მონაწილეობენ ის ორმაგი მოქალაქეობის მქონე ამომრჩევლები, რომლებიც არჩევნების დღეს დროებით იმყოფებიან საქართველოს საზღვრებს გარეთ.

2521. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმას კენჭისყრამდე არა უგვიანეს:
- 50 დღისა.
- 45 დღისა.

- 55 დღისა.
- 30 დღისა.

2522. ვის შეუძლია მიმართოს ცესკომ იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარებისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო ასიგნება კანონით დადგენილ ვადაში არ გამოიყოფა შესაბამის საბიუჯეტო პროგრამულ კოდზე?
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს.
- რაიონულ/საქალაქო სასამართლოს.
- საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

2523. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთვის მორიგი არჩევნების დღემდე 44-ე დღეს ცესკოს წარედგინა ბლოკში შემავალი ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს ბლოკში შემავალი ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება უნდა წარედგინოს საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთვის მორიგი არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 43-ე დღისა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს ბლოკში შემავალი ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება უნდა წარედგინოს საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთვის მორიგი არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-40 დღისა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს ბლოკში შემავალი ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება უნდა წარედგინოს საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთვის მორიგი არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს ბლოკში შემავალი ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება უნდა წარედგინოს საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთვის მორიგი არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-20 დღისა.

2524. კენჭისყრამდე რა ვადაში უნდა გადასცეს უფლებამოსილმა პირმა შესაბამის ორგანოს იმ ამომრჩეველთა სია, რომლებიც სამკურნალოდ წვანან საავადმყოფოში, ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, კენჭისყრის დღისთვის ვერ იქნებიან გაწერილი და შესაბამისად, ვერ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში მათი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით?
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-7 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-10 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-5 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-6 დღისა.

2525. ვინ ქმნის საარჩევნო ოლქებს ან/და აზუსტებს მათ საზღვრებს?
- საოლქო საარჩევნო კომისია.
- ცესკო.
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- ცესკოს თავმჯდომარე.

2526. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიარა პოლიტიკური პარტია, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული 5 გამოკითხვის შედეგების შესაბამისად სარგებლობდა ამომრჩეველთა 5 პროცენტის მხარდაჭერით. კანონიერად მიიჩნია თუ არა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პოლიტიკური პარტია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, მაუწყებელი უფლებამოსილია, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული, საარჩევნო კოდექსით დადგენილი პირობების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 7 გამოკითხვის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 6 პროცენტის მხარდაჭერით.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, მაუწყებელი უფლებამოსილია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული, საარჩევნო კოდექსით დადგენილი პირობების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 5 გამოკითხვის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 7 პროცენტის მხარდაჭერით.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, მაუწყებელი უფლებამოსილია, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული, საარჩევნო კოდექსით დადგენილი პირობების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 4 გამოკითხვის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 5 პროცენტის მხარდაჭერით.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, მაუწყებელი უფლებამოსილია, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს

პოლიტიკური პარტია, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული, საარჩევნო კოდექსით დადგენილი პირობების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 5 გამოკითხვის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 4 პროცენტის მხარდაჭერით.

2527. რომელი ორგანო (პირი) ამტკიცებს ცესკოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულებას?
- ცესკო.
- საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ცესკოს თავმჯდომარე.

2528. რას ნიშნავს წინასაარჩევნო აგიტაცია?
- მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად.
- ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ.
- საარჩევნო სუბიექტების კანდიდატისა და საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული 2 ან მეტი პარტიის გაერთიანება.

2529. N1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებულ იქნა ცესკოში. ცესკომ კანონით დადგენილ ვადაში განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება. ცესკოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლომ ასევე განიხილა საჩივარი და გადაწყვიტა იგი. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ განიხილა საჩივარი და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. სად შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება?
- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრდება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან.
- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრდება უზენაეს სასამართლოში.
- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.
- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან.

2530. ვინ ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს?
- საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი.
- საქართველოს პარლამენტი.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
- ცესკო.

2531. რა იგულისხმება ფორმულაში - „პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობა“?
- დეპუტატთა ის რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილება მოცემულ მომენტში ცნობილია.
- პარლამენტის კონკრეტულ სხდომაზე რეგისტრაცია გავლილ დეპუტატთა რაოდენობა.
- კონსტიტუციაში ჩაწერილი პარლამენტის შემადგენლობა.
- ბოლო საპარლამენტო არჩევნების პირველ ტურში არჩეული დეპუტატების რაოდენობა.

2532. საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები ტარდება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს:
- 35-ე დღისა.
- 30-ე დღისა.
- 45-ე დღისა.
- მე-40 დღისა.

2533. რომელი აქტითაა შესაძლებელი კენჭისყრის დროს დარღვეული საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობის დარღვევის შემდეგ ხელახლა დალუქვის გადაწყვეტილების მიღება?
- შესაბამისი საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის დადგენილებით.

2534. რომელი მსჯელობაა სწორი?
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ უსკოს წევრებს, შესაბამისი საოლქოდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებსა და ცესკოს სათანადო სამსახურის თანამშრომლებს, ხოლო სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში – აგრეთვე სასამართლოს.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ თავმჯდომარეს, შესაბამისი საოლქოსაარჩევნო კომისიების წევრებსა და უსკოს სათანადო სამსახურის თანამშრომლებს, ხოლო სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში – აგრეთვე სასამართლოს.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ უსკოს წევრებს,უსკოს სათანადოსამსახურის თანამშრომლებს, ხოლო სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში – აგრეთვე სასამართლოს.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ უსკოს და ცესკო წევრებს, შესაბამისი საოლქოსაარჩევნო კომისიების წევრებსა და უსკოს სათანადო სამსახურის თანამშრომლებს, ხოლო სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში – აგრეთვე სასამართლოს.

2535. რა ოდენობის ამომრჩევლებისთვისაა შესაძლებელი საარჩევნო უბნის შექმნა?
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- არანაკლებ 20 და არაუმეტეს 2000 ამომრჩევლისა.
- არანაკლებ 50 და არაუმეტეს 2000 ამომრჩევლისა.
- არანაკლებ 10 და არაუმეტეს 2000 ამომრჩევლისა.

2536. თუ კენჭისყრის დროს დაირღვა საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა:
- საუბნო საარჩევნო კომისია განკარგულებით წყვეტს კენჭისყრის პროცესს და აღნიშნულ უბანზე არჩევნები ცხადდება ჩაშლილად.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თავისი განკარგულებით აჩერებს კენჭისყრის პროცესს და მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების შედეგად იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების საკითხის თაობაზე.
- საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების საკითხის თაობაზე.
- საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე.

2537. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი:
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს ცესკო ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 10 დღისა.
- საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევა არა უადრეს 15 და არა უგვიანეს 30 დღისა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.
- საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უადრეს 15 და არა უგვიანეს 10 დღისა.
- საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევა პარლამენტის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 10 დღისა.

2538. ვის გადასცემს სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელი პატიმრობაში მყოფი პირებისთვის შექმნილ სპეციალურ სიას?
- საუბნო საარჩევნო კომისიას.
- საოლქო საარჩევნო კომისიას.
- ცესკოსა და საუბნო საარჩევნო კომისიას.
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

2539. რომელი მსჯელობა არის სწორი?
- ძირითადი საარჩევნო უბნისა და გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი საარჩევნო უბნის შედეგები ფორმდება ცალ-ცალკე შემაჯამებელი ოქმებით.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ბიულეტენების რაოდენობის გათვალისწინებით ძირითადი საარჩევნო უბნისა და გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი საარჩევნო უბნის შედეგები ფორმდება ერთი ან ორი შემაჯამებელი ოქმით.
- ძირითადი საარჩევნო უბნისა და გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი საარჩევნო უბნის შედეგები ფორმდება ერთი შემაჯამებელი ოქმით.

2540. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს უზენაესი სასამართლო არის:
- უმაღლესი სააპელაციო სასამართლო
- კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო ორგანო.
- საკასაციო სასამართლო.
- უმაღლესი საკასაციო სასამართლო.

2541. თბილისის საკრებულოს არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან რა ვადაში უნდა გადაეცეთ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამისი მოწმობები თბილისის საკრებულოს წევრად არჩეულ პირებს?
- არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 3 დღის ვადაში.
- არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 2 დღის ვადაში.
- არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 4 დღის ვადაში.
- არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში.

2542. ვინ ნიშნავს ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებს?
- საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით.
- საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით.
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის კონტრასიგნაციით.
- საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის კონტრასიგნაციით.

2543. ვის მიერ უნდა იყოს ხელმოწერილი საარჩევნო სუბიექტის არჩევნებში მონაწილეობის ინიციატივა მხარდამჭერთა სიის ბლანკზე ?
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ხელმოწერით.
- უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრთა ხელმოწერით.
- ამომრჩევლების ხელმოწერით.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა ხელმოწერით.

2544. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ცნობას აქვეყნებს რეგისტრაციიდან არა უგვიანეს:
- მე-3 დღისა.
- მე-5 დღისა.
- მე-6 დღისა.
- მე-10 დღისა.

2545. კენჭისყრამდე რა ვადაში უნდა მიაწოდოს უფლებამოსილმა პირმა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას იმ პირთა სია, რომლებიც კენჭისყრის დღეს იმყოფებიან პატიმრობაში და ვერ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში მათი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით?
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-10 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-6 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-14 დღისა.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-7 დღისა.

2546. ვის პასუხისმგებლობას იწვევს შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება?
- შესაბამისი კომისიის მთელი შემადგენლობის.
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის.
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის.
- შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის.

2547. ვინ ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის სახელმწიფო კონტროლს?
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საარჩევნო სუბიექტები.
- საქართველოს პარლამენტი.
- ცესკო.

2548. ვინ ამოწმებს საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ასარჩევი კანდიდატის მხარდამჭერთა სიებს?
- ცესკო.

- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.
- უსკო.
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია.

2549. რა ვადაში უნდა წარედგინოს ცესკოს საქართველოს პარლამენტის დადგენილება ცესკოს წევრის არჩევის შესახებ?
- მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
- მიღებიდან 3 დღის ვადაში.
- მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
- მიღებიდან 7 დღის ვადაში.

2550. ვინ ავსებს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს?
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

2551. ვინ ადგენს და რა ფორმით საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესს?
- ბრძანებით ადგენს ცესკოს თავმჯდომარე.
- განკარგულებით ადგენს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია.
- დადგენილებით ადგენს ცესკო.
- განკარგულებით ადგენს საოლქო საარჩევნო კომისია.

2552. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდებ თანამდებობის პირს ან დაწესებულებას უფლება აქვს მოხელეს ვადაზე ადრე მოუხსნას დისციპლინური პასუხისმგებლობა: I – თუ მან არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა; II – თუ მან თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა მოსამსახურემ; III – თუ ის დააწინაურეს; IV- თუ მას შეუჩერდა მოხელის სტატუსი. სწორი პასუხია:
- მხოლოდ I, II და IV.
- მხოლოდ I და II.
- მხოლოდ I.
- მხოლოდ I და III.

2553. ვინ უნდა ატარებდეს კენჭისყრის შენობაში ვინაობისა და სტატუსის აღმნიშვნელ სამკერდე ნიშანს?
- საარჩევნო კომისიის წევრი.
- დამკვირვებლები.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი.
- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი.

2554. კონსტიტუციის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი თანამდებობა ან საქმიანობა არის შეუთავსებელი მთავრობის წევრის თანამდებობასთან?
- პედაგოგიური საქმიანობა.
- სამეცნიერო საქმიანობა.
- სამეწარმეო საქმიანობა.
- შემოქმედებითი საქმიანობა

2555. კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს:
- მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას.
- თხუთმეტი ათას ამომრჩეველს.
- საქართველოს სახალხო დამცველს.
- მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას.

2556. თუ წარდგენილი გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ გამოყოფს არჩევნების/ რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარებისთვის განკუთვნილ საბიუჯეტო ასიგნებას ცესკოს შესაბამის საბიუჯეტო პროგრამულ კოდზე, ვის შეუძლია მიმართოს ცესკომ?
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.
- რაიონულ/საქალაქო სასამართლოს.

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

2557. ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ, რეგისტრაციაში გატარების მიზნით, შესაბამის საარჩევნო კომისიას მიმართა არჩევნებამდე 5 დღით ადრე. სწორად მოიქცა თუ არა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია?
- ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია სწორად არ მოიქცა, ვინაიდან მას შესაბამისი საარჩევნო კომისიისათვის უნდა მიემართა არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა.
- ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია სწორად არ მოიქცა, ვინაიდან მას საარჩევნო კომისიისათვის უნდა მიემართა არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 9 დღისა.
- ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია სწორად არ მოიქცა, ვინაიდან მას საარჩევნო კომისიისათვის უნდა მიემართა არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 7 დღისა.
- ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია სწორად მოიქცა, ვინაიდან მას არ დაურღვევია საარჩევნო კოდექსით დადგენილი ვადები.

2558. რომელი მსჯელობაა სწორი ?
- ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-7 დღისა ცესკოს მიერ დადგენილი ფორმით ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს საარჩევნო კომისიებში დამკვირვებლების რეგისტრაციის შესახებ განცხადება.
- ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-5 დღისა ცესკოს მიერ დადგენილი ფორმით ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს საარჩევნო კომისიებში დამკვირვებლების რეგისტრაციის შესახებ განცხადება.
- ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-6 დღისა საარჩევნო კოდექსით დადგენილი ფორმით ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს საარჩევნო კომისიებში დამკვირვებლების რეგისტრაციის შესახებ განცხადება.
- ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-5 დღისა ცესკოს მიერ დადგენილი ფორმით ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს საარჩევნო კომისიებში დამკვირვებლების რეგისტრაციის შესახებ განცხადება.

2559. რომელ საარჩევნო სუბიექტს აქვს რიგითი ნომრის პირველად აღების უპირატესი უფლება?
- იმ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელმაც წინა საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული წესით ყველაზე მეტი ხმა მიიღო.
- იმ პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომელთაც წინა საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული წესით ამომრჩეველთა ხმების ოცი პროცენტი მაინც მიიღეს.
- არც ერთი პოლიტიკური პარტია არ სარგებლობს მსგავსი უპირატესობით, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსი ემყარება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს.
- იმ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელსაც წილისყრით შეარჩევს ცესკოს თავმჯდომარე.

2560. კონსტიტუციის მიხედვით, საარჩევნო სამართლის რა პრინციპების საფუძველზე აირჩევა საქართველოს პრეზიდენტი?
- საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.
- საარჩევნო უფლების საყოველთაო და ფარული კენჭისყრის პრინციპების საფუძველზე.
- საარჩევნო უფლების საყოველთაო და პირდაპირი პრინციპების საფუძველზე.
- საარჩევნო უფლების საყოველთაო და თანასწორობის პრინციპების საფუძველზე.

2561. რა სახის სამართლებრივი აქტით ხდება საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მიღება?
- განკარგულებით.
- ბრძანებულებით.
- დადგენილებით.
- ბრძანებით.

2562. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით რეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს?
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მისი წარმდგენი პარტიის აკრძალვა.
- თუ გაუქმდა მისი წარმდგენი პარტიის რეგისტრაცია საკუთარი განცხადების საფუძველზე.
- მაჟორიტარი კანდიდატის პირადი განცხადება.
- მაჟორიტარი კანდიდატის გარდაცვალება.

2563. ტელეკომპანია „გარემოს" წინასაარჩევნო აგიტაციისას მიმართეს პოლიტიკურმა პარტიებმა „გაზაფხულმა" და „მომავალმა" საარჩევნო რეკლამების გაშვების თაობაზე. ტელეკომპანიამ პარტია „გაზაფხულს" უფრო დიდი გადასახადი დაუწესა, რადგან მიიჩნია, რომ პარტია იყო ახალი და არაკვალიფიციური განსხვავებით პარტია „მომავალისგან". სწორია თუ არა ტელეკომპანიის ქმედება?
- ტელეკომპანიის ქმედება სწორია, რადგან მას შეუძლია უფრო მაღალი ტარიფი დაუწესოს არაკვალიფიციურ პარტიას.

- ტელეკომპანიის ქმედება არასწორია, რადგან ფასიანი დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირი უნდა იყოს, გამონაკლისები დაიშვება მხოლოდ კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით.
- ტელეკომპანიის ქმედება სწორია, რადგან მას შეუძლია სხვადასხვა ტარიფი დაუწესოს ნებისმიერ პარტიას.
- ტელეკომპანიის ქმედება არასწორია, რადგან ფასიანი დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირი უნდა იყოს.

2564. ვინ არიან საოლქო საარჩევნო კომისიისათვის ცესკოს მიერ განსაზღვრული ფინანსების ხარჯვაზე პასუხისმგებელი პირები?
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ბუღალტერი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

2565. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ცესკოს მიერ მისთვის წარდგენილი გეგმის შესაბამისად:
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-40 დღისა უზრუნველყოფს არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარებისათვის განკუთვნილი ასიგნების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცესკოს შესაბამის საბიუჯეტო პროგრამულ კოდზე.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა უზრუნველყოფს არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარებისათვის განკუთვნილი ასიგნების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცესკოს შესაბამის საბიუჯეტო პროგრამულ კოდზე.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა უზრუნველყოფს არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარებისათვის განკუთვნილი ასიგნების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცესკოს შესაბამის საბიუჯეტო პროგრამულ კოდზე.
- კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-60 დღისა უზრუნველყოფს არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარებისათვის განკუთვნილი ასიგნების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცესკოს შესაბამის საბიუჯეტო პროგრამულ კოდზე.

2566. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ერთი და იგივე პირი კანდიდატად შესაძლებელია ერთდროულად წარდგენილი იყოს არაუმეტეს 2 სხვადასხვა საკრებულოს არჩევნებში. საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, თუ კანდიდატი შეყვანილია ერთზე მეტ პარტიულ სიაში და ერთდროულად არსებობს მისი თანხმობა ერთზე მეტ სიაში შეყვანაზე.
- საკრებულოს წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება თუ ერთდროულად არსებობს ან არსებობდა საკრებულოს წევრობის კანდიდატის წერილობითი თანხმობა სხვა საკრებულოს წევრობის კანდიდატად წარდგენაზე.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- ერთი და იგივე პირი კანდიდატად შესაძლებელია ერთდროულად წარდგენილი იყოს არაუმეტეს 3 სხვადასხვა საკრებულოს არჩევნებში. საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, თუ პარტიულ სიაში შეყვანილი კანდიდატი არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრია.

2567. პოლიტიკურმა პარტიამ „ეთნოსი" მისი პოლიტიკური ლიდერის გამოსახულებით პლაკატები გააკრა ერთ-ერთი კონკურენტი პოლიტიკური პარტიის მაჟორიტარი კანდიდატის ვანო ხვიჩაშვილის სახლის კედლებზე. ვანო ხვიჩაშვილმა, როდესაც შეამჩნია კონკურენტი პოლიტიკური პარტიის პლაკატები გაკრული მისი სახლის გარეთა კედლებზე, რამდენიმე მეზობლის დახმარებით ჩამოხია ისინი. ამ ფაქტის შესახებ პოლიტიკურმა პარტიამ „ეთნოსი" განაცხადა მასმედიის საშუალებით და მოუწოდა უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს შესაბამისი რეაგირებისკენ. კანონიერად მოქმედებდა თუ არა ვანო ხვიჩაშვილი?
- დიახ, რადგან ბეჭდვითი საგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებზე და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.
- არა, რადგან საარჩევნო სუბიექტებს ერთმანეთის მიმართ აქვთ სამართლებრივი გარანტის ფუნქცია.
- დიახ, რადგან კონკურენტი საარჩევნო სუბიექტებისთვის წინასაარჩევნო აგიტაციაში ხელის შეშლა (მათ შორის, პლაკატების ჩამოხსნა) კანონით აკრძალული არ არის.
- არა, რადგან საარჩევნო სუბიექტების მიერ ერთმანეთისთვის წინასაარჩევნო აგიტაციისთვის ხელის შეშლა აკრძალულია და ისჯება კანონით.

2568. ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ რეგისტრაციაში გატარების მიზნით, შესაბამის საარჩევნო კომისიას განცხადებით უნდა მიმართოს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს:
- მე-10 დღისა.
- 30-ე დღისა.
- 24-ე დღისა.
- 27-ე დღისა.

2569. ვინ არის პასუხისმგებელი ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეტანილი მონაცემების სისწორისთვის?
- ცესკო.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი, ვინც სია გადასცა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

2570. საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, ვის პასუხისმგებლობას გამოიწვევს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება?
- ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მისი მდივნის.
- ცესკოს თავმჯდომარის პასუხისმგებლობას.
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივნის.
- იმ პირის პასუხისმგებლობას, ვინც გადაასწორა.

2571. რამდენს არ უნდა აღემატებოდეს წარდგენილ სიაში საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რაოდენობა?
- წარდგენილ პარტიულ სიაში საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ამ რაოდენობის ერთმაგ ოდენობას.
- წარდგენილ პარტიულ სიაში საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ამ რაოდენობის სამმაგ ოდენობას.
- წარდგენილ პარტიულ სიაში საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ამ რაოდენობის ხუთმაგ ოდენობას.
- წარდგენილ პარტიულ სიაში საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ამ რაოდენობის ოთხმაგ ოდენობას.

2572. რა სახის ხარჯების დაფარვის ვალდებულება აქვთ დაკისრებული საარჩევნო კომისიებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მათთვის არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის გადაცემულ შენობა-ნაგებობებსა და ინვენტართან დაკავშირებით?
- საარჩევნო კომისიებს ეკისრებათ ინვენტარის ექსპლოატაციის ხარჯების დაფარვის ვალდებულება.
- საარჩევნო კომისიებს ეკისრებათ მხოლოდ კომუნალური ხარჯების დაფარვის ვალდებულება.
- საარჩევნო კომისიებს ეკისრებათ შენობა-ნაგებობების ექსპლოატაციის ხარჯების დაფარვის ვალდებულება.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.

2573. პირს, რომელსაც უფლება აქვს, გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა
- შეუძლია დისციპლინური წარმოებისას მხოლოდ 10 დღის ვადით მოხელე ჩამოაშოროს საჯარო სამსახურს.
- შეუძლია დისციპლინური წარმოებისას მოხელე ჩამოაშოროს საჯარო სამსახურს.
- არ შეუძლია დისციპლინური წარმოებისას მოხელე ჩამოაშოროს საჯარო სამსახურს.
- შეუძლია დისციპლინური წარმოებისას მხოლოდ 1 თვის ვადით მოხელე ჩამოაშოროს საჯარო სამსახურს.

2574. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?
- საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი არის საარჩევნო კოდექსის საფუძველზე შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირი.
- საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი არის საარჩევნო კოდექსის საფუძველზე შექმნილი კოოპერატივი.
- საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი არის საარჩევნო კოდექსის საფუძველზე შექმნილი არაკომერციული სამართლის იურიდიული პირი.
- საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი არის საარჩევნო კოდექსის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2575. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ უსკოს წევრობის კანდიდატების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარდგენის შემდეგ, რა ვადაში უნდა ჩაატაროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ კენჭისყრა?
- წარდგენიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
- წარდგენიდან არა უგვიანეს 7 დღისა.
- წარდგენიდან არა უგვიანეს 14 დღისა.
- წარდგენიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

2576. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი მსჯელობა?
- არ არის საჭირო საარჩევნო სუბიექტის არჩევნებში მონაწილეობის ინიციატივა ამომრჩევლებმა ხელმოწერით დაადასტურონ.
- საარჩევნო სუბიექტის არჩევნებში მონაწილეობის ინიციატივა ამომრჩევლებმა ბეჭდით უნდა დაამტკიცონ.
- საარჩევნო სუბიექტის არჩევნებში მონაწილეობის ინიციატივა ამომრჩევლებმა მხარდამჭერთა სიის ბლანკზე ხელმოწერით უნდა დაადასტურონ.
- საარჩევნო სუბიექტის არჩევნებში მონაწილეობის ინიციატივა ამომრჩევლებმა მხარდამჭერთა სიის ბლანკზე ხელმოწერით არ უნდა დაადასტურონ.

2577. საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული ცესკოს წევრების უფლებამოსილების ვადაა:
- 2 წელი.
- 4 წელი.
- 5 წელი.
- 3 წელი.

2578. საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ რეგისტრაციაში გატარების მიზნით კანონით დადგენილ ვადაში მიმართა შესაბამის საარჩევნო კომისიას, რომელმაც განცხადების მიღებიდან მე-5 დღეს გადაწყვიტა რეგისტრაციის საკითხი. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები?
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციის საკითხი ასეთ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციის საკითხი ასეთ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაირღვა, ვინაიდან საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციის საკითხი ასეთ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციის საკითხი ასეთ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს განცხადების მიღებიდან 7 დღის ვადაში.

2579. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მსჯელობა არის სწორი?
- ამომრჩეველთა ერთიანი სია არის ცესკოს დადგენილებით განსაზღვრული წესით რეგისტრირებულ, პასიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.
- ამომრჩეველთა ერთიანი სია არის ცესკოს დადგენილებით განსაზღვრული წესით რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.
- ამომრჩეველთა ერთიანი სია არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.
- ამომრჩეველთა ერთიანი სია არის ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული წესით რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.

2580. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარის შესახებ განცხადებით უნდა მიმართოს:
- საკითხი განისაზღვრება პარტიის/საარჩევნო ბლოკის წესდებით.
- პარლამენტის წევრობის კანდიდატს არ აქვს უფლება უარი თქვას არჩევნებში მონაწილეობაზე.
- წარმდგენ პარტიას.
- შესაბამის საარჩევნო კომისიას.

2581. არჩევნების შედეგების შეჯამებიდან რა ვადაში აქვეყნებს საოლქო საარჩევნო კომისია ცნობას შესაბამის ოლქში საკრებულოს არჩევნების შედეგების შესახებ?
- არჩევნების შედეგების შეჯამებიდან ერთი თვის ვადაში.
- არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 10 დღის ვადაში.
- არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 15 დღის ვადაში.
- არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 20 დღის ვადაში.

2582. რომელი მსჯელობაა სწორი?
- არჩევნებზე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 1,5 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- არჩევნებზე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 6 თვისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- არჩევნებზე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 1 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- არჩევნებზე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 2 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

2583. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
- საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5%-ს ან მეტს, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 10%-ს ან მეტს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებს არანაკლებ 1 000 000 ლარს არჩევნების ორივე ტურში საარჩევნო კამპანიისას გაწეული ხარჯების დასაფარავად.
- საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში

მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5%-ს ან მეტს, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 10%-ს ან მეტს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებს არაუმეტეს 1 000 000 ლარს არჩევნების ორივე ტურში საარჩევნო კამპანიისას გაწეული ხარჯების დასაფარავად.
- არც ერთი მსჯელობა არ არის სწორი.
- საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5%-ს ან მეტს, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 10%-ს ან მეტს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებს არაუმეტეს 1 000 000 ლარს საარჩევნო კამპანიის ხარჯების დასაფარავად, მათ შორის, 300 000 ლარს მიზნობრივად წინასაარჩევნო სატელევიზიო რეკლამის ხარჯების დასაფარავად.

2584. საინიციატივო ჯგუფმა მიმართა ცესკოს სასჯელის უმკაცრესი ზომის - სიკვდილით დასჯის აღდგენის საკითხის რეგისტრაციისთვის, მასზე რეფერენდუმის გამართვის მიზნით, იმავე საკითხზე რეფერენდუმის გამართვის მოთხოვნაზე უარის მიღებიდან 2 წლის შემდეგ. ცესკომ კვლავ უარი განუცხადა რეგისტრაციაზე. კანონიერი იყო თუ არა ცესკოს უარი?
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, დაუშვებელია ერთი და იმავე საკითხზე რეფერენდუმის განმეორებით დანიშვნა.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, დაუშვებელია რეფერენდუმის გამართვა ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავს ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.
- არა, რადგან ცესკოს უფლებამოსილებაში არ შედის რეფერენდუმის მოწყობის საკითხის გადაწყვეტა.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ერთსა და იმავე საკითხზე რეფერენდუმის დანიშვნა არ შეიძლება იმავე საკითხზე რეფერენდუმის გამართვის მოთხოვნაზე უარის მიღებიდან 1 წლის განმავლობაში.

2585. რომელი მსჯელობაა სწორი:
- ცესკოს თავმჯდომარეს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.
- ცესკოს თავმჯდომარეს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება საქართველოს პარლამენტის განკარგულებით.
- ცესკოს თავმჯდომარეს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.
- ცესკოს თავმჯდომარეს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით.

2586. რომელი მსჯელობაა სწორი?
- კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიაში 300 ამომრჩეველზე უნდა იყოს სულ ცოტა ერთი ამომრჩეველთა რეგისტრატორი.
- კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიაში 450 ამომრჩეველზე უნდა იყოს სულ ცოტა ერთი ამომრჩეველთა რეგისტრატორი.
- კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიაში 350 ამომრჩეველზე უნდა იყოს სულ ცოტა ერთი ამომრჩეველთა რეგისტრატორი.
- კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიაში 400 ამომრჩეველზე უნდა იყოს სულ ცოტა ერთი ამომრჩეველთა რეგისტრატორი.

2587. კონსტიტუციის მიხედვით, რომელი ერთ-ერთი პირობის არსებობისას აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას?
- თუ არჩევნების დანიშვნის დროისათვის მას ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში.
- თუ მისი ერთ-ერთი წევრი მთავრობის წევრია.
- თუ წინა საპარლამენტო არჩევნებში მიიღო ამომრჩეველთა არანაკლებ 3 %-ისა.
- თუ მისი ერთ-ერთი წევრი არის საქართველოს პრეზიდენტი.

2588. კონსტიტუციის მიხედვით, მონიშნეთ სწორი პასუხი:
- საქართველოს პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 73 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 77 წევრისაგან.
- საქართველოს პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 წევრისაგან.
- საქართველოს პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 75 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 75 წევრისაგან
- საქართველოს პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 100 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 50 წევრისაგან.

2589. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩევის/დანიშვნის შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია 3 დღის ვადაში შეასრულოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი საქმიანობის შეზღუდვისა და სამსახურებრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩევის/დანიშვნის შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია 7 დღის ვადაში შეასრულოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი საქმიანობის შეზღუდვისა და სამსახურებრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩევის/დანიშვნის შემთხვევაში, პირი ვალდებულია 7 დღის ვადაში შეასრულოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი საქმიანობის შეზღუდვისა და სამსახურებრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩევის/დანიშვნის შემთხვევაში, პირი ვალდებულია 3 დღის ვადაში შეასრულოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი საქმიანობის შეზღუდვისა და სამსახურებრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები.

2590. როდის უნდა გაიაროს წინასწარი მონაცემებით არჩეულმა პარლამენტის წევრობის კანდიდატმა ნარკოლოგიური შემოწმება?
- კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს მე-14 დღისა.

- კენჭისყრამდე 14 დღით ადრე მაინც.
- კენჭისყრამდე 7 დღით ადრე მაინც.
- კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა.

2591. ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია გათვალისწინებული საქართველოს საარჩევნო კოდექსით:
- საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრს ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია.
- მხარდამჭერთა სიაში ამომრჩევლის ხელმოწერა ბათილად მიიჩნევა, თუ არასრულად არის მითითებული საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი.
- ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება იყოს საკრებულოს წევრი, 18 წლის ასაკიდან.
- საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

2592. რა ასაკიდან წარმოიშობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში - საკრებულოში არჩევის პასიური საარჩევნო უფლება?
- 21 წლიდან.
- 23 წლიდან.
- 18 წლიდან.
- 25 წლიდან.

2593. კენჭისყრის პროცედურა გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით იმართება:
- დღის 7 საათიდან საღამოს 18 საათამდე.
- დღის 10 საათიდან საღამოს 20 საათამდე.
- დღის 9 საათიდან საღამოს 19 საათამდე.
- დღის 8 საათიდან საღამოს 18 საათამდე.

2594. რა ვადაში უნდა დაკმაყოფილდეს საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლის მოთხოვნა რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე?
- მოთხოვნისთანავე.
- გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა.
- მოთხოვნის დაყენებიდან არა უგვიანეს 3 დღისა.
- მოთხოვნის დაყენებიდან არა უადრეს 24 საათისა.

2595. რა სახის სამართლებრივი აქტით თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან უსკოს თავმჯდომარის მოადგილე?
- უსკოს დადგენილებით.
- უსკოს განკარგულებით.
- უსკოს თავმჯდომარის ბრძანებით.
- უსკოს თავმჯდომარის განკარგულებით.

2596. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობებიდან რომელია გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?
- საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე 4 წლის ვადით.
- საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საქართველოს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობით 4 წლის ვადით.
- საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე 5 წლის ვადით.
- საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა არაპირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე 5 წლის ვადით.

2597. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელია გათვალისწინებული კონსტიტუციაში:
- საქართველოს პრეზიდენტი არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური
- საქართველოს პრეზიდენტი არის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მეთაური.
- საქართველოს პრეზიდენტი არის სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.
- საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

2598. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში, ცესკოს მიერ რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ შექმნან საარჩევნო ბლოკი არჩევნების დღემდე არა უგვიანეს:
- 50-ე დღისა.
- 43-ე დღისა.
- 55-ე დღისა.
- 57-ე დღისა.

2599. რომელი არ არის პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი?
- საკუთარი განცხადება.
- საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარტიის აკრძალვა.
- საარჩევნო ბლოკში გაერთიანება.
- პარტიული სიის არ წარდგენა.

2600. კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია:
- საკუთარი ინიციატივით თანამდებობიდან გაათავისუფლოს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.
- განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე მოიწვიოს და თავმჯდომარეობდეს მთავრობის სხდომას.
- მოითხოვოს ცალკეულ საკითხთა მთავრობის სხდომაზე განხილვა.
- გააუქმოს მთავრობის აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგება პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს.

2601. კონსტიტუციის მიხედვით, რა წესის დაცვით და რომელ ორგანოს ან თანამდებობის პირს შეუძლია სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება?
- სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლია სქართველოს იუსტიციის მინისტრს კანონით განსაზღვრული წესით.
- სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლია საქართველოს პარლამენტს კანონით განსაზღვრული წესით.
- სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.
- სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლია საქართველოს პრეზიდენტს კანონით განსაზღვრული წესით.

2602. ქედის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებული იქნა უსკოში. უსკომ კანონით დადგენილ ვადაში განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება. უსკოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებული იქნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ბათუმის საქალაქო სასამართლომ ასევე განიხილა საჩივარი და გადაწყვიტა იგი. სად შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება?
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სააპელაციოსასამართლოში.
- ასეთი გადაწყვეტილება აღარ საჩივრდება.
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს უზენაესსასამართლოში.
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს საერთაშორისო სასამართლოში.

2603. რომელი ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობის გარეშეა დაუშვებელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრების ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა?
- საქართველოს პარლამენტის.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის.
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის.
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს.

2604. რა ვადაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პირის დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარად შეზღუდვის შესახებ სასამართლომ?
- 36 საათის განმავლობაში
- 24 საათის განმავლობაში
- 72 საათის განმავლობაში
- 48 საათის განმავლობაში

2605. არჩევნების დღემდე რა ვადაში უნდა უზრუნველყოს საოლქო საარჩევნო კომისიამ საარჩევნო უბნის საზღვრების, ასევე საარჩევნო უბანში შემავალ შენობა-ნაგებობათა ნუსხისა და მისამართების დაზუსტება?
- არა უგვიანეს მე-20 დღისა.
- არა უგვიანეს 30-ე დღისა.
- არა უგვიანეს მე-40 დღისა.
- არა უგვიანეს 50-ე დღისა.

2606. რომელი მსჯელობაა სწორი?
- ხმის მიცემის დასრულების შემდეგ საარჩევნო უბანზე მყოფი წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე კანონით დადგენილი წესით გამოავლენს არაუმეტეს 2 წარმომადგენელს, რომლებიც დააკვირდებიან დათვლის პროცესს.
- ხმის მიცემის დასრულების შემდეგ საარჩევნო უბანზე მყოფი წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე კანონით დადგენილი წესით გამოავლენს არაუმეტეს 3 წარმომადგენელს, რომლებიც დააკვირდებიან დათვლის პროცესს.
- ხმის მიცემის დასრულების შემდეგ საარჩევნო უბანზე მყოფი წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე კანონით დადგენილი წესით გამოავლენს არაუმეტეს 5 წარმომადგენელს, რომლებიც დააკვირდებიან დათვლის პროცესს.

- ხმის მიცემის დასრულების შემდეგ საარჩევნო უბანზე მყოფი წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე კანონით დადგენილი წესით გამოავლენს არაუმეტეს 4 წარმომადგენელს, რომლებიც დააკვირდებიან დათვლის პროცესს.

2607. რამდენი წევრისაგან შედგება საუბნო საარჩევნო კომისია?
- 14 წევრისაგან.
- 13 წევრისაგან.
- 12 წევრისაგან.
- 15 წევრისაგან.

2608. მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?
- დამკვირვებელს არა აქვს უფლება, ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში.
- დამკვირვებელს უფლება აქვს კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე.
- დამკვირვებელს უფლება აქვს, დაესწროს და დააკვირდეს საარჩევნო კომისიის სხდომებს.
- დამკვირვებელს არა აქვს უფლება, ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი.

2609. რეფერენდუმი ინიშნება მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან:
- 45 დღის განმავლობაში.
- 60 დღის განმავლობაში.
- 15 დღის განმავლობაში.
- 30 დღის განმავლობაში.

2610. ვინ ჩაითვლება არჩეულად მერის/გამგებლის არჩევნებში?
- არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 30%-ზე მეტი მიიღო.
- არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 25%-ზე მეტი მიიღო.
- არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 15%-ზე მეტი მიიღო.
- არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 50%-ზე მეტი მიიღო.

2611. რა სახის პასუხისმგებლობის ზომა არ გამოიყენება გადაცდომის ჩამდენი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიმართ საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით?
- უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.
- შენიშვნა.
- საყვედური.
- გაფრთხილება.

2612. დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, მოხელის კვალიფიკაციის დასადგენად დაწესებულების ხელმძღვანელობამ შეიძლება შემოიღოს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- ბრძანებულებით.
- ნორმატიული აქტით.
- განკარგულებით.
- ადმინისტრაციული აქტით.

2613. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კენჭისყრის შედეგებს აჯამებს კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს:
- მე-3 დღისა.
- მე-11 დღისა.
- მე-7 დღისა.
- მე-4 დღისა.

2614. ვინ უნდა უზრუნველყოს იმ ამომრჩეველთა სიის შედგენა, რომლებიც კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში იმყოფებიან და რომლებიც დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე?
- ამ პირთა სიას ადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
- ამ პირთა სიას ადგენს ცესკო.
- ამ პირთა სიას ადგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.
- ამ პირთა სიას ადგენს შესაბამისი საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელი.

2615. რა ფორმით მიმართავენ საარჩევნო სუბიექტები საარჩევნო კომისიას რეგისტრაციაში გატარების მიზნით?
- სარჩელით.
- განცხადებით.
- შუამდგომლობით.
- თხოვნით.

2616. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არ არის პასუხისმგებელი ამომრჩეველთა ერთიანი სიის:
- კომპიუტერულ დამუშავებაზე.
- ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებაზე.
- საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებაზე.
- არც ერთი პასუხი სწორი არ არის.

2617. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის დაკვეთის შემსრულებელი პირადად აგებს პასუხს, საარჩევნო ბიულეტენებში შეტანილი ინფორმაციის სიზუსტეზე.
- საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის დაკვეთის შემსრულებელი პირადად აგებს პასუხს, ხარისხზე.
- არც ერთი მსჯელობა არ არის სწორი.
- საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის დაკვეთის შემსრულებელი პირადად აგებს პასუხს, რომ დაბეჭდილი და შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის გადაცემული ბიულეტენების რაოდენობა ზუსტად შეესაბამებოდეს დაკვეთილ რაოდენობას, რომ მასთან არ დაიბეჭდოს და არ გავრცელდეს ზედმეტი ბიულეტენები.

2618. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დაემთხვა საპარლამენტო არდადეგებს, რის გამოც საქართველოს პარლამენტი შეიკრიბა საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან 36 საათის შემდეგ. კანონიერია თუ არა საქართველოს პარლამენტის ეს მოქმედება?
- დიახ, რადგან თუ საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დაემთხვა საპარლამენტო არდადეგებს, საქართველოს პარლამენტი იკრიბება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 48 საათისა.
- არა, რადგან თუ საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დაემთხვა საპარლამენტო არდადეგებს, საქართველოს პარლამენტი უნდა შეიკრიბოს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 24 საათისა.
- არა, რადგან თუ საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დაემთხვა საპარლამენტო არდადეგებს, საქართველოს პარლამენტი არ იკრიბება.
- დიახ, რადგან თუ საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დაემთხვა საპარლამენტო არდადეგებს, საქართველოს პარლამენტი უნდა შეიკრიბოს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 72 საათისა.

2619. რომელი მსჯელობაა სწორი?
- თუ კენჭისყრის დღეს გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა ერთით ნაკლები აღმოჩნდა, კომისიის თავმჯდომარე ასრულებს საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციას.
- თუ კენჭისყრის დღეს გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა ერთით ნაკლები აღმოჩნდა, კომისიის თავმჯდომარე ასრულებს კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციას.
- თუ კენჭისყრის დღეს გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა ერთით ნაკლები აღმოჩნდა, მცირდება ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრების რაოდენობა.
- თუ კენჭისყრის დღეს გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა ერთით ნაკლები აღმოჩნდა, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციას.

2620. კანონით დადგენილი წესით უფლებამოსილი პირის მიერ მოწვეულ იქნა გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. სხდომას 13 წევრიდან ესწრებოდა 8 წევრი. სხდომაზე თავმჯდომარის მიერ გატანილი იქნა განკარგულების პროექტი - ადგილობრივი არასამეწარმეო იურიდიული პირისათვის ადგილობრივი დამკვირვებლის სტატუსის მინიჭების შესახებ, რომელსაც კენჭისყრის დროს მხარი დაუჭირა კომისიის 5-მა წევრმა. ჩაითვლება თუ არა გადაწყვეტილება მიღებულად?
- გადაწყვეტილება ჩაითვლება მიღებულად, ვინაიდან მას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობამ.
- გადაწყვეტილება არ ჩაითვლება მიღებულად, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია, რომ მას მხარი დაუჭიროს სხდომაზე დამსწრეთა ორმა მესამედმა.
- გადაწყვეტილება არ ჩაითვლება მიღებულად, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელია, რომ მას მხარი დაუჭიროს კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობამ.

- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

2621. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით პარლამენტმა თანამდებობიდან გადააყენა, ანუ პრეზიდენტს უფლებამოსილება ვადამდე ადრე შეუწყდა, რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობებს?
- მთავრობის მეთაური.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
- მთავრობის თავმჯდომარე.
- საქართველოს კონსტიტუცია პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების ინსტიტუტს არ იცნობს, დაუყონებლივ უნდა ჩატარდეს საპრეზიდენტო არჩევნები.

2622. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს პარლამენტი დადგენილებით იღებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტს.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დადგენილებით იღებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტს.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია დადგენილებით იღებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტს.
- საქართველოს პრეზიდენტი განკარგულებით იღებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტს.

2623. რა ასაკიდან შეიძლება აირჩეს პირი თვითმმართველი ქალაქის მერად?
- 35 წლის ასაკიდან.
- 25 წლის ასაკიდან.
- 21 წლის ასაკიდან.
- 23 წლის ასაკიდან.

2624. რამდენი დღით ადრე უნდა მიმართოს ცესკოს რეგისტრაციაში გატარების მიზნით საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ?
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-10 დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-5 დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-7 დღისა.
- არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-2 დღისა.

2625. ამომრჩეველთა ერთიანი სიის განახლების და დაზუსტების მიზნით წლის განმავლობაში რამდენჯერ და როდის ეკისრებათ ცესკოსთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება იუსტიციისა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს?
- წლის განმავლობაში 3-ჯერ: 1 თებერვალს, 1 მაისს და 1 ნოემბერს.
- წლის განმავლობაში 4-ჯერ: 1 თებერვალს, 15 მაისს, 1 ივლისს და 1 ნოემბერს.
- წლის განმავლობაში 4-ჯერ: 1 თებერვალს, 15 მაისს, 15 ივნისსა და 1 ნოემბერს.
- წლის განმავლობაში 4-ჯერ: 1 თებერვალს, 1 მაისს, 15 ივლისს და 1 ნოემბერს

2626. სახელმწიფო მრჩევლებს საკლასო ჩინს ანიჭებს
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
- საქართველო პრემიერ-მინისტრი.
- საქართველოს პრეზიდენტი.
- საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივანი.

2627. უსკოს თავმჯდომარის მოადგილე ქარცივაძემ გადაწყვიტა, რომ ოჯახური პირობების გამო გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან. თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით მან განცხადებით მიმართა უსკოს. სწორად მოიქცა თუ არა ქარცივაძე?
- ქარცივაძე არ მოიქცა სწორად, ვინაიდან უსკოს თავმჯდომარის მოადგილემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს უსკოს თავმჯდომარეს.
- ქარცივაძე არ მოიქცა სწორად, ვინაიდან უსკოს თავმჯდომარის მოადგილემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს უშუალოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.
- ქარცივაძე მოიქცა სწორად, ვინაიდან უსკოს თავმჯდომარის მოადგილემ გადადგომის მოთხოვნითგანცხადებით უნდა მიმართოს უსკოს.
- ქარცივაძე არ მოიქცა სწორად, ვინაიდან უსკოს თავმჯდომარის მოადგილემ გადადგომის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

2628. ვის წინაშეა ანგარიშვალდებული ცესკო?

- სახალხო დამცველის წინაშე.
- საქართველოს პარლამენტის წინაშე.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინაშე.
- საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

2629. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიის „განათლების" წარმომადგენელს ზვიად ბერიძეს შენიშვნა ჰქონდა არჩევნების პროცესთან დაკავშირებით, რომლის შეტანაც სურდა ჩანაწერთა წიგნში, თუმცა მას აღნიშნულის უფლება არ მისცეს და განუმარტეს, რომ მოქმედი საარჩევნო კოდექსის თანახმად, ჩანაწერთა წიგნში ჩანაწერის შეტანის უფლებამოსილება ჰქონდა მხოლოდ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. კანონიერად შეეზღუდა თუ არა პარტიის წარმომადგენელს შენიშვნის შეტანის უფლება?
- კანონიერად შეეზღუდა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ჩანაწერთა წიგნში ჩანაწერის გაკეთების უფლება აქვს მხოლოდ საარჩევნო კომისიის მდივანს.
- კანონიერად შეეზღუდა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ჩანაწერთა წიგნში ჩანაწერის გაკეთების უფლება აქვს მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს.
- კანონიერად შეეზღუდა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ჩანაწერთა წიგნში ჩანაწერის გაკეთების უფლება აქვს მხოლოდ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- უკანონოდ შეეზღუდა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, არავის არა აქვს უფლება, ხელი შეუშალოს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე რომელიმე პირს, ჩანაწერი შეიტანოს ჩანაწერთა წიგნში.

2630. რა შემთხვევაში ჩაითვლება ბათილად მხარდამჭერთა სიაში ამომრჩევლის ხელმოწერა?
- საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატს მხარს არ უჭერს სხვა ოლქში წარდგენილი კანდიდატი.
- საარჩევნო უბანში წარდგენილი კანდიდატის მხარდამჭერთა სიაში მხარდასაჭერად შეყვანილია სხვა საარჩევნო უბნის რეგისტრირებული ამომრჩეველი.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- როცა საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის მხარდამჭერთა სიაში მხარდამჭერად შეყვანილია სხვა საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ამომრჩეველი.

2631. საარჩევნო ოლქების შექმნის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს:
- საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან.
- პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს ცესკოში.
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

2632. თუ ორი ან მეტი პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდა, მანდატი მიეკუთვნება იმ სიას, რომელმაც უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია:
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.
- ხმის დამთვლელ კომისიაში.
- საუბნო საარჩევნო კომისიაში.
- საოლქო საარჩევნო კომისიაში.

2633. რა საფუძვლით შეიძლება საკუთრების ჩამორთმევა?
- თუ მოვალე არ იხდის კრედიტს, კრედიტორს შეუძლია ფულადი ვალის ნაცვლად ჩამოართვას მას ავტომანქანა
- საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის
- საკუთრების უფლებით დაცული სფერო აბსოლუტურად შეუვალია, ამიტომ საკუთრების ჩამორთმევა დაუშვებელია
- საკუთრების ჩამორთმევა გამართლებულია მისი საბაზრო ღირებულების ანაზღაურების შემთხვევაში

2634. ვინ აწერს ხელს საკონტროლო ფურცლებს?
- მხოლოდ პირველი ამომრჩეველი.
- პირველი ამომრჩეველი და საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და პირველი ამომრჩეველი.

2635. საპრეზიდენტო არჩევნებში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც:
- ხმა მისცა არჩევნებში რეგისტრირებულ მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.
- სხვა კანდიდატებზე მეტი ხმა მიიღო, მაგრამ არჩევნებში მონაწილეთა ერთი მესამედი მაინც.
- ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.
- ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა ნახევარმა.

2636. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვის აქვს უფლება, სასამართლოში გაასაჩივროს ინფორმაციის კომერციულ სადუმლოებად მიჩნევის საკითხი?
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- მხოლოდ დაინტერესებულ პირს.
- მხოლოდ იმას, ვის ინტერესებსაც ლახავს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი.
- ნებისმიერ პირს.

2637. ჩამოთვლილთაგან რომელი არ ითვლება საარჩევნო კამპანიის ხარჯად?
- კამპანიის ფარგლებში უსასყიდლოდ მიღებული ყველა სახის საქონელი.
- კამპანიის ფარგლებში უსასყიდლოდ მიღებული ყველა სახის მომსახურება.
- კამპანიისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების ერთობლიობა.
- საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით მიღებული უფასო სარეკლამო დროის ღირებულება.

2638. რა სახის სამართლებრივ აქტს წარმოადგენს საოლქო ან/და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულება?
- კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს.
- ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
- საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულება საერთოდ არ წარმოადგენს სამართლებრივ აქტს.
- საკანონმდებლო აქტს.

2639. კონსტიტუციის მიხედვით როგორი საზოგადოებრივი წესწყობილების დამკვიდრება სურთ საქართველოს მოქალაქეებს?
- ეროვნული საზოგადოებრივი წესწყობილება
- სამართლიანი საზოგადოებრივი წესწყობილება
- დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება
- სოციალისტური საზოგადოებრივი წესწყობილება

2640. საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვის უნდა აცნობოს დაუყოვნებლივ თავისი გადაწყვეტილება?
- პარტიის/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს.
- პრეზიდენტს.
- არცერთს.
- პარლამენტს.

2641. რომელი მსჯელობა არის სწორი?
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირება ხდება ცესკოს თავმჯდომარის დადგენილებით.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირება ხდება ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებულებით.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირება ხდება ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირება ხდება ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით.

2642. N1 საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით, რომელიც გასაჩივრებულ იქნა რაიონულ/საქალაქო სასამართლოში კანონით დადგენილი წესით. რა ვადაში უნდა განიხილოს საჩივარი რაიონულმა/საქალაქო სასამართლომ?
- 2 დღის ვადაში.
- 3 დღის ვადაში.
- 1 დღის ვადაში.
- 4 დღის ვადაში.

2643. ვინ ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტის ხელახალ არჩევნებს?
- ცესკო, წევრების აბსოლუტური უმრავლესობის გადაწყვეტილებით.
- საქართველოს პარლამენტი.
- ცესკოს თავმჯდომარე.
- პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი.

2644. ამომრჩეველი ქებურია გამოცხადდა მის საარჩევნო უბანზე არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. მარკირების შემოწმების შემდეგ, კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელმა კომისიის წევრმა ქებურია შეუშვა კენჭისყრის ოთახში. ამ დროს ქებურიასთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან იმყოფებოდა სამი ამომრჩეველი. სწორად მოიქცა თუ არა კენჭისყრის ოთახში

ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი?
- კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი სწორად მოიქცა, ვინაიდან კენჭისყრის ოთახში მან ამომრჩეველი უნდა შეუშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ოთხზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება.
- კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი არ მოიქცა სწორად, ვინაიდან კენჭისყრის ოთახში მან ამომრჩეველი უნდა შეუშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ერთზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება.
- კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი არ მოიქცა სწორად, ვინაიდან კენჭისყრის ოთახში მან ამომრჩეველი უნდა შეუშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება.
- კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი სწორად მოიქცა, ვინაიდან კენჭისყრის ოთახში მან ამომრჩეველი უნდა შეუშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან სამზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება.

2645. დასაშვებია თუ არა საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია იყოს სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული ორგანიზაცია?
- დიახ, საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული ორგანიზაცია, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტი/წესდება ითვალისწინებს 672 არჩევნების მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას და რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია ცესკოში.
- არა, საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული ორგანიზაცია.
- არა, საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კავშირი (ასოციაცია), ფონდი, რომლის წესდება ან დებულება რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნებზე მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებების დაცვას და რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.
- დიახ, საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული ორგანიზაცია, რომლის დამფუძნებელი დოკუმენტი ითვალისწინებს არჩევნებზე მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებების დაცვას და რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია საოლქო საარჩევნო კომისიაში.

2646. რომელი მსჯელობაა სწორი?
- საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურის დარღვევის შესახებ განცხადება/საჩივარი შედგენილი უნდა იქნეს დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის 8 საათიდან შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე.
- საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურის დარღვევის შესახებ განცხადება/საჩივარი შედგენილი უნდა იქნეს დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის 7 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე.
- საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურის დარღვევის შესახებ განცხადება/საჩივარი შედგენილი უნდა იქნეს დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის 7 საათიდან შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე.
- საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურის დარღვევის შესახებ განცხადება/საჩივარი შედგენილი უნდა იქნეს დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის 8 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე.

2647. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს საოლქო საარჩევნო კომისიაში.
- საუბნო კომისიას გადასცემს საკრებულოს წევრად არჩეულ პირთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას.
- განკარგავს ცესკოს ფინანსურ სახსრებს.

2648. საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ რეგისტრაციაში გატარების მიზნით კანონით დადგენილ ვადაში მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას. დაარღვია თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ?
- საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაარღვია, ვინაიდან მას რეგისტრაციისათვის უნდა მიემართა შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიისთვის.
- საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაარღვია, ვინაიდან მას რეგისტრაციაში გატარების მიზნით უნდა მიემართა ცესკოსთვის.
- საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დაურღვევია.
- საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები დაარღვია, ვინაიდან მას რეგისტრაციისათვის უნდა მიემართა საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის.

2649. პარტიამ, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავდა წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად კანონით დადგენილ ვადაში და წესით ცესკოს თავმჯდომარეს წარუდგინა განცხადება, რომელსაც თან ერთვოდა პარტიის რეგისტრაციის მოწმობისა და წესდების სანოტარო წესით დამოწმებული ასლები. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, იმ პარტიის განცხადებას, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავდა წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად უნდა

ერთვოდეს პარტიის რეგისტრაციის მოწმობა და წესდება, ან მათი სანოტარო წესით დამოწმებული ასლები.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, იმ პარტიის განცხადებას, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავდა წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად უნდა ერთვოდეს არა პარტიის რეგისტრაციის მოწმობისა და წესდების სანოტარო წესით დამოწმებული ასლები, არამედ მხოლოდ საქართველოს პარლამენტში წარმომადგენლის ყოლის დამადასტურებელი საბუთი.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, იმ პარტიის განცხადებას, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავდა წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად, პარტიის რეგისტრაციის მოწმობის და წესდების ან მათი სანოტარო წესით დამოწმებულ ასლებთან ერთად, უნდა ერთვოდეს საქართველოს პარლამენტში წარმომადგენლის ყოლის დამადასტურებელი საბუთი.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, იმ პარტიის განცხადებას, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავდა წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად უნდა ერთვოდეს არა პარტიის რეგისტრაციის მოწმობისა და წესდების სანოტარო წესით დამოწმებული ასლები, არამედ მათი ნოტარიულად დაუმოწმებელი ქსეროასლი.

2650. რომელი ორგანო ქმნის სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნებს?
- სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნებს ქმნის ცესკო არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა საქართველოს პარლამენტის თანხმობით.
- სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნებს ქმნის ცესკო არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-60 დღისა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.
- სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნებს ქმნის საგარეო საქმეთა სამინისტრო არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობით.
- სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნებს ქმნის ცესკო არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.

2651. რა სახის სამართლებრივი აქტით ხდება ცესკოს მიერ ცესკოს თავმჯდომარის არჩევა?
- განკარგულებით.
- ბრძანებით.
- ბრძანებულებით.
- დადგენილებით.

2652. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დროს დგება:
- ერთი შემაჯამებელი ოქმი.
- სამი შემაჯამებელი ოქმი.
- ორი შემაჯამებელი ოქმი.
- ოქმების რაოდენობას განსაზღვრავს ცენტრალური საარჩევნო კომისია დადგენილებით.

2653. ცესკოს წევრების შესარჩევი კონკურსისას, თუ კანონით განსაზღვრულ ვადაში არ მოხდება ერთ ვაკანსიაზე არანაკლებ 2 კანდიდატის წარდგენა:
- კონკურსი გრძელდება იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც მოხდება ერთ ვაკანსიაზე არანაკლებ 2 კანდიდატის წარდგენა.
- ცხადდება ახალი კონკურსი.
- კონკურსი გრძელდება 2 კვირით.
- კონკურსი გრძელდება ერთი თვით.

2654. საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ რეგისტრაციაში გატარების მიზნით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას განცხადებით უნდა მიმართოს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს:
- მე-5 დღისა.
- მე-7 დღისა.
- მე-15 დღისა.
- მე-10 დღისა.

2655. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივ აქტებს?
- საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილება.
- ცესკოს განკარგულება.
- საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.
- ცესკოს დადგენილება.

2656. სააქციო საზოგადოება ”ადამი” რომელიც კენჭისყრის დღემდე 2 წლით ადრე იყო დარეგისტრირებული იურიდიულ პირად,

მიმართა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნებზე ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად დარეგისტრირების თაობაზე, რაზეც საოლქო საარჩევნო კომისიამ უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ მის სადამფუძნებლო დოკუმენტში არ იკვეთებოდა ადამიანის უფლებების დაცვის ან კიდევ არჩევნების მონიტორინგის მიზანი. კანონიერი იყო თუ არა საარჩევნო კომისიის უარი?
- არა, რადგან სააქციო საზოგადოებას უნივერსალური უფლებამოსილება აქვს და შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც შეიძლება სახელდებით არც ჰქონდეს წესდებაში აღნიშნული.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, ნებისმიერი კომერციული ან არაკომერციული იურიდიული პირის არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციად დარეგისტრირებისთვის აუცილებელია, რომ მათ წესდებაში დაფიქსირებული ჰქონდეთ არჩევნების მონიტორინგის ან/და ადამიანის უფლებათა დაცვის მიზანი.
- დიახ, რადგან სააქციო საზოგადოება ''ადამი'', კენჭისყრის დღემდე 2 წლით ადრე იყო დარეგისტრირებული იურიდიულ პირად, მაშინ როცა კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ რეგისტრაცია მოხდეს კენჭისყრის დღემდე 1 წლით ადრე.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

2657. რა სახის სამართლებრივი აქტით ამტკიცებს ცესკო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სპეციალური სწავლების წესსა და პირობებს?
- ბრძანებით.
- ბრძანებულებით.
- განკარგულებით.
- დადგენილებით.

2658. საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის 200 კანდიდატი იყო გათვალისწინებული. აქვს თუ არა ადგილი რაიმე დარღვევას?
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 50-ზე ნაკლები და 250-ზე მეტი.
- არა, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 70-ზე ნაკლები და 150-ზე მეტი.
- დიახ, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა აღწევდეს ორასს.

2659. რა ვადებში ტარდება საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური?
- პირველი ტურის შედეგების ოფიციალურად გაცხადებიდან ორი კვირის განმავლობაში.
- პირველი ტურის შედეგების ოფიციალურად გაცხადებიდან ორი კვირის თავზე.
- პირველი კენჭის დღის ერთი თვის თავზე.
- პირველი კენჭის დღის ორი კვირის თავზე.

2660. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მსჯელობა არის სწორი?
- აკრძალულია ცესკოს დადგენილების მიღება კენჭისყრამდე არა უგვიანეს 10 დღისა.
- აკრძალულია ცესკოს დადგენილების მიღება კენჭისყრამდე არა უგვიანეს 7 დღისა.
- ცესკოს დადგენილება მიიღება კენჭისყრამდე არა უგვიანეს 4 დღისა.
- აკრძალულია ცესკოს დადგენილების მიღება კენჭისყრამდე არა უგვიანეს 4 დღისა.

2661. რამდენი ხნის განმავლობაში შეიძლება იმყოფებოდეს ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში?
- ხმის მიცემისათვის საჭირო დროის განმავლობაში.
- შესვლიდან 5 წუთის განმავლობაში.
- შესვლიდან 10 წუთის განმავლობაში, რომელიც შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს საჭიროების შემთხვევაში.
- შესვლიდან 7 წუთის განმავლობაში.

2662. ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით უფლებამოსილმა სუბიექტმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს 45-ე დღისა განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით უფლებამოსილმა სუბიექტმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს 55-ე დღისა განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით უფლებამოსილმა სუბიექტმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს 40-ე დღისა განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს.
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით უფლებამოსილმა სუბიექტმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50-ე დღისა განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს.

2663. ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის შესარჩევ კონკურსში?
- კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 25 წლიდან, რომელიც აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.
- კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21 წლიდან, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში 18 წლიდან და რომელიც აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.
- კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21 წლიდან, რომელიც აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.
- კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 18 წლიდან, რომელიც აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

2664. რა შემთხვევებშია დასაშვები საკუთრების უფლების გაუქმება?
- დასაშვებია საომარი მდგომარეობის დროს
- საკუთრების უფლების გაუქმება დაუშვებელია. საკუთრების უფლება ადამიანის საყოველთაო, თანდაყოლილი უფლებაა
- დასაშვებია საგანგებო მდგომარეობის დროს
- დასაშვებია საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით